

780
1983



ಪ್ರಗತಿ



1983

1



ISSN 0184-9846




ქუჩის ანთროპომორფი

განსახილველი

კლდეში ტენდრიაკოვი

ს ა ზ ლ ა უ რ ი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

1583

მ ო თ ხ რ, ო ბ ა

თარგმნა ზურაბ ლეჟიაშვილმა

ნაწილი პირველი

I

ლამის ორი საათი იქნებოდა, მენდელეევის ქუჩაზე, მეექვსე ნომერ სახლში სროლა რომ გაისმა. მეხუთე სართულზე ბინის კარი გაიღო, სახეშეშლილი, თმაგაწეწილი ქალი გამოვარდა და კიბეზე დაეშვა თოფით ხელში.

— ღმერ-რთო ჩემო!.. ღმერ-რთო! — ლულულეებდა სუნთქვაშეკრული.

აწვიმდა მკვმუნვარე, ჩაძინებულ ქალაქს. სიცივითა და ნესტით გაჭერებულ უსაშველო წვეარამს ამ შავ ჯოჯობეთში ჩანთქმული შექგადლაბნილი ფარნებილა ებრძოდა. ქალი სადარბაზოს გასცდა და შეშლილივით მიმოიხედა.

შემპარავად ჩურჩულებდა წვიმა. შავი ლოდით აყუდებული სახლი ამ კუბრ ღამეში კიდევ უფრო შავი ჩანდა, მხოლოდ სადარბაზოს ასწვრივ, კიბის ბაქნებზე ბუტბუტავდა ნათურები. და კიდევ მალლა, მეხუთე სართულზე, ჩახჩახებდა ორი ფანჯარა. სროლის ხმას არავინ გაუღვიძებია.

ქალმა ამოიკვნესა, თოფი ტანზე შიკრა და სირბილით გაუყვა უკაცრიელ ქუჩას. საშინაო ხალათი უფრიალებდა, ფოსტლებში წადგმულ შიშველ ფეხებს ფარნებით განათებულ გუბეებში ურევდა:

— ღმერ-რთო ჩემო!.. ღმ-ერთ-ო!..

კარი, საიდანაც წელან ქალი გამოვარდა, ღია იყო, ჩაბნელებულ კიბის ბაქანს უხვად ეფრქვეოდა იჭიდან შუქი. ამ უკულმართ ღამეს, როცა ყველა კარი მაგრად ჩაერაზათ და ყველა ოჯახი გულდაგულ შეკეტილიყო თავის ბინაში, ხოლო ვეება სახლი, საძირკვლიდან ვიდრე სხვენამდე ვონმიხდილივით გარინდულიყო, ეს მოღიავეებული, შუქმფინარე კარი მართლა შაშის ზარს დას-

საბჭოთაო სახ. სპ. სსრ.
საბჭოთაო რესპუბლიკა
ბ ი ბ ლ ი ო თ ე ა

ცემდა ადამიანს; თითქოსდა იმის მიღმა სულ სხვა ქვეყანა, მოუსვენლეთი იწყებოდა! თუმცა ვის უნდა დასცემოდა შიშის ზარი, როცა ძეხორცეული არავინ ჩანდა, ძილს წაელო ყველა.

კარებს მოჩვენებასავით უხმაუროდ მოადგა თხელი სარკველი ჩინდაკარგულივით მოძრაობდა. ზღურბლზე შედგა, კარის წირბნდნის ჩინდაკარგულივით, საიჭიოდან მოსული არსებაა და ამ თავზარდამცემად მდუმარე ძილის საუფლომ შეაშინაო. ბოლოს ძალი მოიცა და ნაბიჯი წადგა — ეს იყო კათანდარა, აწოწილი ბიჭი, მაისური და შემოტმასნილი ჯინსი ეცვა, წეროსავით უშნოდ აბიჯებდა ჩხირივით ფეხებს.

შუა ბაქანზე ბიჭი ისევ შედგა, გაოგნებულმა მიმოაზრდა — სამივე კარი ყრუდ, მდუმარედ შემოსცქეროდა: ოხვრა აღმოხდა, ბრძასავით ფრთხილად, გაუბედავად ჩაჰყვა კიბეს. სადღაც ქვემოთ, კიბის ჭაურში ინთქმებოდა მისი ფეხის ფლატუნი.

ერთი სართულით ქვემოთ დერმატინგადაკრულ შავ კარს მოადგა, შეჩერდა, უაზროდ მიაშტერდა. დუმილს მოეცვა მთელი სახლი. ეს დუმალი ბორკავდა მასაც. თითქოს ზეზეურად ჩათვლინაო, ბარე წუთზე მეტხანს იდგა უძრავად, ბოლოს თავს ძალა დაატანა და დილაკს თითი დააჭირა. ქვის ყრუ კედელივით აღმართული შავი კარის მიღმა გულისწამლებად დაიქვრივალა ზარმა. ბიჭმა შემცივნულივით აიწურა შიშველი მხრები და კვლავ გაბეგდა. ჩამიჩუმი არსად ისმოდა, მძიმე დუმილი დასწოლოდა სახლს. ისევ ძალისძილად ასწია გაურჩებელი ხელი. ამჯერად ზარი დიდხანს ბურღავდა ბეტონში გამომწყვდეულ სიჩუმეს.

ორჯერ ყრუდ გაიჩხაკუნა საკეტმა. კარი გაიღო.

— რომელი ხარ? — გაისმა მამაკაცის ნამძინარევი, უამური ხმა.

— მე ვარ... — ძლივს ამოიღნავლა ბიჭმა.

თითქოს გინება შეიკავაო, ისე აჯუჯლუნდა კარს უკან კაცი და კარი გაიღო — გამოჩნდა გაუპარსავი, გაჯაგრული ნიკაბი, შეყრალი კოპები, უქმური, ნამძინარევი, წაგრძელებული სიფათი, გაისმა ჭირვეული ხმა:

— ისევ დაერიეთ ერთმანეთს?

— ვასილი პეტროვიჩი, მე... — ბიჭს ყბა მოექცა.

— არც თქვენ ისვენებთ და აღარც სხვას ასვენებთ...

— მამა მოვკალი, ვასილი პეტროვიჩი!

ვასილი პეტროვიჩი წელში გასწორდა, მაღალი, უშნო, ვიწრომხრებიანი იყო, იასამნისფერი ნაქსოვი საღამური პერანგი ეცვა, ზოლებიან პიჯამის შარვალში ღიბი გამობეროდა. ჰაერი ჩაისუნთქა, ამოსუნთქვა კი დაავიწყდა, წვრილი თვალები გაეყინა, თუთიისფერი გაუხდა. ყმაწვილმა კმუნვით მოარიდა თვალი.

— მილიციაში დარეკეთ, ვასილი პეტროვიჩი...

კაცი გონს მოეგო, აყვირდა:

— მილიციაში?... ამ შუალამისას მასხრობა მომინდომე?! რას მიედ-მოედები. თუ იცი...

— თოფი... თოფი ვესროლე...

კაცის უკან ხმაური გაისმა, დერეჟანი უცებ განათდა, გამოკრთა აქეთიჭით გაფშეკილი წვრილი კიკინები, შიშით დაქანჭული, გამტკნარებული სახე. წვრილი ხელი ხალათის საყელოს შეკვრას ლამობდა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— კოლია, რა მოხდა?!

ვასილი პეტროვიჩი შეეცადა ბიჭს აფარებოდა.

— აბა მოუსვი აქედან! უშენოდ გავარკვევთ საქმეს!

— კოლია, რა მოხდა?!

კოლია უხმოდ იდვა, თავი ჩაეჭინდრა, სახეს მალავდნენ.

— სონია! ვის ვუთხარი, ნუ ეჩრები-მეტქი!..

— კო-ლია!

— სონია... მე... მამა... მილიციაში უნდა დავრეკოთ...

— მამა, რას ამბობს?! გამაგებინე, მამა!

— ასეთ ამბავს სხვის ოჯახში მიიტანს კაცი?... მთლად სინდისგარეცხილები არ ყოფილან! — ისევ გაისმა ვასილი პეტროვიჩის გაანჩხლებული ხმა. ოთახიდან თმაგაჩეჩილი, ნახქარევად კაბაგადაცმული ქალი გამოვარდა, გადატყეცილი, გაქვავებული სახე უსიცოცხლო ნიღაბს მიუვავდა.

— დედა! — ეცა ქალს სონია, — რაღაც საშინელებაა მაგათ თავს, დე-და!

— მერე ჩვენთან რა უნდა? ნათესავები ვართ მაგათი?!

— დედა!

სონიას დედამ სცადა ბიჭს გამოჰქომაგებოდა:

— აბა ვისთან მივიდეს, ვასია?

ბიჭი ისევ იატაკს დასჩერებოდა, შემცივნულივით ყურებამდე აეწურა წიშველი მხრები.

— ვასილი პეტროვიჩ, მილიციაში დარეკეთ...

კაცის ზურგს უკან აფშეკილი კიკინები შეტოვდა, ხალათის კალთამ გაფრიალა, გოგო დერეფნის სიღრმეში გასხლტა, გაისმა ტელეფონის დისკოს ლბილი ტკაცუნა.

— ალო! ალო! — ხმის ჩაწყვეტამდე ჩაჰკივლა ყურმილში. — არკადი კირილოვიჩ, სონია პოტეხინა ვარ! არკადი კირილოვიჩ!... — სლუკუნა შეერია ხმას, — კოლია კორიაკინს... წამოდით, წამოდით! არკადი კირილოვიჩ! სასწრაფოდ მოდიეთ!..

გოგოს მილიციაში არ დაურეკავს. თავისი სკოლის მასწავლებელს დაურეკა.

ბნელ, სველ, უკაცრიელ ქალაქში კი ხალათის ამარა ვარბოდა ქალი, თოფი გულზე მიეკრა, წვიბით გალუმპული თმა პირსახეზე ჩამოშლოდა.

— ღმერთო ჩე-მო!.. ღმე-რთო!..

მასწავლებელი ახლოს ცხოვრობდა, სულ ერთი უბნის იქით. მაგრამ რაოდენ მოუქნელი და მოუსაზრებელია ხოლმე ნაუცბადევიად გაღვიძებული კაცი, რომელიც ათეული წლების მანძილზე მშვიდმა ცხოვრებამ განგაშის ხმაზე წამოხტომას გადააჩვია, სანამ აზრზე მოვიდა. გამოერკვა, სანამ მიდგა-მოდგა, ტანთ ჩაიცვა, — ეს ოხერი წინდებიც რაღა მაინცლამაინც ახლა დაიკარგა! — კარგა დრო გავიდა. თანაც სადღა შეეძლო ამ ორმოცდაათობმეტი წლის კაცს ძველებურად სირბილი, ისიც ამ წვიმაში.

სახლს კვლავ ეძინა, ისევ გამომწვევად ჩახჩახებდა ორი ფანჯარა მეხუთე სართულზე.

სადარბაზოს დამეულ მოჩვენებასავით გამოეყო ვიღაც ქუჩებში თავჩარგული, უსაშველოდ ზორბა კაცი, არკადი კირილოვიჩთან უღელს მიყვება და შესწუწუნა:

— შვილები — მამებს, შვილები — მამებს დაერივნენ! ასე გაანათლეთ, ხომ?!

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— ვერ მიცანით?

— ვასილი პეტროვიჩი ხართ? ამ სიბნელეში როგორ გიცნობდით.

სონია პოტეხინას მამა იყო, ბეწვისსაყელოიან ქურქში ძალიან მხარბეჭიანი ჩანდა.

— მაინც რომ გამიხსენეთ, ამისათვისაც გმადლობთ. მე კი აგერ თქვენს შესახვედრად გამოვვარდი...

თავზე ბერეტი ჩამოეფხატა, სიბნელეში თვალები უკვესავდა, ხმა გაღიზიანებული თუ გაბზარული ჰქონდა.

— ...შესაგებებლად გამოვვარდი, მინდოდა ჩემი აზრი გამეზიარებინა; ზემოთ ვიყავი, საკუთარი თვალით ვნახე! მამ-მამ, შვილები მამებს დაერივნენ! დაიქცა ქვეყანა, დაიქცა!

— „სასწრაფო“ გამოიძახეთ?

— მაგას სასწრაფო რაღად ჰქირდება — კაცი მოკვდა და ფლავი მერე ჩააყარესო... შიგ სახეში არ დაუხლია არამზადას... მაპისათვის!

— წავიდეთ, იქნებ მაინც ვუშველოთ რამე.

— არა, ბატონო! მე მეყოფა! კმარა! ყელში ამომივიდა... თქვენ კი მიბრძანდით და დატკბით. ღიახაც გამოგადგებათ! ეგებ თქვენც ჩახვდეთ, რასაც მე მივხვდი ახლა.

— რაზე ამბობთ?

— იმაზე ვამბობ, რომ საშინელ საქმეს სჩადიხართ! იანთი კარგიო, ისეთა პატივდებული ადამიანი ბრძანდებაო, ყველა თქვენკენ მოიწევს, თქვენგან მოვლის რჩევას!... იქნებ ახლა მაინც მოეგოთ გონს.

— ვერაფერი გამიგია.

— რასაკვირველია, რასაკვირველია.. ეგებ მერე მაინც ჩახვდეთ, დიდი იმედი მაქვს! — სახელოში სწვდა მასწავლებელს, ახლოს მიუტანა აბიგძიგებული ნიკაპი და ზედ სახეში შეაორთქლა: — არანორმალური ბავშვები იზრდებიან! ვერ ატყობთ? ჩემი სონკაც არანორმალურია...

არკადი პეტროვიჩმა ძლივს მოიცილა ხელი:

— გადავდოთ ეგ ლაპარაკი. ახლა ამის დრო არ არის.

— კი, კი! აღარაა დრო, აღარ! უკვე გვიანია. წამხდარ საქმეს აღარაფერი ეშველება. ადრევე უნდა გცოდნოდათ ეს!..

ეს ბოლო სიტყვები ვასილი პეტროვიჩმა უკვე ზურვში მიაღვენა მასწავლებელს.

არკადი პეტროვიჩმა აიარა ჩაბნელებული კიბე, ოდნავ ვანათებული ბაქნები, პირველი, მეორე, მესამე სართული... უფრო მეტად და მეტად ეძალეზოდა ამ მოულოდნელი შეხვედრით გამოწვეული შეშფოთება. — ის კაცი, მგონი, საყვედურობდა, რაღაცით გაღიზიანებული იყო... უბედურება მოხდა,

დახმარება სჭირდებოდა — მხოლოდ ეს აზრი მოაქანებდა აქეთ. არ კი ფიქრობდა, რით დაეხმარებოდა, რას გააკეთებდა, ახლა კი მოეძალა და მოეძალა ყრუ წინათგრძნობა — უთუოდ რაღაც მოხდება, შეიცვლება ჩვეულებრივი ყოფა. ახლა დასცა თავზარი საზარელმა ფაქტმა — მისმა მოსწავლემ მისწავლა, კაცი! უკვირდა კიდევ, რატომ თავიდანვე არ დასცა მეხი ამ სტრასტორმა — მისმა მოწათემ კაცი მოკლა! აქამდე საკუთარ თავს ვერაფრით ვერ დაუკავშირა ეს ამბავი...

ვასილი პეტროვიჩ პოტეხინთან მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა, იცნობდა, როგორც თავისი მოწათვის მშობელს, — უფრო მეტი, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მის ბედ-იღბალშიაც ჩაერია, მოუსმინა, ჭკუა დაარია, საჭირო ხალხთან გაგზავნა. ახლა კი რამ ვააბრაზა ასე ეს კაცი, ვერ მივხვდარიყო.

დამრეცმა კიბემ სუნთქვა აუჩქარა. გულს ბაგაბუგა ვაჰქონდა. არკადი კირილოვიჩი ბოლო სართულზე შედგა.

კარი მოღიავებული იყო, იქიდან უხვად იღვრებოდა შუქი. მოჩანდა მოპრილებული პარკეტი და ფეხსათენი, შპალერგახუნებული კედლის ნაწილი და ზედ რომელიღაც ქურნალიდან ამოჭრილი ლურჯ-წითლად მოელვარე სურათი — ადამიანის მიჩვეული საბუდებელი, რომლისთანაც ასზე მეტია ამ სახლში, ასი ათასზე მეტი მთელ ქალაქში. ყველა თავისთვის ცხოვრობს. როგორც ადამიანები, ოჯახებიც ისე არ ჰგვანან ერთმანეთს. სხვა სამყაროს კარიბჭეა აქ. თუმცა არა. ეს სამყარო უკვე დაინგრა. არკადი კირილოვიჩს ხუთიოდე ნაბიჯი ამორებს ამ უბედურებას. ახალი ძალით შემოაწვა უმძიმესი წინათგრძნობა — ამ ზღურბლზე გადაბიჯება და მისი დალაგებული, მშვიდი ცხოვრების დამსხვრევა ერთი იქნება. ამ გაჩახჩახებულ კარს უკან მარტო მიცვალებული კი არა, რაღაც იდუმალი, საშიში ელის, და მისგან მხოლოდ გაქცევათ თუ უშველის თავს. რაღაც შეუცნობმა ძალამ მოადენა, მოაგდო იგი იმ ზღურბლს, რაღაც ზეძალამ მოიყვანა ამ შუალამისას. არკადი კირილოვიჩმა სული მოითქვა და კარისაკენ დაიძრა. წინასწარ მოეძალა ზიზღი. აღაგზნო იმის წარმოდგენამ, რომ მალე ჩაყვინთავდა ამ საშინელი დანაშაულის გარემოში, რომლის მსგავსი წაკითხვით ბევრი წაეკითხა, მაგრამ პირისპირ არასოდეს შეჰყრია.

შესასვლელის პირდაპირ კედელზე გაკრული ნახატო უცხოური ქურნალიდან ამოჭრილი რეკლამა გამოდგა. ლურჯი ზღვის პირას, ნარინჯოვან სანაპიროზე, საოცრად გრძელ, თავგადახდილ პრილა-წითელ მანქანასთან თითქმის დედისმობილა იდგა კბილებჩაწიკწიკებული მზით გარუჯული ქერა ასული.

დერეფნის ბოლოს ოთახის კარი ღია დახვდა, იქვე მამაკაცის დიდი ზომის წალა ეგდო, გაუწმენდავი, გაცვეთილი. არკადი კირილოვიჩმა ფრთხილად გადააბიჯა ზედ.

თავის დროზე ბარე ორი მოკლული ენახა. სტალინგრადში, მდინარე კარცას დამრეცი კალაპოტი ჭერეხივით გაეჭედა გალიგველ გვამებს. მაგრამ მკვდრები იქ იმ გადათხრილ-გადაჩიჯნილ-გადაბუგული პეიზაჟის ნაწილი იყო თითქოს, აქ კი ნაშუალამევი მოძალეებულ დენს ჭერზე თვალისმომჭრელად აებრჭყვიალებინა ჭალი. ციმციმებდა ბროლის ლოლუები. დამძიმებულიყო, გარინდულიყო დამაბრმავებელი შუქით ავსილი ჰაერი. უშველებელი ტელევიზორი, ოთხკუთხა, ბრტყელი, ჩამქრალ-ჩანაცრისფრებული ეკრანით, თვალდათხრილივით გულგრილად მისჩერებოდა იქაურობას. ფართო სა-

წოლი ურცხვად იყო აწეწილ-დაწეწილი. ერთი ბალიში ძირს ეგდო, იატაკზე მინის ლარნაკის ნამსხვრევები ციმციმებდა.

მზზინავე, მოციკვე ჭაღჭევეშ კი, ლამის მთელი ოთახის სიგანეზე, კაცი გაშხლართულიყო. თხელი, პრიალა სინთეტური პერანგი შემოტყეპნილი იყო ფართო, მძლავრ ზურგზე. ხუჭუჭი თმა პარკეტზე დანთხეულ შავ ბლანტე გუბებს მიწებებოდა. ისეთივე ბლანტე კუბრი ზოლი იატაკს მიჰყვებოდა და ტელევიზორის გაჩაჩხულ ფეხებს შორის შეჩერებულაყო. დიდრონ ფეხებზე ღია ყავისფერი ნუჭყიანი წინდები ეცვა. ცალი ხელი უშნოდ ამობრუნებოდა. ხეშეში, ხეით მოთხვრილი ნამუშევარი ხელების თითებზე ფრჩხილები წამტვრეოდა. არკადი პეტროვიჩმა გულისრევა იგრძნო. ამ კაცს დანმარება აღარ სჭირდებოდა.

8

ეს მათი მეორე შეხვედრა იყო.

ამ სამი წლის წინათაც გახლდათ არკადი კირილოვიჩი ამ ოთახში (ეს ოთახი მაშინ ჩვეულებრივად გამოიყურებოდა და სრულიად არ დამახსოვრებია). კოლია კორიაკინი, იმხანად მეექვსე კლასის მოწაფე, ცუდად სწავლობდა, მასწავლებლებს გამომწვევად, უხეშად პასუხობდა. ხანდახან სულმთლად აიწყვეტდა თავს და გადაიარეოდა. სკოლაში ლაპარაკი შეიქნა, ამ ბიჭს ოჯახში საქმე ვერა აქვს კარგად, მამა ლოთობს, აყალმაყალს ტეხს, შვილი მეზობლებთან იმალებაო. დაუყოვნებლივ რაღაც უნდა იღონონ. მაგრამ რა? სკოლას ხომ ერთადერთი საშუალება გააჩნია, ნაკლებსაიმედო და ყოვლისშემწყნარე; მოელაპარაკოს უწესო მშობლებს, ნამუსზე შეაგდოს, ესაა და ეს მისი იარაღი. მშობელზე ზემოქმედების სხვა ძალა მასწავლებელს არ გააჩნია. ამიტომ ამ უიმედო საქმეს ყველანი გაუბრბოდნენ. ბოლოს არკადი კირილოვიჩმა იკისრა.

კორიაკინებთან კვირა დღით მივიდა, იმ იმედით, მამა ჯერ მთვრალი არ იქნებაო. მის წინ ბრგე, ნამძინარევი მამაკაცი იდგი. არცთუ ქათქათა პერანგი ეცვა, ჩალისფერი თმა აჩეჩოდა, დაფუფქულივით პირისკანი ჰქონდა, ძალზე ქერა მამაკაცებს რომ აქვთ ხოლმე, ისეთი, სწორნაკვეთება, დიდცხვირა, ბრტყელი, ოთხკუთხანიკაპიანი სახე ნაბახუსევი კაცის ზიზღნარევი გაწამებას გამოხატავდა. გამოთეთრებული, ირგვლივ ამოწითლებული, მოწყურული ცისფერი თვალები განზე გაუბრბოდა. არკადი კირილოვიჩი მყის მიხვდა, რომ ამ კაცზე დარიგება არ გაჭრიდა: ზრდილობას გაუბედაობაში, გულწრფელობას მოტყუების სურვილში, მისი ვაჟის სიბრალულს პირფერობაში ჩამოართმევდა, ამიტომ არკადი, კირილოვიჩმა მშვიდი და მტკიცე კილოთი დაუწყო ლაპარაკი. მშობელს უნდა ეგრძნო, რომ იგი განზრახ იკავებს თავს და არც უხეშობას, არც ხმამაღლა ლაპარაკს არ მოითმენსო.

— ოჯახში თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, — დაამთავრა მოკლე, რიზიანი სიტყვა, — თქვენს შვილს ცხოვრება გაუმრუდდება. ვნებავთ თქვენს სინდისზე იყოს მისი უბედურება?

მამას ჩაშავებული ტუჩები დაეღრიცა, გამოთეთრებული თვალები გვერდზე გაექცა, ჯიუტი, გამომწვევი გამომეტყველება ამბობდა — გვინახავს, ბატონო, თქვენისთანა წმინდანებიო! ვერ გამოერკვა, არ დაუმშვიდდა აწითლებული სიფათი. გაღიზიანებით ამოიხრიალა:

— ჩემი საქმეა — ვაჭამო და ჩავაცვა. შვილი არც მშიერა და მიდის და არც ფეხშიშველა, აღზრდა კი თქვენი საქმეა, მაგისტვის გიხდით სახელმწიფო ფულს!

კამათი და მტკიცება უაზრო იყო. არკადი კირილოვიჩი წმინდა, შეეცადა თვალი თვალში გაეყარა მისთვის, მკაცრად უთხრა: —

— კარგად დაიმახსოვრეთ: თუ ბაქს რამე შეემთხვა, თქვენი დანაშაული იმდენად ცხადზე ცხადია, დამტკიცება არ იქნება ძნელი. ასე რომ, ფრთხილად იყავით!

კორიაკინის მამა არ აფეთქებულა, მოითმინა, დააჯერა მუქარა. თუმცა რის მუქარა, რა მუქარა! ვერც არკადი კირილოვიჩი, ვერც სკოლა მის დასჯას ვერ შეძლებდა. ბავშვების აღზრდა დიდწილად მშობლებზეა დამოკიდებული, მშობლები კი სრულიად არ ირიან დამოკიდებულნი მასწავლებელზე, მაგრამ იმ დღეს კორიაკინის მამა ფხიზელი იყო და ამდენად გულდღეაღიცი.

ხელახლა შეხვედრა აღარ დასჭირვებიათ, რადგან კოლია კორიაკინი ერთბაშად შეიცვალა, ძნელად აღსაზრდელი ბავშვი ჩვეულებრივ მოწაფედ იქცა.

ახლა კი აგერ ეს კაცი იატაკზეა გაშხლართული, პარკეტზე სისხლის გუბე დგას — შვილმა მოკლა მამა...

არკადი კირილოვიჩი შეკრთა — ჩამკვდარ ოთახში უცებ რაღაცამ დაიხრიალა!.. ხრიალს გრგვინვასავით მოჰყვა — ბუმ! ბუმ! ბუმ! შავი ხის ჩარჩოში ჩასმულმა გრძელმა კედლის საათმა ღამის სამი დარეკა. საათი თავისთვის ცხოვრობდა ამ ოთახში, მინის უკან ქანქარა ბრწყვიალებდა. იმწამსვე გაისმა გამოზომილი ტაკატუკი, ჟამთასვლის შემპარავი, უღმობელი ნაბიჯების ხმა.

არკადი კირილოვიჩი გამოფხიზლდა: კაცმა რომ თქვას, რა უნდა აქ? რატომ უცქერის ამ გვამს გულისრევამდე მისული? საწოლიდან ხომ ცოცხალი ადამიანის საშველად წამოიჭრა. ის ადამიანი კი, მისი მოწაფე კოლია კორიაკინი, ერთი სართულით ქვემოთაა.

საზარელი და თვალნათელი ფაქტი, რომლის დაჯერება ჯერ კიდევ ვერ გაებედნა, აგერ, მის წინ იყო — გაჩახახებულნი ჭალი დაჭნათოდა მისი მოწაფის მსხვერპლს! არკადი კირილოვიჩი კოლია კორიაკინს არც ნიუტონის ბინომს ასწავლიდა, არც ვარდასულ ჯვაროსნულ ლაშქრობებს, ასწავლიდა იმას, თუ როგორ იტანჯებოდნენ ადამიანისათვის პუშკინი, ტოლსტოი, დოსტოევი...

თურმე რა დიდი ძალისხმევა ყოფილა საჭირო, გვამს რომ თვალი მოაცილო... არკადი კირილოვიჩმა ძლივს დაიმორჩილა ფეხები, ფრთხილად გადააბიჯა ზღურბლთან დაგდებულ გაცვეთილ ფეხსაცმელს, კვერდი ჩაუარა ლურჯი ზღვის პირას მომნუსხველად მოღიმარე ქერა ასულის სურათს. მაგრამ იქ, ჩაძინებულ სამყაროში გასასვლელ კართან შედგა და... სამზარეულოში შეუხვია. არ იყო თავის მოწაფესთან შესახვედრად მზად, მომხდარი ამბის გააზრება თუ არა, წონასწორობის შენარჩუნება მაინც სჭირდებოდა.

შეურაცხველად მშვიდი და მყუდრო ჩანდა თეთრი სამზარეულო — მილაგებული და დასუფთავებული, არაფერი უწყოდა მეზობელ ოთახში მომხდარ უბედურებაზე. კედელთან მიდგმულ ვიწრო მაგიდაზე ყვავილებით

მოხატული მუშაობა ეფინა. არკადი კირილოვიჩი მოწყვეტილივით მიუჯდა მაგიდას.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალი თითქმის ქალაქის ვანაპირას, ახალ რაიონში გავიდა. აქ სახლები ტყუპისცალებივით ჰგავდა ერთმანეთს, ქუჩებში აქა-იქლა ბუტაკვდა ფარნები. წვიმა კი თითქოს უფრო ბარაქიანად ასხამდა. კიდევ უფრო ჩაბნელებულიყო ქუჩაბანდები, კიდევ უფრო მიყრუებული, მიუსაფარი და უიმედო ჩანდა ლამე.

ქალმა ერთ-ერთ სახლთან შეუხვია. იგი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა სხვა ხუთსართულიან შენობათაგან. „ღმე-რთოო... ღმე-რთოო“... კვნესოდა ჩუმად. ფართო ეზო სირბილით გადაკრა და ამ თვალისმომჭანცველ დიდებულ სტანდარტებს შორის გადარჩენილ პაწია, დაფეხვილ, ჩამოცრცნილ ფლიგელთან მივიდა, სასწაულად რომ შეენარჩუნებინა თავი და იერი.

ქალმა სარკმელზე დააკაკუნა. ცოტაც და ფანჯარა განათდა. შუქმა სველი თმით გაწეპილი შეშლილი სახე და თოფის ავად მოლაპლაპე ლულები აჩინა...

პაწია ოთახი თვალისმომჭრელად გაეჩირადნებინა ჭერიდან ჩამოშვებულ შიშველ ნათურას. ზღურბლზე გადააბიჯა თუ არა, დედაკაცმა თოფი ხელიდან გააგდო, ცალგამოლეული ჩაიფუშა იატაკზე და ჩახლეჩილი კვნესა თუ ხავილი ამოხდა ყელიდან

— ჩუმად! მეზობლებს გააღვიძებ.

ზორბა მოხუცი ნამძინარები თვალებით პირქუშად, აუღელვებლად მისჩერებოდა.

— კო-ოლკამ!... მამააა!.. მოკლა!..

წელმოწყვეტილ ქალს გამხდარი კისერი მოხუცისაკენ წაეგრძელებინა, სახეზე ჩამოშლილ თმაში თვალეები უკვესავდა.

მოხუცი ქალი არ განძრეულა. პირდაპირ ლამის პერანგზე მოესხა პალტო, გამხდარი მხრები, შიშველი, მახინჯი, ვენებდაბერილი ფეხები ჰქონდა. გამოხუნებული, ნაცრისფერი ბუწუწები ჩამოშლოდა. მოგრძო, დანაოკებული, გახევებული სახე ისევ ისევ შეუყვანილი და გაავებული იცქირებოდა.

— ევდოკიაა! კოლკამ-მეთქი!.. მამა!... თოფით!..

მოხუცმა ქალმა გაჩეჩილი თავი ოღნავ შეარხია — მიკხვდი, გავიგეო! — მზერა ორლულიანი თოფისაკენ გააპარა, მერე ფრთხილად, ისე რომ პალტო არ ჩამოცურებოდა, ხელი გაუთავისუფლა, პირჯვარი გადაისახა და მძიმედ, თითქმის საზეიმო კილოთი წარმოთქვა:


— ღმერთმა შენდობა მისცეს! წერას ჰყავდა ატანილი და წააგო კიდევ თავი!

ქალს მთელი სხეული შეუთრთოლდა, ორივე ხელი ყელზე იტაცა და იატაკზე გაგორდა:

— ეს რა ხალხი ხართ, ეს რა ხალხი ხართ! ქვა კიდევთ მკერდში, გული კი არა! არც იმას ებრალებოდა ვინმე და შენც... ისეთი ხარ! დედა არა ხარ, ცრემლი მაინც გადმოგვარდნოდა!.. ქვა ხართ, ქვა, უგრძნობელი ქვა!

მოხუცი ქუშად შესცქეროდა, როგორ გორავდა იატაკზე დაგდებულ თოვ-
თან ქალი.

— მე-ში-ნი-ა!.. მეშინიაა თქვენთან ყოფნა!

— კარგი, მორჩი, ნუ ააქოთქოთებ ამ ჩვენს საქათმეში,  ქვეყნის

მოხუცმა მძიმედ გადადგა შიშველი, დაბრეცილი ფეხები უსწორხმსწორი, ადამისყამინდელ ფეხსაგებზე, მაგიდასთან მივიდა, ჩაიდნიდან წყალი ტოლჩაში ჩამოასხა და ქალს მიაწოდა.

— დალიე, ნუ შეიშალე!.. ყვირილით საქმეს არ ეშველება!

ქალს ტოლჩაზე კბილები აუკაწკაწდა, ერთი-ორი ყლუბი მოსვა, მერე მოიღვენთა, ნალვლიანად, საწყალობლად მიაშტერდა დაგლეჯილ, გახუნებულ შბალერგაკრულ კედელს.

— გიკვირს ხომ, ცრემლს რომ არა ვღვრი! ადრე დავიცალე ცრემლისაგან. გამიშრა ცრემლი!

თხუთმეტეოდე წუთში მოხუცი ჩაცმული იყო, გრძელი სახე თავშალში ჩაემალა, პალტოზე თასმა შემოეჭირა.

— ადე ზეზე! გაიძვრე ეგ გალუმბული ტანსაცმელი და ლოგინში ჩაწეჭი.

— უბრძანა ქალს. — მე წავშავდები... დავემშვიდობები.

კარისკენ წასული თოფთან შეჩერდა.

— ამას რაღას მოათრევდი?

ქალს საწყალობელი მზერა კედლისათვის მიეცივებინა, ხმა არ გაუღია.

— ეს თოფი რილასთვის მოათრე-მეთქი, გეკითხები?

ქალი ოდნავ შეინძრა და ამოილულულა:

— კოლკას გამოვგლიჯე... მაგრამ გვიანი იყო...

მოხუცი თოფს დააჩერდა და ჩაფიქრდა, მერე თავი გადააქნია, ფიქრი მოიცილა.

— კოლკაა ცოდო! — ბრაზით თქვა და მტკიცე ნაბაჯით გავიდა გარეთ.

5

მისი ფიქრით, მასწავლებლობა მან იავარქმნილ სტალინგრადში გადაწყვიტა, იმ ქარცეცხლიანი დღეების შემდეგ. მგონი, პირველ მშვიდობიან ღამეს, ჭერ კიდევ გუშინ ამ ნანგრევებში ტკაცუნით სკდებოდა ნალმები, გაბმულად კახკახებდა ტყვიამფრქვევები, წყვეტილად ჰყეფდა ავტომატთა ჯერი, ცხადად ჩანდა, სად გადიოდა ფრონტის ხაზი. „კატიუშები“ ყრუ გრგვინვას აფრქვევდნენ გადათხრილ-გადაჯიჯგნილ მიწას. ცაში ათასფრად ბრჭყვიალებდა რაკეტები, მათ შუქზე იშმუშნებოდა ფანჯრებდათხრილი სახლების ნანგრევები. გუშინ აქ ომი იყო და გუშინვე გათავდა. ნანგრევები და თოვლით მოფენილი ნახანძრალეები მშვიდმა მთვარემ გაანათა. აღარც გჯეროდა, რომ ამიერიდან საშიში აღარ იყო მრავალტანჯულ ქალაქზე ჩამომბობილი საჩუმე. ომი კი არ მიწყნარდა, მშვიდობა ჩამოდგა. ზარბაზნების ხმა უკვე შორიდან, ასეული კილომეტრის იქიდან ისმოდა. მართალია, ქუჩებსა და ნანგრევებში ისევ ისე ეყარა გვამები, მაგრამ ეს გუშინდელი მკვდრები იყო. მათ მეტი აღარ მიემატებოდა.

იმ ღამით ყოფილი მეფერთმეტე სკოლის შორიახლოს, სადაც მათი შტა-

ბი იყო მოთავსებული, სარდაფში ხანძარმა იფეთქა. გუშინ ამას ბრივი მიაქცევდა ყურადღებას — თმი იყო და მიწა იწვოდა — მაგრამ ახლა ამ ხანძარმა მშვიდობა დაარღვია. ყველა იქით გაიქცა.

იწვოდა გერმანელთა ჰოსპიტალი — ომს სასწაულებრივად გადარჩენილი ოთხსართულიანი ხის შენობა, იწვოდა დაჭრილებთან ერთად, ახლოს არავის იკარებდა, ოქროსფრად ბრჭყვიალებდა აგიზგიზებული, მოცახცახე კედლები, ხალხიც იდგა და ელდანაკრავი, სულშეგუბებული, მოჯადოებული უცქერდა ამ საზარელ სურათს. ფანჯრების შიგნით, შენობის გავარვარებულ გულმუცელში დროდადრო რაღაც შავი ნაგლეჯები ჩაიმზღვლეოდა ხოლმე. ჩაიმზღვლეოდა და შეგროვილ ხალხს სასოწარკვეთილი გმინვა აღმოხდებოდა — საწოლებთან ერთად ძირს ცვიოდნენ დახრუკული გერმანელი დაჭრილები, რომლებმაც ადგომა და თავის შველა ვერ შესძლეს.

ბევრს მაინც გამოესწრო გარეთ. ახლა ისინი რუს ჯარისკაცებში შერეულიყვნენ, მათთან ერთად სუნთქვაშიკრულნი შესცქეროდნენ ხანძარს და მათთან ერთად ოხრავდნენ.

არკადი კირილოვიჩის გვერდით გერმანელი იდგა. თავი და ნახევარი სახე მთლად შებანდული ჰქონდა. მხოლოდ წვეტიანი ცხვირი და შიშის ზაფრით ჩაბეჭეული ცალი თვალი უჩანდა. ჭაობისფერი წვრილსამხრეებიანი ვიწრო მუნდირი ეცვა, იდგა და შიშით და სიცივით თრთოდა. მისი თრთოლვა უნებლიეთ თბილ ქურთუკში შეფუთვნილ არკადი კირილოვიჩსაც გადაედო.

თვალი მოაცილა მოგიზგიზე ცეცხლს, მიმოიხედა — არავლივ აგურისფრად გავარვარებული სახეები მოჩანდა. რუსებიც იყვნენ და გერმანელებიც. ყველას იმ გერმანელივით ჩამქრალი მზერა ჰქონდა, იმასავით მწუხარებით და მორჩილებით სავსე თვალები. მომხდარი უბედურება ყველას სატკივარი იყო.

მაშინ იწამა არკადი კირილოვიჩმა ეს უბრალო ჭეშმარიტება: არც ისტორიის უკულმართობას, არც გაცოფებული მანიაკების სასტიკ იდეებს, არც საყოველთაო შეშლილობას არ ძალუძს კაცში კაცურის ამოძარკვა. ჩახშობას კი, მაგრამ მოსპობას — ვერა, ვერ შეძლებ. ყოველი ადამიანის სულში ცხრაცილიტულის მიღმა იმალება სიკეთის დაუხარჯავი მარაგი. ოღონდაც უნდა გამოანთავისუფლო, გასაქანი მისცე და მაშინ... ვაქრება, მოიშთობა ისტორიის უკულმართობა — ადამიანები აღარ გაყლეტენ ერთმანეთს, აღარ აზვავდება სისხლის მდინარეები, აღარ აღიგვება პირისაგან მიწისა ქალაქები, აღარ გაითელება ნათესები... მაგრამ იატორიას ხომ მამაზეციერი არ წარმართავს — მას ადამიანები ჰქმნიან! გაათავისუფლე კაცში ჩაბუდებული ადამიანურობა და სწორედ ის მოთოკავს ულმობელ ისტორიას.

ვარვარებდა, ოქროსფრად ელავდა სახლის კედლები, მეწამული ალი შემცივნული მთვარისაკენ მიაქანებდა ნაპერწკლების კორიანტელს, გარს ეხვეოდა მას. უძლური ბრბო შესცქეროდა ამ სურათს. არკადი კირილოვიჩის გვერდით კი, ლამის მის მხარზე მიყრდნობილი ცახცახებდა, ჩაფერფლილი თვალებით იცქირებოდა თავშეხვეული გერმანელი. არკადი კირილოვიჩმა ამ სივიწროვეში ძლივს გაიძრო ქურქი, აკანკალებულ გერმანელს მხრებზე მოასხა და ჭიკავ-ჭიკავით ძლივს გამოაგდო ხალხიდან.

— შნელ! შნელ!

გერმანელი არ განცვიფრებულა, გულგრაღად შეაფერა ეს ზრუნვა და მორჩილად წაფრატუნდა შტაბის სარდაფისაკენ.

არკადი კირილოვიჩს იმ ტრაგედიის დასასრული არ უნახავს. მერველა უთხრეს: ვილაც ყავარჯნიანი გერმანელი ხალხს გამოეყო და ღრიალით შევარდაო ხანძარში. მას თათარი ჯარისკაცი დადევნებია გადასარჩენად, ცეცხლმოდებული კედლები გადმოქცეულა და ორივე იქვე ჩაუშარხავს.

ყოველ კაცშია დაუხარჯავი კაცობის მარაგი. ისტორიას ხალხი ჰქმნის.

ყოფილი გვარდიის კაპიტანი მასწავლებელი გახდა და ერთდროულად პედაგოგიური ინსტიტუტიც დაამთავრა დაუსწრებლად.

სასკოლო პროგრამები შთააგონებდნენ: მოსწავლემ უნდა იცოდეს მწერლების ბიოგრაფია, მათი საუკეთესო ნაწარმოებები, მათი იდეური მიმართულება, უნდა შეეძლოს მზამზარეული სქემის მიხედვით განსაზღვროს — ხალხურია ლიტერატურული გმირი, რეაქციული თუ ზედმეტი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება. უნდა იცოდეს, რომელი მწერალა რომელზე ახდენდა გავლენას, ვინ ვისზე რას ამბობდა, ვინ არის რომანტიზმის წარმომადგენელი, ვინ კრიტიკული რეალიზმისა... ერთ რამეს არ ითვალისწინებდა პროგრამა: ლიტერატურა ხომ ადამიანთა ურთიერთობას ასახავს, სადაც ერთმანეთს ებრძვის, უპირისპირდება კეთილშობილება და უსინდისობა, პატიოსნება და სიცრუე, დიდსულოვნება და ცბიერება, ზნეობა და უზნეობა. აი, ადამიანთა თანაცხოვრების ამ შერჩეულ, შენარჩუნებულ გამოცდილებას არ ითვალისწინებდა პროგრამა.

შენ აგაღელვა ვანკა ყუკოვის წერილმა, სადაც იგი პაპას შესჩივის თავის დიასახლისზე: „ქაშაყი აიღო და თავით სახეში მატაკაო“. მაგრამ განა უცნაური არ არის, როცა სულ არ გაღელვებს, აგერ ნაცნობი უფროსკლასელი, ისე, ტყუილუბრალოდ, გასართობად რომ გაუსილაქებს ზოლმე გვერდით ჩავლილ უმცროსკლასელებს, შენ თვალწინ ძლიერი სუსტს ჩაგრავს, ჩაგრავს მხოლოდ იმიტომ, რომ ძლიერია. განა ღირსეული კაცი ხარ, თუ ასეთ სურათს გულგრილად შესცქერი?

აი, თქვენ წაიკითხეთ ტოლსტოის რომანი „აღდგომა“! მოდით, ფიქრს გავყვეთ: რა მოხდებოდა, ნეხლიუდოვს შინაგანი სიმხდალისა თუ სირცხვილის გამო ზურგი ექცია კატია მასლოვასათვის? როგორ იცხოვრებდა შემდგომ? ცოლს შეირთავდა? ოჯახს შექმნიდა, მშვიდად იქნებოდა?

ლიტერატურა დაეხმარა არკადი კირილოვიჩს მეტოქეობა გაეჩაღებინა სკოლაში ადამიანური ღირსების გამოსავლენად. ვისაც ძალა მოსდევდა, შემთხვევას ეძებდა სუსტი დაეცვა. სუსტი ამაყობდა, თუ ძლიერს პირში მიახლიდა სიმართლეს. უდანაშაულო სხვის ნაცვლად უდრტვინველად იტანდო სასჯელს, მაგრამ ვაი იმას, ვინც შეშინდებოდა და თავის ნაცვლად სხვას დაასჯევინებდა...

კი, ყოველივე ეს ბევრი რამით თამაშსა ჰგავდა, ბევრი რამ მოჩვენებითი იყო, მაგრამ განა შეიძლებოდა ეჭვის შეტანა, რომ დროთა განმავლობაში ეს მოჩვენებითი კეთილშობილება ბავშვებს ჩვევად ექცეოდათ, თამაში კი — ცხოვრებას შეერწყმებოდა! ბოლო ხანს ქალაქის განათლების განყოფილების ინსპექტორები საჯაროდაც აცხადებდნენ — ასოცდამეხუთე სკოლის მოსწავლეები შესაშურად გამოირჩევიან სხვა სკოლის მოსწავლეებისგან ყოფაქცევით.

არკადი კირილოვიჩს სწამდა და სჯეროდა, რომ დიდი ცხოვრებისათვის ზრდიდა სულიერად ძლიერ ადამიანებს, ეს ადამიანები არც სხვას დაჩაგრა-

დნენ და არც თვითონ შეურიგდებოდნენ ჩაგვრას. ვერ მოითმენდნენ უსინდისობას და ტყუილს, შეგნებული ექნებოდათ თავიანთი ზნეობრივი კრიტიკოსობა. ვისაც ამ წუთისოფელში მათთან შეხვედრა მოუწევთ, ძალაუნებურად ისინი დააკვირდებიან საკუთარ თავს. ყოველ კაცში იმალება მარაგი ადამიანობისა. არკადი კირილოვიჩს არასოდეს ავიწყდებოდა — აღმზღებელი კოსპიტლის წინ როგორ იდგნენ მხარდამხარ ერთი სატკივრით და წუხილით შეპყრობილი ყოფილი მტრები. ის უცნობი ჯარისკაციც აგონდებოდა, გუშინდელი მტრის გადასარჩენად ცეცხლს რომ მისცა თავი. ურყევად სწამდა, თითოეული მისი მოწაფე ირგვლივ არსებული არაკეთილმოსურნეობისა და გულცივობის ყინულს დაამსხვრევდა, ზნეობრივ ძალებს გამოათავისუფლებდა. ისტორიას ხალხი ჰქმნის. მას, არკადი კირილოვიჩი პამიატნოვს, როგორც პედაგოგს, ამ ისტორიაში საკუთარი მოკრძალებული წვლილი შეაქვს.

მას სწამდა და სხვებსაც აიძულებდა ეწამათ მისი. მისკენ ილტვოდნენ. მისი სიტყვისა სჯეროდათ, რჩევა-დარიგებას ეკითხებოდნენ არა მარტო მოსწავლეები, არამედ მათი მშობლებიც. ამიტომ იყო სწორედ, სასოწარკვეთილმა სონია პოტეხინამ ამ შუალამისას მასწავლებელს რომ დაურეკა და არა სხვა ვინმეს!

ახლა არკადი კირილოვიჩი სამზარეულოში იჯდა, მუშტებზე დაეყრდნო დამძიმებული თავი. კედელს იქით კი, ტყვიით განგმირული მამაკაცი ეგდო. მისმა მოწაფემ საკუთარი მამა მოკლა! მისმა მოწაფემ... ერთ-ერთმა იმათაგანმა, ვისითაც მასწავლებელს უნდა ეამაყა.

რა მოხდა?

ბედის შემთხვევითი უკუღმართობაა თუ სასტიკი საზღაური დაშვებული შეცდომის გამო?

ამაზე მხოლოდ კოლია კორიაკინი თუ გასცემს პასუხს, თუკი შეიძლება... ირგვლივ დუმილი იდგა.

არკადი კირილოვიჩი ის იყო უნდა წამომდგარიყო ქვემოთ ჩასასვლელად, რომ უეცრად შემპარავი ნაბიჯების ხმა შემოესმა. შეკრთა, გაიმართა და... სამზარეულოს კართან ისევ ბერეტჩამოფხატული ვასილი პოტეხინი დაინახა ატუზული, ბეწვისსაყელოიანი ქურთუკი ეცვა.

— ველარ მოვითმინე, მინდოდა მეკითხა: თუ ნახეთ-მეთქი... როგორ მოგეწონათ, ჰა?

ისევ ის ვაუგებარი მტრული განწყობილება ეტყობოდა, ისევ ისე ავად დასცეცებოდა თვალები.

ვასილი პეტროვიჩს უცნაური სახე ჰქონდა, ნაკვთები სრულიად არ ესადაგებოდა ერთმანეთს: მსხვილი ნიკაპი, მოაზროვნის დიდი შუბლი, მათ შორის კი — უმეტყველო-მოუსვენარი ნაკვთები, პაჭუა, ფუძესთან ჩაჭყლეთილი ცხვირი, უძვლო ღაწვები, თანთალა ლოყები. სირცხვილიც კი იყო ასეთი პატარა, ქალური ტუჩ-პირი ამ ძლიერი ნიკაპისათვის. ეტყობა, მამაზეციერმა, ჰკვიან და ნებისყოფიან კაცად ჩაითქვა მისი გამოძერწვა, მაგრამ ისუსტა, აურ-დაურია და ასე მოუმთავრებელი მოუვლინა იკუ ქვეყნიერებას.

- კოლია თქვენთანაა? — ჰკითხა არკადი კირილოვიჩმა, — ნახეა მინდა.
- რა საჭიროა?
- ვასილი პეტროვიჩი, რა დაგემართათ?
- თვალი ამეხილა.
- რაზე აგეხილათ?
- რაზე და დავინახე, რა საშიში ვინმეც ბრძანდებოთ.
- აქ ცოტა უადგილოა ურთიერთობის ვარკვევა, მაგრამ რაკილა წამოიწყეთ, ბარემ მითხარით სათქმელი.



— თქვენზე ამოსდის ყველას მზე და მთვარე, მათ შორის მეც... — ვასილი პეტროვიჩმა ბერეტიანი თავი იმ ოთახისაკენ გადააქნია, სადაც მოკლული ეგდო, — ამან კი ცივი წყალი გადაძასხა... ნება მიბოძეთ გკითხოთ: თქვენ როგორღა გრძნობთ თავს?.. სინდისე არა გქენჯნით?

ნუთუ ამ კაცმა შორიდან განჰკვირტა არკადი კირილოვიჩის გამაწვალებული ეჭვები. ტანში გასცრა, მაგრამ აღელვება არ დაიტყო, მშვიდად ჰკითხა:

- თქვენ გგონიათ, ამ მკვლელობას პირდაპირ ჩემთან აქვს კავშირი?
- პირდაპირ? არა, პირდაპირ არა, მაგრამ ისე, მიხვეულ-მოხვეულად კი ნამდვილად...

- დამიმტკიცეთ.
- ნუ შეუთრეგდებით ბოროტებასო, ხომ ითხოვდით ბავშვებისაგან?
- ვითხოვდი.
- წესიერად მოიქეციეთ, ნურავის ნუ დაუთმობთო — ამასაც ხომ სთხოვდით?

— ამასაც ვთხოვდი.

— ჰოდა, აქედან, იცით, რა გამოდის? — ცხოვრებას წინ გადაელობეთ, ბავშვებოო. არადა, ეს ხომ საშინელებაა?! როდის იყო პატარა ნაფოტი მდინარეს აგუბებდა?!

- გგონიათ, მე განვაწყვე ასე კოლია კორიაკინი?
- მგონი, რომ თქვენ გააბრიყვეთ ბიჭი, ისე როგორც ადრე მე გამაბრიყვეთ.

— თქვენ?..

ვასილი პეტროვიჩს შეაყრეოლა, თითქოს უცებ ხმაც კი დაუწვრილდა:

— ტყუილს ვამბობ თუ? კაცური კაცი ვიყავი, კარგი მომავლის მქონე ინჟინრად მთვლიდნენ. არადა, გამიწყრა ღმერთი, სამართალი მოვინდომე, ქვეყნის გასწორება დავაპირე, თქვენ კი სიმართლის დიდი მცოდნე, წმინდა მოციქული იყავით ჩვენთვის. ჰოდა, ივანე სულელივით, ქორწილში მოთქმა-გოდებით რომ მივიდა, მივსდიე მაგ თქვენს წმინდანობას. სხვებსაც გაგუმწარე სიცოცხლე და თავადაც გვარიანად დამიზილეს გვერდები, მერე კი პანდურიც ამომკრეს. ვინდა ვარ ახლა? გაზქურების შესაკეთებელ განაწესს ვადგენ, წესიერ საქმეს კაციშვილი აღარ მანდობს — ხალხი დაგვალალატეო.

— გამოდის, დახმარებაზე უარი რომ არ გითხარით, ესაა ჩემი დანაშაული?

ვასილი პეტროვიჩი მყის ვადმოიხარა წინ, თითქოს ხერხემალში გადატყდაო. თვალები გაუფართოვდა, ცხვირი აებზუკა, ღრანჭი მოექცა.

— ნულარავის გაუწვდით ხელს! რომ გახოვონ კიდევაც — მაინც ნუ დაეხმარებით! უარი უთხარით! — გაცეცხლებულმა ამოიჩურჩულა, — უარესს გაუკეთებთ ამ დახმარებით, უარესს!

ამ კაცის საქციელმა, ლამის სიძულვილამდე მისულმა სიტყვებმა არკადი კირილოვიჩი ბოლოს და ბოლოს მოთმინებიდან გამოიყვანა.

— ორმოცდაათოთხმეტი წლის კაცი ვარ, — მიახალა ცივად და მკვახელად, — ცხოვრებაში ბევრისთვის გამიწვდია დასახმარებლად ხელი, მაღლობა ბევრზე ბევრი უთქვამთ, ასეთი საყვედური კი თქვენ მეტს არაფერს უთქვამთ.

ვასილი პეტროვიჩი შეტორტმანდა, უმაღლესად სახე, მოიქუშა:

— მეც მაღლობელი ვიყავი, თუ გახსოვთ... ახლად მოვედი გონს, — წაიბუზღუნა პირმოქცეულმა, — ჩემს თავს რას დავეძებ! ღვიძლ შვილზე, სონკაზე ვწუხვარ, იმის დარდი მკლავს. ვიცი, თქვენს ჭკუაზე ატარებთ — ისიც რქენას დაიწყებს... არა, არა! არ მინდა! სხვა სკოლაში გადავიყვან...

ანაზღად ფანჯრის მიღმა ბნელით მოცულ ეზოდან მოტორების გრიალი, მუხრუჭების ღრჭიალი, კარების ხათქახუთქი, არეულ-დარეული ლაპარაკი შემოიჭრა. ვასილი პეტროვიჩი მხრებში გაიმართა, გასწორდა:

— როგორც იქნა, მოაღწია მილიციამ.

გვერდულად წავიდა კარისაკენ, იქ შეუოვნდა, არკადი კირილოვიჩისაკენ შემობრუნდა:

— ის გორდინი კი მართალია! ცამდე მართალი! — ესროლა და გაჭრა.

გორდინიო?.. ერთ დროს პოტეხინი წყევლა-კრულვით იხსენიებდა წამდაუწუმ ამ გვარს. არკადი კირილოვიჩისათვის ას ვიღაც უცნობი გორდინი სიბინძურის, სიცრუის, აღვირახსნილი ანგარების განსახიერება იყო მაშინ, მერე თანდათან გადაავიწყდა.

კიბიდან ზღვის მოქცევასავით მოზღვაავდა ნაბიჯების ხმა, რაც უფრო ახლოვდებოდნენ ამომსვლელები, მით უფრო მატულობდა ხმაური, თითქოსდა ყველა ბაქანზე იღებოდა კარი, ემატებოდა და ემატებოდა ხალხი.

დაიგვიანა არკადი კირილოვიჩმა, ველარ მოასწრებს კოლია კორიაკინის ნახვას. ახლა ბიჭს მილიცია ჩაიბარებს და ნებართვის გარეშე ველარ ნახავს. არკადი კირილოვიჩი მოახლოებულნი პროცესიის შესაგებებლად წამოდგა.

7

დაბალი, კობტა, გამოწკებილი კაცი შემოვიდა, კარგად მორგებული მუქი ლაბადა ეცვა. თავზე წვიმით აპრიალეებული, თითქმის უკოკარდო, ტყავის კეპი ეხურა. ყვრიმალმაღალი სახე, პაწია უღვაშები და ბასრი, მოძრავი შავი თვალები ჰქონდა.

— სასხლის სამართლის გამოძიების ინსპექტორი სულიმოვი გახლავართ. თქვენ ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა მკათიო ხმით. ყინჩად ეჭირა თავი, როგორც უფროსს, მაგრამ მაინც ეტყობოდა ახალგაზრდული სიმკვირცხლე.

— მე მასწავლებელი პამიატოვი გახლავართ, არკადი კირილოვიჩი.

— მერე აქ რას აკეთებთ?

— ჯერჯერობით არაფერს, ვდგავარ ასე, აფორიაქებული, და ველოდები.

— ჰმ...

ინსპექტორი სულიმოვი მოციმციმე შავი თვალებით ათვალთვლებდა მასწავლებელს, აშკარად ეტყობოდა, ამოწმებდა ამ გარემოსათვის ესოდენ შეუფერებელ ამ ხანდაზმულ, დარბაისელ. სახედალარულ წარმოსადგე კაცს.

17.583

— ჩემი მოწაფე გახლავთ... — აღმოთქვა არკადი კირილოვიჩმა.
 — ამ სახლში ცხოვრობთ? ჩვენზე ადრე აქ როვორ გაჩნდით?
 — კიდევ ერთი ჩემი მოწაფე ცხოვრობს აქ, იმან გამომიძახა ტელეფონით.

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

— ხშირად გიძახებენ ხოლმე ასე შუალამისას?
 — პირველი შემთხვევაა.
 — მაინც რას აპირებთ?
 — ბიჭი მინდოდა მენახა, მაგრამ ვერ მოვასწარი.
 — დამნაშავე?
 — ის თქვენთვისაა დამნაშავე, ჩემთვის მოწაფეა.
 — იმედი გაქვთ რითიმე დაეხმაროთ?
 — გგონიათ, ბიჭს დახმარება არ სჭირდება?
 — არა, არ გგონია.

— ჰოდა, თუკი ვისმე შეუძლია მისი დახმარება, სხვაზე უკეთ მე შევძლებ ამას. დედამისს ახლა ალბათ თვითონ სჭირდება მანუგეშებელი.

— ფრიად თავდაჯერებული კი ყოფილანართ. იმედო ხომ არ გაქვთ, ბრალდებას ააცილებთ?

— მე მას უნდა მივხედო, ბრალდება თქვენი საქმეა.
 — ეს რას ნიშნავს?

— იმას, რომ ეკიდენ საზარელ დანაშაულს ბიჭი შემთხვევით არ ჩაიდენდა; რალაც დიდმა მიზეზმა უბიძგა ალბათ. ამიტომ იოლი წარმოსადგენია, რა დღეში იქნება ახლა. ვილაცამ უნდა გაუგოს, თლონდ ისეთმა ვინმემ, ვისაც ნდობა. მე კი მუდამ მენდობოდა.

სულიმოვი ჩაფიქრდა. მოსაუბრეს თვალი მოაცილა. იმ ოთახიდან, სადაც მიცვალებული იწვა, შემფოთებული ხმები ისმოდა. იქ უკვე შესდგომოდნენ საქმიანობას მისი თანაშემწენი.

— ის ბიჭი ნორმალური თუა? — ფრთხილად ჰკითხა სულიმოვმა.

— სავსებით.
 — მით უარესი, — მოიღუშა სულიმოვი.

— დამრთავთ თუ არა მასთან ლაპარაკის ნებას? — ჰკითხა არკადი კირილოვიჩმა.

— არკადი კირილოვიჩ! — ისე შეაჩერდა თვალეში სულიმოვი, თითქოს უმტკიცებდა მასწავლებელს, თქვენი არც ერთი სიტყვა არ გამომპარვია, სახელი და მამის სახელიც კი წამში დავიმახსოვრეო. — არკადი კირილოვიჩ, უკეთესი ხომ არ იქნება ერთად დაგვეკითხა იგი? თქვენ ჩვენ მოგვეხმარებით, ჩვენ — თქვენ.

— ამხანაგო სულიმოვ, ისიც მეეჭვება, მე რომ გადამიხსნას გული, თქვენი თანდასწრებით კი მთლად დამუნჯდება.

— დაკითხვამდე ვერ განაჩვებთ. საერთოდ, ძიების დამთავრებამდე ნახვა აკრძალულია.

არკადი კირილოვიჩი დიდხანს იდგა მდუმარედ, გულდამძიმებული. სულიმოვი გამომცდელად მისჩერებოდა, მახვილ მზერას არ აცილებდა. ბოლოს წარმოთქვა:

— მისთვისვე იქნება უმჯობესი, თუ პირველად იმ მასწავლებელთან ერთად დავკითხავ, ვისიცა სჯერა; თორემ ვიცი, უნებურად მტრულად შემხვდება.

საქართველოს საბ. საბ. ხს. რ. სსრ.
 სახელმწიფო რესპუბლიკა
 ბ ი ბ ლ ი თ ე მ ი

ბა, დაუნდობელი მტერი ვეგონები. ხოლო როცა თქვენ მეყოლებით გვერდით, მიხვდება, მტერთან არა მქონია საქმეო. ამით მაინც დაძვინჯებოთ.

არკადი კირილოვიჩმა პასუხი დააყოვნა, წარბები შეკრა, მთლად მოეჭმუქა ნაოჭებით დაღარული სახე. ბოლოს ყოყმანით დათანხმდა:

— რა გაეწყობა... მეტი რა გზა მაქვს. იყოს ასე. რას მიბრძანებთ, დაგელოდოთ?... დიდხანს მომიწევს ცდა?

მილიციის ოფიცერი შემოვიდა, შეწუხებული სახე ჰქონდა, პირქუშად უპატაკა სულიმოვს:

— იქვე გაუთავებია... თოფი კი ვერ ვიპოვნეთ.

— არა მგონია, დიდხანს გაცდევინოთ, — მიუგო სულიმოვმა არკადი კირილოვიჩს, — საქმე, როგორც ჩანს, გარკვეულია, აღარ დაგვჭირდება დავიდარება... წავიდეთ, ტიშჩენკო.

არკადი კირილოვიჩი ისევ მარტო დარჩა სამზარეულოში.

კედლის იქით, მოკლულის თავთან, საათმა ოთხჯერ დაიხრიალა — ოთხჯერ ჩამორეკა მწუხარე ზარი.

8

სულიმოვი კარგა ხანს აღარ გამოჩენილა.

ირგვლივ ფუსფუსი იდგა. შემოდინდა და გადიოდა სულ ახალ-ახალი ხალხი. ვიღაც დარბოდა ფოტოაპარატით. შეშინებული და დაბნეული იცქირებოდნენ ვიღაც ქალი და კაცი, ქალს სათბუნებელი ეცვა, კაცს ხელოვნური ტყავის ქურთუკი (აღბათ მეეზოვეები იყვნენ).

თეთრხალათიანმა სანიტრებმა მილიციელებთან კამათი ატეხეს და შესასვლელში უშველებელი საკაცე გაჩირეს. მირბი-მორბოდა ხალხი, იყო კარების ჯახაჯუხი, ჰაერი ჩამოიხუთა, დაცხა. იქვე კი, ამ გაჩახახებულ ქალქვეშ, შავად მბზინავ გუბეში ჩალისფერი თავი წაერგო ბრგე ვაჟკაცს.

საზარელ და ჯოჯოხეთურ სიზმარს ჰგავდა დღევანდელი ამბავი — აღარ გჯეროდა, თუ ფანჯრის მიღმა, ნესტიან წყვდიადში ნაცნობი ქალაქი იდგა. აღარ გჯეროდა, რომ ორიოდე საათში ყველასათვის დაიწყებოდა ჩვეულებრივი დღე, ადამიანები გაიღვიძებდნენ, ისაუზმებდნენ, სამუშაოდ გასწევდნენ...

არკადი კირილოვიჩს ყველაზე მეტად ვასილი პოტეხინთან წელანდელი საუბარი აშფოთებდა.

და ახლა, როცა საფიქრალად მოიცალა, დინჯად, ჩაძიებით აწონ-დაწონა, რაც მათ შორის აღრე მოხდა.

კაცმა რომ თქვას, დიდი არც არაფერი მოხდა. ერთხელ, სკოლაში მშობელთა კრების შემდეგ, არკადი კირილოვიჩს პოტეხინი მივარდა, კურდღლის თვალებით შეაცქერდა და მოუყვა: ქალაქის ყველაზე დიდ სამონტაჟო სამმარველოში ვმუშაობ, იქ გაზის მეურნეობას ვხელმძღვანელობო. სახლები რომ აშენდება, ეზოები და მისასვლელი გზები ასფალტით მოიგება, გაზის მილებს მერელა ვაწყობ. შებათქაშებულ, შეღებულ კედლებს, დაგებულ პარკეტს ვანგრევი, მუშები გამუდმებით მიცდებიან, მეც რა ვქნა, ზედმეტს ვუწერ, მათი გული თუ არ მოვიგე, ვამეჭკევინაო. ერთი სიტყვით, მშენებლობაზე სრული განუკითხაობაა, ამით კი სახელმწიფო ასიათასობით მანეთს ზარალობსო... ვასილი პოტეხინი რჩევასა სთხოვდა. რა უნდა ექნა არკადი კირილოვიჩს, ერ-

ჩია, შენც მაგათი მხარე დაიჭირე და, როგორც ისინი ცხოვრობენ, ისე იცხოვრო? მანაც აამხედრა ვასილი პეტროვიჩი — დაუკავშირა ნაცნობებს, მეოხებით საოლქო კომიტეტსა და საოლქო ორგანიზაციებს, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევდნენ სამმართველოს.

მაგრამ რა მოხდა — ვასილი პეტროვიჩმა ვერ ივარგებდა ვერც ბრძოლისათვის, თუ მისი მოწინააღმდეგე გორდინი გამოდგა მეტისმეტად ძძლეთამძლე ვილაც და თავის ჭკუაზე ატრიალებდა მთელ სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს? ერთი კია, ტალღამ გადაიარა, აურზაური ჩაცხრა, ვასილი პეტროვიჩი კი გამოპანდურებული დარჩა ქუჩაში.

შემდეგაც ბევრჯერ შეუჩივლია არკადი კირილოვიჩისთვის, ადგენდა შურისძიების გეგმებს, გაჰყვიროდა — გორდინი გაუგონარი მფლანგველიაო, გორდინი უსირცხვილო თვალისამხვევი, მექრთამე და ინტრიგანიო, ეგ კაცი ასე კი არ უნდა დათარეშობდეს, ციხეში უნდა იჯდესო, სხვა სასჯელზე ვასილი პეტროვიჩი არამც და არამც არ თანხმდებოდა. მაგრამ მალე დაშოშმინდა, დაწყნარდა. არკადი კირილოვიჩს კი საკუთარა საზრუნავიც თავსაყრელი ჰქონდა და ეს ამბავი გადაავიწყდა.

ახლა პოტეხინმა ისევ გაიხსენა ის შემთხვევა... თავის ჭკუის დამრიგებელზე გულმოსული რომ ყოფილიყო, სისულელე გამაკეთებინაო — კიდევ ჰო, ამის ახსნა ასე თუ ისე შეიძლებოდა. მაგრამ გორდინი მართალიაო, ეს რალამ ათქმევინა?!

ის ვილაც გორდინი ანაზღად რალაც უცნაურად გადაესკვნა მისი მოწაფის, კოლია კორიაკინის საზარელ დანაშაულს. სხვა დროს არკადი კირილოვიჩი ხელს ჩაიქნევდა და იტყოდა: ნეტა რას ვბოდავ, სად ეს და სად ისო, მაგრამ ამ დამით იმდენად გაუგონარი და დაუჯერებელი ამბები ხდებოდა ირგვლივ, ძალაუნებურად ამ ბოდვურ აზრებსაც გულმოდგინედ უნდა ჩაკვირვებოდა.

მიცვალებულის ოთანხიდან კიდევ არაერთხელ გაისმა საათის ხრიალი, მუდამ მოულოდნელი და შემაკრთობელი, სულიმოვი კი არა და არ ჩანდა.

9

სულიმოვი მარტო არ შემოსულა სამზარეულოში, ვილაც ახმახი მოხუცი დედაკაცი შემოჰყვა. წელზე თასმაშემოჭერილი აბუშტული პალტო ეცვა, თავზე თბილი თავშალი ეხვია. მოხუცის უკან მილიციელის ქუდი მოჩანდა.

— ტყუილა ნუ მეხვეწები, დედი, — უმეორებდა დედაკაცს სულიმოვი, — ეგ სურათი არ არის დედის საყურებელი.

სულიმოვს, ეტყობა, დრო ტყუილად არ დაეკარგა. — ლაბადა გაეძრო, ქუდი კეფაზე მოეგდო, სახე გაოფლიანებოდა, ენერგიული გამომეტყველება ისევ შერჩენოდა. მაგრამ კობტა, ნახევრადსპორტული კოსტუმი რალაცნაირად მოჩაჩოდა, ყელსახვევი განზე მოღრეცოდა და მას ქვეშ საკინძე ერთ ღილზე გახსნოდა.

— მე, ჩემო კარგო, უბედურებას მიჩვეული ვარ, — მკაცრად მოუჭრა დედაბერმა, — ტყუილა ნუ გეცოდები.

— ასეთი რამის შეჩვევა შეუძლებელია, დედი, თანაც იქ ახლა მუშაობენ!

— სანამ არ ვნახავ, ფეხს არ მოვიცვლი, შვილია ბოლოს და ბოლოს, ჩემი სისხლი და ხორცი! გული არა გაქვთ?

— მაშინ დაიცადე, როცა გამოიტანენ, დაგიძახებთ.

— ქუჩაში ვერ გავალ, აქ დავრჩები, ახალგაზრდა... ვერ, ფეხზე ვიყურეუტო...

— დასვით სადმე, — ვასცა განკარგულება სულიმოვმა.

ქალის უკან მდგომი მილიციელი წინ წამოდგა, დედაბერს იდაყვზე წაატანა ფრთხილად ხელი.

— ბებო, აგერ სკამს გამოვიტან და კართან დაჯექი. აქ არასგზით არ შეიძლება!

— ესეც ასე. თუ ღმერთი გწამთ, მაპატიეთ, — მიუტრიალდა სულიმოვი არკადი კირილოვიჩს, — ახლავე წავალთ სამმართველოში.

ანაზღად კედლის იქით, ხრინწიანი, დაუნაწევრებელი, სულისშემბუთველი ბლავილი გაისმა. სულიმოვი წამოვარდა, მაგრამ გასვლა ვერ მოასწრო, კარში შეშფოთებული ტიშჩენკო შემოეფეთა:

— ხელიდან გაგვისხლტა, ვერ დავაკავეთ, ვინ იფიქრებდა, ასეთი მკვირცხლი დედაბერი თუ იყო.

— ვა-ი ჩე-მს დღეს უ-ბე-დუ-რს! ვაი ჩე-მს გამწარებულ წუთისოფელს! — გამოიკვეთა ჩახრინწულ ღმუილში მოთქმა.

— ზედ დააკვდა მიცვალებულს, ვერ ავაგლიჯეთ! — ტიშჩენკომ თავი აიქნია, — აჰა! წამოაყენეს, როგორც იქნა... უყურე შენ, ფეხზე ველარ დგას, ხელით უნდა ვატაროთ ახლა... მანდ დასვით კიბეზე, ცოტა დამშვიდდეს.

სულიმოვს უღვაშები აეჯაგრა, წვრილი კბილები გამოუჩნდა:

— ტიშჩენკო! რას ამბობ! დედამ მოკლული შვილი ნახა, გესმის... აქ შემოიყვანეთ, აქ, და ცოტა ზრდილობიანად მოექცეთ!

— აგერ ნახავთ, ხელში თუ არ შეგიკლათ! — ჩაიბუზღუნა ტიშჩენკომ და სწრაფად გავიდა.

— ღმერთო! რად მომიძულე ასე?! ჯერ მე გაგეთავებინე ბარემ! რად შემასწარი ამ დღეს!..

დედაბერი სამზარეულოში შემოიყვანეს, თავშალი გვერდზე მოქცეოდა, გაჭადარავებული ბუწუწები უჩანდა, ნაოჭებით დაღარული სახე ჩაღამებოდა, უკბილო, ჩავარდნილი შავი პირის ღრუღა უჩანდა. სამზარეულოში წამით ჩამოიხუთა ჰაერი.

არკადი კირილოვიჩი ტაბურეტიდან წამოიჭრა, მოხუცი დასვა. ქალი მაგიდას დაემხო, ჭაღარა თავი ბრჭყვილა ყვავილებიან მუშამბას დაახალა.

— რატომ თვალები არ დამივსე, ღმერთო, რად მომასწარი ამ ამბავს!

დაფეთებულმა ტიშჩენკომ შემოსულები სამზარეულოდან უხმოდ გალაღა და გულმოდგინედ გამოკეტა მინიანი კარი.

სულიმოვს ქალის მოთქმაზე სახე ემანჭებოდა, კეპიან თავს ისე აქნევდა, თითქოს მოხუცის მოძრაობას იმეორებდნო. ქალის უკან არკადი კირილოვიჩი აყუდებულები სახედაღარული, პალტოგადედილი, კაშნეჩამოცურებული, შლაპაჩამოფხატული.

— რა დაგიშავე, უფალო! რატომ შენაჩვენე?! რად გაბიმეტე?! და-ვი-ლა-ლე! და-ვი-ლა-ლე! მეტი აღარ შემიაღია! ვის შევჩივლო? ვინ გაიგებს, ვინ შეისმენს?

— ჩვენ გავიგებთ, დედი, — ჩაულაპარაკა თავზე წამომდგარმა არკადი კირილოვიჩმა.

დედაკაცი ჩაწყნარდა, თავი აიღო, აუდგომლად, მოკაკეულმა მკერდზე მოიფათურა ხელი, თავშლის ყურით ცხვირი მოიწმინდა და ისევ ამოიხსლუქუნა, ნამტირალევემა ბავშვმა რომ იცის ხოლმე დაწყნარებისას. უცნაური იყო ამ ჭალარა, დაფეხვილი, დამკვნარი დედაკაცის ეს ბავშვური სლუქუნი, მის შეშუპებულ, უხეშ სახეს გლოვამაც ვერ მოჰფინა ნათელი...

— გაგებით გაიგებთ, მაგრამ ვის რაში გენაღვლებათ ჩემი სატკივარი, — ამოიგმინა მან.

არკადი კირილოვიჩი მოხუცის გვერდით ჩამოჯდა.

— რაკი აქა ვართ, ალბათ გვენაღვლება კიდევ.

დედაკაცი უაზროდ მიშტერებოდა მუშამბაზე გაფანტულ ყვავილებს. ჩაცვნილ საფეთქლებთან, ბლუჯა ჭალარის ქვეშ დაბერილი ძარღვები უთრთოდა. მის კვალად თრთოდნენ აწეწილი თმის ბოლოებიც, თითქოსდა დაუძლურებულ მოხუცის გულის ცემას ითვლიანო. დედაბერმა ისევ ამოიოხრა, მაგრამ ეს ბავშვური ზლუქუნი კი არა, გაბმული, დახშული გმინვა იყო წუთისოფლის უკუღმართობით გატანჯული ქალისა.

— ვაით იშვა და ვუით დაასრულა წუთისოფელი... — ხმადაბლა და გარკვევით ჩაილაპარაკა ქალმა და გაჩუმდა. ისმოდა მხოლოდ სულიმოვის ფეხსაცმლის ჭრაჭუნის ფეხის შენაცვლებისას.

— ვაის მეტი არავისთვის არაფერი მოუტანია...

— თვითონ მას ხონ არავინ უბიძგებდა ვაისა და უბედურებისაკენ?.. — ჰკითხა არკადი კირილოვიჩმა.

დედაკაცმა პირველად ახედა მას ჩამქრალი თვალებით, ეტყობა, შეკითხვამ ცოტა არ იყოს განაცვიფრა.

— ღმერთი უბიძგებდა, უფალი ღმერთი, მეტი არავინ, — უპასუხა ღრმად დარწმუნებულმა.

— ბავშვობისას ხშირად სცემდი?

— არა... გული როცა მომივიდოდა, ისიც ადრე, ვიდრე არ წამოიზარდა და მთლად ხელიდან არ წავიდა.

— ძალიან გიყვარდა?

მოხუცი მძიმედ შეტოკდა და ოხვრით ამოთქვა:

— მაგან ცხოვრება გამიმწარა... ჯერ პატარამ, სიარულიც არ იცოდა, სოფლიდან გამაქცია იმ შიმშილობის დროს. მერე აღარავინ შემომძლეგია, მაგის წყალობით აღარავინ გამკარებია. ნეკა თითივით მარტო დავრჩი ამ წუთისოფელში. მაგას მაინც ვერსად გავექეცი. აწი ღამლამობით მომეჩვენება...

დედაბერს დამკვნარ სახეზე ცრემლი ჩამოუგორდა, დაკრუნჩხულ თითებს ხან მუჭავდა, ხან შლიდა ყვავილებით მოჩითულ მუშამბაზე. სულიმოვმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ცარიელი გამოდგა, — გულმოსულმა მოკმუჭნა, გადააგდო. მერე მოხუცს უთხრა:

— ხომ ვითხარი, არაა-მეთქი საშენო სურათი, არ დამიჯერე.

— ეშმამ მაცდინა... გულზე რომ მეტაკა, აღარ შემეშვა... ვიფიქრე, ცალ თვალს შევაგლებ მაგ უკუღმართს-მეთქი... სიცოცხლეს უმწარებდა, ყველას ტანჯავდა და აკი მიუზლო კიდევაც უფალმა სამაგიერო!... ხომ მკვდარია და მკვდარიც კი, ცოცხალი რომ იყო, იმაზე საშიშია!... თუ კაცი ხარ, სხვას

ნულა დააღუპვინებ! ღვთის წინაშე დავიფიცებ, ყველაფერი მისი ბრალია! ტარ-
ტაროზმა დაასვა იმთავითვე თავისი დაღი. სამარცხვინო იყო მაგას ჩასახვაც
და მუცლით ტარებაც, ტანჯვა და ვაება — მაგისი გაზრდა! გაჩენილი არ იყო,
უბედურება დააწია, ამ ქვეყნიდან წაშავდა და პატიოსანი ხალხი უნდა გაი-
ყოლოს. მაინც ვინ იყო, რა გავაჩინე ეგეთი, რა! ბიზ...
ქალს თვალები ბნედიანივით გადაუტრიალდა. ტუჩები აუცახცახდა, სიტყ-
ვებს ნაწილ-ნაწილ ისროდა. საგონებელში ჩავარდნილი სულიმოვი შუა სამ-
ზარეულოში გახვევებულიყო — კები კეფაზე გადავარდნოდა, დაბნეულად აციმ-
ციმებდა. თვალებს, უთრთოდა კოხტა, აპრეხილი უღვაშები. არკადი კირი-
ლოვიჩი დედაბრის გვერდით იჯდა, დაქანცულ სახეზე ღარები მოშვებოდა, არ
იძროდა, კუშტი მზერა წარბებქვეშ დაემალა.

მოხუცი დაკრუნჩხული თითებით მუშამბას ფხოკნიდა, იგრიხებოდა —
სადაც იყო იატაკზე გაგორდებოდა, კრუნჩხვები მოუვლიდა.

არკადი კირილოვიჩმა მხარზე წაავლო ხელი, შეაჯანჯლარა.

— იკმარე, ბებო! — და ინსპექტორს მიუბრუნდა: — უბრძანეთ, შინ წა-
იყვანონ.

გაშეშებული სულიმოვი გამოფხიზლდა:

— ახლავე!

აცახცახებულ დედაბერს გადახედა და დერეფანში გავარდა.

როგორც იქნა, დაიძრნენ წასასვლელად. სულიმოვი წინ მიაბიჯებდა ფიცხ-
ლად, მას არკადი კირილოვიჩი მიჰყვებოდა, უკან ტიშჩენკო მისდევდათ.

კიბის ბაქანი ხალხს გაეჭედა. მაუდის ფარაჯაში გამოჭიმული, ქამარ-
შემოსალტული მილიციელის გვერდით პაიპარად ჩაცმულ, დაფეთებულ მე-
ზობლებს მოეყარათ თავი. ქვედა სართულებზეც ხალხი იდგა — ყელამდე ღი-
ლებშეკრულ პალტოებში, სახეგაფითრებულნი, თმბაბურძგვნილნი, თვალებ-
ში შიში და გაოცება შეჰყინვოდათ. სახლს გაღვიძებოდა, სახლი აფორიაქე-
ბულიყო.

თავისი ბინის მაგრად გამოკეტილ კართან ვასილი პეტროვიჩი იყო ატუ-
ფული. ძალზე გაცვეთილი ქურქი ეცვა, შუბლი ისე წამოეშვირა, თითქოს არკადი
კირილოვიჩს უნდა ურქინოსო. უფროსებს კი მოჰყვები, ვაებატონო, მაგრამ
რა შვილიცა ბრძანდები, ჩემს მეტმა არავინ იცისო, — ამბობდა თითქოს.

სადარბაზოდან გამოვიდნენ. მოქუფრული ცა თითქოს სახურავებს დას-
წოლოდა. არკადი კირილოვიჩმა სიამოვნებით ჩაისუნთქა ნესტიანი ჰაერი და
იგრძნო, როგორ ნელ-ნელა ეცლებოდა დაგუბებული შხამ-სამსალა, როგორ
უნათდებოდა გონება.

მერე მზერა ციდან დედამიწაზე გადაიტანა და შეკრთა — მის წინ მრის-
ხანედ შეჯგუფული, გარინდული, რაღაცის მომლოდინე ბრბო იდგა. იქვე მი-
ლიციის ლურჯზოლებიანი ყვითელი მანქანები და შიშისმომგვრელი წითელ-
ჯვრიანი „სასწრაფო დახმარება“ ჩანდა. მუქფარაჯიანი მილიციელები ხალხს
აკავებდნენ. გადალესილი, გულცივი ზეციდან აცრიდა და აცრიდა წვიმა ქუჩებს.
ჩვეულებრივი დილა იდგა. ამ ჩვეულებრივ ქუჩაში უცნაური მხოლოდ ეს

თავყრილობა იყო. ქალაქს ვერც მოესწრო დღის დაწყება, ისე შეჩვიებული-
ყო, დაევიწყებინა საქმე თუ საზრუნავი და აქ მოეყარა თავი, გაფაციცებული
ჩასაფრებოდა სხვის უბედურებას იმის დასტურად, უმნიშვნელად უბრალო ამ-
ბავი არ მომხდარაო!

ბ ი ზ ლ ი უ რ ი

სულიმოვმა თვალთ ანიშნა მასწავლებელს იადონავით ყვითელი მანქანი-
საკენ. ყველანი მანქანასთან შეგროვდნენ. დანჯად, საგულდაგულოდ გააბო-
ლეს, თითქოს აუცილებელ წესს ასრულებდნენ. არკადი კირილოვიჩსაც გაუ-
წოდეს თავგადახსნილი კოლოფი. ბარე ათი წლის დანებებული ჰქონდა სივა-
რეტისათვის თავი, მაგრამ სიგარეტი ახლა ნაჩქარევად აიღო, მოუკიდა, ფრთხი-
ლად მოქაჩა და ხალხი მიათვალ-მოათვალიერა.

კარგად თუ დაუკვირდებოდი, ბრბო არ იყო არც მრისხანედ შეჩვეუ-
ფული, არც გარინდული, თითქოს რაღაც გაუბედავა მოძრაობა შეიმჩნეოდა.
უკანანი წინ მიძვრებოდნენ, წინანი ერთმანეთს ეკვროდნენ, შიშით შესცქე-
როდნენ ჩამწყრივებულ მილიციელებს. ქრებოდნენ და ისევ ჩნდებოდნენ ქა-
ლებისა თუ კაცების, მოხუცებისა თუ ანალგაზრდების სახეები, ყველა სულ
სხვადასხვანაირი. მაგრამ ყველა იმ ფიქრით შეპყრობილი. არაფერი გამორჩე-
ნოდათ, ცნობისწადილი მოეკლათ. არკადი კირილოვიჩმა იგრძნო, ეს ასობით
თვალი მასაც რომ უთვალთვალებდა ხარბად — ისიც ამ ამბების მონაწილე
იყო, ამ დანაშაულის პირქუში, ოდუმალი ქურუმი. ამიტომ ცნობისწადილს აღუ-
ძრავდათ მისი ყველაფერი: შუბლზე ჩამოფხატული შლაპა, დაუდევრად მოხ-
ვეული კაშნე, გაქუცული ლაბადა, სიგარეტი და სახე, ბევრად უფრო მოკა-
შული და მოღუშული, ვიდრე მის გვერდით მდგომებისა. სულიმოვი და მისი
ამხანაგები, ეტყობა, მიჩვეულნი იყვნენ ასეთ ყურადღებას, მოწყენით შეს-
ცქეროდნენ ხალხს, ეწეოდნენ, დუმდნენ და რაღაცას ელოდნენ.

უცებ ხალხი შეჩოჩქოლდა, წინ წამოიწია და გაირინდა. არკადი კირილო-
ვიჩმაც იქით მაიხედა და... კოლია კორიაკინი დაინახა. წელან კარებთან რომ
იდგა, იმ ზორბა მილიციელს მოჰყავდა მისი მოწაფე. წითური, დათვივით თათი
ფრთხილად ამოედო იდაყვეშ, და მტკიცედ, შეუპოვრად მოაბიჯებდა. ამ ხორ-
ცსავსე, უხეში, ჩასკვნილი, გადაფლავებული, ღვედების გადასირმული მილი-
ციელის გვერდით კოლია კორიაკინი სწორედ მოჩვენება გეგონებოდათ: უსი-
ცოცხლო და უსიხლბორცო. ჩათეთრებული ტუჩები, ვიწრო სახე, მოწითალო
ქოჩორი, წეროსავით წავარდნილი კისერი, მოკლე, გაღეღილი პალტო, გაჩხი-
ლულ წვივებზე ტოტებგათაშფაშებული ჯანსები. დიახ, უმწეო მოჩვენება, თუმ-
ცა კი — მკვლელი! მაგრამ რაც უფრო უმწეო ჩანდა, ალბათ მით უფრო საშიში
ეჩვენებოდა ხალხს — აბა ტყუილუბრალოდ ხომ არ ჩაეჭიდებოდა ეს გოლია-
თური ტორი იდაყვზე!

და მაინც, არკადი კირილოვიჩი იმედას თვალთ აკვირდებოდა ხალხს —
სწამდა, ქვეყნად არ გამოილევა კეთილი ადამიანები, შეუძლებელია ვილაცამ
მაინც არ გაუწიოს თანაგრძნობა, ვილაცას მაინც არ შეეცოდოს ბიჭი. მაგრამ
შემცოდებელი არავინ ჩანდა, ყველა გაებრუებინა ერთ საზრუნავს — არიქა.
არაფერი გამომეპაროს, თორემ ნორჩა, სანახაობა გაქრება, აღარ გამეორ-
დებაო!

მხოლოდ ორი გამოირჩეოდა სხვათაგან, მათ მიაპყრო არკადი კირილოვიჩ-
მა მზერა. არიქა, არაფერი გამომეპაროსო, ყველას რომ ეწერა სახეზე, ეს არ
აჩნდა ამ ზარდაცემულ, დაბნეულ, გაოგნებულ სახეებს. ეს იყო ქალ-ვაჟი. ქალი

ვაჟს ეკროდა, მისგან ელოდა შეველას, სწამდა მისი ძალისა, იმედი ჰქონდა მისი. ქალი ვერც გრძნობდა იმას, რასაც ახლა არკადი კირილოვიჩი ხედავდა შორიდან. ვაჟი როდი იყო ისე ძლიერი, როგორც ქალს ეგონა. გაოგნებული, დაფეთებული, დაბნეული ჩანდა. ორივე ახალგაზრდა ეყოლა თავისებურად ლამაზი. ქალის ნაზ ნაკვთებს თანდაყოლილი სისათუთე ეტყობოდა, ვაჟი გაცილებით უბრალო გარეგნობისა იყო, ჩასკვნილი, იმ სიტლანქის ბეჭედი ესვა, თავდაჭერებულ, ზომიერებისა და ყოვლისშემძლე ნებისყოფის პატრონად რომ მოგაჩვენებს თავს ადამიანს. ასე გგონია, ასეთ კაცზე ვერაფერი იმოქმედებსო. სწორედ ეს მზარბეჭიანი, თითქმის უხეში, მძლავრი ვაჟკაცი ჩანდა ახლა ქალზე მეტად ელდანაცემი. ეს ქალ-ვაჟი, ადამიანთა მოდგმის შესაშური წარმომადგენლები, ერთმანეთის ნდობის მაგალითნი იყვნენ. ამათ თუ არა, მაშ ვის უნდა ეცხოვრა დედამიწაზე ბედნიერად? ბუნებისაგან შემკული, სხვისა უბედურებათ შედუღაბებული ამ ახალგაზრდების ცქერისას უნებლიეთ გული სიამაყით გევსებოდა — არც ისე გადაგვარებული ყოფილა თურმე შენ ირგვლივ კაცთა ჯილაგი!

მაშ, რალამ შეაშინა ისინი? რა ენადვლებათ, რომ ავერ, გვერდით გამოუსწორებელი უბედურება მოხდა — შვილმა მამა მოკლა?! ეს ამბავი მათ არ შეეხება, განზე გაუვლის — ამ ქალ-ვაჟს უყვარს ერთმანეთი, ეყვარებათ შვილებიც და ისინიც ასეთივე სიყვარულით უპასუხებენ. მათ არაფერი არ ემუქრება...

ასეა ვითომ?... უბედურება გადამდებია. ადამიანები ისე არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი, ერთგან თუ გაწყდა რგოლი, მეორეგანაც ხშირად წყდება ხოლმე. ვინ მოუძებნის თავსა და ბოლოს ამ იდუმალ ხლართს? ვის ძალუძს ესე? ალბათ არავის. საწუთროს საბედისწერო გაუტანლობას კი ყველანი გრძნობენ და ეს წყვილიც გრძნობს.

არკადი კირილოვიჩს დაევიწყებოდა, რომ იქვე, ორ ნაბიჯზე, ის დათვა-ვით მილიციელი მილაციის მანქანაში სვამდა კოლია კორიაკინს. იგი, ბრბოში ჩაკარგული, ამ წყვილის ცქერით ტკბებოდა. ცხოვრებაში მარტო შფოთი, ჭუჭყი, სისხლი კი არა, სხვა რამეც არის, ამამალლებელი, საიმედო. და ახლა ეს გულმოშხამული კაცი ამ იმედისთვის სულის სიღრმემდე მადლიერებას განიცდიდა ამ წყვილისადმი, გულითადად ლოცავდა ქალ-ვაჟს: ნუ ჰქმნას მათს თავს უგუნურება, ნუ დაატყდება ამ წყვილს ნურა გაჭირვება, ნურა ავადმყოფობა, სხვათა სიავე. ნუ გათიშავს მათ შუღლი, ნურაფერი აღუდგება წინ მათ სიყვარულს! არკადი კირილოვიჩს დაევიწყებინა ყოველი და ტკბობას მისცემოდა...

მაგრამ არა სათუთმა, მგრძნობიარე ქალმა, სწორედ იმ ტლანქმა ვაჟმა იგრძნო არკადი კირილოვიჩის ჩაცხვებული მზერა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ვაჟს ტლანქ ნაკვთებზე შეშფოთება დაეტყო, თითქმის შიშიც. არა, მაინც არ იყო ვაჟი იმდენად მგრძნობიარე, რომ მიმხვდარიყო — ამ უცხო კაცს ავი არ ედო გულში. ყმაწვილმა არ დაუჯერა არკადი კირილოვიჩს, მის ფარულ აღფრთოვანებას, მის აღტკინებულ მზერას შეცბუნებით და მტრულადაც კი უპასუხა. ვინ იცის, რა იმალება ამ დაყინებული მზერას მიღმა? ვინ გამოიცირობს სხვის გულისნადებს?! ერიდე ძეს კაცისას — ეს სისხლში აქვს გამჯდარ, ადამიანს!

— არკადი კირილოვიჩ! ამხანაგო პამიატნოვო!..

სულიმოვი უკვე მანქანაში იჯდა და მას ეძახდა.

არკადი კირილოვიჩმა ჩამქრალი სიგარეტი მოისროლა. ბრბოდან იმ ვაჟის აფორიაქებულმა, უნდო მზერამ გამოაცილა.

აღმუვლდა საყვირი, ზალბი შეირხა, მიღვა-მოდვა, მანქანის მძვინვარება.

ბიზნისი

11

მილიციის მანქანამ შეუჩერებლად, ბორბლების წივილით ჩაუარა შექნიშნებს, მოსახვევებს და მოხუცი კორიაკინა ოც წუთში შინ მიიყვანა. გზაში დედაკაცი დამშვიდდა — „ეტყობა, ეს ყოფილა რაფაშკას ბედი, ღვთის ნებას ვინ გადაუვა“, — სახემორყეული, მოღუშული, მაგრამ მედიდური იერით შევიდა შინ: თითქოს ისეთი რამ გაეგო, რაიც სხვებმა არ უწყოდნენ.

თოფი ისევ იატაკზე ეგდო. ტახტზე მწოლიარე ანამ კვნესით წამოსწია თმაგაჩეჩილი თავი.

— რა იყო? — იკითხა სულმოუთქმელი კანკალით და გაჩეჩილი თმიდან თვალეზი დაკვესა.

— რას ელი? — შეპლრინა ბებერმა. — ხომ არა გგონია, გაგახარებ რამეთი?

— კოლია თუ ნახე?

— კოლიას ახლა ხალხს აღარ აკარებენ... რაფაილი კი... ვაი, ნეტავი არ მენახა. დმ-ერ-თო! ყველა ცოდვაზე ერთად აგო პასუხი.

ანა ციებიანივით აკანკალდა.

მოხუცმა ნელ-ნელა დაიწყო გახდა, შალი შემოიხსნა, თან პირმოკუმული დუღღუნებდა:

— შემთხვევით გაჩნდა და შემთხვევითვე დაიღუპა. მამა თვალით არ უნახავს, თვითონ შვილის წერა გახდა... ესაა ცხოვრება!..

— კოლიუხას რას უზამენ?

— მაგას რა კითხვა უნდა: გაასამართლებენ, აბა რას უზამენ!.. ცოდოა ბიჭი, ამასაც უკუღმართად დაეწყო ცხოვრება.

ანამ ტახტიდან ჩამოყარა შიშველი ფეხები.

— დედა, ვინ იცის, კოლვამ რომ ესროლა?

მოხუცმა იკვნეულად გადახედა:

— ვაი, რომ სხვას ვერ გადააბრალებ!

გადაფითრებულ სხეზე ანას ჩაშავებული ტუჩები უცახცახებდა, ღრმად ჩაცვენილი თვალეზი მოუსვენრად უციმციმებდა, გამხდარი მხრები დაეძაბა, წამოეზიდა, თხელი თითებით საბანს ჩაფრენოდა.

— რაფაილი იმან კი არა, მე მოვკალი თოფით... ვინ რა იცია? იქნებ კოლვამ დაიბრალა ჩემს გადასარჩენად ყველაფერი?..

მოხუცი ერთხანს პირქუშად შესცქეროდა რძალს, მერე მწარედ, აგდებულად უთხრა:

— მორჩი ერთი. ვინ გინდა მოაჩუყო... ნურც თავად აიბნევ თავგზას და ნურც სხვას აუბნევ. შენ თვათლთმაქც, ესა რა იცი, პირველ სიტყვაზევე გამოგიჭერენ... შენ და თოფი? ზედვე არ გეტყობა, ჩიტის მოკვლის თავიც რომ არ გაქვს.

— არა მაქვს, მაგრამ მაიძულა, მაიძულა! თვრამეტი წელი მაწამა. ყოველ საღამოს სიკვდილს ველოდი მისგან. ჰოდა, თოფით ვუშველდი თავს! კოლკა კი არა, მე გამასამართლონ, მე!

— იმათთან, ჩემო კარგო, ეგეთი ტყუილი არ გაგივა. *ერეკუნული*

— დამიდასტურე: ვითომ შენი ურით გაგეგონოს *დამიდასტურებდა-თქო*, ერთი გზალა დამრჩაო... დამიდასტურე, ეგებ გადაეარჩინო კოლკა! ცოდოა, შენც ხომ გეცოდება?

მოხუცმა უიმედოდ ჩაიქნია დაკარგული ხელი.

— ნუ სულელობ. ამ სიბერეში სისულელე მოვროშო, თავსლაფი დაეისხა...

ანა საწოლიდან გადმოხტა, ლარივით გაიჭიმა, თითქოს სიმაღლეშიც მოიმატა — ხალათი დაჭმუჭნოდა, თმა ალქაჯივით აბუძგოდა, სახე ჩალურჯებოდა, კანკალებდა, თვალებს შეშლილივით აცეცებდა.

— ვილაცამ უნდა აგოს პასუხი რაფაშკასათვის: ჰოდა, მე ვაგებ პასუხს! კოლკა — არა! მივალ, ვისთანაც საჭიროა! ვაიძულებ, ვაიძულებ დამიჯერონ! თოფს მივიტან... ამ თოფით, ამ ხელებით-მეთქი, ვიტყვი... მე! მე მოვკალი და არა იმან-მეთქი..

— წადი, წადი, — უთხრა მოხუცმა, — ციხეში მაინც არ ჩაგვსვამენ, საგიჟეში კი ნაღდად გიკრავენ თავს.

— რამე პალტო მომეცი და ფეხზე ჩასაცმელი.

— იცი, რაც გამაჩნია, თუ რაიმე მოგერგება, აიდე!

— მეზობლებს სთხოვე.

— ნუ გადაიროე, გოგო, უარესი დაგეძარბება. რა გიგავს შენ დამნაშავეს? ერთი-ორ შეკითხვას მოგცემენ და ხელად გარკვევენ, ვინც ესროლა.

— რა მიგავს? სხვა აბა ვინაა დამნაშავე!... კოლიუხაზე უფრო ჩემი ბრალია, ჩემი!

— მიდი, მიდი! კიდევ ცოტაც და თავსაც დაირწმუნებ.

— აბა არა! მე ვარ დამნაშავე, ჩემი ბრალია ყველაფერი! მე რომ არა, რაფაშკა ცოცხალი იქნებოდა. სხვა ქალი, მაგალითად, მილკა როა, აქამდე მოუგრებდა ეგეთ ქმარს კისერს, თუ არადა. ფეხებზე დაიკიდებდა, მოსცილდებოდა. მე კი ვითმენდი... მერე როგორ ვითმენდი! განა ვერ ვხედავდი, კარგი ბოლო არ გვექნებოდა, მაგრამ მაინც ჩაფრენილი ვიყავი. რისთვის! ვი ა უნდა დაეცვა კოლკა? ჩემს მეტს ვის შეეძლო ეს: ჯოჯოხეთის ცეცხლში იხრაეობოდა ბიჭი. რაფაშკა სულ მთვრალი ეგდო, რას შეამჩნევდა? სამაგიეროდ მე უნდა ვყოფილიყავი ფხიზლად, დედა არა ვარ? თადას ველოდი, დამეხსნა თავი-ცა და შევილიც. არა და არა! არაფერი ვილონე საამისოდ! თითი არ გავანძრიე, ვითმენდი და ეს იყო მხოლოდ, და კიდევ ჩემს ტანჯვას შვილს ვუზიარებდი, სატანჯველს ვუმატებდი. განა ეს დანაშაული არაა? განა ამას ვერ გამიგებენ, ვერ მიხვდებიან, რომ მე ვარ დასასჯელი და არა ჩემი ბიჭი!.. დავუმტკიცებ!.. ევდოკია, უნდა წავიდე, ახლავე უნდა წავიდე!

— დამშვადდი ცოტა, მოასწრებ წასვლას.

— ევდოკია, მილკამ ალბათ არაფერი იკის. დაურეკე, ტანსაცმელს ის მოძიტანს... პუხოვებს დაურეკე, ამასობაში დაეიბან, დაევიარცხნი... კოლკას გულისთვის, გეხვეწები, ევდოკია!

ევლოკია შეაშინა ანას ვანწირულმა ხმამ.

— გადაირია ეს ქალი. მართალს ამბობენ: ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა, ცხარეაო. მორჩი, მორჩი, ნულა ვიშვიშებ. მე რა მენაღვლება, დავურეკავ იმ შენს მილკას და ის გელოლიავოს.

ევლოკიამ უიმედოდ გადააქნია თავი, ბუზლუნ-ბუზლუნით ჩაიკვს ქალი-გელში ტელეფონი არ იყო, ეზო უნდა გადაეგლო და მეზობლიანთ სადარბაზოდან დაერეკა.

არ გასულა ნახევარი საათი, მუქ-მწვანე „ვიგულმა“ სწრაფად დაამუხრუჭა ფანჯარასთან. ეს ანას ბავშვობის მეგობარი ლიუდმილა პუხოვა იყო. შემართულმა, ჭიქურ გაიარა ევლოკია კორიაკინას ოთახისაკენ და ფლიგელის მცხოვრები ბებერი ქალებისა თუ კაცების უთქმელი გაოცება გამოიწვია. სახეგაცრეცილი, გამბდარი, ავადმყოფური იერის ტანმორჩილი ანა მუდამ უმწეო და დაბეჩავებული გამოიყურებოდა, ლიუდმილა კი, სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, მყის ყურადღებას იქცევდა. ეს რაძდენიმე წელია, მართალია, გვარია-ნად ჩასუქდა, მაგრამ ამაყი მიმოხვრა არ დაუკარგავს. აფუებული მკერდი მედიდურად მოჰქონდა, ასევე მედიდურად ეჭირა გადატკეცილი, წარბებით მოსირმული პირისახე. დახრილი წამწამებიდან მზირალი თვალებით აცბუნებდა, ახალგაზრდული ჩაცმულობით თავრეტს ახვევდა ყველას! აი, ახლაც, დარეკვის-თანავე სახლიდან ფაცფუცით გამოსულს, თვალების შეღებვა მაინც მოესწრო. სუნამოს მძაფრ სურნელს აფრქვევდა არგვლივ, მაგრამ თეთრი ლოყები უთრობდა, ტუჩები ეღრიცებოდა. ანას მივარდა, მკერდზე მიიკრა, სოფლის დედაკაცივით ხმამაღლა ნოთქმა გააბა:

— ჩე-მო ტანჯულო დაო! მიგიყვანა მაგ ცოფიანმა ხომ აქამდე! ვერ გიშველე, ვერ გიბატრონე, ვერა! ვაი შე უბედურო, შენა!..

მერე გვერდით გადგა, ამოიზლუქუნა, ცხვირსახოცით თვალები მოიწმინდა, მარჯვედ ჩამოჯდა და საქმიანად დაიწყო:

— მოდი, ახლა იმაზე ვიფიქროთ, რისი გაკეთება შეიძლება.

— ამან უკვე მოიფიქრა. — წაილაპარაკა მოხუცმა, — თვითონ უნდა დაიბრალოს.

— რატომ? — უფრო ცნობიანადილით, ვინემ გაკვირვებით იკითხა ლიუდმილამ.

— მიდი და პკითხე.

— განა არა ვარ დამნაშავე? — სუსტი ხმით თქვა ანამ.

— შეენ? რა დამნაშავე შენა ხარ, ეს ოხერტიალი? — ლიუდმილა პუხოვა ანასავით ბარაკებში გაზრდილი გოგო იყო, უხამს გამოოქმებს არ ერიდებოდა. — თუ ვინმეა დამნაშავე, ისევ მე ვარ, მე სულელი. ვინ მიგაგდო რაფაშკას, თუ არა მე? მეგონა, ჩუმი გოგოა, დამთბობი, ვინ აწყენინებს და დაჩაგრავს-მეთქი ასეთს, მეგონა, შეეწყობოდით ერთმანეთს. ვაი, რომ შეეცდი! მთელი ცხოვრება ვნანობ და ვწყევლი ამის გამო ჩემს თავს!

— ძველი რა გასახსენებელია, — თითქოს შეამცივნაო, მოიბუზა ანა: — ყველანი შეეცდით! ჩვენს შეცდომებზე კი ახლა მარტო კოლიუხამ უნდა აგოს პასუხი. რა-ტომ! რატომ იმან უნდა აგოს პასუხი და არა მე? სადაა სამართალი?!

— გაარკვევენ. ტყუილა თავს რად იკლავ! კოლიას კარგ დამცველს მო-

ვუძებნი, წვრილად ჩავუკაკლავ ყველაფერს, კარგა მაგრა დაეკოქავ. კანონი კანონია, მაგრამ იქაც ხომ ხალხი ზის — გაგვიგებენ.

ძველი დაქალის სიმხნევემ ვერ დაამშვიდა ანა.

— მე რაღა ვქნა, ასე ვიჯდე და ველოდო? ხომ შევიშალე ჭკუიდან!

— ნუ ელოდები, წადი და ელაპარაკე, ამით საქმე არ გადაწყდება. გაიგე, რა ხდება, და მერე მოგვიყვი, — ურჩია ლიუდმილამ, რომელიც ფარული გულისტკივილით უთვალთვალებდა ანას.

— ტანსაცმელი თუ მომიტანე?

— არა ვიცი, მოგერგება კია, რაც ხელში მომყვა, ის წამოგიღე.

— ოღონდ ასე შიშველ-ტიტველი ნუ ვიქნები და რას დავეძებ. ახლავ ჩავიცვამ და წავალ.

— რომ მიდიხარ, ვისთან მიდიხარ, იცი?

— არა, — დაიბნა ანა.

— ვაი, შე შტერო, — ლიუდმილა უცებ წამოდგა, — შენ ჩაიცვი, მე კი გავალ, გავიგებ, ვისთან უნდა მიხვიდე... ტელეფონი სადა გაქვთ? ევლოკია, წამომყვი, ტანსაცმელს წამოიძღვანიებ — მანქანაში მიდევს.

კარისკენ წასულმა ლიუდმილამ ახლალა შეამჩნია იატაკზე დაგდებული თოფი, გაიფორხილა, ანას გადმოხედა. ანამ მწუხარედ დაუქნია თავი: ამითიო.

— შეიშალა, ბიჭს გამოგლიჯა და აქ მოათრია, — წაილაპარაკა მოხუცმა.

მხოლოდ ახლა, ამ შავად მოლაპლაპე თოფის ლულების დანახვაზე წარმოიდგინა ლიუდმილამ თვალნათლივ, რაც მოხდა. ამ თოფით გაავორეს რაფაილ კორიაკინი, სიმთვრალეში მხეცი და ნადირი რაფკა, მისი ყმაწვილობისდროინდელი ნაცნობი.

— ანკა... — წაიხრიწინა ძალაგამოცლილმა, სახე მყის ჩაეფერფლა, გადატყეცილი ლოყები ჩაეჩუტა. — ანკა, რატომ არაფერს ამბობ. შე უენოვ, შენა? იყვირე, იყვირე, და შემაჩვენე! მე გაგირიგე ის კაცი, მე! ჩემმა სიტყვამ მოახდინა ყველაფერი... გამთათხე, იქნებ გულზე მომეშვას ცოტა...

ანამ მოწყვეტით ჩაიქნია ხელი:

— მე ჭკუა არ მეყო, სხვას რა დავაბრალო.

სუნამოს სურნელით გაჟღენთილმა, გამოპრანჭულმა ლიუდმილამ კაცვიით შეიგინა, თოფს გადააღაჯა და გავიდა.

თხუთმეტეოდე წუთის შემდეგ მეტისმეტად სრულ, ბაყაყისფერ-მწვანე ტყავის პალტოში გამოწყობილი, ალუბლებით მორთული კოპწია ბერეტით თავდამშვენებული ანა იდგა და ლიუდმილას უსმენდა.

— აბა, ჩაიწერე, რომ არ დაგავიწყდეს: სუ-ლი-მო-ვი... უფროსი ლეიტენანტი სულიმოვი, ორმოცდამეთერთმეტე ოთახი, ის იძიებს კოლკას საქმეს. სამმართველომდე მიგიყვან, იქ კი შენ იცი.

ანამ ქალალდი ჭიბეში ჩაიდო, წამოდგა, იატაკიდან თოფი აიღო.

— თოფით მიდიხარ გამომძიებელთან? — ცალყბად ჩაიციინა ლიუდმილამ.

— მივუტან, ალბათ დაეძებენ.

მოხუცმა ლიუდმილას შეახსენა:

— მაგას უთხარი, ტყუილა ნუ დაიბრალებს.

— ვერც შესძლებს, — თქვა მოღუშულმა ლიუდმილამ, — საამისოდ ტყუილის თქმა უნდა გეხერხებოდეს.

ქალები წავიდნენ. ნოხუცი ევდოკია მარტო დარჩა, ჩამოჯდა დაკმუჭნულ საწოლზე, ხელები მუხლებზე დაიწყო და ჩაფიქრდა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუფთა კაბინეტში პატარა საწერი მაგიდა და მოზრდილი სეიფი იდგა. ოთახი ძველი, კანცელარული ქალაღდების სუნს გაეყლინთა. სულიმოვი მოხერხებულად მიუჯდა მაგიდას, საქმიანად მიმოალაგა ქალაღდის ფურცლები, ბლანკები, ბლოკნოტები, საწერ-კალამი, სიგარეტის კოლოფი და გააბოლა.

— ესეც ასე! — თქვა კმაყოფილებით, — მგონია, აჯობებს ახლავე შევუდგეთ, ასევე, მოუმზადებლად.

— რას შევუდგეთ? — ვერ მიხვდა არკადი კირილოვიჩი.

— ნიკოლაი კორიაკინის დაკითხვას.

— ჩემი თანდასწრებით?

— საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს პედაგოგას დასწრებას. შეკითხვების უფლებაცა გაქვთ, აზრის გამოთქმისაც. თუ თანახმა არ იქნებით, შეგიძლიათ ოქმს ხელი არ მოაწეროთ. ერთი სიტყვით, დაკითხვის კანონიერი მონაწილე ბრძანდებით.

არკადი კირილოვიჩი მოიღუშა, ჩაფიქრდა. შუბლი გამობურცოდა, ქალაღდის რაშერეული თმა მოთელოდა, მძიმე ქუთუთოები ჩამოხუროდა, ცხვირიდან მოყოლებული მტკიცედ მოკუმული პირის კილოებამდე ღრმა ღარები გასდევდა...

— გაფრთხილებთ, — თქვა ქუშად, — ჩემს მოწაფეს მივუდგები.

— ძალიანაც კარგი, — დაეთანხმა სულიმოვი, — მაშინ მე ორჯერ უფრო მიუდგომელი ვიქნები, — და ყურმილი აიღო: — კორიაკინი შემოიყვანეთ.

ხანგრძლივი და უხერხული ეჩვენა არკადი კირილოვიჩს მოლოდინის წუთები. დუმდნენ, ერთმანეთს თვალს არაღებდნენ, თითქოს შიშობდნენ, უნებლიეთ წინასწარ პირშეკრულებს არ დავემსგავსოთ.

ბოლოს კარი გაიღო. ახალგაზრდა დრუნჩა მალიციელმა, მიამიტი იერის დასაფარავად მკაცრი, უკმეხი სახე რომ მიეღო, ჯერ კოლია კორიაკინი შემოუშვა კაბინეტში, მერე ძვითონ შემოჰყვა, სულიმოვს გაეჭიმა, ხელი აუღო და გავიდა.

ულაზათო, აწოწილი, გაოგნებული ბიჭი უხერხულად, მორყეულივით იდგა მათ წინ. უსიცოცხლოდ ჩამოყრილი ხელები თითქოს სად წაეღო, არ იცოდა. არკადი კირილოვიჩი გახაცვიჟრა კოლიას თვალებმა — არც აზრის, არც შიშის და არც სიცოცხლის ნატამალი არ შერჩენოდა გაგანიერებულ თვალებს. პირდაპირ იცქირებოდნენ, მაგრამ, ეტყობა, ვერაფერს ხედავდნენ, თავის მასწავლებელსაც ვერ ამჩნევდნენ.

— დაჯექით, — მიუთითა სულიმოვმა სკამზე.

რობოტივით მორჩილად გადადგა კოლიამ ნაბიჯი, სკამის კიდეზე ჩამოჯდა, თითები გამხდარ კვირისტავებს ჩააფრინდა და ისევ გარინდდა. კისერი მოხარა, წაწვეტებული ნიკაბი ასწია, ნიკაპქვეშ დაიბუღა უფეთქავდა ნაზი ფოსო.

— ჰეი, ბიჭო, გამოფხიზლდი! — დაუყვირა სულიმოვმა, — კაციჭამიებთან კი არა ხარ! ნაცნობებსაც ველარ სცნობ?

კოლია შეერთა, არკადი კირილოვიჩს შეხვდა, გამჭვრეტელ თვალებში შეშფოთება გაუკრთა, უსიცოცხლო, მოკუმულა ტუჩები დაეჭირა.

— კორიაკინი ნიკოლაი რაფაილის ძე... მოსწავლე... რომელ წელს დაიბადე? — დაიწყო სულიმოვმა დაკითხვა.

— ორმოცდათვრამეტში... ორ ნოემბერს, — ჩუმად, ჩახრანწული ხმით უპასუხა კოლიამ.

— თექვსმეტისა არა ხარ ჯერ?

— არა.

სულიმოვმა არკადი კირილოვიჩს გადახედა. იგი უძრავად იჯდა წელში გაჭიმული, სახეზე მსხვილი ნაოჭები ჩამოჰკიდებოდა, დაბერილი ქუთუთოების ქვემოდას შესცქეროდა სკამის ძგიდეზე უხერხულად ჩამომჯდარ კოლიას, თექვსმეტი წლისაც არ არის ბიჭს ზრდა არ დაუმთავრებია, დამოუკიდებლობისთვის არ მიულწევია. ასეთებისთვის მუდამ სხვა აგებს ხოლმე პასუხს, ამან კი თვითონ იკისრა პასუხისგება თავის მშობლებზე... ბიჭი ისევ ისე კისერწაგრელებული, ნიკაპგამოშვერილა იჯდა, რალაცნაირად დაბრეცოდა ფერმკრთალი სახე. გამხდარ მუხლებს თითებით ჩაფრენოდა. პატრონი აღარ დარჩა, მასწავლებელია მისი დამცველი. არკადი კირილოვიჩის დაღარულ, უმოძრაო, ჩაშავებულ სახეს გადაჰკრა ისევ თვალი სულიმოვმა, უნებლიეთ ტანში გასცრა.

— მითხარი, დიდი ხანია, რაც მამაშენი შინ მთვრალი მოდიოდა? — ჰკითხა ბიჭს.

— სულ მუდამ მთვრალი მოდიოდა.

— ესე იგი, არ გახსოვს, როდის დაიწყო სმა?

— სულ მუდამ სვამდა.

— ხანდახან მაინც ხომ იყო ფხიზელი?

— დილაობით... საღამოობით თვრებოდა ხოლმე.

— ყოველ საღამოს?

კოლია შეცბა, აღელდა, ოდნავ შეეფაკლა ლაწვეები.

— მე... მე, მგონი, სწორად არა ვთქვი... ზუსტად ვერ ვთქვი... ყოველთვის არა, არა! იყო ხოლმე, როცა საღამოს არ თვრებოდა... ბევრჯერ იყო, ზოგჯერ კვირაობით, თვეობით წვეთი არ ჩაუშვია პირში, მაშინ კარგად ვიყავით, მერე ისევ დაიწყებდა კიდევ უფრო უარესად, საღამოს არ გაუშვებდა... ჰო, ასე იყო!

— მთვრალი ბრუნდებოდა და გცემდა?

— მე არა, მე არ მცემდა, დედას სცემდა... ჭურჭელს ამსხვრევდა.

— ცხელ გულზე რომ მოხვედროდი, მაინც არ გირტყამდა?

— თუ შევებმოდი, მაშინ გამარტყამდა ან გარეთ გამაგდებდა, ხელო რომ არ შემეშალა... ცემით არ მცემდა... დედას რომ სცემდა, ისე არა.

— ბევრჯერ შებმობარ?

— პატარა რომ ვიყავი — მეშინოდა, ძალიან მეშინოდა და მეზობლებთან გავრბოდი. უმეტესად პოტუხინებთან... მერე — მერე კი შევიძულე, აბა რა დაუშავა დედამ? საღამო რომ დადგებოდა, დედა აწრიალდებოდა, ადგილს ვერ პოულობდა, მაგრამ არ ლანძღავდა, არა, ის კი მაინც სცემდა. ისეთი ღონიერა იყო. ყველა ერიდებოდა, ვისაც გინდა მიბეგვავდა. დედა ძალიან სუსტი იყო...

მამა კი ღონიერი და ცოფიანი. მოკლავდა დედას. ასე მეცქირა და არაფერი მექნა, განა შემეძლო? არა, არ შემეძლო! — კოლიას ჩამწყდარი ^{კრატ} ჩურჩული კვილად იქცა. — პირდაპირ პირში ვუთხარი, პატიოსნად — ხელი არ ახლო, თორემ გაგათავებ-მეთქი! რატომ?! რატომ არ დამიჯერა?!
 შიშვენილი
 ზიზღიერება

— გააფრთხილე?

— კი, მან კი ფეხებზე დაიკიდა ჩემი ნათქვამი.

— მაინც რა უთხარი?

— რაცა ვთქვი...

— რა სიტყვები?..

კოლიამ თავი დახარა, ძლივს ამოღერდა:

— დედას ხელი არ ახლო, თორემ გაგათავებ-მეთქი.

— რამდენჯერ გააფრთხილე ასე?

— ბევრჯერ, ვითომ არც ესმოდა...

სულიმოვი გაჩუმდა, არკადი კირილოვიჩი ისევ წელგამართული, უძრავად იჯდა.

— თოფი ვერ ვიპოვნეთ, სად არის? — დაარღვია სიჩუმე სულიმოვმა.

— დედამ გამომგლიჯა, როცა... როცა ყველაფერი მორჩა... და გაიქცა.

— ცხადია, არ იცოდი, თოფი რომ დატენილი იყო?

— ვიცოდი.

აქამდე თანაგრძნობით განწყობილი, თავშეკავებული სულიმოვი გაცეცხლდა:

— შენ, ჩემო ძმაო, ასე ჰაიჰარად ნუ ისვრი სიტყვებს. აქ ყოველმა დაუფიქრებელმა სიტყვამ შეიძლება საქმე გაგიფუჭოს. გვარიანდაც გაგიფუჭოს! საიდან უნდა გცოდნოდა, თუ კედელზე დატენილი თოფი ეკიდა?

— ვიცოდი, მე თვითონ დავტენე და იმითომ. დედა ტყვიებს იღებდა, მე კი ისევ ვტენიდი...

— გამოდის, დედასაც სცოდნია, მამის მოკვლას რომ აპირებდი?

— აბა არა! მასთან ერთად ვეუბნებოდი, ესმოდა.

— მერე სჯეროდა?

— არ ვიცი... ტყვიებს კი იღებდა და..

— კი მაგრამ, რატომ არ დაგიბალა თოფი?

— მამამ არ დაანება.

— რაო?

— ეკადოს თავის ადგილზე, ხელი არ ახლოო.

— მაშინ მამამ რატომღა არ დამალა?

კოლიამ პირველად შეხედა გამომძიებელს. თითქოს რაღაც სხივი გაუჭრათა თვალებში.

— მამას... მამას ალბათ უნდოდა...

— რა უნდოდა?

— რომ მომეკლა... — ჩუმად ილივძლივობით, მაგრამ დარწმუნებით თქვა კოლიამ.

სულიმოვი და არკადი კირილოვიჩი გაოგნებულები მიაჩერდნენ ერთმანეთს.

— რას ჩმახავ, კოლია! — გამოსცრა არკადი კირილოვიჩმა.

— თავისი თავი არ უყვარდა... ვიცი...

კაბინეტის მიღმა, ხალხით სავსე ამ დიდ შენობაში ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. — საღვთო კარებს აჯახუნებდნენ, ისმოდა ხმები, ტელეფონების ხრუხარი. აქ კი ორი განცვიფრებული და გაოგნებული კაცი ღამის შიშნაკაში შესცქეროდა ბიჭს.

— თავისი თავი არ უყვარდაო? — სულიმოვის ხმაში დასაბუღო ეჭვი იგრძნობოდა, — რათ, თვითონ გითხრა ასე?

— არასოდეს არ უთქვამს.

— აბა საიდან იცი?

კოლია საცოდავად აიბუზა.

— გამჩნევდი...

— რას ამჩნევდი?

— დილდობით როგორ ეჯავრებოდა ხოლმე თავისი თავი.

— ამბობ რაღა!

— გაიღვიძებდა, ზედაც არ შემოგხედავდა, წასვლას ჩქარობდა. ამიტომაც სვამდა. დედასაც იმიტომ სცემდა. აბა საკუთარ თავს ხომ ვერ გალახავდა. სიმთვრალეში ხშირად ღრიალებდა, ბლაოდა და ტიროდა... მის ადგილზე მეც შემძულდებოდა თავი... ეროზელ სააბაზანოში თავის ჩამოხრჩობაც სცადა... არ გამოუვიდა — საჭაერო ცხაურს ბაწარი ჩამოაბა, მაგრამ ცხაურმა ვერ გაუძლო. გამოვარდა. კიდევ ღია ფანჯარასთან უყვარდა ხოლმე დგომა. ამბობდა — სიმაღლე მიტყუებსო, სიკვდილს ეძებდა!

უცებ კოლია სკამზე წამოიჭიმა, ნიკაპი აუცახცახდა, ძლივს დაიმორჩილა ათრთოლებული, მოღრეცილი ტუჩები, აკანკალებული, ჩამწყდარი ხმით წამოიძახა:

— რატომ ქნა ასე? რად უნდოდა, მაინცდამაინც მე?... თვითონ ვერ... რაღა მე მელოდებოდა!... — ხმა ჩაუწყდა, მოიმჩვარა, ეტყობა, თვითონვე შეეშინდა ამ მკრეხელური ფიქრისა.

არკადი კირილოვიჩი მთელი ტანით წინ გადმოიხარა:

— ტყუი, კოლია! წინასწარგანმზრახველ მკვლელად მოგაქვს თავი — ადრევე ვემზადებოდიო, თოფს ვტენიდი, მამისთვის რომ მესროლაო! ნუ ტყუი!

— ვტენიდი! დიახაც ვტენიდი!

— ალბათ იმიტომ ტენიდი, რომ მამას დაენახა, როგორ გძულდა, თანაც იმედზე გქონდა — დედა მაინც დაცლის თოფს და მკვლელობამდე საქმეს არ მიიყვანსო: ხომ ასეა? თოფი მაშინაც დაცლილი გეგონა?

კოლია წელში გაიმართა, ყბები მოკუმბა, ერთხანს განზე იხედებოდა, კარგა ხნის შემდეგ კი ამოღერდა:

— მამის მოსვლამდე ნახევარი საათით ადრე დავტენე...

— არ მჯერა, — ჩიუტად გადააქნია თავი არკადი კირილოვიჩმა.

— დიახ, ვიცოდი, ვიცოდი! თითქმის ვიცოდი, რაც მოხდებოდა!.. დიახ! ვიცოდი და ვემზადებოდა!

სულიმოვმა უმწუოდ გაშალა ხელები.

— კოლია! რას ბოდავ! — წამოიყვირა არკადი კირილოვიჩმა.

— ველოდებოდი მამას... ყოველ საღამოს ველოდებოდიო მე და დედა... დედა შეშლილივით აწულებოდა კედლებს. როგორი საცქერია, აღამიანს დაშალვა უნდოდეს და დაშალა არ ჰქონდეს! ვუყურებდი და გულ-ღვიძლი მეწ-

ვოდა! ყოველ საღამოს ასე იყო... იმ ღამეს კი არა და არ გამოჩნდა, დედა აღ-
გილს ვერ პოულობდა, კუთხეში ვიყავა მიყუჟული და გულს ვასტებოდი.
შუაღამეს კარგა გადასცილდა... ორივემ ვიცოდით, ვხვდებოდით ორივე, რაც
უფრო გვიან მოვიდოდა, მით უარესი იქნებოდა ჩვენთვის. რატომ ვიწყობოდა
და შინ გაღეწილი მთვრალი მოვიდოდა, დედა მერე კვირბა... ვეღარ
დგებოდა... ველოდებით, არა და არ ჩანს. რამდენ ხანს შეიძლება ელოდო, რამ-
დენს ხანს შეიძლება ემუქრებოდე მამას თა სიტყვა არ შეასრულო! ჩვარი ხომ
არა ვარ... დედა სამზარეულოში გავიდა... თოფს წავეტანე... ცარიელი იყო,
ტყვიები შემონახული მქონდა, ორივე ლულა დავტენე და ჩამოვკიდე... თით-
ქოს სული მოვითქვი... ვაცოდი, არკადი კირილოვიჩი, ვიცოდი! ვემზადებოდი!
ნუ ცდილობთ ჩემს გადარჩენას.

არკადი კირილოვიჩი მოიხარა, უჩინოსავით ჩააცქერდა იატაკს.

— ნუ ცდილობთ გადარჩენასო, — გაიმეორა, — როგორი მოსასმენია ეს
სიტყვები ჩვენთვის, ბევრის მნახველი უფროსებისათვის. ვერ გასწავლეთ
უსუსურ ბაღს, როგორ გამკლავებოდი უბედურებას, ვერა, ვერ აგაცილეთ
უბედურება, დიდი უბედურება! შენი დანაშაული ჩვენი დანაშაულია, კოლია!

— თქვენ რა შეგეძლოთ? — ყრუდ შეეხმიანა ბიჭი, — ახალ მამას მაჩუ-
ქებდით თუ?

— რაღაცას შევძლებდით... უსათუოდ... ხომ ვეჭვობდით, რაც ხდებო-
და შენთან... მაგრამ შორიდან... შორიდან ვინ რას მიხვდება, ახლოს კი არ მივ-
ვაკარე.

კოლიამ მასწავლებელს თვალი გაუსწორა, ერთხანს დუმდა, ტუჩები უკან-
კალებდა, მერე ათრთოლებული, ჩახლეჩილი ხმით აყვირდა:

— განა თქვენ, თქვენ არ გვასწავლიდით, არკადი კირილოვიჩი, უზნეო-
ბას, უსინდისობას ებრძოლეთ! ნუ დაელოდები, ვიდრე შენს საქმეს სხვა გა-
აკეთებსო! ნუთუ არ გახსოვთ? მე კი დავიმახსოვრე! თქვენი სიტყვები ბოლო
დროს სულ ყურში მიწიოდა — თვითონ იბრძოლე, სხვის იმედად ნუ იქნე-
ბიო! მე კი ვიდექი და ველოდი. ჩვარი, მეღუბა მეგონა ჩემი თავი, დედას
ვერ ვშველი-მეთქი!

— კარგად კი უშველე! — ვეღარ მოითმინა სულიმოვმა. — ახლა რაღა
უჭირს დედაშენს! აღარც ქმარი, აღარც შვილი, კიკოსავით დარჩა ამ ქვეყანაზე.

— ვიი-ცი, ვიი-ცი! — წამოიყვირა კოლიამ, — ყველაზე უკეთ მე ვიცი
ეგ! დედამაც ნახა იატაკზე მისი სისხლი, ვეღარც ის დაივიწყებს სიკვდილამდე
ამას... მე რაღა ვქნა? რაღა ვქნა, არკადი კირილოვიჩი? მამაჩემა, თუ სიმარ-
თლე გინდათ, ვუყვარდი კიდევ! დიახ, ვუყვარდი! მე თავი არ მებრალება და
ნურც თქვენ შემბრალებთ — არ მინდა! არ გაბედოთ, სასამართლოზეც ასე
ვიტყვი — არავინ არ შემბრალოთ-მეთქი!

წვრილ კისერზე ძარღვები დაებერა კოლიას, მხრები აუტოკდა...

წელში მოხრილმა არკადი კირილოვიჩმა ქუთუთოები ასწია, კუმტად შეჩე-
და სულიმოვს, ოდნავ შესამჩნევად რაღაც ანიშნა. სულიმოვმა სწრაფად და-
ავლო ხელი ყურმილს...


კოლია კორიაკინი გავიდა, კარი დაიხურა. სულიმოვს ყვრიმალმალალ
სახეზე პატარა უღვაშები აუტოკდა.

— მაინც იგრძნობა მამის მოდგმა! მამამისიც, ეტყობა, თვითონ ეძებდა
სიკვდილს, ახლა ეს იქაჩება დამსაჯეთო!

აბუზულმა არკადი კირილოვიჩმა იატაკს ჩასძახა:

— ჩემი სული იგრძნობა!

— არ მესმის? — ყური ცქვიტა სულიმოვმა.

— კორიაკინების ერთმა მეზობელმა წუხელ წამომაცხაბა:  შენი ბრალია ყველაფერიო! აგერ, მყოთხედი საუკუნეა ბავშვებს ჩავაგონებენ და წესით გონივრული, კეთილი, სამარადისო საქმენი-მეთქი! სჯეროდან ჩემი... ამათაც სჯეროდან. ხომ გაიგონეთ: უსინდისობას, უზნეობას ვებრძოდით! ჩემი სიტყვები უწიოდა ყურებში, უბიძგებდა სამოქმედოდ და აკი უბიძგა კიდეც...

სულიმოვმა ცალყბად ჩაიციხა:

— ხომ არ მიბრძანებთ, ესეც ოქმში შევიტანო, როგორც გულწრფელი აღიარება?

— განა გაქვთ უფლება უგულვებელყოთ ვისიმე აღიარება?

— მაქვს, თუ ამ აღიარებას აშკარა თვითბრალდების სუნი დაჰკრავს.

— განა მართო თვითბრალდებაა? აგერ არ იყო, დამნაშავის როლში მყოფმა ჩემმა მოწაფემ თქვენი თანდასწრებით რომ აღიარა ყველაფერი.

— დიან, ჩემი თანდასწრებით აღიარა და ამიტომაც მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა: ეს მოტივი არ კმარა დანაშაულთან თქვენი კავშირის დასტურად.

— ვთქვათ და, ზოგიერთები არ დაგეთანხმონ?

არკადი კირილოვიჩს ჩამოღამებოდა, გაყინვოდა პირსახე. სულიმოვი ჩიტვიტით ცერად შესცქეროდა შავი თვალებით.

— ბევრი არ დამეთანხმება, ვიცი, ბევრი! — თითქმის საზეიმოდ წარმოთქვა სულიმოვმა. — ჩვენ ჯერ კიდევ მოგვიწევს მრავალი შეთითხნილი ჯენტლმენური ბრალდების მოსმენა. რა თქმა უნდა, დაადანაშაულებენ მეზობლებს — ლოთი ვერ ალაგმეთო, კორიაკინის უშუალო უფროსებს — ვერ გამოასწორეთო, უბნის რწმუნებულს — სიფხიზლე ვერ გამოიჩინეთო, დანაშაული წინასწარ ვერ უვნებელჰყავითო. სკოლასაც მოხვდება, ანუ თქვენ, არკადი კირილოვიჩ! მერედა როგორ მოგხვდებათ! — მოწაფე ვერ აღზარდეთო. ერთი სიტყვით, ყველა მიიღებს კუთვნილს. ჰოდა, რა ვქნათ, ყველანი თანამზრახველებად ჩავთვალოთ და სამართალში მივცეთ?... მაპატიეთ, მაგრამ ეგ ჩვეულებრივი ლაილია, მის მიღმა კი ფარისევლობა ინიღბება მხოლოდ... ამხანაგო პამიატნოვო, გნებავთ, მსხვერპლად შეეწიროთ ამ ფარისევლობას?! საქება-რია, საქება-რია! ამით კაც გვარიან სახელსაც დაივდებთ — რა სინდისიანი, რა ტანჯული სულის კაცი ყოფილაო. იტყვიან.

არკადი კირილოვიჩი ისევ ისე გახევებული იჯდა. ნაჯახით გამოთლილს მიუგავდა სახე. გაჭირვებით აზიდა ქუთუთოები, კუშტი მზერა მიაპყრო სულიმოვს, დინჯად, დამაჯერებლად ალაპარაკდა:

— გარწმუნებთ, ქედს მოვიდრეკდი თქვენი სიბრძნის წინაშე, სულიმოვ, დარწმუნებული რომ ვიყო, ბოროტების ფესვებს მიაკვლიეთ, თქვენც არ ჩაგითრიათ საერთო უვიცობის ჭაობმა. მაგრამ არც თქვენ ბრძანდებით სხვებზე შორსმჭვრეტელი. ხომ თქვენს საქმეში ჩაუხედავი კაცი ვარ, და მაინც წინასწარ გეტყვით, როგორც მოიქცევით: ბიჭმა მოკლა საკუთარი მამა — ეს აშკარა ფაქტია. მაშასადამე, დამნაშავე ბიჭია და მეტი არავინ! ცხადია, ასაკსა და დანაშაულის შესამსუბუქებელ გარემოებებსაც გაითვალისწინებთ. კარგად ვხედავდი წელან, როგორ გინდოდანთ ის თოფი თავისით ყოფილიყო დატე-

ნალი... ვიცი, ვიცი; სულიმოვ, თქვენ ბიჭისთვის ავი როდი გინდათ, მაგრამ სულ ერთია, მაინც არაფერს მოერიდებით და ამ მძიმე დანაშაულისათვის მთლიანად ამ ბიჭს აგებინებთ პასუხს. კოდექსის სათანადო მუხლი ამას და ამას ამბობს — ამიტომ ყველაფერს განზე მოისვრით, იმათ კარგსა და უკარგსა კი, ვინც ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას გრძნობს.

სულიმოვი მაგრიდან წამოიჭრა, ვიწრო კაბინეტში გაშმაგებით გაიარ-მოიარა, მერე არკადი კირილოვიჩს თავზე დაადგა და ჩაჰკითხა:

— ელოდებით, მე გამოვქექო ბოროტების ფესვები?

— რა გულუბრყვალობაა ჩემი მხრივ, არა?

— დიახ, ბავშვური გულუბრყვილობა, არკადი კირილოვიჩ! მაგ ფესვებამდე პედაგოგიურმა და საზოგადოებრივმა აკადემიებმა, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის ინსტიტუტებმა და კიდევ, რა მოთვლის, ვინ ვერ ჩააღწია. მთელი ქვეყნის მეცნიერები მაგ ბოროტების ფესვებს დაეძებნენ და ვერა და ვერ მიუკვლევიათ. მე კი მილიციის ერთა რიგითი თანამშრომელი გახლავართ მხოლოდ. განა სასაცილო არაა ჩემგან მოითხოვოთ: მილიციის უფროსო ლეიტენანტო სულიმოვო, შენ უნდა გადაარჩინო, შენ უნდა იხსნაო! მერე ვინ ვიხსნა? მთელი კაცობრიობა? არა, ძმაო, მე მომეშვით, არკადი კირილოვიჩ! განზე გავდგები და, რომ იცოდეთ, არც შემტყუვებ! ხოლო თუ ვინმე დამიყინებს — ვიცი, სად იმალება ბოროტების ფესვებიო — იმას ბაჭიად ჩავთვლი, მაგნე ბაჭიადაც კი, იმიტომ, რომ თავგზას უბნევს ხალხს, წარმოსახულს სინამდვილედ ასალებს და ისედაც ამღვრეულ წყალს მთლად ამტუტებს. ასე რომ, ნუ გამამტყუნებთ, მე მითითებისამებრ უნდა ვიმოქმედო.

— გამოდის, რომ თხუთმეტი წლის კოლია კორიაკინს უნდა მოეკითხოთ პასუხი წუთისოფლის მთელ სიღვეზე?

— რა თქმა უნდა, მე ხომ უსულგულო მილიციელი ვარ, გულის მაგიერ ქვა მიდევს, ჩემნაირი კაცი რას შეიბრალებს ბიჭს, არა?..

— რა საჭიროა პამბულაობა? — გააწყვეტინა არკადი კირილოვიჩმა, — კარგად ვხედავდი, წელან როგორ ცდილობდით რაღაც ხელჩასაჭიდი მოგეძებნათ, როგორ გინდოდათ თოფი კოლიას ხელით არ ყოფილიყო დატენილი. გეცოდებათ ბიჭი, მაგრამ ეს სულაც არ შეგიშლით ხელს დამნაშავედ მაინც ის შერაცხოთ.

— თვითონვე არ ბრძანეთ წელან, ბიჭმა მოკლაო! ეს აშკარა ფაქტია, ხომ არ გნებავთ ფაქტი დავმალო, ან დამნაშავის სასარგებლოდ დავამახინჯო?

— მინდა ამ აშკარა ფაქტის მიღმა არც ისე აშკარა ქეშმარიტების დანახვა სცადოთ. ეგ ბიჭი რაღაც ფარულ მიზეზებს ემსხვერპლა.

— ერთ-ერთი ასეთი მიზეზი თქვენი თავი გგონიათ, ხომ?

— არ არის გამორიცხული.

— მე კი ისეთი მიზეზი ვიცი, თქვენც ვერ მოხვალთ მასთან. ეს მიზეზი ბიჭის გარყვნილი მამა გახლავთ! აი, მავის პირობას კი გაძლევთ, რომ ყველაფერი გამოვჩინო მისი და მთელი სიკეთით გამოვამზეურო, თუ კაცი ვარ. ახლავე თუ ვერ მივაკვლიე, ძიების დროს მაინც ამოტივტივდება ყველაფერი.

— ამოტივტივდება, — დაეთანხმა არკადი კირილოვიჩი, — მაგრამ მკვდარს რაღა მოეკითხება!

სულიმოვმა ამოიოხრა:

— საქმეც ეგაა, რომ საბრალოდებო სკამზე ველარ დასვამ, მაგრამ ბრალოდების შემამსუბუქებელ გარემოებად მაინც გამოდგება, მხოლოდ და მხოლოდ შემამსუბუქებელ გარემოებად. დამნაშავეს რომ ეთქვა — არ მეგონა, თოფი თუ დატენალი იყო, ეს უფრო შეუმსუბუქებდა სასჯელს.

არკადი კირილოვიჩმა ამოიოხრა:

— კიდევ გჭირდებით?

— ორიოდ სიტყვა მითხარით ბიჭზე: როგორ სწავლობდა, როგორ იქცეოდა კლასში, გულჩათხრობილი იყო, შორიდებული თუ გულღია, ვისთან მეგობრობდა?

არკადი კირილოვიჩი ისევ აიფხორა, კუთხეს მიაჩერდა და აუჩქარებლად დაიწყო მოყოლა: კოლია კორიაკინი ძნელად აღსაზრდელი მოწაფე იყო, მერე სრულიად მოულოდნელად გამოსწორდა, გამოსწორების მიზეზი არცთუ ისე ჩვეულებრივი — სენტიმენტალურ-ლირიკულიც კი გამოდგა, ბიჭს გოგონა შეუყვარდა...

სულიმოვი იწერდა.

ქვემოთ, როცა მორიგეს შემოწმებულ საშვს აბარებდა, არკადი კირილოვიჩმა დაინახა ძვირფასიან ტყავის პალტოში გამოწყობილი ქალი, რომელსაც ბერეტზე სასაცილოდ უკონწიალებდა ალუბლის კუნწულები, დაინახა, მაგრამ ვერ იცნო კოლია კორიაკინის დედა...

ცა დაბლა ჩამოსწოლოდა ქალაქს. ცრიდა. შავ ასფალტზე მიმოჭროდნენ მანქანები — უშველებელი საბარგოები და თვითმცლელეები, ლაბლაპებდნენ სველი მსუბუქი ავტომობილები, ერთი ჯგლეთა იყო ავტობუსებში, ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა მალაზიებთან. ქალაქი ჩვეული საზრუნავით ცხოვრობდა, ყურადღებას არ აქცევდა არც ცას, არც წვიმას, არც ადამიანთა ტანჯვას, წამებას თუ სიხარულს. რაღა თქმა უნდა, არც მენდელეევის ქუჩის ექვს ნომერში იმ ღამით დატრიალებულ უბედურებას შეუცვლია დიდი ქალაქის ფუსფუსა რიტმი. ქალაქს ერთი მკვიდრი მოაკლდა, ერთი დამნაშავე მიემატა — ამას არც დიდი დანაკლისი ეთქმოდა, არც დიდი შენაძენი.

ვის აღარ უოცნებია ბავშვობაში ნატ ბინკერტონისა თუ შერლოკ ჰოლმსის საგმირო საქმეებზე? სულიმოვიმა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე თვითონ ითხოვა წინასწარი ძიების ორგანოებში გაემწესებინათ. შერლოკ ჰოლმსად, კომისარ მეგრედ თუ კრიმინალისტიკის რომანტიკულ გენიოსებად გახდომის სურვილი ერთი გამოდგა, ქალაქის სისხლის სამართლის სამძებროს ფაციფუცით აღსავსე ყოველდღიური საქმიანობა კი სხვა. თუმცა აქაც დანაშაულის მზვერავი ხარ, ყველაზე ადრე შენ განსაზღვრავ მის ბუნებას, შენ ცდილობ გასაღები მოუნახო დანაშაულს, თავისებური კვალის აღმომჩენი ხარ მაინც!

სულიმოვს არაერთხელ გამოუყვანია სააშკარაოზე თაღლითები, მიუკვლევია უმსგავსო საქმის ჩამდენი ხულიგნებისათვის. ეს კი არადა, ერთი გვირიანად ჩახლართული საქმეც კი გახსნა — მძლოლმა მანქანა დააჯახა მის მიერვე დაორაულებულ ქალიშვილს და კვალის დასაფარავად საბურავები გამოცვალა... მაგრამ სულიმოვი ჭერჯერობით მხოლოდ იმედის მომცემ გამოძიებლად ითვლებოდა, მასზე შემწყნარებლ ამბობდნენ: წიგნიერია, მაგრამ ის

დიდი ალლო იკლიაო. ის დიდი ალლო კი მხოლოდ იმათ გააჩნდათ, რომელთაც ინსტიტუტი არ დაუმთავრებიათ. მაგრამ საგამომძიებლო საქმიანობისათვის ათობით წელი შეეწირათ.

სულიმოვი ადრეც არაერთხელ გადაყრია ასეთ შემთხვევაში, — კანონი დარღვეულია, დამნაშავეც წინ გიზის, შენ კი უნებურად გეძინებო, იმ კაცს მეტი გზა არ ჰქონდა, ჩიხში მოექცა, გამწარებამ ჩააღუნინა, ეს დანაშაული, მაგრამ რას იზამ, სულიმოვის მოვალეობაა დაიცვას, არ დაარღვიოს კანონი. განა უფლება აქვთ სულიმოვსა და მის მსგავსებს პირადი სიმპატიის და ანტიპატიის მიხედვით წარმართონ საქმეები? იგი ცდილობდა არ გამორჩენოდა დამნაშავის გამამართლებელი არც ერთი მოტივი, მაგრამ საკუთარ გრძნობებს მუდამ ლაგანს სდებდა ხოლმე. აი, ახლაც ერთი რამის იმედი ჰქონდა: იქნებ ბიჭმა გაცეცხლებულ გულზე ჩახმახს ისე გამოჰკრა თითი, არ იცოდა, თოფი თუ დატენილი იყო. არ გაუმართლდა ეს იმედი. ის მასწავლებელი პამიატნოვი ურჩევს, ბიჭის მძიმე დანაშაული სხვას, კერძოდ, მე გადმომამბრალეო. დანაშაულს უდანაშაულო ხალხს ვერ გადააბრალე, ეს უკანონობა და უსინდისობა იქნება! არამც და არამც! რაც მოხდა, მოხდა, ეს ბიჭი მამის მკვლელია! ცოდვია? კი, რა თქმა უნდა, ცოდვია, მაგრამ ეს სულიმოვის პირადი აზრია, ამან მის სამსახურზე არ უნდა იმოქმედოს, აქ შენ საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის!

სულიმოვს ერთადერთი რამ ძალუძდა მხოლოდ, შეეძლო დაწვრილებით გამოეკვლია მოკლული მამის — კორიაკინის ბნელი ცხოვრება, რაც უფრო ბნელი იქნებოდა მისი ცხოვრება, მით უფრო გამართლებული იქნებოდა შვილის საქციელი...

განსვენებულ კორიაკინზე ყველაზე ბევრი დედამისს, იმ საზარელი გარეგნობის დედაბერს შეეძლო ეამბნა, სულიმოვისა და მასწავლებელ პამიატნოვის თანდასწრებით ბნედიანივით რომ იქცეოდა დღეს ალიონზე. ის იყო, სულიმოვმა იმ დედაბრის მისამართის გასაგებად ყურმილის აღება დააპირა, რომ ტელეფონმა დარეკა... ქვემოდან მოახსენეს — ნიკოლაი კორიაკინის დედა გამოცხადდა, თოფი მოიტანა და ტირილით იხვეწება თქვენთან შეხვედრასო.

სულიმოვს არ მოეწონა ქალის უცნაური, მორთულობა — ეს ძვირფასი და აფუყული პალტო, ბერეტზე კეკლუცურად ჩანოკონწიალებული ალუბლას კუნწულები, მაგრამ თხელმა, ნაოჭებით დასერილმა, გამომშრალმა, ნაგვემმა სახემ, ჩაცვნილ-ჩაბუტულმა, ამოწითლებულმა თვალებმა, უმწეო, ვედრებით სავსე მზერამ დაარწმუნა, რომ მის წინაშე გატანჯული ქალი იჯდა, ვისაც სიყალბის არა ეცხო რა.

კორიაკინა ანა ვასილიევნა, დაბადებული 1937 წელს, დიასახლისი... სულ რაღაც ოცდაჩვიდმეტი წლის ქალი დედაბერს დამსგავსებოდა.

— თქვენ მოტყუებას ვაპირებდი... — მავედრებელი მზერა და ჩამწყდარი დამნაშავის ხმა ჰქონდა, თითებით ნერვიულად აწვალედა ღილებს: — მოვიჩქაროდი აქეთ და ვფიქრობდი, ავდგები და ვეტყვი: ამ თოფით კოლკამ კი არ ისროლა, მე ვისროლე-მეთქი. აღარ ვთქვი, ვიცი, მაინც არ დამიჯერებთ, არ შემარჯვება ეს ტყუილი და რა ვქნა. არადა, როგორ მიხდოდა! განსვენებული რაფაილი იქნებ ჩემზე მეტი დამნაშავეც არის, მაგრამ ახლა იმაზე რაღა

უნდა ვილაპარაკოთ. მის შემდეგ კი ყველაზე მეტი მე უნდა მომეკითხოს! ჩემ გამო მოხდა ეს უბედურება, შვილი მე მივიყვანე ამ დღემდე!

— მოყვებით, როგორ მოხდა.

— როგორ? — განიერ პალტოში ჩაფლული ქალი მუშტისძებნა გახდა, სახე მთლად დაემანჭა. — ღმერ-თო! — განა ასე იოლია მისთვის დიდი ხნის ამბავია, კოლკას დაბადებამდე, უფრო სწორად, ქორწინების დღიდან დაიწყო, ხელის მოწერის მეორე დღესვე მცემა...

— მას შემდეგ მუდამ ივრებოდა და გცემდათ?

— ხანდახან გამოერეოდა მშვიდი დღეები, მაგრამ მერე მაინც ინაზ-ლაურებდა.

— ამჯერად მთვრალი შემოვარდა?... რომელ საათზე?

— გვიანი იყო, პირველი იქნებოდა უკვე, ან ორი დაწყებული. ძილით არ გვიძინებია, რა დაგვაძინებდა, ფეხისხმას ვიყავით მიყურადებულნი... ყოველ საღამოს ასე გულგადაღებული ველოდებოდი. უსიყვარულოდ მითხოვა, ვეჯავრებოდი და მაინც ჩემთან იყო.

— კი მაგრამ, ასე უსიყვარულოდ როგორ გათხოვდით?

— მაგაზე ფიქრმა არ მომკლა! ის მილკა კრასნუხინასთვის გიჟდებოდა, მილკამ კი თავიდან მოიცილა და მე მომადენა — აგერ, ესაა შენი სწორიო! მე ჩერჩეტი კი დავთანხმდი, ახალგაზრდა ვიყავი, ცხრამეტი მისრულდებოდა... სულ მარტო ვიყავი, სოფელშიც კი ახლობელი არ შეყავდა... ეს იყო ჩემი პირველი სისულელე, ნეტამც ბოლო ყოფილიყო. ჩემმა სიბრძნევამ არივ-დარია ყველაფერი...

— იმ კრასნუხინაზე ხომ არ დარდობდა?

— პირველად იქნებ დარდობდა, მაგრამ ოცი წელი გავიდა და გაუარა. ლიუდმილა იმხანად გათხოვდა, კრასნუხინა — პუხოვად იქცა. ის არაფერ შუაშია. უბრალოდ აიკვიატა, მეჯავრებო, და მორჩა. ოხერი ხასიათისა იყო, ვისაც შეიძულებდა, ცხოვრებას გაუმწარებდა. სხვებს რა უჭირდათ, გვერდს აუქცევდნენ, თავს არ დააჩაგვრინებდნენ, მე რაღა მექნა. მუდამ თვალწინ ვყავდი, თან უნებისყოფოც ვარ. პოდა, გამიმწარა კიდევ წუთისოფელა. ისეც ვცადე, ასეც ვცადე. მთვრალს ჩექმებსაც კი ვხდიდი ხოლმე. ასეთი მორჩილებაც აცოფებდა. არ დაემორჩილებოდი და სულ გიჟდებოდა: „შე პირუტყვო, ხმის ამოდებასაც ბედავ, კრინტი არ კავიგონო შენი!“ პირუტყვი კიდევ რა სიტყვაა, ეგ მისგან მოფერება იყო...

— უკეთეს სურათს ვერ ინატრებს კაცი!

— იმ ღამით კი მაგიდას დაეძგერა, ლარნაკი იდგა ზედ, კარგი ლარნაკი იყო, მისივე ნაყიდი. არ გეგონოთ, ოჯახი არ ჰყვარებოდეს. მთვრალსაც კი ოჯახი ახსოვდა, ცხადია, თუ მთლად ვალეშილი არ იყო, რაღაცას იყიდდა, მოიტანდა. მერე კი ეშმაკი ჩაუძვრებოდა გვამში და ამსხვრევდა ყველაფერს. თუმცა ამასაც ანგარიშით აკეთებდა. თეფშებს დალენწავდა, იცოდა, იაფი ღირდა, ტელევიზორისათვის კი ხელი არ უხლია.

— ლარნაკი რომ დაამსხვრია, მერე?

— ველარ მოვითმინე და ვიწივლე. „რაო, გენანება?“ — იღრიალა და ჩემკენ წამოვიდა... ამ დროს კოლკა ეცა... კოლკა კარგა ხანია ჩვენ შორის იყო ჩამდგარი.

— მამას ემუქრებოდა. მოგკლაეო?

ანამ არაფერი უპასუხა, იატაკს ჩააშტერდა, მიწისფერ, გამომშრალ პირსახეზე კიდევ უფრო მკვეთრად დააჩნდა ნაოჭები.

— მართალი თქვით! — მტკიცედ უბრძანა სულიმოვმა.

— ემუქრებოდა...

— მერე გჯეროდათ ამ მუქარისა?

— ასეთ მუქარას სულმთლად ვინ დაიჯერებს!

— კეთილი, განაგრძეთ.

— რაღა გავაგრძელო. კოლკა ყვირის, ის იღრინება. მერე კოლკას ხელი ჰკრა და ჩემკენ გამოიწია. ისეთი მხეთქა, დავეცი... სანამ გონს მოვიდოდა, გავიგონე... წამოვიჭერი და რას ვხედავ — ნელ-ნელა ჩაიკეცა და იატაკზე გაიშხლართა. კოლკა თოფით ხელში დგას, ლულას ბოლი ასდის, ოთახში დენთის სუნია. კოლკას მიტკლისფერი ადევს, თვალებად არის ქცეული... მეტი აღარა-რაფერი მახსოვს. თოფი გამოვგლიჯე. გონს ქუჩაში მოვეგე, თოფით რომ გავ-რბოდი...

— რაში თვლით თავს დამნაშავედ?

— ჩემი ბრალია ყველაფერი, მე რომ არა, ის თოფი არასოდეს გავარდებოდა.

— განა თქვენ გინდოდათ შვილს რომ მამა მოეკლა? ნუ იგონებთ რაღაცას!

— მინდოდა თუ არ მინდოდა, მაინც ყველაფერი გავაკეთე, შვილს მამა რომ მოეკლა, — მტკაცედ თქვა ქალმა, სახეზე გაბოროტება გამოეხატა.

— ყველაფერი? მაინც რა ვაკეთეთ ასეთი?

— თავზარი მეცემა, ახლა რომ ვიგონებ... ვერც ვატყობდი, თურმე რა ავსული ვიყავი. მინდოდა შვილს ჩემთან ერთად ეტანჯა! ნეტა მე სულელსა და ჩერჩეტს ეს რას მიშველიდა! სულ ვკვნესოდი, ცრემლს ვღვრიდი, ტყავიდან ვძვრებოდი, ოღონდ უბედურად მომეჩვენებინა თავი... ვხედავდი, კარგად ვხედავდი — ვებრალეობდი შვილს, გაიტანჯა საწყალი, აღარ შეეძლო მეტი. მე კი ესეც არ ვიკმარე, კიდევ უფრო შემიცოდოს-მეთქი, ვფიქრობდი. ვერა და ვერ დავწყნარდი. მთლად შევიშალე... რამ შეგშალაო, არ მკითხავთ? მაგას რა მიხვედრა უნდა. ამდენი ცემა-ტყუებისა და ლანძღვა-გინების შემდეგ ვის არ სჭირდება დამშვიდება. უცხო ვინმე რას დაგამშვიდებს! გული არც მიიკარებს სხვის ნუგეშს, შვილი კი სხვაა, უკვდავების წყალივითაა. ქმარი ბრდღვინავდა — შვილს შიშით სული ელეოდა, მე კი მიხაროდა, მსიამოვნებდა, ველარ ვძლებოდი ნეტარებით. კიდევ მეტი მეწადა, კიდევ! არ დაიჯერებთ და ველოდი, როდის შემოვარდება რაფაშკა, ნადირივით: დამეტაკება და მიმბეგვავს-მეთქი. ვიცოდი, ამის დამნაშავე შვილი დედისათვის გაწამდებოდა და მეც ეს მინდოდა... გულში მიხაროდა, კოლკას ჭირის დღესავით რომ ეჯავრებოდა მამა. რაც მეტად შეეჯავრება მამა, მით უფრო შევუყვარდები-მეთქი, მეგონა. მი-ხა-რო-და! აბა უნამუსო არა ვარ?..

— ვინ გადანაშაულებთ ამის გამო?! — ნაძალადევად ამოთქვა სული-მოვმა.

— ვინ? ნუთუ ვერ ხედავთ, ვინაა დამნაშავე, ვისი ბრალია ეს მკვლელობა? მერე რა, რომ თოფი კოლიას ეჭირა — მე მივაჩიე ის თოფი, მე! ჩემი ხელით გამოვსხლიტე ჩახმახი! იცოდეთ, უნდა დაიჯეროთ! გგონათ, ვერ ვგრძნობდი, უბედურებისაკენ რომ მივექანებოდი? ძალიან კარგადაც ვგრძნობდი!

ხანდახან გამოვფხიზლდებოდი და სული მეხუთებოდა. მაგრამ თავს ველარ ვძლევდი. როგორც რაფაშკა ველარ ძლებდა უარაყოფ, ველარც მე ვისვენებდი, თუ კოლია არ იტანჯებოდა. იმითღა მედგა სული! მშვიდად ჩავლერი დღე მთლად მაგიყებდა, ვკვდებოდი ქალი. ვაიშე! — ამოიკვნესა, მინამქალი საკუთარი ხელით ვლუბავდი შვილს მე უნამუსო! სინდისისა და კანონის წინაშე ვეღარ ვერში მე ვარ დამნაშავე, მე!

— თქვენმა ვაჟიშვილმა თქვა: დედას ეშინოდა, უბედურება არ მომხდარიყო, და თოფიდან ტყვიებს იღებდაო.

— ვიღებდი, ცხადია, ვიღებდი, მაგრამ ხომ არა გგონიათ, მოსალოდნელი უბედურების შიშით! აგე, როგორი დედა გყავს, ამ მხეცთაგანისთვისაც კი არ უნდა ავი, მის გადასარჩენადაც კი ზრუნავს-მეთქი, ეს რომ დამემტკიცებინა...

სულიმოვმა აქ კი ველარ მოითმინა, აღშფოთდა:

— გეყოთ, ყველაფერს ნუ იბრალებთ! რა ვულცივი და უნამუსო უნდა იყოს ქალი, რომ ასე დახვეწილი ანგარიშით იმოქმედოს. კეთილშობილ არსებად მოვაჩვენებ თავს, რათა შვილმა შემეცხროსო. არ იქნებოდა ასე! ნუ მარწმუნებთ! ვერ იქნებოდით ასეთი ანგარიშიანი და გულცივი. ეს რომ გააკეთო, შვილი ან სულ არ უნდა გიყვარდეს, ან ისე, სხვათა შორის, საკუთარ თავზე ნაკლებად. მაშ ახლა რად მჩრით თქვენს თავს შვილას მაგივრად?! ერთი სიტყვით, მორჩით მაგ ზღაპრებს!

ანას ისევ ფერმა გადაჰკრა, ისევ გაბოროტება გამოეხატა ტანჯულ სახეზე.

— მართალს ვამბობ, მართალს, არ ვტყუი! — ჯიუტი რწმენით წარმოთქვა, აღშფოთება არ დასტყობია, — შეუგნებლად გამომდიოდა ეგრე. გაანგარიშებული კი არ მქონდა, უბრალოდ, მსიამოვნებდა, კარგი ქალი რომ ვჩანდი. დიახ, მსიამოვნებდა და სწორედ მაგიტომ ამოვალაგე ტყვიები თოფიდან, შიში აქ არაფერ შუაშია... თუმცა რა ვიცი, იქნებ ცოტა კიდევაც მეშინოდა... ან კი როგორ არ უნდა მშინებოდა! ერთი რამ მასულდგმულეებდა — მიხლოდა შვილის წინაშე თავი როგორმე გამომეჩინა. განა რა ძნელი გასაგებია!

— ჰოო!

— აჰა, ხომ ხედავთ! უნდა დამიჯეროთ, მეტი გზა არა გაქვთ. ჰოდა, აწონდაწონეთ, ვინაა დასასჯელი? სულელი, დედისმოყვარე ბაღლი თუ მე, მოწიფე ფული ადამიანი, შვილის უსაზღვროდ და უაზროდ მოყვარული ბენტერა დედაკაცი? რომელი ჩვენგანია უფრო დამნაშავე? რომელია მკვლელი? მე ვარ-მეთქი, მე! ოღონდ მისი ხელით მოვკალი! კოლკამ კი არა, მე დავღვარე სისხლი. მე!

— გულწრფელად მიპასუხეთ, რომ მოგენდომებინათ, შეგეძლოთ მკვლელობის აცილება?

— შემეძლო და მეტი არა! — ცეცხლი წაიკიდა ანამ, — ამას უჩემოდაც კარვად ხვდებით, ვიცი. რა მიშლიდა, მაგალითად, იმ მხეცს გავეყოდი?

— რატომ არ გაეყარეთ?

— რატომ და მეშინოდა — კოლკამ და მე როგორ უნდა ვირჩინოთ-მეთქი თავი. რომ გავეყოდი, მისი ხელფასიდან თვეში ოცდაათ, დიდი-დიდი, ორმოც მანეთს მომაქვავებდნენ. ხელფასი კი პატარა ჰქონდა, მაგრამ მართლ ჯამაგირით არასოდეს უცხოვრია. კუდში დასდევდნენ, ოღონდ საქმისთვის მოე-

კიდა ხელი, მანქანის პატრონები ფულს არ იშურებდნენ: თვითონაც ჩეჩქივით ფანტავდა და არც ჩვენთვის ენანებოდა. კოლკას არაფერი აკლდა. გაცურის შემდეგ კი ეს ამოდენა ბიჭი გროშებით როგორ შემენახა? მეშინოდა... ან/რა საჭირო იყო გაყრა, როცა შემეძლო, გაუყრელადაც შემეძლო ჰკუთ მოვქცეულიყავი, კოლია კი არ უნდა გამეცეცხლებინა, პირიქით, უნდა დამემშვიდებინა. ლუდკა პუხოვაც რამდენს მეხვეწებოდა, თვითონ შვილი არ ჰყავდა, „რა იქნება იცხოვროს კოლკამ ჩვენთან, მოაცილე მამას ბიჭი“. დავთანხმდი?! არა! კოლკას ტანჯვისთვის რომ არ მეცქირა, ისე იმ ავსულ ქმართან რა გამაილებინებდა. ბევრი რამის გაკეთება შემეძლო და არ გავაკეთე! ღმ-ერ-თო! ეს რა ჩავიდინე! თუ სიმართლე გინდათ, ესაა სიმართლე! მე ჩამსვით, ბოროტმოქმედი მე ვარ, ბიჭი კი გამოუშვით! იმან ჩემ ნაცვლად რად უნდა აგოს პასუხი?! ვადა-არჩინეთ ბიჭი! ვადა-არჩინეთ! გემუდარებით, მე დამიჭირეთ, მე გამასა-მართლეთ!...

ანას ქვითინი აუვარდა, აცახცახდა. სულიმოვი გულდამძიმებული იჯდა, არც უცდია ქალის დამშვიდება. საოცარია, მაგრამ ამ წუთს მართლა სჯეროდა, რომ დამნაშავე ეს ქალი იყო.

15

სკოლაში მეცადინეობა დაწყებულიყო. არკადი კირილოვიჩი პალტო-გაუხდელად ავიდა მეოთხე სართულზე, გვერდი აუარა სკოლის საქმის მწარმოებელსა და დირექტორის მდივანს ზოია გოლუბცოვას და პირდაპირ კაბინეტში შევიდა.

დირექტორი, ევგენი მაქსიმოვიჩი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც უკვე შეპარვოდა სიქაჩლეცა და სიმსუქნეც, გოცუებული მიაჩერდა არკადი კირილოვიჩს.

— არკადი კირილოვიჩ, თქვენ გაკვეთილზე არა ხართ?

— მე ახლა სისხლის სამართლის სამძებროდან მოვდივარ, — მიუგო და სკამზე დაეშვა.

— რა მოხდა?

— მკვლელობა მოხდა და, როგორც ჩანს, მისი უნებლიე ხელშემწყობი მე ვარ.

დირექტორს თვალები დაუმრგვალდა...

მეცბრე „ა“. სადაც ახლა არკადი კირილოვიჩს გაკვეთილი უნდა ჰქონოდა, რაკი მასწავლებელი აღარ გამოჩნდა, ლიტერატურის კაბინეტში სამ ჯგუფად დაყოფილიყო.

ერთნი დაფასთან მოქუჩებულებიყვნენ, ფიზიკის საკონტროლოს წინ ვარჯიშობდნენ, ფიზიკის „სულით“ იყვინთებოდნენ. საკონტროლო დღეს ბოლო გაკვეთილზე ჰქონდათ. სლავკა კუშელოვი, მეტსახელად „პითაგორას შარვალი“ (ანდა, უბრალოდ „სლავკა შარვალი“) ფორმულებს წერდა და, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, „კოზმა პრუტკოვის მეთოდით“, ანუ იდიოტებისათვისაც კი გასაგები ენით უხსნიდა ბავშვებს.

ლუსია ვორონცოვას უცხოური მოდეების ეურნალი მოეტანა. ეურნალს გოგობი დახვეოდნენ და კამათობდნენ: მინი ქვედა კაბები დარჩა, თუ მარტო

შიდი და მაქსი შემორჩა მოდასო. ჟურნალი ძველი იყო, ამ კითხვაზე პასუხს ვერ იძლეოდა და მხოლოდ მინი კაბებს უწევდა რეკლამას. გოგონებში ვასკა პერეგოშჩიკოვიც გარეულიყო. მას სულაც არ ენაღვლებოდა ქვედა კაბები და ლამის მთლად შიშველ ფეხებს დაშტერებოდა.

ზნეობრივი ტანჯვით განაწამები დოსტოევსკის სურათის ქვეშ, მაგიდაზე, მთელი „მესამე ფენა“ შემომჯდარიყო. შუაში ჟორკა ციკანევიჩი, მეტსახელად „დარდანელი“ მოექციათ. იგი რაღაც სისულელეს რომავდა და ბავშვები თავ-შეკავებით ხითხითებდნენ.

ორად-ორი ბავშვი იჯდა განცალკევებით: ერთს, თმააბურძგვნილ, სათვალთან სტასიკ ბოჩკოვს, კლასის დიდი ხნის მამასახლისს, რომელიც სქელ რომანში ჩაერგო ცხვირი, მეორეს, სონია პოტეხინას, თავი დაეხარა და ისე იჯდა. დღეს მას შინ დარჩენა არ შეეძლო, სკოლაში წასვლისა კი ეშინოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. ახლა განცალკევებულიყო თავისთვის.

ჯერ არავინ არაფერი იცოდა, სონია კი დუმდა. ხომ არ წამოდგება და გამოაცხადებს: „ბავშვებო, იცით, კოლია კორიაკინმა მამა მოკლა!“ მაგრამ ადრე თუ გვიან ეს საზარელი ამბავი მაინც შემოიჭრება კლასში. გაჩუმდება? მაშინ ადგება და იტყვის სათქმელს!

ამ საშინელი საიდუმლოთი განადგურებული გოგო ახლა გაკვირვებული აღევნებდა თვალს კლასის ჩვეულ ფუსფუსს.

გოგონებს აინტერესებთ, შემორჩება თუ არა მოდას მინი კაბები. ბიჭები ჟორკა დარდანელის ლაყბობას უსმენენ და სიცილით იგუდებიან. „სლავკა შარვალი“ კი საკონტრილოსთვის ავარჯიშებს ბავშვებს.

რა მოხდება, როცა ისინი კოლიას ამბავს შეიტყობენ? არაფერი. გოგონები ვიშვიშს ატეხენ. ვასკა პერეგოშჩიკოვისგან კი ვერც ამ ვიშვიშს გაიგონებ. იმას საერთოდ არაფერი ენაღვლება. ჟორკა დარდანელი მთლად გაისულელებს თავს და რაღაცას იანგლებს ალბათ. მაგრამ სლავკა შარვალი... აი, ვისი ეშინოდა სონიას! წინასწარ ვერ მიხვდები, რა მოუვა თავში ამ სწავლულ სლავკას. მაგას დიახაც შეუძლია ცუდი თქვას კოლკაზე! ადგება, იტყვის და ყველა მაგას დაუჭერებს. სონიას აღარავინ მიემხრობა...

სონია ყველას კარგად ეგუებოდა, არასოდეს არავინ სძულებია. ახლა კი გრძნობდა, რომ ის ცალკე იყო და კლასი — ცალკე. ერთ მხარეს — მთელი კლასი, მეორეზე — მარტო სონია და კიდევ კოლია კორიაკინი, რომელსაც თავის დაცვა არ შეეძლო.

სწორედ ამ წუთებში გაიღვიძა მასში ქოშაგმა და მოსარჩლემ. იგი უკვე აღარავის ნდობდა. წინასწარ სძულდა ყველა, ვინც სხვაგვარად ფიქრს გაბედავდა.

ახლა მეცხრე „ა“-ს ჩავუარე, ვერ ვავბედე ბავშვებთან შესვლა. არ ვიცი, რა ვუთბრა, მთლად უიარალოდ დავრჩი, რაც ამ ოცი წლის მანძილზე მოვიბოვე, რაც მწამდა, რითაც მეგონა ვიმარჯვებდი, ხელიდან გამავდებინეს...

არკადი კირილოვიჩი ლაბარაკობდა, დირექტორი კი შემცივნულივით აბუხულიყო. იგი ამ ითხი წლის წინ მოვიდა სკოლაში — ქალაქის განათლების განყოფილებამ დაამტკიცა პენსიაზე გასული ძველი დირექტორის ნაცვლად. იმხანად არკადი კირილოვიჩის მეცადინეობით სკოლაში უკვე კარგა ხნის გაჩაღებული იყო შეჯიბრი. ვინ უფრო ღიოსეულად და კეთილშობილურად მოიქ-

ცეოდა. ეს შეჯიბრი თამაშს ჰგავდა, მაგრამ არავის ეპარებოდა ეჭვი ამ თამაშის სიკეთეში. არც ახალი დირექტორი დაეკვებულა. მართალია, უცებ არ ჩართულა საქმეში, ჯერ მიმოიხედა, ნიადაგი მოსინჯა. მერე კი, როცა ხელი მოჰკიდა, საფუძვლიანადაც მოჰკიდა. სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, მასწავლებელთა საქალაქო თუ სარაიონო სემინარები იქნებოდა ეს, თუ საქალაქო კონფერენციები ან უფროსების კაბინეტები, ყველგან ტრაბახობდა: „მოსწავლეთა ზნეკეთილ აღზრდაში წარმატება მოვიბოვეთ და მერე როგორი წარმატებაო!“

მარტოხელა, ჩირთიფირთა, კეთილშობილი საქმით გატაცებული არკადი კირილოვიჩი, სკოლას თავისი ახირებით რომ ამშვენებდა, ევგენი მაქსიმოვიჩ სმირნოვსკის ხელში საზოგადო მოღვაწედ იქცა. მასაც, სულს ცოდვილს და, თვითკმაყოფილების ტკბილმა ბანგმა თავბრუ დაასხა. ახალი გამარჯვებები, კიდევ უფრო მეტი პატივისცემა და, ვან იცის, იქნებ დიდებაც კი ეზმანებოდა. არა, ისინი არ იყვნენ მეგობრები, არ დადიოდნენ ერთმანეთთან სტუმრად. გულწრფელი, გულდია საუბრების დროსაც კი „თქვენობით“ ლაპარაკობდნენ, მაგრამ მათ მეგობრობაზე მეტი რამ აკავშირებდათ — ერთმანეთის გარეშე ისე მტკიცედ ველარ გრძნობდნენ თავს.

და აი, ახლა, როცა მეწყერი მოვარდა და ყველაფერი წალეკა, არკადი კირილოვიჩმა მეგობრებს, თუნდაც მოხუც, ერთგულ ავგუსტა ფეოდოროვნას კი არა, იმაზე გაცილებით ნაკლებად გაწაფულსა და გამოუცდელ ევგენი მაქსიმოვიჩს მიაშურა. მიაშურა და არც დაუფარა თავისი დაბნეულობა. ვერც კი ამჩნევდა, რაოდენ უსუსური იყო მისი ჩივილი: არ ვიცი, ბავშვებს რა ვუთხრა, უიარაღოდ დავრჩი, ხელიდან გამცვივდა ყველაფერი... ახლა თანადგომა და დახმარება მჭირდებაო...

ევგენი მაქსიმოვიჩი ისევ ისე შემცივნულივით მობუზული იჯდა; მაგრამ პირველმა ელდამ, როგორც ეტყობა, გადაუარა:

— სირცხვილო! — გააწყვეტინა გულმოსულმა დირექტორმა, — თქვენ და შიში? არ მინდა თვალს დავუჯერო. — ლაპარაკობდა როგორც უფროსი, ხნიერი კაცა. არკადი კირილოვიჩს გული მოუვიდა საკუთარ თავზე. თავის მართლებას მოჰყვა:

— შიში კი არა, პირიქით, უფრო გამოფხიზლება ჰქვია. ჩემმა მალაღზნეობრივმა შთაგონებებმა მკვლელობა ჩაადენინა ბავშვს! მეშინია? დიახაც მეშინია! მაგრამ ამის დამალვას არ ვაპირებ.

— აბა როდის ყოფილა, ავადმყოფი ვერ მოარჩინაო, მკვდარს ექიმიც ჩააყოლონ მიწაში.

— ის ექიმი რა ექიმია, წინასწარ თუ ელოდება შეწყნარებას.

— დარწმუნებული ვარ, არკადი კირილოვიჩ, სამწუხაროდ, რამაც ვერ გაჭრა ნიკოლაი კორიაკინზე, სხვებისთვის მაინც უშედეგო არ იქნება.

— მე კი სულ სხვაგვარად მგონია: ვინაა თავდები, რომ რაც ერთისათვის საზიანო გამოდგა, სხვებსაც არ ავნებს?

— გამიგონეთ, — შემრიგებლური კილოთი მიმართა დირექტორმა, — ჩვენი კამათი ახლა ფუტია: თქვენ იტყვი, შევიაო, მე — თეთრიო. მით უმეტეს, რომ ასე ნაუცბადევად მაინც ვერ გამოძებნით ვერავითარ განმკურნებელ რეცეპტს. ხელთ არაფერი გაქვთ.

— ჯერ ვაღიაროთ, რომ ის ძველი რეცეპტი საშიში გამოდგა, და ახალზე მერე ვიფიქროთ.

— მერე, რამდენ ხანს აპირებთ ფიქრს? ძველს, თუ არა ვცდები, მთელი თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობის ხანი შეალიეთ? — შემზარავად ჰკითხა დირექტორმა, თუმცა მზერა კი აარიდა.

ამ არიდებულმა მზერამ ანაზღად შეაცბუნა არკადი კირილოვიჩის გვერდით ამომიღეჭი, მხარი შემაშველევო, რომ ემუდარებოდა, ვის ემუდარებოდა? ეს კაცი როგორ უშველის, როცა თვითონ მასზე უარეს დღეშია! მასწავლებელი პამიატნოვი კი არ დადიოდა უფროსების კაბინეტებში და არ გაპყვიროდა: ამას და ამას ვიქმთო! მისი ხმა ესმოდათ, მის შემართებას ხელავდნენ, ასოც-დამეოთხე სკოლის დირექტორი მიაჩნდათ ზნეობრივი განახლების მაცნედ. იქნებ არკადი კირილოვიჩს სულაც ასცდეს ეს მეხთატება, მაგრამ ევგენი მაქსიმოვიჩს კი უეჭველად დაატყდება თავს. განწირულისგან უნდა ელოდეს შველას?! არა! თვითონ უნდა შეეშველოს დირექტორს, იმას სჭირდება ახლა დახმარება.

— ევგენი მაქსიმოვიჩ, — თავს ძალა დაატანა და მტკიცედ მიმართა არკადი კირილოვიჩმა. — ხომ არ გგონიათ, მთელი მონაპოვრის წყალში ჩაყრას ვაპირებ? ძალიანაც რომ მოკინდომოთ, ვერც თქვენ, ვერც მე ამას ვერ შევძლებთ. რაც მოხდა — მოხდა, მხოლოდ ახლა გამოაშკარავდა — თურმე გზა აგვზნევია, თურმე ძალზე შორს ვართ კიდევ სასურველ მიზნამდე. აი, ეს კი აუცილებლად უნდა ვადიაროთ.

დირექტორმა ისევ აარიდა თვალი და ცივად დაუკრა კვერი:

— აღიარეთ... ოღონდ თქვენს გულში მხოლოდ.

— ვერ მივხვდი?

— არ გაამჟღავნოთ არაფერი. ახლა ისედაც წამოგვესევა მთელი ქვეყანა. უმაგისოდაც აგვაფორიაქებენ. თუ შეგვატყვეს, თვითონვე არა სჯერათ თავისი თავისა, შიშისაგან თავგზა აებნათო, მორჩა ჩვენი საქმე — მთლად გაგვაცამტვერებენ! არამც და არამც! მარტო თქვენ მიერ შექმნილს კი არა, სხვების ნაჯახირფესაც გაანადგურებენ. ფიზიკის მასწავლებელმა პროგრამა შეცვალა, ზედმეტად ამეცადინებს ბავშვებს — მყის შეაწყვეტინებენ ბრძანებით! ქიმიის ლაბორატორია სარდაფში გავმართეთ — გაუქმდესო, გვიბრძანებენ. ფიზკულტურის გაკვეთილების ნაცვლად ლაშქრობები ტარდება — ვინ მოგცათ ამისი უფლებათ! — ატყდება ერთი ორომტრიალი... პოდა, თუ გნებავთ, არკადი კირილოვიჩ, თვითონ გაწირეთ თავი, სხვებს რაღას ერჩით...

ამ დროს კარებში ზოია მდივნის სანდომიანმა სახემ და დატყუტილმა შეღებილმა თვალებმა შემოანათა:

— ვაიმე, ევგენი მაქსიმოვიჩ! აიღეთ სასწრაფოდ ყურმილი! მეცხრე „ა“ კლასელი სონია პოტეხინას მამა რეკავს, ისეთ საშინელ რაღაცას ამბობს, ისეთ საშინელს...

დირექტორმა ყურმილი აიღო.

ზოია გოლუბცოვის სულ პატარა საიდუმლოც კი უკარგავდა მოსვენებას. ამიტომ მყის იცილებდა ხოლმე თავიდან — დიდი საიდუმლოს შენახვა კი მით უმეტეს სად შეეძლო — არ ამაგრდებოდა ენაზე და რა ექნა! გამოკეტა თუ არა დირექტორის კაბინეტის კარი, იმწამსვე თავკუდმოგლეჯით გავარდა მეცხრე „ა“-სკენ და პირველი ვინც თვალში ეცა — სტასიკ ბოჩკოვი, დერეფანში გამოიხმო...

...თმააბურძგენილი, გაფითრებული სტასიკ ბოჩკოვი შუა კაბინეტში, მას-წაფლებლის მაგიდასთან იდგა და ყოვლად უაზროდ ისწორებდა სათვალეს ცხვირზე.

— ბავშვებო! კოლკა კორიაკინმა... წუხელ... მამა მუცლის ტკივილი ხმაჩავარდნილმა წარმოთქვა სწორედ ის სიტყვები, რომლებსაც სონია ბოტენინას ვერ გაეგებდა.

ყველამ ვერ გაიგონა, ყველა ვერ ჩახვდა მის ნათქვამს.

— რაო?... რაო?..

— კოლია კორიაკინმა წუხელ მამამისი მოკლა! — მკაფიოდ გაიმეორა სტასიკმა.

სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში გაისმა გოგოს ისტერიული კივილი:

— რა სა-ში-ნე-ლე-ბაა! იგი ხომ ჩემ უკან იჯდა!

სონია წამოიჭრა. აჰა, დაუდგა კოლიას დაცვის დროც.

— საშინელება კი არა, ალტაცებაა საჭირო! — შეჰყვირა მთელი ძალით. ისევ გაისმა აქეთ-იქიდან გაკვირვებული: „რაო?“... რაო?“..

ყველაზე ადრე სტასიკ ბოჩკოვი გამოერკვა.

— ალტაცება? მკვლელობის გამო?

საგონებელში ჩავარდნილი კლასი უნდობლად მისჩერებოდა სონიას. ეს უნდობლობა წამიწამ შეიძლებოდა მტრობად ქცეულიყო.

დაფასთან თავმოყრილი ბავშვები გაარღვია და სონიასაკენ შემპარავი ნაბიჯებით დაიძრა სლავკა კუშელევი, ის სლავკა, ვისიც ყველაზე მეტად ეშინოდა სონიას. დიდი თავი ვიწრო მხრებზე ჰქონდა დადგმული, ხელები ჯიბეებში ჩაეჩარა, შუბლზე ჭაგარა თმა ჩამოშლოდა, განივრად გადგმული თვალები სონიასთვის თვალში გაეყარა.

— შენ იცოდი? — ჰკითხა.

— ვიცოდი! — გაისმა სონიას გამომწვევი პასუხი.

— რატომ არა თქვი?

— იმიტომ, რომ სტასიკასათვის ამისი თქმა იოლია, მე კი მიჭირს.

სლავკა შეყოვნდა და დაკმაყოფილებულმა ჩაილაპარაკა:

— გასაგებია. მაგრამ ალტაცება მაინც რა მოსატანია? პატიებით კიდევ შეიძლება აპატიო კაცს, მაგრამ ალტაცებული რატომღა უნდა იყო, ეს აღარ მესმის?

— პატიებაო? რა აქვს საპატიებელი? დედა რომ მხეცისგან იხსნა, ის?..

— კი, მაგრამ ცოტა ძვირად ხომ არ დაუჯდა დედის გადარჩენა?

— თვალწინ დედას რომ ვიკლავდნენ ცემით, რას იზამ, ძვირად დამიჯდება თუ იაფადო, იმარჩიელებ?

სლავკამ ველარ გაუძლო, სონიას მზერა აარიდა.

— მაგრამ მაინც კაცის მოკვლა... თანაც ვისი?!

— მოკლა, თვითონ რომ სიცოცხლე შეძლებოდა!

სლავკა კარგა ხანს დუმდა.

— მოკლა, თვითონ რომ სიცოცხლე შეძლებოდა! — გაიმეორა, — შესაძლოა! — უკან დაიხია სლავკამ.

სონია მიხვდა, რომ გაიმარჯვა. ახლა კლასი მის მხარეს იყო.

დირექტორმა უურმილი დადო:

— ჰოო... უკვე დაიწყო... გვემუქრება, გოგოს სხვა სკოლაში გადავიყვანო, — და ფაციფუციით ჩაალაგა მაგიდას უჯრაში ქალაღებში.

— ასე რომ, არკადი კირილოვიჩი, ახლა გულხედაკრეფილი ჯდომია აღარ შეიძლება. ქალაქის განათლების განყოფილებაში მივდივარ. თვითონ უნდა დაგასწრო! დაუშვტკიცებ! დიახ. თავს მოვიკლავ და დაუშვტკიცებ, რომ კორიაკინების ოჯახის ტრაგედიას ჩვენს სკოლასთან უშუალო კავშირი არა აქვს, თქვენც უნდა დაგიცვათ, არკადი კირილოვიჩი. შევეცდები ჩემი მკერდით დაგიცვათ, თუმცა დიდად განიერი მკერდი არა მაქვს. ის თქვენი სიტყვები — კოლიას ჩემმა ზნეობრივმა დარიგებებმა ჩაადენინა ეს დანაშაულიო — ვითომც არ გამიგონია... იმედი მაქვს, ამის თაობაზე ამიერიდან კრინტს აღარ დაძრავთ.

არკადი კირილოვიჩი წარბშეკრული შესცქეროდა დირექტორს. ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული საზომით არკადი კირილოვიჩი ამ კაცის მაღლიერი უნდა ყოფლიყო გულისხმიერებისა და თანადგომისათვის. დიახ. დიახ, თანადგომისა და თავგანწირული გულისხმიერებისათვის! აი ახლაც ბედის ანაბარა კი არ მიატოვა — შევეცდები ჩემი მკერდით დაგიცვათო, თქვა. მართლაც არ დაზოგავს თავს, მოინდომებს.

დირექტორმა უკანასკნელი უჯრა ჯახუნით მიკეტა, მაგიდას მოსცილდა და მასწავლებელს წინ დაუდგა. ტანსრული კაცი არა, მაგრამ ჩამკვრივებული, მხრებგანიერი იყო, მედიდურად იდგა, მოჭიდავესავით წინ წამოეწია მუხლი.

— არც თქვენ მოგცემთ დიდხანს ვანცდის უფლებას. მე იქ ვიმოქმედებ, — თქვენ — აქ, სკოლაში... ოღონდ დღეს არა... დღეს არა. მე მესმის, ახლა თავზარდაცემული ხართ, ამიტომ ჯობს შინ წაბრძანდეთ და დამშვიდდეთ. ხვალ კი... მოსწავლეებს შეხვდებით, უპირველეს ყოვლისა მეცხრე „ა“-ს!

არკადი კირილოვიჩი იდგა და ხმაამოუღებლად მისჩერებოდა დირექტორს. ისე, კაცმა რომ თქვას, რა უფლება აქვს უსაყვედუროს მასზე ახალგაზრდა, გაცილებით გამოუცდელ პედაგოგს? განა ჯერ კიდევ გუშინ არკადი კირილოვიჩის არ სჯეროდა, განსაკუთრებული კაცი ვარო, და გუნებაში დიდებისკენაც კი მიილტვოდა. გუშინ არ იყო, უჩვეულო საქმეს ვიქმო, რომ ფიქრობდა? დიახ, დიახ, ფიქრობდა, სხვამ თუ არა, თვითონ ხომ იცის, როგორი წმინდანიცაა! ამ დაღვრილმა სისხლმა გამოათხიზლა, მხოლოდ გამოათხიზლა. თორემ რა მოხდა, რატომ მოხდა, ჯერჯერობით თვითონაც ვერ გაერკვია. ეს კაცი კი მასზე უკეთ აბა როგორ გაერკვეოდა!

დირექტორი ისევ მოჭიდავესავით ჯიქურ იდგა, მუხლი წინ წამოედგა, განზე იყურებოდა და მტკიცედ ლაპარაკობდა:

— მოსწავლეებს არ უნდა დავაცალოთ ამ მკვლელობის ამბების დამოუკიდებლად გადახარშვა. უმწიფარნი არიან, ფიცხნი, კაცმა არ იცის, როდის რა წამოუვლით. მაგათ კი არა, ხომ ხედავთ, ჩვენც დაგვესხა რეტი. ეს ბავშვები ისეთ რაღაცას დაატრიალებენ, ვაითუ მერე მშობლებს, ქუჩაში გამგლეღ-გამომგლეღს და ჩვენც კი გვეცენ... ვინ იცის. მომხდარი ამბის მიჩქმალვა არ შეგვიძლია, მაგრამ კალაპოტში ჩავდება კია საჭირო. სხვებზე უკეთ ამის გაკეთება თქვენ ხელგეწიფებაო, არკადი კირილოვიჩი. მხოლოდ თქვენ! ტყუილად კი არა აქვს მოსწავლეთა შორის თქვენს სიტყვას უზარმაზარი ფასი!

სიტყვები, სიტყვები, სიტყვები!.. ვაი, კიდევ რამდენი ფუჭი სიტყვა ითქმება! არკადი კირილოვიჩი წამოდგა.

— კეთილი. — ამოდერდა, — კეთილი... დაფარვა არ შეგვიძლია და არც

არის საჭირო. კეთილი, ევგენი მაქსიმოვიჩი, ბავშვებს ხვალ შეეხვდება. დღეს კი რალაც-რალაცები მაქვს გასარკვევი.

— მე კი გარკვევის დრო აღარა მაქვს. თორემ ადგებიან და უჩემოდ გარკვევენ, — დირექტორი საკიდზე ლაბადას მისწვდა ჩამოსახსნელს.

ენამწარე ქიმიის მასწავლებელმა ვორიუნოვმა ერთხელ დირექტორს ასე თქვა: „ზამბარიან სათამაშოს ჰგავს, თუ ხელს არ ახლებ, არის თავისთვის, თუ დააჭირე, ეშმაკი გამოგიხტებაო!“

ექვსიოდე წლის წინათ ქალაქის ირგვლივ შემორკალულ გზატკეცილზე სასტუმრო წამოჭიმეს და ახალმოდური სახელი — მოტელი დაარქვეს. იქვე ბენზინის ჩასასხმელი დიდი სადგური და ავტოსარემონტო სახელოსნოს კორპუსები აღმართეს. ეს პატარა დასახლება ქალაქის ნაწილი იყო და ერთი კი არა, რამდენიმე ორგანიზაცია განაგებდა. მაგრამ ის მაინც თავისი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდა და თვლებზე შემდგართა შესაკრები ადგილი გახლდათ. აქ ტრიალებდნენ აეროდრომივით ფართეჭუდიანი კავკასიელები, ტუბეტეიკამოქარგული უზბეკები, დასავლურ ყაიდაზე გაჩეჩილ-ჩამობრანძული ჯინსიანი ახალგაზრდები, გაცვეთილ ლაბადებიანი და ქირზისჩექმებიანი რაიონებიდან მოვლინებულები, გასაოცარი მოთმინება რომ ეწერათ სახეზე. ეს გახლდათ ჭეშმარიტად მეოცე საუკუნის მომთაბარეთა ქარვასლა და აქაურები უცხო მხრიდან მოსული სტუმრებივით გრძნობდნენ აქ თავს. ყოველდღამ სხვადასხვა მხრიდან განუწყვეტლივ, მოედინებოდნენ აქეთ „ზაპოროჟეელები“, „ეიგულები“, „მოსკვიჩები“, თან მოჰქონდათ დაბრეცილ-დაკმუტვნილი ფრთები, შეჭეჭყილი კარები, მიღრეცილ-მოღრეცილი საბარგულები. ეს მანქანები ავტოსახელოსნოს ეზოში ერთ პაწია განაპირა კორპუსთან, საარმატურო-სამღებრო საამქროს წინ მწყრივდებოდნენ.

ის იყო ალიონის ბინდბუნდს ტყვიასფერი შეერია, როცა სახელოსნოსთან ამოთითხნილი, სოფლური იერის საბარგო მიგორდა და უკან გამობმული კიდევ ერთი გაუბედურებული „ეიგულით“ მისი მარცხიანი პატრონი — ერთი დიდი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი შემოიყვანა.

დილის რვაზე სამუშაო დღე დაიწყო. სარეგისტრაციოში რიგი გაჩნდა. ვამოცოცხლდნენ სახელოსნოები. გაალო კარი სამღებრო საამქრომაც.

ასე, ათი საათი იქნებოდა, როცა საამქროსთან ორი კაცი მობოროილდა. ერთი დაბალი იყო, ჩია, დაღეული, მეტად მოძრავი, მეთხილამურის უშველებელი წინაფრიანი გაქუცული ქუდი ეხურა და იმ წინაფრაზე კიდევ უფრო გამოშვერილი ასურული ცხვირი აჯდა. მეორეს, გაძვალტყავებულსა და აყლაყუდას, ბრტყელი, გახვევებულ სახე ჰქონდა და თითქმის ახალი შლაპა ჩამოემხო თავზე. ესენი ხელობით დამხმარე მუშები, მოწოდებით კი ჩალიჩები იყვნენ. ორივეს კარგად იცნობდნენ ქალაქის ავტომფლობელები, როგორც არმატურის ხელოსან რაფაილ კორიაკინის დამხმარეთ და ამფსონთ, იმ რაფაილ კორიაკინისა, რომელსაც ოქროს ხელი ჰქონდა და რომელთანაც, ვინ იცის, საიდანღა არ მოაგორებდნენ დამლაშობით დამსხვრეულ-დაღეწილ მანქანებს და რიგს იჭერდნენ. კორიაკინის სახელის შარავანდი ამ ჩალიჩებსაც ეფინათ.

ყველაზე განათლებული ავტომფლობელები მათ სამსონ და დალილას ეძახ-
დნენ, თუმცა პირველს სამსონი კი არა — სოლომონი ერქვა, სოლო მეორეს —
დანია. სოლომონი და დანია, რაბინოვიჩი და კლოპოვიჩი, შინაურულად
დანია და კლოპი, ალია და თალია იმათთვის, ვისაც ბევრი არაფერი გაეგებო-
და ძველი ბიბლიისა.

კუშინ ამ ორმა ცოფიან რაფასთან ერთად კარგა მაგრა შეუბერეს და ახლა
ერთობ მოყამულ გუნებაზე იყვნენ. ჯერ ერთი, დილით დროზე ვერ გაიღვიძეს
და სამსახურში დაავიანეს. ასეთი რამ კი დაუსჯელად არ ჩაუვლიდათ ხოლმე.
შეთრეც, თუ ნაბახუსევზე ცოტა მაინც არ გადაჰკარი, ამქვეყნად სიცოცხლევ
არა ღირს.

ძმაკაცთაგან უფრო მგრძნობიარემ — სოლომონმა იქაურობა დაეწინა და
არცთუ ისე აღფრთოვანებულმა თქვა:

— კლოპ! „კები“ თავის აღგილას არა დგას! კლოპ! ჩემი მრავალტანჯუ-
ლი გული გრძნობს: კაიფიანი დღე დაგვიდგა, მგონი.

ერთმანეთზე გადასკვნილი ამ წყვილისათვის დღეები ორგვარი იყო —
კაიფიანი და თხრული. კაიფიანი დღის უპირველეს ნიშნად ითვლებოდა, თუ
კედლის ძირას ჭიშკართან, იქ, სადაც გამოკრულ აბრას ეწერა: — „უცხო პირ-
თა შესვლა აკრძალულია!“ — სამღებრო საამქროს უფროსის, პუხოვის გაპრი-
ალებული მუქმწვანე „ჟიგული“ არ იდგა. „კები არ დგას“, ნიშნავდა, რომ
პუხოვი, ვისიც ცოფიან რაფასაც კი ეშინოდა, დილიდანვე ველარ აუმღვრევდათ
გუნებას და დღე მათ ჭკუაზე ჩაივლიდა. ეს კი არა, იქნებ ცოტა გადაეკრაც
კი მოეხერხებინათ.

სოლომონს დიდად არ შეუწუხებია ფიქრით თავი და მტკიცე ნაბიჯით გაე-
შართა სოფლია ტალახში ამოვლებულა, საბარგო მანქანით მოთრეული დაღე-
წილი „ჟიგულისაკენ“. ერთი შეხედვით გეგონებოდათ, ეს ჟიგული კაცის შე-
საშინებლად განგებ მიუგრებ-მოუგრებიათო. დარბაისლური გარეგნობის მან-
ქანის პატრონს კი სახეზე სრული უიმედობა გამოხატვოდა. ჯიბეებში ხელე-
ჩაწყობილი სოლომონი ბარე სამი წუთი მკაცრად და ღრმადაროვნად აკვირ-
დებოდა დასახიჩრებულ მანქანას. მის გვერდით მიმწუხრის ჩრდილივით და-
ყუდებულიყო დანია კლოპი. დაბოლოს სოლომონმა იკადრა და ამოღერდა:

— მეგობარო, თქვენ ალბათ ექიმი გკირდებათ?

— დიახ, კორიაკინი მინდოდა... — უპასუხა ნირწამხდარმა მანქანის
მფლობელმა.

— ექიმი ძალზე მოუცლელი კაცია...

— ვიცი... მაგრამ მზადა ვარ...

— არ ვიცი, ნაღდად ვერ შეგპირდებით... მაგრამ მოვსინჯავთ, შევეცდე-
ბით!

— უზომო პატივს დამდებთ.

— კეთილი, ასე იყოს... ოღონდ უნდა დავრწმუნდეთ, რომ...

— უკაცრავად, რაში უნდა დარწმუნდეთ?

— გასწი და ნახევარი ლიტრი ჩამოდგი! — კლოპს ყელში ამოუვიდა ამდენი
ლიტრი და მანქანის პატრონს სათქმელი პირში მიახალა.

ამისთანა წვრილმან ამბავს, რაც ახლა მოხდა, არაერთხელ დაუტრიალე-
ბია ჭეშმარიტი რევოლუცია, დიახ, დიახ, ჭეშმარიტი რევოლუცია! თბილ
ადგილებს ტოვებდნენ ქალაქის სანიმუშო-საჩვენებელი ავტოსარემონტო სა-

ხელოსნობების ხელმძღვანელები, — მერე ახალი ცოცხი დაუნდობლად გვიდა ძველ ნაგავს, მარგლიდა სარეველას, ამყარებდა იდეალურ სისუფთავეს, მაგრამ... ვის ძალუძდა გავლენა მოეხდინა მუშტართა ამ უზღვაე ნაკადზე, მთელ ამოდენა ოლქში ერთადერთ ავტოსერვისს რომ ასკდებოდა? ვის შეეძლო ამ ამტუტებული ნაკადის გაწმენდა? მუშტრების მდინარე კი ეჭრეფუფუფუფებდა, დღითი დღე მატულობდა. რევოლუციური ძვრებიც ხან იფუტქვებდა, მანქანაწყნარდებოდა, მერე ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი...

ჰოდა, „ექიმთან“ მიღების მოსურნე „ჟიგულის“ წინდაუხედავი პატრონი, ცნობილი მეცნიერებათა დოქტორი, მორჩილად გაძუნძულდა სასტუმროსაკენ, ვანზე ლეგენდარული ძია პაშასაგან ნახევარი ლიტრი არაყის მოსატანად. მაინცდამაინც კი არ სჯეროდა, რომ ამ ლოთბაზრებს ნახევარი ლიტრი არაყით მოთაფლავდა, მაგრამ თავს იმედით იტყუებდა, ერთიც ვნახოთ, იქნებ გაჭრასო!

ძმაკაცებმა ფეხის მოცვლაც ვერ მოასწრეს, რომ მათ წინ საამქროს უფროსი პუხოვი აღიმართა. ტანზე სველი ლაბადა წამოესხა, შლაპა თვალეზამდე ჩამოეფხატა, ილიაში გაცრეცილი საქალაღდე ამოეჩარა. ეტყობა, დღეს იგი თავისი მუქ-მწვანე „კებით“ კი არ მოსულიყო ქალაქიდან, არამედ სოლომონისა და დანილასავით საზოგადოებრივი ტრანსპორტით ესარგებლა.

— გუშინ მაგრად შეუბერეთ? — მიახალა მაშინვე კითხვა, ისე, რომ არც გამარჯობა უთქვამს, არც უსაყვედურებია, ტანსაცმელი რად არ გამოიცვალეთ და საქმეს არ შეუდექიოთ.

ავტოსარემონტო სახელოსნოში სალამოს ლოთობა დიდ ცოდვად არ ითვლებოდა, აქ დილდილობით გამობრუევა იყო აკრძალული. ჯერჯერობით კი ძმაკაცებს დილის ულუფა არ მიეღოთ, სინდისი სუფთა ჰქონდათ და ამიტომ სოლომონმა თავს ნება მისცა პუხოვს ხუმრობით შეპასუხებოდა:

— რაზეა ლაპარაკი, ილია აფანასევიჩ! ჰა! ყველაფერი წესზე და რიგზეა!

— გუშინ იმისათვის არაფერი შეგიმჩნევიათ?

— რაფას გულისხმობთ, ილია აფანასევიჩ?

— აბა სხვა ვის?

— გულწრფელად უნდა გითხრათ — ცოტა გადაკრულში კი იყო, ბოდის ვიხდი და, დანილას კიდევაც წაუთაქა ერთი კეფაში.

— ვიცი, ეგ „ცოტა გადაკრული“ რასაც ნიშნავს. გათხლეშილი იყო, ხომ?

— ვაჰ, ვული რაღაც ცუდს მიგრძნობს!

— კორიაკინი წუხელ... ღვიძლმა შეილმა მოკლა!

პუხოვი მყის შებრუნდა და იმ კარისაკენ წავიდა, რომელზეც ეწერა: „უცხო პირთა შესვლა აკრძალულია!“

კრიდა. სველი, დაღეწილი „ჟიგულები“ ტანჯულებივით ჩამწკრივებულ იყვნენ ძმაკაცების წინ.

— ვატყობ, დიდი ცვლილებები გველის, კლოპ... — ამოდერლა ბოლოს სოლომონმა.

— გაგვყრის! — დანია კლოპი ზოგჯერ ერთადერთს, მაგრამ ისეთ სიტუვას ან სულაც შორისდებულს აღმოთქვამდა, თავის გატლევით ძმაკაცს ენამქვერობით ჯიბეში ჩაისვამდა.

— რაფას გარეშე ჩვენ აქ ვის რაღად ვჭირდებით, კლოპ, მით უმეტეს პუხოვს. — უცებ სოლომონი გამხნევედა, — თუმცა, რომ იცოდე, ვერ გაგვყრის! ვერა! ჩვენივე სურვილით წავალთ, კლოპ! ოღონდ წასვლისას კარს გა-

ვიჯახუნებთ, ისე გავიჯახუნებთ, ჩვენი ძმა ილია აფანასევიჩი შიშით კიდევაც შეხტეს.

კლოპმა გაურკვეველად ამოიზმუვლა.

— ყველას ეგონება, საწყალი რაფა ბიჭმა მოკლაო, განვხვდეს მართალია, კლოპ?!
 შიშლიცხეცა

— ჭორია!

— შენ ცამდე მართალი ხარ, ბრძენთაბრძენო! ჭორია და ზოგზოგიერთებს უნდა ავუხსნათ კიდევაც ეს!

— ვაჰ! — გაუკვირდა დანია კლოპს.

— დავუმტკიცოთ, კლოპ, რომ ჩვენც კაცნი ვართ... ბირადად შენს ძმას სოლომონს ჯერ არასოდეს ჰქონია შემთხვევა თავისი ვაჟკაცობის დამტკიცებისა...

ნახევარი საათის შემდეგ ისინი მოტელის საქვაბეში მეცნაერებათა დოქტორის მორთმეულ ნახევარლიტრიანს უსხდნენ. სოლომონმა ერთგული ძმაცაცის დანილას უტყვი დასტურით გეგმა შეადგინა: ჯერ ერთი — დღეს არ უნდა გაღეშილიყვნენ, რათა — მეორე — ხვალ ნამთვრალეფზე ისევ არ მონდომებოდათ გადაკვრა და ისეთი იერი ჰქონოდათ, სრული ნდობა დაემსახურებინათ.

— კლოპ! — ლამის იგუდებოდა სოლომონი, — თავს დავიწყველი, თუ ჩვენ დღესაც გამოვიღეშეთ.

და კლოპიც ზმუილით უკრავდა კვერს.

ჩუმი, დაშინებული ანა აჯანყდა: „მე ვარ ყველაფერში დამნაშავე!“ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ლუდმილა პუხოვა სულაც არ გაუკვირვებია გეგობრის ამ ამბოხს — თითქოს ასეც უნდა მოქცეულიყო. ევდოკიას კი შეშურდა რძლისა. ერთხელ მაინც რომ განეცადა ასეთი რამ, მაშინ იქნებ აზრი ჰქონოდა უკან, წარსულისკენ მიხედვას, ცარიელი და ფუჭი არ ყოფილაო ცხოვრება, რაიმე მაინც ექნებოდა მოსაგონარი, აფიქრებდა, ამოდ არ ჩაუვლიაო წუთისოფელს.

მოხუცს არ გაკვირვებია სულიმოვის მოულოდნელი სტუმრობა, პირიქით, გაეხარდა კიდეც.

— ღმერთმა მომავლინა შენი თავი, — უთხრა მკაცრად და საწოლიდან წამოდგა, — მთლად დავმძიმდი, ადგილიდან ვეღარ დავძრულვარ ქალი... მადლობელი ვარ, რომ გამიხსენე...

ქალარა ბუწუწები ჩამოშლოდა, კოფთა მოღელოდა, კოფთის ქვეშ საღამური პერანგი, პერანგიდან კი კაცივით მსხვილი ლავიწის ძვლები მოუჩანდა, ყვითელი, უსიცოცხლო დიდნიკაპა სახე მთლად დაშაშროდა. ჩაცვივნილი წვრილი თვალები კი — საკვირველი იყო! — მწუხარებით დანამოდა.

— აქ დაჯდები თუ წამიყვან სადმე? — ჰკითხა სულიმოვს.

სულიმოვმა მიმოიხედა. ოთახში მაგიდის, ორი სკამისა და რკინის საწოლის გარდა არაფერი იდგა, ამიტომ სიხალვათე იყო. გადარეცილი ძველი შენობა ამ სილატაკეს კიდეც უფრო საჩინოს ხდიდა. ერთადერთი სარკმელი სა-

ცოდავად იყო დაგრეხილი, უსწორმასწორო სქელი ფეხსაგები ერთი კედლი-საკენ დაცურებული, ნაცრისფერი ჭერი დაჩხარული; ყველაფერი ისე მორყეულიყო, გეგონებოდა, სადაცაა იხუვლებს და ჩამოიქცევაო.

— აქ ჩამოვჯდები, — უპასუხა სულიმოვმა, მაგიდას მიუჯდა და ბლოკ-ნოტი ამოიღო. — მაინცდამაინც მდიდრად ვერ ცხოვრობ, ფეხებიც ვეჭვობა, არ გეხმარებოდა შვილი.

— რომ მეთხოვა, დამეხმარებოდა, — უნდოდად უპასუხა ბერიქალმა და ისევ საწოლზე ჩამოჯდა.

— რატომ არ სთხოვდი? არ კადრულობდი?

— მეშინოდა.

— რისა?

— რაფაშკას შეეძლო უკანასკნელი პერანგი გაეძრო და მოეცა, თლონდ მერე სულს ამოგხდიდა. ასეთი იყო, ასეთი...

— წუხელ ცხელ ვულზე ყვიროდი: „თავად მეშინია, ასეთი ვინ ვშობე! სირცხვილით ნაშობი, ტანჯვით გაზრდილიო!“ როგორ გავიგო? ამიხსენი!

დედაბერმა ხერხეში ხელისგული სახეზე ჩამოისვა, თითქოს მოგონებოდა თავიდან მოცილება უნდაო.

— უკანონო იყო, ბუში...

სულიმოვი იჯდა და ელოდა, არ აჩქარებდა შეკითხვებით.

— ჩვენი სოფელი აქედან არც ისე შორია, მაგრამ იქით პირი აღარ მიქნია. თულა არსებობს, ისიც არ ვიცი... მამა არ მახსოვს, ჭერ კიდევ პირველ ომში წასულა და აღარ დაბრუნებულა, დედა კი, თექვსმეტისა რომ გავხდი, მაშინ მომიკვდა. საით უნდა წავსულიყავი?.. აი, მაშინ შემიტყუეს თავიანთსა კლიოვებმა. იმათზე უკეთ ჩვენს სოფელში არავინ ცხოვრობდა — ოთხი ცხენი ჰყავდათ, სამი ძროხა, კიდევ კარაქის სადღვებელი პქონდათ. ღორებს კოპტონით კვებავდნენ, პოდა, იმ ღორებში მიკრეს თავი. საქმე თავსაყრელი მქონდა. მაშინ ამეტორღიალა სწორედ ვანკა, მოხუცი კლიოვის ნებიერი ნაბოლარა. სატინის პერანგი ეცვა, აბრეშუმის ფოჩიანი ქამრით შემოქერილი, ქრომის წაღებით დაიჯგიმებოდა, განა ჩემნაირი, ნეხვში ამოგანგლული გოგოს სწორფერი იყო! პირველად, იცოცხლე, ვიფრინე, ავიცილე ცოდვა. ის კი გაწბილებას არ იყო ნაჩვევი — ერთხელ რომ ჩაუვარდა კოვზი ნაცარში, მერე სულ შეიშალა, ძალის ხმარება მოინდომა. რას მაჯობებდა, მეც მაგარი ვიყავი. მიხვდა, ამან თვითონ თუ არ მოინდომა, ისე ვერას გავხდებო, და ლაქუცი დამიწყო, ისეთი ზღაპრები გამიხურა, თავრეტი დამასხა, დამადნო ქალი. გითხოვო, მპირდებოდა. ეჰ... „დღესაო, დუსკა, — მეუბნებოდა, — ახალი დროება დადგაო, ღარიბები პატივში არიანო, მდიდრები ბეწვზე ვკიდივართო“. ეჰ...

ევლოკია წვიმით დაცვარულ, ჩაუამებულ ფანჯარას მიაშტერდა, თვალები აახამხამა, მაგრად მოკუმა ჩათეთქვილი ტუჩები.

— ასე იყო ეს ამბავი, — დაარღვია სიჩუმე ბოლოს, — მეც შემაცდინა და თავიც დაითარსა. მე ჩერჩეტი ჯობდა ბებიაქალ მართასთან გავქცეულიყავი. მაგრამ გავიგია! თავში ჩავიჭედე, იქნებ ვანკა ბავშვით მაინც ჩავიჭირო და აღარ მიმატოვოს-მეთქი.

სულიმოვი შეეკითხა:

— კლიოვი გვარია თუ მეტსახელი?

— სოფელში ასე ეძახდნენ მამას — სიმონ კლიოვი ერქვა, შვილს — ვანკა კლიოვი. ქალაქებში ისტომინებად იწერებოდნენ.

— გამოდის, რაფაილს მამის გვარი არ მიუღია?

— აბა საიდან, ხელმოწერილები არ ვიყავით და... მერევე ვიწერებ ამტუტ-და და აირია ქვეყანა, მამის გვარის ხსენებაც კი აღაშფოთებდა...

— განაკულაქეს კლიოვები?



— სიკვდილი თუ დამავიწყებს! ზურგზე ჩანთამოკიდებული, მაუდის ზუბუნით და ქრომის წაღებით ფორანს რომ გაყვა უკან და მე გადმომხედა... მე კი მოთქმაც ვერ გავბედე, ვინ ვეგდე, რა ვიყავი იმისა? არც ცოლი, არც საბედო, ცრემლი რომ დაენახათ, მთლად თავსლაფი დამესხმებოდა, თუმცა თავსლაფს აგერ, მკერდქვეშ ვატარებდი. ეპ... იმან ხომ აღრევე ამალო ხელი, მოგვირჭდი... გული უნდა ამეყარა იმაზე, მაგრამ არა! მის შემდეგ ერთი ღერი ტკბილი სიტყვაც კი არავისაგან გამიგონია! იმის მოფერებალა მახსოვს. ამისთვისაც მადლობელი ვარ!

მოხუცს ჩაცვენით თვალებში სევდა ჩაუდგა.

— სოფელი მაშინვე მიატოვე თუ მოგვიანებით? — დაანტერესდა სულიმოვი.

— მშობლიურ სოფელში აბა როგორ უნდა მეცხოვრა? რაფაშკა ჯერ კიდევ არ გაჩენილიყო და უკვე პირში მახლიდნენ — კულაქის ნაბიჯვარს აჩენო. ბავშვს ჯერ დღის სინათლე არ ენახა და კულაქის ნაბიჯვარს ეძახდნენ... მახსრად ამიგდებდნენ, ჩამოსახრჩობად გამიზდიდნენ საქმეს... — დედაკაცი უცებ აწრიალდა, აღელდა: — არა, არა, რაც უნდა გითხრა, იმას არ ვამბობ! თავს ვიმართლებ და ხალხს ვამტყუნებ — ავმა ადამიანებმა დამლუპეს, თავად არ მიდევს ცოდვა-ბრალი-მეთქი. ამას ვიმტკიცებ, არაა ასე... რაფაშკა საშოშივე შევიჯავრე, მთელი სიცოცხლე, შევხედავდი თუ არა ჩემს ნაშიერს, ჯიგარი მეწვოდა — ნეტა ასე რად დამსაჯა ღმერთმა-მეთქი, განა ქალი არა ვარ მეცა, განა არ მინდა სხვასავით მეცა მყავდეს ქმარი?! მერედა, ვის რად ვუნდივარ ამ დანამატით-მეთქი, ვფიქრობდი. მე ვიყავი ავი, მე. მაგასაც გამოყვა ჩემი სიავე!

— თავს ნუ იმათრახებ! — შეაწყვეტინა სულიმოვმა. — ნუთუ არა გქონდა დედობრივი სიყვარულის წუთები? ალბათ ზოგჯერ მაინც გიგრძვნია, ღვიძლი შვილი რომ იყო, ხომ ეფერებოდი, აბა უამისოდ როგორ იქნებოდა? დედაბერი ჩაფიქრდა, უცებ არ უპასუხა.

— ერთი დამამახსოვრდა... იმხანად დედაკაცები უკვე საავადმყოფოში მშობიარობდნენ. გამოვედი საავადმყოფოდან, ვხედავ, მზე გაჩახჩახებულა, ფოთოლი გამობრდღვიალებულა, მთლად აბიბინებულა გარემო. ისეთი დღეა, სული გაგინათდება. მაშინ გამახსენდა კარგა ხნის გადაწყვეტილი — სოფლისაკენ აღარ მექნა პირი. სადმე წავებეტები, ქალაქში, მშენებლობაზე წავალ, იქ აღარავისი შემრცხვება მაინც და თავისუფლად ამოვისუნთქებ-მეთქი. მეგონა, იოლად და თავისთავად მოგვარდებოდა ყველაფერი... აი, მაშინ დავინახე მისი პაწაწინა, ციცქნა ფრჩხილები, თითქოს მზეს უჭუტავსო თვალებს, თითქოს უცინისო... გული ამიჩქროლდა, მაშინ ვიფიქრე, — წელეებზე ფეხებს დავიდგამ და ამ საცოდავს გადავარჩენ-მეთქი... იმის მეტად... მეტად აღარასოდეს მყვარებია... არა, არც მეცალა სიყვარულისთვის. მძიმე დრო იდგა — შიმშილი იყო ირგვლივ, სადგურებში ქერებივით ეყარა ხალხი, წამოდგო-

მის არაქათი აღარა ჰქონდათ. მივეკედლე ერთ ადგილს, აგურს ვთრაქავდი, მივშავდებოდი ბარაკში — ყველა ძვალი მტებს, წაქცევაზე ვარ, თავის მაღება ერთ რამედ მიღირს. გაგიგონია — ვინ გაცლის! უნდა ავდგე და იმას მივხედო. ვაჭამო, დავბანო, დავურეცხო. მერე კიდევ მეზობლებმა წამკამეს თავი, სული ამოგვხადა მაგისმა ჭყვილმაო... სიყვარულს მტკონდა! ამოიწრიტა, ძირშივე გახმა ჩემი სიყვარული...

— იმას, რაფას თუ მაინც უყვარდა ვინმე?

— მე რომ არ ვუყვარდი, ეს ნამდვილად ვიცი.

— თავისი თავი? — უკარნახა სულიმოვმა.

— აარა! — გადაჭრით მიუგო მოხუცმა. — ნამდვილად არა! თავისი თავი სულაც არ მოსწონდა.

— მაშ ეს სიცოცხლე ისე გალია, არავინ ყვარებია? შეიძლება განა ასეთი ადამიანი არსებობდეს? — დაეჭვდა სულიმოვი.

— ლუდკა კრასნუხინა უყვარდა, ისე იყო გადარეული — დაგკლავო, ემუქრებოდა... და კიდევ.. ის კი ნაღდად უყვარდა, გულით.

— ვინ? — დაინტერესდა სულიმოვი.

— პირატკა...

— რომელი პირატკა?

— ძალლი.

— მომეყევი, — უბრძანა სულიმოვმა.

— რა არის მოსაყოლი... ჩვეულებრივი ნაგახი იყო, ქუჩის ლეკვი, უფროსები „ჩასაძალღებელს“ ეძახდნენ, ბავშვები — პირატკას. ყველას ელაქუცებოდა. ერთხელაც თათი დაუბეჯეს კარგა მაგრად... რაფაშკას კი როდის რა წამოუვლიდა, კაცმა არ იცოდა, ხან ეშმაკი ჩაუსახლდებოდა გვამში, ხან უზომოდ კეთილი იყო... ჰოდა, შეეცოდა ის პირატკა, შინ მოათრია, უვლიდა, პურს აჭმევდა. ომის მეორე წელი იყო, ძალლის საჭმელ პურს ვინ მოგვაშავებდა, ჩვენც არ გვყოფნიდა. მოარჩინა მაინც, პირატკას თათი შეუხორცდა, ისეთი მხიარული, მოუსვენარი ლეკვი დადგა, საშველი აღარ იყო მისგან. ჩვენი ბარაკების ბავშვები, ვინც ცოტა ყოჩაღა იყო, სატვირთო სადგურში ათენ-ალამებდნენ... რაფაშკაც არ სცილდებოდა მათ. ერთხელ ლორის მოზრდილი ნაჭერი მოათრია საიდანღაც — სამხედროებს ყუთებს ვუზიდავდით და მიზიარესო — მითხრა. იქნებ მართლაც ასე იყო. სამხედრო მომმარაგებლები გულუხვი ხალხი იყო, რა ენადვლებოდათ, თავიანთ კუჭს აკლებდნენ თუ რა. ჩვენთვის კი, შრომით ილაჯგაწყვეტილებისათვის, ლორის ქონი დიდი სიკეთე გახლდათ — სანატრელი რამ, მაშინ ხორცის წიგნაკებზე მარტო ქაშაყს იძლეოდნენ... „შეინახე, დედი, მალე ჩემი დაბადების დღე მოდის, არასოდეს არ გადამიხდია“... სწორს ამბობდა, ისე ვცხოვრობდით, დღესასწაული რა იყო, არ ვიცოდით. რაფაშკას მაშინ, მგონი, თერთმეტი უსრულდებოდა... ღმერთო! ღმერთო! რა დრო იყო, ერთი ნაჭერი ლორის ლორის გამო თავი მდიდრები გვეგონა. ხან მე, ხან ის ჩუმ-ჩუმად კარადაში ვიცქირებოდით და თეფშზე დადებული ლორის ნაჭრის ყურებით ვტკბებოდით.

ერთხელ სამუშაოდან ვბრუნდებოდი. რაფაშკასაც შინ მოერბინა, როგორც ყოველთვის, თავისი საყვარელი პირატკა რომ მოენახულებინა. ეს წუწკი პირატკა კი თურმე იატაკზე წევს — კარადა გამოღებულა, თუფში ძირს აგდია — წევს და იმ ჩვენს ლორის ნაჭერსა ჭიძგნის... ამის შემხედვარე თვინიერი კაციც შეიშლებოდა, რაფაშკას გაგიჟებას კი რა უნდობა თვალები მთლად გაუთეთრდებოდა, ცხვირი წაუგრძელდებოდა, სანე შეეცვლებოდა. დიიახ... ჩააბა თავის პირატკას თოკი და გუბურისკენ წაათრია. ერთი ბინ-ქური, ჩამპალ-დანაგვიანებული, მაგრამ ღრმა გუბურა იდგა. გამოაბა თოკს აგური და ის შენი პირატკა თურმე წყალში მოისროლა... ამასობაში მეც მივედი, რაფაშკა სახეშეშლილი დამხვდა: პირატკამ ლორი შეგვიჭამაო! — მითხრა. მაშინვე მივხვდი, რაღაცას მოსწევდა იმ ჩვენს დამაქცევარ ქოფაკს და არც არაფერი მიკითხავს. მართალი გითხრათ, მეც გული დამეთუთქა — რამხელა იმედი გვქონდა იმ ქონისა! რაფაშკას ვუსაყვედურე: რადგან შინ მოიყვანე, უნდა მიგებედა-მეთქი კიდევაც. ის კი ხან დაჯდებოდა, ხან წამოხტებოდა, ხან მრგვალ თვალებს დამიკვესავდა. ფროსკა გრუბოვასთან ახალი შარვლის მოსაზომად წავიდეთო, — მითხრა, ველარ ისვენებდა... ერთი ხელის დადება ქსოვილი მქონდა შემონახული, რაფაშკას დაბადების დღისათვის შარვლის შეკერვას დამპირდა ფროსკა, ზაპრუნდის ქუჩაზე ცხოვრობდა. იმ საღამოსათვის ვყავდი დაბარებული მოსაზომებლად.

გამოვედით შინიდან, მზე ჩასულიყო, ბინდდებოდა, არ ვიცო, მოწყენილობის, არ ვიცო, შიმშილის გასაქარწყლებლად ვილაც გარმონს აწრიპინებდა. სამსახურიდან დაბრუნებული ხალხი შინ საქმიანობდა. ქუჩა ცარიელი იყო... ამ დროს რას ვხედავ — ქუჩაში პირატკა არ მობანცალებს! გახვედა რაფაშკა. მაშინ არ ვიცოდი, მერე ვავიგე, აგურგამობმული ძალღი ტბორში რომ გადაეგდო. ეტყობა, აგური თოკს მოსწყდომოდა, ძალღს ტბორი გამოეცურა და ახლა აგერ, შინისაკენ მოძუნძუნებდა! რაფაშკას თვალები გაეყინა, გან-გან წავიდა, ალბათ იფიქრა, აგერ-აგერ ისკუბებს და ბრჭყალებით ჩამაფრინდებაო. და აი, ამ დროს სასწაული მოხდა.. ის წყვეული პირატკა იმის ნაცვლად, რომ შეშინებულიყო და უკანმოუხედავად მოეცოცხა, პატრონისაკენ, მისკენ გამოეშურა ხოხვა-ხოხვით, აწკუტუნდა, კუდი ააქიცინა. ჰე, ჰე, ჰე! სასწაული ცხოველი იყო... რაფაშკა წეროსავით ცალ ფეხზე იდგა, პირატკა კი მის ირგვლივ დახტოდა, თითქოს უხაროდა კიდევ, თითქოს საყვედურობდა და პატიებასაც სთხოვდა... რაფაშკას უცებ მუხლი მოეკვეთა, გაიმხლართა, პირატკას ხელი სტაცა, ჩაიხუტა და აღრიალდა! თან ღრიალებს და თან ლოშნის ძალღს, ის კი წკავწკავებს, სახეს ულოკავს, სასაცილოც იყო და სატირალიც. პოდა, ამის შემდეგ სულ ერთად იყვნენ — სულ ერთმანეთს ლოკავდნენ. არ მახსოვს, რაფაშკას პირატკასათვის ერთხელ მაინც დაერთყას. საოცარია, ხუმრობითაც არ მოუქნევია ხელი. არ დაუცაცხანებია, თვითონ ლუკმას იკლებდა და ძალღს აქმევდა. ისიც დღედაღამ კუდში დასდევდა გამობმულივით. განა ეს სიყვარული არ არის? ოთხი წელი, იქნებ მეტიც გაგრძელდა ეს სიყვარული. რაფაშკა აიყლანწა, სახე დაფუფქულივით გაუხდა, თვალები კიდევ უფრო გამოუთეთრდა, — ვის გავდა, ვერ გაიგებდი, რაც იზრდებოდა, მით უფრო კუშტი ხდებოდა. პირატკა ხომ სულ ნადირს დაემსვავსა, ბანჯგვლი მოეთელა, ფეხები აეწოწა, პირი ყურებამდე გაეხლიჩა, ხასიათითაც მთლად პატრონს დაემგვანა. ხელს არ გაგანძრევინებდა, მაშინვე კბილებს დაგიკრეჭდა. კბილების

დაკრეჭას ვინ ჩიოდა: საკმარისი იყო რაფაშკას ვინმეზე თითო მარჯვერი — ქსა, ეციო! ვაჟკაცს წამოაქცევდა და აღარ დაეხსნებოდა. თვითონ რაფაშკა, ჯერ ისევ გაკნაჭული, დიდი ძალ-ღონის პატრონი არ იყო, მაგრამ რა ვინდა, სოფელში მაინც ბატონივით დაიჯიმიებოდა. წინ ვერაფერს გადამსწვრივად დალღობდა, ისე, გასართობადაც მიუსიანებდა ხოლმე ხან ვის და ხან ვის — იცოდნენ, რა ბიჭიცა ვარ და ძრწოდნენო. მტრისას, ისინი სოფელს დღეს აყრიდნენ. ჩვენი სოფელი კი ისეთი უკუღმართი იყო, მილიციაც ახლოს ვერ ეკარებოდა. ეს კია, ხელის გამოღება ყველას ეძნელება. კი იქადებოდნენ, მაგ პირატკას სულს ვაცხებინებთ და რაფაშკასაც ზედ დავაკლავთო, მაგრამ გაგიგია! ქაღილი ქაღილად რჩებოდა ვინემ ერთი წყნარი, მაგრამ მაგარი ვინმე არ გამოჩნდა, იმის შარვალს შეეწირა პირატკა... ბიჭმა ძეხვი მიუგდო ძალღს და ფეხები გააქიმიანა. ჩემსას ბარე ორი კვირა ჯიბით დაჰქონდა დანა. ნუ გეშინია, კიდევაც დაჰკლავდა, მაგრამ არც ის გამოდგა ჯაბანი. მაგრად დაუხვდა, შეხვდნენ, ილაპარაკეს ერთმანეთში და მერე გადამკვლარი დოსტები გახდნენ.

ევდოკია დადუმდა.

— მაშ, მარტო ძალღთან არ უმეგობრია? — დაარღვია ღუმილი სულიმომმა.

— ტყის მგელსაც ხომ მოაშინაურებს ხოლმე კაცი.

— ოჰო! მაინც ვინ იყო ასეთი, ეს ტყაური რაფაილი რომ მოაშინაურა? დიდხანს იმეგობრეს მერე?

— მთელი ცხოვრება იმეგობრეს, — მყის მოაგება პასუხი დედაბერმა, — ილია პუხოვი არ გაგიგონია? იმასთან მუშაობდა სიკვდილამდე.

— ლუდმილა პუხოვას ქმარი?

— სწორედ ის. ლუდკა რაფაშკას ხელიდან წაგლიჯა, მეგობრობა კი შეინარჩუნა. დიდი მარჯვე ვინმეა, ვისაც გნებავთ, თითზე დაიხვევს.

— არაყით ხომ არ თაფლავდა?

— მაგას ვერ ვიტყვი, ვერა! თვითონ წვეთს არ სვამს და ალბათ სხვასაც არ დააძალებდა.

სულიმოვი ბლოკნოტში ინიშნავდა რაღაცას.

ევდოკია ივი თვალით შესცქეროდა, რაღაცას ელოდა.

— ყველაფერი გამომტყუე? — შეეკითხა ბოლოს.

— ბევრი რამ. თუ კიდევ დამჭირდა, მოგაკითხავ. აგერ ოქმს შევადგენ, წაიკითხე და ხელი მოაწერე.

— იქნებ ჯერ ის მითხრა... — დედაბრის ჩაცვენილი თვალეში რაღაცას ითხოვდა, სათქმელს არ ამბობდა ბოლომდე.

— მაინც რა უნდა გითხრა?

— დიდი ჭკვიანი არ ყოფილხარ. საიდან არ მომიარე, რა არ მკითხე და მაინც ვერაფერს ჩახვდი! ვერ უყურებ, ჩემზე უფრო ის პუხოვი იინტერესებს! პუხოვია იმ უბედურების სათავე თუ მე?..

სულიმოვმა ცალყბად ჩაიციანა:

— ეს რა ბედი მხვდა ამჯერად! სხვა დროს ტყავიდან ძვრები კაცი, იქნებ დამნაშავეს მივაკვლიოო, აქ კი ერთმანეთს ეცილებიან, არა მე ვარ დამნაშავე და არა მეო.

— შენ კარგად აწონ-დაწონე, დაფიქრდი. ორი ადამიანია ამ უბედურების სათავე — ვანკა კლიოვი და მე. ვანკას ახლა რაღას დააძლებ, ვინ იცის, სად

ლპება მისი ძელები. თანაც არც ისე დიდი დამნაშავეა ვანკა. თუ ძუკნამ არ მოინდომა — ხვადი რას დააკლებსო. შვილს თვალითაც არ უნახავს. მე ვიყავი იმის გვერდით მთელი სიცოცხლე. ან იქნებ დედა არ აგებს პასუხს საკუთარ შვილზე?

— აგებს, აბა არ აგებს? საყვედურის ღირსი ხარ, მაგრამ ვნახე, რა აზრი აქვს ამას? უჩემოდაც თვითონვე ჩახვდი ყველაფერს.

— მე კი ჩავხვდი, მაგრამ შენ ვერ მიგახვედრე ვერაფერს. შვილი რომ ცუდად გავზარდე, მარტო ეს არ არის ჩემი დანაშაული. სხვა რამეშიც მწარედ ვარ შემცდარი. ჩემზე უკეთ ვინ იცოდა, რა უბედურება იქნებოდა ადამიანებისათვის ჩემი შვილი. მაშ რად ვდუმდა, ავმდგარიყავი და ხალხი გამეფრთხილებინა, დამეფარა, გადამერჩინა, მეყვირა, მემცნო ყველასათვის. არა, არაფერი არ გავაკეთე. ვგრძნობდი, ადრე თუ გვიან უბედურება უნდა დატრიალებულიყო, მე კი ვიდექი და შორიდან ვუყურებდი, თუმცაღა ვგრძნობდა, ადრე თუ გვიან რაღაც მოხდებოდა. ახლა მითხარი, შეიძლება კი ეს ეპატიოს ადამიანს?

სულიმოვმა მხრები აიჩეჩა:

— ადამიანებს, დედი, ცუდი მოქმედებისათვის სჯიან მხოლოდ, უმოქმედობისათვის ხალხი როგორ დავსაჯოთ?

— უყურე შენ, — აღშფოთდა დედაბერი, — ეს ხომ გჯერა, რომ კოლეა იძულებული გახდა ასე მოქცეულიყო? ამას ბრმაც კი დაინახავს. ის ბიჭი თავისით კი არ გაგიყებულა! განა მისი ბრალი იყო! სხვისმა სიავემ ჩაადენინა! თქვენი კანონი კი მისწრებაზეა! მთელი ცხოვრება ამ ორფეხა ურჩხულს მე რომ ვზრდიდი, ეს არაფერია, ეს კანონს არ ენალვლება, ხომ?! გეტყობა, ბევრ მაგნაირ უდანაშაულოს ციხეში უკრავთ თავს, დამნაშავეებს კი სწყალობთ! ეგ არაფერი, ხომ! სინდისი არავის გქენჯნით, ხომ?

— სინდისი იქნებ მქენჯნის კიდევ, დედი, მაგრამ საქმეში ხომ ვერ ჩავაკერებ მას.

— საქმეც ეგაა! საქმეც ეგაა, რომ უსინდისოდ სჭრით და კერავთ. გეტყობათ, დიდად არაფრად გეპიტნავენათ ეგ სინდისი! ჩემი მაგალითი კმარა საამისოდ! ხომ დაუფარავად ვალიარებ — უკულმართულად ვაცხოვრე, კეთილ ხალხს საჯაყი არსება გავუზარდე-მეთქი. ახლა თუ ეს მეპატია, სხვაც ასე იზამს, სხვებიც დაზრდიან ასეთ ოხრებს! რა ენალვლებათ, რა, მაინც არავინ მოჰკითხავთ პასუხს! ავი დაითესება! დაილუბება ხალხი! გათახსირდება ქვეყანა! იწამე ცოდვა-მადლი, დედაშვილობას, სხვა თუ არაფერი, განა თვითონ არ გაშინებს ასეთ ცოდვით სავსე წუთისოფელში ყოფნა? ჭეელი კაცი ხარ, ცხოვრება წინა გაქვს, ნუთუ წიში არ გზარავს, რომ ჩემნაირი კუტად მჯდარნი ცხოვრებას ჩაგიმწარებენ? საკუთარი თავი მიანც არ გებრალეება, ბიჭო?

სულიმოვს უცებ გუნება წაუხდა — დღეს უკვე მერამდენედ სულ სხვადასხვა ადამიანებისაგან გაიგონა ერთი და იგივე.

ამ დროს მეცხრე „ა“-ში ისტორიას გაკვეთილი მიმდინარეობდა. გაკვეთილმა მოულოდნელად ყველა გაიტაცა.

დახდიმანდი და კობტა ახალგაზრდა მასწავლებელი ბორის გეორგიევიჩი ორი წლის წინ დამშვიდობებოდა სტუდენტის მერხს. იგი ჩვეულებრივსამებრ ცოცხლად, რიხიანად, გატაცებით ყვებოდა „ნაროდნაია ვოლიას“ და „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირზე“.

...მშვიდი ბუნებისა და ფხიზელი ყოფილების დურგალმა სტუდენტმა ხალტურინმა ზამთრის სასახლე ააფეთქა: დაიხოცა ფინეთის პოლკის ორმოცდაათი ჯარისკაცი, მეფე და მისი სახლეული კი სადსალამათი გადარჩა. ოღონდ ეს იყო, დარბაზში იატაკი ამოიბურცა და ჰესენის პრინცის საპატივცემულოდ გაწყობილი სასადილო მაგიდიდან ჭურჭელი გადმოცვივდა... მეორე წელს კი ოცდახუთი წლის იგნატ გრინევიცკის ნასროლმა ყუმბარამ სიცოცხლეს გამოასალმა მეფე და თვით გრინევიცკიც...

მოკლა, რათა თვითონ სიცოცხლე შესძლებოდა!.. — ბავშვები სულგანაბულნი უსმენდნენ.

ბორის გეორგიევიჩი ჩვეული რიხით ამტკიცებდა: ტერორის გზამ სასიკეთო ვერა მოუტანა რა რუსეთს განთავისუფლებისათვის, მოკლული მეფის ნაცვლად ახალი მეფე დაჯდა და „პობედონოსცევმა რუსეთს ფრთები ბუჟავით გადააფარა“...

ბორის გეორგიევიჩს უყვარდა გაკვეთილის ლექსებით შელამაზება. ბავშვები ამ გაკვეთილსაც ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ... მაგრამ დამარცხების შემდეგაც გმირები მაინც გმირებად რჩებიან.

ქალაქში დღემდე დადიოდა ქიმკომბინატის მშენებლობასთან დაკავშირებული ლეგენდა. ერთმა წამყვანმა ინჟინერმა თურმე წინადადება წამოაყენა, ქარხნის დამონტაჟებისას გეგმაში ზოგიერთი ცვლილება შეეტანათ — ასე საქმეც გაიოლდება და ეკონომიკური ხარჯებიც შემცირდებაო. ინჟინერმა სიმტკიცე გამოიჩინა, თავისი გაიტანა და მონტაჟს თვითონ უხელმძღვანელა. როცა გამოცდამ წარმატებით ჩაიარა და მიღების აქტსაც ხელი მოაწერეს, ინჟინერი რატომღაც დაეჭვდა, ხელმეორედ გადაიანგარიშა ყველაფერი და შეძრწუნდა: თურმე ისეთი უმნიშვნელო შეცდომა დაეშვა, სხვას ეს თვალში არ მოხვედრია, მაგრამ ამ უმნიშვნელო წვრილმანს კი, წარმოების მთლიანი დატვირთვისას, ყოველ წამს შეეძლო კატასტროფა გამოეწვია. აფეთქდებოდა აქაურობა, გამოიყოფოდა მომწამვლელი გაზები, შეიწირავდა ადამიანთა სიცოცხლეს და მთელი კომბინატი მწყობრიდან გამოვიდოდა! გამოსავალი ერთიდაპქონდა — ვიდრე გვიან არ იყო, ელიარებინა თავისი შეცდომა და თავი დაედანაშაულებინა, მაგრამ გაგიგონიათ! კომპეტენტურმა კომისიებმა ჩაიბარეს სამუშაო, ანგარიშები დაიგზავნა, ვადები არ დარღვეულა, ეკონომია გაკეთდა, პრემიები გაიცა, მადლობები ჩამორიგდა... ეს ყველაფერი კი უნდა გაუქმებულიყო, ხოლო მონტაჟი ძველი სქემის მიხედვით თავიდან უნდა დაწყებულიყო! ამის გაგონებაც კი არავის სურდა. ინჟინერი თვითონ იბრალებდა ყველაფერს, მზად იყო სასჯელიც მიეღო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა — ყველაფერში გაამართლეს. კომბინატი გასაშვებად მზადდებოდა. მაშინ ინჟინერმა თავგანწირული ნაბიჯი გადადგა. ადგა, მშენებლობის ხელმძღვანელი ორგა-

ნიზაციის უფროსა შავიდაზე განცხადება დაუდო და ჯიბიდან ამპულა ამოი-
ლო: „ამ ამპულაში კალიუმციანიდი, თუ ხელი არ მოგიწერიათ, თქვენ თვალ-
წინ გადავყლაპავ და აქედან მკვდარს ვამიტანს! მირჩევნია ისევ მე მოვკვდე,
ვიდრე ჩემი სისულელისა წყალობით სხვები დავლუპო!“

ეს ამბავი იქნებ გაბუქულიც იყო მიტქმა-მოთქმის შედეგად. მაგრამ არ-
კადი კირილოვიჩამდე ასეთი სახით მოაღწია. ახლა იგი ~~ამ თვითმხილველი~~
ინჟინერის ტყავში გრძნობდა თავს, განსხვავება ერთი იყო — ინჟინერმა იცო-
და, სად შეცდა, არკადი კირილოვიჩი კი თავის შეცდომას ჭერჭერობით მხო-
ლოდ ბუნდოვნად გრძნობდა. მომხდარმა საშინელმა ამბავმა აუწყა, რომ შეც-
დომა დაშვებული იყო, მაგრამ სად შეცდა და როგორ გამოასწოროს ეს შეც-
დომა, გარკვეული არ ჰქონდა.

დირექტორი არ აპირებდა თვითმხილებას: „კორიაკინების ოჯახის ტრაგე-
დიასთან სკოლას არავითარი კავშირი არა აქვს!“ და იმის დაცვას შეეცდებო-
და, ვისთან ერთადაც ცდებოდა. მაგრამ ამ ერთ კატასტროფას სხვაც რომ მოჰ-
ყოლოდა?..

ახლა მარტოოდენ ვასილი პოტეხინს სჯეროდა, რომ ამ ამბავში მასწავლე-
ბელ პამიატნოვს მიუძღოდა ბრალი. კაცი რომ დაფიქრდეს, საოცარიც კი იყო:
ამ კაცს არც მასწავლებლისა ეცხია რამე, არც ჰკუთითა და გამჭრიახობით უსკ-
დებოდა თავი, მაგრამ კბილი კი მაინც იმან დაადგა. ასე იძახდა, თქვენი წყა-
ლობით მწარე გამოცდილება მივიღეო, ოღონდ, რა გამოცდილება იყო ასეთი,
წესიერად ვერ ახსნა. არც არკადი კირილოვიჩს ეცალა მაშინ მოსასმენად. მაგ-
რამ რადგან რაღაც შეგამჩნიეს, ხელს ნუ ჩაიქნევ, ადექი და გამოარკვეე, მა-
ინც რას გდებენ ბრალად. ვინაიდან ასეთ დროს სულ უმნიშვნელო წვრილმან-
საც კი აქვს მნიშვნელობა.

არკადი კირილოვიჩი ადგა და მტკიცედ გაემართა მენდელეევის ქუჩი-
საკენ.

აგერ ისევ ის სადარბაზო, ისევ ის კიბე, ზემოთ, მეხუთე სართულის იმ ბი-
ნაში ალბათ ჭერაც არ მოუწმენდიათ პარკეტზე დანთხეული სისხლი. სადარბა-
ზოს წინ უდარდელად თამაშობენ ბავშვები, სკამზე ბებიები ჩამომსხდარან,
ჩვეულებრივი მოწყვნილობა სუფევს კიბის ბაქნებზე, რომელიღაც კარიდან
შჩის ოხშივარი გამოდის. მისდათავად ცნობრება, სამწუხაროდ, მალე ივიწყებს
ყველაფერს. ტრაგედიის კვალი კაობივით სწრაფად იკრავს პირს, ყველაზე
დიდხანს ადამიანის სული ინახავს ტკივილს. ვის შეუძლია გითხრას ახლა, რო-
მელ ოთახში მოკლა ივანე მრისხანემ კვერთხით თავისი ვაჟი, მაგრამ ამ მკვლე-
ლობის ამბავი დღემდე არ წაშლილა ადამიანთა მეხსიერებაში.

არკადი კირილოვიჩი ვასილ პოტეხინის სამსახურის მისამართის გასაგე-
ბად მივიდა, მაგრამ პოტეხინი მოულოდნელად შინ დაუხვდა. სამსახურიდან
გაეთავისუფლებინა თავი, რათა ამ თავზარისაგან გამორკვეულიყო.

მან არკადი კირილოვიჩის პირისპირ დაიდგა სკამი, ზედ მტკიცედ დაჯდა,
ნიკაპი წინ წამოავდო, მარზე მყოფი კაცის ზიზლიანი გამომეტყველება და-
ეტყო.

— თუ იმისათვის მოხვედით, რომ გადამათქმევინოთ, ტყუილა გარჯილ-
ხართ. — განაცხადა მან.

— რა უნდა გადაგათქმევინოთ? — განცვიფრდა არკადი კირილოვიჩი.

— განა იმისათვის არ მობრძანდით, ჩემი გოგო თქვენი სკოლიდან არ წავიყვანო?

— არა, ვასილი პეტროვიჩი, ისევ მინდა მოვისმინო, რასაც წუხელ შეუბნებოდით.

ეროვნული

ბიბლიოთეკა

— იქნებ გგონიათ, ახლა უფრო დაგიტკბებით?

— მე ახლა დატკობა არ მჭირდება, მწარე სიმართლე მინდა ვიცოდე, ასე რომ, ნუ მომერიდებით — ყველაფერს მოვითმენ.

— ახლავა მივხვდი, უწინ რატომ არ უყვარდათ მღვდლები.

— მღვდელსა ვგავარ?

— ზედ გამოჭრილი მღვდელი ხართ. სიკეთე თესეთო — ლამაზი ზღაპრებით აცდუნებთ ხალხს.

— აი, სწორედ ეგ ამიხსენით.

ისედაც ამაყად გაჩვიმული ვასილი პეტროვიჩი ამ სიტყვების გაგონებაზე კიდევ უფრო გაიბერა და გაიბლინდა, ხელები მუხლებს დააბჯინა, იდაყუები აქეთ-იქით გაჩაჩხა, უსიცოცხლო თვალები სადღაც შორეთს მიაშტერა. ქეშმარიტ ქანდაკებად იქცა კაცი — ალბათ ახლა მეხივით დაატეხს სიმართლეს!

— ხომ გაგიგიათ — სწორი ხაზი მრუდზე უფრო მოკლეაო? როგორც გეომეტრია ბრძანებს. ყველას ასე სწამს, მაგრამ იმის შესმენა არავის უნდა, რომ ცხოვრების გეომეტრია სულ სხვანაირია. იქ მრუდე გზა მუდამ სწორეზე მოკლეა.

— ეს თქვენი აღმოჩენაა თუ გიკარნახათ ვინმემ? — დაინტერესდა არკადი კირილოვიჩი.

— მიკარნახა! — მოუჭრა ვასილი პოტეხინმა, — მიკარნახა და დამსაჯა კიდევაც.

— გორდინმა?

— სწორედ იმან! წმინდა მოწამე გახლავთ. დამნაშავე ვარ მის წინაშე.

— თქვენ არ იძახდით წინათ — თვალისამხვევიაო! სცდებოდით მაშინ?

— არა ვცდებოდი. ასედაც არის.

— გაქნილი კაციაო.

— ეგეცაა.

— ყველას და ყველაფრის შემგუებელიო, თუ მახსოვრობა არ მალატობს?

— ესეც შეიძლება ითქვას.

— ამასთან კი წმინდანიც არის?

— ეს ქვეყანა მასეთებით სულდგმულობს!

— მაინც რითი დაგარწმუნათ ასე?

— სიმართლით!

— ნუ ძუნწობთ, ვასილი პეტროვიჩი, უფრო დაწვრილებით ამიხსენით. ვასილი პოტეხინი ცოტა მოტყდა, რიხი მოაკლდა.

— ჭკვიანი პოტეხინი ასწავლიდა უჭკუო გორდინს, — წამოიწყო ბუზღუნით და გვერდზე გაიხედა, — არ შეიძლება გაზის მიღების გაყვანა შეღებულ კედლებზე და არც პარკეტის აყრა მიღების ჩასაწყობადო. მერე უნდა მიდგე და ხელახლა ღებო, დააგო, შეაკეთო, კეთილინებე, ამხანაგო გორდინ, და წესის მიხედვით იმოქმედე, ლარს და ხაზს ნუ გაამრუდებო. ტყუილა რად

უნდა გადაიყაროს ამდენი ფულიო. ამ დროს კი მიღები არ არის და არც ის იცი, როდის იქნება. შენ კი ელოდე და არც იმას გაუწიო ანგარიში, მუშები რომ მოცდებიან და მშენებლობა გეგმას ვერ ასრულებს, არც იმას, პროშიალურს რომ ველარ მივიღებთ. შეხედავს მუშათა კლასი, ჩემს კუთვნილ მანეთს ვკარგავო, და, შენგან გაწბილებული, იქით გაქანდება, სადაც პეტროვიჩს მიართმევენ. ჰოდა, დაიწყება მუშახელის დენადობა! გავიგონიათ ასეთი სიტყვა? ამაზე საშინელი არაფერია, შემოგეფანტება კვალიფიციური მუშები... რა უნდა იღონო? რა და ქუჩა-ქუჩა უნდა მოაგროვო ათასნაირი ლოთბაზრები, სხვა ადგილებიდან გამოძევებული ნაყარნუყარი ხალხი. სულ მოაშთო მშენებლობა, ზარალი მოუტანო ქვეყანას, მაგრამ პატარა კი არა, როგორისაც ჰქვია პოტეხინს ეშინოდა, არამედ მილიონობით ზარალი! სამაგიეროდ გეომეტრიულ სწორ ხაზს არ გაამრუდებ. ის უვიცი გორდინები კი, ამ გეომეტრიის გაგონებაც რომ არ სურთ, მოხერხებული ხალხია, როცა საჭიროა, თვალის ახვევას არ ერიდებიან... თავიანთი სიმარჯვით და მოქნილობით მილიონებს უნარჩუნებენ ქვეყანას... მადლობა უნდა ვუთხრათ იმ გორდინებს, ისინი რომ არა, ეს სწორხაზოვანი ჰკუისკოლოფები გადააყირავებდნენ ქვეყანას!

— თქვენი აზრით მე იმ სწორხაზოვან ჰკუისკოლოფებს განვეკუთვნები? — ჰკითხა არკადი კირილოვიჩმა.

— ყველაზე საშიშო. მეც რომ ვერ შევედრები.

— შერედა, როგორ გამოვსწორდე? ბავშვებს ვასწავლო, პირდაპირ ნუ ივლით, ცხოვრებაში მრუდე გზა ეძებეთ-მეთქი?

— სწორხაზოვნობას გეომეტრიის სახელმძღვანელოთი ნუ ასწავლით!

— მე მგონი. არც ვასწავლი ამას.

ვასილი პეტროვიჩი ისე აღშფოთდა, კიდევაც შეხტა.

— არ ვასწავლიო! მაშ რას ასწავლით ბავშვებს?

— თუნდაც რუსულ ლიტერატურას. ეს ლიტერატურა კი იმით არის ცნობილი, რომ სხვაზე უკეთ ერკვევა წუთისოფლის ავ-კარგში. დიახ, რთული, დიახ, დაბურღული ცხოვრების ავ-კარგში.

— თქვენ ასწავლით: პატიოსნებაა ყველაფერიო?!

— ვასწავლი.

— სიავე არ ჩაიდინოთო, ასწავლით?

— ვასწავლი.

— ძლიერს ნუ შეუშინდები, თვითონ დაზარალდი და სუსტს დაეხმარეო, ამასაც ხომ ასწავლით?

— ამასაც ვასწავლი.

— ხედავთ! — გამარჯვებულის სიხარულით შესძახა ვასილი პეტროვიჩმა, — მაშ ამას არ ჰქვია სწორხაზოვანი ცხოვრება! აბა ეს არაა წიგნის გეომეტრია? ცხოვრება რთულიაო, ცხოვრება დაბურღულიაო, შენ კი მიდი და სწორხაზოვნად, პირდაპირი გზით იარეო!

— მაშ თქვენ გინდათ უსინდისობა, უპატიოსნობა, გაიძვერობა ვასწავლო? ავის ჩადენის შემთხვევა არ გაუშვა ხელიდან, ძლიერს წინ ნუ აღუდგები, სუსტს ნუ დაეხმარები-მეთქი, ეს შთავაგონო? ნუთუ თქვენ გინდათ, ვასილი პეტროვიჩ, ასეთი იყოს თქვენი სონია?

— მე მინდა... — ვასილი პეტროვიჩს სუნთქვაც კი შეეკრა აღშფოთებისაგან, — მე ერთი რამ მინდა — ჩემი სონია ბედნიერი იყოს. შეგუების უნარი

ქონდეს! წინასწარ იცოდეს, რომ ამ წუთისოფელში ძნელად ასავლელი აღმართებიც შეხვდება და უფსკრულებიც. პირდაპირ გზით ვერ ივლი, შემრგლა მოგინდება, გვერდის აქცევა... თუ ხერხდება ეს ნამუსიანი ცხოვრება, კი ბატონო, იცხოვრე. თუ არადა, მოქნილობა გამოიჩინე, მამაშენს ნუ დაემგვანები, შუბლით რომ მოინდომა კედლის განგრევა და კიდევაც გაიხეთქა ^{არაფის მშენს} ჩახვდეს ჩემი გოგო, კარგად ჩახვდეს, რომ ყველასათვის კეთილი და საყვარელი ვერ იქნება და ნურც სხვათაგან მოელის დიდ სიყვარულსა და სიკეთეს. ბრმაღარ დაეტაკოს მასზე ძლიერს, თორემ კისერს მოიტეხს, ვისაც შეუძლია მისი წელში გატეხვა — იმას ფრთხილად მოექცეს, თუ გაჭირდა საქმე, ქედიც მოიღრიკოს. მინდა შტერი და მიამიტი არ გაიზარდოს. აი, რა მინდა მე! გასაგებია?

— თუ გესმით, ვასილი პეტროვიჩ, ამ ანდაზის აზრი: ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო?

— მესმის და მეტი არა! თქვენზე უკეთ მე მესმის ახლა ეგ ანდაზა. ჩასძახე, მაგრამ ფრთხილად, თუ საჭიროა ჩასჩურჩულე, თუ საჭიროა ჩაპლრიალე კიდევ. ოღონდ ჭკვიანურად, მერე ვაიმე რომ არ გაყვირონ, ისე, აი, ეს გამოსადეგი მეცნიერება რომ გესწავლებინათ ჩემი სონიასათვის, პირველი მე ჩაგივარდებოდით ფეხებში.

— ყველას ვასწავლო ეს თუ მარტო თქვენს ქალიშვილს?

— ყველას, ყველას, რათა ბენტერები არ გაიზარდონ!

— მაშინ რაღა გამოდის, ვასილი პეტროვიჩ, — ყველა ჩახვდება ამ სიბრძნეს, ბენტერა აღარავინ იქნება, გაქნილები გამოვლენ, ერთმანეთს მოატყუებენ, კისერს მოუგრებენ შედარებით სუსტს... მეტად ცუდ ქვეყანაში მოუწევს სონიას ცხოვრება. ეს არ გაშინებთ?

— მერედა რა ვქნა, თუ ქვეყანა აირია და კარგს არ იმსახურებს, მაინც ვაქო? შეცვლით უკეთესით ვერ შევცვლი, არ გამოვა! ამიტომ მეტი რა ჩარაა, უნდა შევეგუოთ როგორმე.

— ამ ქვეყნის სხვა ქვეყნით შეცვლა არ გამოვა, მაგრამ გამოსწორება ხომ შეიძლებოდა გვეცადა...

— გამოსწორებათ! — წამოიჭრა ვასილი პეტროვიჩი. — ღმერთმა დაგვიფაროს! ის გამომსწორებლები კიდევ უფრო დაამახინჯებენ მას. მე არ ვიყავი, გამოსწორება რომ მოვიწადინე? და აკი ვიწვნიე კიდევ შედეგი! ახლა, აგე, კოლია კორიაკინმა მოინდომა ცხოვრების გამოსწორება... მოგწონთ, როგორც გამოასწორა? ნუ, ნულარ ასწავლით კოლკას და სონიასნაირ ბავშვებს ცხოვრების გამოსწორებას! არ არის ეს საჭირო! თორემ ისე გამოასწორებენ, კოსმოსში გასაქცევად გაგვიხდება საქმე!.. თუმცა რატომ გაფრთხილებთ — უკვე ასწავლეთ, რაც სასწავლებელი იყო! მაინც აღარ ეშვებით? კიდევ გინდათ ასწავლოთ! თქვენნაირი მასწავლებლები ერთად უნდა შეკრა და ცხრაკლიტულში ჩავეტო, ისე რომ, ველარავინ ნახოს და ვერც თვითონ ნახონ ვერავინ.

— შეიძლება ცუდად ვასწავლი, შეიძლება, რაც საჭიროა, იმას არ ვასწავლი, — დაეთანხმა არკადი კირილოვიჩი, — მაგრამ დაფიქრდით, სანაცვლოდ რასა მთავაზობთ — შეგუება, თავის გადარჩენა ასწავლეთო, არავინ შეიცოდონო! ასე რომ გაგაკეთო, მაშინ გამოდის, მთლად უნდა დავკარგოთ იმის იმედი, რომ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც უკეთესი გახდება ეს ქვეყანა. ასეთი საზიზღარი სამყაროდან კოსმოსში გაქცევასაც არა აქვს აზრი, რადგან გაქნილო-

ბა, გაიძვერობა, გაუტანლობა ჩვევად გვექცევა, ძვალ-რბილში გაგვიჭდება. მათ ძველი ტანსაცმელივით ვერ გამოვიცვლით, თან წაგვყვება, სადაც არ უნდა გავიქცეთ, ყველგან მოწამლული გვექნება ცხოვრება.

ვასილი პეტროვიჩს წვრილი ნაკვთები აუკანკალდა, თუმცა შუბლი კი დიდი, მოტვლებილი ჰქონდა და ნიკაპიც ნებისყოფის მქონე კაცისადაც ვალები მოეწკურა, ტუჩ-პირი მოედრიცა და ქალივით შესწივლა:

— რას დავეძებ მთელ ქვეყანას! მთელ ქვეყანას მე როგორ გავასწორებ! ან სონია კი გაასწორებს? ჯერ ჰკუიდან არ შევშლილვარ! ვიცი, ვერც მე და ვერც ჩემი სონია ვერ გამოვდგებით ვერც ნაპოლეონად და ვერც მარქსად! მე ერთი პატარა კაცი ვარ და ვერც ის გაიქაჩება დიდზე. სულ მცირე რამე მინდა, დიდს არაფერს ვითხოვ — ჩემმა შვილმა იცხოვროს ბედნიერად. სხვები კი აღგნენ და უჩემოდ მოაწყონ ის თავისი ცხოვრება... თქვენ კი... ერთს ხომ უკვე დაუბნით გზა-კვალი, ახლა ჩემს ქალიშვილსაც აურევთ ასავალ-დასავალს. ისეთ რაღაცას ჩაიდენს, ცხოვრებას გაიუკუღმართებს... თქვენ, თქვენ... მტერი ხართ ჩემი, მტერი!

არკადი კირილოვიჩმა დაკვირვებით შეხედა ვასილი პეტროვიჩს. იცოდა, მისთვის ახალი არ იყო. ეს კაცი რომ მტრული თვალით უყურებდა. სწორედ ამიტომაც მოვიდა აქ. მხოლოდ მტერს შეუძლია ისეთი რამ შეგამჩნიოს, რასაც შენი თვალთ ვერ დაინახავ. მაგრამ ეს რა მტერია? მტერს კი არა, სასაცილო, გამძვინვარებულ კურდღელს ჰგავს კაცი!

— ეტყობა, ჩვენს შემდგომ კამათს აზრი აღარა აქვს, — არკადი კირილოვიჩი წამოდგა.

— მშვიდობით!

ისევ ძველებურად იყო შეშფოთებული, ისევ ძველებურად დაბნეული.

თუ სად მოეთავსებინათ კოლია კორიაკინი, თურმე არც ისე იოლი გადასაწყვეტი ყოფილა. სისხლის სამართლის კოდექსის 393-ე მუხლში მითითებული იყო: „არასრულწლოვნები, რომლებიც დაკავებულნი ან წინასწარ პატიმრობაში არიან აყვანილნი, უფროსებისაგან და მისჯილ არასრულწლოვნები-აგან გაცალკევებულნი უნდა იყვნენ“. ასე რომ, ნიკოლაი კორიაკინისათვის ისეთი საკანი უნდა შეერჩიათ, სადაც ჯერ მიუსჯელი არასრულწლოვნები იქნებოდნენ.

მიუსჯელი არასრულწლოვნები კი ახლა მხოლოდ ორი ჰყავდათ: ვინმე კოპიტინი და ოსენკო. ერთი ჩვიდმეტი წლის ოყლაყი იყო. თხუთმეტი წლის დასთან შემოიტყუილებდა თურმე კარგა მაგრა გამომთვრალ მივლინებით ჩამოსულებსა და პირწმინდად ფცქვნიდა. მეორე — ავადმყოფური, სუსტი აღნაგობის ოსენკო, მეტსახელად „ვალკა-თვალა“, გვიან სალამობით გამოდიოდა „სანადიროდ“, შეარჩევდა ყველაზე დარბაისელ ძიებს და აუხირდებოდა. როცა მოთმინებიდან გამოსული დარბაისელი ძია ლაწირაკის ჰკუის სწავლებას განიზრახავდა, დროს იხელთებდა, სამართებლით დაუსერავდა სახეს, თანაც ისე, თვალი რომ დაეზიანებინა, და მიიძალებოდა. ამას გაძარცვის მიზნით როდი სჩადიოდა, უბრალოდ, თავის უპირატესობას ამტკიცებდა.

მათთან კოლია კორიაკინის შეყვანა უგუნურობა და საცოდაობა იქნებოდა. ვინ იცის, რა გავლენას მოახდენდა ეს ორი დამნაშავე ბიჭზე, მეორე მხრივ, ბიჭი ცალკე საკანში გამოკეტო და საკუთარი დანაშაულის ბირისპირ დატოვო, ესეც საშიშია. ყმაწვილები ხომ საერთოდ ცუდად იტანენ მარტობას, რამდენიმე დღის შემდეგ ყველაზე ჯანმრთელიც კი, როგორც წესი, უკვე ემსგავსება.

და მაინც ჯერჯერობით ბიჭის მარტო ყოფნა ჯობდა. სასამართლომდე ორისამი დღით ადრე სულიმოვი აპირებდა გამოეშვა კოლია. ცხადი იყო, ეს ბიჭი სასჯელს არ გაექცეოდა.

ოთახი, სადაც კოლია კორიაკინი მოათავსეს, იმ ბნელ, ჭერთან გამოჭრილ სარკმელზე ცხაურაკრულ ქვის საკანს როდი ჰგავდა, კინოში ან ტელევიზორში რომ ენახა. ამ ოთახს დიდი ფანჯარა ჰქონდა, ოღონდ შიგ სქელი, ბოთლის ძირივით გაუმჭვირვალე მინა იყო ჩასმული, შუქს ატარებდა, მაგრამ არაფერი კი არ ჩანდა. ვერ მიხვდებოდი, გარეთ ღამე იყო თუ დღე ჩახჩახებდა, წვიმდა თუ მოღრუბლული ამინდი იდგა. ზედა საწოლი, მატარებელში რომ არის ხოლმე, ისე აეკეცათ კედელზე, მეორე დაშვებული იყო და რუხი ფანელის საბანი ეფინა. შუაში ვიწრო მაგიდა, კართან, კუთხეში კი უნიტაზი იდგა.

ძლივს მარტო დარჩა ბიჭი. ახლა აღარავინ შეუშლის ხელს მარტო იყოს მამასთან ერთად.

მამა... ხელში შეუხტა თოფი, კონდახმა ძაგრად დაარტყა მხარზე, მამა ნელა, თითქოს უსაშველოდ ნელა ეცემა მისკენ მიმართული თოფისაკენ... ამობრუნებულმა მკლავმა, მოკრუნჩხულმა თითებმა ვერ მოასწრეს ლულაზე ხელის წაღება... მამის აჩეჩილი, დიდი ხნის გაუკრეჭავი, აბურღული თმა, წებოვანი შავი სისხლის ზოლი პარკეტზე... მამა...

მამის სიძულვილი ახლა აღარ შეეძლო კოლიას. მთელი სიძვე პარკეტზე დანთხეული სისხლით ზლო მამამ. სიძულვილი აღარ შეეძლო, ხოლო დავიწყებისთვის მიეცა, არ ეფიქრა მამაზე, არც ამის ძალა შესწევდა.

იგონებდა მამას და ახლა, როცა ხელს აღარავინ უშლიდა, მკლავამობრუნებული მამისადმი აუტანელი, გულდამთუთქველი სიბრალული შემოგზნებოდა. ვერა, ვერსად გაექცეოდა ვერც სიბრალულს, ვერც სინანულს და... ვერც საკუთარი თავისადმი სიძულვილს.

კოლიამ დედაზე ფიქრი სცადა, ვაუბედურებული, მთვრალი მამის მიერ ნატანჯ დედაზე. მაგრამ თვალწინ მყის მამის ამობრუნებული მკლავი და დიდი ხნის გაუკრეჭავი დაბურღული თმა ამოუცურდებოდა. განა შეიძლებოდა ახლა დედის უბედურების შედარება მამის უბედურებასთან? დედა ქრებოდა, დედა უჩინარდებოდა, მამა ეუფლებოდა მის არსებას.

იმ დღეს არაერთხელ გაუელვა ყოვლად უბრალო ფიქრმა: „განა მამა ყოველთვის ცუდი იყო...“

ახლაც მოეძალა ეს ფიქრი, მეხსიერებაც დაუზარებლად წამოეშველა. გონებაში ამოუტივტივდა თითქოს სულ უბრალო, უმნიშვნელო შემთხვევები, წინათ ძილშიც კი რომ არ ზმანებია, დაბურა, წაშალა ძველი, საზარელი ამბები. დაუმშვიდა და ამასთან კიდევ უფრო დაუწეწკა გული...

ექვსი წლის თუ იქნებოდა მაშინ, ჯერ სკოლაშიც არ დადიოდა. ფანჯრის მიღმა, ქალაქში გაზაფხული იდგა, ის-ის იყო წამოუშინა შხაპუნა წვიმამ, ფანჯარას ისევ აჩნდა გამჭვირვალე წვეთები. სახურავების ზემოთ, ლურჯ ცაზე

სადღაც გარბოდა დაგვიანებული ღრუბელი. ღია სარკმელში აყვავებული ალ-ვების სურნელი იფრქვეოდა.

მიუსაფარი და მღუმარე იყო ანგრეული ოთახი. დედა ხამზარეულოში მი-მალულიყო და იქიდან ჭურჭლის გულისწამლები წკრიალი მოესმოდა. ის-ის იყო გაღვიძებოდა მამას, მძიმედ ჩამომჯდარიყო აწეწილ-საწეწილ-წინაცრული სახე მოჭმუჭვნოდა, ქუთუთოები ჩამობეროდა, თვალებს სხივი წართმეოდა. დიდრონი შიშველი ფეხები ძირს ჩამოეყარა, თითქოს უძვლო და უძალო ჩანდა ეს ფეხები. არც კი სჯეროდა, რომ მამა სხვა ადამიანებივით ფეხზე წამოდ-გომას და გავლას შეძლებდა. გუშინ საღამოს მამა საშინელი იყო. კოლკამ და დედამ მეზობლებს შეაფარეს თავი. დღეს იგი საშიში აღარაა, უქეიფოა და ალბათ საკუთარი თავიც ეჯავრება.

ღია სარკმელში უცებ ჩრდილი გაკრთა და ოთახი ფრთების შრიალ-ფათქუ-ნით აივსო. გამჭვირვალე გუნდა ჯერ რუხ ჭერს მიასკდა და კოლკას თავს გადა-ეფლო, მერე ხან ერთ კედელს მიენარცხა, ხან მეორეს. დაუბატიყებელი სტუ-მარი ციცქნა ჩიტი გამოდგა. ეტყობა, მიხვდა, რა დიდი შეცდომა დაუშვა, ამ ვიწრო, ჩახუთულ, საზარი ღუმლით მოცულ სამყაროში რომ შემოიჭრა. ერთი შეითამაშა და უკანვე, სივრცისაკენ, ლურჯი, მზით გაქდენთილი წვიმით განბა-ნილი სივრცისაკენ, ყვაფილთა სურნელისაკენ გაფრთქილდა, მაგრამ მინას შე-ასკდა და რეტდასხმული ფანჯრის რაფას დაენარცხა. კოლკა დასაქერად მიე-ტანა...

ხასხასა ყვითელი გულმკერდი ჰქონდა, ნაცარა ზურგი, ცისფრად ლივლი-ვებდა ფრთების ბუმბული. მკვდარივით ბინდა გადაკვროდა თვალებს. ფაფუკი ბუმბულის ქვეშ გამალებით ფეთქავდა ციცქნა გული. კოლიას ყურში ქოშინი ჩაესმა, მობრუნდა — თმაგაჩეჩილი მამა წამოდგომოდა თავს. მომჩვარულ სა-ხეზე უჩვეულო გაუბედაობა ემჩნეოდა, ტუჩებზე დამნაშავე, განაწამები ღი-მილი უკრთოდა:

- უყურე შენი წიწკანა შემოფრენილა, — თქვა მან.
- ცოცხალია.
- ალბათ გამობრუნდება... წიწკანა ქალაქში... უყურე შენი..
- ბუდეს გავუკეთებ.

მამა შემკრთალი იღიმებოდა, ღია ხერხეშა წარბებქვეშ, დასიებული ქუ-თუთოებიდან ნამიანი, გაწამებული თვალები იცქირებოდა.

— რას ჭამს ნეტა? ვაი, გაცოცხლდა!

ჩიტმა მძივივით ბრჭყვიალა ცალი თვალი გაახილა, კოლკამ ხელი მოუ-ჭირა.

— ნუ ბლუჯნი, გასრეს... გესმის! გაუშვი-მეთქი. ეგ წიწკანაა, ტყის ჩიტი, ტყვეობას ვერ გაუძლებს. — სახეზე ტანჯულმა ღიმილმა გადაჰკრა, უჩვეულო ვედრება ისმოდა ხმაში. — მე შენ იადონს გიყიდი, გალიით მოგიყვან, იჭიკ-ჭიკებს.

კოლკას რატომღაც უცებ ტირილი მოუენდა, არ იცოდა, ხიფათში ჩავარ-დნილი ჩიტი თუ ნამთვრალევი, აჩეჩილ-აბურძგვნილი, სახეტანჯული მამა შე-ცოდებოდა. სტუმარს საკენკიც კი ვერ დაუყარა, მამის დახმარებით რაფაზე აძ-ვრა, ღია სარკმელს მიაწვდინა ხელი და მუჭი გახსნა. ჩიტმა წამიერ აჩინა ხას-ხასა ყვითელი გულმკერდი და ლურჯ ცას შეერია, დაბლა გაშლილ ქალაქს რომ დაკამკამებდა.

იმ საღამოს მამა სუფთად ჩაცმული, ფხიზელი მოვიდა. თვალეში გაზაფხულის სილურჯე უკრთოდა, ტუჩებზე ღიმილი დასთამაშებდა. ყავისფერ ხერხემა ქალაქში შეხვეული მოზრდილი შეკვრა დადო მაგიდაზე.

ქალაქს რომ არ ეშრილა, ფრთხილად გახსნა შეკვრა. შიგ გალია აღმოჩნდა. მრგვალი ხის ძირი და პატარა გამოსაწევი უჯრა ჰქონდა. გარდამო გადაებულ ჯოხზე წიწკანაზე ცოტა მოზრდილი ჟანგისფერი ჩიტი დასკუბულიყო, ოღონდ მთლად მაკავით ლამაზი არა. თუმცა ყელსახვევივით კი ერთყა შინდისფერი ფართო ზოლი.

იადონი შერის მარცვალს კენკავდა. თავს სასაცილოდ აგდებდა უკან, როცა ჩამფილიდან წყალს სვამდა. მალე შეეგუა იქაურობას და გალობა ვაბა. გაბმით რაკრაკებდა, ხან ნაზად სტვენდა. მამა კოლკაზე ნაკლებ როდი ხარობდა, დედას კი შიშნარევი განცვიფრება არ სცილდებოდა სახიდან.

მთელი ერთი კვირა, იქნებ მეტხანსაც, მამა საღამოობით ადრე მოდიოდა, ჩაის ახლა სამზარეულოში კი არა, დიდ ოთახში, გატკიცინებულ სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან შეექცეოდნენ. ჩიტი ჭიკჭიკებდა და ყოველი საღამო დღესასწაულს ჰგავდა...

მერე მამა ჯერ ოდნავ ნასვამი მოვიდა, გახალისებული, კეთილი, ენაწყლიანი. დედამ მყის ჩამოყარა მხრები, მოიბუზა, მთელი საღამო კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ იმ საღამოს ისევ დალიეს ჩაი და ჩიტიც ისევ გალობდა...

მეორე საღამოს მამამ დედა კარადას მიახეთქა. თავშალგადაფარებული გალია კარადიდან ძირს ჩამოვარდა. ჩიტი ცოცხალი გადარჩა, ოღონდ ამის შემდეგ გალობა შეწყვიტა. აფხორილი იჯდა და პირს არაფერს აკარებდა. ხოლო როცა საღამოობით მთერალი მამა ხმამაღლა ილანძლებოდა და სკამებს ისროდა, ჩიტი გიჟივით ფართხალებდა გალიაში, მკერდით გალიის კედლებს ასკდებოდა...

ჩიტი მალე მოკვდა. კოლიამ იგი ეზოს კუთხეში, ტრანსფორმატორის ჯიხურთან დამარხა. ზემოდან ორი აგური დაადო, ვითომ ძეგლიაო, და კიდევ იმიტომ, კატებმა არ ამოთხარონ და არ შეკამონო. მას მერე თეთრსუფრიან მრგვალ მაგიდასთან აღარასოდეს დაუღევიათ ჩაი. მამას ძაღლები და ჩიტები უყვარდა. ერთხელ თევზაობისას თოლია დააცხრა ანკესზე წამოგებულ ღორჯოს და თვითონაც წამოეგო ანკესს. თოლიას ხერხემა, ქათქათა ფრთებმა კოლკას მზით გარუჯული ხელები ზანგისაზე შავად აჩინა. თოლიას პატარა თავი და ავი, სიძულვილით სავსე მზერა ჰქონდა. მამა მაშინაც ისე მოიქცა, გააშვებინა თოლია.

მამა... მამაზე შეიძლება ფიქრი, მისი სიყვარულიც კი შეიძლება, ოღონდ ბოლომდე არ უნდა ჩაეძიო, ჩასდიო ფიქრს, არ არის საჭირო.

მიიწურა გვიანი შემოდგომის მოკლე დღე. მოქუშული და ნესტიანი, როგორც გუშინ და გუშინწინ. კომბინატების, ქარხნების, ფაბრიკების — კავშირში განთქმული ვეებერთელა თუ პატარ-პატარა ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოების ალაყაფის კარებმა მუშები გამოატარა და დილაამდე, ახალი საშუაო დღის დაწყებამდე დაიკეტა. თუმცა არა, ყველა არ დაკეტოდა. ზოგმა ღამის ცვლა შეუშვა. ქალაქი მხოლოდ მიყუჩდა, მაგრამ ცხოვრება არ შეუწყვეტია. ოღონდ ეს ცხოვრება აღარ იყო გარეგნული ფაციფუცითა და ხმაურით სავსე, ეს იყო ფარული, უჩუმარი ყოფა. აქა-იქ ისევ ისე მუშაობდნენ დაზგები, ვარ-

ვარებდნენ ღუმელები, ბრუნავდნენ მორიგე ამწეები, ტრაილებდნენ ელსადგურების როტორები და მავთულებს აწვდიდნენ ელექტროდენს. გრძელდებოდა ყოველდღიური სასწაულები — კუჭკუიანი მადნიდან იბეჭეებოდა სუფთა ლითონი, უსულო ლითონიდან ცოცხალი მანქანა, ნედლეულიდან ~~მანქანა~~ ბროდუქცია. დროის განივთება მაშინაც კი არ წყდებოდა, როცა ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა, ივიწყებდა რა ქამთასვლის ულმობლობას, ძილს მიეცემოდა.

დამთავრდა დღე, ქალაქისათვის რიგითი, ჩვეულებრივი დღე. ადამიანთა ამ დურდოს, ვისაც ესოდენ შეუბრალებლად აბრუნებს წუთისოფლის ბორბალი, მუდამ გამოეყოფა დამპალი, არსებობის წამბილწველი რამ. სადაც დულილია, იქ ქაფიც ჩნდება მუდამ.

გაილია დღე, თვით ქალაქისათვის რომ არაფრით გამოსარჩევი არ იყო, ოღონდ რაღაც ათეული ადამიანის ბედის ჩარხი დატრიალდა იმ ღამეს უკულმა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ინგლისურიდან თარგმნა კოტე ჯანდიერმა

ზარბი

I

ჩანს — მარხილი უვლის მთას,
ვერცხლის ჰანგს
აფრქვევს წყება ზანზალაკთა სიხარულით ღამის ცას!
და მათ წკრიალს, წკრიალს, წკრიალს
მზრალ ჰაერში ცივი ზამთრის —
უერთებენ ბროლის ციაგს
ვარსკვლავები, და თან მიაქვს
მწუხარება ლოდინს ახლის.
თითქოს პირველქმნილი რიტმით,
ძველ, გრძნეულ რუნათა* რიტმით
აფრქვევს წყება ზანზალაკთა სიხარულად ქცეულ ჰანგს,
ვერცხლი ზართა, ზართა, ზართა,
წყება ვერცხლის ზანზალაკთა
ანყვეტილი რეკვით აფრქვევს მონკრიალუ ბროლის ჰანგს!

II

მოუსმინე ახლა სხვას —
ოქროს ზარს,
საქორწინო ოქროს ზარის სალუქ, ათრთოლებულ ხმას!
ეს ხმა ღამეს მოცულს ბანგით
ავსებს იდუმალი ჰანგით
და პირდება მეტრფეთ ქორწილს,
ვნებას მწველს;
რეკავს ზარი და თრთის ჰანგი და ათრთოლებს
მთვარის ცელს!
ნათელს ტოვებს სულში კვალს,
სურს დატბოროს არემარე გაბმულ რეკვით ოქროს ზარს!
რალაც სხვას,
რალაც ღრმას

* რუნები — სკანდინავიური ძველი ეპიკური სიმღერები; აგრეთვე უძველესი გერმანული დამწერლობა. (ძვ. გერმ. runa — საიდუმლო) გადატ. მნიშვნელობით — რუნაული — ე. ი. ჯადოსნური, იდუმალი, საზეიმო.

მაღავს ზარი და გვპირდება ნათლით მოსილ მომავალს
 და იმედი სხივნათელი, იჭვთა წყვიდადს უდებს ზღვანს!
 მიირხევა ზართა ქორო,
 ვნების ზართა რბილი ოქრო აფრქვევს ნათელ, სალუქ
 ოქრო ზართა, ზართა, ზართა,
 საქორწინო ვნების ზართა,
 ტკბილსასმენთა და ნათელთა — აფრქვევს ნათელ, სალუქ
 ჰანგს

III

საგანგაშო ისმის ხმა!
 ახლა სხვა,
 ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ზარის ხმაში შიში ბრმა!
 ყველა სხვა ხმას ერთად ფარავს
 და ღრიალებს შემზარავად,
 აფრქვევს შიშის ველურ ხმებს —
 ზარი ყეფს, ყეფს, ყეფს,
 ყეფს და შესთხოვს
 შებრალებას ცად ავარდნილ ცეცხლის აღს,
 სისხლით მთვრალს, გაშმაგებულ, ცად ავარდნილ ცეცხლის აღს!
 ხოლო ცეცხლი იწვეს მაღლა
 და არ იცის ცეცხლმა დაღლა,
 შემზარავი შუქით ახლა
 არღვევს ირგვლივ მომდგარ ბნელს!..
 ცეცხლის ალი მენამული უკვე ლოკავს მთვარის ცელს!
 აფრქვევს ზარი ისევ, ისევ
 შიშისაგან ნაშობ სიტყვებს
 საგანგაშოს!
 ანთხევს ზარი ისევ, ისევ
 აკივლებულ, ნაფლეთ სიტყვებს
 და უერთებს ქართა მქისე
 წიაღ-საშოს!
 კაცთა სულში მეფობს ბრმა,
 ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ზარის საგანგაშო ხმა!
 მაგრამ ნელა ზართა ჟღერას
 ყრუ ბანები ენაცვლება,
 ეფარება
 ბგერებს თითქოს მიღმიეთის ბინდი ღრმა...
 ზართა ხმა!
 ბრინჯაოსგან ჩამოსხმული საგანგაშო ზართა ხმა,
 ზართა, ზართა, ზართა, ზართა,
 შიშით მოცულ სულის ზართა
 ყეფა ავი, შემზარავი — საგანგაშო ზართა ხმა!



ქართული
ლიბრერი

გესმის — ღამე აძლევს ბანს
 თუჯის ზარს,
 რექვიემად მოგუგუნე ბგერათ დენას აძლევს ბანს!
 დამორგუნავი სევდიდ მყისვე
 მძიმე ბგერა გულებს გვივსებს
 და გუგუნებს ისევ, ისევ შემზარავად მშვიდი ხმა!
 ყველა ბგერა ყრუდ-გაბმული
 არის ზარში ჩაყანგული
 ოხვრა ღრმა!
 და მათ ვერ სტკენს გულებს მარტო
 სამრეკლოზე ვინცა სახლობს —
 ბგერა ბრმა;
 ვინაც გამუდმებით გვამცნობს
 მირიადი ზარის ხმას,
 და წუთითაც არ ანელებს მონოტონურ ბგერათ სვლას!
 არა კაცნი, არა ქალნი — მეზარენი,
 არა ხალხნი — მხოლოდ ლანდნი საზარელნი..
 და მეუფე მათი მუდამ
 რექს სამრეკლოს ბნელი ღრუდან,
 აღტაცებით ბნელის კართან
 იგი რექს, რექს, რექს,
 დაჰხარხარებს პეანს* ზართა
 და თან ართავს თავის ხარხარს
 ზართა ხმებს!
 იდუმალი შუქის ნიმბით,
 ძველ რუნათა გრძნეულ რიტმით
 ის აჟღერებს ბედისწერის ზარებს მირიადი ხმით.
 დგას გაყინულ სახე-ნიღბით,
 რექს რუნათა გრძნეულ რიტმით
 და აძრწუნებს კაცთა სულებს გამოუცნობ ჰანგთა ხმით!
 ბნელი სივრცეც აძლევს ბანს
 და რექვაში თითქოს ჩანს
 წრე შეკრული! ყრუდ-გაბმული ისმის ზართა რექვის ხმა,
 ზართა, ზართა, ზართა, ზართა
 სარეკელთა მრავალგვართა
 კვნესა, ბორგვა, ავი როკვა — უყუჩებელ ზართა ხმა!

* პეანი — მრავალხმოვანება, პოლიფონიურობა, ძველი ბერძნული საკულტო ჰიმნი.



თარგმნა ოთარ შალაგზარიძემ

1

შენ კი არ გეტრფი ასე ნაზად და ასე ცხოვლად,
ეგ სილამაზე არ უძღვნია განგებას ჩემთვის;
მე შენში მიყვარს ანარეკლი წარსული სევდის
და დაღუპული სიჭაბუკის მიმქრალი ხსოვნა.

2

ხანდახან, როცა ჩაფიქრებით ჩაგცქერი თვალთ,
და მკლავს სურვილი, რომ ეგ მზერა გაგრძელდეს მიწყევ,
მე წრფელი გულით საიდუმლო საუბარს ვინყებ,
მაგრამ, ძვირფასო, შენთან როდი ვსაუბრობ მაშინ.

3

ყრმობისდროინდელ მეგობართან მომაქვს სათქმელი
და ნაკვთებს მიღმა ვეძებ სულ სხვა იერს და სახეს,
ეგ ბაგეც უკვე დამუნჯებულ იმ ბაგეს ამხელს,
ხოლო თვალებში ჩამქრალ თვალთა ღვივის ნათელი.

კ.

1

ო, მაპატიე, ჩვენს შეხვედრებს ზღვარი დაედო
დავრჩით შორიშორ, ბედისწერას ასე ენება;
ო, მაპატიე, უნდა გავძლოთ უერთმანეთოდ,
თუმცა ძნელია სხვაგან ჰპოვო ბედნიერება.
მე ვიცი: ტანჯვის უეცარი ჩამოქროლევით
კვლავ ათრთოლდები უიმედო ძიების წილად,

როცა მოისმენ ისევ ისე გულაჩქროლებით
სახელს იმისას, ვინც დაჰკარგე დიდი ხნის წინათ.

2

არის ბგერები, ამაყი ბრბო, რომ არ სცემს პატივს
და სიძულვილიც თითქოს ფრთების გამართვას უშლის.
მაგრამ არავის დავინწყება არ ძალუძს მათი,
სიცოცხლესავით გადაღვრილან რამეთუ სულში.
ვით აკლდამაში, ჩაფლულია წარსული აგრე,
ამ უარყოფილ, მაგრამ წმინდა ბგერების ძირში;
მათ სიღრმეს მხოლოდ ორად ორი მოკვდავი არკვევს,
ორად ორ მოკვდავს ამ ბგერების აცოცხლებს შიში.

3

სულ ერთი წამით შევხვდით ერთურთს, სულ ერთი წამით,
მაგრამ იმ წამში უკვდავება ვიგემეთ სრული.
ჩვენ ყველა გრძნობა, ყველა გრძნობა უცებ დავცალეთ
და ერთ კოცნაში ამოვხადეთ ყველაფერს სული.
ო, მაპატიე, მაპატიე, და განუსჯელად
იმ ჩვენს ხანმოკლე სიყვარულზე არ დაგწყდეს გული;
მძიმეა, მძიმე განშორება, მაგრამ მე მჯერა —
ჩვენი შეხვედრა იქნებოდა უფრო ტანჯული.

მისა და ზეცა

ვით არ გვიყვარდეს ცაზე მეტად ეს დედამინა?
ბენიერება არ მნამს ციური;
თუმცა, მიწაზე იგი ასჯერ უფრო მცირეა,
მაგრამ, ჩვენია და მშობლიური.

ოდეს ვიგონებთ წარსულ ტანჯვას და სასოებას,
ჩვენში ფარული იწვის გენია;
გვაშფოთებს მხოლოდ მიწიერი ამბოება,
ეს კი ვერავის მოგვითმენია.

ვხედავთ აშკარად; დღესდღეობით ჩვენს ტანჯულ სულში
მეფობს მომავლის უიმედობა;
ჩვენ გვსურს იქ — ცაში გავუსინჯოთ გემო განცხრომას,
მაგრამ აქ — მიწაც აღარ გვეთმობა.
რასაც ვბრძანებლობთ, სასიკეთოდ მეუფებს ჩვენდა,
თუმც ხშირად ვერ ვთმობთ ძიების სურვილს;
მაგრამ, როდესაც განშორების დადგება ჟამი,
ვიგრძნობთ, რარიგად გვეტკინა სული.

* * *

დე, უგუნურმა სამყარომ პოეტს
 უღვთოდ წაართვას ყველა ღირსება;
 ვინც ბრალდებაში სიხარულს ჰპოვებს,
 ჩემგან პასუხსაც ვერ ეღირსება.



ვცხოვრობდი ჩემთვის, ხოლო სიმღერა
 ცაში დაქროდა იალკიალით,
 ვით უდაბნოში უცხო ფრინველი,
 ან ტბაზე ნავი იალქნიანი.
 იქ სხვა სიკეთე არც იხსენება,
 ძვირფასო, სადაც მისვლას ინებებ;
 ერთურთს ხვდებიან ჩვენი ხელები,
 ერთურთის სითბოს ინანილებენ.
 და შენთან ერთად ,ო, ღვთის რჩეულო,
 ზღვა ნეტარების ნებას ვნებდები,
 ტანჯვას და შფოთვას გადაჩვეული
 უკან არასდროს არ ვიხედები.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

დაე, ბრბო მტრული ათვალწუნებით
 ჩვენს ფარულ კავშირს შანთავდეს
ღვარძლით.
 ხალხის ცრურწმენამ დაუსრულებლივ
 არღვიოს შენი ოჯახის კვანძი.

მაინც სამყაროს კერპთა წინაშე
 ჩემი ხვედრია ამაყად დგომა;
 ვერ იარსებებს სხვაგვარად მასში
 ვერც სიყვარული, ვერც გულისწყრომა.

ვარ მეც ჩაფლული შენსავით ლხინში
 და ველარ ვარჩევ ბოლოს და ბოლოს —
 ვინ ჭკვიანია ,ვინ კიდევ — გიჟი
 და ჩემს გემოზე ვცოცხლობ და ვცხოვრობ.

არ ვიცით ფასი ჩვენ მიწიერი
 ბედნიერების, ხალხს კი ვაფასებთ;
 ჩვენ არასოდეს არ შევიცვლებით
 და ვერც სხვა შეგვცვლის ამ ქვეყანაზე.

ჩვენ ერთმანეთი ბრბოში ვიცანით
და მომავალი არც გვეფიქრება.
თუ ჩვენს სიყვარულს ახლდა სიმწარე,
მწამს, განშორება ტკბილი იქნება.



ა. ო. სმირნოვას

თქვენს დაუსწრებლად სურვილი მაქვს ბევრი რამ გითხრათ,
ოდეს ერთად ვართ, — უსასრულოდ გისმინოთ მხოლოდ.
მაგრამ, ვგრძნობ, მკაცრი უთქმელობა განვალებთ დიდხანს,
მეც დავრცხვენილვარ, და ჩემს დუმილს არ უჩანს ბოლო.
რას იზამ?.. თუკი სიტყვის ჯადოს ვერ მოვერიე,
ხოლო ,უმისოდ არვის ძალუძს მოხიბვლა თქვენი.
კი იქნებოდა სასაცილო ეს ყოველივე
სევდისა რომ არ ყოფილიყო იგი მომგვრელი.

□



მოთხრობა

თარგმნა თამარ ჩიჯავაძემ

მართლა რა საოცრად ძნელია ბინდით მოცულ წარსულში ჩახედვა. არაერთხელ დავფიქრებულვარ: რას წარმოადგენს წარსული — ჩვენი სამყარო, ან კი არსებობს იგი საერთოდ? „რა თქმა უნდა, არსებობს, თუნდაც ადამიანთა მეხსიერებაში“, — მე პირადად ეს პასუხად არ მიმაჩნია. თვით მეხსიერება რაღაა? ნუთუ მხოლოდ ლანდები, ჩვენს დაქანცულ სულებში მობინადრე უკვდავი აჩრდილები? ასეთი განსჯა ნიშნავს, არავითარი წარმოდგენა არ გვქონდეს საგანთა ბუნებაზე. სამყაროში ყველაფერი ნაწილაკებისა ან ტალღებისაგან შედგება, რაც თითქმის ერთი და იგივეა, სიზმრებიც კი, ოცნებებიც კი. მეხსიერება კი უბრალოდ მექანიზმია და სხვა არაფერი, რომელიც ყოფიერებას აღბეჭდავს და მხოლოდ საგნობრივსა და რეალურს შემოინახავს. არასაგნობრივი ალბათ მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ წარმოსახული სახეებია, რომლებიც დროისა და სივრცის მიღმა იმყოფებიან.

მაგრამ ეს ფუჭი მსჯელობა რის მაქნისია? მთავარი ისაა, რომ წარსულში, ისევე როგორც კინოთეატრში, საკუთარი სურვილისა და არჩევანის მიხედვით შეიძლება შესვლა, გამოსვლაც შეიძლება. ეს რამდენიმე თვეა, სწორედ ასე ვაკეთებდი: შევდიოდი წარსულში და გამოვდიოდი, შევდიოდი და გამოვდიოდი, ისევ და ისევ. წვიმა მიუაპუნებდა სახეში, ტყვიები მიზუზუნებდნენ ყურებში, პირში ისე ცხადად ვგრძობდი ბლანტე სისხლის გემოს, თითქოს სწორედ იმ წუთებში მდიოდა. პირველად ეს მაძრწუნებდა. საიდან უნდა მცოდნოდა ისეთი რამ, რაც არასოდეს ყოფილა ჩემს შეგრძნებებში? ბოლოს მივხვდი, შევეჩვიე. მშვიდად ჩამოვჯდებოდი ხოლმე გზისპირა ლოდებზე, რომლებიც განუზომელს ზომავენ. მე არ ვიცი რა არის დრო. არც არვინ იცის. მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ სწორედ დრო გარდაქმნის საგნებს რეალურად — თავს უყრის იმათ ჩვენს შეგრძნებათა ფოკუსში, ან აკავშირებს მთლიან პროცესად. მას მხოლოდ ერთი რამ ევალება — ცვალებადობა. აი, სად არის ყველა პრობლემის კვანძი. წარსულზე შეიძლება ითქვას, რომ იგი ბოლოს და ბოლოს თვით ჩვენს არსებაში იმყოფება. ახლა მომავალი? მომავალი რაღაა? არსებობს იგი რეალურად? ჩვენში თუ ჩვენს გარეთ? შეიძლება იგი

მხოლოდ შესაძლებელი და ალბათური პროექციაა რეალურად არსებული აწ-
მყოსი?

ეს მოთხრობა არსებითად ერთ მოხუც ქალზეა დაწერილი, რომელიც დრო-
ის სამივე სახეს აერთიანებს თავისსავე არსებაში. ყოველ შემთხვევაში, მე
ასე მგონია. ამ ქალს ძალიან კარგად ვიცნობდი, ვინაიდან უფროსი ძმის ბებია
იყო. ძლიერ ვგავარ მას გარეგნულადაც კი და თუ ის ჩემი წარსულია, მე
მოშავალი ვყოფილვარ მისი. ყოველ შემთხვევაში დღემდე ასეა, თუმცა იგი
უკვე დიდი ხანია, ცოცხალი აღარ არის. უმჯობესია, თავიდან დავიწყოთ.

აპრილის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ხაფიზ-ფაშას ურდოები პანაგიუ-
რიშტში რომ შემოიჭრნენ, ბებიაჩემი თვრამეტი წლის ყოფილა, ბაბუა მანო-
ლი კი — ოცდაათორმეტისა. იმ დროს ცოლ-ქმარს შორის ასეთი ასაკობრივი
სხვაობა იშვიათობას წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ ბაბუა ქვრივი იყო,
ბებია რომ შეირთო ცოლად. ბაბუა ახლაც ცოცხალივით მიდვას თვალწინ,
თუმცა იგი მამაჩემის დაბადებამდე ექვსი თვით აღრე, გარდაიცვალა. უზარმა-
ზარი გოლიათი იყო, ყველაზე უფრო მაღალი „გუგებიდან“ — ასე ეძახდ-
ნენ მაშინ ჩვენი გვარის ყველა მამაკაცს. წარსულის მოგონებისას ადამიანები
ჩვეულებრივ ძნელად იხსენებენ ფერებს, მაგრამ მე ისე ვხედავ ბაბუას, თი-
თქოს ფერად სურათს ვუყურებდე. განსაკუთრებით მაოცებდა მისი გრძელ-
ფუნჯიანი წითელი ფესი, და განა მარტო ფესი? წარმოგიდგენიათ, რევოლუ-
ციური ორგანიზაციის წევრი, თვით ბენკოვსკის მეგობარი გახლდათ და ზედ
აჯანყების წინააღმდეგ კი თურქული ფესით თავმორთული დასეირნობდა! ნამ-
დვილად გაუგებარია, რატომ? ბებია მეუბნებოდა: განგებ დადიოდა ასე თურ-
ქების გასაბრაზებლადო. ასეთი ლამაზი და ძვირფასი ფესი, რომელიც ალ-
ბათ სტამბოლში იყო ნაყიდი, თვით პლოვდივის ვალისაც არ ჰქონია. მუქი
შინდისფერი თავიდან ბოლომდე შეკრული სერთუკი, ვიწრო შარვალი და
უნგრული ჩექმები, ასე იყო იგი გამოწყობილი გიურგევოში გადაღებულ ფო-
ტოსურათზე. ფერები ბებიას ახსოვდა და სიკვდილამდე არც დავიწყებია. თმა
ქერა ჰქონდა ბაბუას, სახე სასიამოვნო, თხელნაკვეთებიანი, რაც იშვიათია
ასეთი წარმოსადეგი მამაკაცისათვის. ერთხელ შევეკითხე: „გუგებს“ რატომ
გვეძახიან-მეთქი. ბაბუამ დაფიქრებულმა გადმომხედა სურათიდან და მხრები
აიჩეჩა.

— ზედმეტი სახელი გვაქვს ასეთი. უხსოვარი დროიდან მოგვდევს... ჯერ
კიდევ მართლმადიდებლები რომ არ ვიყავით, იქიდან...

მართლმადიდებლებამდე ვინ ვიყავით, ჩემთვის საიდუმლოდ დარჩა. სურ-
რათი, რაც უნდა იყოს, ცოცხალი ადამიანი არ არის, ყველაფერი ჰკითხო,
რაც მოგეპრიანება. სიტყვები ზღვიდან ნაპირზე გამორიყული ნამსხვრევე-
ბივით აღწევდა ჩემამდე. დამწვარი ანძის ნატეხების მიხედვით უნდა მემსჯელა
მთლიან გემზე. ეს კი შემძლია, ვიფიქრო, რომ ბაბუა ჩიპროველი კათოლი-
კების წარმომადგენელი იყო, რომლებიც ჩიპრის აჯანყების განადგურების
შემდეგ აქეთ-იქით გაიფანტნენ: პეტრა ბებია კი ამ ზედმეტ სახელს გაცილე-
ბით უბრალოდ ხსნიდა. მისი გადმოცემებით ეს სახელი კაცლებზე თამაშიდან
წარმოიშვა. კაცლების გროვიდან კაცლისავე სროლით პირველად ყველაზე დი-
დი კაკალი უნდა გამოგვედო. ამიტომ ყველა დიდ კაკალს უმიზნებდა. ამ
კაკალს დღესაც „გუგას“ ეძახიან ჩვენში. აბა ვინ იცის, კაცლების გამო დაერ-
ქვა ჩვენს კაცებს მეტსახელი თუ, პირიქით, კაცლებს ჩვენი კაცების გამო.

ბაბუა შეძლებული კაცი იყო, პირუტყვით ვაჭრობდა. თურქეთის არმიასაც კი ამარაგებდა ცხვრებით. როგორც მაშინ ამბობდნენ, „ჯამბაზინი“ იყო. პირუტყვს თვითონ ყიდულობდა პანაგიურიშტის სოფლებში, უფრო ხშირად პეტრიჩში, საიდანაც ჩვენი შთამომავლობა წარმოიშვა. მთების, მდინარეებისა და ფონების გადავლით სტამბოლამდე ერეკებოდა ნოლმე. ძნელი და მძიმე საქმე იყო. ამაზე უფრო სახიფათო საქმიანობა მთელ ოსმანის იმპერიაში არ მოიძებნებოდა. ბებია სიკვდილამდე ინახავდა მის „კიტაპს“ — ცხენით სიარულისა და იარაღის ტარების თავისებურ ნებართვას. უამისოდ ალბათ ვერცერთ ცხვარს ვერ მიიღებდა თურქეთის არმია.

მიუხედავად თავისი მკაცრი ხელობისა, ბაბუა მანოლი კეთილი კაცი ყოფილა. ეს ყველაფრიდან ჩანს. სუფრაზე კი, ნათესაეებსა და მეგობრებთან, — მხიარული. რამდენიმე კიქას გადახუხავდა თუ არა, თეთრი ლაწვეები ყაყაჩოსავით აუყირმიზდებოდა. „მანოლ, ასე რა გიწითლებს ლოყებს?“ — ეხუმრებოდნენ ამხანაგები. „თურქული სისხლი, — გაუბრაზებლად პასუხობდა ბაბუა, — უცბად რომ გამომიშვან და ტოპოლნიცას შეურიონ, წყლის მაგერად სისხლის მდინარე წავაო“.

მგონი ძალზე გამიტაცა ბაბუაზე საუბარმა. იგი ნამდვილად ღირსია კეთილი მოგონებისა, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ეს პატარა ქრონიკა პეტრა ბებიას ეძღვნება. ყველაზე უფრო უცნაურ, ყველაზე უფრო საოცარ ქალს ქალთა შორის, ვინც კი შემხვედრია ცხოვრებაში. ბებია მეჩველი უბრალო გლეხის ქალი იყო, ამ სოფელს ახლაც ეს მშვენიერი სახელი ჰქვია. მე კი ვერ იქნა და ვერ ჩავედი იქ. უფრო სწორად, რატომღაც არ მჯეროდა, რომ ბებია იქაური იყო. ყველაფერი რაც ბებოსთანაა დაკავშირებული უცნაურია და ამოუხსნელიც. თუნდაც მისი პანაგიურიშტში გამოჩენა ავილოთ. ბებიას სიკვდილამდე არც ერთხელ არ უხსენებია არც დედა და არც მამა. არც დაბადების და არც ქორწინების მოწმობა ჰქონია. ასე რომ, ისიც კი არ ვიცი, ნამდვილ სახელად რა ერქვა. სიმართლე გითხრათ, არც მიცდია მისი გაგება. რატომღაც მეგონა, ზედმეტი ცნობისმოყვარეობა შეურაცხყოფდა მის ხსოვნას. ისე კი ჩვენი ხანდაზმული ნათესაეები ამბობდნენ: პეტრა ბებია სულაც არ ყოფილა მეჩველი. მეჩქაში მიყრუებული ადგილები ბლომდაა, მაგრამ ცნობით ყველა იცნობს ერთმანეთს. მამაჩემი ხუმრობდა: მანოლ ბაბუამ კარაკაჩანებს მოსტაცაო ქალი. არ მომწონდა ასეთი ხუმრობა, თუმცა იგი საფუძველს მოკლებული არ იყო. ბებია რომ პანაგიურიშტში გამოჩენილა, კოჭებამდე ნაწნავებში უამრავი ვერცხლისა და სპილენძის ფული ჰქონია ჩაწნული, რაც მაშინ მეჩველი ქალიშვილებისათვის უცხო იყო. სუკმანი ვიწრო და სწორი სცმია, უნაკეცებო. კარაკაჩანების შთამომავლობა კი არ მეჩოთირება, უბრალოდ, სწორი არ არის. პეტრა ბებია სუფთა ბულგარულ ენაზე ლაპარაკობდა, ზუსტად ისე, ახლა რომ ლაპარაკობენ პანაგიურიშტის მიტოვებულ სოფლებში. ბაბუამ თავის ქურანაზე შემოსკუპებული მოიყვანა იგი. ცხენი წითელ წიწაკასავით ცხარე და ფიცხი ყოფილა. ბებია წელგამართული მჭდარა ბაბუას უკან, ფეხები ისე ვაყვაცურად ჰქონია შემოტმასნილი ცხენის ვეებერთელა ფაშვზე, რომ ბავშვივით წვრილი, შინ მოქსოვილი წინდუ-

1 მეჩქა სოფელია.

ბიანი ფეხები მუხლებამდე მოუჩანდა თურმე. ისეთი პატარა და კაფანდარა ყოფილა, ბირველად ვერც კი გაუგიათ: ვინ მოიყვანა მანოლმა, გოგო თუ ბიჭი. ყველას ძალზე შეგვრემანი მოსჩვენებია ბებია, თითქმის ყვითელი, ერთი სიტყვით, ძალზე შეუხედავი. მოსამსახურედ თუ გამოადგებოდა, თორემ ცოლად — ვინ იფიქრებდა. მანოლი მდიდარია, მსწავლარი ქვეყანა მოვლილი აქვს, რა ჯურის ხალხი არ უნახავს, რანაირ ქალებს არ შეხვედრია ჩერქეზებიდან დაწყებული თეთრ-ყირმიზა და ლოყებბუტკუნა ბანატჩანებით დამთავრებული და ამას ვის გადაეყარათ, არ ცხრებოდა ხალხი. იმ დროს ქალიშვილი გახვითქინებული თუ არ იყო, როგორც იტყვიან, რძე და ღვინოსავით თუ არ იყო, ქალიშვილადაც არ მიაჩნდათ.

ქორწილზე პატარძლის ნათესავთაგან არავის გაუჭაჭანია, თუმცა მეჩკაც ღმერთმა იცის რა სიმორეზეა პანაგიურიშტიდან. ქორწილმა მაინც ძალზე მხიარულად ჩაიარა. ჩემი მეორე ბაბუა ლულჩო ამბობდა: მაგრად მოილხინეს. ერთნი ამბობდნენ, ქალიშვილი „მოპარულიაო“, მეორენი — „ნაპოვნიაო“, მესამენი გაიძახოდნენ — „კაკლის ხიდანაა ჩამოვარდნილიო“. ალბათ ამით მის სიპატარავეს უკაკუნებდნენ. ბებიას კი ღირსეულად ეჭირა თავი, ოღნავადაც არ შეეცბუნებულა და არც დაუმორცხვებია, თითქოს მართლაც სახელოვანი გვარიშვილი ყოფილიყოს. იჯდა ჩუმად, შეფარვით თუ შეავლებდა თვალს სტუმრებს, ოღნავ თუ დაიხრებოდა რომელიმე მოხუცის ხელზე სამთხვევად. ამან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამაყსა და თავდაჯერებულ პანაგიურიშტელებზე.

ახლა ვფიქრობ, რომ ბებია ძალზე კარგი, ლამაზიც კი ყოფილა, ოღონდ სიტყვის თანამედროვე გაგებით. ეს ფოტოსურათიდანაც ჩანს: სახის მშვენიერი ივალის, ოღნავ მაღალი დაწვისთავები და უნაზესი ნიკაპი. ნაზი ნაკვთები და ცოცხალი, ელვარე გამოხედვა. იმდროინდელ სურათებში ჩვეულებრივ ცოცხი ზის, ქმარი კი ფეხზე დგას და ხელით ეყრდნობა სკამის საზურგეს. იმ სურათში კი პირიქითაა. ბაბუა ზის, ბებია კი მისგან მარცხნივ დგას და ეშმაკურად იღიმება. ეს სურათი ბევრჯერ უჩვენებია ბებიას ჩემთვის, თან ყველაფერს მიხსნიდა. განსაკუთრებით ფერებს მიხსნიდა. ყვითელი ბლუზა — ასეთები ახლაც აცვიათ — ლურჯი მაუდის კონტოში¹ და სუკმანის ნაცვლად, კოჭებამდე გრძელი ქვედა კაბა. სიბრალოლი ამიტანდა ხოლმე, რომ ვხედავდი, რა დაბერებული იყო ჩემი ბებო სურათთან შედარებით. ისიც მშვენივრად მატყობდა ამას, მაგრამ მისი სახე დიდი ხანია გადაჩვეოდა სიხარულისა თუ ნალველის გამოხატვას. მეტისმეტად უყვარდათ ერთმანეთი ცოლ-ქმარს. ამის შესახებ არავის უთქვამს რაიმე. თვითონ მივხვდი, თითქოს მეც იმ დროში ვცხოვრობდი. მე მგონი, ახლა ველარ შეხვდებით ასეთ ძლიერსა და გულწრფელ სიყვარულს. სხვა რამე არც სჭირდებოდათ სიყვარულის გარდა. ჩვენს დროში ყველაფერი სხვაგვარადაა. უამრავი მოვლენა თუ სანახაობა სხვადასხვა მხარეს ექაჩება ადამიანის სულს, რომელიც მარსის ატმოსფეროსავით გაუხშოვებულია, სადაც სიცოცხლე არ არსებობს და უფრო და უფრო უხშოვდება. არ ვიცი რა უნდა მოხდეს, რომ ადამიანები კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ თავს, შეიცნონ საკუთარი მე, გაერკვნენ თავიანთ გრძნო-

¹ მამაკაცის ზედა ტანსაცმელი.

ბებში. თორემ თანდათან კიანჭველებად გადაიქცევიან, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ შეხებით ცნობენ ხოლმე.

ქორწილის მერე ბაბუა პირუტყვის გასარეკად აღარ წასულა. არ უნდოდა პირველ წელსვე მარტო დაეტოვებინა ახალგაზრდა ცოლი. იქნებ რევოლუციური ორგანიზაციის საქმეებიც აკავებდა. აჯანყება მწიფდებოდა. ყველა გამალებული ემზადებოდა მის მოსაწყობად, ყველა, გარდა შეყვარებულებისა, თუმცა ბაბუა დავალებებს რიგიანად ასრულებდა; შეიძლება დიდი აღფრთოვანებით არა, მაგრამ არც დაზარებით. ბენკოვსკის ძლიერ უყვარდა ბაბუა და ენდობოდა თუნდაც იმიტომ, რომ იგი ბობეკოვის მომხრე არ ყოფილა. ბებიას არც მაინცა და მაინც უყვარდა ბენკოვსკი, ყოველ შემთხვევაში, მუდამ გულგრილად და ცივად იხსენებდა. ერთხელ, აჯანყებამდე ცოტა ადრე, ბენკოვსკი შუალამისას ესტუმრათ, თან როგორც ყოველთვის, მთელი ამალა იახლა. თანამგზავრები ეზოში დარჩნენ, გაქაფულ ცხენებს ქარს აღებინებდნენ. ბენკოვსკი იმ ოთახში შევიდა, სადაც ბაბუა სტუმრებს ხვდებოდა ხოლმე, მოღუშულმა გადახედა ბებიას და უთხრა:

— აბა, პატარავ, ერთი ყავა მოგვიდუღე, — ეტყობოდა, ბაბუასთან მარტო დარჩენა უნდოდა. ბებომ ყავა მოადუღა, მიართვა და თან თავშეკავებულად დაუმატა:

— არაფერი გამოგივათ, გიორგი, თავს წააგებთ და ეგ იქნება.

— ჩვენი თავი ნუ გადარდებს, შენი თავი კი ნალდად გადავირჩება, — მოიღუშა ბენკოვსკი, — თურქები ზედაც არ შემოგხედავენ, ნამეტანი გაწრიბული ხარ.

გასაგებია, რატომაც არ უყვარდა ბებიას ბენკოვსკი. ამ ამბავს ისე ჰყვებოდა, თითქოს გაზით გლეჯენ სიტყვებსო. ბოლოს ასე დაამთავრა:

— ხელად შეატყობდი, კარგი ოჯახიშვილი რომ არ იყო. ყავა დალია და ფინჯანი სოფლელი მკერავივით გალოკა.

ჩემი საყვარელი ბებიკო, ნეტა როდის მოასწრო მაღალი წრის ქალთა ქცევების შესწავლა? განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, თმაში მძივებჩაწნული რომ მოვიდა ამ სახლში? ჩვენთან კი მძივებს მხოლოდ ცხენებს უწნავდნენ ფაფარში.

მათი ხანმოკლე ცხოვრების ბოლო ეპიზოდზე ვიამბობთ. ბოლოსა და ყველაზე მეტად ტრაგიკულზე — ბაბუას სიკვდილზე. მოსვენებას არ მაძლევს იმაზე ფიქრი, რომ სწორედ იქ არის ყოველივე იმისი დასაწყისი, რაც შემდეგში ბევრს გასაოცრად მოეჩვენება. მაგრამ მანამდე მინდა რამდენიმე სიტყვით მაინც აგიწეროთ მანთლ ბაბუას სახლი, რადგანაც სწორედ აქ მოხდა ყველაზე უფრო დრამატული ამბები. ეს სახლი ახლაც დგას, თუმცა მიტოვებული და ნახევრად ჩაქცეულია. თავის დროზე ბებომ გაყიდა იგი, მაგრამ ერთი ათიოდე წლის წინათ ჩალის ფასად დავიბრუნე უკან. ფაქტიურად მხოლოდ ნაკვეთის საფასური გადავიხადე. სამწუხაროდ, ამჟამად არც დრო მაქვს და არც სახსრები მის მოსაწესრიგებლად... ერთ დროს კი მართლა კარგი სახლი ყოფილა, მთელ ქალაქში ერთ-ერთი გამორჩეული სახლი. შეიძლება მისი რესტავრაცია, როგორც არქიტექტურული ძეგლისა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, რაღაც მიშლის ხელს. დიდი ხანია ვთქვი — „განუსვენოთ“ და აღარ მინდა სიმშვიდე ავუფორიაქოთ განსვენებულთ, მით უმეტეს, რომ დღევანდელი საზოგადოება დიდად არ იმსახურებს ამას. ზოგიერ-

თი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა რომ არა, საერთოდაც არ გაგვხსენებდნენ ამ ამბავს.

ღიას, სახლი ორსართულიანია. მეორე სართულზე ვიწრო ხის კიბე ადის: ჩამუქებული, ჩამწვანებული, დროის ჩამპალი კბილებით დაღრღნეული. ზევით ორი საწოლი ოთახია და ერთი სასტუმრო — ახლამდგამიწვეთული, ზამთარ-ზაფხულ გამოცივებული. რამდენჯერაც არ მივედი იქ, ყოველთვის გული შემეკუმშა, თითქოს ძველი მიტოვებული საფლავი მომენახულეზინოს. სასტუმრო ოთახს ღრუბელივით მოსდებია ობობები, მრავალფეხები, მუმლი და რაღაც უცნაური მწერები, რომელთა მსგავსიც არსად შემხვედრია. დგახარ შუაგულ ოთახში დაბნეული, შეშინებული, თითქოს სხვა უცხო სამყაროში მოხვდი. თითქოს აქ დროც სხვაგვარია, სხვა განზომილებანი აქვს, სხვაგვარად შეიგრძნობა, სუნიც კი სხვანაირია და ისეთი გრძნობა მიპყრობს, თითქოს მხოლოდ ჩემი ცნობიერებაა ცოცხალი და ყველაფერი დანარჩენი, თვით ჩემი სხეულიც კი მკვდარი. ერთი წამით თითქოს დრო ქრება, ზუსტად ერთი წამით. აუტანელი გრძნობაა, გაცილებით უსიამოვნო, ვიდრე საკუთარი სხეულის ცხედარივით გაშეშება.

აჩქარებული გახვალ ვერანდაზე. აქ ღრმა პროვინციული სიჩუმეა. ნახევრად გამხმარი თელის ფოთლებულში მთის მოტიტვლებული თხემი მოჩანს. სიჩუმეა, სიჩუმე... მხოლოდ ჩიტების ფრთების ფათქუნი მოისმის საიდანღაც. ფეხქვეშ რბილად იტკეპნება ხის კიბის დამპალი საფეხურები. კიბის ქვეშ პატარა საკუჭნაოა შემოფიცრული. აქ ერთ დროს დახერხილ შეშას ინახავდნენ საზამთროდ. აქედან გვირაბი იწყებოდა და მეზობელ ხეობაში გადიოდა. ბაბუა ლულჩო ამბობდა: ეს გვირაბი თვით ლევსკის რჩევით გავთხარეთ, იმ შემთხვევისთვის თურქები რევოლუციური კომიტეტის რომელიმე კრებას თუ დაესხმოდნენ თავს. გვირაბი ლულჩო ბაბუას გაუთხრია ერთ ზაფხულს და ამის შესახებ მხოლოდ მას და მანოლ ბაბუას სცოდნია. ბებუას არც სცოდნია გვირაბის არსებობა. ახლა ეზო შამბნარითაა დაფარული. გზაც ძლივს და მოჩანს. ძალზე მაღალი ქვის გალავანი ეზოს ციხე-სიმაგრის იერს აძლევს. არც ერთ სოფელში არ მინახავს ამ სიმაღლე გალავანი. მთელი საუკუნე გავიდა და ის კი ისევ მყარად დგას. მარტო კირხსნარი ჩაუფშვნია ალაგ-ალაგ უამთავლას. იმ საშინელ დღეს ქალაქის მისადგომები სროლით რომ იყო გაყრუებული, გაფითრებული და ენაჩავარდნილი ბებია კართან იდგა და ელოდა. სახლიდან რკინის მძიმე ჭიშკრამდე მდინარის წვრილი კენჭებით მოკირწყლული გზა მიდიოდა. გარშემო კაციშვილის ჭაჭანება არ იყო.

ამ დროს ბაბუა მანოლი ბირდოტზე იბრძოდა. ისტორიიდანაა ცნობილი, როგორ დამთავრდა ეს ბრძოლა. ცივი მოქუფრული დღე იყო. ელექციის მთებში თოვდა კიდევ, თუმცა უკვე შუა მაისი იდგა. მეჩრე გაწვიმდა და მემამბოხეებს შინ გაკეთებული ვაზნების დენთი დაუსველდათ. თოფებმა ხმა გაკმინდეს. ხაფიზ-ფაშას ძვირად დაუჯდა გამარჯვება, მაგრამ ისე იყო თუ ისე. მისი ურდოები ბაში-ბუზუყების წინამძღოლობით დაცარიელებულ ქალაქში შემოიჭრნენ.

ბებია ისევ ისე იდგა. ის მაშინვე მიხვდა: სამარისებური სიჩუმე დაღუპვის მაცნე იყო. მემამბოხენი მთებში მიმოიფანტნენ, ყველა ცალ-ცალკე ცდილობდა თავის გადარჩენას. ზოგიერთმა მაინც შეაღწია განწირულ ქალაქში, სწორედ ამ ერთ მუჟა მამაცებზე გვიამბობს თავის „ჩანაწერებში“ ზახარი

სტოიანოვი. ცნობილია რაღა კლისარის, სტოიან პიკოვის, რადიკოველი ტოდორ გაიდუქის სახელები, რომლებმაც თავიანთი წარდგენამდელი თოფებით მთელი არმია შეაჩერეს. მაგრამ ბაბუაჩემისა და მისი პაწია კოლის ამბავი სხვა მრავალთა მსგავსად უცნობი დარჩა. მათ უკანასკნელ მხარეში დაღუპვა არჩიეს დამარცხებულ სიცოცხლეს, თუმცა ეს უკვე ბრძოლაში კუთვნილებაა და ჩემს ნაამბობთან საერთო არა აქვს. აქოშინებული ბაბუა ეზოში რომ შეეარდა, ბებია ისევე კარებში იდგა. ბაბუას მეამბოხის ფორმა ეცვა: მხრებზე მძიმე მაუდის მოსასხამი ჰქონდა მოგდებული, ქუდი კი ბრძოლაში დაკარგვოდა. ხელში ვინჩესტერი და ორი პატრონტაში ეკავა. ვინჩესტერი იმ დროისათვის საუკეთესო იარაღი იყო და თითო-ოროლას თუ ჰქონდა, როგორც ამბობენ, ბაბუასაც გვარიანი ძვირად ეყიდა იგი ნური-ბეისაგან. ნური-ბეი ერთ-ერთი უმდიდრესი ჩერქეზი გახლდათ, რომელთანაც ბაბუას ძველისძველი ნაცნობობა აკავშირებდა. ბაბუა ძალზე აღელვებული იყო, ტუჩებიც კი გათეთრებოდა, მაგრამ ხმა ამოიღო თუ არა, მაშინვე მოეგო გონს, სახე დაუწყნარდა. მტკიცედ ნაგებ კედლებს შიგნით მშვიდად იყო მყუდრო მწვანე ბუდე. ქალაქში ჭერ-ჭერობით არ ისმოდა სროლის ხმა. წვიმისაგან სულ ახლახან გაბანილი გიაცინტები იღიმებოდნენ. ღრუბლებიც კი გამეჩხერდა და ალაგ-ალაგ მოკრიალებული ცა გამოჩნდა. იფიქრებდით, გარშემო ყველაფერი სამარადისო მშვიდობისათვისაა გაჩენილიო. ბაბუამ თავისი ნათელი, ცისფერი თვალები ბებიას მიაპყრო და ძლიერს გასაგონად ამოიოხრა.

— აი, პეტრა, ჩვენი ალაასრულიც მოვიდა, — თქვა მან მშვიდად, — ბოლოს და ბოლოს ადამიანურად მაინც მოგკვდებით.

— მერე მე? — წყნარად ჰკითხა ბებომ.

— რა შენ?

— თოფი რომ არა მაქვს?

— მაგაზე უკვე ვიზრუნე! — უპასუხა ბაბუამ. მოსასხამქვეშ ხელი ჩაიყო და ორლულიანი დამბაჩა ამოიღო.

— ამაში ორი ტყვიაა. ძღვერები თუ მომკლავენ, ხომ კარგი, თუ დამკრიან და, მეც უნდა მომკლა და თავიც უნდა მოიკლა, — ეს უთხრა და ძვირფასი საჩუქარივით გაუწოდა დამბაჩა. ბებიას ხელზე აკოცა და თავი დახარა. პეტრა ბებიას არასოდეს არ უამბნია ჩემთვის მაშინდელ განცდებზე. რამდენ რას არ მიამბობდა, მაგრამ თავის გრძნობებზე არასოდეს არაფერს იტყოდა. ოდესღაც ადამიანებს რცხვენოდათ თავიანთი გრძნობებისა, ყოველ შემთხვევაში, ისე ვუხერხულებოდათ, როგორც სიშიშვლე. ბებიას წყალობით გავიგე, რომ არ შეიძლება ღრმა და ძლიერი იყოს ის, რისი ჩვენებაც ყოველგვარი შეცბუნების გარეშე შეიძლება.

მაშინ კი მხოლოდ ესა თქვა ბებიამ:

— კარგი, მანოლ.

მალე ქალაქში თოფებმა დაიქუხეს და დაიწყო ის, რაც სამუდამოდ ჩარჩა ადამიანებს მეხსიერებაში. პანაგიურიშტში დარჩენილთაგან ყველა არ იბრძოდა. მაგრამ ახლობლებსა და მწარე იმედებს კი ყველა ემშვიდობებოდა. ახლაც კი, ამ სტრიქონებს რომ ვწერ, ყურებში მიდგას მომაკვდავთა კვნესა და ხვეწნა-მუდარა, უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვები და უკანასკნელი წყევლა-კრულვა. თაფლის სანთლის სუნით გაჟღენთილი ხატების წინ დაჩო-

ქელ ქალებს იატაგანი უჩეხავდა ძვლებს. თითო-ოროლა მოხუცი თუ ისახავდა პირჯვარს, იქნებ ვიღაც ტიროდა კიდეც შეწყალების იმედით, მაგრამ ნამდვილი მამაკაცები უკანასკნელ ვაზნამდე იბრძოდნენ. ზოგიერთი გადარჩა კიდეც, თუმცა არც ერთი არ ყოფილა შემდეგში ბედნიერი — ლამარცხების სიმწარე ნაჩუქარ სიცოცხლეზე უფრო ძლიერი იყო.

მანოლ ბაბუამ მოსახამი მოიშორა და ჭიშკრისკენ წავიდა, ახოვანი იყო და ხელში მსუბუქი იარაღი ეჭირა. ბებომ გაიგონა ურდულის ყრუ ეღრიალი. ბაბუამ კონდახით გამოყარა სათოფურებიდან შესანიღბავად ჩატანებული ქვები. სულ სამი სათოფური იყო: ორი მოედანზე გადიოდა, მესამე გვერდით შუაზე. მერე გულმოდგინედ გატენა ვინჩესტერი.

ქალაქში სროლა ძლიერდებოდა. ბაბუა სათოფურთან იდგა და ელოდა. ბოლოს ჩვენს ქუჩაზეც გამოჩნდნენ თურქები. უფრო სწორად, ჩერქეზები იყვნენ. ამას შორიდანვე მიხვდებოდით: თურქული იატაგანები კი არა, სწორი ლაპლაბა ხიშტები ეჭირათ. საკმაოდ ბევრი იყვნენ, ასე ოცამდე. წინ მსხვილ-მსხვილი კაცი მოაბიჯებდა, „ჩერკესკა“ გადაელელა და გადმოგდებულ მუცელს ხელით იწევდა ზევით, თითქოს ეშინოდა, არ დამეკარგოსო. სწორედ ეს გახლდათ ცნობილი ნური-ბეი, ვინც ვინჩესტერი მიჰყიდა ბაბუას. ეტყობა, იარაღის უკან დაბრუნებას ჩქარობდა, ეშინოდა, ხაფიზ-ფაშას არ გაეგო, არასანდო კაცს რომ მიჰყიდა იგი. უცბად ჩერქეზები შეჩერდნენ. ნური-ბეიმ დაცვარული შუბლი სახელოთი მოიწმინდა.

— დაგვებდი, მანოლ-ეფენდი, — არც მაინცდამაინც ხმამალა იძახდა იგი, — ცუდს არაფერს გიზამთ! — ნური-ბეიმ, ეტყობა, სათოფურიდან გამოყოფილი ლულა კი დაინახა, მაგრამ ბაბუამ შიგ მუცელში დამიზნება მაინც მოასწრო. ვინჩესტერმა დაიჭეკა, ნური-ბეი შექანდა და ტალახში ჩაემხო. სხვებმა არეულად დაიწყეს სროლა.

როგორც ჩანს, ბაბუას მაშინვე მოხვდა ბრმა ტყვია. ყელიდან აღისფერმა მამაკაცურმა სისხლმა იფეთქა. ახლა ვფიქრობ, ალბათ მაშინვე არ მომკვდარა ბაბუა. ძალუმად ხრიალებდა მისი გახვრეტული ხორხი. ბებომ ვერც გაიგო, როდის მოხდა ეს. თითქმის სწრაშიშმიუცემლად სტაცა ხელი იარაღს და სათოფურთან დადგა. ბაბუაზე უფრო მაგარი ხელით დაუმიზნა, ვილაცას და ისროლა. ერთ-ერთი მკვლელი პირქვე დაეცა და დადუმდა. მაშინ კი იკადრეა ჩერქეზებმა მიწაზე გართხმა. ზოგი სად გაწვა და ზოგი სად. მათ არ იკოდნენ, ქალებიც რომ იბრძოდნენ. მეც არ ვიცი, როდის ისწავლა ბებომ სროლა, ამაზე კრინტი არ დაუძრავს.

ზოგიერთის ნაამბობს თუ დავუჯერებთ, თითქმის ორ საათს იცავდა თურმე ბებო თავს. ყველა ვაზნა დახარჯა და ოთხი ჩერქეზი გამოასალმა სიცოცხლეს. ბოლოს მიხვდნენ ბრიყვები, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. ერთმა მათგანმა ეზოს შემოუარა და არ ვიცი როგორ, მაგრამ გალავნზე გადაფოფხება მოახერხა. ბებია ისევ ისროდა, ისევ დიდი იყო მისი სიძულვილი და სამაგიეროს გადახდის წყურვილი, რომ ერთხელაც არ შეტოვებულა იარაღი მის სუსტსა და ქალურ ხელებში. ჩერქეზი ფეხაკრეფით წამოებარა ბებიას და მთელი ძალით ჩაარტყა კონდახი თავში. ჩვენ — პეტრა ბებიას ნაშიერებს (ოღონდ მამაკაცებს) საოცრად მაგარი თავის ქალები გვაქვს. სხვაგვარად ეს ამბავი ამდარტყმით დამთავრდებოდა. ბებია მზის წვეთებივით ხასხასა შროშნებში ჩაიკეცა რბილ ბალახზე.

ადვილი წარმოსადგენია რა დაემართებოდა ჩერქეზს, როცა მიხვდა, ვინ ესროდათ. მაგრამ დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა და სამი ურდულით ჩაკეტილ რკინის კიშკარს ეცა. გამძვინვარებული ურდო ეზოში შეეკარდა. ყველანი სახლისკენ გაქანდნენ, ფიქრობდნენ მდიდარ ნადევეს უნდა ყფებოდა ხელში. სამი კაცი გადათელილ ყვავილებში ჩამხობილ ჭაღჭაღს შეჩქარდა. ერთ-ერთი მათგანი წვრილულვაში ახალგაზრდა კაცი მწერალს უფრო ჰგავდა, ვიდრე ყაჩაღს.

— გმირი დედაკაცი! — პატივისცემით ჩაიბურტყუნა მან. — აქ თუ ყველანი ასეთებია, ფადიშაჰს კარგი დღე არ დაადგება.

— იქნებ ქასთან მიგვეთრია და იქ მოგველო ბოლო? — იკითხა მეორემ.

— შენ მხოლოდ თავების მოჭრა გეხერხება, ბრიყვო! — გაუბრაზდა ახალგაზრდა. — უმჯობესია წყალი მოიტანო, იქნებ გონებაზე მოვიყვანოთ როგორმე. აბა მაგის გარდა ვის ეცოდინება, სად ინახავდა მანოლი ოქროს.

მესამე, აქამდე კრინტი რომ არ დაუძრავს, დაიხარა და ბებოს შუბლზე შეეხო. დაბალ-დაბალი, ჩასხმული კაცი იყო, ჩალმა ეხურა, შეიძლება თურქიც იყო.

— ეს უკვე მკვდარია, ეფენდი! — თქვა მან.

უცნაურია ცხოვრება, რა მოულოდნელობებით არ გაგაოცება. ნეტა რატომ თქვა თურქმა ასე? ცხადია, ბებო ცოცხალი იყო, მხურვალე სისხლი ჩქეფდა მის ძარღვებში. აბა, მაშ რად იცრუა თურქმა? იქნებ წყლის მოტანა დაეზარა? ან იქნებ შეეცოდა კიდევ ეს პატარა მამაცი ქალი და არ უნდოდა, ეწამებინათ და ბოლოს სიცოცხლისთვის გამოესალმებინათ?

აი, რა მოულოდნელად იხლართება ხოლმე ბედია უხილავი ძაფები. მოკლედ, იმ უცნობ ჯმუხ თურქს უნდა ვუმადლოდეს ჩემს სიცოცხლეს, იმიტომ რომ სწორედ მაშინ ბებია მამაჩემზე ყოფილა ფეხმძიმე, და ჩვენი ჯიში, რომელმაც შეიძლება საუკუნეებს გაუძლოს, არულიად შემთხვევით გადარჩა. მაგრამ ნუთუ ამ ქვეყანაზე ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობათა ჯაჭვს წარმოადგენს? არა, ასე არ არის. უბრალოდ არ შეიძლება ასე იყოს, რაც უფრო შევდივარ ხანში, მით უფრო არაბუნებრივი და საზიზღარი მეჩვენება ეს ვარაუდი. ჩვენ არ ვიცით საიდან ჩნდება სამყაროები და ვერც ვერასოდეს გავიგებთ ალბათ, მაგრამ ისინი უსათუოდ მიდიან სადღაც, როცა ამოწურავენ მთელ თავიანთ შესაძლებლობებს.

ყურადღებიანმა მკითხველმა ალბათ შეამჩნია, რომ ამ მოთხრობის ორი ეპიზოდი დაუჯერებელია. ან ამოუხსნელი, მეც მიჭირს გარკვევა, მაგრამ ის ნამდვილად ვიკი: სად მთავრდება რეალური და სად იწყება წარმოსახვა, ერთის ერ ღრმად მწამს. აქ ყველაფერი ან წმინდა ჭეშმარიტებაა, ან კიდევ მხოლოდ წარმოსახვა. ყოველ შემთხვევაში კეთილსინდისიერება მოითხოვს გაგაფრთხილოს, რომ ბებია სახელს არც ერთი იმდროინდელი მრავალრიცხოვანი ხელნაწერო არ მოიხსენიებს. ხუთივე მოკლულ ჩერქეზს ბაბუას მიაწერენ, ბებია მარწმუნებდა, ეს ამბავი პირველად მხოლოდ მამაშენს ვუამბე, და ისიც მაშინ, ჯარში რომ მიჰყავდათო. მამას ხმა არ ამოუღია, ეტყობა, ერთი სიტყვაც არ იწმუნა, მე კი დავუჯერე ბებოს, და დღემდე თითქმის საკუთარი თვალით ვხედავ ამ სურათს, ისედაც ეს ამბავი ძალიან შეეფერება ბებოს სახეს. ყოველ შემთხვევაში ისეთს, ჩემს მეხსიერებას რომ

შემორჩა. და მაინც წინააღმდეგობა წინააღმდეგობაა. პირველ რიგში მიწის ქვეშა გასაძვრომზე მინდა მოგახსენოთ. ლულჩო ბაბუ ირწმუნებოდა, პეტრა ბებიაშ საერთოდ არ იყო მისი არსებობაო. ლულჩო ბაბუა მანოლ ბაბუას ძმა კი არა, ბიძა იყო, თუმცა მხოლოდ ხუთი-ექვსი წლით თუ იყო უფროსი. როგორც შემდეგში შევიტყობთ, ლულჩო ბაბუა ფრანგულ-მწიფელოვანი მოწმეა და მგონი ყოველგვარ ექვგარეშე უნდა ვენდობოდეთ. აჩასხრდეს მიხსენებია ბებოსთან. ეს გვირავი და ალბათ ხვდებით, რატომ. ამით მისი არსებობის აზრს მოვუსპობდი. კითხვა კი ერთი შეხედვით ძალზე უბრალოა:

— რატომ არ გამოიყენა ბაბუა მანოლმა ეს ხვრელი, ალყისგან და, რასაკვირველია, თვით სიკვდილისგანაც რომ დაეხსნა თავი?

რა თქმა უნდა, მთელი ქალაქი ჯარისკაცებითა და ბაში-ბუზუკებით იყო სავსე, და იმათგან დაძვრომა ადვილი არ გახლდათ, მაგრამ იმედი მაინც იმედია, ბაბუას კი უფრო რთული მდგომარეობიდანაც დაუღწევია თავი, ყოველ შემთხვევაში საფრთხის გავლამდე მაინც შეეძლოთ დამალვა. ბოლოს და ბოლოს ხომ მაინც ასე მოხდა. თურქებმა მთელი ქალაქი ცეცხლს მისცეს და თვითონ წმინდა პეტრას ტაძრის მახლობლად გორაზე დაბანაკდნენ. ჩვენი სახლი გადარჩა, ასე რომ, შეიძლებოდა ორივენი ცოცხლები გადარჩენილიყვნენ. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ბაბუამ შეგნებულად გასწირა სიცოცხლე და მარტო თავისი კი არა, ახალგაზრდა ცოლის სიცოცხლაც. დიახ. სავსებით შეგნებულად. მის ხელში იყო სიკვდილიც და სიცოცხლაც, სიყვარულიც და ღირსებაც. რა ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო სიყვარული, მან ღირსებას ანაცვალა იგი: ოდესღაც ეს სიტყვა ყველაფერს ხსნიდა, თვით უგუნურ საქციელსაც კი. სამაგიეროდ ახლა სულ უფრო და უფრო კარგავს ფასს. ბევრი მას გულუბრყვილობისა და უმწიფარობის, წარსულის ქიმერებთან მონური დამოკიდებულების ნიშნად მიიჩნევს, სინამდვილეში კი ის შეიძლება ადამიანის ზნეობრივობის ჩონჩხი იყოს.

მაგრამ ჯერ განვაგრძოთ. სანამ პეტრა ბებია მიამბობდა, რა მოხდა მაშინ, როცა უგონოდ იწვა მოლზე. ერთი მოუშორებელი აზრი ქვეშის მარცხაქივით მიკაწრავდა ტვინს — საიდან იცი ყოველივე ეს, ბებო? შენ ხომ გონება გქონდა დაკარგული? — ერთხელაც ვერ მოვითმინე და ვკითხე. მან მკაცრად და ოდნავ გაოცებულმაც შემომხედა:

— ასე იყო, — მიბასუხა გაბრაზებულმა, — მე ყველაფერი მახსოვს.

ეთქვა მაინც: ყველაფერი მესმოდაო. ის ხომ პირქვე დაეცა. მოგვიანებით ნახეს ბაბუას ცხედრიდან ორ თუ სამ ნაბიჯზე, თავის ქალის ფრაქტურით — ასე იტყოდნენ ახლა. — მთლად უგონოდ. დავუშვათ ზოგი რამ გაგონილი აღებეჭდა ქვეცნობიერებას; მაგრამ დანახვა ხომ არაფრის შეეძლო, მით უმეტეს თურქის ჩალმის დანახვა.

ყოველივე წვრილმანი საიდან ვიცი? ლულჩო ბაბუასგან; გითხარით კიდევაც, ვინ იყო ლულჩო ბაბუა. მეორე დღეს გამთენიისას იპოვა ლულჩო ბაბუამ ბებიაჩემი. პეტრა ბებია ისევ უგონოდ იყო. ბაბუა გაოცებას ვერ მალავდა: როგორ გადარჩა ექიმის დაუხმარებლადო. გონება კი დაუბრუნდა, მაგრამ ათი დღე ხმა არ ამოუღია ბებიას. არც არაფერი უთქვამს, არც არაფერი უკითხავს, თითქოს ყველაფერი ისედაც ცხადი იყო. ასეთიც დარჩა მთელი სიცოცხლე — მდუმარე. თითქოს სულ სხვა სამყაროში ცხოვრობდა, რო-

მელიც ჩვენს სამყაროს სულაც არ ჰგავდა და რომელიც მიუწვდომელზე მიუწვდომელი იყო.

ბებოს ნაამბობი მეც და ჩემს მეხსიერებასაც მაინც ისე შემორჩა, როგორც უტყუარი ჭეშმარიტება და არა როგორც აღზნებული ტყუილ ცხელბიანი ჩვენება. ბებო არ მატყუებდა, ეს ყველაფერი უმდვილოდ გადაიტანა თუნდაც წარმოსახვაში. ასე იყო! — მითხრა ბებომ. ვინ იცის, იქნებ მართლა ასე იყო. საქმე იააა, რომ მისი ნაამბობის თვითეული დეტალი ზედმიწევნით დამაჯერებელია.

პირველად რვა წლისამ ვნახე ბებო. მაშინ პლოვდივში ვცხოვრობდით. არმიაში სამსახურის შემდეგ მამამ პანაგიურიშტში დაბრუნება აღარ ისურვა?! ქალაქი ძალზე პაწია იყო მისი ამბიციებისათვის. მამას უფრო მეტად იზიდავდა პლოვდივის სავაჭრო ქუჩები, სადაც პეწიანად გაიქნევ-გამოიქნევდა გაპრიალებულ ხელჯონს, ქათქათა სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე გადაპრავდა ლუდს. ან კიდევ შუბლზე ჩამოიფხატავდა ცილის ქურდს და შავი ღია ეტლით იგრიანებდა. ასე რომ, არც დაფიქრებულა, ისე შიატოვა დედა, რომელსაც მის მეტი არაფერი გააჩნდა ამქვეყნად.

ბებოს არც კი უცდია ვაჟიშვილის შეჩერება. აიღო და ფული მისცა — მისი მემკვიდრეობის წილი. ეს ამბავიც იმაზე მეტყველებს, რომ ნური-ბეის ყაჩაღებს ვერ უპოვიათ ის, რასაც ეძებდნენ. ბებომ თითქმის მუქთად იყიდა პანაგიურიშტში ფუნდუკი, მაგრამ თვითონ შიგ არც შეუხედავს; ყველაფერი ლულჩო ბაბუამ მოაგვარა. რა შემოსავალს იძლეოდა ეს ფუნდუკი, ღმერთმა იცის. იმხანად ასეთი სავაჭროების საქმე თანდათან უკან მიდიოდა, მაგრამ ორი უპრეტენზიო ადამიანისათვის ესეც საკმარისი იყო.

მამამ თამბაქოს სავაჭრო გახსნა. თავიდან როგორ მიჰყავდა საქმეები, არ ვიცი, მაგრამ სამი წლის შემდეგ ჩაფლავდა. მისი ბედი არც მაკვირვებს — მამაჩემი თითქოს საგანგებოდ დაბადებულიყო უიღბლო, პრანწია იყო და ტრაბახა. მოკლედ, ბულგარელს არ ჰგავდა, ყოველგვარი შრომა, ფიზიკურითა და გონებრივით ზიზლა ჰგვრიდა. მთლად გალატაკდა და მაინც დიდი ვინმე ეგონებოდათ. ყველაფერი ისე ელეგანტური და გაპიწკინებული ეცვა, ზონარზე კი შთამბეჭდავად ეკიდა ოქროს პენსნე, რომელიც ის იყო შემოდოდა მოდაში. იაე კი მამაჩემი ვარგი კაცი იყო: უბოროტო, ხელგაშლილი და საოცრად მიმნდობი. სწორედ ამან მიიყვანა იგი გაკოტრებამდე. ერთადერთი დედაჩემი აღმერთებდა მამას და მის მოსამსახურედაც გადაიქცია თავი. არაფრით არ ბრწყინავდა ეს საცოდავი ქალი: არც სილამაზით და არც გონებით. ვისაც დიდი პრეტენზია აქვს, მას როგორც წესი, ცოტა რამეს თუ არგუნებს ცხოვრება. მამაჩემმა დიდი მზითვის იმედით ითხოვა იგი, რომელიც, რა თქმა უნდა, არასოდეს მიუღია.

რთული რამაა ადამიანის მემკვიდრეობითი თვისებები. ეს მენდელეევის მუხუდოს ჩენჩო არ გეგონოთ.

ბებო ჩვენთან რომ გადმოვიდა საცხოვრებლად, მამაჩემი ერთი ყავახანის მეპატრონედა იყო. ეგ იყო და ეგ. ყავახანა ერქვა. თორემ რა ყავახანა ის იყო — სამი მაგიდა და ყავის მოსადუღებელი პაწია კერა ძლივს ეტეოდა ვიწრო დერეფანში. ამაგიეროდ ადგილი იყო საუცხოო, სავაჭრო კვარტალის შუაგული. შეიძლება სხვა ღირსება არ გააჩნდა მამაჩემს, მაგრამ ყავას კი ნამდვილად ოსტატურად ადუღებდა. ასე რომ, სამი მაგიდა ნამდვილად არ

ემაროდა მისი მუშტრისათვის. მამაჩემს უფრო მეტად შინ მიტანით გაჭრობის იმედი ჰქონდა. ყავას ძირითადად მე ვატარებდი. ჩემი ძმა ექვსი წელი უფროსი იყო და ასეთი საქმიანობა ასაკისთვის შეუფერებელი მიაჩნდა. თანაც ჩემი ძმა, ცოტა არ იყოს, ამაყი და ამპარტავანი გახლდათ. ექვსი წელი და ბისას მოხარშულ კიბორჩხალასავით წითლდებოდა. შეიძლება და ისიც ჩემსავით მხოლოდ მორცხვი იყო და სხვა არაფერი. ამ ოხერ ფინჯნებს მრგვალი თუნუქის ლანგრით დავატარებდი დახლებს შორის და მეჩვენებოდა, რომ ხალხი დამცინავად და ზიზლით მიყურებდა. საშინლად განვიცდიდი, სხვა ყავახანის ბიჭებს კი მხიარული სტვენით დაჰქონდათ ყავა აჭეთ-იქით, თუმცა გასამრჯელოდ მხოლოდ იმდენს აძლევდნენ, შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ.

სიკვდილამდე არ დამავიწყდება ის დღე, პირველად რომ ვნახე ბებიაჩემი. ჩვენთან რომ უნდა გადმოსულიყო, ეს ადრევე ვიცოდი. ლულჩო ბებუა მოულოდნელად გარდაიცვალა ინსულტით. ეს ხშირად ემართებოდა ფუნდუკის მეპატრონეებს, რადგანაც უარს არ ამბობენ გადაკვრაზე. ბებოს მართო ცხოვრება არ შეეძლო, მაგრამ მაინც გაუჭირდა პლოვდივში გადმოსახლება. ალბათ პანაგიურიშტში ქმრის საფლავი აკავებდა უსაზღვრო ძალით. მაგრამ მამაჩემი რომ არ გაელიზიანებინა (ეს ზუსტად მიაი გამოთქმავ), ჩვენთან გადმოსვლა გადაწყვიტა. ასე იყო თუ ისე. მამამ ყავახანა დაკეტა და ერთი კვირით პანაგიურიშტში წავიდა. ეს დღეები მართლა ზღაპრული იყო ჩემთვის. მთელი დღე მარიცას პატარ-პატარა ყურეებში ვკვებულავარდით. ერთხელ შინ რომ დავბრუნდი, მაშინვე მივხვდი — ბებო ჩამოსულიყო. დედა აღელვებული დაბორილობდა ეზოში და თვალი მომკრა თუ არა მიტხრა:

— მიდი, მიდი და ხელზე კოცნა არ დაგავიწყდეს.

მაგრამ ისე გამოაცა ბებიას გარეგნობამ, რომ ხელზე კოცნა დამავიწყდა. მე ის ტრადიციულ ბებიად მყავდა წარმოდგენილი: წელში მოხრილი, თვალჩამრეტილი, კბილებჩაცვენილი და ცოტა მოსულელოდ მომღიმაოე. შინ რომ შევედი, ბებო ძალიან საწოლზე იჯდა, ფეხებს ძლივს უწვდენდა იატაკს და ასაკოვან ქალიშვილს უფრო ჰგავდა, ვიდრე მოხუცს. თავსაფარიც კი არ ეხურა. კუბრივით შავი თმა ორ ნაწნავად ჩამოეშვა მკერდზე, ერთი ღერი თეთრიც არ ერია შიგ. თუმცა სამოცს იყო მიტანებული. ბებო თვალს არ ახამხამებდა, ისე მომჩერებოდა. გამონედვაში არც გაოცება ეტყობოდა და არც ცნობისმოყვარეობა. აი ბებია მესმის! ამასთან თვალხუჭობანას თამაშიც შეიძლება. ალბათ ძალზე სასაცილო შესახედავი ვიყავი და ბებოძაც გაილიმა. გაილიმა და თეთრი ჩაწიკწიკებული კბილები გამოაჩინა.

— შენა ხარ მანოლი?

— დიახ.

„ბებო“ აღარ დამიმატებია.

— მოდი, ჩემთან.

საკმაოდ მორიდებულად მივედი, ისეთი შთამბეჭდავი იყო მისი გარეგნობა.

ბებომ ლამაზი ხელი დამადო გაკრეკილ თავზე. დროდადრო თითებს მიჭერდა. ასე ბაზარში იციან ხოლმე ნესვის გასინჯვა, მწიფეა თუ არაო. გასინჯვამ, ეტყობა, სავაუბით დააკმაყოფილა იგი. თვალეებში სინაზე და სიკეთე

ჩაუდგა პირველად და უკანასკნელად პლოვდივში ჩვენი ცხოვრების ნანძილზე.

— შენ მე მგაფხარ. — მითხრა ემაყოფილმა. — მხოლოდ შენა გაქვს ჩემნაირი ძვალი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე აწურული ვიდექი და ხმას არ ვიღებდი.

— ფეხშველა რატომ ხარ?

— ახლა ხომ ზაფხულია. — გავიოცე მე.

— მერე რა რომ ზაფხულია, შენ ბაბუა მანოლის შეილიშვილი ხარ, მის სახელი გქვია და ფეხშველა სირბილი არ შეგშვენის.

ასე ჩავიციე ეს ოხერი „ბათინკები“ და საერთოდაც ვეღარ მოვიშორე. მაშინ ამაზე არც მიფიქრია, იაე თვალეზღაპრული მიფიქრებოდი ბებიას. რატომ არავის უთქვამს, რომ ბაბუას პატივისცემის ნიშნად მერქვა ეს სახელი, ადამიანად არ მთვლიან თუ რა?!

— ასე ახალგაზრდა რატომ ხარ? — წამოვიძახე უცბად.

— არა ვარ ახალგაზრდა. — სერიოზულად მიპასუხა ბებომ. — ქრისტემდე რა იყო, ისიც კი მახსოვს.

ახლაც არ ვიცი. ამით რისი თქმა უნდოდა. იქნებ უბრალოდ იხუმრა და მეტი არაფერი.

— შენ ჯადოქარი არა ხარ? — მართლა სულელივით ვაითხე მე, — ამბობენ, მართო ჯადოქრები არ ბერდებანო.

რაღაც ღიმილის მაგვარმა გაირბინა მის თხელ, მაგრამ ნორჩ ტუჩებზე ეტყობა. სრულებითაც არ ვაბრაზდა.

— იქნებ ჯადოქარიც ვარ, ამაზე აქამდე არ მიფიქრია... მგონი, მართლა ჯადოქარი ვარ. — ბებომ ნელა ამიწია ყური, ისეთივე მრგვალი და პატარა, თვითონ რომ ჰქონდა.

მართლა ძალიან მიყვარდა ჩემი უცხაური ბებო. მაგრამ ცოტა ყოველთვის მეშინოდა მიაი. წარმოიდგინეთ და, რომ წამოვიზარდე, მაშინაც კი ასე მეგონა. თუკი ბებო მოისურვებდა, რაღაც უნდოდა, იმად გადაიქცეოდა: კოტად, შავ თხად, თუნდაც მშვენიერ მეფის ასულად. ბებიამ შავი აბრეშუმის კაბის კალთა აიწია, უბეში ქვედა კაბა გამოუჩნდა. ჯიბეში ხელი ჩაიყო და ფული ამოიღო:

— აჰა, კამფეტები იყიდე, აბა. გაიქეცი!

წასვლისას შევამჩნიე, რომ ოთახს რაღაც ახალი შემატებოდა. ეს იყო თვით ბებიაზე უფრო დიდი ზანდუკი. ათაოდენა მეხახა ასეთი ლამაზი ზანდუკი. სულ სხვადასხვა ფერის ლითონის ზოლები ჰქონდა გარშემო. გეგონებოდათ, პირდაპირ შეპერაზადას ზღაპრებიდან მოუტანიათო. პატარაობიას ძალიან მინდოდა შიგ ჩახედვა. მინდოდა გამეგო, რა განძეულობას ინახავდა ბებია. არც მოზრდილი ვიტყოდი უარს ზანდუკში ჩაქყეტვაზე. ამის შემდეგ თხუთმეტი წელი ეიდევ ცხოვრა ბებომ ჩვენთან. მაგრამ ჩემს სურვილს ახდენა არ ეწერა. ზანდუკი დაიმსხვრა, უფრო სწორად, გაქრა სოფლის ერთ-ერთი საშინელი დაბომბვის დროს. მაშინ ხომ თვითონ ბებოც დაიღუპა.

ბებია თავის ოთახში ცხოვრობდა წყნარად და თავივით უხმაუროდ. არსად არ დადიოდა. თითქმის არაფერს ქამდა. მთელი ეს ხანი ერთხელაც არ შეუხედავს ეკლესიაში. თითქოს ისევ გამწყვდილი იყო ღმერთზე ბაბუას უღე-

თო სიკვდილის გამო, ალბათ ასეც იყო, ან იქნებ სადაც ბებო დაიბადა და გაიზარდა, საერთოდ არც იყო ეკლესია.

მხოლოდ კვირაში ერთხელ ძველ თურქულ აბანოში დადიოდა. დიდხანს ემზადებოდა ხოლმე წასასვლელად; დაფაჩუნობდა თავის ოთახში დასწრად და კეტავდა ზანდუქს. ოდნავადაც არ გამოიკვირებოდა, ზანდუქსს მისი მზავი ხალიჩა რომ ამოეღო და აბანოს ტყვიის გუმბათისკენ გაფრენილიყო. არ დამა-
ვიწყდება: რა გამართულად, მსუბუქად მიაბიჯებდა. მეზობლებიც კი გადმო-
ეყუდებოდნენ ხოლმე ფანჯრებიდან მის დასანახავად. თვითონ კი ზედაც არა-
ვის უყურებდა, თითქოს მარტოდ მარტო ცხოვრობდა ამ ქვეყანაზე. ვინ
იცის, იქნებ ასეც იყო. „ქრისტესდროინდელი“ მოგონებები იყო მისთვის
ერთადერთი რეალური რამ. ან ვინ იცის, რომელი ცხოვრება უფრო ნამდვი-
ლია, რეალური, თუ ის, რომელიც თვით ჩვენშია. ეს მხოლოდ შესლილები-
თვის არის ნათელი და გასაგები, დანარჩენები კი თავს ვიტყუებთ და სხვა
არაფერი.

აბანოდან ზუსტად სამი საათის შემდეგ ბრუნდებოდა ბებო, თუმცა სა-
ათისთვის არასოდეს შეუხედავს. თითქოს არც იცის მისი არსებობაო. ბებო
მართლაც ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც თითქოს თავისი არსებით
დაჰქონდა დრო. შინ კარგ გუნებაზე ბრუნდებოდა, ავარდისფერებული. უბით
ორი თბილი ფუნთუშა მოჰქონდა, არ ვიცი, როგორ აცხოვდნენ მაშინ პლო-
ვდივში ასეთ ფუნთუშებს. ახლა სად იშოვი. მეჩვენებოდა, რომ ფუნთუშებს
სეფისკვერის ზეციური გემო ჰქონდა. ჩემი ძმაც, თავი რომ დიდად მოჰქონ-
და, სიამოვნებით გეახლებოდათ ხოლმე იმ ფუნთუშებს.

და ერთხელ სწორედ ამ აბანომ შეამთხვია უბედურება ბებოს: ქვის სველ
იატაკზე ფეხი დაუსხლტა და მეტიც არ უნდოდა, მოიტეხა. პირდაპირ აბანო-
დან წაიყვანა მამამ ქალაქის საავადმყოფოში. მამა შეწუხებული დაბრუნდა
შინ; სულ ცოტა, ორი თვე მაინც უნდა იწვესო. ფეხზე თაბაშირი და-
დეს.

მართლა კარგა ხანს აყურყუტეს ბებო იმ დაწყევლილ საავადმყოფოში.
კვირაში ორჯერ მივდიოდით სანახვად ხან მე და მამა და ხან მე და დედა.
ვგრძნობდი, ბებოს მხოლოდ ჩემი მისვლა უხაროდა, სხვებს ზედაც არ
უყურებდა. ჩვეულებისამებრ, ხელს მაგარ თავზე დამადებდა, ალუბალივით
ჩაშავებული თვალები ოდნავ გაუბრწყინდებოდა და სკოლის ამბებს გამომკი-
თხავდა. სწავლის საქმე ცუდად არ მქონდა, კითხვა ძალზე ადვილად ვისწავ-
ლე. ეს იყო, ცოტა არითმეტიკა მიჭირებდა საქმეს. ახლაც არ ვიცი მტკიცედ,
რამდენია შვიდჯერ რვა.

— ისწავლე, ისწავლე, — ჩამჩიჩინებდა ბებია. — შენგან დიდი კაცი გა-
მოვა.

მამა სკეპტიკურად იცინოდა, მაგრამ არ ედავებოდა, იმ დროს მშობლებ-
თან კამათი მიღებული არ იყო, მით უმეტეს, წინააღმდეგობის გაწევა. თვი-
თონ მამაჩემს ოდნავადაც არ ჰქონია ჩემი იმედი. ამის საბუთიც ჰქონდა:
პირველი კლასი ოთხებზე დავამთავრე და ამან გაუტეხა გული. ჩემი ძმა იო-
დანი კის ულ ექვსიანებს იღებდა. თანაც მზუთხავი არასოდეს ყოფილა.
სარკის წინ ტრიალს უფრო მეტ დროს ანდომებდა, ვიდრე სახელმძღვანელო-
ების კითხვას. ამით ზედგამოჭრილი მამა იყო. აბა, მე რას შევედრებოდ-
ეთერსახიანს, მამასავით და, რა თქმა უნდა, ბაბუა მანოლივით ლამაზს. მე რა

ვიყავი მასთან შედარებით: ერთი ჩვეულებრივი, უგერგილო ბიჭი. ახლად გამოჩეკილ ბახალასავით შევნიკარტა. მე თუ მკითხავთ, სწორედ იმისთვის უნდა დაერქმიათ ბაბუას სახელი. მაგრამ მამაჩემმა, იქნებ შემკვიდრეობა დაუმტკიცოსო და პირველ ვაჟიშვილს სიმამრის სახელი დაერქვა. რას იფიქრებდა, რომ სიმამრი თავის წისკვილს ეტონებად გადასქცევდა, და ერთ კვირაში ვისბადენის ბანქოს სათამაშო სახლში გააქრობდა.

აი, სწორედ მაშინ, აპრილის ბოლოს, მოხდა ეს ამბავი, რაც არასოდეს დამავიწყდება. მე და მამა საავადმყოფოში მივედი. ბებო რალაც განსაკუთრებულად აღელვებული და აწრიალებული დაგვხვდა. ოთახში შესვლა და მისალმება არ გვაცალა, ისე მიაძახა მამას:

- დელჩო, ახლავე წამიყვანე აქედან... ვახშმად შინ უნდა ვიყო.
- რატომ? — გაუკვირდა მამას.
- ასეა საჭირო, — მკაცრად უბასუხა ბებომ.

კი მაგრამ შენს წაყვანას მე ვინ მკითხავს, მთავარ ექიმს უნდა დავუეკითხო, — შეწუხდა მამა.

მამა მაშინვე გავიდა ოთახიდან. ამჯერად ბებოს ერთხელაც კი არ შემოუხედავს ჩემთვის, ეტყობოდა, ძალზე შეშფოთებული იყო. აქამდე მეგონა, თვით სატანაც კი ვერ გამოიყვანს-მეთქი წონასწორობიდან. მამა ნახევარ საათში დაბრუნდა, მეტისმეტად შეწუხებული ჩანდა.

— ნებას არ გვრთავენ, დედა, ექიმი ცივ უარზეა, დაკოტლდებაო, ასე მითხრა.

ახლა ვიცი, რომ მამა იტყუებოდა. უბრალოდ, ვერ ნახა ექიმი, გაწერაზე რომ დაეთანხმებინა. მამა კი თვითონ ისეთ რამეს ვერ იკისრებდა, ამის ძალა არ შესწევდა. ბებო თითქოს მიხვდაო:

— როგორი დოყლაპიაც იყავი, ისეთი დარჩები მთელი სიცოცხლე, დოყლაპიადვე მოკვდები, — სიძულვილით მიახალა მან.

მამაჩემი ისე გაწითლდა, კაცი იფიქრებდა, საცაა გასკდებაო.

— არა, რალა მაინცდამაინც დღეს მოგინდა გამოწერა? — თითქმის იყვირა მამამ, — რა ბავშვური ახირებაა.

ბებია წამით შეყოვნდა, მერე ჩუმად უთხრა:

— დაიხარე, ხმამალლა ნუ მალაპარაკებ. — მოიხედა. პალატაში ცოტა მოშორებით კიდევ ორი ქალი იწვა.

— ხვალ მიწისძვრა იქნება და სწორედ ჩვენთან ჩამოინგრევა კერი! — ჩაიჩურჩულა ბებომ.

ძალზე დამჯერე შვილი იყო მამაჩემი, მაგრამ ახლა კინალამ გაბრაზდა.

— უფიქრდები, რას ამბობ? აბა, ვის შეუძლია მიწისძვრის წინასწარმეტყველება? არავის, გესმია? არავის! თვით ღმერთიც რომ ჩამოვიდეს ციდან ისიც კი ვერ იტყვის.

არ შეიძლებოდა, არ შემემჩნია ბებოს ზიზლიანი გამოხედვა.

— წადი, — ცივად ჩაილაპარაკა მან. — შენ ვერაფერს შეგაგნებინებ.

მამაჩემი გველნაკბენივით წამოხტა და პალატიდან გავარდა. მე კი მოულოდნელად ავღრიალდი:

— ბებიკო, ჩემო საყვარელო ბებიკო, შენთან დარჩენა მინდა.

ბებიას თითქოს სახე გაუნათდა, ორივე ხელი თავზე დამადო და ნაზად მაკოცა გამხდარ ლოყაზე. პირველად და უანასკნელად მაკოცა, თუმცა არა.

მეორედ ჯარში რომ მივდიოდი მაშინ მაკოცა, მაგრამ ეს სულ სხვანაირი კოცნა იყო, სულ სხვანაირი.

— მარტო შენა ხარ ჩემი ბიჭი!... მარტო შენ, — თითქმის ამორქვიდინა მან, — ბებო არასოდეს დაგივიწყებს.

ეს სულ ერთ წამს თუ გაგრძელდა. მერმე სახე ისევ მტკნარ ღრუბდა, როგორც საერთოდ ჰქონდა.

— ყური დამიგდე, მანოლ, ყური დამიგდე, ჩემო ბიჭო. ახლა ხომ არ დადევები გაქვთ; პოდა, ხვალ სახლში ნუ გაჩერდები. შეაგროვე ბიჭები და მინდორში წადით, წიწკანები და ჩიტბატონები დაიჭირეთ.

— კარგი, ბებო.

— პირობას მაძლევ?

— პირობას გაძლევ.

ბებო თვალს არ მაცილებდა და მისი სახის მკაცრი ნაკვთები თანდათან რბილდებოდა. თვალეში შეკავებული სინაზის ჩრდილი ჩაუდგა.

— ახლა კი წადი, — მითხრა ბებომ, — მამაშენს არ გავხარ, რაკი დამპირდი, შეასრულებ კიდევ.

მეორე დილას ბიჭები ჩიტების დასაჭერად წავედით. ადრე წავედით, ჯერ ცვარიც არ იყო შემშრალი. სულაც არ მახსოვდა ეს შენი მიწისძვრა. მე მხოლოდ ბებოზე მიცემული პირობა მახსოვდა. რაც ბებო ჩვენთან გადმოვიდა, ყავის ტარებას თავი მივანებე. მამამ ბიჭები დაიჭირავე. ასე რომ, ახლა თავისუფალი ვიყავი და საითაც მომეპრიანებოდა, იქით წავიდოდი. ჩიტებზე ნადირობა ისეთი გართობაა, რომ ვერც გაიგებ, ისე გაგებარება დრო. ახლაც ავიღეთ კაკანათები და აცეტებულები გავეშურეთ „ექსპედიციაში“. ჩვენი წინამძღოლი კრუჩმო ამბობდა ხოლმე ასე. ის საოცარი ნათელი დილა არასოდეს დამავიწყდება. ეჰ, რა შეედრება ბავშვობაში გატარებულ დღეებს! რა უნდა იყოს იმ ღრუბლებზე უფრო ლამაზი, იმ ბზებზე უფრო მწვანე და თვლემამორეულ გატრუნულ ყურეებზე უფრო მშვიდი... რა შეედრება ზაფხულის გავარვარებული ცის ქვეშ მოსრიალე ჩიტებს. მათი ქიკტიკა კი თვით ამ ცაზე კრიალაა. პაწიები, თხილის ტოლები, საოცრად თბილები, გულგახეთქილები ფათქუნობენ ჩვენს მკაცრ ხელისგულებზე.

პატარა ბოჩკვს ამოვეფარეთ. გამთბარ მიწას ოხშივარი ასდიოდა. ზაფხულის ხმელი ბალახი გვჩხვლევდა. თოკის ბოლო კრუჩმოს ეჭირა, ჩვენ მისი ასისტენტები ვიყავით. ჩიტბატონები უდარდელად ელურტულებდნენ კაკანათის მახლობლად, მტვერში იგანგლებოდნენ, მხიარულად კენკავდნენ რაღაცას, კაკანათს კი არ ეკარებოდნენ. ვიცოდი, ბოლომდის ვერ მოითმენდნენ, და მაინც გაებმებოდნენ ხაფანგში. ამ დროს ლოდინი და მოთმინება გმართებს კაცს. ჩვენს გარშემო ყველაფერი იცდიდა: ცა, ეკლისა და კუნელის ბუჩქები. ყველაფერი გატრუნული იყო და თითქოს ყველაფერი ჩვენს სიხარულს იზიარებდა.

უცბად ჩიტები ერთი წამით გაყუჩდნენ და მერე საშინელი ელივილით მოწყდნენ მიწას.

და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო; ჩვენს ქვეშ მიწა ცოცხალივით გაიდრიკა, შემდეგ ისე ძლიერად შეა... თითქოს გიგანტური კამეჩის ზურგზე ვიყავით შემომსხდარნი და ის კი ტალახსა და მომაბეზრებელ მწერებს იცილებდა. ჰაერი შესქელდა და გამჭვირვალე ელესავით ათახთახდა. რაღაც

გაუგებარმა. დღემდე განუცდელმა შიშმა სისხლი გამიყინა. წამოხტომაც კი ვერ შევძელი ვიწეკი და ველოდი. როდის გადამყლაპავდა მიწა. მარტო ის მახსოვს, ყრანტალით რომ აფრინდა ყვავებია გუნდი და მთელი ცხ გადაშავდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, ამდენი ფრინველი თუ ბინადრობდა ამ ტრიალ მინდვრებზე.

შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა. ჰაერმა ისევ დაიბრუნა ბროლის გამკვირვალეობა, ცა კი ისევ გადაშავებული იყო ფრინველებით. ჰო, კიდევ შეშინებულმა, ბრმასავეით დამფრთხალმა გველმა ჩაისრიალა ჩვენს გვერდით. შიშმა და ძრწოლამ ისევე უცბად გაიარა, როგორ უცბადაც დაგვატყდა თავს.

— ბებია! — ვიყვირე მე და სხვებისთვის არც დამიცდია, თავქუდმოგლეჯილი გავვარდი შინისკენ. შეუსვენებელივ მივრბოდი, სანამ უვნებელი ქალაქი არ დავინახე, ვითომ არაფერი მომხდარიყოს. ქალაქი უვნებელი იყო, მაგრამ ისე ჩამკვდარი, თითქოს აცციშვილი არ გადარჩენილიყოს ცოცხალი. ყველაფერს შევურიგდი და ჩემდაუნებურად ნაბიჯი შევანელე.

თურმე აი რა მომხდარა:

მიწისძვრამ მამას ყავახანაში მოუსწრო, თაროები ჩამოინგრა. ფინჯნები და ლანგრები დაიმსხვრა. შაქრიანი ქილა ყუმბარასავეით დაასკდა იატაკს. მამამ შეშინებაც კი ვერ მოასწრო. ალბათ ქალაქში იაეთი ააშინელება მაინც არ იყო, როგორც მინდორში. იქ ფებქვეშ გვერყეოდა თვით ჩვენი არსებობის ფუძე — მარად უძრავი დედამიწა. მამამ ყველაფერი მიატოვა და საავადმყოფოში გაქანდა. იმას სხვა შიში ჰქონდა, ბებოს შიში. საავადმყოფომდე მიიღბინა და ფეხები მოეკვეთა. შენობის კედლები დახეთქილი იყო, სახურავი ალაგ-ალაგ ჩამონგრეული. ეზოში დაყრილ ლეიბებზე ავადმყოფები იწვნენ, მათ შორის დაფეთებული ექიმები და ექთნები დაბორილობდნენ. დაბნეულებმა არ იცოდნენ რა გაეკეთებინათ, იდგნენ და შემდეგ ბიძგს ელოდებოდნენ. მამაჩემი ნახევრად ჩამონგრეულ კარს ეცა.

შეიძლება ეს იყო მთელ მის სიცოცხლეში ყველაზე უფრო გაბედული საქციელი. თუმცა ფრონტზე რას აკეთებდა, ვერ ვეტყვით — ამ თემაზე საუბარი არ უყვარდა მამას. მარტო ის ვიცოდი, რომ ტყვიამფრქვევთა ასეულის უნტეროფიცერი იყო. ისიც ვიცოდი, რომ ორდენები არ ჰქონდა. მაგრამ იმ წუთებში ნამდვილად ღირსეულად ეჭირა თავი. ძლივს ააღწია მეორე სართულამდე, სადაც ყველაფერი მინის ნამსხვრევებით, ჩამოცვენილი ბათქაშითა და აგურის ნამტვრევებით იყო დაფარული. ალაგ-ალაგ ნივნივებს ჩაეხერგა გზა, მამა ცახცახებდა, უკვე აღარ სჯეროდა, ბებია ცოცხალი თუ იქნებოდა. გულამოვარდნილმა მიაღწია, როგორც იქნა მის პალატამდე, მაგრამ იმდენი ნამტვრევი ეყარა ძირს, კარი ვერ გამოაღო. მაშინ ისე მოქაჩა, ანჯამები მოგლიჯა.

პალატაში შევიდა თუ არა, მაშინვე დედამისის მრგვალი, ნაღვლიანი და სულშიჩამწვდომი თვალები შეეფეთა. როგორც ბებომ იწინასწარმეტყველა, კერი მართლა ჩამონგრეულიყო. დანარჩენი ორი საწოლი აგურის ნამტვრევებს დაეფარა. საბედნიეროდ ორივე ქალს მოეწყო გაქცევა.

— დედა! — იყვირა გახარებულმა მამამ, — ცოცხალი ხარ?

— ცოცხალი ვარ, შვილო, — კრძალოვით უპასუხა ბებომ.

სიკვდილთან პირისპირ მდგარი ადამიანი ყოველთვის უფრო კეთილი და ლმობიერი ხდება.

— ნუ გეშინია, ახლაცუ გაგიყვას.

— რილასი უნდა შეშინოდეს, მოსახდენი მოხდა.

მამამ ხელში აიტატა ბებო და ისე გამოიყვანა. მამა ღონიერი და ბრუნ-
ლი კაცი იყო და ბებოს აყვანა არ გაუჭირდებოდა. სწორედ ამ დროს და-
ვბრუნდი შინ. სახლი უვნებლად იდგა, მხოლოდ კედლები და მარჯვენა კარ-
ალაგ-ალაგ. დედაჩემი დარეტიანებული ქათამივით დაბორიალობდა ეზოში.
მაგრამ ძალიან შეშინებული მაინც არ ჩანდა. ჩვენი ავარტალი სერიოზულ და-
ნგრევას გადაარჩა. ერთი-ორი კედელი ჩამოიშალა და რამდენიმე მილი ჩამო-
ვარდა. ყავახანიდან ჩემი ძმა დაბრუნდა. იქ ეთქვათ, მამა საავადმყოფოში
გაიქცაო. მეც უნდა გავქცეულიყავი, მაგრამ ამ დროს მოსახვევში ეტლი გამოჩ-
ნდა, შიგ, რა თქმა უნდა, მამა და ბებო ისხდნენ. მე რომ დამინახა, რაღაც გან-
საკუთრებულად გაუბრწყინდა ბებოს თვალები.

— ხომ გეუბნებოდნი, შვილო, ასეთ დროს გარეთ უოფნა ჯობია...

— იქაც საშინელება იყო, ბებო! — ვუპასუხე მე.

რა თქმა უნდა, ხვდებით, რომ ბებოს საოცარ წინასწარმეტყველებას არ
გავუავირვებოვარ, მისგან კიდევ მეტს მოველოდი. ბავშვებზე საოცრებათა სამ-
ყაროში ცხოვრობენ და ზოგჯერ მათ მიერ წარმოსახული სამყარო რეალურ-
ზე უფრო ძლიერია. სწორედ ამ სამყაროში ხდება სასწაულები. ბავშვი ყო-
ველ წუთში გამოიგონებს ხოლმე სასწაულებს და ხშირად ღრმადაც სწამს
ამ სასწაულების. შეშფოთებულ მშობლები ამას ფსიქიურ აშლილობას მია-
წერენ და ექიმაც კი მიმართავენ. ეს სასწაულთა წყურვილი კი ისევე ძვე-
ლია, როგორც ალბათ თვით ადამიანის სული. და ბუნების სასტიკ სტიქიათა
შორის ამ უმწეოსა და ეულ წყურვილს ახვავგარი გამოხატულება ვერც ექ-
ნება.

ბებო განმარტოებით ცხოვრობდა თავია ოთახში და აადილობისას თუ
შევხვდებოდი ხოლმე, დასაძახებლად მე მგზავნიდნენ. მოკრძალებით დავაკა-
კუნებდი კარებზე და მერე, შევდიოდი. ყოველთვის იმ პოზაში მხვდებოდა
ბებო, პირველად რომ ვნახე — ზის საწოლზე და ფეხებს ძლივს უწვდენს
იატაკს. გაყინული მზერა ყოველთვის შიშველ კედელზე ჰქონდა მიშტერე-
ბული. რომ დავუძახებდი, ვგრძნობდი, სადღაც შორიდან ბრუნდებოდა. სა-
დაც შეიძლება მანამდე კაციშვილს არც ჰქონია დაბიჯებული ფეხი. დიდი
ხნის შემდეგ მივხვდი: ბებო მაშინ თავისი წარსულიდან ბრუნდებოდა. იგი
ყოველდღე, ყოველ წუთს თავიდან განიცდიდა ყოველივე იმას, რაც იმ მო-
რეულ წლებში გადაიტანა. ეს იყო მისი ერთადერთი შვება და ნეტარება. მას
ხომ მართლა არ ჰქონია სხვა სიცოცხლე გარდა იმისა, რომელიც ბაბუას
გვერდით გაატარა. მაშინ ადამიანება საკუთარი თავის გარდა არაფერი ემა-
დათ. ახლა ძილგატეხილი ხშირად ვფიქრობ: შეიძლება, სწორედ ესაა ბუნე-
ბრივი. ვინ მოიგო ამ ცვლილებებით, ვინ წააგო?

ბოლოს მაინც დადგა დღე. როცა გავბედე და ვიკითხე:

— ბებო, როგორ მიხვდი, მიწისძვრა რომ იქნებოდა?

ბებომ შეწუხებული მზერა მომაპყრო:

— ამის სიტყვებით გამოთქმა ძნელია, შვილო... თითქოს რაღაც გახსენ-
დება... რაც ჯერ არ მომხდარა.

ასეთი პასუხი აშკარად არ მაკმაყოფილებდა. მეგონა, ბებო დიდ საი-

დუმლოს გამიმხელდა და ეს საიდუმლო უფრო ჰკვიან და ძლიერ ადამიანად გადამაქცევდა.

— ეს პირველად დაგემართა, ბებო?

— არა, არა, ადრეც მომსვლია... თითქოს სიზმარში ვიყავი... ეს ბაბუ-
შენის სიკვდილის მერე იყო. — ჩემი შეწუხებული სახე ^{წინააღმდეგობა} დაუმა-
ტა: — არ არის, შვილო, საჭირო იმის წინასწარ ცოდნა, რაც მომავალში უნ-
და მოხდეს. შიში მოგემატება და მეტი არაფერი.

ჰო, ალბათ ბებო მართალი იყო, თავისთვის იყო მართალი და არა ჩემთ-
ვის. მე მგონი, არ აწყენს კაცს იმის ცოდნა, თუ როდის იქნება მიწისძვრა, ან
როდის დაეცემა თავზე აგური. ბოლოს და ბოლოს მაშინ სიკვდილის გვე-
რდის ავლასაც მოახერხებ. ყველაფერი ეს ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ
ვუთხარი ბებოს.

— სწორედ ეს არის დაუშვებელი. შვილო, ადამიანმა თავისი სიკვდილი
არ უნდა ნახოს, — ესა თქვა და შემდეგ კრინტიც აღარ დაუძრავს.

ძველებურად წყნარად და უშფოთველად ცხოვრობდა ბებო თავის ოთახ-
ში, თითქოს იყო და არც იყო. ჩემს პირად ცხოვრებაში სულ ორჯერ ჩაე-
რია ბებო, სამაგიეროდ ძალზე აქტიურად. პროგინაზია რომ დავამთავრე, მა-
მამ გადაწყვიტა მეტი სწავლა საჭირო არ არისო. ნაწილობრივ მართალიც
იყო მამა, არ ვიმსახურებდი. არც მაინცდამაინც ბრწყინვალედ ვსწავლობდი.
„ნიჭიერია, მაგრამ სწავლა არ უნდა“, — ეუბნებოდნენ მასწავლებლები დე-
დას. — სხვაგან ჰქრის მაგისი გონება“. „ნეტა სადა ჰქრის? — გაოცებული
იყო დედა. — გულით რომ გინდოდეს. გარეთ ვერ გააგდებ, მთელი დღე
წიგნებს უზის. კითხვით ბევრს ვკითხულობდი, მაგრამ რას, არვინ იცოდა,
ჩუმად ვკითხულობდი სასიყვარულო რომანებს. როგორც თავის ოთახში შე-
კვტილი ბებო იყო ჩაფლული თავის წარსულში, ისე ვიყავი მეც წიგნებში
ჩაფლული, ვიჯექი ხახვით აყროლებულ სამზარეულოში და ვკითხულობდი და
ვკითხულობდი. სასიყვარულო რომანების გარდა არაფერი არ მაინტერესებ-
და. ეს რომანები ზოგჯერ თვეობით გაიჭიმებოდა ხოლმე გაზეთებში. ზოგი-
ერთს საგულდაგულოდ ჰქონდა ეს რომანები გაზეთებიდან ამოჭრილი და გა-
სანთლული ძაფით აკინძული. რომ იტყვიან, პირდაპირ ვყლაპავდი ამ რომანებს
და უფრო დიდი სიამოვნება ჩემთვის აღარ არსებობდა, არც აღარაფერი არ
მაინტერესებდა.

სხვა გზა არ მქონდა და ბებოს შევჩივლე.

— ნუ გეშინია, შვილო, ამ საქმეს მოვაგვარებთ. — მოკლედ მიპასუხა
მან.

მოგვიანებით გავიგე, თურმე დაძაბული საუბარი ჰქონია ბებოს მამას-
თან. დედამ მითხრა, მამა არაფრით არ ეთანხმებოდა ბებოს, სწავლა რომ
გაგეგრძელებინათ. მთელ ხარჯებს ბებო კისრულობდა, მაგრამ მამა მაინც
უარობდა, ეტყობა, ფიქრობდა, ამ ფულებს უფრო ნაღდ რაიმეზე გამოვიყე-
ნებო. ბოლოს ყველა არგუმენტი რომ ამოიწურა, ბებო გაბრაზდა:

— ერთ რამეს გეტყვი და კარგად დაიმახსოვრე: იცოდე, რომ დაბერდები,
მანოლის სარჩენი იქნები. იორდანის იმედი ნუ გექნება.

მაშინ კი მართლა შეშინდა მამა, ერთი გაკვეთილი უკვე მიღებული ჰქო-
ნდა — მიწისძვრა. საკითხი ჩემს სასარგებლოდ გადაწყდა. ნუთუ ბებომ ამ-
ჯერადაც წინასწარ განჭვრიტა? ძნელი სათქმელია. სიცოცხლის მიწურუ-

ლში მშობლები მართლაც ჩემს ემაყოფაზე იყვნენ. მიხაროდა, რალაცის გაკეთება რომ შემედლო მათთვის, თუმცა მამისგან ბევრი არაფერი მახსოვდა. ჩემი ძმის ბედი კი სავსებით არ ემთხვეოდა ბებოს წინასწარმეტყველებას. იორდანმა ბრწყინვალედ დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. გამოაკვეყნა სტატიები საერთაშორისო პრობლემებზე, ოცდაექვსი წლისამ დაწინაურდა სახელმწიფო ადგილი დაიკავა საგარეო საქმეთა სამინისტროში, ოცდაათი წლისას დაინიშნა იქვე ჩაუდგა ოქმების განყოფილებას. გარეგნულად ხომ იყო და იყო ლამაზი, გემოვნებაც რომ თანდაყოლილი ჰქონდა?! იცვამდა უზადოდ. ბრწყინვალედ იცოდა სამი ენა. ყველა ბრწყინვალე კარიერას უწინასწარმეტყველებდა, ყველა ბებოს გარდა. შეიძლება ბებოს სულ სხვა რალაც ჰქონდა მხედველობაში. იორდანმა მართლა ცუდად დაასრულა სიცოცხლე, თუმცა პოლიტიკური მიზეზები არაფერ შუაში იყო. თვით ბედმა დაიკვა იგი სასამართლოებისა თუ თვალთვალისაგან, რასაც შეიძლება ვერ ასცდენოდა, როგორც პიტლერის წინადროინდელი მთავრობის პასუხისმგებელი ჩინოვნიკი. ძმა საოპერაციო მაგიდაზე დაიღუპა სწორედ იმ დღეს, როდესაც ამერიკულმა ყუმბარებმა ბებო იმსხვერპლა. მე დღემდე არ ვიცი ყველაფერი დაწვრილებით. იორდანი ერთ-ერთ საუკეთესო კერძო კლინიკაში იწვა. რალაც იოლი ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. მაგრამ ფატალურად რომ ვთქვათ. რიცხვი შეარჩია ცუდი — 1944 წლის 10 იანვარი. აბა რა დროს ოპერაცია იყო. აუქისკვეშა ჯირკვალი გაუჭრეს და რამდენიმე დღეში საშინელი წამებით დაიღუპა. მაგრამ ასე თუ ისე, მაინც ბებოს სიკვდილის შემდეგ გარდაიცვალა. შეიძლება ამ ამბავსაც აქვს რაიმე მნიშვნელობა.

მე შევეცადე ობიექტურად შეამბნა ყველაფერი. რათა თვითონ შეგკმნოდან წარმოდგენა ბებოს ნიჭსა თუ უნარზე. იორდანზე ნაწინასწარმეტყველური შეიძლება შემთხვევით ახდა. ან შეიძლება ბებოს უბრალოდ უნდოდა, გავლენა მოეხდინა მამაზე. მიუხედავად მისი სიმკაცრისა და ჩვენი ცოდვილი სამყაროსგან განდევნილობისა, ბებო ძალზე აეთილი და ყველაფერში გარკვეული მოხუცი იყო და ტყუილუბრალოდ არ ეტყოდა მამას იმას, რისი თქმაც არ იყო საჭირო.

მე ისე მადლიერი ვიყავი ბებოსი, რომ გიმნაზიაში სულ ექვსიანებზე ესწავლობდი, მხოლოდ სამი ხუთიანი მყავდა და ისიც ფიზკულტურაში. ჯანსაღი და ამტანი ბიჭი ვიყავი, მაგრამ ძმისგან განახვავებით მძულდა სამწყობრო ვარჯიშები და ვერაოდეს ვერ ვუწყობდი სხვებს ნაბიჯს. ტანვარჯიშის მასწავლებელი ერთი დოღრიალა, მწითური ყვეუჩი ვინმე იყო და სიამოვნებით მომარტყამდა ორიანს, მაგრამ ეტყობა, დირექტორი არ რთავდა ნებას. ჩემს დროს ისე კი არ იყო, ახლა რომ არის — ფრიადოსნები სოკოებივით არ იყვნენ მომრავლებული და ხელსაც ვერავინ წამოკრავდა ადვილად.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ გიმნაზიაში სწავლის დროს არც ერთი საგანი არ მიყვარდა და არც რომელიმე მათგანისკენ მიდრეკილება გამომიმჟღავნებია. მათემატიკა კი საკმაოდ მოსაწყენ საგნად მეჩვენებოდა, თუმცა არც ის მეძნელებოდა. კლასიკურ გიმნაზიაში მათემატიკას მაინცადამაინც ღრმად არ ასწავლიან. ყველაზე უფრო ადვილად ენებს ვითვიაებდი. თუმცა არც ამითვე მქონდა განსაკუთრებული მიდრეკილება. ან კი რა საჭიროა ბევრი ენის ცოდნა. როდესაც ერთი მათგანიც კი, თუნდაც ინგლისური, სავსებით

საკმარისია. ასე რომ, დავამთავრე გიმნაზია და აღმოვჩნდი სულელური, მაგრამ ძნელად გადასაკრელი პრობლემის წინაშე — რა გავააქრო შემდეგში? ჩემი ატესტატი ყველა კარს მიღებდა, მე კი არჩევანი არ შემეძლო. უბრალოდ პატივმოყვარე არ ვიყავი.

ერეკუნული

ზრდილობა გამო ბებოს უნდა დავკითხოდი, თუმცა მისი პრინციპების არაფერი გაეგებოდა. სამაგიეროდ ფული იყო ბებოსი, იმ ხანებში კი სოფლის უნივერსიტეტში სწავლა გვარიანი ძვირი ჯდებოდა. ბებომ მღუმარედ მოისმინა. ეტყობოდა, დიდ გასაჭირში იყო.

— მამაშენი რას ამბობს? — მკითხა ყოყმანის შემდეგ.

„მამაშენი“! მამაჩემს რა უნდა ეთქვა, როცა მთელი მისი ცოდნა გემრიელი ყავის მომზადებით განისაზღვრებოდა?

— მამა ამბობს, ყველას სამართალი სჯობია და ადვოკატობა ისწავლეო.

— არა! — გადაჭრით იუარა ბებიამ.

— იქნებ მედიცინა ავირჩიო? — ვაითხე გულგადაბრუნებულმა. ყველაზე ნაელებად ეჭიმობა მინდოდა. ძალზე მგრძნობიარე ვარ და სხვის ტკივილსა და ტანჯვას ვერ ავიტანდი. მით უმეტეს სისხლსა და ჭრილობას. ცხადია, ადრე თუ გვიან ყველაფერს შევეჩვეოდი, მაგრამ სწორედ ეს შეჩვევა არ მინდოდა.

— ამას არა უშავს... ეიღვე რა მეცნიერებები არსებობს?

— ფილოსოფია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია...

— ეს ბოლო რას წარმოადგენს?

— ბიოლოგია? ეს, ზუსტად რომ ვთარგმნოთ, არის მეცნიერება სიცოცხლეზე.

ბებოს სახე გაუცისკროვნდა.

— აი, რა არის შენი საქმე! — წამოიძახა მან. — არც კი ვიცოდი, ასეთი მეცნიერება თუ არსებობდა!

ასეთი მეცნიერება, რა თქმა უნდა, არ არსებობს და ალბათ არც არასოდეს წარმოიშვება. არსებობს მეცნიერება ცოცხალ ორგანიზმებზე, ეს არის და ეს, რა რთული და ამოუცნობიც არ უნდა იყოს მათში მიმდინარე პროცესები, ეს მაინც არ არის სიცოცხლე. ეს არის სიცოცხლის მხოლოდ და მხოლოდ გამოვლენა. მაგრამ მაშინ ამ პრობლემებზე ჯერ ეიღვე არ მქონდა წარმოდგენა.

— ამ მეცნიერებაში შენ შორს წახვალ, ძალიან შორს! — აღვზნებულად დაამატა ბებომ. — შორეული ქვეყნებიდან მოვა ხალხი შენთან თაყვანისსაცემლად... მთავარია, სწორი გზა შევარჩიოთ.

ახლა ორმოცდაჩვიდმეტი წლისა გახლავართ, პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ჩემი ვიწრო სპეციალობა ბიოქიმიაა. ყველა ნათელი გონების პიროვნებად, ბრწყინვალე მეცნიერად მთვლის. მხოლოდ მე ვიცი, რომ ეს მთლად სწორი არ არის. სინამდვილეში იშვიათზე იშვიათი ერუდიცია მაქვს და ჩემს სფეროში ყოველთვის თანამედროვე ცოდნის მწვერვალზე ვიმყოფები. ყოველგვარი ყალბი მოკრძალების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ მეცნიერების განვითარებაში გარკვეული წვლილი მაქვს შეტანილი. მთელი მსოფლიოს მეცნიერები უწყევნ ანგარიშს ჩემს მოსახრებებს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მოსულა ჩემთან თაყვანისსაცემად, არც ერთი ასე რომ, ამ მხრივ ბებო სავსებით შეცდა. თქვენთან ბოლომდე გულახდილ

რომ არ ვიყო, არ შეიძლება. არა და ეს არც ისე ადვილია. რადგან მარტო მე არ მეხება. საქმე ისაა, რომ მე, დავუჭერე ბებიას, „შორეული ქვეყნებიდან მოვა ხალხი შენს თაყვანისაცემად“. ახლა ეს სასაცილოდ მეჩვენება. მაშინ ხომ სასიყვარულო რომანებს გადაყოლილი ბიჭი აღარ ვიყავი იმ/რომანებს ჩემს სულში არავითარი კვალი არ დაუტოვებია. მე ქვეყნებიდან დაბრუნებული ვიყავი, რაციონალისტი ლოგიკოსი ვარ. ის, რაც ჩემს ფიქრებს დაუწყობია, დასაჯავს. ძალზე აქტიურია, ამიტომ რაღაც ილუზიებს და ქიშკილებს ვეღარ დავუჭერებ. ვცდილობ, რაც შეიძლება ნაკლებად გავუწიო ანგარიში წარმოსახვას, უპირატესობას ჯანსაღ აზროვნებას ვანიჭებ. ეს პირველ რიგში ჩემს მიერძობულობას მიეწერება, მაგრამ მაინც იფარება ჩემს არსებაში ჯანსაღი განსჯის საწინააღმდეგო რამ. არც ადამიანების და არც ფაქტების მიმართ არ ძალმიძს ობიექტური დამოკიდებულება. არის საგნები, რომლებიც მომწონს ან არ მომწონს, რომლებიც მიყვარს ან არ მიყვარს, რომლებიცსაც მჭერა ან არ მჭერა. მე შემიძლია პირველი ნახვიათანავე შევიძულო ზოგიერთი ადამიანი და არც შევცდე. შემიძლია, კატეგორიულად უარყო რომელიმე პიპოტეზა უბრალოდ შინაგანი ანტიპათიის გამო — მხოლოდ იმიტომ, რომ მოუწესრიგებელი, ლოგიკური სისტემისათვის დაულაგებელი მომეჩვენოს. თავის დროზე ასე ამოვიძულე კვანტური მექანიკა და არც თუ უსაფუძვლოდ. თავი და თავი ია არია, რომ მე მიყვარდა ბებია და მჭერთა მისი. ეს თანდაყოლილი მქონდა, როგორც გემოვნებაა თანდაყოლილი. ან თვით სიყვარულიც კი. ამიტომ საოცრად აღფრთოვანებული დავეწაფე ბიოლოგიას. იმხანად ეს ძალზე მოკრძალებული მეცნიერება გახლდათ. მისი დონე სულაც არ გვპირდებოდა იმ შესაძლებლობებს, რასაც ჩვენს დროში მივაღწიეთ. გარდა ამისა, ჩემი პროფესორი, ღმერთო შეგცოდნე და, ძალზე შეზღუდული კაცი იყო. ისე კი ბრწყინვალე ატლანტი ვიყავი. ჩემს მასავეთ ადვილად შევისწავლე რამდენიმე უცხო ენა. წლითიწლობით მეტს ვკითხულობდი. ისე რომ, როგორც ბოლოს გამოირკვა, ჩემს პროფესორზე გაცილებით უკეთესად ვიცოდი ბიოლოგიის ყოველგვარი სიახლენი. იგი გაჭირვებით კითხულობდა მხოლოდ გერმანულ ენაზე. მიმქონდა მისთვის სამეცნიერო ჟურნალები, კრებულები, მოხსენებები და სიამოვნებით ვუთარგმნიდი ყველაფერს. ზოგჯერ საათობით ვკამათობდით. უფრო სწორად, ეს კამათი არ იყო — იგი ყველაფერს უარყოფდა, რაც მის შეზღუდულ წარმოდგენას არ შეესაბამებოდა. არ მიყვარდა კამათი. ჩემთვის მეცნიერულ კომპარატივებს მხოლოდ ის წარმოადგენდა. რაც უკვე დასაბუთებული იყო. მიუხედავად ჩემი ასაკისა, შესანიშნავად მესმოდა პროფესორის, რომელიც კბილებითა და კლანჭებით იცავდა თავის პაწაწკინტელა მეცნიერულ კაპიტალს, თავის შემნახველი სალაროს თხელ წიგნაკს. საცოდავი პროფესორული ამპარტავნობა კი ნებას არ აძლევდა აეღო ის, რასაც სავსებით უსასყიდლოდ ვაძლევდი.

მეორე სპეციალობად ზოოლოგია ავირჩიე. ყოველთვის მიყვარდა ცხოველები და შესწავლის შემდეგ კიდევ უფრო შევიყვარე. უფრო და უფრო მაოცებდა მათი ფიზიკური სრულყოფილება: ადამიანებთან შედარებით. მათი არსებობის სისავსე, გამართლება, გონიერულობა. ყველაზე მეტად კი მათი ბუნებასთან იგივეობა მაოცებდა. თუმცა ბუნებას მათთვის სიცოცხლეზე უფრო ხშირად, სიკვდილი მოაქვს, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია. ცხოველებზე მხოლოდ იმიტომ ჩამოვავდე საუბარი, ჩვენს საქმეს რომ შევხებოდით. მრავალ

წლის განმავლობაში ყურადღებით ვსწავლობდი ცხოველთა ყოფაქცევას მიწისძვრის დროს, ცხადია, ამავე დროს თვით სეისმოლოგიასაც ვსწავლობდი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა როცა გავიგე, ცხოველების უმეტესობას მიწისძვრის დაწყების გამოცნობა შეუძლიათ, სწორად, გრძობენო, პრობლემა არც თუ ისე რთული მეჩვენა. მიწისძვრა მოულოდნელი ინციდენტი კი არ არის, არამედ ხანგრძლივი პროცესია. როდენაც განსაზღვრულ ფაქტორთა დაგროვებას კრიტიკულ მომენტში კატაკლიზმებამდე მივყავართ. ამ პროცესს თავისი ფარული ნიშნები აქვს, რომელთაც, სამწუხაროდ, ადამიანთა მიერ გამოგონილი ხელსაწყოები ჯერჯერობით ვერ ახსნიან. მაგრამ ცხოველებს აქვთ ისეთი ორგანოები, რომლებიც ადამიანებს საერთოდ არ გააჩნიათ, ან გადაგვარებულან და ზედმეტად ქცეულან. ავიღოთ მაგალითად ცხოველების საოცარი უნარი ორიენტაციისა. მაშ, რატომ არ შეიძლება ჰქონდეთ კიდევ რაღაც ისეთი ორგანო, რომელიც წინასწარ იგრძობს მიწისძვრას, რატომ არ უნდა გააჩნდეს ეს ორგანო განსაკუთრებით იმათ, ვისაც მეტი საფრთხე ელის, მაგალითად: ქვეწარმავლებსა და ვირთხებს? და განა არ შეიძლება, ჩემს ბებოსაც ჰქონოდა შემორჩენილი რომელიმე ატავისტური ორგანო? მზად ვიყავი დამეჯერებინა ეს. თანაც არ მინდოდა არ მერწმუნა ბებოვს წინასწარმეტყველებანი.

უნდა მოგახსენოთ, რომ სულაც არა ვარ პატივმოყვარე და არც თაყვანისცემას მოვითხოვ ვინმესგან. და მაინც შეიძლება თუ არა ნამდვილი მეცნიერი ეწოდოს კაცს, რომელიც არ ოცნებობს ამოხსნას რაღაც ახალი და განუმეორებელი? თუნდაც ეს ერთი შეხედვით მოკრძალებული და შეუმჩნეველი რამ იყოს, როგორც მაგალითად მენდელეევის აღმოჩენა ბარდას სასაცილო მარცვლებზე.

სანამ ვსწავლობდი, მეორე მსოფლიო ომიც თითქოს შეუმჩნეველად დამთავრდა. ბევრი ვერც ხვდებოდა, რომ ამიერიდან სხვა სამყაროში ცხოვრება მოგვიწევდა. რომელიც ძირფესვიანად განსხვავებული იქნებოდა წინასაგან. ერთი შეხედვით ომს ჩემს ბედზე თითქოს არავიფარო გავლენა არ მოუხდენია. როგორც სტუდენტი, სამხედრო სამსახურისაგან თავისუფალი ვიყავი, ჯარისკაცის ფარაჯა მხოლოდ სწავლის დასასრულს ჩავიცვი, მოკლევადიან კურსებზე რომ გამაგზავნეს. ჩვენი ოჯახი მაშინ უკვე სოფიაში ცხოვრობდა. როგორც ყოველთვის. ახლაც ბებომ დაატრიალა ბედის ბორბალი. მისმა მშფოთვარე სულმა და შეიძლება მარტობამაც გადაქრა საკითხი. იმ დროისათვის მამასაც უჭირდა პლოვდივში. ყავის მომზადება მართლაც რომ შესანიშნავად იცოდა, მაგრამ აბა ვარდკაჭაჭისაგან რა ყავა უნდა გამოსვლოდა? ნამდვილ ყავას კი ომმა გამოგვასალმა.

- ერთხელ მაინც დამიჯერე, შვილო. — ეუბნებოდა ბებო მამას, — რატომ არ უნდა გადავსახლდეთ სოფიაში ბავშვებთან?
- მე რე იქ რა გავაკეთო? — ნაღვლიანად ჰკითხა მამამ.
- აქ რაღას აკეთებ: იქაც მოიძებნება რაიმე.

მამა კარგა ხანს ყოყმანობდა. გაბედულებით იგი არც არაოდეს გამოიჩნეოდა და ხანში რომ შევიდა, მთლად ბავშვით მშიშარა გახდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ერთმა შემთხვევამ უშველათ. სოფიაში მამას ერთ-ერთი ბიძაშვილი გარდაიკვალა — ლულჩო ბაბუას შვილი. ქვრივი ვერ გაუძლვა ისეთ წმინდა მამაკაცურ დაწესებულებას, როგორც საპარიკმახეროა

(ბებო ჭიუტად მაინც სადალაქოს უწოდებდა) და მამას შესთავაზა წილში შესულიყო. პირობებსაც არა უშავდა: შემოსავლის ნახევარი მამას იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს მამა დათანხმდა, თუმცა არ უხაროდა. ეს დამამტკირებელ მონურ საქმიანობად მიაჩნდა. მაგრამ ბებოს მოდრეკა არც ასე ადვილი იყო.

ერქივნიული

ასე გახდა მამა დალაქი. სინამდვილეში ეს იყო მისტიკური მწვერვალი. ჩემდა გასაოცრად მამამ საოცრად სწრაფად ისწავლა გაპარსვა და თმის შეკრეჭაც. მალე გვარიანი კლიენტურაც გაიჩინა და ჭიბეში ფულიც აუჩხრიალდა. ამ მეტამორფოზით ჩემი ძმის გარდა ყველანი კმაყოფილები ვიყავით. დამეთანხმებით, დალაქის შვილობა ვერაფერი რეკომენდაციას წარმატებების მქონე დიპლომატიისთვის. იმ დროისათვის ჩემს ძმას უკვე ძალიან დიდი ხელფასი ჰქონდა და დაბირდა კიდევ მამას რჩენას, თუკი ის თავს დაანებებდა ამ უბადრუკ საქმიანობას. მამამ კატეგორიული უარი განუცხადა. მასაც თავისი სიამაყე ჰქონდა და მოწყალებას არ მოითხოვდა. ეს ბედნიერი ცხოვრება ორ წელიწადზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა. ამერიკულმა მფრინავმა „ციხე-სიმაგრეებმა“ უფრო და უფრო მოუხშირეს სოფლის თავზე ტრიალს და ბოლოს დააყარეს კიდევ ქალაქს ყუმბარები. ეს მოხდა 1944 წლის 10 იანვარს ეგრეთ წოდებული „დიდი დაბომბვის“ დროს. ისე კი, რა თქმა უნდა. არც ერთი დაბომბვა არ შეიძლება იყოს პატარა, განსაკუთრებით დიდი იყო ამ აპოკალიპსური უბედურებით გამოწვეული შიში, შიში კი არა — საშინელება. დღის დაბომბვამ, როგორც ვითხარით, საოპერაციო მაგიდაზე მოუსწრო ჩემს ძმას, რაც საბედისწერო შეიქმნა მისთვის. ჩვენები კი თავშესაფარშიც არ დამალულან, რომელიც სულ რაღაც ასი მეტრით იყო დაშორებული სახლიდან. იფიქრეს, თვითმფრინავები როგორც ყოველთვის ახლაც პლოეშტისკენ აიღებენ გეზს ნავთის ქარხნების დასაბომბავადო. და დაიწყო ის, რასაც შემდეგში ჯოჯოხეთს უწოდებდნენ. თუმცა ჯოჯოხეთი მონაგონია იმასთან, რაც მაშინ მოხდა. ვინც უკვე ჯოჯოხეთშია, სიცოცხლეზე მაინც აღარ კანკალებს, ტანჯვას კი უფრო ადვილად ეგუება ადამიანი, ვიდრე სიხარულს. იმ დროს ჩვენ დაბალ ერთსართულიან უსარდაფო სახლში ვცხოვრობდით. დასამალავიც არსად გვქონდა. ქალაქი დგანდგარებდა. დედა ხატების წინ დაჩოქილიყო და უაზროდ ლოცულობდა. მამა მოქუფრული დუმდა. მარტო ბებიაჩემი იყო უცნაურად გამოცოცხლებული და ცნობისმოყვარედ აცეცებდა თვალებს იმ ადამიანივით, თავის ყველაზე უფრო საშინელი სიზმარი რომ აცხადებია. ღამის დაბომბვის დროს მშობლები თავშესაფრისკენ გაიქცნენ. ბებომ კი ადგილიდან დაძვრაც არ ესურვა. ფეხის მოტეხვის შემდეგ სიარული უჭირდა და ქალაქის აბანოს გარდა არსად აღარ დადიოდა. ერთხელ ტრამვაები აერია და გზა დაებნა. ისე რომ, ჩვენებმა მილიციის განყოფილებიდან მოაბრძანეს. მამა ცდილობდა როგორმე დაეყოლიებინა ბებო და თავშესაფარში წაეყვანა. ბებომ „გაბრწყინებული მზერა“ შეავლო თურმე მამას. ეს მამას უცნაური გამონათქვამია, კაცისა, რომელსაც მის სიცოცხლეში ერთი წიგნიც არ წაუკითხავს, თუ ზახარი სტოიანოვის „ჩანაწერებს“ არ ჩავთვლით, სადაც ჩვენი ბაბუაც არის ნახსენები. „პლოვდიველები პარიზელები არიან სოფიელ შოპებთან! შედარებით“ — ეს გამოთქმა მაგრად ჩა-

1 შოპები — ბულგარეთის ჩრდილო-დასავლეთის რაიონების მცხოვრებნი, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი ყოფითა და ზნე-ჩვეულებებით.

უჯდა მამას თავში, ისე რომ, დედაქალაქის მცხოვრებლებს ცოტა არ იყოს აგდებულად უყურებდა, თუმცა მთელი მონდომებით კი ფხეკდა მათ ღონიერ ნიკაპებს. ახლა ბებოს რომ ეხვეწებოდა, ლამის ტირილი მორთო. მაგრამ ამოდ.

— წადით, შვილებო, დამტოვეთ, — ხმაც არ აკანკალებს, მსხვერპლს ბებომ, — ისედაც უკვირს ალბათ მანოლს, ამდენ ხანს რომ ზის მარტო.

მოკლედ, დედამ და მამამ თავშესაფარს მიაშურეს, ბებო კი მარტოდ-მარტო დარჩა. ეს იყო მისი ბოლო საუბარი ცოცხლებთან. მე არც კი ვუხსენებდით, არც ანდერძი დაუბარებია, არც ბოლო დარიგება. შეიძლება იმ წუთებში ბებო მხოლოდ საკუთარ თავს და მოგონებებს ეკუთვნოდა. კაცმა რომ თქვას, რაღას უნდა გაქცეოდა? ნეტა როგორ აუხსნა და გააგებინა ეს ყოველივე შვილს? მეორეს მხრივ, ნეტავი იმის ახსნა თუ შეიძლება, ასე უაზროდ რატომ ებლაუჭება ადამიანი სიცოცხლეს? ნუთუ ეს თავდაცვის ინსტიქტია? ყოველ შემთხვევაში ბებოს რაღაც თანდაყოლილი შეგრძნება ჰქონდა იმ გზისა, რომელიც უნდა გაეგლო. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერს, მანამდელსაც და შემდეგდროინდელსაც აზრი ეკარგება, ესე იგი, არ შეიძლება მას სიცოცხლე ეწოდოს.

იმ დროს გორნა-ბანაში ვმსახურობდი სანიტარული ნაწილის უნტეროფიცრად. დღის დაბომბვას განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემზე, იმდენი დაჭრილი გვყავდა მოსავლელი, უბრალოდ, არც კი შემინინავს. მაგრამ შუალამისას რომ აღმუვლდა სირენა, მაშინ კი ეცა ხალხი კარებს. ერთადერთი მე არ ვჩქარობდი. უაზრობად მეჩვენებოდა ყოველივე. როცა ბედს ეთამაშები ყომარს, ქულების დათვლას აზრი არა აქვს. სულ ერთია გინდა თუ არა, როგორც მას მოეპრიანება, ისე დაგისვამს კამათელს, როგორც ბედს შეეფერება. მას მხოლოდ თავისი თავი ადარდებს. და მაინც არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ამ მხრივ, და ეს უტყუარია, ბედი ჩვენზე უფრო უმწეოა. ეს ჭეშმარიტება გახლავთ.

მხოლოდ და მხოლოდ ბინოკლით შეიარაღებული ჩივედი დაცარიელებულ თბრილში. ჩემს ქვევით ქალაქი იყო გაშლილი, მართალია, ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი მის ღონიერ თანადგომას, მის გაქვავებას. რატომღაც ოდნავადაც არ მეშინოდა, განსაკუთრებით საკუთარი სიცოცხლისა. ალბათ მაშინ საოცრად უგრძნობელი ვიყავი, სხვანაირად ვერაფრით ავხსნი ჩემს გულგრილობას. ათი წუთი თუ ნახევარი საათი გავიდა, ასეთ მდგომარეობაში ადამიანს დროის აღარაფერი გაეგება. სიბნელეს თვალი შევაჩვიე და ნელ-ნელა დავიწყე ქალაქის კონტურების გარჩევა. მკაფიოდ იხატებოდა ქუჩების ღრმა ნაოჭები, ალექსანდრე ნეველის ეკლესიის გუმბათი, ცაში გადმოკარკლულ თვალს რომ მოაგონებდა კაცს, აჯაგრული მილებიც კი გავარჩიე და სწორედ მაშინ გავიგონე მოტორების დაბალი, მოგუდული ხმა. იგი მშვიდ და ზომიერ ტალღებად აღწევდა ჩემამდე. ჭერჯერობით ისეთი არაფერი მომხდარა, შიშისგან რომ ავკანკალებულიყავი. შემდეგ მზვერავმა თვითმფრინავებმა მანათობელი შუშხუნები ჩამოყარეს. როგორც ჩანს, ისინი პარაშუტებზე იყო დამაგრებული, რადგან მათი მჭრქალი შუქი დიდხანს ეკიდა უძრავად ჰაერში. ბინოკლის ლინზებიდან სრული უძრავობა მიუწვდომელი და

მინისებური უძრაობა ჩანდა. მობრუნების გუგუნი გაძლიერდა, უფრო მკაფიოდ გაისმა და ჩამოცვივდა კიდევ პირველი ყუმბარები.

ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ჯოჯოხეთის აღწერა შეუძლებელია და საჭიროც არაა. ეს ალბათ დანტემაც იცოდა. მის დიდებულ პოეტს უფროსი კი არა, ბედია აღწერილი, რომელსაც იგი მთელი გულითა და სულსა უსურვებდა თავისი ადმიანური რწმენის მტრებს. ბუნდოვნად მახსოვს, რომ დანტეს ცოდვილებს უფრო თანავუგრძობდი, ვიდრე პოეტის მკაცრ მორალს. თვითონ დანტეს ჯოჯოხეთმა კი არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა ჩემზე. ეს საშინელი დაბომბვაც, მკვდარ, უსულო მოგონებადღა შემომჩა.

სამი მოუსვენარი ღლე გავიდა, სანამ ქალაქამდე გავალწიე. უბრალოდ განთავისუფლებას ვერავის მოსთხოვდა კაცი, ისეთი ქაოსი იყო ჩვენს პატარა გარნიზონში. ქალაქში ფეხით ჩავედი. კნიაჟევსკის გზატკეცილზე ისევ მილოდავდა ლტოლვილების შეთხლებული ქარავანი. თითოეული მათგანი ისე ჩაძირულიყო საკუთარ თავში, რომ ყველანი რაღაც უსახურები მეჩვენენ. თითოეული მათგანი საწოლის ბადეებით ისე უსულგულოდ მიათრევდა თავის ავლადიდებას, როგორც სასიკვდილოდ განწირული მიათრევს ხოლმე თავის უკანასკნელ დღეებს. მეც იმდენი საზრუნავი და თავშისახლევი მქონდა, რომ ლტოლვილებისთვის არა მცხელოდა.

ჩვენი უბადრუკი სახლისგან აღარაფერი დამხვდა. უფრო სწორად, კედლების დახეთქილი ნაწილებილა გადარჩენილიყო. ეზოში სახურავისა და ავეჯის ნამსხვრევები ეყარა. გარშემო სულიერის ჭაჭანება არ იყო. მაგრამ არც სიკვდილის ნიშანი ჩანდა სადმე. არ ვიცი რატომ და ჩემს გაყინულ გონებაში უცბად სულელური აზრი აღმომიცენდა: ნეტავი ბებიას ზანდუკი სადაა? მისი ფერად-ფერადი სალტეების ნამტვრევსაც კი ვერსად მოვკარი თვალი. თვითონ ბებიაზე კი ცუდის გაფიქრება არ შემეძლო, ისევე როგორც დედაზე. ერთადერთი, ვისი სიკვდილის წარმოდგენაც შემეძლო იმ წუთში, მამაჩემი იყო. არასოდეს არ დაუჯეროთ საკუთარ თავს, განსაკუთრებით კი საკუთარ გრძობებს. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ყველაზე უფრო ძლიერად სწორედ მამასთან ვიყავი დაკავშირებული. მამა სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა კუჭის კიბოთი. ისე არასოდეს მიღრიალია, მის კუბოსთან რომ ვღრიალებდი. ადრე კი ვერ იქნა და ვერ შემოვიყვანე მამა ჩემს ცხოვრებაში. იგი მალიზიანებდა და ყოველგვარ ღონეს ვხმარობდი, რათა მას არ დავმსგავსებოდი. ზოგჯერ მისი დანახვაც კი არ მინდოდა და როცა იგი ტალახიან თიხის ორმოში ჩაუშვეს, მივხვდი: მისი შვილი ვიყავი, არც მეტი და არც ნაკლები. გენეტიკის კანონებმა, რომლისაც არც მაინცდამაინც მჯერა, მაგრამ მაინც დიდი გულმოდგინებით ვუხსნი სტუდენტებს, ამ კითხვაზე ვერავითარი პასუხი ვერ გამცა. მე ხომ ყველაზე მეტად ყოველთვის ბებია მიყვარდა.

ამ დროს ეზოში ერთი ჩვენი მეზობელი გამოჩნდა. სახლი არ დანგრეოდა, მხოლოდ ფასადი დამსგავსებოდა ნაყვავილარ სახეს. გაუბედურებულ გარემოში ჩვენი ჭალარა კომპლქი მეზობელი გვარიანად მხნედ გამოიყურებოდა, რომ დამინახა, თითქოს თვალები გაუბრწყინდა.

— ნუ გეშინიათ, თქვენები ცოცხლები არიან.

— ყველანი?

— ეჰ, ყველანი არა. ბებია აღარ არის. მოხუცი იყო საცოდავი, გაიტანჯა.

დღემდე არ ვიცი, როგორ დაიღუპა ბებო და რა დარჩა მისგან. შეიძლება არც არაფერი. კითხვა კი ვერ გავბედე, ძალა არ მეყო. ასე წავიდა ბებო სამუდამოდ ჩემი ცხოვრებიდან. ეს სიცარიელე დღემდე მაწაშებს. და აი, მაინც დადგა დღე, რომელმაც მაიძულა, საოცარი ძაღლები გამოეჩვენებინა იგი. არასოდეს მიფიქრია, ასე ხანმოკლე თუ იყო ადამიანის სიცოცხლე. თვალის ახელას ვერ მოასწრებ და უკვე სამუდამოდ უნდა დახუჭო. ერთი-ორი სიზმრის მსგავსი მოგონება. ზოგჯერ ტკივილი, ზოგჯერ ბედნიერი თრთოლვა, უკანასკნელი ამოსუნთქვა და დასასრულიც მოვა. ნამდვილად დასასრული? ყოველ შემთხვევაში ეს იმ რეალური დროის დასასრულია, რომელსაც ჩვენ სიცოცხლეს ვუწოდებთ. ეს არის და ეს. საკუთარი თავის შეცნობას და მით უმეტეს შენი ნამოღვაწარის შეჯამებას ვერ ასწრებ.

ზოგჯერ მსუბუქი, მაგრამ თავდაუღწეველი ნაღველი მომეძალება. შეიძლება ეს მოახლოებული სიბერის პირველი ნიშანია. უკან მოვიხედავ და ვერაფერს ვხედავ ისეთს, რისი დახსომებაც ელირება — არც გმირობაა, არც სილაჩრე, არაფერი, დოლაბებივით ერთფეროვნად მბრუნავი დღეების გარდა, დღითი-დღე რომ უმატებენ სიჩქარეს და უფრო ხშირად უსაფქვავოდ რომ ცვდებიან. არა მცალია, მეჩქარება, არაფრით არ შემიძლია, — ესაა ჩემი ჩვეულებრივი პასუხი ტელეფონზე. რითა ხარ მოუცლელი, სად მიგეჩქარება, ადამიანო?! როგორ თუ სად! კრებაზე, რა თქმა უნდა, სიმპოზიუმზე, სამეცნიერო სხდომაზე, რათა ანგარიშმიუცემლად ავწიო ხელი. სამეცნიერო ჟურნალები, ადრე მტაცებელი ცხოველის სიხარბით რომ ველოდებოდი. ახლა კვირაობით ყრია მაგიდაზე ხელუხლებელი. ჩემდამი პატივისცემა რომ მატულობს, ხალხი რომ უფრო და უფრო მოწიწებით მექცევა, დაცინვად მიმაჩნია.

მაინც რა არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მათ შორის, რაც ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე გადამხდენია? აქ უკვე ყოყმანი აღარ შეიძლება — რა თქმა უნდა, ქორწინება. ნუ იცინით, ეს მართლა ასეა. ვიცი, გარდუვალობა მოვლენად არ ჩაითვლება, მაგრამ კაცისთვის, რომელსაც სამასზე მეტი სასიყვარულო რომანი წაუკითხავს, ეს მაინც მოვლენაა. ამის შედეგად ერთი მსუქანი და მოსულელო გოგო გვეყოლა, რომელიც საოცრად არა ჰგავს დედას. რატომ? ღმერთმა უწყის. ერთი რამ კი ცხადია, ბუნებას ზოგჯერ ხუმრობა უყვარს. ცუდი ხუმრობა კი თვით ბუნებასაც ვერ გააღიშებს. მაგრამ ყველაზე უფრო ბოროტად სწორედ მე გამეხუმრა ბუნება. საქმე ისაა, რომ ცოლად შევირთე პირველივე ქალი, რომელმაც ყურადღების ღირსად გამხადა. საკუთარ თავზე გაცილებით უკეთესი წარმოდგენა მქონდა, მაგრამ ეს ასე მოხდა. ალბათ არც ის ფიქრობდა, ასე ადვილად თუ ჩამიგდებდა ხელში.

არც ის ვიცი, რა მოეწონა ჩემი. არაფერი არ მქონდა მიმზიდველი. გამხდარი ვიყავი, შავყვითელი, ცალი მხარი აწურული მქონდა. რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, გარეგნულად ახლა გაცილებით უკეთესი ვარ. ზოგიერთი თავხედი სტუდენტი გოგონა ზოგჯერ სხვანაირადაც კი მიყურებს. რა თქმა უნდა, აქ ცოტა ანგარებაცაა. თავის დროზე ჩემი ცოლიც სტუდენტი იყო, მე კი ჩემი პროფესორის ასისტენტი გახლდით. მე მგონი, ჩვენი ამბავი მან მათემატიკურ განტოლებასავით ამოხსნა, რის შემდეგაც არხეინად გამომიცხადა: იცი რა, სულელო, მოდი, ჩემთან წავიდეთ. წუხელ ღამის პირველ

საათამდე ვიწვალე ამ უბრალო ამოცანის ამოხსნაზე, რომელსაც ერთადერთი პასუხი აქვს. რაც მართალი მართალია და ჩემი ცოლი საოცრად ჩიუტად მოქმედებდა. ახლა, ამდენი ხნის შემდეგ ვხვდები, რომ მაშინ ცოტა წაიშმაკა კიდევ. განტოლების მის ნაწილში, რომელიდაც მნიშვნელში სულ ცოტა იქსით მეტი, ან ერთი იგრეკით ნაკლები მაინც იყო. ^{ქვემოთ მითითებული} მეთქი, ჩემს ცოლზე ვერ ვიტყვი. მაღალი იყო, გამხდარი, წვრილი ფეხები ჰქონდა და მკერდი ძლივს აჩნდა. სამაგიეროდ ისეთი ცეცხლოვანი თვალები ჰქონდა, თვით გრაფინია სან სევერინსაც შეშურდებოდა. ერთმანეთი რომ გავიცანით, თხელი, ნარინჯისფერი თუ ალისფერი კაბა ეცვა, რაც საოცრად უხდებოდა მის შავგვრემან სახეს და კუპრივით შავ თმას. ამავე დროს სავსებით არ შეეხამებოდა მის პოზიტიურ მათემატიკურ ჰკუას და მით უმეტეს მის რკინისებურ ხასიათს, რომელიც მომავალში გვარიანად ვიწვნიე. ახლა ჩემი ცოლი ორმოცდაცამეტი წლის გახლავთ, ისევ წერწეტაა, მოხდენილად დადია და ერთი გრამითაც არ ღალატობს იმ იდეალურ წონას, მის ასაკს რომ შეეფერება. ოცი წლით ჩემზე უმცროსს ჰგავს და ათი წლით საკუთარ თავზე ახალგაზრდას. მთლად უნაკლო არსებად რომ არ წარმოიდგინოთ, მხოლოდ ერთს ვიტყვი: ამ ბოლო დროს პინცეტით უღვაშს იქნის, მაგრამ განა ეს სერიოზულ ჩრდილს მიაყენებს მის ხატებას? თქვენი ცოლებიც ამასვე აკეთებენ, ოღონდ კოსმეტიკურ კაბინეტებში.

ამ წვრილმანებს იმიტომ ვიხსენებ, რომ ასე თუ ისე ჩვენს მოთხოვნათან რაღაც კავშირი აქვთ.

ყველაფერი ერთ მშვენიერ ჩვეულებრივ დღეს დაიწყო. გაზაფხული იგვიანებდა. ხეები ისევ შიშვლად იდგნენ. მხოლოდ მოპირდაპირე კვარტალის პატარა სკვერში დეკორატიულ ბუჩქებს ძლივს შესამჩნევი მწვანე ბოლი მოსდებოდათ. ფანჯარასთან ვიდექი და დაბნეული გავცქეროდი ქუჩას. აივნის რკინის მოაჯირზე ორი გვრიტი დაგოგმანობდა. მოწყენილმა კატამ ქვაფენილი გადაჭრა. და უცბად ისეთი რამ ვიგრძენი, რისი აღწერაც შეუძლებელია. კაბინეტში შევბრუნდი და ღონემიხდილი ჩავეშვი სავარძელში. თავბრუ მეხვეოდა. ნახევარი საათის შემდეგ ცოლი რომ დაბრუნდა, ვუთხარი:

— ხვალ მიწა იძვრება.

ცოლი ოდნავ შეკრთა, რა თქმა უნდა, მან ბებიას ამბები იცოდა. არაფერი უპასუხნია, ისე გავიდა კაბინეტიდან. სულ რაღაც ორ თუ სამ წუთში უკან მობრუნდა.

— ზუსტად როდის მოხდება?

— რა? — ვკითხე მე.

— მიწისძვრა, — გაღიზიანებულმა მითხრა მან, — არ მითხრა, არაფერი მახსოვსო. შემოვედი თუ არა, მაშინვე შეგამჩნიე, რაღაც გჭირდა.

— საღამოს ან ღამე, ზუსტად არ ვიცი.

— ძლიერი იქნება? — გულს მიწყალებდა ცოლი შეკითხვებით.

— საკმაოდ ძლიერი, ... ჰო, ალბათ ძლიერი იქნება. ცხადად დავინახე როგორ დაიშალა რომელიღაც შენობა, თითქოს სახურავზე უზარმაზარი ჩაქუჩი დაარტყესო. მერე ყველაფერი მტვრის ღრუბელმა დაფარა.

— ცხადად ნახე? ისე ნახე, როგორც ახლა მე მხედავ?

— არა, არა, რასაკვირველია, არაფერი მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ ეს ასე მოხდება, დარწმუნებული ვარ.

ქალი ისე ჭიჭურ მიცქეროდა, რომ არ ვიცოდი, სად გაგქცეოდი მის თვალებს.

— მერე ახლა რას აპირებ?

მახსოვს, ამ შეკითხვამ საოცრად გამაკვირვა. მანამდე რა მხოლოდ იმას ვფიქრობდი, მართლა იქნება თუ არა მიწისძვრა-მეთქი.

— რა უნდა ვქნა, მიწისძვრას ვერავინ შეაჩერებს.

— ბებიაშენმა კი ცოტა რაღაც მაინც იღონა, თუნდაც საკუთარი თავის გადასარჩენად.

— შენის აზრით მაინც რა უნდა გავაკეთო?

— როგორ თუ რა?! — იყვირა მან, — ყველაფერი, ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეგიძლია. ატეხე განგაში, გააფრთხილე ხალხი, დატოვეთ ქალაქი-თქო...

ყველაფერი რაც მან თქვა, სწორი და ლოგიკური იყო. მაგრამ ეს გაცილებით გვიან შევიგნე. მაშინ კი მხოლოდ დაბნეული მივჩერებოდი ცოლს, თითქოს საკუთარ ყურებს არ ვუჭერებდი.

— ხომ არ გაგიჟებულხარ! მერე და ვინ დამიჯერებს, დამცინებენ. დაცინვას თუ დამაჯერეს, რა უჭირს, შეიძლება პირდაპირ ფსიქიატრიულში გამაქანონ.

— მერე რა!

თვითონ სრულიად მშვიდად ლაპარაკობდა, მე კი შინაგანად ავცახცახდი.

— როგორ თუ რა! რატომ უნდა გავაკეთოთ ის, რასაც არავითარი აზრი არა აქვს.

— აქვს აზრი! რასაკვირველია, აქვს! მთავარია, ხალხი დაარწმუნო. თუნდაც ვერ დაარწმუნო, შენი ვალი ხომ გექნება მოხდილი.

უმწეო მდგომარეობაში ჩავვარდი. კარგად ვიცოდი, რაც არ უნდა მომხდარიყო, ამას ვერ გავაკეთებდი. დღემდე არ ვიცი, რატომ. მგონი ცოლიც მიხვდა ამას და ცოტა მოლბა.

— რაღაცით მართალი კი ხარ. რაღაც საფუძველიც გაქვს ამისთვის, მაგრამ მოდი და ლოგიკურად განვსაჯოთ. რაც შენ მითხარი, ნამდვილად დაუჭერებელია, სისულელეა-მეთქი რომ არა ვთქვა. არც დავიჯერებდი, ბებიაშენის ამბავი რომ არ მცოდნოდა. მისი წინათგრძნობა ხომ ახლა? არ ვიცით რატომ ახლა, მაგრამ ჩვენ თუ ზოგიერთი რამ არ ვიცით, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის საერთოდ არ არსებობს. ახლა ერთადერთი აზრილა მაწუხებს, მართლაც ახლა კი არა, ყოველთვის მაწუხებდა. მეტს აღარასოდეს გკითხავ, ოღონდ ახლა მიპასუხე გულახდილად: რაც ბებიაზე მიამბე, მართალია, თუ მხოლოდ შენი წარმოსახვის ნაყოფია?

— წარმოსახვა რას მიქვია!

— წარმოსახვა... ან გამონაგონი. ადამიანებს უყვართ სასწაულები და რაკი სასწაულები ამქვეყნად არ არსებობს, უბრალოდ თხზავენ ხოლმე მათ.

მისი გონება როგორც ყოველთვის ელექტრომანქანასავით უზადოდ მუშაობდა, მაგრამ დაწყნარების ნაცვლად კიდევ უფრო გამაცეცხლა.

— რა თქმა უნდა, მართალია! — თავი ვერ შევიკავე და დავიღრიალე მე, — როგორ შემეძლო ამის მოგონება? სხვა რამე რომ იყოს, კიდევ პო. ბოლოს და ბოლოს მეცნიერის სინდისი ხომ მაქვს.

— ჯერ ერთი, არავითარი სინდისი არ გაქვს! მეორეც, იტყუები და მეტი

არაფერი. ან ახლა იტყუები ან მაშინ მოიტყუე, სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას შენი იდიოტური საქციელი?

— რა არის აქ გასაკვირი? — ასე ჩემს სიცოცხლეში არ მრევვია, — ან რას ხტუნაობ ქილაში დამწყვდეულ ბაყაყივით ერთ ადგილას! გეტბნები, უაზრობაა-მეთქი, ნამდვილი უაზრობა.

— რას ჰქვია უაზრობა! — იმანაც აუწია ხმას, — ამაქვს მოხატული, მართლა რომ მოხდეს მიწისძვრა, აი ისეთი, მექსიკაში რომ მოხდა ან ლისაბონში; ნუთუ შეძლებ დამშვიდებულ სინდისით იცხოვრო.

— დიახ, შევძლებ... შევძლებ, იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, როგორც არ უნდა მოვიქცე, ვერაფერს გამიგებს. მოკლედ, ყოველივე ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.

როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს გამიგო ცოლმა, ბოლოს და ბოლოს. სახე საბოლოოდ ჩაუქრა. ხუთი წუთი, ან ვინ იცის, იქნებ ნახევარი საათიც მობუზული იჯდა. ერთხელ უკვე მოგახსენეთ, რომ დროის გასაზომად არავითარი ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობს, შემდეგ თანდათან გაუნათდა სახე.

— რაღაც აზრი მაინც აქვს ამას. კარგი, ვთქვათ, ადამიანები გავწირეთ, შეიძლება ასე ჯობდეს. მაგრამ სეისმოლოგიურ ცენტრში მაინც შეიარე ან აკადემიაში. იქ იმდენი მეგობარი გყავს... გულახდილად უამბე ყველაფერი რაც ჩვენ ვიცით. თუნდაც იმიტომ, რაიმე საბუთი რომ დარჩეს. ყოველი ჰიპოთეზა ან უნდა დაასაბუთო, ან უარყო. ნუთუ არ გესმის, რომ შენ ყველა შემთხვევაში მოწმეები გესაჭიროება?

მე მწარედ ამოვიხვნეშე. „მოწმეები!“ რა მოწმეები მჭირდება?! მაგრამ მართლა რომ დაიღუპოს ათასობით თუ ათი ათასობით ადამიანი? მაშინ ხომ ეს უდანაშაულო კაცი დამნაშავე გავხდები?

— კარგი, — ვუთხარი მე, — ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.. მოვიფიქრებ.

ჯოჯოხეთური ღამე გავატარე. ლოგიკის კანონების მიხედვით, რა თქმა უნდა, ცოლი მართალი იყო. მისი შეუწყნარებელი ჭკუა ვერც ტყუილს ეგუებოდა და ვერც კომპრომისს. მისი ჭეშმარიტებანი მკაცრი, პირდაპირი და სასტიკი იყო. ჭეშმარიტებები კი არა, პირდაპირ მგლის ხაფანგები იყო. რკინის კბილები ისე მესობოდა ხორცში, თავის გამოხსნის იმედი აღარ მქონდა.

ცხადია, ყველას შეუძლია იფიქროს: თუ ცოლი მართალია, რატომ არ უნდა დავუჯერო? კაცი, რომელიც მეცნიერებაზე დებს თავს და ლოგიკურად აზროვნებს, წინააღმდეგობის გაუწევლად უნდა იღებდეს ყოველგვარ ჭეშმარიტებას. მაგრამ ამჯერად მაინც ვერ ვეთანხმებოდი ცოლს, უბრალოდ, არ შემეძლო. შინაგანად ყველაფერი ეწინააღმდეგებოდა: გრძნობები, მრწამსი. არა! მორჩა!

საქმე ისაა, რომ ცოლი არ იყო მართალი. უფრო ზუსტად, თავისთავად შეიძლება მართალი იყო, მაგრამ ჩემთვის არა. ამას კალამბურების სიყვარული კი არ მალაპარაკებს, ნამდვილად ასეა. სისულელეა, მოსთხოვო ადამიანს ის, რისი გაკეთებაც არ შეუძლია. თითოეული ჩვენთაგანის არსებაში თითქოს იმალება რაღაც იღუმალი ძალა, რომელიც უკან გვეწევა, უხელო და უფეხო ადამიანზე უფრო უმწეოს გვხდის. ვხვდები, ნათლად ვერ ვამბობ იმას, რისი თქმაც მინდა. არ შეგიძინევიათ, რა ხშირად არიან ადამიანები

არათანამიმდევრულნი და ძალზე ხშირად ამბობენ იმას, რასაც არ ფიქრობენ? ზოგჯერ კი მოულოდნელ, ჩემი აზრით უფუნურ საქციელსაც სჩადიან. არაფერი არ არის არათანამიმდევრულობაზე უფრო ძნელი. არადა, ეს თანაობა მიმდევრობაც რას ნიშნავს, რას ან ვის უნდა მისდევდე? საკუთარ თავს? საუკეთესო შემთხვევაში შენსავე იმ ნაწილს, რომელსაც ჩვენსა და ცნობიერება ეწოდება. ადამიანს არ ძალუძს თავისი თავის ბოლომდე შეცნობა, ეს სამყაროს ჭეშმარიტებათა წვდომა იქნებოდა; ჩვენს ხანმოკლე სიცოცხლეში კი ეს შეუძლებელია. უფრო შეუძლებელია, ვიდრე მაგალითად, ფრინველივით ცაში აჰკრა, რაც ალბათ ოდესმე მოხდება კიდევ, რადგან ეს ადამიანის შესაძლებლობათა ფარგლებშია. მაგრამ როგორ უნდა შევიცნოთ საკუთარი თავი?

ექვს გარეშეა, ადამიანი ბუნების ყველაზე უფრო რთული ქმნილებაა. მას შეიძლება ასი სახე გააჩნდეს, მაგრამ ორი მათგანი ყოველთვის დომინირებული იქნება დანარჩენებზე. ადამიანი არის ის, რაც ამჟამადაა და ის, რაც იყო მილიონი წლების განმავლობაში. მაგრამ განა ყველას შეუძლია კვლავ გაიაროს ეს უსასრულო გზა, რათა ბოლომდე შევიცნოს საკუთარი თავი?

დიდი ხნის წინათ ერთი პატარა გალინდლული თუთიყუში მყავდა. ერთი კატაც მყავდა, მერის ვეძახდით. ნამდვილად კარგად აღზრდილი და საყვარელი არსება გახლდათ. ადამიანივით დადიოდა საპირფარეშოში, არაფრით არ გაეკარებოდა საჭმელს თუ მის ჯამზე არ იღო. მხოლოდ და მხოლოდ მოხარშულ ხორცსა და თევზს მიირთმევდა. მერიმ არც კი იცოდა სისხლის გემო. ერთი სავარძელი ჰქონდა ამოჩემებული, იქიდან ყველაზე უფრო კარგად უყურებდა თუთიყუშს. ზოგჯერ საათობით თვალდაუხამხამებლად უყურებდა, კატისთვის არც ისე ჩვეული სიყვარულითა და სინაზით. ეს მეგობრობა მეტისმეტად ახარებდა ჩემს ცოლს.

— ხედავ, როგორ უყვართ ერთმანეთი? და-ძმასავით არიან.

მე არ ვბასუხობდი. ცხოველებს გაცილებით კარგად ვიცნობ, ვიდრე ადამიანებს და ვიცოდი: ადრე თუ გვიან კატა თუთიყუშს შეჭამდა. ასეც მოხდა. წარმომიდგენია, რა შეძრწუნებული იყო ჩვენი მერი თავისი საქციელით: არაფერი მითქვამს კატისთვის, არც მიცემია. რა აზრი ჰქონდა? რა თქმა უნდა, არავითარი, განა შეიძლება ბუნების წინააღმდეგ წასვლა? ბუნება ადამიანზე უფრო ძლიერი და გონიერია. უფრო სწორად, მის, წინააღმდეგ წასვლა კი შეიძლება, მაგრამ არაფერი გამოგივა. ზოგჯერ შეიძლება მოატყუო იგი ან გონიერულად დაეთანხმო და რაღაც სასარგებლო გააკეთო, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია.

ცხადია, ეს საოცრად უხეში მაგალითია, სინამდვილეში საქმე უფრო რთულადაა. მაგალითად, მე მგონია, რომ ცოლი მიყვარს. ყოველგვარი საფუძველი მაქვს, ასე ვიფიქრო. მთელი ჩემი ცხოვრებაც ამასვე ადასტურებს და მიუხედავად ამისა მაინც არ მჯერა, რომ სადღაც ჩემი სულის სიღრმეში სიძულვილს არ ვგრძნობდე მის მიმართ. ან რატომ არ უნდა იყოს ასე? მას ხომ ისეთი ზეგავლენა აქვს ჩემზე, როგორც არავის არ ჰქონია. ის პატივს ხდის ჩემს შეხედულებებს, გრძნობებს, განსაზღვრავს ჩემს მოქმედებას, როგორც, მაგალითად, ამ შემთხვევაში. მართალია ძალზე ფრთხილად განსაზღ-

ვრავს, მაგრამ გამუდმებით. ადამიანს კი ყველაფრის მოთმენა შეუძლია ძალადობის გარდა.

არა! ცოლზე ასე ფიქრი არ მინდა, არც შეიძლება. დაე, მისი ხატება და უბინდავი დარჩეს ჩემს სულში. და მაინც ვიცი, რომ როგორც ვფიქრობ, მე გაცილებით უკეთესი, გაცილებით თავაზიანი ვარ მასთან, ვიდრე მისი ცდილობს ხოლმე, არ გაგაკრიტიკო თუნდაც გუნებაში, არც მის აზრებს ვექცევდი უდიერად, არ ვფიქრობ მის სუსტ მხარეებზე, არ ვცდილობ მათ გაანალიზებას. მინდა იგი ყოველთვის ისეთი იყოს, როგორც პირველ დღეებში გახლდათ. მაგრამ ვაი, რომ ეს შეუძლებელია.. შეუძლებელი.

იმ ღამეს ყველაზე მეტად ცოლზე ვფიქრობდი, ცოლზე და იმ ოხერ მიწისძვრაზე. განა შემეძლო ასეთი რამ დამემალა მისთვის? რა თქმა უნდა, არა! ეს აზრადაც არ მომივიდოდა. ის კი ბევრ რამეს მიმალავს. არ მინდა ვთქვა, მატყუებს-მეთქი; უბრალოდ, ხმას არ იღებს იმაზე, რაც ამაფორიაქებს, რაც ცუდ გუნებაზე დამაყენებს. ის მზოგავს, ცდილობს დამეხმაროს, მარიდებს ყველაფერს, რაც ხელს შემიშლიდა მეცნიერულ მუშაობაში. შეიძლება ეს ჩემი ბრალიცაა, უფრო სწორად ჩემი უსუსურობის ბრალი. ასე ვცდილობ ხოლმე ზოგჯერ მის გამართლებას, მაგრამ ეს ცოტა არ იყოს მიჭირს. შინაგანად ყველაფერი წინააღმდეგობას მიწევს.

რაც შეეხება მიწისძვრას, ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ იგი მოხდებოდა. ეს იყო უცნაური შინაგანი რწმენა, რომელიც ვერაფრით ვერ ამეხსნა. და კიდევ ერთი რამ — ღრმად მწამდა, პირადად მე არაფერი მომივიდოდა. ბებომაც ასევე იცოდა, თავის დროზე რომ შეიძლებოდა თვითონ დამართნოდა რამე. ახლა ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს უნარი ბებოსგან გადმომეცა მემკვიდრეობით. იმ ღამით კი სულ სხვა რამ მაინტერესებდა, სულ სხვა პრობლემის გადაჭრა იყო მთავარი. უბრალოდ, მინდოდა ჩემი საქციელი ამეხსნა.

ბებომ წინასწარ იგრძნო მიწისძვრა, ძველი წინასწარმეტყველივით დაინახა იგი, მაგრამ რატომ სხვები არ გააფრთხილა? მართალია მამას კი უთხრა, მაგრამ ალბათ იმიტომ, საკუთარი თავი რომ გადაერჩინა. რატომ ერთი სიტყვა მაინც არ უთხრა უკურნებელი სენით. დაავადებულ იმ საბრალო ქალებს? არ ვიცი! იქნებ გააფრთხილა კიდევ ბოლო წუთში, მაგრამ ისინი ისე თავჭუდმოგლეჯილები გაიქცნენ, მხსნელისკენ არც კი მოუხედავთ.

ერთადერთი მე გამაფრთხილა პირდაპირ და გულახდილად. ერთადერთი მე გამომარჩია საერთო უსახური მასისაგან. ალბათ იმიტომ რომ მე ისე აღმიქვამდა, როგორც საკუთარი სხეულის ნაწილს, ან როგორც თავის მომავალს. მხოლოდ გამთენიისას ჩამეძინა. მაგრამ მგონი რაღაც-რაღაცები გავარავიე. ყოველ შემთხვევაში ბებოს კეშმარიტების ნაწილს მაინც ჩავწვდი.

ამის ახსნა საკმაოდ ძნელია, მაგრამ მე მგონი ბებოს სჯეროდა ყოფიერების წესის გარდუვალობისა. ერთი შეხედვით ეს ძალზე გაპრანჭულად ედგრა, სინამდვილეში კი ყველაფერი ძალზე უბრალოდაა. თვითველ ჩვენთაგანს ცხოველთა ინსტინქტის მსგავსი რაღაც გაგვაჩნია, მაგრამ მისი არსი არა გვაქვს შეცნობილი. ბებია ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე და ბედნიერი ქალი იყო. მერე ქმარი მოუკლეს და მარტოდმარტო დარჩა. არაფერს არ შეუძლია ცხოვრების ბუნებრივი მსვლელობის დარღვევა.

უბრალო ადამიანების ამ პრიმიტიულ ფილოსოფიაში ძალზე ბრძნული

რამაა. ისინი არასოდეს არ ანსხვავებენ საერთო თუ საკუთარ ბედს და არასოდეს არ ელოდებიან სიცოცხლისაგან მოწყალებას. ყველაფერი რასაც გაუჩინებენ ელოდები. უნდა დაიმსახურო, თვითონ უნდა შექმნას, ვერც ერთი ღმერთი ვერ დაგიხნავს მიწას, ვერ ამოგიყვანს სამარიდან. ცხურობის წიგნი ერთხელ და სამუდამოდ დაწერილა და ვერაფერი ვერ შეცვლის იმას, რაც შიგაა ჩანიშნული.

ბებოს მიწისძვრაც იმ წიგნში იყო ჩაწერილი. მსუბუქი კონვეულსია, უკანასკნელი ძრწოლა და ბებო მორჩილი გახდა. მერე და რა შეურიგებელი და ძლიერი ქალი იყო.

დაძინებამდე, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტილება მივიღე. შეკითხვებს არ დაველოდები და ისე ვეტყვი-მეთქი ცოლს:

— ძალიან გთხოვ, თავი დამანებო. რასაც მთხოვ ვერ გავაკეთებ, არ შემიძლია და მორჩა. ნუთუ არ გესმის, რაოდენ დამამცირებელია ეს ჩემთვის?

დილით ცხრა საათზე გამეღვიძა. ცოლი სამსახურში წასულიყო. მთელი ჩვენი ერთად ცხოვრების მანძილზე პირველად არ გავუღვიძებია. საუზმე კი ისევ ძველებურად მელოდებოდა სამზარეულოში პატარა მაგიდაზე — ცოტაოდენი ძეხვი და ერთი ჭიქა ცივი რძე. პირი არაფრისთვის დამიკარებია. ეს იყო ცოლისთვის სამაგიეროს გადახდის ერთადერთი ხერხი. აღარც რჩევას ველოდი მისგან და აღარც სიკეთეს. მით უმეტეს, თანაგრძნობას, რაც ყოველთვის მაბრაზებდა ხოლმე. მინდოდა თანამოაზრე მყოლოდა, სხვას არაფერს ვთხოვდი.

დროის გასაყვანად ჟურნალები გადავათვალიერე — ჩემი ჟურნალები სიცოცხლის ქიმიის შესახებ. მთელი ორი კვირა მელოდებოდნენ საწერ მაგიდაზე ქვეყნის სხვადასხვა კუთხის უახლესი ამბები, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის წინათ დაუჩერებლად, წარმოუდგენლად მოგვეჩვენებოდა. სადილობამდე ვიმუშავე, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში გონება მეწინააღმდეგებოდა, სულიერ სიცარიელეს განვიცდიდი.

იქვე და იქვე მეუფლებოდა შემაშფოთებელი, აუტანელი გრძნობა — ეს არის კი, რასაც ვეძებ? ხომ არ შევცდი გზის არჩევაში, რაიც ბებოსაც ძალზე ეშინოდა? ახლა ჩემის აზრით მთავარი რამ უკვე ვიცი — სამყაროს არსებობის მანძილზე ვერასოდეს ვერ მიიღება ხელოვნური სიცოცხლე კოლებსა და სინჯარებში. სიცოცხლე წარმოიშვება და ქრება მხოლოდ მარადიული ყოფის არსში და არც არსებობს სხვა ასაკი უსასრულობის გარდა. მისი გაჩენა და სიკვდილი იგივეა, რაც რომელიმე სამყაროს გაჩენა და სიკვდილი. იმ დილით კი ყველაფერი ერთმანეთში ამერია, ამოდ მიდულდა ტვინი. ცხადია, მესმოდა, რომ სიცოცხლე რაღაც დონემდე ქიმიაც იყო, მაგრამ რომელ დონემდე? იქამდე, სადაც ფიზიკა მთავრდება? ეს უკვე სავსებით აბსურდად მეჩვენებოდა.

როგორც ყოველთვის, ცოლი ხუთი საათისთვის დაბრუნდა სამსახურიდან. ისეთი ცივი და უგრძნობელი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, სანთლისაგან ჩამოუქნიათო. კრინტი არ დაუძრავს, ისე შევიდა სამზარეულოში და საღამომდე იტრიალა. მივხვდი, საკმელს ამზადებდა. სამზარეულო წიგნის მიხედვით ამზადებდა ხოლმე საკმაოდ უგემურად, თვითონ არაფრის დამატება არ შეეძლო. სადილს, როგორც წესი, მარტო ვჭამდი, ვახშამს კი ყოველთვის ერ-

დად. რვა საათისთვის ჩემი კაბინეტის ზღურბლზე გამოჩნდა. ქურასთან ახლო დგომით სახე ასწითლებოდა, მაგრამ ისევ ისე უგრძობელი ჰქონდა.

- ვახშამი არ გინდა?
- არა! — მოკლედ მოვუჭერი.
- რატომ?
- იმიტომ! აზრი არა აქვს.

მშვენივრად მიმიხვდა, მის გამოციებულ თვალებში რაღაც აკიაფდა.

- გგონია, დავიხოცებით?
- არა, მაგრამ ომი ომია. არავინ არ გადადის იერიშზე გატენილი მუც-
ლით.

ერთი წამი იყოყმანა და მეჩუკ კაბინეტში შემოვიდა. მოქანცული დადიო-
და. უმწეოდაც კი. ამან ოდნავ დამაკმაყოფილა კიდევ; არც ისეთი კერკეტი
ყოფილა.

— დონკა აგარაკზე წავეყვანე, რა თქმა უნდა, ვლადკოც. მხოლოდ ვლა-
დკოს გულისთვის გადავდგი ეს ნაბიჯი. მეტი არაფერი შემიძლია...

ბაწაწკინტელა აგარაკი გვექონდა. ფინური სახლი გვედგა ლიკატნიკის ახ-
ლოს. წელს არც ვყოფილვართ იქ. სიმაართლე გითხრათ, არც მაინცდამაინც
მიყვარს იქაურობა. არ მინდა ხოლმე ჩემს აწეწილ ფიქრებთან მარტო დარ-
ჩენა. მარტოობა კი არ ალაგებს მათ, პირიქით, უარესად არევეს ხოლმე. უნდა
ვადიარო, ცოლმა ნამდვილად კარგი ადგილი გამონახა შვილიშვილის თავშე-
საფარად. გამოტეხილად გეტყვით, ისეთი დიდი გრძობები, ბაბუას რომ უნ-
და ჰქონდეს შვილიშვილის მიმართ, არ გამაჩნია. აგარაკი თითქოს საგა-
ნგებოდ მიწისძვრისთვის იყო აშენებული. შეიძლება გადაფერდილიყო, დამ-
სკდარიყო, მაგრამ დანგრევით არაფრით არ დაინგრეოდა.

— შენ რაღად არ დარჩი მათთან?

— რა მინდოდა, — მიპასუხა გაღიზიანებულმა, — გამონაკლისი მხოლოდ
ვლადკოსთვის შეიძლება დავუშვა, სხვისთვის არავისთვის.

„მხოლოდ ვლადკოსთვის, სხვისთვის არავისთვის“, ეს ჩემთვის გასაგები
იყო. ცოლს მაინცდამაინც არ უყვარდა ჩვენი ზარმაცი ქალიშვილი. დონკა
შარშან ქმარს გაშორდა, მაგრამ ჩვენთან დაბრუნება არ ისურვა, თავისუ-
ფალი ოთახი კი გვექონდა. მე მგონი, იმ ამბავში ცოლის ხელიც ერიო, თუმ-
ცა განქორწინების დროს ისე ეჭირა თავი, თითქოს სიძეს თანაუგრძობდა.

- დღეს იყავი სადმე? — მკითხა მან უცბად.
- არა, — ძლივს დავფარე მტრული განწყობილება.

— რატომ?

— რამდენჯერ უნდა გაგიმეორო: აზრი არა აქვს.

— კი მაგრამ, ხომ შევთანხმდით. მე მაგალითად, ყოველთვის ვასრულებ
პირობას, დღემდე შენც ასეთი იყავი.

ეს კი მართალი იყო, მაგრამ ჩვენი დროებითი შეთანხმებისას ყოველთ-
ვის მე ვთმობდი და არა ის.

— ნუთუ არ გესმის, რა სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდები? ისე-
დაც უამრავი ცრურწმენაა გავრცელებული: ეს სულელებიო, ეს სპირიტუალური
სეანსებიო, ზოდიაქოს ნიშნებიო, ჰოროსკოპებიო და რა ვიცი რა. ვისი იმე-
დიც შენა გაქვს, ისინი ჩემს ნათქვამზე ისე სკეპტიკურად ჩაიციინებენ, თით-

ქოს ვინმე ყბადაღებული ექიმბაშის მონაჩმახი გაეგონათ. თუმცა გულში დამიჯერებენ კიდეც.

— და ეცდებიან მიწისძვრას თავი გაარიდონ? — თითქოს თვალები აუციმციმდა.

— არა მგონია. ადამიანები საოცრად არათანამიმდევრული არიან. დარწმუნებული ვარ, ბევრი ურწმუნო ჩუმად ლოცულობს ხოლმე, ისევე როგორც ბევრ მორწმუნეს სადღაც სულის სიღრმეში სძულს თავისი ღმერთი.

არა, მის ჭკუას ამ მარტივ ჭეშმარიტებათა მონელება არ შეეძლო. ისინი ხომ მისი შინაგანი სამყაროს წესრიგის დანგრევას იმუქრებოდნენ. იმ საღამოს კი მხოლოდ შემომხედა და დაქანცული გენერალივით ჩაეშვა სავარძელში.

— არაფერი მესმის, — ჩაიბუტბუტა მან ნაღვლიანად, — არ მესმის და რა ვქნა?! ასეთი საბუთი გეჭიროს ხელში, ასეთი დაუჯერებელი კოზირი და არ გამოიყენო!

— რა ჯანდაბად მინდა საბუთი, — თითქმის დავიყვირე მე, — კელდიშმაც რომ მოაწეროს ხელი ჩემს წინასწარ ცნობებს, ყველა იტყვის, ერთადერთი შემთხვევა არაფერს ნიშნავსო. თანაც ეს არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ არის, რადგანაც იგი ძირითად კანონებს ეწინააღმდეგება.

— რომელ ძირითად კანონებს? — მტრულად მკითხა ცოლმა.

— მაგალითად, ფიზიკის კანონებს. მეტიც არ უნდათ, ყველა ერთხმად აყაყანდება: მეტაფიზიკის მიმდევარიათ.

მის თვალებში ისევ გაიელვა რაღაცამ.

— შენ არ გიფიქრია, რომ მეტაფიზიკა არსებითად ფიზიკის შეუსწავლელი ნაწილია? ისევე როგორც მთვარის უკანა მხარე, რომლის შესახებაც სულ ცოტა ხნის წინათ არაფერი ვიცოდით?

ამით დამთავრდა ჩვენი საუბარი. თითქოს რაღაცის შეგვეშინდა და ერთი სიტყვაც აღარ დაგვიმატებია ნათქვამისთვის. არ გვივახშმია. უბრაოდ მივუსხედით ტელევიზორს, თავი რომ დაგვეღწია ამ უსიამოვნო ფიქრებისაგან, ან დაგვეჩლუნგებინა მაინც საშინელების მოლოდინის აუტანელი გრძნობა. მაგრამ გადაცემა ძალზე მოსაწყენი იყო. სწორედ მისმა ერთფეროვნებამ, მისმა ადამიანურ დელვათაგან სიშორემ მოულოდნელი აზრი მომგვარა: რა მიწისძვრა და რისი მიწისძვრა, არაფერიც არ მოხდება... და მაშინვე რაღაც საშინელი ტკივილი ვიგრძენი, სასტიკი სპაზმი მომივიდა. არა, არა! ის უნდა მოხდეს! თუნდაც ნანგრევებში ჩავიმარხო! ჭეშმარიტების გულისთვის, იმედის გულისთვის უნდა მოხდეს! ადამიანი სამუდამოდ ბრმად არ უნდა დარჩეს უზარმაზარი სამყაროს წინაშე.

პირველი რაც გავიგონე, ნაზი წკარუნი იყო. კედელზე რამდენიმე ძველებური ცხვრის ეყვანი მეკიდა, ვიღაც ბოშასაგან მქონდა ნაყიდი. ორი ათეული წელი გვეკიდა კედელზე და მხოლოდ მტვრის გადაწმენდისას თუ გაიწკარუნებდნენ ხოლმე. ახლა კი პირველებმა იგრძნეს მიწისძვრა და მშვიდი წკარუნით გამოეხმაურნენ.

— აჰა! — წამოვიძახე, — იწყება!

ისეთი ძრწოლა დამეუფლა, თითქოს მოულოდნელი რამ მომხდარიყოს. ამ წუთს ხომ მოუთმენლად ველოდი. სწრაფად შემოვბრუნდი და ჭალს ავხედე, ისიც ნელა ქანაობდა. უცბად უზარმაზარი ფანჯარა, რომელსაც თით-

ქმის მთელი სამხრეთ კედელი ეკავა, დამაბრმავებული ცისფერი შუქით აელვარდა, თითქოს რაღაც აფეთქდაო, პანიკურმა შიშმა მომიკრა. ასეთი საშინელი რამ არასოდეს განმიცდია. წამოვდექი და მთვარეულით/გავემართე კარისკენ. იმ წუთებში საკუთარი თავის გარდა არაფერი ვერ ვხედავდი. არ ვფიქრობდი, ორი ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმულზე. მთელი ცოცხალი-ერად ჩამავლო ხელი და იყვირა:

— არ გაინძრე! ფეხიც არ მოიცივალო!

მკვდარივით გავშეშდი. სახლი კი ისევ ძაგძაგებდა და ძაგძაგებდა. მეგონა, საცაა თავზე ჩამომენგრევა-მეთქი, ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა.

აი, ასევე შოულოდნელად, ასეთი რყევებით გვაწვევა ზოგჯერ შედეგთა შეჯამების დიდი დღე, როგორც მწერალი იტყოდა. ლამაზი სიტყვებია, მაგრამ არც მთლად ზუატი. აქ ერთ დღეზე ან დღეებზე კი არ არის ლაბარაკი, არამედ კვირებზე, თვეებზე, მწარე, მტანჯველ, მაგრამ ბრძნულ თვეებზე, თუკი შეიძლება ეს სიტყვა უბრალო მოკვდავთა ცხოვრებას მივუსადაგოთ.

საოცარია, მაგრამ მიწისძვრამ კი არ შემადრწუნა, როგორც ველოდი, შემაშინა მხოლოდ. თუმცა დავრწმუნდი: მე მქონდა რაღაც ისეთი ნიჭი თუ უნარი, რაც არც ერთ სხვას არ გააჩნდა, და მივხვდი, რომ ჩემთვის შედეგთა შეჯამების საათმა დარეკა. მაგრამ არ ვჩქარობდი, აჩქარება არ შეიძლებოდა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ პირველ დღეებში სულ სხვა ფიქრები მაწამებდა, — ცოლზე ვფიქრობდი.

საქმე ისაა, რომ მიწისძვრამ ნაცვლად იმისა, მოეწესრიგებინა ჩვენი დაბლართული დამოკიდებულება, კიდევ უფრო დაგვაშორა ერთმანეთს. არასოდეს დამავრწყდება ის საშინელი წამები. მხოლოდ დაჩაგრული კი არ ვიყავი, სიბრაზისაგან ცეცხლი მეკიდებოდა. ცოლმა რომ ხელი ჩამავლო, ამით ხომ სასიკვდილოდ გამიმეტა, ნამდვილად გამიმეტა. თუნდაც მისი მაღალი მორალური პრინციპები, მისი არაჩვეულებრივი პატიოსნება ყოფილიყო მიზეზი. მართალია, საკუთარი თავიც გააწირა, მაგრამ ეს სხვა გარემოებაა, რომელსაც არ ვიცი რატომ და ანგარიშს არ ვუწევდი, როგორ გამწირა? — ვფიქრობდი შეძრწუნებული, — რა უფლებით? რა მიზეზით? ადამიანს მხოლოდ საკუთარ სიცოცხლეზე აქვს უფლება, სხვის სიცოცხლეზე კი არავითარი, რა საბაბი და მიზეზიც არ უნდა ჰქონდეს! ვბრაზობდი, თან ვერ ვბედავდი თვალი გამესწორებინა ცოლისთვის. ჩვენს შორის ის საზარელი სიცარიელე გაჩნდა, რომელსაც მეცნიერები და პოლიტიკოსები საკმაოდ არაზუსტ სახელს „ვაკუუმს“ უწოდებენ. იქნებ მეტიმეტად მკაცრად ვმსჯელობდი ცოლზე? ან მეტიმეტად მიკერძოებულად?

არა, არა! ამ შემთხვევასთან დაკავშირებულ ჩემს შეხედულებას არასოდეს არ შევიცვლი. მეტნაკლებად ყველას გვახასიათებს მიკერძოება, მაგრამ მე ძირითადში მართალი ვარ. ბოლოს და ბოლოს რა მესაქმება მის პრინციპებთან, რა სამართლიანიც არ უნდა იყოს ისინი? არ შეიძლება ძალად მოახვიონ ისინი ვინმეს თავზე, აზრი არა აქვს. ადამიანი თვითონ უნდა მივიდეს ნებისმიერ პრინციპთან თავისი გზითა და თავისი ბილიკით. ასე ვფიქრობდი პირველ დღეებში, სანამ არ მივხვდი, რომ ცოლიც იტანჯებოდა. ამასაც რაღაც ჩემი შინაგანი უნარით მივხვდი, ისევე როგორც მიწისძვრა ვიგრძენი წინასწარ. მივხვდი, მაგრამ პატიებისათვის ძალა არ შემწევდა. საბოლოოდ ადამიანს ყველაფრის პატიება

შეუძლია ძალადობის და სიცოცხლის ხელყოფის გარდა. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ადამიანებმა იციან — სიცოცხლე აღარ განმეორდება. არ განმეორდება ჩვენს სინამდვილეში, თუნდაც დავიჯეროთ გიჟური აზრი, რომ იგი მარადიულია. ყველაფრისაგან განსხვავებით, დრო არასოდეს ბრუნდება იქ, სადაც უკვე იყო.

ვხედავდი, როგორ იტანჯებოდა ცოლი, მაგრამ გულზე ვეძვებოდი. მკონდა. არაფრით არ შემეძლო ამ სასტიკი სიცივის გადალახვა. ტყუილად ვცდილობდი, გამეხსენებინა მისი სიკეთე, ზრუნვა, ბევრჯერ გაღებულ მსხვერპლი, თავდადება, რომელიც ჩემი ცხოვრების ყველაზე უფრო მძიმე დღეებში გამოუჩენია, თუნდაც მაშინ, მშობლები რომ გარდამეცვალა. ზოგჯერ მომიღებებოდა გული, მზად ვიყავი შევრიგებოდი, მაგრამ ეს რამდენიმე წუთს თუ საათს გრძელდებოდა. მერე კი ისევ სიცივე და გაუცხოება მეუფლებოდა.

შეგნებული მკონდა ჩემი მდგომარეობის სიმძიმე. ასე არც ერთ პრობლემას არ შევუშინებია. რალაც უნდა მეღონა, სანამ ყველაფერი არ დაინგრეოდა. უნდა მეღონა, მაგრამ როგორ? ბოლოს და ბოლოს მან გამომიციხადა ომი და მანვე უნდა შეწყვიტოს.

ცოლი დუმდა. მისმა სიამაყემ ყოველივეს სძლია. და მე, მინდოდა თუ არა, შედეგთა შეჯამებას მივყევი.

უკან დაბრუნება და შენი ცხოვრების ხელახლა გადასინჯვა რთული ამოცანაა, გაცილებით რთული, ვიდრე ადრე წარმომედგინა. დღეები დღეებს მიჰყვებოდა და მე უფრო პირქუში და გაფუებული ცომივით მუყავე ვხდებოდი. ისეთი მეცნიერისათვის, როგორიც მე ვარ, ვინც მიჩვეულია ლოგიკური აზროვნების სიზუსტეებს, განსაზღვრულ ნათელ კატეგორიებსა და ცნებებს, ასე მუშაობა აუტანელი იყო.

რა არის მოგონება? ეს არის ზაფხულის ღრუბელი, რომელიც წამდაუწყობი იცვლის ფორმას — ერთი მეორეზე უფრო საოცარი და ფანტასტიურია. შეიძლება კი მოგონებებიდან ლოგიკური სისტემის აგება, რომელიც ნებისმიერ მეცნიერულ შემოწმებას გაუძლებდა? რასაკვირველია, არ შეიძლება!

და აი, სწორედ მაშინ მომივიდა ეს ბედნიერი (თუ უბედური) აზრი — დამეწერა მოგონებანი, ერთად შემეკოწიწებინა ისინი და ცოცხალ სახეებში მომეძებნა ყველა ჩემი კითხვის პასუხი. პირველ წუთებში, ბუნებრივია, შემეშინდა: შევძლებ ამოცანის ამოხსნას? ალბათ ვერა! მართალია, სკოლაში ლიტერატურის მასწავლებლის უსაყვარლესი მოსწავლე ვიყავი, მაგრამ იმასაც არ ვესაზებოდი მომავალ მწერლად. ახლა ჩემთვის, რა თქმა უნდა, ცხადია, მიუხედავად ლიტერატურისადმი დიდი სიყვარულისა, იგი ჩემზე უარესად ერკვეოდა მის ავ-კარგში. მოკლედ, უნდა ვსინჯო. სხვა თუ არაფერი, იქნებ ეს ცუდი ფიქრები მაინც მოვიშორო, უფრო და უფრო რომ მეძალეებიან და მოსვენებას მიკარგავენ, განცდილი ამბების ქალაქზე თავმოყრა უფრო ადვილია, ვიდრე მეხსიერების მეჩხერ ბადეში. ბოლოს და ბოლოს ავიღე ხელში კალამი და სამი დღის განმავლობაში როგორც იქნა პირველი გვერდი დავწერე, კალათა კი დაკმუჭნილი ქალაქდებით ავაკე.

არ ვიცი, დამეთანხმებიან თუ არა ჰემსმარტი მწერლები, მაგრამ პირველი გვერდი ყველაზე უფრო ძნელი დასაწერი მგონია. შემდეგ კი ისე სწრაფად წავიდა საქმე, რომ გავოცდი და ცოტა არ იყოს მეწყინა კიდევ — პროფესია თუ მოწოდება, რომელსაც ესოდენ დიდ პატივს ვცემდი, ძალ-

ზე იოლი მეჩვენა. მაგრამ მეათე გვერდზე მოულოდნელად შევჩერდი. იო-
ლიო? როგორც ჩანს, ძალიან შევეცდი. შეიძლება, მართლა არც ისე ძნელი
იყოს ლამაზი სიტყვების და თუნდაც ელვარე სახეების მოძებნა, მაგრამ
ჩემს ნაწერს რაღაც ძალზე მთავარი აკლდა და რაღაც თქმას უნდა მჭამსადაც
ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა.

ახლა მინდა, ოდნავ გავხსნა ფრჩხილები, შეიძლება „ოდნავზე“ უფ-
რო მეტი გამოვიდეს, მაგრამ რას ვიზამთ, რაც არ უნდა ვიძახო ლოგიკოსი
და რაციონალიატი ვარ-მეთქი, ალბათ შემამჩნიეთ, რომ ცოტაოდენი მხატვ-
რული გემოვნებაც გამაჩნია. თუმცა ვინ იცის! ზოგიერთი ფაქტი საწინააღ-
მდეგოს ადასტურებს. ასე მაგალითად: მეტისმეტად მიყვარს სომერსეტ მო-
ემი, ავტორი, რომელიც ამჟამად მოძველებულად ითვლება. ამასთანავე სია-
მოვნებით ვკითხულობ ჩივერსა და გორ ვიდალს, სწორედ ახლა რომ არი-
ან მოდაში. ზოგჯერ თვითონ ვერ გამოვივა: ვინა ვარ და სადა ვარ. მეცნიე-
რი ვარ, მაგრამ არ მიყვარს „ტექნოკრატები“ მათი სიბეცისა და თავდაჯე-
რების გამო. ყოველთვის ღრმად მწამდა, რომ ხელოვნება მეცნიერებაზე
გაცილებით სრულყოფილია. აინშტაინის წინაშე ქედს ვიხრი, მაგრამ უფრო
მთავარი ფილოსოფიის წინაშე, ვიდრე ფიზიკის და ამ თვით აინშტაინი ხშირად
აიგივებდა ხელოვნების ჭეშმარიტებას მეცნიერულ ჭეშმარიტებასთან. ახ-
ლა გაცილებით კარგად მესმის ამ ბუმბერაზის, ვიდრე წინათ, როცა მეგო-
ნა, რომ უცილობელ ჭეშმარიტებასთან ერთად, ზოგიერთი რამ წინასწარ
აკვიატებული ჰქონდა. არსებითად მეცნიერება ჭეშმარიტებას ეძიებს, ხე-
ლოვნება კი ჰქმნის მას. ხელოვნება ბუნებასავით ცოცხალი არსებაა, მეც-
ნიერება კი სკალპელი, რომელიც ხშირად ჰკლავს მას.

უცნაური აზრებია, არა? განსაკუთრებით მეცნიერისთვის. უნდა გამო-
გიტყდეთ, კალამს რომ მოგვიდეს ხელი, ეს აზრები ძალზე ბუნდოვანი იყო,
უფრო ზუსტად, ჩემს ნაწარმოებთან ერთად მწიფდებოდნენ. ალბათ ახლა
თქვენთვის ნათელია, რატომ გავჩერდი მეათე გვერდზე. სულ უბრალოდ.
ყოველი მხატვრული ნაწარმოები შეიცავს რაღაც ჭეშმარიტებას ან იდეას.
მე კი არ ვიცოდი რა ჭეშმარიტების მქონე ვიყავი და ღმერთმა უწყის, რო-
დის გავიგებდი. ჰოდა, აბა რაღაც ჩანდაბისთვის ვწერდი.

აი, რისთვის!

ჩემი აზრით, მწერალთაგან ცოტამ თუ იცის თავისი ჭეშმარიტება ბოლო-
მდე, როდესაც იგი კალამს ჰკიდებს ხელს. ყველა მოკვდავივით მათ ცნობი-
ერებაშიც ბევრი რამ სულელური და წინასწარ შეგონებულია. თვითეული
მათგანი ჭეშმარიტებამდე მიდის მუშაობის დროს და ჰქმნის სინამდვილეს
ჰარმონიისა და სილამაზის კანონების მიხედვით. თუმცა ეს კანონი უკვე
მათშია, მათ ნიჭიერებასა და სულიერ საგანძურში.

რაკი ასეა, მეც რატომ არ უნდა ვცადო ეს მეთოდი? თუკი შევძლებ
ჩემი მოთხრობის გააზრებას, ეს ჭეშმარიტების წვდომის ტოლფასი იქნე-
ბა, საკუთარი „მეს“ ჭეშმარიტებისა, მთელი სიცოცხლე რომ ვეძებდი.

ვგრძნობ, მოსაწყენი ვხდები. სწორედ აქ მარხია ძალის თავი! როდე-
საც ხელოვნება მეცნიერებას ერწყმის, მეცნიერება მხოლოდ იგებს ამით,
მაგრამ როდესაც მეცნიერება ხელოვნების ტერიტორიაზე გადავა, პეგასი
ჯაგლაგა ჯორად გადაიქცევა. ამიტომ თავისუფლად შევიძლიათ გამოტოვო-
ვს გვერდი. ისევე როგორც მე გამოვტოვე ორი თვე, სანამ კალამს მივუბ-

რუნდებოდი, თუმცა ამ ამბავში მე უბრალო ვარ, რამეთუ, აქ თვით ბედი მონაწილეობდა. უმჯობესია ნუ ავჩქარდებით, კვლავ მივუბრუნდეთ ჩემს მოთხოვნას და ცოტა ხნით თავი ვანებოთ ცოლს, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემი კეშმარტიების ნაწილია. არც მიწისძვრის დაგინწყვსა მშვიდდება. იქ არის პრობლემათა კვანძი.

ყველას კარად ახსოვს ის მიწისძვრა, თუმცა ჩვენ სეისმოლოგიურ ზონაში ვცხოვრობთ, ასეთი ძლიერი მიწისძვრა ნახევარი საუკუნეა ბულგარეთში არ ყოფილა. პირველზე უკვე მოგახსენეთ. ამ ბოლო მიწისძვრამ კი უფრო შეგვაშინა, ვიდრე რაიმე სერიოზული ზიანი მოგვაყენა. პირველი ცნობები ზედმიწევნით დამამშვიდებელიც კი იყო, პანიკა რომ არ შექმნილიყო მოსახლეობაში. მე კი სწორედ დამანგრეველი მიწისძვრა ვიხილე: დავინახე მტვრის ბუღით დაფარული დანგრეული შენობა, არსებობს კი სინამდვილეში ასეთი შენობა? თუ არსებობს, სად? იქნებ არსად? როგორ შევამოწმო ჩემი ნათელზილვის სისწორე?

მხოლოდ ორი დღის შემდეგ ვნახე ეს შენობა გაზეთში, საძირკვლამდე ჩაქცეული ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლი სვიშტოვოში. სურათმა უფრო შემადრწუნა, ვიდრე თვით მიწისძვრამ. მიწა რომ იძრა, მხოლოდ შემეშინდა ისევე, როგორც ყველას, ვისთვისაც ეს მოულოდნელი იყო. სურათმა კი მეტიმეტად ამაღელვა. გაოგნებული შევიკეტე კაბინეტში და თითქმის ნახევარი საათი ვიწექი ტახტზე. ვცდილობდი, გონება მომეკრიბა.

ახლა უკვე საეჭვო აღარაფერი იყო. ნამდვილად ვიხილე რეალური მოვლენა, მანამ, სანამ იგი მოხდებოდა. სწორედაც რომ დავინახე და არა რომელიმე მგრძნობელობითი ორგანოთი აღვიქვი, როგორც ეს გველებს, თრიებსა და ვირთხებს შეუძლიათ. მერწმუნეთ, სულაც არ ვცდილობ ვინმეს გაოცებას. რაც მე შემემთხვა, ნამდვილად არაბუნებრივია, მაგრამ ბუნებრივის საწინააღმდეგო არ არის. არსებითად, წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით თანამედროვე ფიზიკას აბსურდად არ მიაჩნია მომავალში შეღწევის შესაძლებლობა, მაგრამ ამისთვის კოლოსალური ზეენერგია არის საჭირო, რომელიც კაცობრიობას ჯერ არ აღმოუჩენია. თეორიულად კი ასეთი შესაძლებლობა არსებობს და მას ანგარიშიც ეწევა.

პრაქტიკულად სულ სხვაგვარად დგას საკითხი. როგორ აღმოცენდა ასეთი ზეენერგია ჩემს სუსტ, არამდგრად სხეულში, რომელიც რაღაც საცოდავი ამინომჟავებისაგან შესდგება? სწორედ ეს არის აბსურდი, ამოუხსნელი წინააღმდეგობა. მაგრამ განა მოვლენათა ამ შინაგან წინააღმდეგობაში არ იფარება მისი ძალა? როგორც ბორი ამბობს, აქ დასაშვებია შემდეგი საშინელი ვარაუდი: შეიძლება ენერგია იყოს არა ზედლიერი, არამედ ძალზე სპეციფიკური, რომელიც დამახასიათებელია, ვთქვათ, მხოლოდ ცოცხალი ქსოვილისთვის ან ადამიანის ცნობიერებისთვის. არასოდეს არ ვყოფილვარ დარწმუნებული საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში. თავდაჯერება სისულელისა და სიბრმავის უტყუარი ნიშანია. არაფრის მტკიცებას არ დავიწყებ, სანამ არ ეირწმუნებ. სამაგიეროდ არც არაფერს უარვყოფ, სანამ არ შევამოწმებ.

აი, ისევ მოსაწყენი ვხდები. მოკლედ, თავი მივანებე ბიოქიმიას და ბიოლოგიის სხვა დარგს — ბიოფიზიკას მოგვიდე ხელი. დღეში რვა-ცხრა საათს ვკითხულობდი ჭანცის გაწყვეტამდე. დასაწყისში მშვიდად, დაჯერე-

ბულად ვადგენდი დაწვრილებით კონსპექტებს. მერმე სიფიცზე მომეძალა და ნერვიულობაც კი დავიწყე. ელექტრონი, ელექტრობა, ყოველგვან ბუნდოვანი ცნებებია და მარტო ჩემთვის კი არა, ყველასთვის. ესაა უწყისი, რა არის ველი?! აინშტაინმაც კი ვერ გასცა ამ კითხვას პასუხი. ჩემი ველი კი, რომელმაც უნარი შესწევს მომავალში შეაღწეოს კოსმოსურ უცნაური და იღუმალია.

ზოგჯერ საგსებით გაოგნებული დავდიოდი ქუჩაში. ბუნდოვნად ვგრძნობდი, რომ ჩემს ირგვლივ მოვლენები დედდებოდა, რომ აი საცაა სასწაული მოხდება, შეიძლება სულაც უბრალო და ადამიანისთვის ადვილად მისახვედრი რამ და მე თვალი ამეხილება. ძალიან კარგად მახსოვს ის დღე. დაახლოებით ათი საათისთვის გამოვედი სახლიდან და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისკენ გავემართე. მშვენიერი ამინდი იყო — შემოდგომის ისეთი დღე იდგა, ტროტუარებზე ჩამოცვენილი მბზინვარე წაბლი რომ არა, გაზაფხული გეგონებოდათ. წყნარად მივაბიჯებდი რუსკი ბულვარის მარჯვენა ხეივანში, სადაც ჩინეთის საელჩოა. როგორც ბოლო ხანში, ახლაც ფიქრებში ვიყავი ჩაძირული. ამჟამად ცოლზე, მის უცნაურ საქციელზე ვფიქრობდი. იქნებ უფრო ჭკვიანურია, თვითონ გამოვიჩინო ინიციატივა? არასოდეს ვყოფილვარ მეტისმეტად პატივმოყვარე. ერთი ნაბიჯი უკან თუ გვერდზე ვერაფერს დააკლებს ჩემს ღირსებას.

გზაჯვარედინზე ყვითელი შუქი ენთო. ეს კარგად მახსოვს. მწვანე რომ აინთო, ქვაფენილზე გადავედი და ეს იყო უკანასკნელი. რაც დამამახსოვრდა.

გონზე რომ მოვედი, თითქოს სინათლის ზღვარში ვბანაობდი. ალბათ მზის შუქი იყო, თუმცა გარშემო რაღაც მქრქალი რძისფერი ნათელი იღვრებოდა. ისეთი ძლიერი ელვარე შუქი იყო, ძალაუნებურად თვალები მოვხუჭე, მაგრამ ახლა უკუნი მეჩვენა აუტანელი. თითქოს მილიონი წელიწადი ვიყავი სიბნელეში. ისევ გავახილე თვალი. გულისგამწყალებლად ნელა გაცურდა ქალის სახე. თხელი, სუფთა ნაკვთები, თეთრი თავსაფარი და ყველასათვის კარგად ნაცნობი პატარა წითელი ჯვარი... მოწყალეების დამ შემომხედა და შეკრთა, თითქოს გამოღვიძებული მიცვალებული დაინახა. მერმე შხვართი თითები სახეზე შემახო, ადგა და კრინტი არ დაუძრავს, ისე გავიდა.

რა ამბავია? ან სახეზე რა მიჭერს ასე? ხელი მოვისვი, ბანდი! თავი ისე მჭიდროდ მქონდა შეხვეული, რომ პირის გაღება ვერ შევძელი. ფრთხილად მივბრუნდი იქითკენ, საიდანაც სინათლე მოდიოდა. თვალწინ მწვანე ფარდა შეიჩნა. ხეების ტოტები თითქმის ეხებოდა გაწკრივლებულ ფანჯრებს. გამხმარ ტოტს ყვითელი ბრწყინვალეობით ჩაბლაუჭებული შაშვი პირდაპირ თვალებში მიყურებდა. აბა, ამაზე კარგი რა უნდა ყოფილიყო? ცოცხალი ვარ, მზე ანათებს, პლანეტის მარადიული სიმწვანე მზადაა ტალღასავით მოასკდეს ჩემს საწოლს. ფოთლებში დიდებული, მიწიერი მზე ანათებდა. არც კი ვიცოდი მისი შუქი ასე მშვენიერი, ასეთი ცოცხალი და მარადიული თუ იყო. აი, ისიც! ესაა სიცოცხლე, ყოფა, რომლის ჩაწვდომასაც ასე ვცდილობთ. სინათლე. შაშვი თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. გავიღიმე. დიდი თეთრი ოთახი, უზარმაზარი თეთრი ფანჯარა, მაღალი თეთრი შტატივი სისხლის გადასასხმელი სისტემით, რომელმაც ერთი წამით შუშის თავჩაქინ-

დრული დასჯილი ტანმოვარჯიშე გამახსენა. გამარჯობა, მოწაფე, რა დამემართა?

ოთახში დაბალი, წარბებდაფანჩული კაცი შემოვიდა, თეთრი ხალათი აცვია. ეტყობა, ექიმია. საწოლის ახლოს თეთრ სკამზე ჩამოჯდა და გულლიად, როგორც მომეჩვენა, ზედმეტად გულლიად გაიღიმა, ეტყობა, ჩემი გამხმევება უნდა, თანაც ააე ბანალურად.

— აქ რას ვაკეთებ? — ვკითხე მე.

— პატარა ავარია მოხდა, პროფესორო, ტროლეიბუსი დაგეჯახათ. თავი კი მართლა მაგარი გქონიათ, ღმერთმანი. ტროლეიბუსი ჭერაც არ გამოსულა ხაზზე — გამვლულების ეშინია.

მაშინვე გამახსენდა ყვითელი შუქი, მერმე მწვანე. ტროლეიბუსი, ცხადია არ დამინახავს.

— დღეს?

— არა, ოთხი დღის წინათ.

ესე იგი, მთელი ოთხი დღე გონდაკარგული ვყოფილვარ. ახლაღა მივხვდი, რატომ გამოვვარდი წყვდიადიდან. გვიან გავიგე: თავის ქალის ტრეპანაცია გაუკეთებიათ, თანაც რთული და მძიმე, მაგრამ ოპერაციამ კარგად ჩაიარა. მაშინ კი მხოლოდ ეს ვიკითხე:

— ცოლი სადაა?

— ერთი საათია, წავიდა... მთელი ეს ხანი სულ გვერდით გეჯდათ, ერთი ნაბიჯითაც არ მოგცილებიათ. პირდაპირ გაიტანჯა, — ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა მოწყალების დამ. მაგრამ მიუხედავად შებანდული ყურებისა, მაინც გავიგონე. გული ყრუ ტკივილმა შემიკუმშა. ეს ტკივილი სულაც არ ჰგავდა იმ ტკივილს, დამსხვრეულ თავს რომ მიბურღავდა.

— დაუძახეთ... გთხოვთ... ძალიან გთხოვთ... და რაც შეიძლება ჩქარა...

— რა თქმა უნდა, — თავი დამიქნია ექიმმა, ექთანს მიუბრუნდა და რაღაც უთხრა, მერმე ისევ მე შემომხედა.

— მგონი, მთავარი საშიშროება გავლილია, — ამყამად სავსებით სერიოზულად თქვა მან, — მაგრამ თვითონ მოგეხსენებათ ძალზე ფრთხილად უნდა იყოთ. არ გაინძრეთ, არ ინერვიულოთ, არაფერზე აღელდეთ, ეს უბედური შემთხვევაც დაივიწყეთ და აქედან გამოჯანსაღებული წახვალთ.

— გასაგებია, მაგრამ ჩემი ცოლი როდის მოვა?

— ნუ ღელავთ, ნახევარ საათში აქ იქნება, მთავარია, გაეღვიძოს. ამ ოთხი დღის განმავლობაში ოთხი საათიც კი არ უძინია. ტელეფონი სად გიდგათ შინ?

— ჩემს კაბინეტში.

— არც ისე მოსახერხებელი ადგილია. შეიძლება ზარტ ვერც გაიგონოს. მაინც რა მაგარი ქალი ყოფილა თქვენი მეუღლე, პირდაპირ შესაშურია.

— ვიცი, ვიცი... არ დაუკვნესია, ცრემლი არ ჩამოუგდია.

— ოო, ნამდვილად არა ხართ მართალი, — ექიმმა გაიღიმა, — მაგრამ ახლა მაგაზე ნუ ფიქრობთ, საკუთარ თავზე იფიქრეთ.

ექიმის ლაპარაკი თითქმის აღარ მესმოდა, რაღაც სასიამოვნო სისუსტე დამეუფლა. საავადმყოფოს ხმელი საწოლი თითქოს ნაკად გადაიქცა და

ტბის ზედაპირზე გავსრიალდი. ბედნიერი ვიწეჭი ნავის ფსკერზე და ვუცქერდი, როგორ მიცურავდნენ ფარატინა ღრუბლები ლაყვარდოვან ცაზე. საკუთარ თავსა და ამ უცნაურ გრძნობაში ჩაძირულს შეუმჩნევლად ჩამეძინა. თვალი რომ გავახილე, ჩემს გვერდით ის დავინახე, ექიმის ადგილას იჯდა. მისმა სახემ, ასე ნაცნობმა და ახლობელმა განმაცვიფრა.

— შენა ხარ? — ძლივს ამოვიღულულდე.

მან ოდნავ გამიღიმა, ამ ღიმილში უზომო შვება იგრძნობოდა, რომელიც ყოველ წუთს შეიძლებოდა ცრემლად ქცეულიყო.

— რა უცნაურია, ცოცხალი რომ ვარ. იცი, მხოლოდ ახლა მივხვდი, მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ შენზე ვფიქრობდი.

— კი მაგრამ, შენ ხომ უგონოდ იყავი, — თვალეზმა გასცა; ის ისევ ის ცოცხალი, ამავე დროს სულ სხვა ვილაც, სულ სხვა.

— გამოგონილი სიტყვაა.

— რომელი სიტყვა?

— უგონობა, არყოფნა. სადღაც ხომ მაინც ვიყავი, თუმცა არ კი მახსოვს — სად.

— მე მგონი მესმის შენი, — ჩუმად მიპასუხა მან, — და რა სამწუხაროა, სხვები რომ ვერ გაგიგებენ.

უცბად საოცარი სისუსტე ვიგრძენი, მომეჩვენა, ისევ მეკარგებოდა გონება, მაგრამ აღარ მეშინოდა. არყოფნა არ არსებობს, ყველაფერი ყოფილია. აღარ მახსოვს, ალბათ თვალეზი დაგხუჭე და შევეცადე ისევ იმ უცნაურ სამყაროში შემეხედა, რომელიც ჩვენივე სულის სიღრმეშია და რომელზეც ასე ცოტა რამ ვიცით. მორჩა, ველარასოდეს მივხვდები, რაც იქ განვიცადე. ერთი კი ცხადია, ეს იყო რაღაც უზარმაზარი და ძლიერი განცდა.

ორი კვირის შემდეგ მანქანით მოვიდა ცოლი ჩემს წასაყვანად. ფოიეში გელოდებოდი გამოწყობილი და გაჯგიმული. ის ჭყეტელა პალსტუხიც კი მეკეთა, რამდენიმე წლის წინ რომ ჩამომიტანა იტალიიდან. უცნაურია, მაგრამ საოცრად გაბავშვებული ვიყავი. მეგონა, საცაა თავზე მომეფერება, ხელს ჩამჭიდებს და საკონდიტროში წამიყვანს-მეთქი. იცით, რომელ საკონდიტროში? აი, ეგზარქოს იოსების ქუჩის კუთხეში რომ არის, ძველი აბანოს მოპირდაპირე მხარეს. მაშინ ჯერ კიდევ იყიდებოდა იქ ახალი, ფუმფულა ნამცხვრები. უკვე დიდი ხანია, აღარც საკონდიტროა და აღარც აბანო, მათი კვალიც კი არ დარჩენილა, მაგრამ ისინი ჩემში მაინც არსებობენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ნამდვილად არსებობენ.

— წავიდეთ, — მითხრა ცოლმა.

წავედით. მე მატროსულაში გამოწყობილი პატარა ბიჭი ვიყავი, ქუდის ცისფერი ლენტები ლოყებზე მელამუნებოდა.

მანქანა დავინახე თუ არა, გონს მოვეგე და ის ბედნიერი წამიც სამუდამოდ გამიფრინდა. მზრუნველობით მომისვა ცოლმა გვერდით, უკან კი ჩემი ბარგი-ბარხანა დადო. ან რა ბარგი-ბარხანა ის იყო: რამდენიმე დეტექტიური რომანი და თანამშრომლებისაგან მოტანილი რამდენიმე კოლოფი შოკოლადი.

— შინ დიდი ფოსტა გელოდება, — მითხრა მან, როცა მანქანა ოღრო-ოღრო ასფალტზე გაგორდა. — განგებ არ მომქონდა არაფერი, რადგან დასვენება გესაჭიროებოდა.

— სხვა არაფერია?

— სხვაც არის, — იგი ოდნავ წამოწითლდა, — შენი ახალი წიგნის სი-
სიგნალო ეგზემპლარი მოვიდა. სიურპრიზი მინდოდა შენთვის, მაგრამ არა
უშავს... სხვა საჩუქარი კი არაფერი მაქვს.

ერეკნული

ჩემი წიგნი ენზიმებზე ამჟამად სულაც არ მაინტერესებს, ახლა ჩვეულებ-
ბრივ სიცოცხლეს ზოგ ადგილას სავსებით ჩვეულებრივ ქიმიასთან ჰქონდა
შეხების წერტილები.

— არ გაგიხარდა? — მკითხა ცოლმა, ისე რომ გზისთვის თვალი არ მო-
უშორებია.

— ოდნავადაც არა, — ვუპასუხე უხალისოდ, — და სანამ გვიან არ არის,
მინდა გითხრა: დღეიდან არავეთარი პროფესორი აღარა ვარ. ისევ ჩვეულებ-
ბრივი მოწაფე ვარ, სანამ იმის გაგებას არ ვისწავლი, საქმე ის არის, გა-
ვიგებ კი როდისმე?

და მაშინ მოხდა ის, რაც არც კი დამესიზმრებოდა. ცოლმა უცბად სა-
ჭეს თავი მიანება, ჩემი ხელი აიღო და მეამბოხა. კარგად დავინახე, როგორ
გაქანდა მარჯვენა ბორბალი გრანიტის პარაპეტისაკენ. არც კი შევმკრთალ-
ვარ. ან რა მნიშვნელობა აქვს ერთი დარტყმით მეტი იქნება თუ ნაკლები.
და საერთოდაც, რომელმა ჩვენთაგანმა ვიცით რა გვინდა ამ სამყაროში?
ბოლო წამს ცოლმა მარჯვედ შემოაბრუნა საჭე და მანქანა ლარივით გაქი-
მულ უკაცრიელ ქუჩაზე გააქროლა.

□

ურანჩესკო პეტრაქა

სონეტები



იტალიურიდან თარგმნა თამაზ ბაძალაშვილი

* *

გაიხმაურეს წლებმა ჩუმი ტანჯვით და ნუკვით
და, როგორც ჩრდილი, შეერივნენ წყვდიადის სიღრმეს,
ახლა შორეულ ზმანებიდან ტკივილი მიღრენს,
ჩაქრა იმედი, ჩაქრა მდუმარ თვალების შუქი.

ო, ცრუ სოფელო, შენს ბადეში გავები თუკი
ბრმას, უნუგეშოს, დამუნჯებულს — წამართვი სიმხნე,
მკვდარია იგი, ნაბიჯ-ნაბიჯ ღამისკენ ვიხევ,
მკვდარია იგი და ამქვეყნად არავის უკვირს!

მაგრამ ხომ ბრწყინავს მოციმციმე ზეცის კიდეგან
სხეული სათნო, ზეციერი და უკარება,
ხომ ვერ დაგშალეს უკუნმა და მრუმე ბინდებმა,
ხომ ჰკოცნი ნათელს, როგორც ყვავილს, როგორც ნარეკალს
სად არის იგი, სად გაისმის მისი დიდება,
რარიგ შევხვდებით, როს მარადი ზარი დარეკავს.

სტრ. 30

* *

ყრუ, მარტოსული, დაბურვილი ბნელი ლანდებით,
ცარიელ ველზე ვეხეტები, დავძრნი ნიადაგ,
რომ არ ვიხილო გასაგისი ადამიანთა
გამირბის თვალი წყვდიადისკენ და მეც ვლამდები.

თავშესაფარი ვერ ვიპოვე. მზერა რამდენი
მგმირავს და ჩემი სულიც ღამის ნაპირს მიადგა,
გაკრთება სულში დანთებული ცეცხლი კიანთა
და შეუმჩნევლად ნალველსა და წუხილს განდევნის.

უნყიან მთებმა და მდინარეც სდუმს თავგანწირვით,
დუმილი ჩვენი მინდვრებსა და ტყეებს ედება,
დუმილის გარდა სულმა განა რამე მასწავლა.

სტრ 51

დე იყოს მკაცრი და ციცაბო ჩემი გზანვრილი,
დე, იღრიალონ უღრანებში მღვრიე, ვნებებმა,
სიყვარული ხომ ჩემთან არის და მე მასთან ვარ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *

მე ცოდვილი ვარ, სიყვარულო, და ცრემლებს მალვრის
ცეცხლი, რომელიც დაბირბილებს გულის ფიცართან,
ცეცხლი, რომელიც ტკივილიდან ამოიზარდა
წყალივით სუფთა, გრიგალივით შორი და ლალი.

ხოლო სურვილი ვნებიერად მეძახის გაღმით,
ვერ შევაჩერე, ვერ მოვთოკე, ლამობს ცის კალთა
შემოარღვიოს და მესობა ტანში ნისკარტად
არ შემრჩა ძალა, სულიც ველარ იურვებს აღვირს.

შენ მიმზერ მშვიდად, შენ მანყლულებ მოწამლულ ისრით,
შენ მეურჩები, შენ მბრძანებლობ, მტანჯავ, როდესაც
ცად ქალბატონი გამოჩნდება, დიდების ღირსი.

ხომ შეაძრწუნებს ჩემი მოთქმა, ჩემი გოდება,
გაიღიმილებს, განათდება და მერე ისიც
შემინდობს მწარე დანაშაულს და შეცოდებას.

* *

რა უცნაური არის ყოფნა! ახლა სიამე
მომგვარა ტანჯვამ, ახლა ვგრძნობ რომ ლამეა შორით,
და მწუხარება სულს ღელვის და ხანმოკლე ბრძოლის
შემდეგ მარადი ნეტარებით მოამზიანებს.

ო, იმედებო, გამებზარა ოხვრით ყია მე,
ო, სურვილებო, შეგისრუტავთ შხამი და შმორი,
ახლა სინათლეს და სიკეთეს გპირდებათ ორივე,
სული მისი კი — ცას შეერთო, ტანი — ყიამეთს.

მე ბრმა ამური სიყვარულს და შვებას დამპირდა,
მაცდენდა გზიდან და სიკვდილის კარად მივედი
სადაც ნკვარამი მძვინვარებს და ქარი ბანს აძლევს,

გლოცავ, რომ ისევ დამაბრუნე კეთილ ნაპირთან,
ისევ აღავსე სურვილები მზით და იმედით
და გამომტაცე ჯოჯოხეთს და მწარე განსაცდელს.

* *

უკანასკნელი დღე ლაღობის, შვების, განცხრომის,
გაქრა, წავიდა — სიხარულიც უკვე მანდ არი

და გული ჩემი, როგორც თოვლი, ოდნავ გამდნარი დაფლეთილია, განწირული და დასამცრობი.

მალე გაქელავს ქარიშხალი სულს და საცხოვრისს, სისხლში და ძარღვში გამიჯდება მალე ზამთარით ვით ცხროიანი, გამოტანჯულ დღეებს ვამთავრებ, სანამ ჩამოთოვს მოალერსე შუქი მაცხოვრის.

დამდგარა ჟამი მწუხრეული. უცებ დავლამდი, თვალები მისი ცათა შინა კრთიან ალერსით და ამაოა ჩემი მზერა, ჩემი ლაღადი.

და გავიგონე, ოდეს მდუმარ გზიდან დავეშვი:
„ოი, ძვირფასო მეგობრებო, გტოვებთ, ნახვამდის, ჩვენ კვლავ შევხვდებით სხვა მზეში და სხვა ვარსკვლავებში“.

თავ 508

• •

გავტირი დღეებს, მწუხარებით თვალს რომ ლულავენ, ოდეს ღვთაებრივ სინათლისკენ მივისწრაფოდი, მაგრამ სურვილმა უეცარმა, როგორც ნაფოტი შემაჭრა ფრთა და დამანარცხა მიწას უმაღვე.

შენ კი დაჰყურებ სულში ცივი ცრემლით გაფოთლილ ტანჯვას, რომელიც სააქაოს ვერ დავუშალე, იხსენ ცთომილი სული ჩემი, ყრუ და მდუმარე და გაზინზლული ამ ცხოვრების მწვირით, ტლაპოთი.

აღმავსე შენი აუნყავი მადლით, ალერსით, თუ მოკვდავთათვის ნათელი ხარ და სამზეო ხარ, ბრძოლის დასასრულს განწირული თუკი დავეცი,

მე ხომ ტკივილში უნდა მევლო, უნდა მეოხრა, ან მომიბოძე ყოფნა შენი უუკვდავესი, სულს სხვა იმედი აღარ შერჩა მწედ და მეოხად.

• •

ვუსმენ ჟამიჟამ ცარგვალიდან იდუმალ ძახილს. ეს — ქალბატონის მაცნე მოჭქრის და ხელებს მიქნევს, მე კი სიცოცხლით გამოღლილი ვეცემი პირქვე და ვიფარები დავინყების მდუმარე თალხით.

მომბეზრდა ყოფნა, ეს ტანჯვა და ქვითინიც არ ღირს და ხარბად ვკოცნი შემოჯარულ ნალველს და ფიქრებს, მიახლოვდება დასასრული, ო, სულო, იქნებ გაიხდი სხეულს და დამშეულ მხეცივით დაღრღნი.

ბედნიერება ხომ მეწვევა, სუსტი და ხრწნადი დავტოვებთ ოდეს სინანულს და საკანს მიწიერს და გავუყვებით ციერისკენ ბრმანი, მარტონი.

ამ ბნელი მხარის სიტკბოცა და შხამიც / ვინ ვინიეთ,
ახლა კი იქით, სად ალერსით და ჩუმი დარდით
მიცდის მეუფე და ნათელში დგას ქალბატონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *

ბედნიერი ვარ სიზმარში და შვებას მგვრის კვნესა,
ვეხვევი ჩრდილებს, ვაყურადებ შავეთის შრიშინს.
ზღვა უნაპირო თვალებს მივსებს შლამით და ქვიშით
ტალღაზე ვაგებ სასახლეს და ქარიშხალს ვესავ.

და თითქო ჩემი სისხლის გემო მოსწყურდა მზესაც,
მანყლულებს ბრწყინვით და მზაკვრულად სახედველს მიშლის,
მე ირემს მივდევი, არ კი ვიცი, ცხადში თუ ძილში,
ამხედრებული უძლურ ხარზე, წყვილიადის ხემსად.

ბრმა და დაღლილი გახელებით ვეძებ დღედაღამ
დაკარგულ იმედს, ვერ იქნა და ვერ მოვითმინე
და სიყვარულსაც, სიკვდილსაც და ღმერთსაც ვეურვი.

ეს ოცი წელი, მძიმე ტანჯვით რომ დამედადა
ისევ გრძელდება, ისევ მიყვარს, ისევ ვქვითინებ
და ვარსკვლავების ქვეშ უმწეოდ ვარ მომწყვდეული.

* *

მე ვიკვებები ცრემლით, ტანჯვით და სიმწუხარით,
რასაც მეუფე მიძღვნის, როგორც საჩუქარს რასმე,
ვცახცახებ მიწყვივ, სიცოცხლე კი მწარე შხამს მასმევს,
გადაიხსნება ღრმა ჭრილობა და გულს უხარის.

მოფრინავს იგი და მოწვეთავს ცრემლი მდულარი,
მე კი ვტირივარ და შემკრთალი შევყურებ ასე,
მოფრინავს ჩემსკენ, დაუტევებს წმიდათა დასებს
და მყინავს მზერა ყრუ სიჩუმის, ყრუ ცის, ყრუ მხარის.

და ვგრძნობ მის თითებს, ჩემს თითებზე რომ გადაება,
რომ შევნატროდი როგორც შვებას, როგორც სატანჯველს,
და მოკვდავთათვის მიუწვდომელ უცხო ღვთაებას.

ამბობს ეს გული დამსხვრეული, უნდა გადარჩეს,
გეყო ტკივილი, გეყო ცრემლი, გეყო ვაება,
იცოცხლე მშვიდად, მე რომ მოვკვდე თუნდაც ათასჯერ.

* *

სუნთქავს ჰაერი ჩემი მოთქმით, ძალა არ მყოფნის
და შორს გაღანდულ გორაკს ცხარე ცრემლით დავტირი,

ხელში მიჭირავს გული ჩემი, გული მარტვილი,
წრფელი და სავსე მწარე შხამით, მწარე ნაყოფით.

გაჰყურებს ზეცას, სიზმარივით ორად გაყოფილს,
შეიფრთხილებს და მოფრინავს უკან ბარტყივით,
დაღლილი, ჩუმი — უმწეობით და სიმარტივით,
რალას ვეძებდი, ვის ვუმზერდი, რით ვამაყობდი.



არც რა ყვავილი, არც რა კენჭი, ეს მთაც მკვდარია,
არც რა ფოთოლი მიირწევა გზა-გზა, ველიველ,
და ეს პიტალოც გადაკოცნეს მწუთხე ქარებმა.

დამშრალა წყარო, წვეთებს აღარ მიუხარიათ,
ტყეში ნადირიც არ გაჰყმუის, სდუმს ყოველივე,
ვის ვამცნო ტანჯვა, ვინ გაიგებს ჩემს მწუხარებას.

* *

მოეც სიმშვიდე, ფიქრო ჩემო, ნუთუ არ კმარა
ჭიდილი ბედთან და სიკვდილთან, მოეც სიმშვიდე,
თვალი დამთხარეს, ხორცი გვემეს და დამიშრიტეს,
ამურმაც ბასრი მკრა ისარი და მაკანკალა.

შენც, გულო, რალად მომისართე ცრემლი ანკარა,
რალად მიელტვი დავინყებულ დღეებს გიშრისფერს,
ფიქრი შენი ხომ სიზმარივით კვდება ფიქრშივე
და რჩები უმალ მტერთა ჩემთა საჯიჯგნ-სამკალად.

შენში იღუმალ ვნებებს ფრთხილად აქსოვს ამური
და ბედისწერა საზეიმო კარნავალს მართავს,
ხოლო სიკვდილის მძლავრი სუნთქვა არყევს კარიბჭეს.

შენა ხარ ჩუმი საყუდარი ცეცხლთა და ქართა,
შენში გაკრთება ფიქრი ძველი და ნალამური
და ეს ტკივილიც ერთადერთმა შენ მომანიჭე.

□

მიგელ და უნამუნო

აბელ სანჩესი

ერთი ვნების ამბავი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

ესპანურიდან თარგმნა მარი ტიტინიძემ

ესპანური ლიტერატურის აღიარებული კლასიკოსი, ფილოსოფოსი, მოაზროვნე, საზოგადო მოღვაწე მიგელ დე უნამუნო (1864-1936) სიცოცხლეშივე ლამის ლეგენდად იქცა. იგი იყო „1898 წლის თაობის“ ანუ „კატასტროფის თაობის“ ბელადი, ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი პირველი ეგზისტენციალისტი. მას უწოდებდნენ პიროვნების ფილოსოფიის შემქმნელს, „სიმშვიდის დამრღვევს“, „ეჭვისა და კრიზისის ბაცილის მატარებელს“. მის შემოქმედებაში პიროვნება გამოყვანილია როგორც ცენტრალური რეალობა, მისი კვლევის საგანია კონკრეტული ადამიანი, რომელიც „იბადება, იტანჯება, ქაშს, სვამს, აზროვნებს, კვდება...“ თავისი კონცეფციების შესატყვისად იგი ქმნის ახალ ენარსაც, რაც გამოიხატება ასახვის სრულიად ახალი ფორმების ძიების ცდაში, ხშირად არ ემორჩილება ჩვეულებრივ ლიტერატურულ სქემას; მის მიერ დახატული სამყარო ერთი შეხედვით საოცრად ქაოტურია, მაგრამ ამავე დროს ორგანულად თანმიმდევრული და მთლიანია. მისი პერსონაჟებიც თითქოს არავითარ ფსიქოლოგიურსა თუ ფსიქოპათოლოგიურ ანალიზს არ ემორჩილებიან. განსაკუთრებით საინტერესოა მწერლის სტილი, ფრაზა, ენობრივი ნორმები, თუმცა თვითონ მწერლის აზრით „მთავარია ფრაზა ზუსტად გამოხატავდეს აზრს და, სულ ერთია, როგორ ედერს!“

მიგელ დე უნამუნოს აზრით რეალიზმი უმაღლესი მნიშვნელობით ის კი არ არის, ზედმიწევნით ზუსტად ასახოს ვითარება, გარემო თუ სხვა რამ, არამედ სცადოს გახსნას თითოეული ადამიანის „მე“. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა მცირე რომანი „აბელ სანჩესი“, რაზეც თვითონ მწერალი წერდა: „მე მინდოდა ჩამეღწია ადამიანის სულის ისეთ სამალაევებში, ისეთ კატაკომბებში, სადაც ადამიანთა უმეტესობას აძრწუნებს შთასვლა...“

ხოაკინ მონებროს გარდაცვალების შემდეგ მის კალაღებში წააწყდნენ მემუარების მსგავს ჩანაწერებს იღუმალის ვნების შესახებ, რაც თურმე მთელი ცხოვრება სტანჯავდა მას; წინამდებარე ამბავში, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ და რომელიც ავტორს „აღსარებად“ დაუსათაურებია, ჩართულია ნაწყვეტები ამ ჩანაწერებიდან; ბრძალებში მოქცეული ნაწყვეტები ერთგვარი კომენტარების სახით მოგვყავს მისი სენის ასახსნელად. ხოაკინს „აღსარება“ თავისი კალიგვილისადმი მიუძღვნია.



ეროვნული

ბელ სანჯისა და ხოაკინ მონეგროს აღარც უნდა შეეცდებოდათ ღილის გაიციუნეს ერთმანეთი. გაიციუნეს კი ღილის აკვანში, სულ ჩვილები რომ იყვნენ, მათი ძიძვები რომ შეიყრებოდნენ, მასლაათს გააბამდნენ, მათ კი ჭერ ენაც არ ამოედგათ და გვერდიგვერდ იწვნენ გატრუნულები. მერე კი, თანდათან ერთმანეთის ცნობაც ისწავლეს და საკუთარი თავისაც; აი ასე ღილის დაბადებიდანვე ერთად იზრდებოდნენ და ძუძუმტეებივითაც შეეთვისნენ ერთმანეთს.

გასეირნება იყო, თამაში თუ სხვა რამ გართონა, იფიქრებდით, წამომწყები და მოთავე ნამდვილად უფრო მტკიცე ხასიათის ხოაკინი იქნებაო, მაგრამ ბოლოს ყველაფერი აბელის ნებაზე ხდებოდა. ასე კი იმიტომ გამოდიოდა, რომ აბელს მორჩილებაზე უფრო მბრძანებლობა ეძნელებოდა. ისინი თითქმის არასოდეს ჩხუბობდნენ. „ჩემთვის სულ ერთია, როგორც შენ გინდა!“... ეტყოდა ხოლმე აბელი ხოაკინს და ამ „როგორც შენ გინდას“ თუმცა საშმაგემდე მიჰყავდა მეგობარი, ჩხუბის საბაბს არ აძლევდა.

— ერთხელ მაინც წამოგცდეს რამეზე უარი! — წამოიძახებდა ხოლმე ხოაკინი.

— რატომ უნდა წამომცდეს? — გამოეპასუხებოდა აბელი.

— ძალიან კარგია, მაგრამ ამას რომ ტყეში წამოსვლა არ უნდა! — თქვა ერთხელაც ხოაკინმა, როცა ამხანაგებმა სასეირნოდ წასვლა დააპირეს.

— მე? როგორ არ მინდა!... — შესიხა აბელმა, — როგორ არ მინდა, თუკი შენ გინდა, წავიდეთ!

— არა, მე რომ მინდა, იმიტომ ნუ წამოხვალ! ერთხელ მაინც თქვი, არ მინდაო, აღარ გამეგონო ეგ შენი „სულ ერთია...“ თქვი, არ მინდა-თქო და მორჩა!

— რატომაც არ მინდა, სულაც...

— მაშ, თუ ასეა, მე აღარ მინდა..

— ახლა აღარც მე მინდა...

— ასე არ გამოვა, — შეჰყვირა ხოაკინმა, — აბა, თქვით, ვინ არის მაგის მხარეზე და ვინ ჩემს მხარეზე!

და ისე მოხდა, რომ ყველა აბელს გაჰყვა, ხოაკინი მარტო დარჩა.

ბავშვობაში მომხდარი ამ ამბის თაობაზე ხოაკინს თავის „აღსარებაში“ ასე ჩაუწერია: „სწორედ იმ დროიდან, არ ვიცი, რატომ და რისთვის, მაგრამ ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ის იყო სანდომიანიც და საყვარელიც, მე კი უსანდომო და საძაგელი; და ასე, სულ მარტობაში ვიზრდებოდი. ამხანაგები მუდამ გამირბოდნენ“.

ინსტიტუტში, მოსამზადებელ კურსებზე, სადაც ისინი ერთად დადიოდნენ და ბაკალავრის წოდების მოსაპოვებელი გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდნენ, ხოაკინი მეტისმეტი სიბეჭითით, ჯილდოებისა და ქებისადმი დიდი სწრაფვით გამოირჩეოდა, ერთა სიტყვით, აუდიტორიაში პირველი იყო, სამა-

გიეროდ, აუდიტორიის გარეთ — ინსტიტუტის მოედანზე. ქუჩაში, ხარების ბრძოლაში, ამხანაგების წრეში აბელი პირველობდა. ენამოსწორებული იყო და ამხანაგებს აცინებდა ხოლმე, განსაკუთრებით მოსწონდალ მისი კარიკატურები პედაგოგებზე. „ხოაკინი უფრო ბეჯითია, აბელი კი გაცილებით უფრო... ცოტა რომ არ ზარმაცობდეს“... ამხანაგებას აზრი ხოაკინს უფრო უხებდა და ბოლმით ევსებოდა გულა; ზოგჯერ ისიც უფიქრია, აღარც მე გადავყვები ამ სწავლას, გავეჯიბრები და, აბა ვნახოთ, თუ რამეში ჩამოვრჩებიო. მაგრამ მერე ისევ გადაწყვეტდა: „ეეჰ, მაგათ რა ესმით!“... და კვლავ თავის ბუნებას დაჰყვებოდა. თუმცა კი ცდილობდა მეტოქე გამომგონებლობით, მახვილგონიერებით თუ მხიარულებით დაეჯაბნა, მაინც არაფერი გამოსდიოდა. მის ხუმრობაზე არავის ეცინებოდა და საერთოდ, პირქუში კაცის სახელი დაიგდო. „შენი ხუმრობა სამგლოვიარო ხუმრობაა, — ეტყოდა ხოლმე ფედერიკო კუადრადო, — სულ სიკვდილმისჯილის ხუმრობასა ჰგავს“.

ბაკალავრის გამოცდები რომ ჩააბარეს, მათი გზებიც გაიყარა. აბელმა გადაწყვიტა მხატვარი გამხდარიყო, ფერწერა შეესწავლა, ხოაკინმა კი სამედიცინო ფაკულტეტი აირჩია. ადრინდებულად მაინც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და თავთავიანთ წარმატებებზე საუბრობდნენ. ხოაკინი ზოგჯერ ცდილობდა აბელისთვის შეეგონებინა, მედიცინაც ასევე ხელოვნებაა, ნამდვილი ნატიფი ხელოვნება და ასევე თხოულობს პოეტურ შთაგონებასო; ზოგჯერ კი მოსდგებოდა ხელოვნებას და მიწასთან გაასწორებდა, გონებას აჩლუნგებდნენ, ცამდე აჰყავდა მეცნიერება, ადამიანის სულს ამაღლებს, აკეთილშობილებს და ჭეშმარიტებებით ამდიდრებსო.

— მაგრამ მედიცინაც რომ სააღმათო მეცნიერებაა, — შეედავებოდა მაშინ აბელი, — ისიც ხომ შეიძლება ხელოვნებად მივაჩნიოთ, მეცნიერული დასკვნების პრაქტიკაში გამოყენების ხელოვნებად.

— მე სულაც არ დამისახავს მიზნად ავადმყოფებს ვუმკურნალო, — შეეპასუხებოდა ხოაკინი.

— კარგი, მაგრამ განა ამ საქმეზე უფრო კეთილშობილური და სასარგებლო შეიძლება იყოს რამე?... — დასძენდა აბელი.

— არა, ჩემთვის არა, გააჩნია ვისთვის არის კეთილშობილური და ვისთვის სასარგებლო, მე კი კეთილშობილებაც და სარგებლობაც მჭულს. ზოგიერთებისთვის პულისისა და ენის გასინჯვა, რეცეპტების გამოწერა თუ სხვა ამისთანები ფულის შოვნის საუკეთესო გზაცაა, მაგრამ მე უფრო მეტი მინდა...

— მეტი?

— დიახ, მეტი; იმედი მაქვს, ამ დარგში ახალ გზებს გავკვალოვ, მეცნიერულ კვლევა-ძიებას უნდა გავყვე, აკი ჭეშმარიტ აღიარებას მედიცინაში ის ჰპოვებს, ვინც ამა თუ იმ ავადმყოფობის საიდუმლოებას აღმოაჩენს და არა ის, ვინც ამას მეტ-ნაკლები წარმატებით პრაქტიკაში ნერგავს.

— მომწონს შენი ოცნებები.

— აბა რა გგონია, მარტო თქვენ, ხელოვანნი, ფერმწერები ოცნებობთ დიდებაზე?

- რას ამბობ? განა მე ოდესმე ამის მსგავსი რამ წამომცდენია?
- წამოგცდენია? მაშ რატომ აირჩიე მაინცდამაინც ფერწერა?
- იმიტომ, რომ ამ პროფესიას თუ კარგად დავეუფლები, ის მომცემს...
- რას მოგცემს?

- რას და, საკმაო ფულს.
- აცი, რას გეტყვი, აბელ, ეგ საკენკი სხვას დაუყარე, ვითომ არ გიცნობდე; მშვენივრად გიცნობ და თანაც დაბადებიდან გიცნობ, შენ მე მომეტყუებ? კარგად გიცნობ.
- მერე, განა არ იცი, ტყუილი რომ არასოდეს მითქვამს? ენაა!
- ვიცი, მაგრამ, ხომ შეიძლება შენდა უნებურად ტყუოდე. თავის მხრივ გიჭირავს, თითქოს შენთვის არაფერს მნიშვნელობა არა ჰქონდეს, ცხოვრება მართო გართობა იყოს, ყველაფერი ფეხებზე გეკიდოს, სინამდვილეში კი საკმაოდ პატივმოყვარე ბრძანდები.
- მე და პატივმოყვარე?
- დიახ, შენ; პატივმოყვარე ხარ, აბა რა, სულ დიდებაზე, სახელზე და ქებაზე გიჭირავს თვალი... დაბადებიდანვე ასეთი იყავი... მაგრამ თავს სხვანაირად აჩვენებდი.
- მოიცა, ხოაკინ, მართალი თქვი, განა ოდესმე პირველობაში შეგცილებივარ? სულ შენ არ იყავი კლასში სანიმუშო? შენ არ იყავი სამაგალითო?
- კი, მაგრამ მაინც შენ უფრო მოგქონდა თავი, თან ყველა შენ გელოლიავენბოდა, შენ...
- მერე, რა ჩემი ბრალია?
- ახლა იქნებ იმის მტკიცებასაც მოჰყვე, სახელის მოხვეჭა ფიქრადაც არ მომსვლიათ.
- თუ ასეა, შენ უფრო მეტს ცდილობდი.
- მე? მე? ყველასა და ყველაფრის მოძულე?
- კმარა, კმარა, მოვეშვათ ამ სისულელეებზე ლაპარაკს და სხვა ვთქვათ, ისა სჯობია, შენი საცოლის ამბები მომიყვე.
- საცოლის?
- ჰო, შენს ბიძაშვილზე გეუბნები, აკი განდა შენი საცოლე გახდეს?
- ხოაკინი მართლაც ცდილობდა თავისი ბიძაშვილის, ელენას გულს დაუფლებოდა და ამ ცდაში დებდა თავისი მიზანდასახული და ეჭვიანი სულის მთელ გზნებას. ბუნებრივია, გულის გახსნა უნდოდა და ვისთან უნდა გაეხსნა, თუ არა თავის მეგობართან.
- მერედა, რარიგად აწამებდა ელენა!
- რაც დრო გადის, მით უფრო მიჭირს მისი გამოცნობა, — შესჩივლა მან აბელს, — ეს ქალი ჩემს თვალში ნამდვილი სფინქსია...
- მერე არ იცი, რას ამბობს ამაზე ოსკარ უაილდი? ყველა ქალი სფინქსია, ოღონდ იდუმალების გარეშეო.
- მაგრამ ელენას მაინც აქვს რაღაც იდუმალება. ასე მგონია, სხვა უყვარს; თითქმის დარწმუნებულიც ვარ, რომ სხვა უყვარს.
- რატომ გგონია?
- აბა, სხვანაირად როგორ აეხსნა მისი ჩემდამი დამოკიდებულება?
- მაშასადამე, შენი აზრით, რაკი არ უყვარხარ, ანუ არ უყვარხარ როგორც საქმრო, თორემ, როგორც ბიძაშვილი ალბათ ეყვარები...
- რა ხუმრობაა!
- ჰო, კარგი... მაშასადამე, რაკი არ სურს შეგიყვაროს როგორც საქმრო, უფრო სწორად, როგორც ქმარი, ამიტომ გგონია, რომ მაინცდამაინც სხვა უნდა უყვარდეს? დიდებული ლოგიკაა!



- კარგად ვიცი, რასაც ვამბობ.
- სამაგიეროდ, მე გიცნობ შენ კარგად.
- შენ?

— დიან, თუკი შენ დებ თავს იმაზე, რომ ყველაზე უკეთესად გიცნობ, მაშ რატომღა გიკვირს, მეც ასევე მეგონოს, რომ გიცნობ? ვფიქრობ, კარგა ხანია ერთმანეთს ვიცნობთ და საკმაოდაც ვიცნობთ.

— გეუბნები, ეს ქალი გამაგიჟებს, მოთმინებას დაშაკარგვინებს-მეთქი. მისი სათამაშო ხომ არა ვარ, სულ თავიდან რომ ეთქვა უარი, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ასე გაურკვეველ მდგომარეობაში რომ მამყოფებს — ჯერ ვნახოთ, ჯერ ვიფიქროთო... რა ბევრი ფიქრი ამას უნდა... პრანჭიაა და მეტი არაფერი!

— იქნება უნდა რომ შეგისწავლოს.

— შემისწავლოს? იმან? რა მაქვს შესასწავლი? მაინც რანაირად უნდა შემისწავლოს?

— ხოაკინ, ხოაკინ, ან იმას რატომ ამცირებ და ან შენ თავს! რატომ გგონია, რომ საქმარისია შემოგხედოს, მოგისმინოს, შენს სიყვარულში დარწმუნდეს და მაშინვე თანხმობა გამოგიცხადოს?

— თუმცა კი ვიცი. გულზე დიდად არ ვეხატები.

— ჰო, კარგი. ასე ნუ ლაპარაკობ.

— ეს ქალი, უბრალოდ მეთამაშება! ჩემისთანა კაცთან თამაში კი არცთუ დიდი კეთილშობილებაა, გულწრფელი ვარ, პატიოსანი, ალალი... მაგრამ ნეტავ იცოდე, რა ლამაზია! რაც უფრო ცივად და მედიდურად უჭირავს თავი, მით უფრო ლამაზი მეჩვენება! ზოგჯერ იმასაც ვერ ვხვდები, მიყვარს, თუ მძულს. არ გინდა გაგაცნო?

— რატომაც არ მინდა, თუკი..

— მაშ კარგი, გაგაცნობ.

— და თუ უნდა...

— რა?

— მის პორტრეტსაც დავხატავ.

— რატომაც არა!

და კიდევ ერთი ღამე გაუტყდა ხოაკინს, ახლა იმაზე ფიქრობდა, როგორ დახატავდა ასეთი მომხიბვლელი, ყველასგან განებივრებული და სათაყვანო აბელ სანჩესი ელენას პორტრეტს.

მაგრამ რითი დამთავრდება ეს სენსები? ვაითუ ელენამაც სხვა მრავალი ნაცნობ-მეგობარივით აბელი ამჯობინოს! ისიც კი იფიქრა, იქნება სულაც აღარ გავაცნო ერთმანეთსო, მაგრამ რაკი დაპირდა...

II

-- მოგეწონა ჩემი ბიძაშვილი? — ჰკითხა ხოაკინმა აბელს მეორე დღესვე, როცა ისინი ერთმანეთს გააცნო და აბელმა მისი პორტრეტის დახატვის სურვილი გამოთქვა. რაზედაც სიამოვნებისაგან სახეშეფაკლულმა ქალმა თანხმობა განუცხადა.

— გინდა, სიმართლე გითხრა?

— მხოლოდ სიმართლე, აბელ; ჩვენ რომ ყოველთვის სიმართლეს ვამბობდეთ, სიმართლეს, ნამდვილად სამოთხეში ვიგრძნობდით თავს.

— და მით უმეტეს, საკუთარ თავთან რომ ვამბობდეთ სიმართლეს...

— აბა, მაშ თქვი, ეგ შენი სიმართლე!

— იცი, რა, ის შენი ბიძაშვილი თუ საცოლე, ანდა შეიძლება მომავალი ცოლიც კი, ელენა, ნამდვილი სამეფო ფარშავანგია... ნამდვილი ფარშავანგი... ხომ მიმიხვდი...

— ჰო, მიგიხვდი.

— ამის სიტყვებით გამოხატვა მაჭირს, ჩემთვის უფრო ადვილია ფუნჯით.

— შენც ადგები და ფარშავანგს დახატავ, ნამდვილ ფარშავანგს დაამგვანებ, კუდგაშლილსა და ერთი ციციქნა თავიან ფარშავანგს, არა?

— უკეთეს მოდელს ვერც კი წარმოიდგენ! ბრწყინვალეა! რა თვალები აქვს, რა ტუჩები! ვნებიანი და თან მაგრად მოკუმული... თვალები თითქოს გიყურებენ, მაგრამ ვერ გხედავენ... რა თავ-კისერი! ანდა ბრანკაოსფერი კანი თქვი! თუ არ გეწყინება...

— რა უნდა მეწყინოს?

— თითქოს ინდიელის სისხლი უჩქეფს ძარღვებში, უფრო სწორად, რაღაც აქვს ველურის, მხეცის, ავაზასი, ამ სიტყვის კარგი გაგებით, და თან რა ცივია!

— ჰო, რა ცივია!

— ასეა თუ ისე, იმედი მაქვს, კარგ პორტრეტს დაგიხატავ!

— მე რატომ დამიხატავ, იმას დაუხატავ!

— არა, დახატვით იმას დავხატავ, სურათი კი შენი იქნება.

— ასე არ მინდა, პორტრეტი მას უნდა ეკუთვნოდეს!

— კეთილი, ორივესი იყოს, ვინ იცის.. იქნებ სწორედ ამ პორტრეტმა დაგაკავშიროთ კადეც.

— კარგი, კარგი, ეგებ ხატვის მაგივრად...

— ნამდვილად, ხოაკინ, არც მაჭანკლობაზე ვიტყვი უარს; ოღონდაც შენ არ იტანჯებოდე. გული მტკივა, ასეთ ყოფაში რომ გხედავ.

დაიწყო სენსები და ამ სენსებმა სამივე ერთად შეჰყარა. ელენა ქალღმერთივით დაბრძანდა, დიდებულსა და მედიდურ სახეზე ზიზლი ეხატა, ვითარცა ბედისწერის წინაშე თავმოდრეკილს. „ლაპარაკის ნებას ხომ არ მომცემდით?“ პირველივე სენსზე ჰკითხა მან აბელს და იმანაც მიუგო: „დიახ, როგორ არა, ილაპარაკეთ და ამოდრავეთ კადეც; ასე მირჩევნია, თანაც უფრო გამოცოცხლდებით... მე ხომ ფოტოგრაფი არა ვარ, პირდაპირ გეტყვით, სულაც არ მინდა ქანდაკება დავხატო...“ და ელენამ დაიწყო ლაპარაკი; ლაპარაკობდა შეუსვენებლივ, თუმცა მოძრაობით ბევრს არ მოძრაობდა, ეშინოდა პოზა არ დავკარგო, რაზე ლაპარაკობდა? მეგობრებს ამისი თქმა გაუჭირდებოდათ. ისინი ლამის თვალებით ნთქავდნენ ქალს, სიტყვები სულაც არ ესმოდათ.

ელენაც ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, ალბათ ეგონა, დუმილი უბირობაში ჩამომერთმევაო, მაგრამ ამავე დროს შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, ხოაკინისთვის ბრწყალი არ გაეკრა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ბიძაშვილო, პაციენტებში ხომ მაინც გაქვს იღბალი? — ეკითხებოდა იგი.

— მერედა, ამას შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

— რატომაც არა აქვს? წარმოიდგინე, რომ...

— ვერა, ვერ წარმოვიდგენ.

— თუ შენ გაინტერესებს ჩემი ამბები, რატომ არ შეიძლება მეც დამაინტერესოს შენმა? ესეც არ იყოს, ვინ იცის...

— რა?

— გეყოფათ, — გააწყვეტინა აბელმა, — ერთმანეთის კბენის მეტი არაფერი გეხერხებათ?

— რა მოხდა, ნათესავებს შორის დავა რა გასაკვირია... — მიუგო ელენამ, — თანაც ნათქვამია, ასე იწყება...

— რა იწყებაო? — ჰკითხა ხოაკინმა.

— შენ დაიწყე და ესეც შენვე უნდა იცოდე, ჩემო ბიძაშვილო,

— დარწმუნებული ბრძანდებოდე, დამთავრებაც ვიცი.

— მაგრამ დამთავრების ბევრი საშუალება არსებობს.

— და დაწყებისაც.

— უდავოდ. აბელ, ჩვენი სიტყვიერი ფარიკაობა მუშაობაში ჰქვს ხომ არ ვიწლით?

— არა, არა, პირიქით, ეა, როგორც ბრძანეთ, სიტყვიერი ფარიკაობა თქვენს გამომეტყველებასა და მიხრა-მოხრას უფრო მეტ საცოცხლეს ძენს.

ორი დღის შემდეგ ელენა და აბელი უკვე „შენობით“ მიმართავდნენ ერთმანეთს, ასე მოისურვა ხოაკინმა, რომელიც მესამე სენსზე სულაც აღარ მოსულა.

— აბა ვნახოთ, როგორ მიდის პორტრეტის საქმე, — თქვა ელენამ და მოლბერტს მიუახლოვდა.

— მოგწონს?

— რა ვიცი, ვერც კი ვხვდები, მგავს თუ არა!

— როგორ, სარკეში არ იყურები განა?

— კი, მაგრამ...

— მაგრამ, რა?

— არ ვიცი...

— მერედა, არ გეჩვენება, რომ ამ სარკეში საკმაოდ ლამაზი ჩანხარ?

— გეტყობა, პირფერიც ყოფილხარ!

— მაშინ ხოაკინს ვკითხოთ.

— იმას ნუ მიხსენებ, გთხოვ, რა აუტანელია!

— მე კი სწორედ იმაზე მინდოდა შენთან ლაპარაკი.

— თუ ასეა, მაშინ წავალ.

— არა, მოიცადე და ყური დამიგდე. ასე რატომ აწამებ იმ საწყალს?

— გამოდის, რომ ქომაგადაც უდგები? პორტრეტის საფასურად ხომ არა?

— ელენა, ნუთუ ვერ ხვდები, რომ მასთან თანაში არ გამოგადგება? შეიძლება რაღაც კი აქვს ისეთი...

— აუტანელი!

— არა, უბრალოდ, ძალზე გულჩახვეულია, იქნებ ცოტა ქედმაღალიც, თუ უკმეხი, თავის განცდებში ჩაფლული, მაგრამ ძალიან კეთილია, საოცრად

პატიოსანი, ნიჭიერი. ბრწყინვალე მომავალი აქვს, შენც გაგიჟებით უყვარხარ...

— და თუ მე მაინც არ მიყვარს!

— მაშინ არც იმედი უნდა მისცე!

— მაინც რა იმედი მივეცი? მომბეზრდა იმის ჩიჩინი, დიდებული უმადო-ლიათ, იქნებ სწორედ ამისთვისაც არ მომწონს; გულახდილად გეტყვი, არც მაგისი თაყვანისცემა მინდა და არც, მით უმეტეს, მაგისი საქმროდ...

— მაგრამ ის ამბობს...

— თუ რამე სხვას ამბობს, ნაშასადამე, ტყუის, აბელ, ბიძაშვილს ლაპარაკს ხომ ვერ ავუკრძალავ. ბიძაშვილი! დიდი ღვთის წყალობა კია!

— ამას რატომ ამბობ?

— სხვანაირად არ შემოძლია...

— ხოაკინს ეჭვი აქვს, ეჭვი კი არა, თითქმის დარწმუნებულია, რომ შენ სხვა გიყვარს, რაკი არ თანაუგრძნობ...

— თვითონ გითხრა?

— ჰო, თვითონ მითხრა.

ელენამ ბრანძით მოკვება პირი, თითქოს შეერთა და ერთი წამით კიდევ გაჩუმდა.

— ჰო, თვითონ მითხრა, — გაიმეორა აბელმა, მარჯვენა ხელი ტილოდან არ აუღია და თან ისე დაჟინებით შეაცქერდა, თითქოს სურდა მისი იღუმალის ფიქრები ამოეცნო.

— რაკი ასეა დარწმუნებული, მაშინ...

— მაშინ, რა?

— ის, რომ ვეცდები გავუმტკიცო ეს რწმენა.

და იმ საღამოს აბელი აღარ ხატავდა ელენას პორტრეტს. სახლიდან რომ გამოვიდნენ, უკვე დანიშნულები იყვნენ.

III

აბელის სურათის წარმატება უსაზღვრო იყო; გამოფენაზე, ელენას პორტრეტის წინ ხალხი არ ილეოდა. „ერთი დიდი მხატვარი კიდევ შეგვემატა!“ — ამბობდნენ ისანი. ელენა კი შენთხვევას ხელიდან არ უშვებდა, საგამოფენო დარბაზის წინ ჩაევლო და ხალხის აზრი მოესმინა; ისე დასეირნობდა ქალაქის ქუჩებში, იფიქრებდით. სულჩადგმული ნახატიათ, ხელოვნების ეს უკვდავი ქმნილება რაღაც სასწაულის ძალით გაცოცხლებულა და სასეირნოდ გამოსულაო. და განა მართლაც ამისთვის არ იყო გაჩენილი?

ხოაკინს მოსვენება დაეკარგა.

— არ მახსოვს, ოდესმე ასე საშინლად მომქცეოდეს, — შესჩიოდა იგი აბელს, როგორც უნდა, ისე მათამაშებს, ნამდვილად სიცოცხლეს მომისწრაფებს!

— რა გასაკვირია, ახლა უკვე პროფესიულ ლამაზმანად მიიჩნია თავი...

— მით უმეტეს, რომ შენ მას უკვდავება მიანიჭე! ახლად მოვლენილი ჯოკონდა!

— შენც ადექი და შენი ეჭიმობით ნამდვილი სიცოცხლე გაუხანგრძლივე...

— თუ სიკვდილი დაეუჩქარო!



თუქოს შენ გითქვამს.
 ერქმუნე...
 შინჯლიქმუნე...

- ასე ტრაგიკულად რატომ ლაპარაკობ!
- რა ექნა, აბელ, რა ექნა?
- მოითმინე...
- სხვათა შორის, მისი სიტყვებიდან ისე გავიგე, თუქოს შენ გითქვამს, ხოაკინა ექვი აქვს, ელენას სხვა უყვარსო...
- ვიფიქრე, რალაცნაირად დაგეხმარებოდი და...
- დამეხმარებოდი? ეეპ, აბელ, აბელ, შენც მაგის მხარეზე ხარ, ორივენი მატყუებთ...
- შენ მატყუებთ? რატომ უნდა მოგატყუოთ? განა ელენა რამეს შეგპირდა?
- შენ შეგპირდა?
- თუ ელენა შენი საცოლელია..
- იქნებ შენი გახდა!
- აბელს ფერი ეცვალა და ხმა ვეღარ ამოიღო.
- აი, ხომ ხედავ! — ხმის კანკალით წამოიძახა ხოაკინმა, — აი, ხომ ხედავ!
- რაა ვხედავ?
- ახლა როგორღა გაიმართლებ თავს? რა სინდისით შემომხედავ თვალებში.
- კარგი, ხოაკინ, მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ; ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ და ლამის ძმებიც...
- მერედა, ძმას პირველმა უნდა ჩასცე ხანჯალი?
- ნუ ცნარობ, ხოაკინ, მოითმინე...
- მოითმინეო? განა მოელი ჩემი ცხოვრება ერთი გაუთავებელი მოთმინება და გაუთავებელი ტანჯვა არ არის? აი, შენ ყველას უყვარხარ, ყველა გელოლიავენა, ყოველთვის გამარჯვებული გამოდიხარ, მხატვარი ხარ და... მე კი... ცრემლი ყელში მოებჯინა, სიტყვა აღარ დაასრულებინა.
- რა უნდა მექნა, ხოაკინ! შენის აზრით, როგორ უნდა მოვქცეულიყავი?
- რა და, არ უნდა გეცადა მისი მოხიბვლა, რაკი ჩემი გრძნობების ამბავი იცოდი!...
- მე არაფერ შუაში არა ვარ, ხოაკინ, დამიჯერე, მან თვითონ...
- ცხადია, შენ მხატვარი ხარ, თანაც იღბლიანი, ბედის ნებიერი, რომელი ქალი არ ეცდება შენი გულის მონადირებას; ერთი სიტყვით, შენ მისი გული დაიპყარი...
- არა, დამიჯერე, მე კი არა, მან თვითონ...
- ჰო, მან, აბა რა, ფარშავანგმა, პროფესიულმა ლამაზმანმა, ჯოკონდამ... შენ მისი პირადი მხატვარიც გახდები... ყოველნაირ ვითარებაში დახატავ, ყოველნაირი განათების დროს, ყველა პოზაში. შიშველსაც და ჩაცმულსაც...
- ხოაკინ!
- და ასე უკვდავყოფ მას! ისიც იმდენ ხანსვე იცოცხლებს, რამდენსაც შენი ტილოები, უფრო სწორად კი არ იცხოვრებს, ელენა ხომ არც ცხოვრობს, არამედ იარსებებს, თავადაც ხომ მარმარილოსგანაა შექმნილი, ქვისაა, ქვისავით ცივი და სასტიკი; შენც მასავით ცივი ხარ და მასავით სასტიკი. ის... მხოლოდ უსულო ხორცის ნაჭერია და მეტი არაფერი!

— ასე ნუ ცხარობ, გამიგონე!

— კიდევაც რომ მამშვიდებ, ამისთანა მუხანათობა ჩაიდინე, უსინდისობა და ახლა მამშვიდებ?

ხოაკინმა იგრძნო, რომ ძალა ერთიანად გამოელია და დაღუპდა, გეგონებოდათ, ვნებამ, ასე რიგად რომ უღრღნიდა მთელ გულს, ლაპარაკის უნარიც წაართვაო.

— მოდი აქ, ადამიანო, მომისმინე, — ტკბილად მიმართა აბელმა და ეს ხმა ახლა ბასრ დანასავით მოხვდა ხოაკინს, — მომისმინე და თავად განსაჯე. აბა როგორ უნდა შემეყვარებინა ძალით შენა თავი მისთვის, თუკი არ უყვარდი? აუკი საქმროდ ვერასოდეს წარმოედგანე!..

— ვიცი, ყველას ვძულვარ, ასეთი დაწყევლილი დავიბადე.

— გეფიცები, ხოაკინ...

— ნუ დაიფიცებ!

— გეფიცები, ეს რომ მხოლოდ ჩემზე ყოფილიყო დამოკიდებული, ელენა დღესვე შენი საცოლვე გახდებოდა, ხვალ კი, შეიძლება ცოლიც. მე რომ შემძლებოდა მისთვის შემეგონებინა...

— იქნებ ერთ ულუფა ფაფაზეც კი გაცვლიდი!

— არა, ხოაკინ, კი არ გავცვლიდი, სულაც უსასყიდლოდ დაგიტომობდი და თქვენი ბედნიერების ცქერითაც კმაყოფილი ვიქნებოდი, მაგრამ თუკი...

— მას მე ვუყვარვარო, ეს გინდოდა გეთქვა, არა?

— ჰო, ეს...

— ელენამ ხელი მკრა მე, ვინც ასე ვცდილობდი ერთი პატარა კუნჭული მაინც მომეპოვებინა მის გულში, ამ დროს კი, თურმე ის ეძებს შენს გულში კუნჭულს და შენ კი ხელს კრავ...

— ასეა! ტყუილად არ გჯერა ჩემი. ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო ვარ.

— რა სიყალბეა! პირდაპირ ზიზღს მგვრის!

— სიყალბე?

— ჰო, სიყალბეა, ზიზღისმომგვრელი სიყალბე და მეტი არაფერი! ამას სჯობდა, შენ გეცდუნებინა იგი. საბრალო მსხვერპლი! შენი გულისთვის დედა-კაცები აკი ერთმანეთს ხოცავენ...

— მოთმინებას ნუ დამაქარგვინებ, ხოაკინ!

— მუხანათი ყოფილხარ, უსინდისო, ასეთი ვერაგობა... ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებულია! — მაგრამ უეცრად ხმა გაეზარა და ცრემლმორეულმა ესლა წაილულლულა, — შემიბრალე აბელ, შემიბრალე. ხომ ხედავ, კველა აღმაცერად მიყურებს, მტრულად, ყველა ზურგს მაქცევს... შენ ახალგაზრდა ხარ, ბედისგან გალაღებული, განებივრებული, ქალებიც გაღმერთებენ... დამითმე ელენა... გაიგე, სხვაზე გული არასოდეს შემივარდება... დამითმე ელენა...

— თუ დაგიტმე...

— შენ მარტო ისე მოახერხე, რომ მომისმინოს, უკეთესად გამიცნოს, უთხარი, შენი გულისთვის კვდება-თქო, უშენოდ სიცოცხლე არ შეუძლიათქო...

— მაშ შენ ელენა არ გცნობია...

— ორივეს კარგად გიცნობი! ღმერთის წინაშე დაიფიცე, რომ ცოლად არ შეირთავ...

— განა ვთქვი, ცოლად ვირთავ-მეთქი?

— ააპ, მაშ ეს ყველაფერი მარტო იმისთვის მოაწყეთ, რომ შეგვიანოთ? თუ მართლა ასეა, ნამდვილი პრანკია ყოფილა... პრანკიაზე უარესიც და უბრალოდ...

— გეყოფა! — შეუტია აბელმა.

ისეთი ხმა ჰქონდა, რომ ხოაკინი უნებურად გაჩუმდა და გაოცებული შეაცქერდა მეგობარს.

— ასე არ შეიძლება, ხოაკინ, შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვავა, აუტანელი გახდი.

და აბელი წავიდა.

„ის ღამე ჯოჯოხეთად მექცა, — ჩაუწერია ხოაკინს „ალსარებაში“, — ვერა და ვერ მოვისვენე, ვწრიალებდი, ბალიშს კბილებით ვგლეჯდი, წყურვილი მახრჩობდა, დოქი გვერდით მოვიდგი და წამდაუწუმ ვსვამდი. ციებ-ცხელებიანივით მაკანკალებდა. დროდადრო ჩავთვლემდი ხოლმე და რაღაც შემზარავი სიზმრები წამიღებდა. ავდგები და ორივეს დავხოცავ-მეთქი, ვფიქრობდი და ამ მკვლელობის გეგმას დრამისა თუ რომანიის სქემასავით ვაგებდი, ათას წვრილმანს ვიგონებდი ამ საშინელი, სისხლიანი შურისგებით შეპყრობილი და თან ჩემს მსხვერპლებთან დიალოგებს ვთხზავდი. დროდადრო გონებაში ისიც კი გამიელვებდა, იქნებ ელენას ჩემი გამწარება უნდოდა და აბელს იმიტომ დაახვია თავბრუ, რომ მასხრად ავეგდე, სინამდვილეში ხომ მას სიყვარულის უნარიც არ გააჩნია, რადგან მხოლოდ და მხოლოდ უსულგულო, თავის თავზე შეყვარებული ხორცის ნაჭერია-მეთქი; და ახლა უფრო მეტს ვფიქრობდი მასზე, უფრო მეძალებოდა ვნება, სიშმაგე. ერთხელ ისიც მეზმანა, ვითომ ელენას დავეუფლე, იქვე, გვერდით კი აბელის უსულო გვამი ეგდო. ის ღამე სისხლიანი შურისგების უსასრულო ქარიშხლად, უძალო რისხვად, კუჭყიან სურვილებად გადამექცა. გათენებისას ამ ზმანებებით გატანჯულმა დავიწყე განსჯა და თუმცა მივხვდი, არავითარი უფლება არ მქონდა ელენა დამესაკუთრებინა, მაგრამ აბელი კი მთელის არსებით შევიძულე: გადავწყვიტე, ამ სიძულვილს გულის სიღრმეში შევიანახავ, თვალის ჩინივით მოვუვლი, გავუფრთხილდები-მეთქი; სიძულვილს? მაშინ ჯერ კიდევ არ მინდოდა ამ გრძნობისთვის სახელი მეწოდებინა, არ მინდოდა იმისი აღიარება, რომ ეს გრძნობა ჩემთან ერთად იშვა და წინასწარვე იყო განსაზღვრული. იმ ღამეს ჩაისახა ჯოჯოხეთიც ჩემს სულში...“

IV

— ელენა, — უთხრა აბელმა, — ხოაკინზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევს!

— რატომ, რა მოხდა?

— როცა შევატყობინებ, დაქორიწინებას ვაპირებ-მეთქი, ვინ იცის, რას ჩაიდენს. თუმცა ცოტა დაწყნარდა და ჩვენს ამბავსაც თითქოს შეეგუა. მაგრამ...

— კარგია, რომ შეეგუა!

— მაგრამ სიმართლე რომ ვაღიაროთ, მაინც ხომ ვტყუივართ მასთან?

— რაო? შენც ამას ამბობ? იქნებ გინდათ ქალები პირუტყვად გვაქციოთ,

როცა გინდათ, მოგვიყვანოთ, როცა გინდათ, გაგვაგლოთ, გაგვაჭირავოთ და გაგვიდოთ კიდევ?

— რა სათქმელია, მაგრამ...

— მაგრამ, რა?

— ჩვენ ხომ ხოაკინმა გაგვაცნო ერთმანეთი, რათა შენს ქორწინებ და-
მეხატა, ახლა კი ისე გამოვიდა, რომ მე ვისარგებლე...

— ძალიან კარგადაც გამოვიდა! განა რამეს დავპირდი? თუნდაც ასე ყო-
ფილიყო, ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს.

— კარგი, მაგრამ...

— იქნებ ნანობ კიდევ! მომისმინე, ახლავე რომ მაშატოვო, დღესვე, რო-
ცა ყველამ გაიგო ჩვენი ამბავი და დანიშნულებად გვთვლიან, ხოაკინს მაინც
არ გავყვები ცოლად, არაფრის გულიათვის არ გავყვები! ასე არასოდეს მძუ-
ლებია! თაყვანისმცემლებს რა გამომიღევს, ორივე ხელის თითები არ მეყოფა,
რომ დავითვალო, იმდენია. — და მან თავისი დიდრონი მკლავები ზემოთ შე-
მართა, გრძელი, ლამაზი, ბუდეშურივით თითები აბელს ცხვირწინ აუთამაშა.

აბელმა მაშინვე დაუჭირა ხელები და დაუკოცნა, მერე ტუჩებშიც აკოცა.

— დამშვიდდი, აბელ!

— მართალი ხარ, ელენა, რატომ უნდა ჩავიმწაროთ ბედნიერება იმაზე
ფიქრით, რას ვანიცდის და როგორ იტანჯება საბრალო ხოაკინი...

— საბრალო! საბრალო კი არა, შურიანია და მეტი არაფერი!

— შურსაც გააჩნია, ელენა...

— არაფერი უჭირს, ცოტა იღარდოს! — ერთი წუთის დუმილის შემდეგ
კი დასძინა: — ჩვენც იმით ვანუგეშოთ, რომ ქორწილში დავპატიყოთ...

— ელენა!

— მერე რა მოხდა? ის ხომ ჩემი ბიძაშვილია, შენი კი უახლოესი, ბავშვო-
ბის მეგობარი; ერთმანეთიც მისი წყალობით გავიცანით. თუ შენ ვერ ეტყვი,
მე დავპატიყებ; არ მოვა — ძალიან კარგი, მოვა და, მიი უკეთესი...

4

აბელმა ქორწინების ამბავი რომ შეატყობინა ხოაკინს, მან თქვა:

— ასეც უნდა მომხდარიყო, სხვას არც ველოდი...

— ალბათ გამიგებ...

— რა თქმა უნდა, გაგიგებ, რა უგუნური და შურიანი მე მნახე! ყველა-
ფერი კარგად მესმის და გაბედნიერებასაც მოგილოცავთ. მე კი ალბათ ველარ
ველირსები ბედნიერებას...

— თუ ღმერთი გწამს, ხოაკინ, აღარაფერი მითხრა...

— კარგი, ასე იყოს. გააბედნიერე ელენა და დაე, მან გაგაბედნიეროს შენ.
ორივეს გაპატიეთ უკვე...

— მართალს ამბობ?

— მართალს ვამბობ, მინდა, რომ გაპატიოთ. ჩემს ცხოვრებას მე თვი-
თონ როგორმე მივხედავ.

— თუ ცუდად არ ჩამომართმევ, ქორწილში მინდა დავპატიეო ჩემი...

— და მისი სახელითაც, არა?

— ჰო, მისი სახელითაც.

— გასაგებია, მოვალ, და თუ თქვენს ბედნიერებას ამით რამეს შევმატებ... აუცილებლად მოვალ.

ქორწილის დღეს ხოაკინმა აბელს ორი მშვენიერი ღვინოს გარდაყვანი დაამბაჩა გაუგზავნა: გაუგზავნა იმიტომ, რომ იგი მხატვარი იყო.

— დამბაჩა იმიტომ გამოგიგზავნა, რომ თავს თუ მოგაბეზრებ მომკლა, — უთხრა ელენამ თავის მომავალ მეუღლეს.

— ეს რა სათქმელია!

— განა ხოაკინს ასე ადვილად მიუხვდები... მთელი ცხოვრება სულ რაღაცას ხლართავს.

„ქორწილის ამბავი რომ მაცნობა, — წერდა თავის „აღსარებაში“ ხოაკინი, — იმ დღეებში ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სული ყინულად მეჭტა, გულიც ყინულმა შემისუღრა; ყინული ცეცხლივით მდალავდა, სულს ველარ ვითქვამდი. ელენასადმი და, განსაკუთრებით, აბელისადმი სიძულვილმა ქვად მაქცია. ეს იყო ყინულივით ცივი სიძულვილი, რომლის ფესვები ღვარძლივით შემოეგრავნა ჩემს სულს და შებორკა. მაგრამ არა, ეს არც ღვარძლი იყო, რაღაც ცივი, დიდი აისბერგის მსგავსი რამ ამოიზარდა ჩემს გულ-გვამში, უფრო სწორად, ჩემი სული შეეყინა ამ აისბერგს, იმდენად სუფთა და გამჭვირვალე აისბერგს, რომ მის მიღმა ყველაფერს ვხედავდი. მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ ჩემს წინაშე დანაშაული მართლაც არ მიუძლოდათ, ყოველ შემთხვევაში, იმ მნიშვნელობით, როგორც ყველა ადამიანს ესმის თავისი სიმართლე თუ დანაშაული; კარგად მესმოდა, რომ ელენასთან სადავო არაფერი მქონდა, ან რა ძალით უნდა შემეყვარებინა მისთვის თავი; თუკი ერთმანეთი უყვარდათ, კიდევ უნდა შეუღლებულიყვნენ, მაგრამ თან ვგრძნობდი, რომ მე თვითონ ვუბიძგე მათ ერთმანეთისკენ, ვუბიძგე არა მარტო იმით, რომ ერთმანეთს გავაცანი, სიყვარულისკენაც მე ვუბიძგე; სწორედ ჩემდამი სიძულვილმა ჩააგდო ისინი ერთმანეთის მკლავებში, ელენას გადაწყვეტილებას ბევრად შეუწყო ხელი სურვილმა, რომ მე გავეშმაგებინე, დავეტანჯე და ჩემს სულში შური აღედრა, გავეთანაბრებინე აბელთან, მის ეგოიზმთან, რაც ყოველთვის ელობებოდა წინ, სხვისი ტანჯვა გაეგო და თანაგრძნობა აღძვროდა სხვისადმი; ასევე სრულიად უნებურად არ აძლევდა თავს ანგარიშს და ვერც ამჩნევდა, რომ სხვა ადამიანებიც არსებობდნენ, ჩვენ, ყველას, მხოლოდ თავისი სურათების მოდელებად გვთვლიდა და მარტო ამდენად ვარსებობდით მისთვის. სიძულვილის უნარიც კი არ გააჩნდა, ისე იყო თავისი არსებით სავსე.

ჯვრისწერის დღეს სიძულვილი ერთიანად მომედო და მწვაავდა, გული ყინულის ნატეხად გადამექცა და მომაკვდინებელმა შიშმა შემიპყრო იმის მოლოდინში, როცა მათს „ჰოს“ გავიგებდი; ვაითუ ეს ყინული მთლად დაიმსხვრეს, გული გამეპოს და უსულოდ დავეცე მიწაზე ანდა სულაც ჭკუაზე შევცდე-მეთქი. ქორწილზე სიკვდილმისჯილივით მივდიოდა, მაგრამ რაც მე იქ დამემართა, სიკვდილზე უარესი იყო; არა, ნამდვილად სჯობდა მოვმკვდარიყავი, სიკვდილი გაცილებით უკეთესი იქნებოდა!

ელენას სილაშაზემ თვალი მომჭრა. როცა მომესალმა, მეგონა, გულ-გვამში ყინულივით ცივი ხანჯალი დამიტრიალეს-მეთქი, არა, ყინულზე უფრო ცივი, რადგან თვით გული ყინულზე უფრო გაყინული მქონდა. ეს ხანჯალი მისი ღიმილი იყო, ზიზღნარევი თანაგრძნობის ღიმილი, „მადლობელი ვარ“, — მითხრა

მან და ეს სიტყვები ისე მომესმა, თითქოს ეთქვას „საბრალო ხოაკინ!“ რაც შე-
ეხება აბელს, არც ეცი, შემამჩნია თუ არა. „დიდად ვაფასებ ამ მსხვერპლს“. —
განაგრძობდა ელენა, რადგან უნდოდა კიდევ რაიმე ეთქვა. „მსხვერპლი რა
სათქმელია, — მივუგე მე. — რაკი დავპირდი მოვალ-მეთქი, კიდევ უნდა მოვ-
სულიყავი; აკი საღად მოაზროვნე კაცად მიცნობენ, ანდა უმართლესოდ უნდა
მეთქვა მეგობრისთვის, ძმისთვის!“ ეტყობა, ჩემი ეს ახალი და ვარ, რომ არცთუ
შესაშური პოზიცია, სასაცილოდაც არ ეჩვენა. ახლა მე ნამდვილად ქვის სტუ-
მარს ვგავდი.

ახლოვდებოდა საბედისწერო წუთი და მეც წამებს ვითვლიდი. „ცოტაც
და ყველაფერი დამთავრდება!“ მეჩვენებოდა, გული საცაა გამეპარება-მეთქი,
გარკვევით გავიგონე მკაფიოდ ნათქვამი „პო“, ერთისაც და მეორისაც. „პოს“
რომ ამბობდა, ელენამ მე შემომხედა, ვიგრძენი, როგორ მომიჭირა ყინულმა
მარწუხები, მაგრამ არ შევმკრთალვარ, კრინტი არ დამიძრავს, ვითომ მე სუ-
ლაც არაფერი მეხებოდა. ამან მთელი ჩემი არსება ჯოჯოხეთური შიშით აავსო.
თავი შემზარავ ურჩხულად წარმოვიდგინე, თითქოს აღარც ვარსებობდი და სა-
ბოლოოდ ვიქეცი ყინულის ნამტვრევად. მაშინ ტანზე მოვისვი ხელი, და კა-
დეც ვიჩქმიტე, მაჯაც გავისინჯე. „მაინც ცოცხალი ვარ!“ „მე, მე ვარ!“ — ვარ-
წმუნებდი თავს.

არ მინდა ყველაფერი გავიხსენო, რაც იმ დღეს მოხდა. ისინი დამემშვი-
დობნენ და საქორწინო მოგზაურობაში წავიდნენ თაფლობის თვის გასატარებ-
ლად. მე წიგნებში ჩავეფალი, ცდებმა გამიტაცა, თან იმ დროისთვის საკმაო
პაციენტებიც გამომიჩნდა, ჩემმა გონებამ და გამჭრიახობამ გამოუსწორებელი
ღარტყმა მომაყენა — მიმახვედრა, თურმე სულაც არა მჭონია სული, და მიბიძ-
გა, მეცნიერულ კვლევებში მეძებნა ნუგეში, არა, ნუგეში კი არა, ნუგეში არც
მჭირდებოდა, უბრალოდ, ჩემს უზომო პატივმოყვარულ ჩანაფიქრთა განხორ-
ციელების გზაზე დამაყენა. გადავწყვიტე, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა სახე-
ლი და დიდება მომეპოვებინა და აბელი დამეჩრდილა; მეცნიერული აღმოჩე-
ნებით, მედიცინის ხელოვნების ნამდვილი შედეგებით, პოეტური შთაგონე-
ბის ნამდვილი ნაყოფით აბელის ტილოები გამეხუნებინა. იქნებ ერთ დღეს
ელენაც მიხვდეს, რომ მხატვარს კი არა, სწორედ მე, ექიმს, თუნდაც უსანდო-
მო კაცს, შემეძლო ჭეშმარიტი დიდების შარავანდედი დამედგა მისთვის. ისე
ჩავეფალი მეცნიერებაში, რომ ზოგჯერ მეჩვენებოდა, ისინი სულაც დამავიწყ-
დნენ-მეთქი. მოვიხდომე მეცნიერებისგან შემექნა გამაბრუებელი და ძალის
მომცემი საშუალებაც!“

VI

მცირე ხანს არ გაუვლია, რაც ისინი საქორწინო მოგზაურობიდან დაბრუნ-
დნენ, რომ აბელი რაღაც გამოუცნობმა, მძიმე სენმა შეიპყრო; მაშინ დაუძა-
ხეს ხოაკინს, რომ გაესინჯა და ემკურნალა მისთვის.

— ძალიან მეშინია, ხოაკინ, — უთხრა ელენამ, — მთელი ღამე ბოდავდა
და სულ შენ გიხმობდა.

ხოაკინმა დიდის გულისყურით გასინჯა მეგობარი, მერე თვალებში შეხედა
ბიძაშვილს და უთხრა:

— ძალზე მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ იმედი მაქვს, გადავარჩენ. აი, სა-
კუთარი თავის გადარჩენის იმედი კი აღარა მაქვს...

— გადაარჩინე! — შესძახა ელენამ, — იცი...

— ყველაფერი ვიცი! — უბასუხა ხოაკინმა და წავიდა.

ელენა ქმრის საწოლთან მივიდა და სიცხისაგან გახურებულ მუბლზე ხელი დაადო, თავადაც თითქოს ციებ-ცხელებას შეეპყრო. *გიგუნი* ხოაკინ! — ბოდავდა აბელი, — გვაპატიე, მაპატიე! — *გიგუნი*

— დამშვიდდი, — ყურში ჩასჩურჩულა ელენამ, — დამშვიდდი, ხოაკინი შენს სანახავად მოვიდა და დამაიმედა, მოვარჩენო. ისიც თქვა, წყნარად იყოსო. — მოვარჩენო?.. — უნებურად იკითხა ავადმყოფმა.

ხოაკინი შინ დაბრუნდა, თითქოს მასაც ციებ-ცხელება შეპყროდა, მაგრამ ეს იყო რაღაცნაირი ყინულოვანი ციებ-ცხელება. „რა იქნება, რომ მოკვდეს?“ — ფიქრობდა იგი. საწოლზე გაუხდელად დაეცა და მის წარმოდგენაში გაიელვა სურათებმა, რა ამბავი დატრიალდებოდა აბელის სიკვდილის მერე: მგლოვიარე ელენა, ქვრივ ქალთან შეხვედრა, ელენას სინდისის ქენჯნა და ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელი აღმოჩენა იმისა, თუ რა გვიან მიხვდა, ვინ ყოფილა ხოაკინი, რა მოურჩენელ სასოწარკვეთილებას შეუპყრია, როგორ სჭირდება დაკარგული ბედნიერების დაბრუნება, როგორ სჭირდება თურმე ელენა; და მერე, როგორ ჩაუვარდება ელენა მკლავებში და აღიარებს, აბელის ცოლობა მხოლოდ შემთხვევითი ლალატი იყო. წუთიერი გატაცება, პრანჭია ქალის წამიერი ახირება; რომ სინამდვილეში მას ყოველთვის უყვარდა ხოაკინი, მხოლოდ იგი და სხვა არავინ. „მაგრამ ის არ მოკვდება! — თქვა ხოაკინმა, — ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ არ მოკვდეს, რადგან სასწოროზე ძევს ჩემი პატიოსნება და ესეც არ იყოს... ჩემთვის აუცილებელია, მან იცოცხლოს!...“

ამ სიტყვებით „ჩემთვის აუცილებელია, მან იცოცხლოს!“ — ხოაკინის სული ისე ათრთოლდა, როგორც მუხის ფოთოლი ქარიშხალში.

„საშინელი დღეები დამიდგა: — წერდა თავის „აღსარებაში“ ხოაკინი. — აბელის ავადმყოფობის დღეები აღსავსე იყო გამოუთქმელი ტანჯვით. მისი სიცოცხლე ჩემს ხელში იყო; შემეძლო მიმეშვა და მოკვდებოდა, შემეძლო დამეჩქარებინა კიდევ მისი სიკვდილი, თანაც ვერც ერთი სულიერი ჩემზე ეჭვსაც ვერ აიღებდა, არც მე დავტოვებდი რაიმე კვალს, ბრალი რომ დავდოთ. სამედიცინო პრაქტიკაში მეტად უცნაური, საეჭვო სიკვდილის უამრავი მაგალითი მოიპოვებოდა, რასაც შემდეგ ტრაგიკულ შუქს ჰფენდა მომდევნო მოვლენები — მაგალითად, ქვრივის ნაჩქარევი ქორწინება და სხვა მსგავსი ფაქტები. დავიწყე ბრძოლა, ასე არასოდეს შევბმივარ საკუთარ თავს — ამ შხამიან გველეშაპს, ასე რომ მიწაპლავდა და მიბნელებდა წუთისოფელს. აქ საქმე ეხებოდა ჩემს პატიოსნებას, ეჭიმის პატიოსნებას, ჩემს გონებრივ სიჯანსაღეს, ჩემს ტვინს. ვხვდებოდი, როგორ მკაწრავდა შემპარავი სიგიჟის ბრჭყალები; ლამის ვგრძნობდი კიდევ, როგორ მესობოდა მისი ნესტარი გულში. მაგრამ გავიმარჯვე, აბელი სიკვდილს გამოვვლიჯე! ასეთი ბედნიერი და სულიერად დამშვიდებული ჩემს სიცოცხლეში არა ვყოფილვარ. ჩემი უბედურება ჩემსავე სასიკეთოდ შემომიბრუნდა. ამ გამარჯვებამ უბედნიერეს კაცად მაქცია“.

— მას... შენს ქმარს უკვე აღარავითარი საშიშროება აღარ ელის. — გამოუცხადა ერთ მშვენიერ დღეს ხოაკინმა ელენას.

— მადლობელი ვარ, ხოაკინ, დიდი მადლობელი, — და მან ხელი ხელში წაავლო, ხოაკინი გაუუჩდა, — შენ არ იცი, რა სიკეთე ჰქენი...

— არც თქვენ იცით, თავად რა სიკეთე გამოიჩინეთ...

- ღვთის გულისათვის, ამას ნუ ამბობ, ხოაკინ... ახლა, როცა ასეთი მადლი მოისხი, წარსულს ნულარ მივუბრუნდებით...
- არც ვცდილობ. უბრალოდ, მართლა დიდი სიკეთე გამოიჩინეთ ჩემს მიმართ, აბელის ავადმყოფობამ ბევრ რამეზე ამიხილა თვალი... *ეჩქონეწული*
- აჰა, ეს ავადმყოფობა განსაკუთრებულ შემთხვევად მოგაჩვენა!
- სულაც არა, ელენა, — ისეთად, რაც მხოლოდ მე შემემთხვა!
- არაფერი მესმის.
- თავადაც არ მესმის. მარტო იმის თქმა მინდოდა, ამ დღეებში შენი ჭმრის გადასარჩენად რომ ვიბრძოდი.
- სჯობია აახელით ახსენო!
- კარგი, ასე იყოს. მაშასადამე, მის ავადმყოფობას რომ ვებრძოდი, ამავე დროს ჩემსასაც ვსწავლობდი და თქვენი ბედნიერების შემხედვარემ, გადავწყვიტე... ცოლი შევირთო!
- აჰა! საცოლე გყავს?
- არა, ჯერ არა მყავს, მაგრამ მოვძებნი. საკუთარი კერა მჭირდება და ამიტომ ცოლი უნდა შევირთო, ვაითუ გგონია, ვერ შევხვდები ქალს, ვინც მე შემიყვარება!
- რატომაც ვერ შეხვდები, რა თქმა უნდა. შეხვდები!
- მე ვგულისხმობ ქალს, ვინც მე შემიყვარება.
- გასაგებია, ქალს, ვისაც ეყვარები...
- კაცმა რომ თქვას, როგორც საქმრო...
- ჰო, რასაკვირველია, ბრწყინვალე საქმროდ ითვლები... ახალგაზრდა ხარ, საკმაოდ შეძლებული, კარგი მომავალი გაქვს, მალე სახელსაც მოიხვეჭ, კეთილიც ხარ...
- კეთილი, მაგრამ უსანდომო, არა, ელენა?
- არა, ხოაკინ, არა, უსანდომო სულაც არა ხარ.
- აჰ, ელენა, განა შეხვდები იმისთანა ქალს...
- ვინც შეგიყვარებდა?
- არა, თუნდაც ისეთს, ვინც არ მომატყუებდა, ყოველთვის სიმართლეს მეტყობდა, არ დამცინებდა, ელენა, არ დამცინებდა! ვინც მე ცოლად გამომყვებოდა სასოწარკვეთილების გამო, ვისაც ეცოდინებოდა, რომ ჩემს იქით გზა არა აქვს და ამას თავადვე აღიარებდა...
- შენ მართლა ავადა ხარ, ხოაკინ, შეირთე ცოლი!
- ნამდვილად კი გჯერა, ელენა, რომ მოიძებნება ადამიანი, რომელიც მე შემიყვარებდა?
- შეუძლებელი არაფერია, მით უმეტეს, თუ ძალიან მოინდომებ, ყოველთვის მოძებნი ადამიანს, რომელსაც შეუყვარდები!
- მერე, მე კი მეყვარება ჩემი ცოლი? შევძლებ კი მის შეყვარებას? მითხარი...
- უცნაურია, რატომაც არა...
- იცი რა, ელენა, როცა შენ არ უყვარხარ ან არ შეგიძლია სიყვარულის მოპოვება, ეს ყველაზე დიდი საწინელება არ არის, ამაზე საწინელი ისაა, როცა სიყვარულის უნარი არ გაგაჩნია.
- ამასვე ამბობს დონ მატეოც, ჩვენი მრევლის მღვდელი, მარტო სატანას არ შეუძლია სიყვარულიო...

- სატანა კი სულ ამ ჩვენს დედამაწაზე დაეხეტება. ეღუენა!
- გაჩუმდი, ასე ნუ ლაპარაკობ.
- უფრო უარესი არ არის განა, რომ ამას დღენიადაე თავს ვუჭიჩინებ?
- ნულარაფერს იტყვი!

გიგელი

VII

ხოაკინმა გადაწყვიტა საცოლვე მოეყებნა და ამ მტანჯველი ვნებისგან თავი როგორმე დაეხსნა. იქნებ ცოლის ნაზ აღერსს გადაერჩინა როგორმე მის სულში აბობოქრებული სიძულვილისგან, შეშინებული ბავშვივით რომ ჩაერგო თავი მის მკერდში და არ დაენახა იმ ჯოჯოხეთური ურჩხულის შემზარავი თვალები.

და აი, საბრალო ანტონიაც დროზე გამოჩნდა!

ანტონია სწორედ რომ დედობისთვის იყო დაბადებული — სითბოსი და თანაგრძნობის ნამდვილი განსახიერება; გულთმისანივით, საოცარი გუმანით ამოიცნო, რა ჯოჯოხეთიც ტრიალებდა ხოაკინის სულში, მიხვდა, რა სულიერი ხეიბარი იყო, წერას ატანილი და, აი, ამ მწარე ხვედრის გამო შეუყვარდა იგი ანგარიშმიუცემლად; რაღაც უცნაურად იზიდავდა ამ ეჭიმის ცივი, უკმეზი სიტყვები, კაცისა, ვისაც ადამიანური სიკეთისა არაფერი სწამდა.

ანტონია ერთადერთა შვილი იყო ქვრივისა, რომელსაც ხოაკინი მკურნალობდა.

— გგონიათ, მომჯიბინდება? — ეკათხებოდა ხოლმე იგი ხოაკინს.

— ძნელია ამისი თქმა, ძალიან ძნელი, საბრალო მეტისმეტად დაუძლურებულია, დასუსტებული, ეტყობა, ბევრი გადაუტანია... გულიც ძალზე სუსტი აქვს...

— უშველეთ რამე, დონ ხოაკინ, უშველეთ, ღვთის გულისათვის! რომ შეიძლებოდეს, საკუთარ სიცოცხლეს არ დავიშურებდი!

— ვაი, რომ შეუძლებელია! ესეც არ იყოს, ვინ იცის, იქნებ თქვენი სიცოცხლე სხვას უფრო მეტად სჭირდება, ანტონია...

— ჩემი სიცოცხლე? ვის სჭირდება? რისთვის?

— ვინ იცის...

საბრალო ავადმყოფი მალე მიიცივალა.

— მოსახდენი მოხდა, ანტონია, — უთხრა ხოაკინმა, — მეცნიერება ვერაფერს უშველიდა!

— ჰო, ალბათ ასე ინება უფალმა!

— უფალმა?

— ააჰ, — ანტონიამ ცრემლით სავსე თვალებით შეხედა ხოაკინს მშრალსა და მკაცრ თვალებში, — ნუთუ ღმერთი არა გწამთ?

— მე? — რა ვიცი!

უეცრად ისეთი თანაგრძნობით განიმსჭვალა ეს ღვთისმოსავი ქალი ეჭიმის მიმართ, რომ წამით დედის სიკვდილიც გადაავიწყდა.

— რა მეშველებოდა ახლა, ღმერთი რომ არ მწამდეს?

— სიცოცხლე ყოვლისშემძლეა, ანტონია.

— მე რომ მკითხვით, სიკვდილია უფრო ძლიერი! აი ახლა... სულ მარტო... გულშემატკვარევიც რომ არა მყავს...

— კარგად მესმის შენი, ანტონია, მარტოობა ძალიან ძნელია, მაგრამ შენ

დედაშენის წმინდა მოგონება მაინც დაგრჩა; შეგიძლია ღმერთს შეავედრო... მაგრამ ხომ არსებობს სხვანაირი მარტოობა, გაცილებით უფრო საშინელი მარტოობა!

— მაინც როგორი?

— ისეთი მარტოობა, როცა კაცი ყველასა სძულს, როდესაც მას ყველა დასცინის... მარტოობა კაცისა, ვისაც არასოდეს არავინ ეუბნება მარტალ სიტყვას...

— მერედა, როგორი მარტალი სიტყვის გაგონებას ისურვებდით?

— აი, შენ. მაგალითად, შეგიძლია სიმართლე მითხრა, აქვე დედაშენის ჯერ კიდევ თბილი ცხედრის გვერდით დაიფიცო, რომ სიმართლეს მეტყვი?

— რასაკვირველია, გეტყვით.

— ძალიან კარგი, მაშ მითხარი, განა მე უსანდომო კაცი არა ვარ?

— არა, არა ხართ!

— ვარ, ანტონია!

— არა, ეს ტყუილია!

— მაშ როგორი ვარ?

— როგორი? უბედური კაცი ხართ, ტანჯული...

ხოაკინის გულში ყინული გალღვა, თვალზე ცრემლი მოადგა, სულიც თითქოს შექანდა, ათრთოლდა.

სულ მალე ხოაკინმა და ობოლმა ანტონიამ გადაწყვიტეს თავიანთი ურთიერთობა დაეკანონებინათ და როგორც კი გლოვის ვადა გავიდოდა, ჯვარი დაეწერათ.

„საბრალო ჩემი ცოლი, — წერდა მრავალი წლის შემდეგ ხოაკინი თავის „აღსარებაში“, — იძულებული იყო არათუ ვყვარებოდი, და ჩემს განკურნებაზე ეზრუნა, არამედ, კიდევ შებრძოლებოდა ზიზღს, რასაც, ეჭვგარეშეა, ვუნერგავდი. მაგრამ არასოდეს არც შემოუჩივლია და არც უგრძობებია ეს ჩემთვის. განა შეიძლებოდა მე მასში არ აღმეძრა ზიზღი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩემი სულის კეთრი, ჩემი სიძულვილის იარა დავანახვე! დარწმუნებული ვარ, ისე გამომყვა ცოლად, როგორც მიჰყვებიან ხოლმე კეთროვანს, მხოლოდ ღვთით მომადლებული სიკეთის, ქრისტიანული მსხვერპლშეწირვის თუ თვითგვემის კარნახით; გამომყვა, რათა ჩემი სული გადაერჩინა და ამით, წმინდანობის გმირული გზით — საკუთარიც. და წმინდანიც იყო ჭეშმარიტად! თუმცა კი მაინც ვერ განმკურნა, ვერც ელენასაგან და ვერც აბელისაგან ვერ განმკურნა. პირიქით, უარესი დამმართა, მისი საწმინდე სინდისის ქენჯნის ახალ საბაბად და ახალ, სამუდამო საყვედურად მექცა.

მისი თვინიერება მაშმაგებდა, ზოგჯერ, ღმერთო, მაპატიე, კიდევ მერჩინა, გაბოროტებული და განრისხებული დამენახა, ის კი არა, სიძულვილით აღსავსეც კი!“

VIII

ამასობაში აბელის სახელი მთელმა ქვეყანამ გაიგო, ესპანეთის ერთ-ერთ საუკეთესო მხატვრად აღიარეს და მისი დიდება საზღვრებსაც კი გასცდა. ამ ქება-დიდებას ხოაკინის სული მწვავე ტკივილით ეხმაურებოდა. „როგორ არა, აბელი მეტად გონიერი მხატვარია, ბრწყინვალედ ფლობს ტექნიკას, ძალზე გა-

ნათლებულია, თავისი საქმის ოსტატი“, — ჩაისისინებდა ხოლმე იგი და ისე შეაქებდა, ლამის ლანძღვას უდრიდა.

ხოაკინს მიაჩნდა, რომ თავადაც ხელოვანი იყო, მედიცინაში ნამდვილი პოეტი, გენიალური კლინიცისტი, შემოქმედი, იშვიათი მახერხებლობის კაცი, და ამიტომ, ფიქრობდა, პაციენტებს შევეშვები და მხოლოდ წმინდა მეცნიერებას — თეორიულ პათოლოგიასა და კვლევა-ძიებას შევალევ ჩემს სიცოცხლესო, მაგრამ აკი პაციენტები აძლევდნენ შემოსავალს!

„და მაინც, მეცნიერული კვლევის გზაზე მართლა შემოსავალზე ფიქრს როდი მელობებოდა, — ნათქვამია „აღსარებაში“, — მეცნიერებისკენ ჩემი ლტოლვა მხოლოდ დიდებისა და პატივის მოხვეჭის, დიდ მეცნიერად ჩემი აღიარების სურვილი იყო, ოღონდ კი ამ გზით დამეჩრდილა აბელის მხატვრობა; სინამდვილეში მართო შურისგების გრძობა მამოძრავებდა; შური მინდოდა მეძია მათზე, ორივეზე, დამესაჯა ელენა და სხვებიც; ასე შეიკრა ჩემი შმაგი ოცნებების კვანძი, მაგრამ მეორეს მხრით, ეს უწმინდური ვნება, ბოროტებისა და სიძულვილის მოზღვავება სულის სიმშვიდეს მირღვევდა. არა, ჩემი სულ მზად არ იყო მეცნიერული შრომისთვის, რადგან ასეთი შრომა სწორედ რომ სულის სიმშვიდესა და სიწმინდეს მოითხოვს. ასე იყო თუ ისე, პაციენტებზე გულს მაინც ვაყოლებდი.

როგორ არა, პაციენტებზე გულს ვაყოლებდი მაგრამ ზოგჯერ შიში ამიტანდა ხოლმე, ისე მაფორიაქებდა და ისე მიფანტავდა გულისყურს ეს ჩემი ვნება, რომ მეშინოდა, ამ საცოდავებს არა ვაენო რა-მეთქი.

ერთხელაც ისეთი რამ შემემთხვა, რომ ერთბაშად მთელი სული გადაშიტრიალა. ერთ ქალბატონს ვნკურნალობდი, საკმაოდ მძიმე ავადმყოფი კი იყო, მაგრამ სასიკვდილო ნამდვილად არაფერი სჭირდა. თანაც ამ ამბავს ისიც დაემატა, რომ თურმე აბელს ამ ქალის პორტრეტი დაეხატა, დიდებული პორტრეტი იყო. მის პორტრეტებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო; როგორც კი ამ ქალის სახლში ფეხი შევდვი, პირველად აწორედ ეს პორტრეტი მომხვდა თვალში; სურათზე გაცილებით ცოცხალი გეჩვენებოდათ, ვიდრე სინამდვილეში იყო, მით უმეტეს, მწოლიარე, ავადმყოფობისგან გატანჯული. პორტრეტი თითქოს მეუბნებოდა: „შემომხედე, მან ეს საუკუნო სიცოცხლე მომანიჭა, აბა ახლა ვნახოთ, შენ რაღას იზამ, შესძლებ თუ არა ჩემი ორეულის სიცოცხლე გაახანგრძლივო?“ და როცა ავადმყოფის გვერდით ვიჯექი, ვსინჯავდი, მაჯისცემას ვუთვლიდი თუ ვუსმენდი, მხოლოდ ის, მეორე, სურათზე გამოსახული ქალი მედგა თვალწინ. სულ ერთიანად დავყრუვდი და დავბრმავდი; ავადმყოფი მალე მიიცვალა; მე მას სიკვდილის საწუალება მივეცი, ამის მიზეზი ჩემი სიბრმავე იყო, ჩემი დანაშაულებრივი უგულისყურობა. შიშმა აპიტანა, საკუთარი თავი შემზიზღდა ასეთი უსუსურობისთვის.

ამ ქალის სიკვდილის შემდეგ რამდენიმე დღეს არ გაუვლია და კვლავ იმავე სახლში მიმიწვიეს უკვე სხვა ავადმყოფის სანახავად. იქ რომ მივდიოდო, წინასწარ გადავწყვიტე, პორტრეტს სულაც არ შევხედავ-მეთქი. მაგრამ ამოოდ, პორტრეტი თვითონ მიყურებდა და თვალს მტაცებდა. წასვლა რომ დავაპირე, სახლის პატრონმა კარამდე მიმაცილა, დამშვიდობებისას პორტრეტთან შევყოვნდი და რაღაც დაუოკებელმა ძალამ წამომამახებინა:

- დიდებული პორტრეტი! აბელის ნახატებში ალბათ საუკეთესო!
- დიახ. — მიპასუხა ქერივმა. — ეს პორტრეტიღა დამორჩა სანუგეშოდ.

საათობით ვზივარ ხოლმე და შეეცქერი; ზოგჯერ მეჩვენება, ეს-ესაა დამელა-პარაკება-მეთქი.

— დიახ, დიახ, — დავუმატე მე, — აბელი მართლაც საოცარი მხატვარია! სახლიდან რომ გამოვედი, ჩემს თავს ვუსხარი: „მე მოეკალი ეს ქალი, აბელმა კი მკვდრეთით აღადგინა!“

ხოაკინი ყოველთვის მძიმედ განიცდიდა თავისი ავადმყოფების სიკვდილს, განსაკუთრებით კი ბავშვებისას, მაგრამ სხვისი ავადმყოფების სიკვდილი დიდად არ ტკენდა გულს; „მაინც რატომ უნდა ეცოცხლა... — იტყოდა ხოლმე ასეთ შემთხვევაში, — მისთვის სიკვდილი ნამდვილად ღვთის წყალობა იყო...“

საკუთარმა სულიერმა მდგომარეობამ ისე დაძაბა და გაამახვილა მისი ფსიქოლოგიური დაკვირვების ნიჭი, რომ ერთი შეხედვითაც კი შეეძლო გამოეცნო თუნდაც ყველაზე უფრო ძნელად გამოსაცნობი ზნეობრივი სენა, გარეგნული წესიერების ნიღაბს მიღმა ადვილად ხვდებოდა, როცა ქმრები მაინცდამაინც თავს არ იკლავდნენ ცოლების დაკარგვისთვის, ცოლებსაც ერთი სული ჰქონდათ, სანამ ქმრებისგან განთავისუფლდებოდნენ, ოღონდ კი სასწრაფოდ ჩაეგდოთ ხელში უკვე წინასწარვე შეთვალთვალებული გულის რჩეული. როცა გაიგო, მისი პაციენტის აღვარების ქვრავი ერთი წლის შემდეგ გარდაცვლილის უახლოეს მეგობარს ცოლად გაჰყვაო, ხოაკინმა თავისთვის თქვა: „რალაც მეტისმეტად უცნაურად კი მეჩვენა მისი სიკვდილი... ახლა ნათელია... ამქვეყნად ადამიანზე უფრო საზიზღარი ცხოველი არ მოიპოვება! მაგალითისთვის ეს სათნო ქალბატონიც კმარა, მერედა, რა საპატივცემულო ქალია!...“

— ექიმო, — მიმართა მას ერთხელ ავადმყოფმა, — ღვთის გულისათვის, მომკალით, მეტის გაძლება აღარ შემიძლია... დამალევინეთ რამე ისეთი, რომ სამუდამოდ დამაძინოს...

„კაცმა რომ თქვას, რატომ არ შეიძლება მართლაც შევუსრულო თხოვნა ამ უბედურს, — ფიქრობდა ხოაკინი, — ასეთი ტანჯვით სიცოცხლეს რა ფასი აქვს? მეცოდება! მაინც რა უსამართლოდაა მოწყობილი ეს ქვეყანა!“

რამდენჯერ ყოფილა, რომ ავადმყოფის ბედში საკუთარი უცვნია.

ერთხელ მასთან მეზობელი მივიდა, ერთი საწყალი ქალი, დროისა და ჯანსაღი გატეხილი; თურმე ქმარს მიეტოვებინა, ოცდახუთი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ ვილაც ქარაფშუტას გადაჰყროდა. მიტოვებული ცოლი კი მასთან მივიდა თავის დარდის გასაზიარებლად.

— ვაი ჩემს დღეს, დონ ხოაკინ! — აწუწუნდა იგი, — თქვენზე ამბობენ, ყველაფრის მცოდნეაო, იქნებ რამე ისეთი წამალიც იცოდეთ, ჩემი საცოდავი ქმარი გადავარჩინო, იმ თვალთმაჭვმა ნამდვილად რალაც ჯადო გაუქეთა.

— რა ჯადოზე მელაპარაკები, თუ ღმერთი გწამს?

— აბა, მაშ რა უნდა, იყოს, წარმოიდგინეთ, მთელი ოცდახუთი წელიწადი ერთად გავატარეთ და რალა ახლა მოუნდა სხვასთან გაქცევა, ჯადოა, მაშ რა!

— მე რომ მკითხო, ამაზე უარესი ის იქნებოდა, დაქორწინებისთანავე რომ მიეტოვებინე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და თანაც...

— აჰ, არა ბატონო ექიმო, არა! იმან უეჭველად რალაც საწამლაფი დააღუფინა და გადარია, თორემ ამას არ იზამდა... ეს არ მოხდებოდა...

— ჯადო... ჯადო... — წაიბუტბუტა ხოაკინმა.

— სწორედ ჯადო, დონ ხოაკინ, ნამდვილად რაღაც დააღვინა... ამდენი რამ იცით, ექიმო და იქნებ ისიც იცოდეთ, როგორ ვიხსნა...

— ეეჰ, ჩემო კარგო, მთელი თავისი მოსწრება ჩვენს წინაპრებზე სულ რაღაც მაცოცხლებელ წყალს ეძებდნენ, ახალგაზრდობა რომ დაეგრძობინათ...

და როცა დარდისაგან განადგურებული ქალი წავედებოდა, თქვა: „ნუთუ ამ ბეჩავს სარკეში მაინც არ ჩაუხედავს? მაშინ მაინც დაინახავდა, რას დაამგვანა განვლილმა წლებმა და მძიმე ჯაფამ! მდაბიო ხალხი ყველაფერს ჯადოსა და შურს აბრალებს... სამუშაოს ვერ მოძებნიან — შურია მიზეზი... უბედურება რამ შეემთხვევათ, ისევ შური! ხელი მოეცარებათ რამეში და შური, თავად კი არიან შურიანები! ანდა განა ჩვენ, ყველანი, შურიანები არა ვართ? რაღა შორს მივდივარ, მე თვითონაც ჯადოთი შეკრული არა ვარ?“

კიდევ მრავალი დღე ფიქრობდა იგი ამ ჯადოზე და ბოლოს დაასკვნა:

„ეს არის კიდევ პირველყოფა!“

IX

ხოაკინმა ანტონია იმ იმედით შეირთო, მყუდრო სავანეს მაინც ვპოვებო და საბრალო ქალმაც უმაღლ დაინახა თავისი ადგილიცა და დანიშნულებაც ქმრის გულში; რა უნდა ექნა, რაკი ასეთი ავადმყოფი და უიმედო სულიერი ხეიბარი არგუნა ბედმა, მისი ქომაგიცა და ნუგეშიც უნდა გამხდარიყო. ასეთი ყოფილა მისი ხვედრი — ძიძობა უნდა გაეწია ქმრისთვის და უდრტვინველად შეურიგდა ამ ხვედრს. აკი თანაგრძნობამა და კეთილმოწყალე სიყვარულმა უბიძგა იმ კაცისკენ, ვინც ისურვა თავისი ცხოვრება მისი ცხოვრებისთვის და ეკავშირებინა.

ანტონია კარგად ვრძნობდა, რომ მასა და ხოაკინს შორის რაღაც უხილავი, გამჭვირვალე ყინულის კედელი აღმართულიყო. განა ასეთი კაცი შეიძლება ცოლს ეკუთვნოდეს! ეს შლეგი და წერასატანილი ადამიანი ხომ თავის-თავსაც არ ეკუთვნოდა. ცოლქმრული ურთიერთობის ყველაზე უფრო ინტიმურ წუთებშიც კი რაღაც უხილავი ჩრდილა ჩამოწვებოდა ხოლმე მათ შორის და ქალი გრძნობდა, რომ ძალით, ქურდულად სტაცებდა ქმარს კოცნას.

ხოაკინი ყოველთვის თავს არიდებდა ცოლთან ელენას ხსენებას, მაგრამ ანტონია მიუხვდა და თითქოს განგებ, როგორც კი სუფრაზე დროს მოიხელთებდა, მაინც ჩამოუგდებდა ხოლმე მასზე სიტყვას.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველ ხანებში ხდებოდა, მერე თავადაც ერიდებოდა ელენას ხსენებას.

ერთხელ ხოაკინი აბელთან სახლში მიიწვიეს, ელენას დასკირვებოდა ექიმი. გასინჯა ხოაკინმა და მიხვდა. იგი ფეხმძიმედ იყო. როცა წარმოიდგინა, საკუთარი ცოლი ჯერ ისევ უშვილო იყო, სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, თავი დამცირებულად იგრძნო და სირცხვილისაგან ფერი ეცვალა, მით უფრო, რომ სატანამაც არ დააყოვნა და იმწამშივე წასჩურჩულა: „აი, ხედავ, შენ მას მამაკაცობაშიც ვერ გაუტოლდები! კაცი, ვისაც შეუძლია თავისი ხელოვნებით მკვდრეთით აღადგინოს შენი დანაშაულებრივი სიყეყეჩით სასიკვდილოდ განწირულნი, მალე მამაც გახდება. ვაჟიშვილი ეყოლება, ამ ქვეყანას ერთ ცოც-

ხალ არსებას შეჰმატებს და იგი იქნება ხორცი ხორცთაგანი მისი, შენ კი... იქნება არც ამისი უნარი გაგაჩნია... მამაკაცობაშიც ვერ უტოლდები... დაღვრემილი და დასევდიანებული დაბრუნდა ხოაკინი თავის მყუდრო საფანეში, თავის კერაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აბელთან იყავი? — ჰკითხა ცოლმა.

— ჰო, როგორ მიხვდა?

— სახეზე გაწერია. ის სახლი ნამდვილად შენი სატანჯველია, არ უნდა წასულიყავი...

— აბა რა უნდა შექნა?

— რა და, მოგებოდითეზინა და უარი გეთქვა. ვერ გაიგე, რომ შენთვის მთავარია ჯანმრთელობა და სიმშვიდე...

— შენ უბრალოდ გეჩვენება...

— არა, ხოაკინ, რატომ მიმალავ... — ცრემლი ყელში მოებჯინა და სიტყვა არ დაასრულებინა.

საბრალო ანტონია სკამზე დაეშვა. ქვითინისაგან მთელი ტანი უცახცახებდა.

— რა დაგემართა, ანტონია, რა მოხდა?

— შენ თვითონა თქვი, რა გემართება, ხოაკინ, გამახსენი გული, მიამბე...

— მე არაფერში ბრალი არ მიმიძღვის...

— განა ასეა, ხოაკინ, ვამოტყდი, სიმართლე მითხარი!

ხოაკინი ერთხანს ყოყმანობდა. გევონებოდათ, უჩინარ მტერს, ზურგს უკან ამოფარებულ ეშმას ებრძვისო. მერე კი სასომიხდილმა ძლივს ამოღერლა, ხმა უწყდებოდა, ალაგ კიდევ წამოიყვირებდა:

— ჰო, გეტყვი, სიმართლეს, სრულ სიმართლეს გეტყვი!

— შენ ისევ გიყვარს ელენა, ისევ ისე გიყვარს!

— არა, არ მიყვარს, სულაც არ მიყვარს! უწინ მიყვარდა, ახლა კი არ მიყვარს, არა!

— მაშ რა გემართება?

— რა?

— ჰო, გეკითხები, რა არის-მეთქი შენი ტანჯვის მიზეზი? განა ვერ ვხედავ, რა დღეში გაგდებს ის სახლი, ელენას სახლი; ის ოჯახი მოსვენებას არ გაძლევს, მაშასადამე, ელენა...

— არა, ელენა არა! ყველაჯრის მიზეზი აბელია!

— აბელზე ექვიანობ განა?

— ჰო, აბელზე, მე იგი მძულს, მძულს, — გამოსცრა ხოაკინმა და მუშტები შემართა.

— აბელზე თუ ექვიანობ... გამოდის, ელენა გიყვარს...

— არა, არა, ელენა არ მიყვარს. ის რომ სხვას გაჰყოლოდა, სულაც არ ვიექვიანებდი, არა, ელენა სულაც არ მიყვარს, კიდევ მძულს, ის სამეფო ფარშავანგი, პროფესიული ლამაზმანი, მოღური მხატვრის მოდელი, აბელის ხარკა...

— თუ ღმერთი გწამს, ხოაკინ, თუ ღმერთი გწამს!..

— ჰო, ჰო, ხარკა... მერე რა მოხდა, რომ კანონიერი ცოლია, შენ გგონია, მღვდლის კურთხევა ქორწინების არსში რაიმეს სცვლის?

— ხოაკინ, დაფიქრდი, რას ამბობ, აკი ჩვენც მათსავეთ ვიქორწინეთ.

— არა, მათსავით სულაც არა, ანტონია, მათსავით არა! ისინი მარტო იმიტომ შეუღლდნენ, რომ მე დავემცივებინე, თავს ლაფი დაესხათ, სახეში შეეფურთხებინათ, თავი მოეჭრათ, მასხრად ავეგდე... ერთი სიტყვით მარტო ჩემს ჯიბრზე შეუღლდნენ.

და საბრალო ხოაკინს ქვითინი წასკდა, სული ყელში მოეჭრა და ჩაუწყდა, მოეჩვენა, აღსასრული მიახლოვდებო.

— ანტონია... ანტონია... — ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა ბოლოს.

— ჩემო საბრალო ბავშვო! — შესძახა ანტონიამ და გულში ჩაიკრა.

ქალმა ავადმყოფი ბავშვივით მკერდში ჩაიხუტა იგი და თან უნანავებდა — დაწყნარდი, ხოაკინ, დაწყნარდი, ჩემო ხოაკინ... მე იქა ვარ, შენი ცოლი, მუდამ შენი და მარტო შენი. ახლა, როცა შენი საიდუმლო გავიგე, უფრო მეტად ვიქნები შენი, ვიდრე აქამდე, უფრო ძლიერად მეყვარები... დაივიწყე ისინი... ყურადღებასაც ნუ მიაქცევ, განა ღირსნი არიან, რომ... განა უფრო უარესი არ იქნებოდა, იმისთანა ქალს შეყვარებოდი...

— მაგრამ მთავარი ხომ მაინც აბუღია და არა ის, ანტონია...

— ისიც დაივიწყე!

— მისი დაივიწყება ასე აოლად არ შემიძლია... სულ თან დამყვება... მისი დიდება, მისი სახელი მოსვენებას არ მაძლევს...

— იმუშავე და შენც მიაღწევ სახელსა და დიდებას, რითი ხარ მასზე ნაკლები! შეეშვი პაციენტებს, ისინი შენ არც კი გჭირდება, წავიდეთ რენადაში, ჩემი მშობლების სახლში დავსახლდეთ და იქ მშვიდად აკეთე შენი საყვარელი საქმე. შენი მეცნიერული აღმოჩენები ხალხს შენზედაც აალაპარაკებს... თუკი რამე შემიძლია, მეც დავგებმარები... ყოველნაირად ხელს შეგიწყობ... და არც შენ იქნები მასზე ნაკლებ ცნობილი...

— არ შემიძლია, ანტონია, არ შემიძლია, მისი წარმატებები ძილშიაც არ მასვენებს და მშვიდი მუშაობის საშუალებას როგორღა მომცემს... მისი საოცარი ტილოები თვალისა და მისი მშობლების სახლში დავსახლდეთ და იქ მშვიდად აკეთე შენი საყვარელი საქმე. შენი მეცნიერული აღმოჩენები ხალხს შენზედაც აალაპარაკებს... თუკი რამე შემიძლია, მეც დავგებმარები... ყოველნაირად ხელს შეგიწყობ... და არც შენ იქნები მასზე ნაკლებ ცნობილი...

ხოაკინს ხმა გაეზარა და დამცირებისგან რეტდასხმულმა და დანთქმულმა, ბავშვივით, საიდუმლოს რომ გაანდობს ვინმეს, თითქმის ჩურჩულით, სლუკუნით ძლივს წაილულლულა:

— მათ ბავშვი ეყოლებათ, ანტონია...

— მერე რა მოხდა, ჩვენც გვეყოლება, — ჩასჩურჩულა მან ყურში და თავისი სიტყვები კოცნით დაამოწმა. — ღვთისმშობელი არც ჩვენ მოგვაკლებს წყალობას... აკი ყოველ ცისმარე დღეს ამას ვევედრები... თან ლურდის წმინდა წყალიც...

— ნუთუ შენცა გწამს ჭადოები და წმინდა წყლები, ანტონია?

— მე ღმერთი მწამს!

„ღმერთი მწამს!“ — გაიმეორა ხოაკინმა მარტო რომ დარჩა, მარტო თავის ღმერთს, თავის „მესთან“. — რას ნიშნავს ღმერთი მწამს? სად არის ღმერთი? იქნებ მეც ვცადო და სადმე მოვძებნო?“

X

„როცა აბელს ვაჟიშვილი შეეძინა, — წერდა თავის „აღსაოცებაში“ ხოაკინი, — ვიგრძენ, სიძულველმა ერთიანად დამრია ხელი. აბელმა მთხოვა, ელენას მშობიარობისას თავზე დაედგომოდი. მაგრამ მოვიბოდიშე, ელენა კუთხარი, მშობიარე არასოდეს მყოლია, რაც სხვათაშორის, სიმართლეს შეეფერებოდა, და, ამიტომ გამიჭირდებოდა გულგრილობა გამომეჩინა, — ჩემი გაყინული გულის გულგრილობა-მეთქი, სჯობდა მეთქვა, — როცა საკუთარ ბიძაშვილს საფრთხის წინაშე დავინახავდი. და მაინც ეშმა, ჩემი მუდმივი მეგობარი, მაცდური ხმით ჩამჩიჩინებდა, წადი და ჩვილი შენი ხელით მოახრჩვეო. მაგრამ ეს შემადრწუნებელი აზრი მაშინვე ჩავახშე.“

„ესეც აბელის ახალი გამარჯვება, მხატვრისა კი არა, ამჯერად უკვე მამაკაცისა, — ბავშვი ულამაზესი იყო, სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე, პირდაპირ ხელოვნების ნიმუში, „ნამდვილი ანგელოზი“, — ყველა ასე ამბობდა და ამან უფრო მეტი ძალით მიმაჩაქვა ანტონიასთან, ვისგანაც ველოდი საკუთარ პირმშოს. მთელი არსებით ვნატრობდი, ამ ბრმა სიძულვილის მსხვერპლი, ჩემი მეუღლე ჩემი ბავშვის დედა გამხდარიყო, ვინც იქნებოდა ხორცი ხორცთაგანი ჩემი, ეშმა რომ შესჯდომოდა და ასე აწამებდა. ანტონია ჩემი ბავშვის დედა უნდა გამხდარიყო და ამდენად ყველა სხვა ბავშვის დედაზეც მაღლა უნდა მდგარიყო; აკი საბრალომ თვითონვე ამომიჩრია, ესოდენ უსანდომო, ყველასაგან მოძულეებული, განკიცხული; აკი მიიღო ის, ვინც იმ მეორემ ზიზღითა და დაცინვით უარყო. ავადაც რომ არასოდეს უხსენებია ისინი.“

აბელის შვილი, აბელანი, — მამის სახელი დაარქვეს საგანგებოდ, — მამის გვარი და დიდება რომ გაეგრძელებინა, — დიახ, აბელის შვილი, რომელიც დროთა განმავლობაში ჩემი შურისგების იარაღი უნდა გამხდარიყო, მართლაც საოცარი ბავშვი იყო; მეც სწორედ ასეთი ბავშვი მიხდოდა და კიდევ უფრო უკეთესიც“.

XI

— ახლა რაღას გვიმზადებ? — ჰკითხა ერთხელ ხოაკინმა აბელს, როცა ბავშვის სანახავად მივიდა და სახელოსნოში მამა შექოხვდა.

— მინდა ისტორიულ სიუჟეტზე დავხატო რამე, უფრო სწორად, ძველი აღთქმის სიუჟეტზე და უკვე მასალებს ვაგროვებ...

— რას? იმ ეპოქის შესაფერ მოდელებს ხომ არ ეძებ?

— არა, უბრალოდ ბიბლიას ვკითხულობ და მასზედ დართულ კომენტარებს.

— მაშ სწორად მითქვამს, ნამდვილი მეცნიერი მხატვარი ხარ-მეთქი...

— შენ კი ექიმი — მხატვარი, არა?

— არა, მეცნიერი მხატვარი კი არა, უფრო უარესი, ლიტერატორი ხარ! ფრთხილად, ერთ მშვენიერ დღეს მაგ შენი ფუნჯის მაგივრად კალამი არ შევრჩეს ხელში!

— მაღლობას მოგახსენებ გაფრთხილებისთვის.

— მერედა, ასეთი რა სიუჟეტი შეარჩიე იმ შენი სურათისთვის?

— აბელის სიკვდილისა, პირველი ძმისმკვლელის, კაინის ხელით.

ხოაკინი გაფითრდა, დაჟინებით შეაჯერდა თავის საუკეთესო მეგობარს და მერე ხმადაბლა ჰკითხა:

— ეს რაღამ გაფიქრებინა?

— სულ უბრალო რამემ, — მიუგო აბელმა და არც დასძინებია მისი აღელვება, — სახელთა დამთხვევა. მეც ხომ აბელი ვქვია... აი, შიშველი ნატურის ორი ესკიზიც...

— ჰოო, გაშიშვლებული სხეული?

— არა, გაშიშვლებული სული...

— რაო? მათი სულის დახატვაც ხომ არ მოგინდომებია?

— ცხადია! კაინის სული — შური და აბელის სული...

— რა?!

— ახლა სწორედ ამაზე ვფიქრობდი. აბელის სული ჯერ ვერ ამოვიცანი, ვფიქრობ, მომაკვდავი დაეხატა, ღვიძლი ძმის ხელით მიწაზე წაქცეული. აი, სწორედ აქა მაქვს „დაბადება“ და ლორდ ბაირონის „კაინი“. ხომ არ წაგიკითხავს?

— არა, ლორდ ბაირონის „კაინი“ არ წამიკითხავს. ბიბლიას რაღა განოსცინცლე?

— ძალიან ცოტა რამ... თავად განსაჯე, — მაგიდიდან წიგნი აიღო და წაკითხა:

„ხოლო ადამ იცნა ევამ ცოლი თვისი, და მიდგომილმან შვა კაინ. და თქუა: მოვიგეთ კაცი ღმრთისა მიერ. და შესძინა შობად ძმაჲ მისი აბელ. და იქმნა იგი მწყემს ცხოვართა; ხოლო კაინ — მშრომელ ქუეყანისა, და იყო შემდგომად დღეთა მოართუა კაინ ნაყოფთაგან ქუეყანისათა მსხუერპლი უფალსა. და აბელ მოართუა. მანცა პირმშოთაგან ცხოვართა მისთასა და ცმელთაგან. და მოიხილა ღმერთმან აბელსა ზედა და ძღუენთა მისთა ზედა. ხოლო კაინს ზედა და მსხუერპლთა მისთა ზედა არა მიიხილა...“

— მერე ასე რატომ მოხდა? — შეაწყვეტინა ხოაკინმა. — რატომ გადმოხედა მოწონების თვალით უფალმა ღმერთმა აბელის მსხუერპლს, კაინისას კი ზიზლით?

— აჰ ეს არაა ახსნილხ...

— მერე, რატომ თავს არ ჰკითხე, თუკი ამ სურათის დახატვა გადაწყვიტე?

— რატომღაც არ... შეიძლება იმიტომ, რომ უფალმა ღმერთმა უმაღლ ამოიცნო კაინში მომავალი მკვლელი... მოშურნე...

— ისე გამოდის, თვითონ მან შექმნა იგა მოშურნედ, მანვე შეასვა ეს შხამი. აბა განაგრძე.

— „და ჰრქუა უფალმან ღმერთმან კაინს: რათა რად შეიქუვიან ბირი შენი, არცა მართლიად შემოწირე, ხოლო მართლიად არა განჰყავ, სცოდე დაყუდენ. შენდამი მიქცევაჲ მისი და შენ ჰმთავრობდი მას“.

— და ცოდვამ გაიმარჯვა, — გააწყვეტინა ხოაკინმა, — რადგან ღმერთმა თვითონვე შეუწყო ამას ხელი. განაგრძე!

— „და თქუა კაინ აბელის მიმართ, ძმისა თვისისა: განვიდეთ ზოგად ველად. და იყოს ყოფასა მათსა ველს, აღდგა კაინ აბელის ზედა, ძმისა თვისისა, და მოკლა იგი... და თქუა უფალმან ღმერთმან კაინის მიმართ...“

— გეყოფა! მეტს ნულარ წაიკითხავ! უკვე აღარ მაინტერესებს, რა უთხრა იეჰოვამ კაინს მას შემდეგ. რაც მოსახდენი მოხდა.

ხოაკინი მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო, თავზე ხელები შემოიჭდო და თავისი გაყინული, გამჭოლი მზერა მიაპყრო რატომღაც შემკრთალ აბელს, მერე კი ჰკითხა:

— არ გაგიგონია ერთი საგანგებო ხუმრობა, სკოლაში რომაა გაგრცელე-ბული? მოსწავლეებს, რომლებიც საღვთო წიგნს თუთიყუშებზე ვეზულთხავენ, ასეთ კითხვას დაუსვამენ ხოლმე: „ვინ მოკლა კაინი?“

— არ გამიგონია!

— მომისმინე, ამ კითხვაზე ბავშვები სხარტად პასუხობენ: „მისმა ძმამ აბელმა“.

— არ ვიცოდი.

— ახლა ხომ იცი. აბა, მაშ მიპასუხე, რაკი ამ ბიბლიური სცენის დახატვა განგიზრახავს... ბიბლიური! ფიქრად მაინც არასოდეს მოგსვლია, კაინს რომ არ მოეკლა აბელი, სავსებით მოსალოდნელი იყო, აბელს მოეკლა თავისი ძმა?

— ეს რამ გაფიქრებინა?

— აბელის კრავები ხომ ეამებოდა უფალს და მას, ცხოვართა მწყემსს მოწყალე თვალითაც უყურებდა უზენაესი; ხოლო კაინს, ქუეყანისა მშრომელისა მიერ მირთმეული ნაყოფთაგანი მიწისა არ ეამებოდა და კაინმაც დაკარგა უფლის წყალობის იმედი. აბელი იყო უფალი ღმერთისაგან გალაღებული და განებივრებული... კაინი კი მისგან მოძულებული...

— მერე ეს რა აბელის ბრალია?

— აჰა, შენ გჯერა, რომ ბედის ნებიერთ, გალაღებულთ და ნაფერებთ სულ არ შეუწყუხებიათ ამისთვის თავი, არა? ისიც ხომ დანაშაულია, რომ ამ უპირატესობას, დაუმსახურებელ წარმატებას არ მალავენ, თუმცა კი ამის ხმამაღლა გამოცხადებაც სირცხვილია და, პირიქით, ამით თავიც მოაქვთ, ქვეყანას ამცნობენ, ასეთ და ასეთ პატივში ვართო; მე პირადად ეჭვიც კი არ მეპარება, რომ აბელი თვალეზივც კი ეჩხირებოდა კაინს, თავს იწონებდა მის წინაშე, უფალი მწყალობსო და აღიზიანებდა ხოლმე თავისი კოცონებით, როცა მსხვერპლს სწირავდა ღმერთს. ისინი, ვინც თავიანთ თავს სათნოებასა და სამართლიანობის ნიშნად ასაღებენ, სინამდვილეში ქედმაღლები აღმოჩნდებიან ხოლმე. და ამ თავისი მოჩვენებითი სათნოებითა თუ სამართლიანობით სხვებს თვალეზს უხვევენ და არცხვენენ. ვილაცას უთქვამს, ეგრეთ წოდებულ საპატივცემულო კაცზე უფრო დიდი მამაძალი ამ ქვეყანაზე არ მეგულებათ...

— შენ რა იცი, — ჰკითხა ამ საუბრის სერიოზულობით გატაცებულმა აბელმა, — რომ აბელი ამ თავისი უპირატესობით თავს იწონებდა?

— ეჭვიც არ მეპარება, რომ სულ პატარა პატივისცემაც კი არ გამოუმქლავნებია საკუთარი ძმის მიმართ და არც უფლისათვის უთხოვია, მასზედაც მოიღე მოწყალეობა. უფრო მეტიც, სწორედ ამ პატარა აბელიტობმა გამოიგონეს ჯოჯობითიც პატარა კაენებისათვის, თორემ მაშინ მათს დიდებას რა ფასი ექნებოდა. მათი, ამ ტანჯვისაგან თავისუფალთა ნამდვილი სიხარული ხომ სხვათა ტანჯვის ჰვრეტაშია მხოლოდ...

— ეეჰ, ხოაკინ, მაინც რა დაუნდობელი კაცი ხარ!

— ჰო, თავის თავის ექიმი ჯერ არავინ ყოფილა, ახლა კი მომეცი ლორდ ბაირონის „კაინი“, მინდა წავიკითხო.

— წაილე.

— ერთი ეს მითხარი, შენი ცოლი არაფერს შთაგაგონებს ამ სურათის-

თვის? რამეს არ გკარნახობს?

— ჩემი ცოლი? ამ ტრაგედიაში ხომ ქალი არც მონაწილეობს?

— იგი ყოველ ტრაგედიაში მონაწილეობს, აბელ!

— იქნება ევაც...

— სწორედ ევა... მან ხომ ერთი ძუძუ აწოვა ორბივეს... სამსალა...

ეროვნული

XII

ხოაკინმა რომ ლორდ ბაირონის „კაინი“ წაიკითხა, „აღსარებაში“ მოგვიანებით ეს ჩაწერა:

„ამ წიგნისაგან მიღებული შთაბეჭდილება შემზარავი იყო. მაშინ ვიგრძენი, რაოდენ მჭირდებოდა, ვინმესთვის გადამეშალა გული და მაშინ ჩავწერე კიდევ ზოგიერთი რამ, რაც დღემდე შენოვინახე და აი, ესეც. მაგრამ განა მხოლოდ გულის გადაშლა იყო ეს? არა, მგონი უფრო იმ მიზნით შემოვინახე, რომ ერთ მშვენიერ დღეს რაიმე გენიალური ნაწარმოებისთვის გამომეყენებინა. ჩვენ ყველას პატივმოყვარეობის ჭია გვლრდნის, მზად ვართ, ყველაზე იდუმალი და სამარცხვინო სენიც კი ქვეყანას დავანახოთ. მჯერა, სულ არ ვაგვიჭირდებოდა ისეთი კაცის მონახვა, რომელიც შავ ჭირსაც კი არ დამალავს, ოღონდ კი სხვათა ყურადღება მიიბყროს. განა თვით ეს „აღსარება“ უფრო მეტი არ არის, ვიდრე გულის გადაშლა?

ზოგჯერ ისიც მიფიქრია, ამ ჩემს „აღსარებას“ დავხვევ და ამით კიდევ გავთავისუფლდები-მეთქი. მაგრამ განა ეს გამათავისუფლებდა? არა! ის მერჩივნა, ერთი კარგი სპექტაკლი მომეწყოს ჩემივე თავისთვის, ვიდრე ასეთ სატანჯველში ჩავვარდნილიყავი. განა ბოლოს და ბოლოს ჩვენი ცხოვრება სპექტაკლი არ არის?

ლორდ ბაირონის „კაინი“ პირდაპირ გულში მომხვდა. რა სამართლიანად სდებდა ბრალს კაინი თავის მშობლებს იმის გამო, რომ მათ იგემეს ნაყოფი ხისაგან ცნობადისა იმის ნაცვლად, რომ ეგემათ ნაყოფი ხისაგან ცხოვრებისა! რაც შემეხება მე, მეცნიერებამ უფრო მეტად გამიმწვავა კრილობა.

„ვაი, რომ მერჩივნა სულ არ მოვსულიყავი ამქვეყნად! — კაინთან ერთად ვიმეორებდი მეც. რატომ გავჩნდი? რაში მჭირდება ეს საცოცხლე? ვერაფრით ვერ ამიხსნია, როგორ არ მოიკლა კაინმა თავი. განა ამაზე უკეთესი დასაბამი ექნებოდა კაცობრიობის ისტორიას? ანდა რატომ არ მოიკლეს თავი ადამმა და ევამ ცოდვით დაცემის შემდეგ? მაშინ ხომ აღარც შვილები ეყოლებოდათ, თუმცა იეპოვა სხვა კაინსა და სხვა აბელს მაინც შექმნიდა! ნუთუ ეს ტრაგედია სხვა სამყაროში, ვარსკვლავთა სისტემის სხვა პლანეტაზე არ გამეორდება? ანდა იქნებ ამ ტრაგედიას სხვა დადგმებიც აქვს, მიწიერისაგან განსხვავებული? ნეტავ თუ მართლა დადგმა იყო ეს?

როცა ის ადგილი წავაკითხე, სადაც ლიუციფერი კაინს განუცხადებს, უკვდავი ხარო, შეძრწუნებულმა გავიფაქრე, რა შეშველებოდა, მეც რომ უკვდავი ვიყო, მაშინ ხომ ჩემთან ერთად ჩემი სულიც უკვდავი იქნებოდა-მეთქი. „ნუთუ სული მაქვს? — ვეკითხებოდა თავს, — და ნუთუ ეს სულია სწორედ ჩემი სიძულვილიც?“ და მე ვაფიქრე, უეჭველად ასე იქნება, რადგან ასეთი სიძულვილი არ შეიძლება მარტო სხეულის უბრალო ფუნქცია იყოს-მეთქი. ის,

რისი აღმოჩენაც სხვებში სკალპელის მეშვეობითაც კი ვერ შევძელი, ახლა აულ უბრალოდ აღმოვაჩინე ჩემს საკუთარ არსებაში. ხრწნად ახეულ ასეთი სიძულვილის უნარი არ შეიძლება გააჩნდეს. ლიუციფერს ღმერთის დაბნობა და მის ტანტზე ასვლა უნდოდა, მე კი სულ პატარაობიდანვე ვმის ცდაში ვიყავი, ჩემს ტოლებში პირველობა მომეპოვებინა. და მაინც ვერ შევძელი. ყოველი უბედურების შემქმნელის ნება არ იყო, ასეთი უბედური როგორ დაგიბადე!

რამდენადაც იმ აბელს ვადვილებოდა თავისი ცხვრების მწყემსვა, იმდენადვე ვადვილებოდა ამ აბელს თავისი სურათების ხატვა. მაგრამ ახლა ჩემი ცა თქვით, განა მეც ახე იოლად ამოვიცნობდი ხოლმე ჩემი პაციენტებია სენს?

კაინი ჩიოდა, რომ ადას, მისი გულის სწორს, ცოლს მისას და დას მისას არ ესმოდა მისი სულის ბორცვა. მაგრამ ჩემს ადას, ჩემს საბრალო ადას ხომ კარგად ესმოდა ჩემი ტანჯვა. ესმოდა, რამეთუ ქრისტიანი იყო, თუმცა კაინის მსგავსად, ვერც მე ვპოულობდი ცოლას გულში თანაგრძნობას.

ამდენი სულთმობრძავის მნახველს, ამდენა სიკვდილის მომსწრეს. სანამ ბაირონის „კაინი“ არ წავეკითხე, აზრადაც არ მომსვლია, სიკვდილზე დავფიქრებულყავი და რამენაირად მეცადნა მისი ახსნა. ახლა კი ვღაქრობდი, ნუთუ ჩემთან ერთად მოკვდება ჩემი სიძულვილიც ანდა იქნებ სულაც მე ამომიჭამო ამეთქი. ნუთუ მართლა შეიძლება სიძულვილმა მისი პატრონი ამოიჭამოს? ნუთუ ამ სიძულვილში არის რაიმე ისეთი სუბსტანციური, რაც შეიძლება შთამომავლობასაც გადაეცეს, ანდა იქნებ სწორედ ეს არის სულიც და თვით არსი სულისაც? და მე ლამის ვირწმუნე ჯოჯობეთიც და ისიც, რომ სიკვდილი არის რაღაც არსება, არის დემონი, განსახიერებელი სიძულვილი. სულის ღმერთი, თუ რამ მეცნიერებამ ვერ მასწავლა, ამ უღადესი მოძულის, ლორდ ბაირონის შემადრწუნებელმა პოემამ გამაგებინა.

და აკი ჩემი ადაც ასევე მორიდებით მისაყვედურებდა ხოლმე, როცა არ ვმუშაობდი, როცა არ შემეძლო მუშაობა, მაგრამ ლიუციფერი მაინც ჩვენ შორის იდგა, მე და ჩემს ადას შორის. „ნუ, ნუ აპყვები იმ სულს!“ — მეუბნებოდა ჩემი ადაც. საბრალო ანტონია! როგორ მევედრებოდა, ამ სულისაგან დამიცავიო. საბრალო ჩემმა ადამ ჩემსავით მაინც ვერ შეიძულა ისინი. მაგრამ მე კი შევიყვარე ნამდვილად ჩემი ანტონია? აჰ, ამის უნარი რომ მქონოდა, მაშინ ხომ კიდევ გადავრჩებოდი! მაგრამ მე აგი მხოლოდ და მხოლოდ შურისძიების იარაღად მესახებოდა და თუ მიყვარდა, მარტო იმიტომ, რომ მასში ვკვრეტდი მომავალ დედას, ჩემი ვაჟაშვილისას თუ ქალიშვილისას, ვისაც ჩემი ჯავრი უნდა ამოეყარა, აკი მე უგუნურს ამედი მქონდა, მამობა სიძულვილისგან განმკურნავს-მეთქი. იქნებ ცოლიც იმიტომ შევირთე, რომ ჩემს მსგავს მოძულეთა მამა გავმხდარიყავი, მათთვის გადამეცა ჩემი სიძულვილი და ასე უკვდავმეყო იგი?

კაინსა და ლიუციფერს შორის მომხდარი სცენა სივრცის უფსკრულში, ვულზე ცეცხლად მომედო; როცა ჩემს მეცნიერებას უეცრად ჩემი ცოდვის თვალსაზრისით შევხედე, მაშინლა მივხვდი, რა ამათ იყო საწამებლად და დასალუბად უკვე განწარულთა სიცოცხლას გადარჩენისთვის ბრძოლა. მივხვდი იმასაც, რომ ეს უკვდავი სიძულვილი იყო სწორედ ჩემი სულაც, ისიც დავიკერე, რომ ეს სიძულვილი ჩემს გაჩენას უძლოდა წინ და ჩემი სიკვდილის შემ

დეგაც დარჩებოდა. ფიქრი მარადიულ სიცოცხლეზე, რომლია მუდმივი თანამგზავრი იქნებოდა სიძულვილი, ნამდვილ ჯოჯოხეთად წარმოვიდგინა. მე კი მისი არსებობა სასაცილოდაც არ მყოფნიდა. აი, რა იყო ჯოჯოხეთი!

როცა ის ადგილი წავიკითხე, სადაც ადა და კაინი თევერდებულნი იყვნენ ენოსზე ლაპარაკობენ, ჩემს მომავალ შვილზეც დავფიქრდი. სულ უჩინოდ იქნებოდა, ვაჟი თუ ქალი. შენზე დავფიქრდი ჩემო გოგონავ, ჩემი ცოდვების გამოსყიდვავ და ჩემო ნუგეშო; წარმოვიდგინე, როგორ მოვევლინები ამ ქვეყანას ერთ მშვენიერ დღეს ჩემს გადასარჩენად. ვკითხულობდი, როგორ ელაპარაკებოდა კაინი თავის მძინარე, უცოდველ ყრმას, თავისი სიშიშვლითაც რომ არა ესმოდა რა, და ეფიქრობდი, განა დანაშაული არ ჩავიდინე, შენ რომ ჩაგაახე, ჩემო შვილო! განა ოდესმე მაპატიებ, რომ საცოცხლე მოგანიჭე? ადას კაინთან საუბარმა გამახსენა ნეტარი წლები, როცა ჯერ კიდევ არ ვილტვოდი ჯილდოებისკენ და არ ვიბრძოდი პირველობასთვის ჩემს ტოლებს შორის. არა, ჩემო შვილო, არა, ჩემი მეცნიერულა კვლევები სუუთა გულით არ მომიძღვნია უზენაესისთვის; არასოდეს მიძებნია სიმართლე და ცოდნა, მე მხოლოდ ჯილდოსა და დიდებას ვეძებდი და მის დაჯაბნაზე ვოცნებობდი.

მას კი, აბელს, ჭეშმარიტად უყვარდა თავისი ხელოვნება და ეთაყვანებოდა, მას მხოლოდ წმინდა ზრახვები ამოძრავებდა და თავისი ხელოვნებით ჩემი დამდაბლება აზრადაც არასდროს მოსვლია, არა! მას არ წაუფრთხევია ჩემთვის დიდება, არა! მე კი, უგუნური, მისი საკურთხევლის შერყევას ვოცნებობდი! ღმერთო, რარიგად ვცდებოდი! ვცდებოდი იმიტომ, რომ არასოდეს არავიზე მიფიქრია, საკუთარი თავის გარდა.

ამ საშინელი, დემონური პოეტის მიერ აბელის სიკვდილის ეპიზოდის აღწერამ სულ ერთიანად ამირია ჭკუა-გონება. ეს რომ წავიკითხე, ვიგრძენი, როგორ გადაბრუნდა ჩემს არსებაში ყველაფერი. და ამ დღიდან ამ უღმერთო ბაირონის წყალობით, ჩამესახა რწმენა.

XIII

ანტონიამ ხოაკინს ქალიშვილი გაუჩინა; „ქალიშვილი! — თქვა მან თავისთვის, — მას კი ვაჟიშვილი ჰყავს!“ მაგრამ მაშინვე სცადა თავიდან მოეშორებინა ბნელი აზრები, ავი სული რომ ჩასჩიჩინებდა. ხოაკინმა თავისი ვნებიანი სულის მთელი ძალით შეიყვარა შვილი და მასთან ერთად დედამისიც. „ის იძიებს ჩემ მაგივრად შურს!“ — გადაწყვიტა მან, თუმცა კი არ ესმოდა მაინც ვისზე უნდა ეძია შური, მერე გადაიფიქრა, „არა, მე იგი დამეზმარება სულიერად განვიწმინდო!“

„მერე დავიწყე ყველაფერი ამის ჩაწერა, — ნათქვამია „აღსარებაში“, — ჩემი ქალიშვილისათვის, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ მაინც გაეგო სიმართლე უბედური მამამისის შესახებ და სიბრალული და სიყვარული აღძვროდა. აქვანში მძინარეს რომ დავყურებდი, ასეთ უბიწოსა და უცოდველს, ვფიქრობდა, უზადო და სპეტაკი უნდა აღეზარდო-მეთქი, მაგრამ ამისთვის ჯერ მე უნდა განვწმენდილიყავი და განმეკურნა კეთროვანი სული. მინდოდა ყველა ჰყვარებოდა და მით უმეტეს, ისინი. და აჰ, მის უმანკო აკვანთან დავიფიცე, რადაც არ უნდა

დამიჯდეს, ამ ჯოჯოხეთურ ბორკილებს თავს დაეაღწევ-მეთქი. უპირველეს ყოვლისა, აბელის დიდებაზე უნდა მეჭადაგა“.

აბელ სანჩესმა დაამთავრა თუ არა სურათა, მაშინვე გამოფენაზე წაიღო და ამ შედეგმა უმალ საერთო აღიარება მოიპოვა, ყველას აღტანება გაუვიწყრა აბელი საპატიო მედლით დააჯილდოვეს.

ხოაკინიც დადიოდა გამოფენაზე, საათობით იდგა ხოლმე სურათის წინ და ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს სარკეში იყურებოდა, თან მნახველებსაც აკვირდებოდა და სულ იმას ცდილობდა, მათი გამომცდელი მზერა დაეკირა, რადგან ეჩვენებოდა, ისინი ღვარძლიანად შესცქეროდნენ და სურათზე გამოსახულ კაინსა და ხოაკინს შორის მსგავსებას ეძებდნენ.

„ექვი მღრღნიდა, — წერდა იგი თავის „აღსარებაში“, — რომ აბელ სანჩესი კაინის ხატვის დროს ჩემზე ფიქრობდა, იხსენებდა ჩვენი საუბრის წვრილმანებს, როცა მის სახელოსნოში ვისხედით და ამ სურათის დახატვის სურვალი გამომამულავნა. მერე „დაბადებიდან“ ნაწყვეტებიც წამიკითხა; მაშინ ისე ვიყავი საკუთარ თავში ჩაფლული, სულ დამავიწყდა ბიბლიური კაინი და მის წინაშე ერთიანად გავაშიშვლე ჩემი ავადმყოფი სული. მაგრამ არა! აბელის კაინი ერთი ბეწოთიც არა მგავდა! მისი ხატვის დროს სულ არ უფიქრია ჩემზე და მათ მასადამე, არც ჩემდამი სიძულვილი ჰქონია, არც სიძულვილით დაუხატავს და არც ელენას ვუხსენებდნენ მასთან. მათ ისიც ჰყოფნიდათ, რომ წინასწარ ტკებოდნენ გამარჯვებით; ჩემზე საფიქრებლად და სალაპარაკოდ სად მოიცილიდნენ!

მაგრამ ის უფრო მეტ ტანჯვას მგვირდა, რომ მათ არამცთუ არ უფიქრიათ ჩემზე, არამედ, სიძულვილითაც კი არა ვძულვებივართ. მერჩივნა, აბელსაც ისევე ვძულვებოდი, როგორც მე მძულდა იგი. ეს უკვე რაღაცას ემგვანებოდა და ეს „რაღაცა“ იქნებ ჩემი გადარჩენის საწინდარიც კი გამხდარიყო.

ბოლოს ეს მტანჯველი ფიქრები ერთმა აზრმა გაუნათა, იფიქრა, აბელის გამარჯვება უნდა აღინიშნოს. საგანგებო ნადიმი გაიმართოსო. განაცხადა, რაკი აბელის ყველაზე ძველი და ახლო მეგობარი მე ვარ, ნადიმის მოწყობის ყველა საზრუნავს ჩემს თავზე ავიღებო.

ხოაკინს კარგი მჭევრმეტყველის სახელი ჰქონდა დაფარდნალი. სამეცნიერო და სამედიცინო აკადემიაში ტოლს ვერაფერს დაუდებდა ლაპარაკში. მისი ბასრი, გონიერა, ზუსტი და, როგორც წესი, სარკასტული სიტყვა, ცნობილი იყო. მისი გამოსვლები ენთუზიასტ დამწყებთ ცივი შხაპივით აფხიზლებდა და პესიმისტური სკეპტიციზმის დაუვიწყარ გაკვეთილად რჩებოდათ. ჩვეულებრივად იგი ავითარებდა აზრს, რომ მედიცინაში ზუსტი არაფერი არ არსებობს, რომ ყველაფერი დაფუძნებულია ჰიპოთეზებზე, მეტნაკლებად გამჭრიახ მახვედრილობაზე და ერთადერთი სწორი მიდგომა მხოლოდ ვარაუდიაო. ამიტომ როცა ხმა დავარდა, ხოაკინი ნადიმს მართავსო, უმეტესობა ელოდა, რომ მოისმენდა გესლიან, ორაზროვან სიტყვას, მშრალი გონებისმიერი ფერწერის სარკასტულ ხოტბას და წინასწარ ტკებოდნენ, რა დაუნდობელი, თუმცა პირმოთნეობის სამოსელში გამოწყობილი, ანატომირება ელოდა აბელის ფერწერას. ვისაც ერთხელ მაინც მოესმინა ხოაკინის აზრი აბელის მხატვრობაზე, სულ იქედნურად ეციხებოდა. მოსალოდნელი საშიშროების თაობაზე აბელსაც ჩასჩურჩულეს.

— ცდებით, — უპასუხა აბელმა, — ხოაკინს კარგად ვიცნობ და ვერც და-

ვიჯერებ, რომ ასეთ რამეს ჩაიდენს. მისი ახირებული ხასიათიც მომეხსენებო, მაგრამ მხატვრული აღლო ჭეშმარიტად აქვს და თუ იტყვის, ისეთს იტყვის, რომ მოსასმენად ღირს. სხვათაშორის, მისი პორტრეტის დახატვა მინდა.

— პორტრეტის?

ეროვნული

— პო, პო, ჩემსავით ხომ მას არაფინ იცნობს. ხომ ჩინს-მამს-მამს-მამს ცეცხლოვანი და მემამბოხე სული აქვს.

— მაგაზე ცივი კაცი...

— არა, ასე მხოლოდ შორიდან ჩანს, ეს სიცივე მართო საფარველია, შიგნით კი ისეთი ცეცხლი უგიზგიზებს, მთლად გადაგბუგავს...

აბელის ასეთმა მსჯელობამ ხოაკინის ყურამდეც მიიღწია და უფრო ააბორგა მისი სული, უფრო გააღვივა მისი ეჭვი და მერყეობა. „ნეტავ სინამდვილეში რას ფიქრობს ჩემზე?— თქვა მან, — ნუთუ მართლა ჰგონია, რომ ცეცხლოვანი და მემამბოხე სული მაქვს? იქნებ უბრალოდ მიაჩნია, რომ ბედის ახირების მსხვერპლი ვარ და მეტი არაფერი?“

ერთხელ ისეთი რამ ჩაიდინა, რომ მერე სულ სირცხვილით იწვოდა. ისე მოხდა, რომ ხოაკინის სახლში მოახლედ ააყვანეს ქალი, რომელიც ადრე აბელთან მსახურობდა. ხოაკინი ძალზე შინაურულად ექცეოდა, თან ცდილობდა თავისი რეპუტაციისთვის ჩრდილი არ მიეყენებინა; გადაკრულ და ორაზროვან სიტყვებსაც კი არ ერიდებოდა, ოღონდ კი როგორმე დაეცდევინებინა, რას ლაპარაკობდნენ მასზე აბელის სახლში.

— აბა, ერთი მითხარი, რას ლაპარაკობდნენ ხოლმე ისინი ჩემზე?

— სულ არაფერი გამიგონია, სენიორიტო, სულ არაფერი.

— დავიჯერო, არც ერთხელ არ ვუხსენებავართ?

— არა, ხსენებით კი გახსენებდნენ, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი უთქვამთ.

— სულ არაფერი?

— არ ვიცი, მე კი არაფერი გამაგონია. სუფრასთან, როცა კი შევსწრები ვარ, აალიან ცოტას ლაპარაკობდნენ, ისიც ჩვეულებრივ ამბებზე და კიდევ მის სურათებზე...

— გასაგებია. მაშასადამე, არასოდეს არაფერი გაგიგონია?

— არა, არაფერი არ მახსენდება.

მოახლეს რომ გამორდა, ხოაკინმა საკუთარი თავისადმი ზიზღი იგრძნო: „ნამდვილი იდოტივიტ მოვიქეცი. — თქვა მან, — რას იფიქრებდა ჩემზე ის გომბიო?“ ისე შეაწუხა ამ აზრმა, რომ პირველივე მიზეზი დაიხვია ხელზე და სახლიდან დაითხოვა. „ვაითუ ისეც აბელთან დაბრუნდეს, — მერე მოეგო გოპს ხოაკინი, — და ყველაფერი უამბოს?“ იგი მზად იყო ცოლისთვის ეთხოვა, მოახლე უკანვე დააბრუნეო, მაგრამ რატომღაც ვერ გაბედა, ქუჩაში გასვლისაც კი ეშინოდა, სადმე არ გადავეყარო.

XIV

დადგა ნადიმის დღეც. წინა ღამეს ხოაკინს თვალი არ მოუხუტავს.

— საომრად მავდივარ, ანტონია, — უთხრა წასვლის წინ ცოლს.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს და დაგიფაროს.

— ერთს დავხედავ ჩემს ქალიშვილს, ჩემს საბრალო ხოაკინიტას...
 — მიდი, დახედე... სძინავს...
 — საბრალო, ჯერ არ ესმის, რა არის ეშმაკეული! მაგრამ, გეფიცები, ანტონია, ამ ეშმაკეულს გულგვამიდან ამოვიგლეჯ, განვდეგნი, დავახრჩობ და აბელის ფერხთით დავანარცხებ... რა სიამოვნებით ვაკოცებდი მის გულს, როდესაც რომ არ მეშინოდეს...

— ნუ გეშინია, ხოაკინ, აკოცე!
 მამა დაიბარა და მძინარე ბავშვს აკოცა, ბავშვმა კი ტკბილი ღიმილით უპასუხა კოცნაზე.

— ხედავ, ხოაკინ, ისიც გლოცავს.
 — ნახვამდის, ჩემო მეტლღევ! — მან ცოლსაც აკოცა, კარგა ხანს ვერ მოსწყდა მას.

წავიდა თუ არა ხოაკინი, ანტონიამ ღვთისამშობლის ხატის წინ დაიჩოქა, ნადიმზე ჩვეულებრივი საუბარი გაიმართა. მაგრამ ამის მიღმა დაძაბული მოლოდინი იგრძნობოდა. ხოაკინი აბელის მარჯვენა მხარეს იჯდა; იგი ფერმიხდილი იყო, არც არაფერს წამდა და არც ლაპარაკობდა. თვითონ აბელიც ნელ-ნელა გაურკვეველმა შიშმა აიტანა.

დესერტის შემდეგ სუფრაზე, „სუ-სუ-სუ-ს“ ძახილი გაისმა და სიჩუმეც ჩამოვარდა. ვიღაცამ თქვა: „ახლა სიტყვა უნდა მოვისმინოთ!“ ხოაკინი წამოდგა და დაიწყო; პირველად ყრუდ ლაპარაკობდა, ხმა უკანკალებდა, მერე ნელ-ნელა ძალა მიეცა და რაღაც სრულიად ახალი, მოულოდნელი გღერადობა შეიძინა. დარბაზში გამეფებულ სიჩუმეში მხოლოდ მისი ხმა ისმოდა. უკლებლივ ყველა გაოცებული უსმენდა; აქამდე პრავის გაეგონა ესოდენ მგზნებარე, მხურვალე, შემოქმედისა და მისი შემოქმედების მიმართ ამგვარი აღტაცებითა და სიყვარულით წარმოთქმული აიტყვა. ხოლო როცა ხოაკინმა გაიხსენა აბელთან ერთად გატარებული ბავშვობის წლები, წლები, როცა არცერთმა არ იცოდა, რას უმზადებდა მომავალი, უმეტესობა იქმყოფს თვალზე ცრემლიც კი მოადგა.

— ჩემზე უკეთ აბელს არავინ იცნობს, — ამბობდა ხოაკინი, — ასე მგონია, მას უფრო ღრმად ჩავწვდი, ვიდრე საკუთარ თავს და ჩავწვდი მეტი სიწმინდით, რამეთუ ჩვენს თავში რომ ვიხედებით, მხოლოდ უწმინდურს ვამჩნევთ, რისგანაც ვართ შექმნილი, სხვაში კი გვინდა ის საუკეთესო დავინახოთ, რაც ჩვენს არსებაშია მიჩქმალული და კიდევ შევიყვართ ამისთვის. ეს კი მისადმი აღტაცებით გამოიხატება. აბელმა თავისი ხელოვნებით იმას მიაღწია, რის მიღწევასაც თავადვე ვცდილობდი ჩემს სფეროში. მარტო ესეც კმარა, რომ ბრწყინვალე მაგალითად მივიჩნიო იგი; მისი დიდება ძალასა და ნუგეშს მაძლევს, როცა ვფიქრობ სახელზე, რაც თავად ვერ მოვიპოვე... აბელი ყველა ჩვენთანგანს ეკუთვნის და ყველაზე მეტად კი მე; როცა ასე აღტაცებული ვარ მისი სურათით, ეს იმას ნიშნავს, რომ სურათი ისევე მინდა მეკუთვნოდეს, როგორც მის შემქმნელს ეკუთვნის და ამაში ვხედავ ნუგეშსაც, როდესაც საკუთარ უფერულობაზე დავფიქრდები“.

დროდადრო ხოაკინის ხმა კვნესასავით ისმოდა. დამსწრენი დათრგუნვილი იყვნენ და ბუნდოვნად შეიგრძნობდა; მისი სულის დრამას, სულისას, დემონს რომ შეებოდა.

— შეხედეთ კაინის ფიგურას, — განაგრძობდა ხოაკინი და თითქოს წვეთ-

წვეთად ღვრიდა მღულარე სიტყვებს, — შეხედეთ, ტრაგიკულ კაცს, მოხეტიალე მუშას ქუეყანისას, ქალაქების მშენებელს, ყოველი ხელოვნების მამამთავარს. შურისა და მოქალაქეობრიობის დამფუძნებელს! შეხედეთ! რა სინაზიათ, ამ ბედუკულმართისადმი რა თანაგრძნობით და სიყვარულითაა შექმნილი. საბრალო კაინი! ჩვენი აბელ სანჩესი ისევე ტკბება თავისი კაინის მწერით, როგორც მილტონი ტკბებოდა თავისი სატანას მზერით. ისევე უყვარს თავისი კაინი, როგორც მილტონს — თავისი სატანა, რამეთუ ტკბობა ნიშნავს სიყვარულს, ხოლო სიყვარული — თანაგრძნობას. ჩვენი აბელი კარგად სწვდება იმის ცოდობრალს, იმის უბედურებას, ვინც მოკლა პირველი აბელი, აკი ბიბლიური ლეგენდის თანახმად. აბელის სიკვდილთან ერთად დამკვიდრდა ამ მიწაზეც სიკვდილი. ჩვენი აბელი მარტო კაინის დანაშაულზე როდი მიგვანიშნებს, რადგან იგი ნამდვილად იყო დამნაშავე. ამავე დროს მისადმი თანაგრძნობასაც გვიღვიძებს, გვაიძულებს შევიყვაროთ იგი... ეს სურათი დიდი სიყვარულის გამომხატველი აქტია!

როცა ხოაკინმა სიტყვა დაასრულა, დარბაზში წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა და მერე ტაშმა იგრიალა. და მაშინ წამოდგა გაფითრებული, შემკრთალი, აღელვებული აბელი და ცრემლმორეულმა მეგობარს ასე მიმართა:

— ხოაკინ, შენი სიტყვა ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე თვით ჩემი სურათი. ყველა სურათიც კი, რაც აქამდე დამიხატავს და რასაც მომავალში დავხატავ. შენი სიტყვაა სწორედ ხელოვნების ჭეშმარიტი ქმნილება, დიდებული სულის ქმნილება. აქამდე კარგად ვერც ვხვდებოდი, თურმე რა დამიხატავს, მე კი არა, შენა ხარ ამ სურათის ნამდვილი ავტორი, მხოლოდ შენ!

გულითადი მეგობრები ქვითინით გადაეხვივნენ ერთმანეთს და კიდევ ერთხელ იგრიალა ტაშმა; გრძნობამორეული სტუმრები ხმამაღალი შეძახილებით წამოხტნენ; და როცა ასე ერთმანეთს გადაჭდობილი იდგნენ მეგობრები, სატანა ყურში ჩასჩურჩულებდა ხოაკინს: „ასე ხვევნა-კოცნაში რომ შეგეძლოს მისი მოხრჩობა!...“

— გასაოცარია! — გაისმოდა აქეთ-იქიდან, — მაინც რა ენამჭევრია! რა სიტყვა თქვა: ვინ იფიქრებდა! აფსუს, ნეტავ ვინმეს მოეფიქრებინა და სტენოგრაფისტი მოეწვია!

— წარმოუდგენელია! — გაიძახოდა ერთ-ერთი სტუმარი. — ალბათ ჩემს დღეში ამისთანა სიტყვას ველარ მოეხმენ!

— ტანში სულ ერუანტელი მივლიდა! — ამბობდა მეორე.

— შეხედეთ, როგორ გაფითრდა!

ასეც იყო. ხოაკინმა ამ გამარჯვების შემდეგ დამარცხებულად იგრძნო თავი, იგრძნო, როგორ იძირებოდა კვლავ სევდის უფსკრულში. არა, სატანა ისევე ცოცხალი იყო. ასეთი წარმატება არც არასოდეს ჰქონია და ალბათ არც არასოდეს ექნებოდა. ამან კი მაცდური აზრი აღუძრა, იქნებ ორატორულ ხელოვნებას მივყვე და ამ ასპარეზზე მაინც მოვიპოვო სახელი, ამით მაინც დავჩრდილო ჩემი მეგობრის დიდება მხატვრობაშიო.

— დაინახე, როგორ ტიროდა აბელი? — იკითხა უკვე წასვლისას ერთ-ერთმა სტუმარმა.

— იმიტომ, რომ მთელი მისი სურათი ხოაკინის ამ ერთ სიტყვადაც არა ღირს. ეს სურათიც ხოაკინმა შექმნა თავისი სიტყვით. მე რომ მკითხოთ, ასეც დავარქმევდი — სურათი წარმოთქმული სიტყვის მოტივებზე. ეს სიტყვა რომ

არა, სურათისგანაც არათერი დარჩებოდა... სულ არათერი, თუ პირველ პრემიას არ ჩავთვლით!

ხოაკინი შინ რომ დაბრუნდა, ანტონია კარებშივე შეეგება და მოეხვია: — უკვე ყველაფერი ვიცი, მიაბებს, აკი გეუბნებოდი! ახლა მაინც რომ გაიგე, ვის უფრო მეტ პატივს სცემენ! დაე, იმანაც გაიგოს, რომ მისი სურათი შენი სიტყვის წყალობით დააფასეს ასე.

— მართალი ხარ, ანტონია, მაგრამ...

— რა, მაგრამ... შენ ისევ...

— ჰო, ისევ... ვერ გეტყვი, რას ჩამჩურჩულებდა ბოროტი სული, როცა ჩვენ ერთმანეთს გადავხვით...

— არა, არა, ნუ მეტყვი. სჯობია, არ მითხრა!

— მაშ გამაჩუმე, დამიმუწე პირი!

და ანტონიამ ხანგრძლივი ხარბი კოცნით დაუმუწა პირი; თვალები კი ცრემლით ჰქონდა დაბინდული.

— იქნება ასე მაინც განდევნო ჩემგან დემონი, იქნება კოცნით მაინც შესვა იგი...

— მერე ჩემთან რომ გადმოსახლდეს, არა?—სცადა საბრალომ გახუმრება.

— ჰო, იქნებ სცადო და ასე მაინც ამომწოვო, შენ იგი ვერას გავნებს. შენს არსებაში უეჭველად მოკვდება, შენს სისხლში ჩაიხრჩობა — ნაკურთხ წყალში...

აბელი რომ შინ მივიდა და ელენასთან მარტო დარჩა, ქალმა უთხრა: — უკვე ყველაფერი ვიცი ხოაკინის სიტყვის შესახებ. კიდევ კარგი, რომ ზეიმი არ ჩაგიშალა. კინალამ დაკრძილა, თურმე!..

— ასე რატომ ლაპარაკობ, შენ თვითონ ხომ არ მოვისმენია?

— არ მოვისმენია, მაგრამ ყველაფერი ვიცი.

— ხოაკინმა ალალი გულით ილაპარაკა. სულ ერთიანად დამარცხიანა. გეფიცები, თვითონ არ ვიცოდი, რა დავხატე, ვიდრე მისი აზრი არ მოვისმინე.

— ნუ ენდობი ხოაკინს... ნუ ენდობა... როცა გაქებს, უეჭველად სამარეს გითხრის...

— რატომ გგონია, რომ ის არა თქვა, რასაც ფიქრობს!

— ვითომ ვერა ხვდები, რომ შენი შურით გული უსკდება?

— გაჩუმდი!

— ასეა, ასე. სწორედ რომ გული უსკდება, ბოლმა ახრჩობს..

— გაჩუმდი, ქალო, გაჩუმდი-მეთქი, გეუბნები!

— არა, ეს ეჭვიანობისი კი არ მოსდის, მე მას უკვე აღარც ვუყვარვარ, თუკი მართლა ვუყვარდი ოდესმე... შურით, შურით...

— გაჩუმდი, გაჩუმდი-მეთქი, გეუბნები! — შეუბუზღუნა აბელმა.

— მე კი გავჩუმდები, მაგრამ შენ თვითონ ნახავ...

— მე უკვე ვნახე და მოვისმინე კიდევ, ასე რომ კმარა! გაჩუმდი, გეუბნები!



საბრალო ხოაკინი ამ გმირობამაც ვერა და ვერ განკურნა.

„სინანულმა შემოიპყრო, — ჩაწერა „აღსარებაში“, უკაცურად სიტყვა რომ მათქმევინა-მეთქი, ვბრაზობდი, რატომ არ მივეცი გზა ჩემს სულს და გუბებულ ავ ვნებას, რომ საბოლოოდ გავთავისუფლებულიყავი. ვნანობდი, ვრთხელ და სამუდამოდ რატომ არ დავასამარე, არ ავხადე ფარდა მის ყალბ ხელოვნებას, მის მიმბაძველობას, მის ციყსა და გაზეპირებულ ტექნიკას, ჭეშმარიტი სულისა და ადამიანური გრძნობების უქონლობას. ხომ შემეძლო, მისი დიდება ერთბაშად გამეცამტვერებინა, სიმართლე რომ მეთქვა, სათანადოდ რომ შემეფასებინა მისი ნამოღვაწარი, მეც ხომ გავთავისუფლდებოდი ამ გულსმღრღნელი სიძულვილისაგან. ვინ იცის, ეგებ იმ კაინს, ბიბლიურ კაინს სიყვარულიც კი აღეძრა ძმისადმი, როცა მიწაზე უსულოდ გართხმული დაინახა. მაგრამ ასე იყო თუ ისე. ნადიმზე წარმოთქმული სიტყვა გახდა ჩემი მოქცევის საბაბი, ამ დღიდან ჩემს სულში ჩაისახა რწმენა“.

ხოაკინმა ამას მოქცევა კი დაარქვა და ასეც ჩაწერა თავის „აღსარებაში“, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამ მოხდა; ანტონიამ რომ დაინახა, ვერც ამან უშველა ხოაკინს ვერაფერიო, შიშმა აიტანა, ვაითუ, ვერც ვერასოდეს ვერაფერი უშველოსო და სხვა გზას მიმართა. იფიქრა, თუ გადასარჩენია, იქნებ ისევ რელიგიამ გადაარჩინოსო და ჩვეს მამაპაპათა რწმენას, ჩემს საკუთარ რწმენას, ჩემი ქალიშვილის რწმენას მაინც ვაზიარებ, ეგებ ლოცვაში მაინც ნახოს რაიმე შვებაო.

— ადექი და აღსარება თქვი...

— განა არ იცი, ეკლესიაში რამდენი წელია ფეხიც კი არ შემიდგამს?

— მით უმეტეს...

— თუკი არა მწამს...

— გეჩვენება რომ არა გწამს; აი, ამასწინათ ჩვენი მღვდელიც მეუბნებოდა, მეცნიერებს ასე ჰგონიათ, მაგრამ სინამდვილეში მათაც სწამთო. მჯერა, რომ რწმენა, რაც მე დედაჩემმა ჩამინერგა ანდა რასაც მე ვუნერგავ ჩემს ქალიშვილს...

— კარგი, კარგი, თავი დამანებე!

— არ დაგანებებ, გემუდარები, წადი, აღსარება თქვი.

— მერე ხალხი რას იტყვის, ჩემი შეხედულებები ხომ იციან?

— აი, თურმე რა გაწუხებს, ხალხი რას იტყვისო, იმაზე ფიქრობ?

ასე იყო თუ ისე, ხოაკინს მაინც ჩაუვარდა გულში ეს საუბარი და იფიქრა, სინამდვილეში ხომ მართლაც არა მწამს და თუკი მაინც არა მწამს. მოდი ვცდი, იქნებ ეკლესიამ მომიტანოს შვებაო და დაიწყოს იქ სიარული; ზოგჯერ არც იმათ ერიდებოდა, ვინც მისი რელიგიური შეხედულებები უწყობდა, ის კი არადა, მათთან თითქოს თავიც კი ბოჭქონდა. ბოლოს აღსარების თქმაც გადაწყვიტა და სულიერ მამასთანაც მივიდა. და, იქ, სააღმსარებლოში სულ ერთიანად გააშიშვლა თავისი სული.

— მე იგი მძულს, მამაო, მთელი არსებით მძულს და რწმენა ანდა რწმენის სურვილი რომ არა, ნამდვილად მოგკლავდა...

— შვილო ჩემო, ეს ხომ სიძულვილი არც არის, ეს მხოლოდ შურია და მეტი არაფერი.

— შური იგივე სიძულვილია, მამაო. ყოველგვარი სიძულვილი მხოლოდ შურია.

— ამისთვის კი საჭიროა შენს გულში კეთილშობილური შეჭიბრის სურვილი გააღვიძო, შენს საქმეში სრულყოფას მიაღწიო და მთელი მონდომებით ემსახურო ღმერთსა და მას...

— მუშაობა რომ არ შემოიძლია, არ შემოიძლია, არა! მისი დიდება მოსვენებას არ მამლევეს!

— თავს უნდა მოერიოთ... ამისთვის აქვს ბოძებული სულს თავისუფლება...

— მე კი ნების თავისუფლებისა არაფერი მწამს, მამაო, მე ექიმი ვარ.

— და მაინც...

— რა ბრალი მიმიძღვის ღვთის წინაშე, რომ ასეთი გულღვარძლიანი, ბოროტი, შურიანი და საზიზღარი შემქმნა? მაინც რა მოწამლული სისხლი გადმომცა ასეთი მამაჩემმა?

— შეილო ჩემო... შეილო ჩემო...

— არა, თავისუფლებისა არაფერი მწამს, ხოლო თუ კაცს ეს არა სწამს. თავისუფალიც ვერ იქნება. არა, მე თავისუფალი არა ვარ! თავისუფლება ხომ იმას ნიშნავს, გწამდეს შენი თავისუფლება!

— ასეთი ბოროტიც იმიტომა ხართ, რომ ღმერთი არა გწამთ!

— მეტედა, ღმერთის ურწმუნობა განა ბოროტებაა, მამაო?

— მიჭირს ამის თქმა, მაგრამ თქვენი გაბოროტებული ვნების სათავე სწორედ ეს არის. ღმერთის ურწმუნობაა...

— განა ღმერთის ურწმუნობაა ბოროტება? ისევ გეკითხებით.

— დიახ, ბოროტებაა.

— იმიტომ არა მწამს ღმერთი, რომ სწორედ მან შემქმნა ასეთი ბოროტი. აკი კაინიც მან შექმნა ასეთი ბოროტი. თვით ღმერთმა შექმნა ასეთი ბოროტი...

— მანვე მოგანიჭათ თავისუფლება...

— თავისუფლება ბოროტებისთვის.

— და კიდევ სიკეთისთვისაც!

— რატომ გავჩნდი, მამაო?

— უმჯობესია, მკითხოთ, რისთვის გავჩნდი...

XVI

აბელმა ღვთისმშობელი მარიაში დახატა და ეს იყო ელენას ზუსტი ასლი, გულზე რომ თავისი აბელიტო მიეხუტებინა. სურათს დიდი წარმატება ხვდა წილად, უმაღლესად გააკეთეს ფოტორეპროდუქციები და ახლა ერთი ასეთი ბრწყინვალე ფოტორეპროდუქციის წინ დაჩოქილი ხოაკინი შექალაქადებდა წმინდა მარიამს „მიხსენი და შემეწყალებე მე!“

იღგა ასე მუხლმოდრეკილი, ჩუმად ლოცულობდა და თითქოს თავისსავე სიტყვებს უსმენდა. მაგრამ საიდანღაც შიგნიდან სხვა, უფრო ღრმა ხმა უჩურჩულებდა: „რა იქნება, რომ მოკვდეს და გამათავისუფლოს!“ და ამ ხმას მისი საკუთარი ხმაც ვერ ანშობდა.

— ბნელეთის მოციქულობა ხომ არ დაგიპირებია? — ჰკითხა მას ერთხელ აბელმა.

— მე?

— ჰო, შენ! ყური მოვკარი, სულ ეკლესიის კარზე დგას, მარტო ერთ წირვა-ლოცვას არ აკლდებაო... ჰოდა, რაკი კარგად მომეხსენებო, როგორც გწამს ღმერთი თუ ეშმა, ვიფიქრე, ნამდვილად ბნელეთის მოციქული გამხდარა და ეგ არის-მეთქი; ასე უფერად კაცის მოქცევა არ გამიგია!

— მერე, შენ რა?

— მე არაფერი. კი არ გედავები, მხოლოდ მართალი მითხარი, ნამდვილად ირწმუნე?

— ჩემთვის აუცილებელია ვირწმუნო.

— ეგ სხვა საქმეა, მაგრამ ნამდვილად თუ გწამს!

— აკი გითხარი, ჩემთვის აუცილებელია, მწამდეს-მეთქი, ამიტომ მეტს ნუღარაფერს მკითხავ.

— მე, მაგალითად, ჩემი ხელოვნებაც მაკმაყოფილებს, ის არის ჩემი რელიგიაც.

— ამიტომ ხატავ ღვთისმშობლებს?

— არა, მე ელენა დავხატე.

— აბა, სწორედ ასეთია ელენა...

— ჩემთვის ასეთია იგი ჩემი შვილის დედაა...

— მეტი არაფერი?

— ყოველი დედა, რაკი იგი დედაა, უწმინდესი ქალწულიც არის.

— შენ კი თეოლოგიაში გადავარდნილხარ.


— არ ვიცი, მაგრამ ბნელეთის მოციქულობა და ფარისევლობა რომ მძულს, ეს კი ნამდვილად ვიცი. ჩემის აზრით, ყველაფერ ამას შური შობს და მართალი გითხრა, ძალიან მიკვირს, რომ შენ, ასეთი ნიჭიერი, ამ ბეჩავ ბრბოსაგან ასე გამორჩეული, მათსავით საერთო სამოსში გამოეწყვე.

— საყურადღებოა, საყურადღებო, ერთი კარგად გამაგებინე!

— რა არის გაუგებარი, პრიმიტიული ადამიანები ხომ სხვათა წარმატებებს ვერ იტანენ, ამიტომაც, რომ ცდილობენ მათაც საერთოდ მიღებული დოგმები, ერთ თარგზე გამოჭრილი დოგმები მოახვიონ თავს, ოღონდ კი ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდნენ. ეჭვი არ შეგეპაროს, რომ ყოველგვარი ორთოდოქსიის, რელიგიაში იქნება ეს გამოვლენილი თუ ხელოვნებაში, საფუძველი შურია. ჩვენ, ყველას ისე შეგვიძლია შევიმოსოთ, როგორც მოგვეპრიანება, მაგრამ ერთნი ცდილობენ მეტად გამოაჩინონ თავიანთი სხეულის მშვენიერება და ამით ქალების ყურადღება მიიქციონ, მეორენი კი, ნამდვილად ვულგარულები და უგემოვნონი, მათი მიზანძვით რომ იცვამენ, სასაცილონი ჩანან. ამიტომ არის, რომ ასეთებმა, ვულგარულებმა, უნიჭობებმა და უგემოვნობებმა, მაშასადამე, მოშურნეებმა, გამოიგონეს რაღაც საერთო მუნდირის მსგავსი ერთფეროვანი მოდა; მოდა კი, მოგეხსენება, ორთოდოქსიის ერთ-ერთი სახეა. არ მოტყუვდე, ხოაკინ, იმას, რასაც სახიფათოს ეძახიან, უღმერთოს, ცოდვილ აზრებს, მხოლოდ გონებით მწირებს არ შეეფერებათ, რადგან საკუთარი, გამორჩეული, განსხვავებული მათ არაფერი გააჩნიათ, საერთო აზრისა და ვულგარულობის მეტი, არაფერი. მერედა, როგორ სძულთ წარმოსახვა, სძულთ კი იმიტომ, რომ არ გააჩნიათ.

— დაე. ასე იყოს. — თქვა ხოაკინმა, — მაგრამ იმათ, ვისაც ასეთი ზიზღით მოიხსენიებთ, ვულგარულს, პრიმიტიულსა და ერთსაზოვანს ეძახებთ, თავდაცვის უფლება ხომ მაინც უნდა ჰქონდეთ!

— ხომ გახსოვს. ამაჲ წინათ, ჩემს სახლში, როგორ იცავდი კაინს, ამ უღადეს მოშურნეს; სწორედ შენმა სიტყვამ, სიკვდილამდე რომ მემჩნებოდა და ჩემს სახელსაც უნდა ვუმადლოდე, გამაგებინა მეც და სხვებსაც კაინის სულის ჭეშმარიტი არსი! კაინი ხომ არც პრიმიტიული იყო და არც ვულგარული თუ უფერული...



— სამაგიეროდ, შურის მამამთავარი გახლდათ.

— ჰო, მაგრამ ეს ხომ სულ სხვანაირი შური იყო, ამ კაცუნების შურთან მისი შური რა სახსენებელია... მის შურში რაღაც დიდებული მაინც იყო, ფანტიკოსი ინკვიზიტორის შურში კი ნაძირალას უბადრუკობა და სიპატარავე ჩანს. ამიტომ მტკივა გული, შენც რომ მათ შორის გხედავ.

„ეს კაცი პირდაპირ ჩემს გულში ზის! — თქვა ხოაკინმა მისი წასვლის შემდეგ. — თან თითქოს ვერც ხედავს, რა ხდება ჩემს სულში. იგი ისევე ფიქრობს და ლაპარაკობს, როგორც ხატავს, არ იცის. რას ლაპარაკობს და რას ხატავს. თავით ფეხამდე გუმანია, მე კი სულ ვცდილობ, მისი სახით გონიერი ხელოსანი დავინახო...“

XVII

ხოაკინმა ყური მოჰკრა, აბელი ერთ თავას მენატურეს ეარშიყებოდა და ამან უფრო განუმტკიცა აზრი, ელენა სიყვარულით სულაც არ შეურთავსო: „ისანი მხოლოდ ჩემი დამცირების მიზნით შეჟღელდნენ, — დაასკვნა მან, — ცხადზე ცხადია. ელენას იგი არ უყვარს, — ფიქრობდა, იგი, — ანდა სადა აქვს სიყვარულის უნარი... საერთოდ არავინაც არ უყვარს, ასეთი ნაზი გრძნობების უნარი არც გააჩნია; უბრალოდ პატივმოყვარეობის ლამაზი შალითაა და მეტი არაფერი... ცოლადაც პატივმოყვარეობისა და ჩემდამი სიძულვილის გამო გაპყვა და ასევე პატივმოყვარეობისა და ახირების გამო შეუძლია ულატოს კიდევ... ჩემზეც კი გაცვლიდა, ჩემზე, თუმცა კი ადრე ხელი მკრა...“ და მის გულში კვლავ იფეთქა ადრინდებულმა გრძნობამ ელენასადმი, ფიქრობდა კი, დიდი ხნის წინ განელებული ფერფლის ქვეშ აღარც ბეუტავს და სიძულვილის ყინულმა კარგა ხანია ჩააქრო, დიახ, ყველაფრის მიუხედავად. მაინც უყვარდა ეს სამეფო ფარშავანგი, პრანკია და თავისი ქმრის მენატურე. თითქოს ანტონია გაცილებით უფრო ღირსეული ჩანდა, მაგრამ ელენა მაინც სხვა იყო... თანაც შურისძიების გრძნობაც... განა შურისძიების სიტკბოებას რამე შეედრება? სხვა ვერაფერი გაათბობდა ხოაკინის გაყინულ გულს!

და ერთ დღესაც დრო იხელთა, როცა აბელი შინ არ იყო და მისი სახლისკენ გასწია. იქ მარტო ელენა და ბავშვი დახვდნენ. კარებში შემოეგება ის, ვისი გაღმერთებული ხატების წინ ლოცულობდა ხოლმე და ამოდ ეგედრებოდა, ღამიფარე და მიხსენიო.

— აბელმა მითხრა. რელიგიას ეზიარაო, — უთხრა ბიძაშვილმა, — ანტონიამ ხომ არ გადაგიბირა, თუ პირიქით, რელიგია გშველის თავი აარიდო მას?

— არ მესმის!

— რა არის გაუგებარი, მამაკაცები ხომ ღვთისმოსაობის გზას ან ცოლენის კარნახით ადგებიან ან მათგან თავის დაღწევის მიზნით...

— მაგრამ ისეთებიც ხომ არიან, მარტო ეკლესიაში სიარულის საბაბით რომ არ გაურბიან ცოლებს!

— არიან, მერე!

— მერე ის, რომ შენს ქმარს ჩემს მეტი სალაპარაკო არა ჰქონდა? მე მარტო ეკლესიაში როდი ვლოცულობ...

— რასაკვირველია, ყოველი ღვთისმოსავი, უპირველეს ყოვლისა, შინ უნდა ლოცულობდეს!

— ჰოდა, შინაც ვლოცულობ, უწმინდესი ქალწულის წინაშე ვლოცულობ, სულ იმას ვევედრები, მიხსენი და გადამარჩინე-მეთქი...

— ძალიან კარგია.

— მერედა, არ იკითხავ, ვისი ხატების წინაშე ვლოცულობ?

— აბა, რა ვიცი...

— შენი ქმრის მიერ დახატული ხატის წინაშე...

ელენას ფერი ეცვალა და რაღაც შეშფოთებით გაჰხედა კაბინეტის კუთხეში მიძინარე შვილს. ამ მოულოდნელმა შეტევამ ცოტა არ იყოს, დააბნია. მაგრამ მალევე მოეგო გონს და უპასუხა:

— იცი, რას გეტყვი, ხოაკინ, ასეთ საქციელს უსინდისობა ჰქვია და მარტო იმას ადასტურებს, რომ ეგ შენი ღვთისმოსაობა მხოლოდ საზიზღარი ფარსია და ფარსზე უარესიც...

— ღმერთს გეფიცები, ელენა...

— გაიხსენე, არა ცილი ჰფუცო...

— მაინც ვფიცავ, ელენა, ჩემი რელიგიისკენ მოქცევაც ჭეშმარიტია. მთელი გულით მოვიწოდებე მერწმუნა, ვიფიქრე, იქნებ ჩემი მშთანთქმელი ვნებისაგან რწმენამ მაინც გადამარჩინოს-მეთქი...

— შენი ვნებების ამბავიც კარგად ვიცი!

— არა, არ იცი!

— მშვენივრად ვიცი, უბრალოდ, აბელი გძულს;

— რატომ უნდა მძულდეს?

— შენ უკეთესად იცი! ყოველთვის გძულდა, მანამდეც გძულდა. სანამ ჩვენ ერთმანეთს ვაგვაცნობდა.

— ტყუილია, ტყუილია!

— არა, მართალია, მართალია!

— და მაინც რატომ გგონია, რომ მძულს?

— იმიტომ, რომ მან მიაღწია სახელსა და დიდებას... მაგრამ განა შენ არა გყავს პაციენტები? განა ისინი ნაკლებ შემოსავალს გაძლევენ?

— ყური დამიგდე, ელენა, სიმართლეს გეტყვი, სრულ სიმართლეს, მარტო ეს არ მაკმაყოფილებს! განა მე არ ვოცნებობდი ჭეშმარიტ დიდებაზე, მეცნიერებაზე, იმაზე, რომ ჩემი სახელიც ყოფილიყო დაკავშირებული არაჩვეულებრივ მეცნიერულ აღმოჩენებთან...

— მერე, შენც გაჰყოლოდი მეცნიერებას! რაც არ უნდა იყოს, ნიჭიერი მაინც ხარ.

— გაჰყოლოდი მეცნიერებას. გაჰყოლოდი მეცნიერებას... ჰო, კიდევ გავ-

ყვებოდი, რომ მცოდნოდა, ამ სახელსა და დიდებას შენ გაგიფენდი ფერხით.

— რატომ ანტონიას არა!

— იმაზე ნუ ვილაპარაკებთ!

— აი, სადამდე მიხვედი! მაშასადამე, უთვალთვალე მანამ, ვიდრე ჩემი აბელი სახლიდან. — ელენამ განსაკუთრებული მანერით წარმოთქვა „ჩემი“, — დრო იხელთე და მოხვედი... რომ ასეთი საზიზღარი რამ გეთქვა?

— შენი აბელი... შენი აბელი... მერე როგორ გაფასებს ეგ შენი რაინდი!

— რაო? ახლა ჭორიკანობაც დაიწყე. მამუზღარა და ჯაშუშიც გახდი?

— იცი, რომ მაგ შენ აბელს სხვა მოდელელებიც ჰყავს?

— მერე რა მოხდა? — აღშფოთებით შეჰყვირა ელენამ, — მერე რა მოხდა, თუ ჰყავს? მაშასადამე, მათი მოპოვება შეუძლია! იქნება ესეცა გშურს! შენ ალბათ მეტი არაფერი დაგრჩენია... მარტო შენი ანტონიაც... ახლა კი გასაგებია, რაკი მას სხვაცა ჰყავს, აღარც შენ დააყოვნე, რომ სხვა გეპოვა, არა? ეს ბინძური ჭორებიც იმიტომ მომიბრუნინე, ხომ? ნუთუ სულ დაკარგე სირცხვილის გრძობა, ხოაკინ? წადი, წადი, შენი დანახვაც არ შინდა, გული მერევა!

— ღვთის გულისათვის, ელენა, შემიბრალებ... სულ ნუ გამწირავ!

— წადი, წადი, წადი იმ შენს ეკლესიაში, შე საწყალო ფარისევლო. შურიანო, წადი, იქნება ანტონიამ გიშველოს რამე, თუ ასე ცუდად ხარ!

— ელენა, ელენა! ჩემი შველა მარტო შენ შეგიძლია! რაც გინდა, ის მიიხარი, მაგრამ იცოდე, სამუდამოდ კარგავ ადამიანს...

— აჰა, იქნებ გინდა, შენი გადარჩენის გულისთვის მე დაკარგო ის?

— რალა უნდა დაკარგო, დაკარგული გყავს და ეგ არის. ის შენგან აღარაფერს ელის, აღარც უყვარხარ. მე, მარტო მე მიყვარხარ, მთელი ჩემი სულით, მთელი სინაზით, ისე მიყვარხარ, რომ ოცნებითაც კი ვერასოდეს წარმოიდგენ!

ელენა წამოდგა, შვილის საწოლთან მივიდა, ხელში აიყვანა ბავშვი და ხოაკინს მიმართა:

— წადი! აბელის შვილი გიბრძანებს, აალავე დატოვო ეს სახლი!

XVIII

ხოაკინი უარეს დღეში ჩავარდა, უფრო მეტი ბოღმით აევსო გული და უფრო აბორგდა, რადგან მთლად გააშიშვლა თავისი სული ელენას წინაშე; მერე როგორ მოიჭრა თავი, სახლიდანაც კი გამოაგდო და ცხადად აგრძნობინა, როგორ სძულდა იგი, ყოველთვის სძულდა. ხოაკინმა ახლაც შესძლო თავს მორეოდა და ისევ საკუთარ ოჯახში ეძებნა ნუგეშიცა და წამალიც, მაგრამ ოჯახური კერა მაინც დამთრგუნველი ეჩვენებოდა და კიდევ უფრო მოიღუშა.

იმ ხანებში მათ ოჯახს ერთი მეტად ღვთისმოსავი ქალი ემსახურებოდა, წირვა-ლოცვას რომ არასოდეს დააკლდებოდა და როგორც კი დროს იხელთებდა, გამუდმებით ლოცულობდა. სულ თავდახრილი დადიოდა და ყველა კითხვაზე არაჩვეულებრივად მორჩილი, ოდნავ დუდლუნა ხმაზე პასუხობდა. ხოაკინს რალაც თვალში არ მოსდიოდა იგი და სულ შემთხვევას ეძებდა, დაე-

ტუქსა. ის კი ჩვეულებისამებრ პასუხობდა: „მართალი ბრძანდებით, ჩემო ბატონო!“

— რატომ ვარ მართალი? — იფეთქა ერთხელაც მოთმინებადკარგულმა ბატონმა, — ამჯერად სულაც არა ვარ მართალი.

— კეთილი, სენიორ, ოღონდ არ გაბრაზდეთ, და, არა ხართ მართალი.

— ეგ არის და ეგ?

— ვერ გავიგე, სენიორ!

— როგორ თუ ვერ გაიგე, შე მლიქვნელო და ფარისეველო! რატომ თავს არ იმართლებ? რატომ არ შემეპასუხები? რატომ წინააღმდეგობას არ მიწევ?

— წინააღმდეგობას არ გიწევთ? აკი უფალი ღმერთი და უწმინდესი ქალწული ამას გვიკრძალავს, სენიორ.

— თუ შეცდომას აღიარებს, მეტი რა გინდა? — ჩაერია საუბარში ანტონია.

— შერედა, განა აღიარებს? ამისთანა ამპარტავანის მნახველი არა ვარ.

— მე და ამპარტავანი, სენიორ?

— აი, ხომ ხედავ, მაშ ეს ამპარტავნობა არ არის? თან როგორი ფარისევლური ამპარტავნობა! იქნება ისიც გინდა, ჩემს ხარჯზე გაიწაფო მოთმინებასა და თვინიერებაში, ააკმარისია, გავბრაზდე და აღვშფოთდე, მაშინვე გაეხვევი სათნოებისა და მორჩილების საფარველში, გაწაფვის საშუალება რომ მოგეცეს, მაგრამ არა, ჩემს ხარჯზე არ გამოვა! ჩემს ხარჯზე არა! შენ გინდა, ჩემს ხარჯზე დადგე ღვთის მორჩილი მსახური, არა? იმედი ნუ გექნება. ზეცაში ასვლა თუ გინდა, მე ხელს ვერ შეგაშველებ! აი, რა არის ფარისევლობა!

საბრალო ქალი ქვითინებდა და თან სლუკუნით თავისთვის ლოცულობდა.

— მართალია, ხოაკინ, — თქვა ანტონიამ, — სინამდვილეში მართლაც მოწიწებულია... წინააღმდეგობის გაწევას რა აზრი აქვს, ეს ხომ უფრო უარესად გაგაბრაზებდა!

— არა, ამაზე მეტი უსინდისობა არ ვიცი, როცა სათნოებაში გაწაფვის მიზნით მოყვასის სისუსტით სარგებლობენ, სწორედ რომ უნდა შემედავოს, განა მორჩილებას არა სჯობია, პიროვნება აყოს... და არა მხოლოდ მოახლე...

— ეს უფრო მეტად გაგაბრაზებდა, ხოაკინ, დამიჯერე.

— არა, მე ის უფრო მაბრაზებს, უმაღლეს სრულქმნილებაზე რომ დებენ თავს.

— ცდებით, სენიორ, — თქვა მოახლემ თავაულებლად, — განა მე ჩემი თავი სხვაზე უკეთესი მგონია?

— არა? აი, მე კი ჩემი თავი ყველაზე უკეთესი მგონია! და ვისაც თავისი თავი სხვაზე უკეთესად არ მიაჩნია, სწორედ ის არის უგუნურიც. ერთი ეს მითხარი, ნუთუ იმაზეც თავს დააქნევდი, რომ ეთქვათ, ქალებში შენზე დიდი ცოდვილი არ მოიძებნებაო? აბა, მიპასუხე!

— ამისი კითხვა როგორ შეიძლება, სენიორ!

— მაინც მიპასუხე, აკი ამბობენ, წმინდა ლუი გონზაგას მამაკაცებში ყველაზე ცოდვილად მიაჩნდა თავიო, აბა შენა თქვი, ქალებში ყველაზე ცოდვილად ჩათვლიდი თუ არა თავს?

— სხვათა ცოდვები რა ჩემი მოსაკითხია, სენიორ!

— იდიოტი ყოფილხარ და იდიოტზე უარესიც! მოშორდი აქედან!

- ღმერთმა შეგინდოთ, სენიორ, მე კი შეგინდობთ!
- რას? რას შემინდობ, მითხარი! ან უფალმა ღმერთმა რა უნდა შემინდოს!
- რა გაეწყობა, ბატონო. ძალიან კი მიმძიმს თქვენი დატოვება, მაგრამ ამ სახლში აღარ დამედგომება!
- ჰო, სწორედ აქედან უნდა დაგეწყო კიდეც, — დაასვენა პატრონმა. ცოლთან მართლაც რომ დარჩა, მაშინ ხოაკინმა თქვა:
- ახლა ეს ეშმაკის კერძი მთელ ქვეყანას შემიყრის, ხოაკინი გაგიჟდაო, ან იქნებ მართლა გავგიჟდი, ანტონია, მითხარი, მართლა ხომ არ გავგიჟდი?
- ღვთის გულისათვის, ხოაკინ, მეტი არაფერი თქვა...
- ჰო, ჰო, ვიცი რომ გავგიჟდი... მაშინ ჩამკეტე. ჩემი ბოლოც ეს არის.
- კმარა, ხოაკინ!

XIX

ხოაკინმა მთელი თავისი ფიქრი და აზრი იმაზე გადაიტანა, როგორ აღეზარდა თავისი ქალიშვილი, როგორი განათლება მიეცა მისთვის და როგორ დავცვა იგი ადამიანური ბიწისა თუ მანკიერებისგან.

— აბა ერთი იფიქრე, — ხშირად ეტყოდა ხოლმე ცოლს. — განა ბედნიერება არ არის, ერთადერთი შვილი რომ გვყავს?

— ნუთუ ვაჟიშვილი მაინც არ გინდა?

— არა, არა, ქალიშვილი სჯობია, თან უფრო ადვილიცაა ამქვეყნიურ სიბილწეს მოარიდო. ესეც არ იყოს, თრი რომ გვყავდეს, ერთმანეთის მიმართ შური აღეძვრებოდათ.

— ოჰ, რას ამბობ!

— ნამდვილად ასე იქნებოდა, იმიტომ, რომ ჩვენც ვერ გავუნაწილებდით თანაბრად სიყვარულს, რასაც ერთს აძლევ, იმას ხომ მეორეს ართმევ. ყველა თავისას ითხოვს. არა, არა, უფალი ღმერთის დღეში ყოფნას არ ვისურვებდი...

— როგორ დღეში?

— ამდენი შვილი რომ მყოლოდა... აკი ამბობენ, ჩვენ, ყველანი ღვთის შვილები ვართო.

— ამას რატომ ამბობ, ხოაკინ?

— იმიტომ, რომ ერთი ყოველთვის მეორის ხარჯზეა ჭანსაღად... აბა, თვალი გადაავლე, როგორაა განაწილებული ავადმყოფობა და კარგადმყოფობა!

ხოაკინმა არ ისურვა, მის ქალიშვილს სხვებთან ერთად ევლო სკოლაში; იმიტომ მასწავლებლები სახლში მოიწვია, ხოლო თავისუფალ დროს რომ იპოვიდა, თვითონვე ამეცადინებდა.

საბრალო ხოაკინამაც უმაღლესი ამოიცნო, მამამისი ტანჯული კაცი რომ იყო და მისგანვე გადაეცა ამ ცხოვრებისა და ამ სამყაროს შეცნობის სიმწარე.

— აკი გეუბნებოდი, — უჩიჩინებდა ხოაკინი ცოლს, — ერთი შვილის ყოლა იმითიც სჯობს, რომ ჩვენი სიყვარული გასაყოფი არ ექნება-მეტქი...

— იმასაც ამბობენ, რასაც მეტს გაუყოფ, უფრო მეტს მოიმკიო...

— არა, არ დაიჯერო! ხომ გახსოვს, ის უბედური რამირესი, პროკურადორი რომ იყო? მამამისს თრი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავდა, ძალზე ხელ-

მოკლედ კი ცხოვრობდა. ოჯახში მეორე თავი საჭმელი არასოდეს ჰქონიათ სადილად და თუ ჰქონდათ, ისიც რამირეს-მამისთვის. ზოგჯერ ამ თავის ულუფას ან ერთ ქალიშვილს გაუყოფდა ან ერთ ვაჟიშვილს. თანაც ერთი და იგივე ჰყავდა ამოჩემებული. იშვიათად, მარტო დღესასწაულებზე თუ ჩამოურბებდნენ ხოლმე მეორე ულუფას, ისიც წვნიანს და ერთ ჭედმეტს კიდევ მამას მიართმევდნენ საგანგებოდ. ოჯახის თავი იყო დამსჯულისგან ქალაქით მაინც ხომ უნდა გამოერჩაათ, თან იერარქიაც უნდა დაეცვათ. საღამოობით, ძილის წინ, რამირეს-მამა ყოველთვის იმავე ვაჟსა და იმავე ქალიშვილს აკოცებდა, ორ დანარჩენს კი არასოდეს აკოცნიდა.

— რა საშინელებაა! მერედა, რატომ?

— აბა, რა ვიცი, ეტყობა, უფრო ლამაზი და უკეთესი ეჩვენებოდა.

— კარვახალიც ხომ ასე იყო, თავისი უმცროსი ქალიშვილი თვალის დასანახად ეჯავრებოდა.

— ალბათ იმიტომ, რომ ნაბოლარა იყო და თანაც წინაზე ექვსი წლის შემდეგ გაჩნდა, მაშინ საქმეც ცუდად წაუვიდა და ასე მოულოდნელად ახალ ტვირთი რომ დააწვა... ამიტომ შეარქვეს ზედმეტი...

— ღმერთო, რა საშინელებაა!

— ასეთია ცხოვრება, ანტონია. ყველა საშინელებას ის სთესავს ამ ქვეყანაზე. მაშ რაღა დაგვრჩენია, ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ საყვარული მაინც არა გვაქვს გასანაწილებელი.

— გაჩუმდი!

— მაშ გამაჩუმე!

და ცოლმა გააჩუმა იგი.

X X

აბელის შვილი მედიცინას გაჰყვა და მამამისი ხშირად უყვებოდა ხოლმე ხოაკინს მისი წარმატებების ამბავს. ზოგჯერ თვით ხოაკინიც გაესაუბრებოდა ყმაწვილს, თითქოს რაღაც სიტბოსაც კი გრძნობდა მის მიმართ, რადგან მეტად უსუსური ეჩვენებოდა.

— რატომ მოინდომე, მაინცდამაინც მედიცინას გაჰყოლოდა და არა მხატვრობას? — ჰკითხა ერთხელ ამხანაგს.

— მე არ მომინდომებია, თვითონვე აირჩია ეს გზა. უბრალოდ ხატვის ნიჭი არ დაჰყვა.

— გასაგებია, მედიცინის შესწავლას ნიჭი არ სჭირდება, არა?

— მე ეს არ მიგულისხმია, რა უკუღმართი აზრები მოგდის ხოლმე? ნიჭი კი არა, მხატვრობა ოდნავადაც არ იტაცებს, ისიც ბევრია, თუ ცალი თვალთ მაინც შეხედავს ჩემს სურათებს; თავის დღეში არა მკითხავს, რას აკეთებო.

— იქნება ასე სჯობია კიდევ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მხატვრობას რომ გაჰყოლოდა, თქვენ ორთაგან რომელინეს ხომ უნდა გეჯობნათ. თუ ის ვერ დადგებოდა კარგი მხატვარი, მაშინ აბელსანჩეს-შვილს შეარქმევდნენ, მაშასადამე, აბელსანჩეს-უვარგისს ანდა სანჩეს-უვარგისს ან კიდევ აბელ-უვარგისს. მერედა, ამის ატანა ასე იოლია?

— იმას რომ ეჯობნა ჩემთვის?

- მაშინ შენ ვერ აიტანდი.
- ყველაფერს შენი საზომით ზომავ.
- დამიჯერე, ასე იქნებოდა, მე ვერ მომატყუებ. რომელ მხატვარს უხარია მეორის დიდება, მით უმეტეს, თუ ია მეორე ან შვილია ან ძმა. გარეშე კიდევ პო, მეტი რა გზაა. მაგრამ იმის გაფიქრება რომ შენი სხეულს უფრო გჯობია... არა, ეს არა! რითი ახანი? არა, შენ მართლა უფრო ხელოვანი, რომ მედიცინისკენ უბიძგე.
- შემოსავლის თვალსაზრისითაც ასე სჯობია.
- ახლა მტკიცებაც დამიწყებ, მხატვრობაში ხეირი არა ყრიაო!
- როგორ არა ყრია.
- თანაც სახელი!
- სახელი? სადაპდე მეყოფა...
- ფული უფრო ცოტა ხანს გეყოფა...
- სამაგიეროდ, უფრო საიმედოა.
- ეს უკვე ნამდვილი ფარსია. აბელ, ისე გიჭირავს თავი, თითქოს სახელი სულ არ გენადვლებოდეს.
- გეფიცები, ახლა მართო იმაზე ვფიქრობ, შვილს რაღაც ქონება მაინც დავუტოვო-მეთქი.
- შენ მას კარგ სახელს დაუტოვებ.
- ჩვენს დროში სახელს დიდი ფაჰი არა აქვს.
- შენს სახელს აქვს!
- იქნებ ჩემი ხელის მოწერას უფრო აქვს... სანჩესი! კიდევ კარგი, რომ აბელ ს. პუიგის მოწერა არა მჭირდება!
- სანჩესთა საგვარეულოს მარკიზი რომ არ ეგონო ვინმეს, არა? თან სახელი არ დაგაეჭვებს სანჩესთა გვარში, თანაც კარგად ეღერს — აბელ სანჩესი!

VXI

ხოაკინი რომ ვერა და ვერ მოერია თავს, ვერ ამოიგდო აბელის სახე, ერთი წამითაც რომ არ აძლევდა მოსვენებას და ვერ მოუნახა წამალი თავის ავადმყოფობასა და ჩალამებულ გონებას, ახლა კაზინოში დაიწყო სიარული, ერთ ჯგუფს მიეკედლა: იფიქრა, იქნებ მათთან ურთიერთობამ, უზრუნველმა საუბრებმა მაინც დამაგიწყოს თავი და გამაბრუოსო. განა ცოტანი არიან ღვინოში რომ ეძებენ თავდავიწყებას, მტანჯველი ვნებისა და უიმედო სიყვარულის გაქარწყლებას! ხოაკინმაც გადაწყვიტა თავისი ვნება მათთან საუბარში გაენელებინა. თუმცა კი თავად ბევრს არ ლაპარაკობდა, უფრო უსმენდა. მაგრამ ვაი, რომ ეს წამალი თვით მის სენზე უარესა აღმოჩნდა.

ხოაკინმა მტკიცე პირობა დადო. კაზინოში ყოფნისას ვეცდები ჩემს უსიამოვნო განწყობილებას არ ავყვე, ვიცინო, ვიხუმრო, ჩემი სათქმელიც ვთქვა, სხვათაშორის ჩავურთო სიტყვა, ცხოვრების შორიდან მოთვალთვალე კაცის როლი გავითამაშო, სხვა გულუბრყვილოთა და პროფესიულ სეპტიკოსთა მსგავსად ვითომ მძევ ვაღიარებ, რომ გაგება მიტევებას ნიშნავს. სხვა თუ არა, იმას მაინც ახერხებდა, არაფის დაენახა, რარიგად ღრღნიდა მის სულსა და ნებას უკურნებელი კიბო, მაგრამ ავადმყოფობა მაინც იჩენდა ხოლმე თავს, ლამის

ენის წვერზე მოადგებოდა და გამომჟღავნდებოდა. თანაც იმ დროს, როცა თავადაც არ ელოდა და ყველა იქ მყოფი უმალ იყნოსავდა ამ მძიმე სენის მყრალ სუნს; და ხოაკინი ისევ საკუთარ თავზე გაბრაზებული ბრუნდებოდა შინ, ისევ ისე საყვედურობდა თავს, მხდალი ვარ და თავის დაჭერა არ ვეცდები — მერე ვადაწყვიტა, კახინოს გზას სულ დავივიწყებ, იმ წრეს ახლავს და არ მოვაგვარებო: „არა, არა, ჩემი ფეხი იქ აღარ იქნება, — ამბობდა იგი, — აღარ წავალ მათთან საუბარი უფრო მეტად მაფორიაქებს და მტანჯავს; იქ მოწამლული ატმოსფეროა და ერთიანად გაყდენთილია ავი ვნებებით; არა, აღარ წავალ. მე მხოლოდ მარტოობა თუ მიშვილის, სხვა არაფერი, მარტოობა! მადლიანი მარტოობა!“

მაგრამ ხოაკინი კვლავ ბრუნდებოდა იქ.

ბრუნდებოდა იმიტომ, რომ მარტოობასაც ველარ უძლებდა, რადგან მისი მარტოობა საკუთარ თავთან განმარტოებას არ ნიშნავდა; ის, მეორე, მეორე არ ტოვებდა მარტოს, ის მეორე! ერთხელ, უეცრად მიხვდა, რომ მასთან ნამდვილი დიალოგი ჰქონდა გამართული, მასთან, მეორესთან! და ის, მეორე ამ განცალკევებულ დიალოგებში, ამ დიალოგიზებულ მონოლოგებში სულ პატარა წვრილმანებზე, სულ უმნიშვნელო რამეებზეც კი ესაუბრებოდა, და თან, არცთუ მტრულად. „რატომ არ ვძულვარ მასაც, ღმერთო! — ეკითხებოდა ხოაკინი თავს, — რატომ არ ვძულვარ!“

ერთხელ შეამჩნია, რაღაც შემზარავ, ნამდვილ ეშმაკეულ ლოცვას რომ წარმოთქვამდა, ღმერთს ევედრებოდა, რა იქნება, მის სულშიც ჩაასახლე სიძულვილი, ჩემდამი სიძულვილიო, მეორეჯერ კი — „ეეჰ, რა იქნება, მასაც აღეძვრებოდეს ჩემდამი შური... მასაც გაუჩნდებოდეს შურის გრძნობა!...“ ამ ფიქრმა ელვასავით გაჰკვეთა მისი სულის წყვილი და სიხარული მოჰგვარა, სულშიც თითქოს ყველაფერი გათბა და გალღვა; სიხარულისგან მთელს ტანში ერუანტელმა დაუარა: „რა იქნება, რომ გულში შური ჩაუვარდებოდეს! შური ჩაუვარდებოდეს!“

„მაგრამ ვაითუ, სულ სხვაა ჩემი სატკივარი, — მაშინვე თქვა მან, — ვაითუ თვითონვე მძულს საკუთარი თავი და მშურს საკუთარი თავისა!...“ იგი კართან მივიდა, გასაღებით დაკეტა, ყველა კუთხე-კუნჭული მოათვალიერა და როცა დარწმუნდა სულ მარტო იყო, დაიხოჭა და გულამომჯდარმა მხურვალე ლოცვა დაიწყო ჩუმად: „უფალო ღმერთო, შენ არ მასწავლე, შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო? რატომ არ მიყვარს ჩემი მოყვასი, რატომ არ შემიძლია მისი სიყვარული, ვაითუ იმიტომ, რომ ჩემივე თავი არ მიყვარს და არ შემიძლია შევიყვარო, რამეთუ ეს უნარი არც გამაჩნია! ასეთი მაინც რა დამმართე, უფალო!“

მერე ბიბლია აიღო და იმ ადგილზე გადაშალა, სადაც წერია: „და თქუა უფალმან ღმერთმან კახინის მიმართ; სადა, არს აბელ ძმა შენი?“ წიგნი ფრთხილად დახურა და ჩაიბუტბუტა: „სადა ვარ მე თვითონ?“ უეცრად გარედან რაღაც ხმაური შემოესმა და კარის გასაღებად გაეშურა. „მამა, მამიკო!“ — შესძახა გოგონამ და ოთახში შეირბინა. მისმა წკრიალა, ბავშვურმა ხმამ სიციცხლისკენ შემოაბრუნა ხოაკინი, გოგონას აკოცა, მერე დაიხარა და ყურში ისე ჩუმად ჩასჩურჩულა, რომ ალბათ ბავშვმა ვერც კი გაიგო: „ილოცე მამა-შენისთვის, ჩემო შვილიკო!“

— მამა! მამა. აწყალობლად წამოიძახა გოგონამ და კისერზე მო-
ეხვია.

ხოაკინმა შეიღს მხარზე თავი დაადო და აქვითინდა.

— რა დაგემართა მამა? ხომ არაფერი გტკივა?

— ჰო, მტკივა. ნურაფერს მკითხავ!



XXII

ხოაკინმა ისევ კაზინოს მიაშურა. უსარგებლო იყო გაჯიუტება. მაინც
სულ საბაბს ეძებდა იქ წასასვლელად. და ამ წრის წისქვილი ისევ ისე ბრუ-
ნავდა და მასაც ძვალრბილიანად ფქვავდა.

ამ წრეში ტრიალებდა ენამწარე ფედერიკო კუადრადოც, რომელსაც სულ
ყური ჰქონდა დაცქვეტილი და როგორც კი გაიგებდა, მავანი მავანს აქებსო,
მაშინვე ასე იკითხავდა: „ეს ქება ვილას წინააღმდეგაა მიმართული?“

— მე მაგალითად, ექვიც არ მეპარება, — იტყოდა ხოლმე ცივად და მჭა-
ხედ, — გამოქექილ კაცს იოლად ვერ გააცურებ. რა ძნელი მისახვედრია,
როცა ერთს აქებენ, მაშასადამე, ამ ქებით სხვას, მეორეს ამცირებენ, იმ შემ-
თხვევაშიც კი, თუ განზრახ არ აქებენ... კეთილი სურვილებით არავინ არა-
ვის აქებს.

— ასეა, — აიტაცა მისი სიტყვა ლეონ გომესმა, რომელიც სულ ცდი-
ლობდა ამ ცინიკოსი კუადრადოსთვის ხმა შეეწყო, — აი, აქ, ჩვენს შორის
გახლავთ დონ ლეოვიხილდო, ვისგანაც სხვისი აუგად ხსენება არავის გაუ-
გონია...

— კარგია, — ჩაერია საუბარში პროვინციის დეპუტატი, — მაგრამ საქ-
მე ისაა, რომ დონ ლეოვიხილდო პოლიტიკოსია და ამდენად, იძულებულია,
ყველასთან კეთილი ურთიერთობა დაამყაროს. აბა, შენ რაღას იტყვი, ფე-
დერიკო?

— მე იმას ვიტყვი, რომ დონ ლეოვიხილდო, მართალია, არავიზე ცუდს
არ იტყვის, მაგრამ არც არავიზე კარგს არ იფიქრებს... რასაკვირველია, თავის
მოყვასს არასოდეს ხელს არა ჰკრავს და არ გადაჩეხავს, უფრო მეტიც, მაშინ-
ნაც კი არა ჰკრავს ხელს, როცა იცის, რომ არავინ უყურებს, რამეთუ დონ ლე-
ოვიხილდოს მართლმსაჯულების კოდექსის გარდა, ჯოჯოხეთის შიშიც დიდი
აქვს, მაგრამ, თუ ვინმე თავისთავად გადაიჩეხება და თავპირს დაიმტვრევს,
გულით გაიხარებს და მისი დამტვრეული თავ-პირის ხილვით რომ უფრო
მეტად დატკბეს, პირველი გაიქცევა მის სანახავად და თანაგრძნობის გამო-
საცხადებლად.

— არ მესმის, ასეთი აზრებით როგორ შეიძლება კაცმა იცხოვროს! —
თქვა ხოაკინმა.

— მაინც როგორი აზრებით? — სიტყვის დამთავრება ძლივს აცალა ფე-
დერიკომ, — როგორიც ჩვენა გვაქვს, ლეოვიხილდოს, მე და შენ?

— ჩემზე, მგონი, არავის არაფერი უთქვამს და არც მე წამომიწყია ეს
საუბარი.

— სამაგიეროდ, მე ვამბობ, შვილო ჩემო, ჩვენ, ვინც აქა ვართ, ერთმა-
ნეთს რომ მშვენივრად ვიცნობთ...

ხოაკინმა იგრძნო, ფერი დაკარგა. ფედერიკოს სიტყვებმა „შვილო ჩემო“, რომელსაც მაშინ წარმოთქვამდა, როცა უნდოდა ვინმესთვის კლანჭი გაეკრა, ყინულის ხანჯალივით დაუარა მთელს გულ-გვამში.

— ვერ გამიგია, ასე რატომ გძულს დონ ლეოვიხილდო, — თქვა ხოაკინმა და მაშინვე ენაზე იკბინა, რადგან მიხვდა თვითონვე დაუსწრებლად ცეცხლზე ნავთი.

— გძულსო? მე მძულს? ვინ, დონ ლეოვიხილდო?

— ჰო, ჰო, ვერ გამიგია, ამისთანა რა დაგიშავა!..

— ჯერ ერთი, შვილო ჩემო, სულაც არ არას აუცილებელი, ადამიანმა რამე დაგიშავოს და ამიტომ გძულდეს. საკმარისია, იგი შეიძულო, რომ მაშინვე სრულიად ძალდაუტანებლად შეგიძლია წარმოიდგინო, რა შეეძლო დაეშავებინა... მე სხვაზე მეტად სულაც არა მძულს დონ ლეოვიხილდო. იგი ადამიანია და ესეც კმარა, თანაც წესიერი ადამიანი!

— შენთვის, შენისთანა მიზანთროპისტისა... — ის იყო წამოიწყო პროვინციის დეპუტატმა.

— მგონია, ასჯერ მაინც პითქვამს, რომ ამ ქვეყანაზე ადამიანისთანა უკეთური და წამხდარი არსება არ დადის-მეთქი, მით უმეტეს კი წესიერი ადამიანისთანა.

— აბა, აბა! შენ რაღას იტყვი, ჰო, შენ, ამას წინათ პატიოსან პოლიტიკაზე რომ ქადაგებდი და დონ ლეოვიხილდო მოიყვანე მაგალითად? — მიუბრუნდა ლეონ გომესი დეპუტატს.

— პატიოსან პოლიტიკაზეო! — წამოიძახა ფედერიკომ. — აი, რაც არ არის, არ არის!

— მერედა, რატომ არ არის? — ერთხმად იკითხა სამმა კაცმა.

— როგორ თუ რატომ? თუ გახსოვთ, მანვე უპასუხა ამ კითხვას. თვითონვე უწოდა სრულიად უსირცხვილოდ თავის თავს პატიოსანი, განა პატიოსნებაა, ასე რომ დაიწყებ საკუთარ თავზე კაცი ლაპარაკს? აკი სახარებაშია ნათქვამი, რომ ქრისტე, ჩვენი მაცხოვარი...

— ქრისტეს მაინც ნულარ ახსენებთ ამისთანა საუბარში! — შეაწყვეტინა ხოაკინმა.

— რაო? არც ქრისტეს ხსენება გვამება, შვილო ჩემო?

ერთი წამით შავ-ბნელი და ცივი ღუმილი ჩამოწვა.

— ქრისტემ, ჩვენმა მაცხოვარმა, — განაგრძო ფედერიკომ, — დაიბარა მისთვის კეთილი არ ეწოდებინათ, რამეთუ კეთილი მარტო ერთი უზენაესი არისო, თუმცა ქრისტიანებს შორის ბევრი ისეთი ღორიც მოიძებნება, ვინც უსირცხვილოდ აცხადებს, წესიერი ვარო.

— მაგრამ აკი წესიერება და სიკეთე ერთი და იგივე არ არის, — სიტყვა შეაშველა დონ ვისენტემ, თანამდებობის პირმა.

— კარგია, რომ ამას თქვენ ამბობთ, დონ ვისენტე, თანამდებობის პირი, მადლობა ღმერთს, ერთი თანამდებობის პირისგან მაინც მოვისმინე სამართლიანი და ჭკვიანური სიტყვა!

— მაშასადამე, — თქვა ხოაკინმა, — ადამიანმა ვერ უნდა აღიაროს, წესიერი ვარო? მაშ უსინდისობადა...

— ამას რაღა აღიარება უნდა!

— სენიორ კუადრადოს ალბათ იმისი თქმა უნდოდა, — ჩაურთო დონ

ვისენტემ, თანამდებობის პირმა, — რომ ადამიანმა შეიძლება ერთ ალიაროს თავისი უგვანობა. მაგრამ ის არ უნდა იფიქროს, უკეთესი გავხდებით, ასე არ არის?

— ყოჩაღ! — წამოიძახა პროვინციის დეპუტატმა. ეროვნული

— მე კი ვიტყვოდი, შვილო ჩემო, — სვენებ-სვენებებში ვხედავდი ფედერიკომ, რათა პასუხისთვის დრო მოეგო, — უნდა იცოდეთ, რითია ღირსშესანიშნავი აღსარების საიდუმლოება ჩვენს დედა-ეკლესიაში...

— ჩვეულებრივი ველურობაა, — შეაწყვეტინა თანამდებობის პირმა.

— რატომ ველურობა? პირიქით, მეტისმეტად ბრძნული დაწესებულებაა. აღსარება საშუალებას გვაძლევს გულდამშვიდებით შევცოდოთ, რამეთუ ვინც აცოდავს, იმან წინასწარ იცის, ცოდვა მაინც მიეტევება, მართალს არ ვამბობ, ხოაკინ?

— ცხადია თუ კაცი არ მოინანიებს, მაშასადამე, არც...

— პო, შვილო ჩემო, ასეა, მოინანიებს და მერე ასევე შესცოდავს, ისევ მოინანიებს და ისევ შესცოდავს და რაკი იცის, რომ თუ შესცოდავს, მოინანიება და თუ მოინანიებს, ისევ შესცოდავს, მაშინ მოინანიებასა და შეცოდებასაც ერთდროულად დაიწყებს. ასე არაა?

— ადამიანს ვერ ამოიცნობ, — თქვა ლეონ გომესმა.

— კეთილ ინებე და ამისთანა სისულელეების ლაპარაკს შეეშვი! — შეაწყვეტინა ფედერიკომ.

— რა ვთქვი მაინც ასეთი სისულელე?

— ყოველგვარი ფილოსოფიური სენტენცია, აქსიომა თუ გაფუყული განზოგადებული სიტყვა, მით უმეტეს, თუ აფორიზმის სამოსელშია ვახვეული, სისულელეა.

— მაშინ თვით ფილოსოფია რაღაა?

— არავითარი ფილოსოფია არ არსებობს, იმის მეტი, რასაც აქ, ჩვენ ვლაპარაკობთ...

— და რაც ერთმანეთის ტყავის გაძრომას გულისხმობს?

— ზუსტად ასეა. ამაზე კარგად ადამიანზე არაფერი მოქმედებს.

წასვლის დრო რომ დადგა, ფედერიკო მიუახლოვდა ხოაკინს და უთხრა, თუ სახლისკენ მიდიხარ, შუა გზამდე მაინც გამოგყვებიო. ხოაკინმა მოიმიზეზა, აქვე ახლოს უნდა შევიაროთ და ამაზე ფედერიკომ უბასუხა:

— მეამის შენი, უბრალოდ თავიდან მიშორებ, მარტო დარჩენა გინდა, მესმის.

— რა გესმის?

— ის, რომ მარტოობას არაფერი სჯობს. მაგრამ როცა ძალიან ვაგიჟირდება მარტოობა, მოდი ჩემთან, ჩემზე უკეთ ვერავინ შეგიმსუბუქებს დარდს.

— შენ რაღა გაქვს სადარდებელი? — სიტყვა გადაუკრა ხოაკინმა.

— ეეჰ, ეს ვიღას ახსოვს!

და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.



იმხანად ქალაქში ერთი საწყალზე საწყალი კაცი დაეხეტებოდა, არაგონელი იყო, ხუთი შვილის მამა როგორც შეეძლო, ისე გაქონდა, ხან ვადამწერი იყო და ხან რა, არაფერს უკადრისობდა, ოღონდ კი რამე ეშოვა. საბრალო ხშირად აწუხებდა ნაცნობ-მეგობრებსაც, თუკი, რასაკვირველია. ამისთანა დღეში მყოფს შეიძლება ნაცნობ-მეგობრები ჰყავდეს და, სხვადასხვა საბაბით ორ-სამ დუროს ესესხებოდა; ანდა, უფრო სავალალო ის იყო, რომ ზოგჯერ შვილს გააგზავნიდა სათხოვნელად და ზოგჯერ ცოლსაც კი, თან ბარათს გაატანდა. ხოაკინს არაერთხელ გაუმართავს მისთვის ხელი, როცა იმ ოჯახის რომელიმე წევრი ავად გახდებოდა, და მიიწვევდნენ. მაშინ მიეცემოდა ხოლმე ამის საშუალება. ხოაკინს განსაკუთრებულ კმაყოფილებას ჰკვირდა ამ უბედური კაცის დახმარება, მისი სახით ადამიანურ უსამართლობათი მსხვერპლს ხედავდა.

ერთხელ აბელსაც ჩამოუვდო მასზე სიტყვა.

— ჰო, ვიცნობ, — უბასუხა აბელმა, — რამდენჯერმე მეც მივეცი სამუშაო, მაგრამ ნამდვილი უქნარა და უსაქმურია. თავისი მწუხარების გაჭარწყლების საბაბით სულ კაჟეებში დაეხეტება, სახლში კი ამ დროს ნამცეციც არ მოეპოვება; არც სიგარეტს იკლებს, ყოველდღე თითო კოლოფს ყიდულობს და ვითომ სიგარეტის ბოლს აყოლებს თავის დარდს, როცა რგოლებად უშვებს ხოლმე ზემოთ.

— ეს კიდევ ბევრა არაფერს ნიშნავს, აბელ. ამას უფრო ღრმად უნდა ჩახედო, თვით არსში ჩასწვდე...

— მართო ლამაზი სიტყვებია. მომბეზრდა მისი გაუთავებელი ტყუილები და მანკვა-გრეხა, ფულს რომ გთხოვს, თან არ შეიძლება არ დააყოლოს. „როგორც კი საშუალება მექნება, აუცილებლად დაგიბრუნებ...“ ამას ხომ მათხოვრობა აჯობია, უფრო პატიოსანიც გამოჩნდება და კეთილშობილიც. ამას წინათ სამი დურო მესესხა, ავდექი და სამი პესეტი მივეცი, თან ვუთხარი, ნუ დამიბრუნებ-მეთქი. მართლა უსაქმურია!

— მერედა, რა მისი ბრალია!..

— აჰა, დაიწყე შენებურად, რა მისი ბრალია, რა დააშავა?..

— რალა თქმა უნდა, სად არის დანაშაულის პირველი მიზეზი?

— კარგი, მოვეშვათ ამაზე ლაპარაკს. თუ გინდა დაეხმარე, ვინ გიშლის, არც მე ვკრავ ხელს, როცა დასჭირდება, ფულსაც მივცემ.

— ვიცი, შენ ხომ შინაგანად...

— ვინ რა ვართ შინაგანად, ამაზე ნურაფერს ვიტყვით, მე მხატვარი ვარ და სულაც არ მაინტერესებს, რა აქვს ადამიანს შიგნით. უფრო მეტსაც გეტყვი და პირდაპირ გეტყვი, ყველას სახეზე აწერია, რაც შიგნით არის.

— ასეა! ცხადია, შენთვის ადამიანი მხოლოდ მოდელია...

— მერედა, შენ ეს გეცოტავება? შენთვის რალაა? აიღე და დაიღე, ავად-მყოფი, მეტი რა? უნდა შეისწავლო, მოუსმინო შიგნიდან დაინახო და...

— მერე განა შესაშური არაა!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ადამიანია შინაგანი არსის ჩაწვდომას რომ ეცდები, მერე ნელ-ნელა საკუთარ თავსაც უფრო კარგად მოუსმენ და შეისწავლი...

— შენ ეს უპირატესობად მიგაჩნია, ხოლო მე თუ მკითხავ, ამისთვის უბრალოდ, სარკეც საკმარისია...

— სარკეშიც იყურები ხოლმე?

— რასაკვირველია! არ იცი, რომ ავტოპორტრეტი დაფიქსირებული

— უეჭველად შედეგრი იქნება...

— არა, ურიგო მართლაც არ არის... შენ, შენ თუ შეისწავლე შენი თავი შეგნიდან, როგორც ჯერ არს?



ბიზლიჩისევა

ამ საუბრის მეორე დღეს ხოაკინი ფედერიკოსთან ერთად გამოვიდა კაზინოდან; უნდოდა იმ უტიფარი მათხოვრის ამბავი გამოეკითხა მისთვის. „ოღონდ სიმართლე უნდა მითხრა, გთხოვ. მაგ შენ ცინიზმს ცოტა ხანს მაინც შეეშვი, ახლა ხომ მარტონი ვართ და არავინ გვისმენს“.

— იცი, რას გეტყვი, ამ მართლაცდა ეშმაკის კერძის ადგილი ციხეშია, უკეთესად მაინც აჭმევენ და თან მშვიდადაც იქნება.

— საამისო მაინც რა ჩაიდინა?

— არაფერიც არ ჩაუდენია, მაგრამ ჩაიდენდა, ამიტომაც ვამბობ. მისი ადგილი ციხეშია-მეთქი.

— მაინც რას ჩაიდენდა?

— თავის ძმას მოკლავდა.

— ისევ შენებურად გაუტიე?

— არა, მართლა, ახლავე მოგიყვები. მოგეხსენება, ეგ ბეჩავი არაგონელი გახლავს; ისიც გეცოდინება, რომ იქ, არაგონიაში მემკვიდრეობითობის უფლების სრული თავისუფლება არსებობს. თავისდა საუბედუროდ პირველი შვილი იყო და, რა თქმა უნდა, პირველი მემკვიდრეც. მაგრამ ამ უიღბლოს თურმე ერთი ღარიბი ქალიშვილი შეუყვარდა, ძალზე ლამაზი კი ყოფილა და თანაც, ეტყობა, პატიოსანიც. მამამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, შვილს დაემუქრა. თუ შეირთავ, მემკვიდრეობას წაგართმევო, მაგრამ ის ისე იყო სიყვარულისაგან დაბრმავებული, რომ იფიქრა, ჩემს სატრფოს სახელი რომ გავუტეხო, იქნებ ამით მაინც ვაიძულო მამაჩემი თანხმობა მომცეს და სახლიდანაც გამოვეყოლო... ასე ცხოვრობდა იმავე სოფელში თავის სიმამრ-სიდედრთან ერთად, მუშაობდა და იმედს არ კარგავდა, მამაჩემი ოდესმე გულს მოიბრუნებს და შემინდობსო. მამა კი ჯიუტად იდგა თავის სიტყვაზე, აბა სადაური არაგონელი იყო, წარბიც არ შეუხრია, მოკვდა და მთელი ქონება უმცროს ვაჟს დაუტოვა, კაი გვარიანი ქონება კი ჰქონოდა. ცოტა ხანს არ გაუვლია და ამ ჩვენი მათხოვრის ცოლის მშობლებიც დაიხოცნენ თურმე, რა უნდა ექნა, ადგა და თავის ძმას მიადგა. იქნებ რამე სამუშაო მომცეს და ხელი გამიმართოსო, ძმამ ცივი უარით გამოისტუმრა; ეს საცოდავი შიშმა აიტანა, ნამდვილად შემომაკვდებო. გულიც ამას ეუბნებოდა, ამიტომ აიბარგა და აქ გადმოსახლდა, ძმის მკვლელობას, ასე მათხოვრობითა და მოწყალებით ცხოვრება არჩია. ეს ამბავი ალბათ თავადვე ხედავ, კარგი გაკვეთილია.

— ჰო, ბევრ რამეზე დაგაფიქრებს.

— ასეა, ძმა რომ მოეკლა, იაკობის ეს ნაირსახეობა, რასაკვირველია, ბოროტება იქნებოდა, მაგრამ არც ისაა დიდი შეღავათი რომ ვერ მოკლა...

— შეიძლება უარესიც კია.

— ამას ნუ იტყვი, ფედერიკო.

— ასეა, სწორედ ასეა, მთავარი ის კი არ არის, ასე ყველასგან მოძულე-
ბული სამარცხვინოდ, მათხოვარივით რომ ცხოვრობს, ამაზე უარესი ისაა, ძმის
სიძულვილი რომ ასულდგმულებს.

— რომ მოეკლა?

— მაშინ სიძულვილისაგან მაინც გათავისუფლდებოდა და ახლა დანაშაუ-
ლის მონანიება მისი ხსოვნის სიყვარულს მაინც შეუნარჩუნებდა. მოქმედება
ხომ ავი გრძნობებისგან ათავისუფლებს კაცს, სულს კი სწორედ ეს ავი გრძნო-
ბები გვიშხამავს. დამიჯერე, ხოაკინ, ეს მაინც კარგად მომეხსენება...

ხოაკინმა დაჟინებით შეხედა მას და ჰკითხა:

— შენ რაღა გაწუხებს?

— შეილო ჩემო, სჯობია არა მკითხო, ანდა შენთვის რა მნიშვნელობა
აქვს? მარტო ისიც კმარა, თუ გეტყვი, რომ ჩემი ცინიზმი მხოლოდ თავდაც-
ვის საშუალებაა და ამის სათავე ისაა, რომ მე სულაც არა ვარ იმისი შვილი,
ვინც თქვენ მამაჩემი გგონიათ; მე ხომ დედაჩემმა სასიყვარულო კავშირის შე-
დეგად გამაჩინა. ამიტომაც მშობელ მამასავით ქვეყანაზე არავინ მძულს. სწო-
რედ ის იყო ნამდვილი ჯალათი მეორასა, ვის წყვეულ სახელსაც დღეს ვატა-
რებ და, რომელიც სიმდაბლისა და სიმხდალის გამო მივიღე...

— განა მამა ის არ არის, ვინც ვაგზარდა და არა ის, ვინც...

— შენ ვისაც გულისხმობ, იმას სულაც არ ვაგზარდივარ, მხოლოდ სი-
ძულვილის შხამით მომწამლა იმისადმი, ვინც მე სულა ჩამიდგა, ვინც აიძუ-
ლა რომ დედაჩემი შეერთო ცოლად.

XXIV

აბელინმა, აბელის ვაჟმა სწავლა რომ დაასრულა, მამამისმა მეგობარს
სთხოვა, ასისტენტად აიყვანე და გვერდით იყოლიეო. ხოაკინი დაეთანხმა.

„მე იგი ავიყვანე რაღაც უცნაურ, აღრეულ გრძნობათა კარნახით, —
ჩაწერა მოგვიანებით ხოაკინმა თავისი ქალიშვილისადმი მიძღვნილ „აღსარე-
ბაში“, — ეს იყო ცნობისმოყვარეობაც, მისი მამისადმი სიძულვილიც, თავად
ყმაწვილისადმი სიმპათიაც, რომელიც მაშინ ძალზე საშუალო მეჩვენებოდა და
იმის სურვილიც, რომ ამ გზით გავთავსუფლებულიყავი ავი ვნებისგან. სად-
ღაც სულის სიღრმეში ბოროტი სული თავისას მიჩიჩინებდა. შვილს მარცხი
ნამის დიდებას გააბათილებსო. ერთის მხრით, მინდოდა მამისადმი სიძულვილი
შვილისადმი ყურადღებით გამოემსყიდა, მეორეს მხრით კი — წინასწარ ეტკებე-
ბოდა, როგორ ვიხილავდი აბელ სანჩესი-უმცროსის დამარცხებას მედიცინაში
და ეს დამარცხება მამამისის მხატვრობაში გამარჯვებას გაუთანაბრდებოდა.
მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ვერ გავითვალისწინე, რა ღრმა სიყვარული გაიღვი-
ძებდა ჩემს სულში იმისი შვილის მიმართ, ვინც ასე დამიბნელა და მომიწამ-
ლა წუთისოფელი“.

და მოხდა ისე, რომ ხოაკინი და აბელის პირმშო საოცარი ძალით მიეჯაჭ-
ვნენ ერთმანეთს. აბელინმა იშვიათი საზრიანობა და ღრმა ინტერესი გამოაქ-
ვლინა ხოაკინთან მეცადინეობის დროს და მცირე ხანს არ გაუვლია უკვე მას-
წავლებელს უწოდებდა მას; და აი, მასწავლებელსაც გაუჩნდა მიზანი. იფიქ-

რა, აბელინისგან ბრწყინვალე ექიმს გამოვიყვანო, რაც კი რამ კლინიკებში გამოცდილება დამიგროვებია, მისთვის არ დავაშურებო. „ხელს შევეწყობ, — ფიქრობდა ხოაკინი. — დაე, მან აღმოაჩინოს ის, რაც მე უნდა აღმოაჩინა და ამ ჩემმა წყეულმა ამღვრეულმა სულაერმა მდგომარეობამ დააწინაურება“.

— მასწავლებლო, — უთხრა ერთხელ აბელინმა. — ხომ შეიძლება, რომ ყველაფერი ეს, რაც კი მაჩვენეთ, გაფანტული დაკვირვებები, მონაცემები, შენიშვნები და სხვა ასეთი, ერთად შეკრიბოთ და წიგნი დაწეროთ? ამაზე საინტერესოსა და სასარგებლოს რას გააკეთებდით? მერედა რა გენიალური მიგნებები და რამოდენა მეცნიერული ალღო გაქვთ...

— არა, შვილო (ასე მიმართავდა აბელინს), — მიუგო ხოაკინმა. — არ შემიძლია, არ შემიძლია... არც საამისო გუნება-განწყობა მაქვს და არც მიზანდასახულება თუ გამბედაობა მყოფნის, გამძლეობა და რა ვიცი, კიდევ რა...

— ამისთვის თავი უნდა ვადასდოთ...

— ჰო, შვალო, ჰო, რასაკვირველია თავი უნდა გადავდო. მეც არაერთხელ მიფიქრია ამაზე, მაგრამ ვერა და ვერ ვადამიწყვეტია. წიგნის წერა რომ დაიწყო... აჰ, ჩვენთან, ესპანეთში... თანაც მედიცინაზე... განა ღირს? ფუჭი გარჯაა...

— არა მასწავლებლო, თქვენთვის არ იქნება ფუჭი, ეჭვიც არ მეპარება.

— სჯობია, ჩემი გასაკეთებელი შენ გააკეთო... დაანებე თავი ამ საძაგელ პაციენტებს და ნამდვილი მეცნიერების გზაა დაადექი, მთავარია, კვლევა—ფიზიოლოგია, პისტოლოგია, პათოლოგია და არა გასამრჯელოსთვის დიაგნოზების დასმა. შეძლება არ გაკლია, მამაშენის სურათებიც საკმაო შემოსავალს გაიღვეს, ყველა პირობა გაქვს, რომ შენ გადასდო მეცნიერებისთვის თავი.

— იქნება ასეც არის, მასწავლებლო. მაგრამ თქვენი გასაკეთებელი თქვენვე უნდა გააკეთოთ, ვალდებულიც ხართ, კლინიკებში მუშაობის გამოცდილება ყველას გააცნოთ.

— ყური დამიგდე, თუ გინდა, ასე მოვიქცეთ, მოგცემ ჩემს შენიშვნებს, დავურთავ განმარტებებს, ჩემის მხრით ყოველნაირად დავეხმარები და შენ გამოაქვეყნე წიგნი; თანახმა ხარ?

— ბრწყინვალეა, მასწავლებლო! მას შემდეგ, რაც მე თქვენი ხელმძღვანელობით ვმუშაობ, იმ დღიდან ვიწერ თითოეულ თქვენს სიტყვას, შენიშვნას..

— კარგი გიქნია, შვილო, ძალიან კარგი! — და აღელვებული ხოაკინი ყმაწვილს მოეხვია.

ამ საუბრის შემდეგ ხოაკინმა იფიქრა: „იგი იქნება ჩემი ჭეშმარიტი კმნილება! ჩემი და არა თავისი მშობელი მამისა, იგი ჩემზე ილოცებს და ბოლოს, იმასაც მიხვდება, ვინ უფრო ძვირფასია მისთვის, მე თუ მამამისი, ჩემი სამედიცინო პრაქტიკა უფრო მეტი ხელოვნებაა თუ მამამისის ფერწერა. ეს კი იმით დამთავრდება, რომ მე მას წავართმევ შვილს... წავართმევ! მან მე ელენა წამართვა, მე კი შვილს წავართმევ! ის ჩემი იქნება და ვინ იცის... როცა მთელ მის ავ-კარგს საკმაოდ ჩასწვდება, გაიგებს, რა დღეში ჩამავდო, იქნებ სულაც ზურგი აქციოს საკუთარ მშობელს...“



- ერთი ეს მითხარი, გეთაყვა, მაინც რატომ მოიწადინე მედიცინის შესწავლა? — ჰკითხა ერთხელ ხოაკინმა თავის მოწადეს. **ეროვნული**
ბიბლიოთეკა
- მართალი ვითხრათ, არც მე ვიცი...
- ჩემის აზრით, უფრო ბუნებრივი აქნებოდა, ფერწერას გაჰყოლოდი; როცა შვილები მამების პროფესიას ირჩევენ, აქ უფრო ხშირად თავს იჩენს ხოლმე მიბადვის სული... გარემო...
- მე კი მხატვრობა არასოდეს მიტაცებდა, მასწავლებლო.
- ვიცი, ვიცი, მამაშენიც შემომჩიოდა.
- მით უფრო, მამაჩემის მხატვრობა...
- საოცარია, საოცარია, მაინც რატომ?
- მე მას სულ ვერა ვგრძნობ და არცა მჯერა, რომ თავად იგი გრძნობს.
- ეს მეტისმეტია, მგონა, აბა ამიხსენი ერთი, რატომ!
- აქ ჩვენ მართლ ვართ, არავინ გვისმენს და გეტყვით: აი, თქვენ, მასწავლებლო, თითქოს ჩემი მამა ხართ... მეორე მამა... ასეა... მით უფრო, რომ თქვენ მამაჩემის ყველაზე ძველი მეგობარი ხართ, მისგანვე გამიგონია, მთელი ცხოვრება მეგობრები ვიყავითო, ლამის აკვნიდან იცნობთ ერთმანეთს და ამეზივით ხართ.
- ჰო, ჰო, მართალია, მე და აბელი ძმეზივით ვართ... მერე...
- ჰოდა, დღეს მინდა ვული გადაგიშალოთ, მასწავლებლო.
- ყველაფერი ჩვენ შორის დარჩება, ჩვენი საუბრის შესახებ ვერა სულიერი ვერაფერს გაიგებს.
- იცით რა, ეჭვი მეპარება, რომ მამაჩემი საერთოდ გრძნობს ხელოვნებას. სულ მანქანასავით მუშაობს, უბრალოდ, ბუნებრივი ნიჭი აქვს მომადლებული, თორემ გრძნობით...
- შეც ამასვე ვფიქრობდი ყოველთვის.
- ამის გარდა, ამბობენ, ამოდენა სახელს თურმე თქვენ უნდა გიმადლოდეთ, მასწავლებლო, ხალხს დღემდე ახსოვს თქვენი სიტყვა, რომლის წყალობითაც ასე გაითქვა სახელი.
- აბა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა. სხვა რა უნდა მეთქვა.
- არ ვიცი, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მამაჩემს ნამდვილად არც ფერწერის გრძნობა აქვს და არც სხვა რამისა. ჩოგჯერ ისიც კი მგონია, მასწავლებლო, მთლად უნიათოა-მეთქი.
- ასეც არაა, შვილო.
- ჰო, ჰო. სწორედ რომ უნიათოა. დიდების მეტი არაფერი ხიბლავს ცხოვრებაში. თავი კი ისე უჭირავს, ვითომ ქებას არაფრად ავდებს, მაგრამ ეს სულ მოჩვენებითია, ფარსია. სინამდვილეში ყური სულ ტაშისკენ უჭირავს. ეგოისტია, წმინდა წყლის ეგოისტი. არავინაც არ უყვარს...
- ვითომ არავინ?
- არა, დავიფიცებ. ამ ქვეყანაზე არავინაც არ უყვარს, მასწავლებლო! ვერ გამიგია დედაჩემი როგორღა შეირთო, ძალიან მეეჭვება, რომ სიყვარულით შეუღლდნენ...
- ხოაკინი გაფითრდა.
- ჰო, — განაგრძო აბელინმა, — განა ერთი და ორი გატაცება და კავ-

შირი ჰქონია თავის მენატურებთან, მაგრამ ესეც მისი ახირებაა და მეტი არაფერი, და კიდევ, თავის მოწონების მიზნითაც... არავინაც არ უყვარს...

— მე კი მგონია, შენ მაინც უნდა...

— ყურადღებაც კი არასოდეს მოუქცევია ჩემთვის; რასაც ვიკრძე, მარჩენდა, სწავლის ქირას მიხდიდა, ფული არასოდეს დანანებია და ახლაც, საერთოდ ფულის დანანება არ იცის, მაგრამ ჩემს არსებობას თითქოს ვერც კი ამჩნევს. ზოგჯერ, რაიმე თუ მიკითხავს მისთვის, ისტორიაზე, ხელოვნებასა თუ ტექნიკაზე, ანდა თუნდაც მის საკუთარ მოგზაურობაზე, მუდამ ასე მიპასუხებდა: „მომეშვი!“ ერთხელ დამიყვირა კიდევ: „აიღე და წიგნში წაიკითხე, მეც ასე ვსწავლობდი, წიგნები მაინც ხომ ვაქვს!“ რომ იცოდეთ, რა განსხვავებაა თქვენ შორის, მასწავლებელო!

— იქნებ არ იცოდა, რასაც ეკითხებოდი, შეილო. ზოგჯერ განგებ იშორებენ ხოლმე მამები შეილებს, რათა მათ წინაშე თავი არ შეირცხვიონ და სასაცილო მდგომარეობაში არ ჩაცვივდნენ.

— არა, არა, ასე არ არის. მე უფრო უარესი მგონია.

— უარესი? ამაზე უარესი რაღა იქნება?

— უარესი, დიახ, უარესი. მაგალითად, რაც არ უნდა დამეშავებინა, მისგან საყვედური არ გამიგონია. მოქეიფე და ქართუშუტა კი არა ვარ და არც არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ რომელ ახალგაზრდას არ გადახდენია თავს რაიმე ისეთი, არ წაუბოროძიკებია, შეცდომა არ მოსვლია? ჩემი დანაშაული არც კი დაუნახავს და, თუ დაუნახავს, ამაზე კრინტიც არასოდეს დაუძრავს.

— მაგრამ ეს ხომ შეიძლება შენი პიროვნებისადმი პათვისცემით აიხსნას. შენდამი ნდობის ნიშნად ჩაითვალოს. იქნება ასეთი თვალდახუჭული ნდობა არის კიდევ ვაჟიშვილის აღზრდის ყველაზე უფრო დიდსულოვანი და კეთილშობილური საშუალება.

— არა, მასწავლებელო, არც ასეა. მე ვიტყვოდი, რომ ეს მხოლოდ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გულგრილობაა.

— არა, ასეც არ იქნება, მეტისმეტად აზვიადებ. ანდა რა უნდა ეთქვა ისეთი, რაც შენ თვითონ არ გეცოდინებოდა? მამა არც მსაჯულია...

— მაგრამ ამხანაგი, მრჩეველი, მეგობარი ხომ უნდა იყოს, თქვენსავით, მოძღვარა...

— და მაინც არის კიდევ რაღაც ისეთი, რაზედაც მამაც კი ვერ დაელაპარაკება შვილს მორიდების გამო.

— ბუნებრივია, რომ იცავთ, მისი ძველი და ახლო მეგობარი ხართ, მაგრამ...

— მაგრამ, რა?

— შემიძლია, ყველაფერი გულწრფელად ვთქვა?

— კი, თქვი, ყველაფერა თქვი!

— მამ კარგი, არაერთხელ მსმენია მისი აზრიც თქვენს შესახებ, ყოველთვის კარგი, მეტისმეტად კარგი აზრიც, მაგრამ...

— მაგრამ, რა?

— ყოველთვის მეტისმეტად კარგად გახსენებდათ ხოლმე.

— რას ნიშნავს, მეტისმეტად კარვად?

— როგორ გითხრათ, სანამ გაგიცნობდით, სულ სხვანაირი წარმოდგენა მქონდა თქვენზე, მასწავლებელო.

- კარგად გამაგებინე.
- მამაჩემის აზრით, თქვენ ხართ რაღაც ტრაგიკული პერსონაჟი, ტანჯული აული. „აჰ, რომ შემეძლოს ხოაკინის სულის დახატვა!“ ხშირად გამიგონია მისგან. ყოველთვის ისეთ კილოზე ლაპარაკობდა, თითქოს თქვენ მოხმის რაღაც საიდუმლოება იყო დამალული..
- შენ ალბათ გეჩვენებოდა...
- არა, არ მეჩვენებოდა.
- დედაშენი!
- დედაჩემი...

XXVI

— იცი, ხოაკინ, — უთხრა ერთხელ ანტონიამ ქმარს, — მეშინია, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენმა ქალიშვილმა სულ არ დაგვეტოვოს და ხელიდან არ გაგვისხლტეს...

- ხოაკინა? მერე სად უნდა წაგიდეს?
- მონასტერში!
- შეუძლებელია!
- არა, შეუძლებელი არ არის. შენ ისე ხარ საკუთარ საქმეებში ჩაფლული, ისე ხარ იმ შენს აბელინზე გადაყოლილი, ლამის იშვილო კიდევ... კაცი იფიქრებს, საკუთარ შვილზე მეტად უყვარსო.
- იმიტომ, რომ მინდა როგორმე გადავარჩინო, თავისიანებისგან გადავარჩინო.

— მე კი მგონია, მარტო შურისგებაზე ფიქრობ, ისეთი ბოღმიანი ხარ. არაფრის დავიწყება და პატიება არ შეგიძლია! ძალიან მეშინია, ღმერთმა ამისთვის არ დაგსაჯოს შენცა და ჩვენც ყველა...

- აჰა, ეგებ ხოაკინამაც ამიტომ გადაწყვიტა მონასტერს შეაფაროს თავი?
- მე ეს არ მითქვამს.
- სამაგიეროდ, მე ვანბობ. აბელინზე ექვიანობს და ამიტომ გარბის მონასტერში? იქნებ შეეშინდა მამაჩემს აბელინი ჩემს თავს ურჩევნიაო? თუ ასეა...
- არა, ამიტომ არა.
- მაშ, რატომ?
- არ ვიცი... მე მითხრა, ასეთია ჩემი მოწოდება და ღვთის ნებაო...
- ღვთისაო... ღვთისაო... ეს სულ იმისი ოინებია, იმისი, ვინ არის მაგისი მოძღვარი.

- მამა ეჩვევარია.
- ის ეჩვევარია, მეც რომ ვუთხარი აღსაჩება, არა?
- ჰო, ის.

ამ საუბრის შემდეგ ხოაკინი კიდევ კარგა ხანს იჯდა მოღუშული და თავჩაქინდრული, მეორე დღეს კი ცოლს მოუხმო და უთხრა:

— მგონია, ამოვიცანი მაზეზი. რისთვისაც ხოაკინამ მონაზვნად აღკვეცა აიხირა, უფრო სწორად, მივხვდი, რატომ აიკვიატა მამა ეჩვევარიამ მისი მონასტერში წასვლის ამბავი. სომ გახსოვს, მე თვითონაც რელიგიაში ვეძებდი ნუგეშს, მეგონა, ის მაინც მიშველიდა რამეს, მიხსნიდა წყვეული ცდუნების-

სგან, ასე რომ შემოეგრაგნა ჩემს სულს, განმკურნავდა სასოწარკვეთილებისგან, წლობით რომ ქვავედებოდა და სულ უფრო დაუძლეველი და დაუმორჩილებელი მეჩვენებოდა; ბევრი ვეცადე, ძალიან ბევრი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ვერა, ვერ მახუგეშა მამა ეჩევარიამ, ვერავითარი იმედი ვერ მომცა, ჩანს, ასეთი ბოროტების წინააღმდეგ მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: ერთადერთი...

ხოაკინი ერთი წუთით გაჩერდა, ცოლისგან შეკითხვას ელოდა, მაგრამ რაკი იგი დუმდა, განაგრძო:

— ასეთი ბოროტებას წინააღმდეგ ერთადერთი გზა არსებობს და ეს გზა არის სიკვდილი, ვინ იცის... ეგებ ასიც ჩემთან ერთად დაიბადა და ჩემთან ერთად უნდა მოკვდეს. ის საცოდავი მოძღვარია თუ ვილაც, მე რომ ვერაფერი შელავათი ვერ მომცა, ვერ შემიმსუბუქა ტანჯვა, ახლა დარწმუნებული ვარ, ჩემს შვილს უბიძგებს მონასტრისკენ, შენს შვილს, ჩვენს შვილს, რომ იქ ჩემთვის ილოცოს და ასეთი მსხვერპლის ფასად გადამარჩინოს.

— მაგრამ ეს ხომ მსხვერპლიც არ არის... ჩემი მოწოდებააო, ამბობს...

— ტყუილია, ანტონია, დამიჯერე, მტკნარი სიცრუეა. მონაზავნად უმეტეს წილად ისინი მიდიან, ვისაც გარჯა ეზარება, დაე, მწირის ცხოვრებით იცხოვრონ, ოღონდ კი უზრუნველად იყვნენ, დაისვენონ, მისტიკურ ოცნებებს მიეცენ... ზოგიერთები კი იქ იმიტომ გარბიან, რომ საკუთარი სახლი მობეზრებით და თავის დაღწევა უნდათ. ჩვენი შვილიც საკუთარი სახლიდან გარბის, ჩვენგან გარბის.

— შენგან გარბის...

— ჰო, ჩემგან გარბის! იმიტომ გარბის, რომ კარგად გამიგო!

— თან სხვაც, ახალი საყვარული გაგიჩნდა...

— შენ გგონია, მისგანაც გარბის?

— არა, უბრალოდ, შენი ახალი ახირებაც...

— ახირება? ახირებაო, შენ ამბობ? ჩემზე ყველაფრის თქმა შეიძლება, ანტონია, მაგრამ ახირებულობა, ვერ იტყვი. მე ხომ ყველაფერს მეტისმეტად სერიოზულად ვუყურებ, ანტონია, ყველაფერს!

— ჰო, მეტისმეტად სერიოზულადაც კი, — დაუმატა ცოლმა და ცრემლი გადმოსცვივდა.

— დამშვიდდი, ნუ ტირი, ანტონია, ჩემო წმინდანო, ჩემო კეთილო ანგელოზო... მაპატიე, თუ უნებურად გული გატკინე...

— არა, ხოაკინ, ასჯერ უფრო უარესია, ჩუმად რომ ხარ.

— ღვთის გულიათვის ანტონია, ღვთის გულისათვის, რამე ილონე, რომ შვილი არ გაგვექცეს... მონასტერში რომ წავიდეს, ვერ გადავიტან, მოკვდები. თუ არ წავა, რასაც მოისურვებს, ყველაფერს გავაკეთებ... თუ უნდა აბელინზეც კი ხელს ავიღებ... პივატოვებ...

— მახსოვს, როგორ გიხაროდა, ერთი შვილი გვყავს და საყვარულის გამოფაც არა გვჭირდებაო...

— აკი არც ვუყოფ!

— მაშინ უარესი არ არის...

— ჰო, ანტონია, ჩვენს შვილს თავის გაწირვა გადაუწყვეტია ჩემი გულისთვის და ის კი არ იცის, რა სასოწარკვეთილებაში ჩამაგდებს მონასტერში რომ წავიდეს. აქ, ამ სახლშია მისი მონასტერი!



ორი დღის შემდეგ ხოაკინმა დედა-შვილი თავის კაბინეტში მოიხმო სასაუბროდ.

— მამა, ასე ინება უფალმა! — მტკიცედ წამოიძახა ქალიშვილმა და ხოაკინს პირდაპირ თვალებში შეხედა.

— არა, ასე არაა! უფალმა კი არ ინება, იმ შენმა მოძღვარმა ინება, — უპასუხა მამამ, — აბა, შენ, ცხვირმოუხოცავმა ღლაპმა რა იცი, რა ნებაეს და რა არ ნებაეს უფალს! როდის მოასწარი მასთან გასაუბრება!

— მე ყოველ კვირას ვეზიარები, მამა.

— მარხვისაგან კუჭი ვაქვს ამომშრალი და ამიტომ გელანდება რალაცები, შენ კი ზეშთავონება გგონია.

— განა ის უფრო უარესი არაა, როცა გული ვაქვს ამომშრალი!

— არა, არა, ეს არ მოხდება! ამას უფალი არ ინებებს, არ შეიძლება ინებოს... გეუბნები, არ შეიძლება ეს ინებოს-მეთქი!

— მაშასადამე, მე არ ვიცი, რას ინებებს უფალი, შენ კი იცი, არა, მამა? კი, როგორ არა, თუ რამ ხორცს ეხება, ძალიან კარგად გესმის, მჭერა, მაგრამ რაც ღმერთსა და სულს შეეხება...

— სულს? შენ გგონია მე აღამიანის სულისა არაფერი გამეგება?

— იქნება კი სჯობდეს, მართლაც არაფერი გაგეგებოდეს!

— შენ მე ბრალსა მდებ?

— არა, მამა, შენ თვითონვე სდებ ბრალს საკუთარ თავს.

— ხედავ, ანტონია, ხედავ? აკი გეუბნებოდის!

— მაინც რას გეუბნებოდა, დედა?

— არაფერს, შვილო, სულ არაფერს, მამაშენის ამბავი არ იცი, ეჭვიანობა, თავის მტვრევა...

— ძალიან კარგი! — წამოიძახა ხოაკინმა ისე, თითქოს რაიმე გადაწყვეტილება მიიღო, — მაშ, მონასტერში ჩემ გადასარჩენად მიდიხარ, არა?

— შეიძლება ეს უფრო იყოს სამართლესთან ახლოს.

— იცი, კი, მაინც რისგან უნდა გადამარჩინო?

— კარგად კი არ ვიცი, მაგრამ...

— მაშ მოდი და ერთად გამოვარკვიოთ. რისგან თუ ვისგან!

— ვისგან, მამა, ვისგან? ეგებ შენივე ბოროტი სულისგან, შენივე თავისგან!

— მერე, შენ ამისი რა გაგეგება?

— ღვთის გულისათვის, ხოაკინ, ღვთის გულისათვის! — ტირილით შეევედრა ანტონია. რადგან ქმრის მზერამა და კალომ შიში მოჰგვარა.

— მოგვეშვი, ანტონია, ამ დავას თვითონვე გადავჭრით, შენ არ გეხება!

— როგორ თუ არ მეხება? განა ჩემი შვილი კი არ არის?

— ჯერ ჩემია! დაგვტოვე მარტო, ისიც მონეგროა და მეც, ორვე მონეგროს გვარისა ვართ. დაგვტოვე მარტო, შენ ეს არ გესმის და ვერც გაიგებ...

— მამა, თუ ღედას ჩემი თანდასწრებით ასე მოექცევი, მაშინ მე წავალ. ნუ ტირი, დედა!

— ჯერ ერთი, ის გამაგებინე, შვილო, ნამდვილად გწამს თუ არა...

— ახლა მხოლოდ ის მწამს, რომ ორივეს შვილი ვარ ერთნაირად.

— ერთნაირად?

— იქნება მისი უფრო მეტადაც...

— ლეთის გულისათვის, ეს არ გამაგონო. — ტირილით შესძახა დედამ. —
თორემ მართლა წავალ!

— ასე აჯობებს. — დაუდასტურა ხოაკინმა, — ჩვენ ~~მართლაც~~ მარტო პირისპირ უფრო გაგვიადვილდება ლაპარაკი, უფრო ~~სუფილად~~ ~~სუფილად~~ ~~სუფილად~~ ერთმანეთს.

დედამ შვილს აკოცა და კაბინეტიდან გავიდა.

— კარგი. — ცივი ზმით წამოიწყო მამამ; როგორც კი მარტონი დარჩნენ, — მაშასადამე, მონასტერში იმისთვის გარბინარ, რომ ვილაციისგან თუ რალაციისგან გადამარჩინო, არა?

— მამა, იქნებ, მართლაც კარგად არ მესმის, ვისგან თუ რისგან უნდა გადაგარჩინო, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ უნდა გადაგარჩინო: არც ის მესმის კარგად, რა ხდება აქ, ჩვენთან, სახლში, რა ხდება შენსა და დედაჩემს შორის არ ვიცი, რა ხდება თვითონ შენს თავს, მაგრამ იმას კი ვგრძნობ რომ რალაც კარგი არ უნდა ხდებოდეს...

— ეს იმ შენმა მოძღვარმა ხომ არ ჩაგჩურჩულა?

— არა, მოძღვარს არაფერიც არ ჩაუჩურჩულებია, ამაზე კრინტიც არასოდეს დაუძრავს და, საერთოდ, ჩემთვის არასოდეს არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ თითქმის გაჩენის დღიდან ვგრძნობდი ყველაფერს, ამ სახლში ჩვენ ისე ვცხოვრობთ, თითქოს რალაც სულიერ წყვდიადში დავბორიალებდეთ!

— ეს აბდაუბდა შენს წიგნებში ამოიკითხე?

— მაშინ, შენც წიგნებში ამოგიკითხავს... ხომ არ გგონია, რომ იმ შენს წიგნებში ამდენი მახინჯი ჩონჩხების, ძვლებისა და ნაწლავების სურათებით სავსე წიგნებში, სადაც მარტო იმას ნახავ, თუ რა ხდება ჩვენს სხეულში, ხრწნადი ადამიანური გარსის შიგნით, შეიძლება რაიმე ჭეშმარიტება ამოიკითხო?

— არა, ჯერ ის მითხარი, რას ნიშნავს სულიერი წყვდიადი?

— ჩემზე უკეთ შენ უნდა იცოდეს; ვანა უარყოფ, რომ ჩვენს სახლში რალაც ხდება, რომ აქ დაგუბდა რალაც შავ-ბნელი ბურუსი. სევდა, და ყველა კუთხე-კუნჭული გაავსო, რომ შენ სულ რალაცაზე სწუხარ, იტანჯები, თითქოს მძიმე ცოდვა გაწვეს რამე...

— ჰო, პირველცოდვა! — იქედნურად დასძინა ხოაკინმა.

— დიახ, დიახ, — წამოიძახა შეილმა. — სწორედ ის ცოდვა, რისგანაც ვერა და ვერ იხსენი თავი!

— მაგრამ სასჯელი კი მაინც დამადო, არა?

— ამას რა აზრი აქვს!

— და შენც ამიტომ გამოძებნე ეს გზა, გადაწყვიტე მონაზვნად აღიკვე-
ცო, არა? მაგრამ ჯერ ხომ ის უნდა გამოგეკვლია, რითი შეიძლება ამის მკურ-
ნალობა?

— ღმერთმა დამიფაროს, მამა, სულაც არ მინდა შენი მსაჯული ვიყო.

— მაგრამ სასჯელი კი მაინც დამადო. არა?

— რა სასჯელი?

— ჰო, ჰო, სასჯელი... იმაზე მეტა სასჯელი რალა იქნება ჩემთვის, თუ შენ აღგები და მონასტერში წახვალ...

— რომ გავთხოვილიყავი? ქმრის გულისთვის რომ დამეტოვებინე...

— ქმარსაც გააჩნია.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ასე, შვილო. — განაგრძო ხოაკინმა, — რაღაც კარგი რომ არ ხდება ჩემს თავს, ცხადია; მე მართლაც ვიტანჯები და კარგა ხანს ვიტანჯები. თითქმის მთელი ცხოვრება ამ ტანჯვაში გავტარე. ბევრ რამეს შენ თვითონაც მიავდი, მაგრამ მაგ შენს გადაწყვეტილებაზე ხელს თუ არ აიღებ, იცოდე, უარეს სატანჯველში ჩამაგდებ. ბოლოს მომიღებ. შენ რომ მამაშენისადმი თანაგრძნობა გამოძრავებდეს მხოლოდ, უბედური მამაშენისადმი თანაგრძნობა...

— მხოლოდ თანაგრძნობა, მეტა არაფერი...

— არა. ამას ეგოიზმი ჰქვია; ჩემგან გარბიხარ, მშვენივრად ზედავ, როგორ ვიტანჯები და მაინც გარბიხარ. ეს კი ეგოიზმია. რაკი მონასტერს გინდა შეაფარო თავი, მაშასადამე; არც არაფრის დანახვა გინდა და არც გაგონება. წარმოიდგინე, რომ მძიმე, უკურნებელი სენი რამ შემეყარა, ვთქვათ, თუნდაც კეთრი, განა დამტოვებდი და მონასტერში გაიქცეოდი. ლოცვითა და ვედრებით ვუშველოო? აბა, მიპასუხე. მიმატოვებდი?

— არა, არ მიგატოვებდი, მე ხომ შენი ერთადერთი შვილი ვარ.

— მაშ ჩათვალე, რომ კეთრი მქარს, დარჩი და მომიარე. შენს ზრუნვას მივენდობი და. რასაც მეტყვი, ყველაფერს დაგიჯერებ.

— თუ ასეა...

მამა წამოდგა, ცრემლით სავსე თვალები ქალიშვილს მიაპყრო, მერე მოეხვია და ყურში ჩასჩურჩულა:

— მართლა გინდა, განმკურნო, შვილო?

— მინდა, მამა.

— მაშ გაპყევი ცოლად აბელინს.

— რაო? — წამოიძახა ხოაკინამ, მამას მკლავებიდან დაუსხლტა და გაოგნებული მიაშტერდა.

— რა მოხდა? ასე მაინც რამ გაგაკვირვა? — წაიბუტბუტა ცოტა არ იყოს, ნირწამბდარმა მამამ.

— ცოლად გავყვე აბელინს? მე? აბელინს? შენი მტრის შვილს?

— ეს ვიღამ გითხრა?

— შენმა დუმილმა, მრავალი წლის შენმა დუმილმა.

— აი, სწორედ იმიტომ, რომ ის არის შვილი იმისა, ვისაც შენ ჩემს მტერს უწოდებ...

— არ ვიცი. რა ხდება თქვენს შორის და არც მინდა ვიცოდე, მაგრამ ამ ბოლო დროს ისე ეგლები თავს მის შვილს, რომ შიშმა ამიტანა... ჰო, შემეშინდა... თვითონ არ ვიცი, რისი შემეშინდა, მაგრამ შენი სიყვარული აბელინისადმი რაღაც ცუდად მენიშნა, რაღაც ჯოჯობეთურად...

— არა, შვილო, არა! აბელინში მხოლოდ ჩემი ცოდვების გამოსყიდვის საბაბს ვეძებდი. დამიჯერე, ჩემი გადარჩენა, ჩემი სულის გადახალისება მართლ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ შენ მოახერხებდი და მას ჩვენს სახლში მოიყვანდი სამუდამოდ, თუ შვილად მიმაღებინებდი...

— ნუთუ შენ, შენ, ჩემი საკუთარი მამა, თვითონვე მიბიძგებ, რომ მთა სიყვარული მოვიპოვო, მისი მახეში გაბმა ვცადო?

— არა, ეს არც მიფიქრია.

— აბა, რა იფიქრე?

- თუ თვითონვე...
- იქნებ თქვენ უკვე პირიც კი შეეკარათ, უჩემოდ მოილაპარაკეთ და მე არც კი მკითხეთ არაფერი?
- არა, მარტო მე, მარტო შენმა უბედურმა მამამ გაბედა უჩიქვანეობა...
მე, მე...
- ძალიან ვწუხვარ. მამა.
- მეც ვწუხვარ. ყველაფერი ჩემს თავზე უნდა გადატყდეს, მაგრამ აქი თვითონვე აპირებდი ჩემს გადასარჩენად თავიც კი გაგეწირა?
- კი, ვაპირებდი, შენი გულისთვის ყოველგვარ მსხვერპლზე მზადა ვარ! როგორც გინდა. ისე მიმსახურე!
- მამა უნდოდა შეიღისთვის ეკოცნა, მაგრამ იგი ხელიდან დაუსხლტა და შესძახა:
- არა, აბლა არა! მაშინ, როცა დაიმსახურებ! ან იქნებ გინდა მეც კოცნით გაგაჩუმო!
- ეს საიდანღა იცი, შვილო?
- კედლებსაც ყურები ასხიათ, მამა.
- და ისინიც ბრალს მდებენ, არა?

X XVIII

- ეეჰ, მე რომ თქვენს ადგილას მამყოფა, დონ ხოაკინ... — უთხრა ერთ დღეს ხოაკინს საწყალმა არაგონელმა, როცა მისგან კვლავ მიიღო ფულადი დახმარება, იმან, ხუთი შვილის მამამ, მემკვიდრეობა რომ წაართვეს.
- ჩემს ადგილას? ვერ გავიგე!
- არაფერს დავიშურებდი, თქვენს ადგილას რომ მამყოფა, დონ ხოაკინ!
- მაინც რას არ დაიშურებდი, მაგალითად?
- არაფერს, თუკი რამე შემიძლია და გამაჩნია.
- მერედა, რა გაგაჩნიათ?
- თუნდაც სიცოცხლე!
- სიცოცხლესაც კი არ დაიშურებდით, ჩემს ადგილას რომ გამყოფათ? — თავისთვის კი ეს დაუმატა ხოაკინმა: „იქნება არც მე დავიშურებდი არაფერს, სხვად რომ მაქცია!“
- დიახ, სიცოცხლესაც კი არ დავიშურებდი, თქვენს ადგილას რომ მამყოფა.
- ერთი რამ ვერ გამიგია, ჩემო მეგობარო, როგორ შეიძლება ადამიანმა სიცოცხლეს არ დაიშუროს იმისთვის, რომ სხვა გახდეს, ვერც ის გამიგია, როგორ შეიძლება კაცი თავისთავს გაეყაროს და სხვად გადაიქცეს, მაშასადამე, აღარ უნდა იყოს თვითონ, უარი უნდა თქვას თავის თავზედაც.
- სულ ადვილად!
- ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ არსებობაზეც თქვა უარი!
- უდავოდ...
- მაგრამ იმისთვის, რომ სხვა გახდე?
- მე იმის თქმა მინდოდა, დონ ხოაკინ, რომ სიამოვნებით ვიტყვოდი უარს არსებობაზეც კი, უფრო ნათლად რომ ვთქვა, სიამოვნებით ვიხლიდი შუბ-

ლში ტყვიას ან წყალში დავიხრჩობდა თავს, დარწმუნებით რომ ვიცოდე, ჩემი შვილები თქვენი სახით მამას იპოვიდნენ, ამ ძალღულურ ცხოვრებასთან ხომ მხოლოდ ჩემმა შვილებმა მიმაჯაჭვეს, თავსაც მათ გამო არ ვიკლავ. ახლა მაინც გაიგეთ?

ეროვნული
ზიზლირთხვა

— გავიგე, როგორ არა, მაშასადამე...

— მაშასადამე, მომბეზრდა ასეთი სიცოცხლე და სიამოვნებით გავეყრებოდი ჩემსავე თავს, სამუდამოდ გავთავისუფლდებოდი ამ საშინელი მოგონებებისაგანაც, მაგრამ შვილებს რა ვუყო... თუმცა კიდევ ერთი რამ მაკავებს.

— რა?

— შიში, ვაითუ, ის მოგონებები სიკვდილის შემდეგაც თან გამყვეს-მეთქი! ეეპ, თქვენს ადგილას რომ მიმყოფა, დონ ხოაკინ!

— იქნება მეც იგივე მიზეზმა მიმაჯაჭვა სიცოცხლესთან, ჩემო მეგობარო?

— ეეპ, თქვენ ხომ მდიდარი ხართ!

— მდიდარი, მდიდარი...

— მდიდარ კაცს სწუწუნო რა აქვს, რა გიჭირთ. ცოლ-შვილი გყავთ, პაციენტები არ გაკლიათ, სახელი კარგი გაქვთ, მეტი რა შეიძლება კიდევ ინატროთ? მამათქვენს ცარიელ-ტარიელი არ დაუტოვებინართ, მემკვიდრეობა არ წაურთმევეია, ღვიძლ ძმას ქუჩაში არ გამოუგდებინართ მამის სახლიდან... ამათხოვროდ საქმე არ გაგხდომიათ, მოწყალეებისთვის ხელი არ გაგიწვდიათ... დიახ, თქვენს ადგილას რომ ვიყო, დონ ხოაკინ...

მარტო რომ დარჩა, ხოაკინმა თავის თავს უთხრა: „მართლა რომ ჩემს ადგილას იყოს!.. ამ კაცს ჩემი შურს, ჩემი შურს! ნეტავ მე ვიღას ადგილას ვისურვებდი ყოფნას!“

XXIX

სულ რამდენიმე დღეში აბელინისა და ხოაკინას ნიშნობაც შედგა, ამ შემთხვევის თაობაზე ხოაკინს ასე ჩაუწერია ქალიშვილისადმი მიძღვნილ „აღსარებაში“: „ჩემო შვილო, შეუძლებელია აგისხნა, რანაირად მოვახერხე, დამეყოლიებინა აბელინი, ახლა რომ შენი მეუღლეა, ხელი ეთხოვა შენთვის; რალაცნაირად უნდა მიმეხვედრებინა, ვითომ შენ იგი გიყვარდა, ან ის მაინც შენიშნებინა, რა ბედნიერი იქნებოდი, თუ მას შეუყვარდებოდი; ამავე დროს კრინტიც არ დამიძრავს იმის თაობაზე, რა საუბარი გვქონდა ჩვენ მას შემდეგ, რაც ანტონიამ შეიტყო, რომ ჩემი გადარჩენის მიზნით მონაზვნად აღკვეცა გადაგეწყვიტა. მე თვითონ გადარჩენის ერთადერთი გზა მესახებოდა — შენი ბედი უნდა დამეკავშირებინა იმის ნაშეერთან, ვინც თვით ცხოვრების სათავე მომიწამლა. თუ გვიშველიდა, მხოლოდ ჩვენი სისხლის მათ სისხლთან აღრევა გვიშველიდა. ვფიქრობდი, ალბათ ერთ დღესაც შენი შვილები ანუ ჩემი შვილიშვილები, მისი ვაჟის შვილები ანუ მისი შვილიშვილები, რომელთაც გადაეცემოდათ ჩემი და მისი სისხლიც, საკუთარ თავთან დაიწყებენ ბრძოლას, საკუთარი თავისადმი სიძულვილს შეეჯახებიან-მეთქი. განა სხვათა სიძულვილის წინააღმდეგ საკუთარი თავის, საკუთარი სისხლის სიძულვილი არ არის საუკეთესო საშუალება? „აღთქმაში“ ნათქვამია, რომ ესავემა ჯერ კიდევ რებეკას სამოში დაუწყო ბრძოლა იაკობსო, ვინ უწყის, იქნებ შენს სამოშიც ოდესმე

ჩაისახოს ტყუპები და ერთ მათგანს ჩემი სისხლი ედგას ძარღვებში, მეორეს კი მისი, და ეს ტყუპები შენს საშოშივე წაეკიდნონ ერთმანეთს, მანამდე შეიძულონ ერთმანეთი, სანამ დღის სინათლეს იხილავდნენ და სანამ ამას გონებით მოსწვდებოდნენ, რამეთუ სწორედ ეს არის ადამიანური ტრაგედია და ყოველი კაცი იობის მსგავსად მხოლოდ წინააღმდეგობის ნაყოფია.

ზოგჯერ მიფიქრია, ვაითუ თქვენი შეუღლება იმისთვის სულაც არ მომიწადინებია, რომ მოძულე სისხლები ერთმანეთისთვის შემერია და პირიქით, უფრო დამეშორებინა ისინი და ამით უფრო გამეხანგრძლივებინა ეს სიძულვილიც-მეთქი, მაშინ მთელ ტანში ერთმანეთი დამივლიდა... მაპატიე, ვბოდავ!

არა, არა, მარტო ჩვენი სისხლი ანუ მისი და ჩემი, ასევე იმისიც, ელენას სისხლიც... ელენას სისხლი! აი, რა მზარავს ყველაზე მეტად; ის სისხლი მის ღაწვებს რომ აფერადებს, მის შუბლსა და ტუჩებს, სისხლი, რის ნათებაშიც ასე დამაბრმავა!

და კიდევ ანტონიას სისხლიც — საბრალო ანტონიასი, შენი წმინდა დედისა, მისი სისხლი ნაკურთხი წყალია; მისი სისხლი ცოდვათა გამოსასყიდი სისხლია. აი, ვისი სისხლი გადაარჩენს თუ გადაარჩენს, ხოაკინა, შენს შვილებს, ჩვენს შვილიშვილებს. მხოლოდ ამ წმინდა სისხლმა შეიძლება შესძლოს ჩვენი განწმენდა.

დაე ანტონია ნურასოდეს ნუ ნახავს ამ „აღსარებას“, ნუ ნახავს: თუ მას ჩემზე დიდხანს უწერია სიცოცხლე, ისე დატოვოს ეს ქვეყანა, რომ ეს ჩვენი სამარცხვინო საიდუმლოება ვერ გაიგოს...

ახალგაზრდებმა მალე გაუგეს ერთმანეთს და ნდობითაც განიმსჭვალნენ ერთმანეთისადმი. გულითადი საუბრების დროს ისიც გამოარკვიეს, რომ ორივე ოჯახური აღზრდის მსხვერპლი გამხდარაყო; აბელინი — თავქარიანი გულგრილობისა, ხოაკინა — ღრმად მიჩქმალული, სულის გამყინავი ვნებისა. ანტონიას სახით ყმაწვილებმა ნამდვილი ქომაგი იპოვეს. მათი მოწოდება იყო დაენტოთ კერა, ჭეშმარიტად ოჯახური კერა. აეგოთ უშფოთველი სიყვარულის ბუდე, სიყვარულისა, თავის თავშივე რომ ცოცხლობს და არ იცის შური და ღვარძლი; აეშენებინათ სატრფიალო განმარტოების ციხე-დარბაზი, სადაც ორი აქამდე უბედური ოჯახი წყნარ საყუდარს ჰპოვებდა... აბელი-მხატვრისთვის მათ უნდა დაენახვებინათ, რომ ინტიმური ცხოვრება მარადიული ნათება იყო, ხელოვნება კი მისი ძკრთალი ანარეკლი, თუ არა ჩრდილი; ელენასათვის — რომ უტკნობი სიჭაბუკე ძევს სულში, რომელსაც შეუძლია თავდადებით გადაეგოს ოჯახს, ჩაიფლოს მის სიხარულში და მასზე ზრუნვაში; ხოაკინისთვის — რომ ჩვენი სახელი ჩვენსავე სიკვდილთან ერთად ქრება, ქრება, რათა ხელახლა იშვას ჩვენს შთამომავალთა სახელებსა და ცხოვრებაში; ანტონიასთვის კი არაფრის მტკიცება არ იყო საჭირო, რამეთუ იგი თავადვე ტკბილი ოჯახური ცხოვრებისთვის, მყუდროებისა და სიბოხსათვის იყო გაჩენილი.

ხოაკინი თითქოს ხელახლა იშვა. თავის მეგობარს უკვე გულთბილადაც კი ახსენებდა, ერთხელ ისიც თქვა, უბრალოდ, თავს ბედნიერად ვგრძნობ, აბელის გამო ჩემი ცხოვრება ელენას რომ არ დავუკავშირეო.

— აი, ხედავ, — უთხრა ერთხელ ხოაკინმა თავის ქალიშვილს, როცა მასთან მარტო დარჩა, — ახლა, როცა ყველაფერი სულ სხვანაირად წარიმართა, უკვე შემიძლია გითხრა, მე მიყვარდა ელენა, ყოველ შემთხვევაში, მეგონა, მიყვარდა და ვცდილობდი, მასაც სიყვარულითვე ეპასუხა. მაგრამ ვერაფერს

გავზდი; თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ მას არავითარი საბაბი, სულ პატარა იმედიც არასოდეს მოუცია. აი, სწორედ მაშინ გავაცანი იგი აბელს, შენს მომავალ მამამთილს... შენს მეორე მამას, და, მათ უმაღლესად განაზრახეს საერთო ენა; მე კი ეს ჩემს უპატივცემულობად და შეურაცხყოფად მივიჩნიე. თუმცა კი მართალი გითხრა, ელენასთან სადავო არაფერიც არაა...

— სწორია, მამა, მაგრამ რას იზამ, ასეთები ხართ მამაკაცები.

— სრული სიმართლეა, შვილო, სრული სიმართლე, მაგრამ იმის შემდეგ სულ დავკარგე ჰკუც-გონება, იმაზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა, რომ ეს იყო ჩემი შეურაცხყოფა, ლალატი...

— სულ ეს იყო, მამა, მეტი არაფერი ყოფილა?

— როგორ თუ მეტი არაფერი?

— ჰო, მეტი არაფერი ყოფილა-მეთქი?

— ჰო, თითქოს მეტი არაფერი არ უნდა ყოფილიყო...

და მაინც ეს რომ თქვა, საბრალომ რაღაც უცნაურად მოწყურა თვალები და გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

— ახლა თქვენ იქორწინებთ, — განაგრძო მერე, — და ჩემთან ერთად იცხოვრებთ; ჰო, ჩემთან, აქ იცხოვრებთ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ შენი ქმარი სახელოვანი ექიმი დადგეს, ნამდვილი ხელოვანი მედიცინაში და მისი სახელი მამამისის სახელს გაუთანაბრდეს.

— და იგი განაგრძობს შენს დაწყებულ შრომას, არა, მამა? ეს თვითონვე მითხრა.

— ჰო, იმ შრომას, მე რომ ვერა და ვერ მოვაბი თავი...

— ისიც მითხრა, რომ შენ სამედიცინო პრაქტიკაში გენიალური მიგნებები გქონია, რომ შენი აღმოჩენები...

— გადამეტებული ქებაა...

— არ ვიცი, ასე კი მითხრა, კიდევ ისიც თქვა, უფრო მეტსაც იმსახურებს და მის ღვაწლზე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ღირსეულად დააფასონო. თურმე წიგნის დაწერას აპირებს, რაც შენ საყოველთაო აღიარებას მოგიტანს.

— ახლა უკვე გვიანაა.

— გვიან არასოდეს არაა.

— ეეჰ, შვილო, ასე რომ არ გადავგებოდი ამ ჩემს პაციენტებს, ამ გამომათაყვანებელ პრაქტიკას, ფიქრისა და შრომისთვის რომ დრო მქონოდა... და ამის მაგივრად წმინდა მეცნიერებას, კვლევას გავყოლოდი... ის, რაც დოქტორმა აღვარეს ი გარსიამ აღმოაჩინა, აბა, ნახე რა პატივშია, მე შენს მამას, გაცილებით ადრე შემეძლო აღმომეჩინა, აღარც არაფერი მაკლდა, ლამის ზღურბლზეც ვიდექი, მაგრამ პრაქტიკულმა მუშაობამ გადამიყოლა, ცხოვრება ხომ გვინდოდა...

— განა ასე გვიჭირდა?

— ჰო, თუმცა... მე მაინც... ახლა უკვე ყველაფერი წყალში გადაყრილი მგონია, მაგრამ ცხოვრება თავიდან იწყება, ახლა მაინც მივატოვებ ამ ჩემს პაციენტებს.

— მართლა, მამა?

— ჰო, როგორც კი დაქორწინდებით, ჩემს პაციენტებს შენს ქმარს გადავაბარებ; პირველ ხანებში, რა თქმა უნდა, ჩემი ხელმძღვანელობით იმუშავებს, გზაზე დავაყენებ და მერე ჩემს საქმესაც მივბედავ! ჩვენ ყველა ერთად ვიქნე-

ბით და ახალ ცხოვრებას დაეწყო, სულ სხვა ცხოვრებას... ახლა მაინც ვიც-
ხოვრებთ ნამდვილი ცხოვრებით! და მეც სულ გარდავიქმნები, სულ სხვა გავხ-
დები, სხვა...

— ოპ, მამა, რა კარგი იქნება! როგორ მიხარია, რომ შენგან ასეთი/სიტ-
ყვები მესმის! როგორც იქნა!

ეროვნული

ბიბლიოთეკა

— რა გიხარია, სხვა ვიქნები-მეთქი, რომ ვთქვი? შეილმა პირდაპირ შეხედა თვალებში მამას, რატომღაც მისი კილო ეუც-
ხოვა.

— ჰო, ის გაგიხარდა, სხვა ვიქნები-მეთქი, რომ ვთქვი? — კვლავ გაუ-
მორა მამამ კითხვა.

— ჰო, მამა, ეს გამიხარდა!

— განა ეს ცოტას ნიშნავს, სხვა ვიქნები-მეთქი, რომ ვამბობ?

— შენთვის, მამა? — ახლა შეილმა შეუბრუნა კითხვა.

— გამაჩუმე! — დაიკვნესა მამამ.

და შეილმა აკოცა მამას.

XXX

— აბა, თუ მიხვდები, რისთვის მოვედი შენთან, — უთხრა აბელმა ხოა-
კინს, როცა მის კაბინეტში შევიდა და მარტო ნახა.

— მიხვდები, შენმა შეილმა უკვე მაცნობა, მოსვლას რომ აპირებდი.

— ჩემი შეილი უკვე მარტო ჩემი აღარ არის, მალე შენიც გახდება, ორი-
ვესი იქნება. ვერ წარმოიდგენ, როგორ მიხარია! ასეც უნდა დაგვირგვინებუ-
ლიყო ჩვენი მეგობრობა! ჩემი შეილი თითქმის უკვე შენიცაა, აკი მამასავით
უყვარხარ კიდევ, მარტო მასწავლებელივით კი არა! მგონი ჩემზე მეტადაც
კი უყვარხარ...

— რას ამბობ, არა... არა... როგორ შეიძლება...

— რატომ? ხომ არ გგონია, ვეჭვიანობ? არა, ეჭვიანი არა ვარ. და მერე
იცე, რა მინდა გითხრა, ხოაკინ, თუკი ჩვენს შორის რაღაც მაინც მოხდა...

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ აბელ, გაფიცებ, არ არის საჭირო...

— არა ხოაკინ, საჭიროა; სწორედ ახლა, როცა ჩვენ კიდევ უნდა დავნათე-
სავდეთ და შენ ჩემი შეილი თითქმის შეილად უნდა მიიღო, მე კი შენი ქალი-
შვილი — ჩემს შეილად, ახლა ყველაფერი გულწრფელად უნდა ვაღიაროთ
და გავარკვიოთ ის, რაც იყო.

— არა, არ არის საჭირო, შენ თუ ამაზე კიდევ დასძრავ სიტყვას, ავდგებ
და წავალ!

— ჰო, კარგი, ასე იყოს! არ გეგონოს, რომ ოდესმე დამავიწყდება ნადიმ-
ზე წარმოთქმული შენი სიტყვა ჩემი სურათის თაობაზე.

— არც ამის გახსენება მინდა.

— კარგი მაგრამ, რატომ?

— წარსულის გახსენება, საერა... არ მინდა, მოდი, მარტო ჩვენს მომა-
ვალზე ვილაპარაკოთ...

— კეთილი, მაგრამ თუ მე და შენ, ჩვენს ასაკში, წარსულსაც არ გავიზ-

სენებთ მაშინ სალაპარაკოც აღარაფერი გვქონია! მე და შენ წარსულის გარდა რაღა დაგვრჩენია!

— ამას რატომ ამბობ? — თითქმის შეჰყვირა ხოაკინმა.

— ასეა, ახლა მხოლოდ მოგონებებითა შეგვიძლია ვიცხოვროთ!

— გაჩუმდი, აბელ, გაჩუმდი!

ეროვნული

— თუ სიმაართლე გინდა, მოგონებებით ცხოვრება სჯობს სხვათა ცხოვრებას, ის რაც იყო — იყო, ხოლო ის რაც უნდა იყოს, კაცმა არ იცის, იქნება, თუ არა!

— არა, არა, არავითარი მოგონებები!

— თუ ასეა მაშინ ჩვენს შვილებზე მაინც ვთქვათ რამე, ისინი ხომ ჩვენი იმედები არიან.

— ჰოო, ეს სხვა საქმეა!

— ჩემმა შვილმა შენში ერთდროულად იპოვა მამაცა და მასწავლებელიც.

— ალბათ მას გადავულოცავ ჩემს პაციენტებს; ყოველ შემთხვევაში, ნაწილს მაინც, ვინც მასთან მკურნალობას მოისურვებს, ისინი უკვე შევამზადე კიდევ ამისთვის, როცა საჭირო იქნება, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მეც დავეხმარები ხოლმე.

— მადლობელი ვარ, მადლობელი.

— არსებითად ეს ჩემი ხოაკინას მზითევიც იქნება, მაგრამ მათ ჩემთან მინდა იცხოვრონ.

— ჩემმა შვილმა უკვე მითხრა, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, სჯობია, თავიანთი კერა ჰქონდეთ, ნათქვამია, კაცი რომ დაოჯახდება, ცალკე უნდა გავიდესო.

— ეს არ გამოვა, ქალიშვილს ვერ შეველევი.

— შენა გგონია, ჩვენ გვიხარია შვილის გაშვება?

— თქვენ ისედაც ხშირად მაინც არ იყავით ხოლმე ერთად... ხომ იცი, კაცის საქმე სხვაა, სულ გარე-გარე დადის, ქალი კი თითქმის შინა ზის. ჩემი ქალიშვილის გარეშე სიცოცხლე არ შემოიძლია.

— იყოს ნება შენი, კარგად იცი, ადვილად დამყოლი კაცი ვარ.

— სალაპარაკოც არ არის, მაგრამ ჩემი სახლის კარი დღეიდან თქვენთვის სულ ღია იქნება, შენთვის და ელენასათვის...

— მადლობელი ვარ, ხოაკინ, მჯერა, ასეც იქნება.

კარგა დიდხანს ილაპარაკეს კიდევ, ყველაფერი აწონ-დაწონეს რაც კი შვილების მომავალს ეხებოდა და მერე, უკვე წასვლისას, აბელმა ალალი, წრფელი თვალებით შეხედა ხოაკინს, ხელი გაუწოდა და ალერსიანი ხმით, ისეთი ტკბილი ხმით, შორეული ბავშვობის ექოსავით რომ გაისმა, თითქმის ჩურჩულით უთხრა: „ხოაკინ!“ ხოაკინმა გაწვდილი ხელი ჩამოართვა, თვალებზე კი ცრემლი მოადგა, ნამდვილად გულწრფელი აღელვების ცრემლი.

— ლამის აკვნიდან გიცნობ, ხოაკინ, და შენს თვალზე ცრემლი არასოდეს მინახავს.

— ბავშვობა აღარ დაგვიბრუნდება, აბელ.

— ჰო, ეს არის ყველაზე უფრო საშინელი.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

XXXI

ქალიშვილის გათხოვებასთან ერთად ხოაკინის აქამდე ცივი ოჯახური კერაც გათბა, თითქოს მზემ, თუმცა კი ნაგვიანევემა შემოდგომის მზემ, შემონათა და ხოაკინმაც თითქოს თავიდან დაიწყო ცხოვრება. მან ~~თავისი~~ საჭირო პრაქტიკა სიძეს გადაულოცა, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ათუ ეხმარებოდა, რჩევა-დარიგებებს აძლევდა და სხვათაშორის, სიამოვნებითაც აგრძნობინებდა ხალხს, სიძე ჩემი ხელმძღვანელობით მუშაობსო.

აბელინს დიდად უწყობდა ხელს სიძამრის ჩანაწერები, ზეპირი განმარტებები და მითითებები, — მას უკვე მამასაც ეძახდა და შენობითაც მიმართავდა, — იგი მუშაობდა კიდევ წიგნზე, რომელიც დოქტორ ხოაკინ მონეგროს სამედიცინო პრაქტიკის ფართო განზოგადება უნდა ყოფილიყო. ამ წიგნში იგი აშკარად გამოხატავდა მასწავლებლისადმი თავის აღტაცებას და თაყვანისცემას, რაც, ეჭვგარეშეა, დაიკარგებოდა, თვით ხოაკინს რომ დაეწერა ეს შრომა. „ალბათ ასე სჯობს, უდავოდ სჯობს — ფიქრობდა იგი — რომ წიგნს მე არ ვწერ, ბოლოს და ბოლოს, აკი პლატონმაც უკეთ გადმოგვცა სოკრატეს მოძღვრებანი?“ და მართლაც, განა შეეძლო თვითონ ასე თავისუფლად მოჰკიდებოდა ამისთანა წიგნს? ჯერ ერთი იმის საშიშროება იქმნებოდა, რომ პრეტენზიული გამოჩენილიყო, არცთუ თავმდაბალი და ისედაც, საკუთარ თავს ხომ ვერ დაუკრავდა ტაშს, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას ხომ ვერ შეაქებდა და განადიდებდა, მეორეც — ნამდვილი მწერლური ნიჭი სხვა წიგნისთვის უნდოდა შემოენახა.

სწორედ იმ ხანებში დაიწყო წერა წიგნისა, რომელსაც „აღსარება“ უწოდა და თავის ქალიშვილს უძღვნა. ბელნაწერის გახსნის უფლებაც მხოლოდ შვილს ჰქონდა და ისიც მამის სიკვდილის შემდეგ. „აღსარება“ უნდა ყოფილიყო თავის საკუთარ ვნებასთან შეჭიდებული კაცის ცხოვრების, მის ბოროტ სულთან უსასრულო ბრძოლის ამბავი, ბავშვობიდან მოყოლებული თვით წიგნის წერის დაწყების წუთამდე რომ გრძელდებოდა და ეს იყო სწორედ მისი ცხოვრებაც. ამ წიგნს თავისი ქალიშვილისათვის კი წერდა, მაგრამ თავიდან ბოლომდე საკუთარი ცხოვრების მაღალი ტრაგიკული აზრის შეგრძნებით იყო გამსჭვალული, ცხოვრებისა, რომელსაც წარმართავდა ვნება და ეს ვნება იყო მისი ცხოვრების შინაარსიც; ძალასა და იმედს ჰმატებდა იმის წარმოდგენა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი ქალიშვილი ათუ შვილიშვილები წიგნს გამოაქვეყნებდნენ და მკითხველები აღტაცებითა და შიშით აღივსებოდნენ ამდენი ვაების გადამტანი კაცისადმი, ამ კუშტი, ჭირთამთმენი გმირისადმი, ვინც უცნობად დარჩა მას თანამედროვეთათვის. ხოაკინი თავის თავს განსაკუთრებულ პიროვნებად თვლიდა და ამდენად ტანჯვა-წამებისთვის ადვილად მისაგნებადაც, ისეთ მარტოსულად, ვისაც დაბადებიდან მაღალი განგების ღვთიური ბეჭედი ჰქონდა დასმული.

„მთელი ჩემი ცხოვრება, შვილო, — წერდა იგი „აღსარებაში“, — ერთი ჩაუქრობელი ცეცხლი იყო და თუმცა კი დღენიადაგ ამ ლაღარში ვითუთქებოდი, სხვა ცხოვრებაზე მაინც არ გავცვლიდი იმიტომ, რომ ასეთი სიძულვილის უნარი ჩემ გარდა სხვას არავის შეიძლებოდა ჰქონოდა, ასე მწვავედ ვერ იგრძნობდა ამქვეყნად განებივრებულთა და ბედისაგან გალაღებულთა უმაღლეს უსამართლობას. არა, არა, ის, რაც შენი ქმრის მშობლებმა დამმართეს, არ

იყო ადამიანური და კეთილშობილური; ეს იყო მუხანათობა, მაგრამ არც სხვებს დაუკლიათ ხელი; ბავშვობაშიც არ მინახავს სიკეთე, მიმნდობი და მიამიტი ბალლი თანატოლებში თანაგრძნობას და სიყვარულს ვეძებდი ისინი კი ზურგს მაქცევდნენ. გამირბოდნენ, თავიდან მიშორებდნენ, რატომ? ვინ იძულებდა მათ ასე უგულოდ მომქცეოდნენ? რატომ მამჯობებდნენ? ამ ბიჭს, იმ ქარაფშუტას, უნდოსა და თავკერძას? ყველა, ყველა ცხნობდა ჩემთვის სიცოცხლე მოეწამლა. მაშინ მივხვდი, რომ ეს ქვეყანა უსამართლოდაა მოწყობილი, დასაბამითვე უსამართლო იყო, რომ მე დავიბადე უცხოთა შორის და ვერასოდეს მივიჩნევდი მათ ჩემიანებად: მთელი ჩემი უბედურებაც ის იყო, რომ ბედმა უცხოთა შორის ცხოვრება მარგუნა. მე დამლუბა ჩემს ირგვლივ მყოფთა ქვემძრომობაში და უხეშობაში“.

ხოაკინი „აღსარებასთან“ ერთად კიდევ ერთ სხვა თხზულებასაც ამზადებდა, რადგან ფიქრობდა, თუ „აღსარება“ არ გამომართლებს, ჩემს უკვდავ თანამემამულეთა პანთეონის კარს ეს წიგნი მაინც გამიღებსო. ამ შრომას უწოდა „მოხუცი ექიმის მოგონებანი“, სადაც თავს მოიყრიდა ამ სამყაროს ცოდნა, მისაყოველღდიურობა, ადამიანური სიხარული და კმუნვა, ვნებები, აშკარა და დაფარული ბოროტებები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი მრავალი წლის სამედიცინო პრაქტიკამ შესძინა. ეს იქნებოდა ცხოვრების სარკე, სადაც აირეკლებოდა მისი იდუმალი, მით უფრო ბნელი და მიჩქმალული სიღრმეები და ადამიანურ სიმდაბლეთა გამოკვლევაც: „მოგონებანი“ იქნებოდა მაღალი ლიტერატურაცა და მწარე ფილოსოფიაც. მასში ჩასდებდა იგი მთელ თავის სულს, მაგრამ ერთი გადაკრული სიტყვითაც კი არ მოიხსენიებდა საკუთარ თავს; აუშრატა სხვათა სულების გაშიშვლებით საკუთარ სულსაც გააშიშვლებდა; ამით იძიებდა შურს ამ ბილწ სამყაროზე, სადაც იძულებით მიუსაჯეს ცხოვრება. ადამიანები რომ თავიანთ თავს ასე გაშიშვლებულსა და შეულამაზებელს დაინახავდნენ, ჯერ კი გაოცდებოდნენ, მაგრამ მერე უეჭველად მადლიერიც დარჩებოდნენ იმისი, ვინც ასეთნაირად გააშიშვლა ისინი. ამ წიგნში სამუდამოდ აღიბეჭდებოდა ელენასა და აბელის სახეებიც, ოღონდ, რა თქმა უნდა, გამოგონილი სახელები იქნებოდათ. აბელის პორტრეტი თვით აბელისავე შექმნილ ყველა პორტრეტს დაჩრდილავდა და ხოაკინი წინასწარვე განიცდიდა ნეტარებას, როცა აბელის დასრულებულ ლიტერატურულ პორტრეტს წარმოიდგენდა. სწორედ ეს პორტრეტი და არა მისი საკუთარი კმნილებანი იქნებოდა აბელის უკვდავების ნამდვილი საწინდარი, რამეთუ ამ გამონაგონის მსუბუქ საფარველს მიღმა კომენტატორები და მკვლევარები უმაღლ დაინახავდნენ ნამდვილ ისტორიულ პერსონაჟს. „ღიახ, აბელ, ღიახ, — ამბობდა თავისთვის ხოაკინი, — შენ მართლაც ბედი გეწია, რომ მე გხატავ ჩემი კალმით, რადგან ამით ერთბაშად მიალწევ იმას, რასაც მთელი ცხოვრება ელტვოდი, რისთვისაც იღვწოდი, რატომაც გძულდი. გძულდი კი არა, უფრო უარესი, ვერც კი მამჩნევდი, ღიახ, ამ საუკუნო სახელს შენი ტილოებით კი არა, ჩემი კალმის წყალობით დაიმკვიდრებ, ჩემო ძვირფასო. ამ პორტრეტის დასრულებას უეჭველად შევძლებ, რამეთუ კარგად გიცნობ და მთელი ცხოვრებაც შენ გამო ვეწამე ასე რიგად, სულ შენ იდექი ჩემს გზაზე... არც იდარდო, მე შენ უეჭველად გიწყალობებ უკვდავებას, მაგრამ საუკუნეებს შენი სახელით — აბელ სანჩესით კი არ შერჩები. არამედ იმ სახელით, რასაც მე დაგარქმევ. და როცა ხალხი შენს რომელიმე სურათს გაიხსენებს, იმასაც დასძენს: „ააჰ, ააჰ, იმაზე ამბობთ, ხოაკინ“.

მონეგრომ თავის წიგნში რომ გამოიყვანა?“ მშვიდად ბრძანდებოდე, ყველა ჩემი თვალით დაგინახავს და ასეთი შერჩები კიდევ საუკუნეებს, მანამდე იცოცხლებ, სანამ ჩემი წიგნი იცოცხლებს, შენი საკუთარი სახელი კი მიწაზე, ტალახში, ჩემს უკან იჩანჩალებს... ისე ამედევნება უკან, როგორც დანტეს აღდევნენ ისინი, ვინც მან ჯოჯობეთში დაასახლა, და ასე გადაიქცევა შურის სიმბოლოდ!”

შური! ხოაკინმა საკუთარი თავი დაარწმუნა, რომ აბელს წარძარბავდა. ერთი ვნება — შური, ეგოისტური გულგრილობის საფარველს უკან მიმალული შური, მისადმი, დიახ, ხოაკინისადმი შური! ბავშვობაშიც ეს შური აქეზებდა, როცა ცდილობდა მისთვის ამხანაგები ჩამოეშორებინა და შურის გამო წაართვა ელენაც. მაგრამ თუ ასეა, მაშ თავისი შეილი როგორღა დამანება? და თვითონვე უბასუხებდა: „ააჰ, დამანება იმიტომ, რომ თავის შეწუხება არ უნდა, იმიტომ, რომ საკუთარი სახელისა და დიდების მეტი არაფერი ახსოვს; თან არც ისა სწამს, რომ მისი ცხოვრება შთამომავლებში გაგრძელდება და თავის ჭეშმარიტ მემკვიდრეებად ისინი მიაჩნია, ვინც მის სურათებს აღფრთოვანებული შესციცინებს! თავის შეილსაც იმიტომ მანდობს, რომ უშფოთველად დატკბეს დიდებით, მაგრამ მას სულ ერთნაირად გავაშიშვლებ!“

თავდაპირველად ხოაკინს მაინც აწუხებდა ასაკი: როცა „მოგონებების“ წერას შეუდგა, უკვე ორმოცდაათხუთმეტი წლისა გახლდათ, მაგრამ აკი სერვანტესმაც ორმოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში დაიწყო თავისი „კიხოტის“ წერა. აღვა და ცნობების შეგროვება დაიწყო იმის დასამოწმებლად, რომ თითქმის ყველა უდიდესი შედეგრი ავტორებმა შექმნეს სწორედ მისა ასაკის, ორმოცდაათხუთმეტი წლის შემდეგ. და როცა ეს ცნობებიც მოიმარჯვა, თავისი ძალისაც ირწმუნა, თან ამ რწმენას საფუძველს უმაგრებდა გამოცდილების სიმდიდრე, აზროვნების სიმწიფე, რასაც კიდევ უფრო აცხოველებდა მის სულში ამდენი წლის უსარგებლოდ დაგუბებული შმაგი ვნებები.

ახლა კი ყველა ღონეს იხმარს, რომ ეს წიგნი დაასრულოს. საბრალო აბელი, რა ელის! და ხოაკინი ლამის თანაგრძნობითაც კი განიმსჯვალა მისადმი, თუმცა სიძულვილთან შერწყმული თანაგრძნობით. ლამის უკვე მოდელადაც მიაჩნდა, მსხვერპლად, და მოდელივითა და მსხვერპლივითაც აკვირდებოდა და სწავლობდა მას, ერთია, არცთუ ისე ხშირად დადიოდა აბელი შეილის სახლში.

— ეტყობა მამაშენი ძალიან ჩაეფლო საქმეებში — ეტყოდა ხოლმე ხოაკინი სიძეს, — იშვიათი სანახავი გაგვიხდა. ხომ არაფერი ეწყინა ნეტავ? იქნებ მე ან ანტონიამ, ანდა ჩვენმა შვალმა უნებურად რამე ვაწყენინეთ? თუ ასეა, ძალიან ვწუხვარ...

— არა, არა, მამა, — ასე მიმართავდა მას აბელინი — რა სათქმელია, სახლშიც ასე იცოდა ხოლმე. აკი გეუბნებოდით, საკუთარი საქმეების მეტი არაფერი აგონდება-მეთქი! თავისი საქმეებისა და ხატვის მეტი...

— არა, შეილო, არა, შენ მეტისმეტად აზვიადებ... კიდევ რამე სწავა...

— არა, მეტი არაფერი.

მაგრამ ხოაკინი ისევ თავისას გაიძახოდა, რომ შეილს მამაზე უფრო მეტი დასცდენოდა.

— ასე რატომ დაგვივიწყა აბელმა? — ამასვე ეკითხებოდა ელენასაც.

— ეეჰ ასეთია და რა გაეწყობა! — უბასუხებდა ელენა. თავად ელენა საკმაოდ ხშირად ნახულობდა ახალგაზრდებს.



— ერთი ეს გამაგებინე, — უთხრა ერთ დღესაც ხოაკინმა სიძეს, — როგორ მოხდა მაინც რომ მამაშენმა მხატვრობა არ შეგეყვარა?

— მე თვითონ არასოდეს მიზიდავდა.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ თავისი ხელოვნებისთვის ეზიარებინე...

— არც უცდია, უმალ პირიქითაც, როცა ბავშვობაში ვცდილობდი რაიმე დამეხატა, ან გამომეძერწა თუ დამეჩხაპნა, აინუნშიაც არ ჩააგდებდა, არასოდეს წამათამაშებდა, როგორც საერთოდ იციან ხოლმე მშობლებმა შვილების წათამაშება.

— უცნაურია, უცნაურია... — ბუტბუტებდა ხოაკინი, — თუმცა...

აბელინს უცხო შიში შეეპარა, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა და ისე უელავდა სიმამრს თვალები, გუმანით იგრძნო, რაღაც ღრღნიდა შიგნიდან, რაღაც ავბედითი, იღუმალი შხამი დაგუბებოდა და მისი გადმონთხევა უნდოდა.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა წამით და მერე ხოაკინმა თქვა:

— მაინც ვერ ამიხსნია, რატომ არ მოინდომა, შენც ფერწერას გაპყლოდი...

— ალბათ არ უნდოდა, რომ ორივეს ერთი საქმე გვეკეთებინა...

კვლავ სიჩუმე ჩამოწვა და კვლავ ხოაკინმა დაარღვია პირველმა, თითქოს აღსარების თქმა გადაწყვიტაო, ისე წამოიძახა უეცრად:

— მგონი მივხვდი! მივხვდი!

მისმა გამომეტყველებამ კვლავ შიშის ქრუანტელი მოჰგვარა აბელინს, თუმცა კი ამ შიშის მიზეზი კარგად ვერ გაეგო.

— რას? — ჰკითხა სიძემ.

— არა... არაფერს... — ხოაკინი ისევ თავის თავში ჩაიკეტა.

— მითხარი! — შეეხვეწა სიძე, კარგა ხანია შენობით მიმართავდა სიმამრს მისივე თხოვნით, როგორც მეგობარსა და მამას, მეგობარსა და თანამოაზრეს! თუმცა კი წინასწარ კანკალებდა პასუხის მოლოდინში.

— არა, არა, არ მინდა რომ მერე თქვა...

— ჩემი აზრით პირდაპირ თქმა სჯობს, რაც არ უნდა უსიამოვნო იყოს, ვიდრე ასე გადაკრული... თუმცა მგონია, მეცა ვხვდები...

— რასა ხვდები? — სიმამრმა თვალი თვალში გაუყარა.

— იქნება იმისი შიში ჰქონდა, დროთა განმავლობაში ჩემი სახელი არ დაჩრდილოსო...

— გამოიცანი, — დაუდასტურა გახარებულმა ხოაკინმა, — ასეა! აბელ სანჩესი-შვილი, თუ აბელ სანჩესი-უმცროსი! აბა წარმოიდგინე, რა იქნებოდა, თუ ხალხი მას შენს მამად მოიხსენიებდა და არა შენ, მის შვილად. განა ოჯახებში ერთი და ორი ასეთი ტრაგედია დატრიალებულა... და ყოველთვის იმის გამო, რომ შვილებს ხშირად მამებისთვის უჯობნიათ...

— ალბათ ასეა... — დაეთანხმა სიძე, ოღონდ კი რაიმე ეთქვა.

— ამას ჰქვია შური, შვილო, შური და მეტი არაფერი.

— მერე შეიძლება, რომ კაცს შვილისა შურდეს? მამას შვილისა?..

— შეიძლება და ბუნებრივიცაა. მათ შორის, ვინც ძლივსძლიევობით იცნობენ ერთმანეთს, შური არ გაჩნდება. აბა როგორ შეიძლება შური გაუჩნ-

დეს ადამიანს სხვისი მიწების, სხვა დროების მიმართ; არც უცხოელებისა შეგშურდება რაიმე, ისევ საკუთარი თანამემამულისა თუ შეგშურდება, არც სხვა ასაკისა და სხვა თაობისა, მხოლოდ შენი თაობისა და შენი თანატოლისადმი შური გაგმსჭვალავს. და მაინც ყველაზე დიდი შური ძმებს შორის ჩნდება ხოლმე. შემთხვევით არ წარმოქმნილა აბელისა და კაინის ლეგენდა... ძმებს შორის ეჭვიც მაშინ იბადება, როცა ერთ-ერთ ძმას მოეჩვენება, ჩემმა ძმამ ჩემს ცოლს, ესე იგი, თავის რძალს თვალი დაადგაო და კიდევ მამებსა და შვილებს შორისაც...

— ამ დროს ასაკობრივი სხვაობა მაინც არ მიიღება მხედველობაში?

— არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს! აქ იღვიძებს იმისი დაჯაბნის სურვილი, ვინც თავადვე შვა...

— მასწავლებელსა და მოწაფეს შორის რაღა ხდება? — ჰკითხა აბელმა. ხოაკინი ერთი წამით გაჩუმდა, მიწას ჩააჩერდა და მერე თითქოს მიწასვე ჩასძახაო:

— შური, უდავოდ, ნათესაური ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა.

მერე კი დაუმატა:

— მოდი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, შვილო, ეს საუბარი კი ვითომ სულ არ გვქონია, პირწმინდად დაივიწყე, ვითომ არც არაფერი გვითქვამს.

— არა!

— როგორ თუ არა?

— არც არაფერი გამიგონია და არც არაფერი მითქვამს...

— არც მე მითქვამს და გამიგონია... — და ხოაკინს ხმა გაეზარა.

XXXIII

ელენა ჩვეულებრივად საკმაოდ ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე რძალსა და შვილს, თან სულ იმას ცდილობდა რაშენაირად ისე მოეწყო თავისი შვილის ახლანდელი სამყოფელი, რომ ამ უბრალო ბურჯუაზიულ კერას მეტი სინატიფე და სიკობტავე ჰქონოდა, რაც აშკარად აკლდა. ერთი სიტყვით, უნდოდა როგორმე პირდაპირ თუ შეპარვით ზემოქმედება მოეხდინა ხოაკინაზე, რომელიც მისი აზრით, მაინცდამაინც კარგად ვერ აღეზარდათ გაუმართლებელი ამპარტავნობით შეპყრობილ მამას და უბედურსა და დაბეჩავებულ დედას, თუმცა დედას რა მოეთხოვებოდა, მარტო ისიც კმაროდა, რომ ამისთანა კაცს იტანდა, ოდესღაც მისგან უარყოფილ კაცს. ელენას ყოველი სტუმრობა კარგი ტონისა და დახვეწილი მანერების დაუფიწყარ გაკვეთილად იქცეოდა ხოლმე.

— კეთილი, როგორც თქვენ ინებებთ! — ჩვეულებრივად ეთანხმებოდა ანტონია.

ხოლო ხოაკინა, მართალია დიდი სიამოვნებით არა, მაგრამ მაინც ემორჩილებოდა, თუმცა ერთხელ ძლივს შეიკავა თავი, კარგა დიდ ჩხუბს აუტეხდა, რომ ქმარს არ დაეშოშმინებინა.

— როგორც თქვენ ინებებთ, სენიორა! — უთხრა ერთხელაც ხოაკინამ და საგანგებო მახვილით გამოყო „თქვენ“. — მე ამისი არაფერი გამეგება და არც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ჩემთვის საკმარისია, რომ ეს თქვენს გემოვნებას შეეფერება...

— ეს მარტო ჩემი გემოვნება როდია, შვილო...

— ერთი და იგივეა! მე ექიმის ოჯახში გავიზარდე და ძალიან კარგად ვიცი ყველაფერი, რაც ჰიგიენას, ჯანმრთელობას ან ბავშვის მოვლას ეხება, ხოლო დანარჩენში, რასაც თქვენ გემოვნებას, კეთილშობილებას და სხვა ამისთანებს ეძახით, მზად ვარ დავემორჩილო იმას, ვინც მთელ ოჯახში ცხოვრება ხელოვანის ოჯახში გაატარა...

— არა ვბრაზობ, მაგრამ რომ გვისაყვედურებთ, ეს ასე რატომ არ არის და ეს ისეო... ჩვენ ხომ აქ სალამოებსა და ცეკვებს არ ვაწყობთ.

— პირდაპირ ვერ გამიგია, საიდანა გაქვს ეს გამოგონილი სიტყვებილი... ჰო, ჰო, სწორედ რომ გამოგონილი...

— განა საამისო რა ვთქვა?!

— გამოგონილა სიტყვებილი სინატიფისადმი, მაღალი წრის წესებისადმი, უამისოდ ხომ ცხოვრებაც გაგვიჭირდებოდა. გაგვიჭირდებოდა კი არა, შეუძლებელი იქნებოდა!

მამა და ქმარი სულ იმას უკიყინებდნენ ხოაკინას, რაც შეიძლება მეტა ისეირნე, სუფთა ჰაერით ისუნთქე და მზეს მიეფიცხო რადგან ეს მომავალი ბავშვისთვის აუცილებელ პირობად მიაჩნდათ. მაგრამ ისინი ყოველთვის როდი ახერხებდნენ გაპყოლოდნენ. ანტონიას კი საერთოდ, არ უყვარდა სახლიდან გასვლა; ასე რომ, უმეტესწილად, ხოაკინა დედამთილთან ერთად სეირნობდა ხოლმე. ელენასაც სიამოვნებდა რძალთან ერთად სიარული. უფროს დასავით მიჰყვებოდა გვერდით და გამვლელებსაც დები ეგონათ; ისიც სიამოვნებას ჰგვრიდა რომ თავისი სილამაზითა და დიდებული შესახედაობით, წლებმა რომ ვერ დააჩნიეს კვალი, რძალს. ცოტა არ იყოს, ჩრდილავდა კიდევ. გამვლელების თვალში ხოაკინა მართლაც უფერულად გამოიყურებოდა. მისი სილამაზე თვალში ერთბაშად ვერ მოგხვდებოდა, კარგად დაკვირვება უნდოდა, რომ მისი მომხიბლაობა შეგემჩნია, მაშინ, როცა ელენას ჩაცმულობაც კი ისე ჰქონდა გაანგარიშებული, რომ ყველას ყურადღება მიეპყრო, თვალი მოეტაცა. „ისე, დედა მირჩევნია!“ — ყური მოჰკრა ერთხელ ელენამ ვილაც ქარაფშუტას შეძახილს, რომელმაც იმ დროს ჩაუარა გვერდით, როცა ელენა „შვილო“ მიმართავდა რძალს. ამ შეძახილზე ელენა წამოენთო, სუნთქვაც კი გაუხშირდა, ტუჩებზე ენის წვერი მოისვა.

— გამიგონე, შვილო, — ეტყოდა ხოლმე ხოაკინას, — უნდა სცადო, შენი მდგომარეობა ცოტა მაინც დამალო. მორიდება გმართებს, უხერხულია...

— ამაზე არც მიფიქრია, მთავარია, თვითონ ვგრძნობდე თავს კარგად, სხვების აზრი სულ არ მაღელვებს... ზოგიერთებისა არ იყოს, რისთვის უნდა დავმალო ის მდგომარეობა, რასაც ჩვეულებრივად „საინტერესოს“ ეძახიან, ეგ საკითხი არც კი მაფიქრებს.

— მაინც საჭიროა, რომ გაფიქრებდეს, რაკი საზოგადოებაში ცხოვრობ.

— რა მოხდა, ხალხმა რომ მიყუროს? თქვენ მაგალითად ძალიან გეშინიათ, ბებია რომ გახდეთ? — ცოტა არ იყოს, დამცინავად დაუმატა მან.

ელენას კიდევ შეაყრყოლა ამ უსიამოვნო სიტყვის „ბებიას“ გაგონებაზე, მაგრამ მაინც თავი შეიკავა.

— იცი რას გეტყვი, ასაკის მიხედვით... — ფიცხად წამოიწყო მან.

— რა თქმა უნდა, ასაკის მიხედვით, რომ ვიმსჯელოთ, შეგეძლოთ კიდევ ერთხელ გამხდარიყავით დედა — გაჰკენწლა რძალმა.

— ცხადია, ცხადია... — თქვა ასეთი მოულოდნელი შეტევის გამო შემკრთილმა და გაკვირვებულმა ელენამ, — მე ხომ პარტო იმიტომ გავატრთხილე, რომ ყველანი გიყურებენ...

— არა, ეს ნუ გაღელვებთ, მგონი თქვენ უფრო გიყურებენ, ალბათ ის დიდებული პორტრეტი თუ ახსენდებათ, ხელოვნების ის ბრწყინვალე ნიმუში...

— მე შენს ადგილზე... — წამოიწყო დედამთილმა.

— თქვენ ჩემს ადგილზე, დედა, ესე იგი, თქვენ რომ ჩემს მდგომარეობაში იყოთ, რა იქნებოდა მაშინ?

— იცი რას გეტყვი, ბავშვო, თუ ასეთ კილოზე განავრძობ ჩემთან ლაპარაკს, სჯობია, შინ დავბრუნდეთ და საერთოდ აღარც შენთან ერთად წამოვალ სასეირნოდ და აღარც შენს სახლში დავადგამ ფეხს... უფრო სწორად, მამაშენის სახლში...

— მართალს ბრძანებთ, ჩემი სახლია და ჩემი ქმრასა, მაგრამ თქვენთვისაც ხომ სულ ღიაა მისი კარი...

— საინტერესოა, ასე როდის დაბრძენდი?

— დავბრძენდი? აკი ბრძენი მხოლოდ სხვა უნდა იყოს!

— აი, თურმე რა ჩუმჩუმელა ყოფილხარ! თან მონაზვნადაც რომ აბირებდი აღკვეცას, მამაშენს რომ ჩემი შვილი არ გაეხებოდა მახეში...

— მე უკვე ვითხარით, სენიორა, ამ თემას ნუ შეეხებით-მეთქი, თქვენზე უკეთ ვიცი, როგორც გავთხოვდი თქვენს შვილზე...

— ჩემმა შვილმაც კარგად იცის.

— დიახ, იმანაც კარგად იცის და გთხოვთ, დღეის შემდეგ ამაზე აღარ ვილაპარაკოთ.

XXXIV

და იშვა ამქვეყნად ვაჟი აბელინისა და ხოაკინასი; ასე შეერთო ერთმანეთს აბელ სანჩესისა და ხოაკინ მონეგროს სისხლი.

პირველივე შეტაკება სახელის თაობაზე მოხდა; რა უნდა დაერქმიათ? დედამისს უნდოდა ხოაკინი, ელენას — აბელი, აბელს — აბელინი, ანტონიას კი... ანტონიამ ხოაკინს მიანდო საბოლოო სიტყვა და მონეგროს სულში დაიწყო ბრძოლა; თითქოს არაფერი განსაკუთრებული არა ხდებოდა, ბოლოს და ბოლოს ახალშობილისთვის სახელი უნდა ეწოდებინათ, მეტი ხომ არაფერი, მაგრამ ხოაკინის თვალში ეს ისე იდუმალ, ისეთ ჯადოსნურ წინასწარმეტყველების ზომამდე გაიზარდა, რომ იფიქრებდით, ბავშვის ბედის, მისი სულის ამოცნობის საკითხი წყდებაო.

„მას რომ ჩემი სახელი — ხოაკინი დავარქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უნდა იყოს ხოაკინ ს. მონეგრო, მერე ნელ-ნელა უნდა გაქრეს ამ წყვეული გვარის — სანჩესის პირველი ასო ს-ც, მის შვილს კი სულაც აღარ შერჩება, და ასე, თანდათან მისი შთამომავლობა ჩემსაში გაითქვამება... ან იქნებ უკეთესიც იყოს, აბელ მონეგრო დავარქვათ, აბელ ს. მონეგრო და ამით აბელის სახელსაც გამოვისყიდო! მის პაპას კი ჰქვია აბელი, მაგრამ მამასაც ხომ აბელს ვეძახით, ჩემს სიტყვს, ჩემს შვილს, თითქმის ჩემსას, ჩემს აბელს, რომელიც მე შევქმენი. რა მოხდებოდა რომ აბელი დავარქვათ, მით უმეტეს, თუ ის, მეორე, მისი პაპა უკვე აბელიც აღარ იქნება, უფრო სწორად, ამ სახელით აღა-

რავის ემახსოვრება. რადგან მას მხოლოდ იმ სახელით მოიხსენიებენ, რასაც ჩემს „მოგონებებში“ დავარქმევ და რასაც ცეცხლოვანი ასოებით ამოვღალავ მის შუბლზე. თუმცა არა...“

და სანამ იგი ამ ყოყმანში იყო, ისევ თავად აბელ სანჩესმა, მხატვარმა გადაწყვიტა დავა; მან თქვა:

— ხოაკინი დავარქვათ, აბელი პაპა, აბელი მამა, აბელი შვილი, სამი აბელი გამოვა... ეს კი მეტისმეტია! ესეც არ იყოს, სახელი აბელი მაინც არ მომწონს მსხვერპლის სახელია...

— თუ ასეა, შენს შვილს რატომ დაარქვი? — ჰკითხა ელენამ.

— იმიტომ, რომ შენ გინდოდა და მეც არ ვაგიწიე წინააღმდეგობა... აბა ერთი წარმოიდგინე, რა მოჰყვებოდა იმას, რომ ისიც მხატვრობას გაეტაცა და არა მედიცინას... მაშინ ხომ აბელ სანჩესი უფროსი და აბელ სანჩესი უმცროსი ვიქნებოდით...

— როცა შეიძლებოდა ერთის მეტი არ ყოფილიყო, არა? — ჩაიქირქალა ხოაკინმა.

— ჩემთვის სულ ერთია, თუ გინდა ასიც ყოფილიყო, — უპასუხა მხატვარმა — მე მაინც მე დავრჩებოდი.

— შერედა, ვის ეპარება ამაში ეჭვი? — უთხრა მეგობარმა.

— არავის, არავის! მაშ გადაწყდა, ხოაკინი დავარქვათ!

— ოღონდ მხატვრობას ნუ გაჰყვება, არა?

— და ნურც მედიცინას, — ისე დაასრულა კამათი აბელმა თითქოს ხუმრობა აიტაცაო.

და შვილიშვილს დაარქვეს ხოაკინი.

XXXV

ბავშვს უმეტესად ბებია უვლიდა, აიყვანდა ხელში და ისე ჩაიკრავდა მკერდში, გეგონებოდათ, გული რაღაც ავს უგრძობს და მოულოდნელი ხიფათისგან უნდა გადაარჩინოსო, თან უნანავებდა: „იძინე, ჩემო შვილიკო, იძინე, რაც ბევრს იძინებ, მით უკეთესი, უფრო ღონიერი და ჯანმრთელი გაიზრდები. მით უმეტეს, ამ სახლში, ძილი გერჩივნოს ღვიძილს. ნეტავ რა გელის? ღმერთმა დაგიფაროს, ამ ორთა სისხლი შენს ძარღვებშიც წაგვიდოს ერთმანეთს!“ ბავშვი რომ ჩაიძინებდა, მაშინაც არ უშვებდა ხელიდან და თან ლოცულობდა, ლოცულობდა.

და ბავშვი იზრდებოდა, მასთან ერთად იზრდებოდა პაპამისის (დედის მხრიდან) „აღსარებისა“ და „მოგონებების“ მოცულობა და მეორე პაპის (მამის მხრიდან) სახელი და დიდება. იმხანად კი აბელის სახელი მართლაც ძალზე გაიზარდა. და გეგონებოდათ, თავისი სახელის მეტი ნამდვილად აღარაფერი აღარდებოდა.

ერთ დილასაც მან რაღაც მეტი ყურადღებით დახედა თავის მძინარე შვილიშვილს და წამოიძახა: „რა მშვენიერია!“ მაშინვე წამოავლო ალბომს ხელი და მძინარის ხატვას შეუდგა.

— აფსუს, რომ თან არა მაქვს პალიტრა და საღებავები! — წამოიძახა მან, — მარტო ის რად ღირს სანახავად, როგორ თამაშობს სინათლე მის ლოც-

ებზე, სულ ატამივითაა, სასწაულებრივია, ანლა თმის ფერი თქვით? კულულებიც რომ სულ მზის სხივებს მიუგავს!

— მერე, — უთხრა ხოაკინმა, — რას დაარქმევდი მაგ შენს სურათს, უბიწოებას ხომ არა?

— ეგ ლიტერატორების საქმეა, რაც უნდათ, ის დაარქმევენ. მე არ იყოს, დაავადებებს რომ არქმევენ სახელებს, განკურნებისა კი რა მოგახსენოთ.

— მერე, შენ ვინ გითხრა, რომ მედიცინის მიზანი დაავადებების განკურნებაა?

— მაშ რა არის?

— მისი ცოდნა; ბოლოს და ბოლოს, მეცნიერების მიზანი ხომ ცოდნაა.

— მე კი მეგონა, რომ ცოდნა განკურნებას ემსახურებოდა. მაშ რილასთვის ვიგემეთ ნაყოფი ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა, თუ მისგან მაინც ვერ გავთავისუფლდებოდით?

— მაშ ხელოვნების საბოლოო მიზანი რაღაა? და ბოლოს, რა მიზანი აქვს ჩვენი შვილიშვილის ამ სურათს?

— საბოლოო მიზანი თვითვეა. ისიც კმარა, რომ ლამაზია და მორჩა.

— რომელია ლამაზი, შენი ნახატი თუ ჩვენი შვილიშვილი?

— ერთიცა და მეორეც!

— იქნება გგონია, რომ შენი ნახატი ხოაკინიტოსაც სჯობია და უფრო ლამაზია?

— შენ ისევ შენსას გაიძახი! ხოაკინ! ხოაკინ!

ამ დროს შემოვიდა ბებია ანტონია, ბავშვი აკვნიდან ამოიყვანა და გულში ისე ჩაიხუტა, თითქოს სურდა ამ ორივე პაპისგან დაეცვა: „აჰ, შვილო, შვილიყო, უცოდველო კრავო, ამ ოჯახის მზეო; წმინდა ანგელოზო, ნურც დაგხატავენ და ნურც გიმკურნალებენ, საამისოდ არ გაჩენილხარ, არც მხატვრის მოდელი ხარ და არც ექიმის პაციენტი! შორს მაგათი მხატვრობაც და მაგათი მეცნიერებაც, ჩემთან წამოდი, შენს ბებიკოსთან, ჩემო სიცოცხლე, ჩემო სიხარულო! შენ ზომ ჩემი სიცოცხლე ხარ, ჩვენი სიცოცხლე, ამ სახლის მზე. მე შენ გასწავლი ლოცვას, პაპებზე ილოცებ და ღმერთი გისმენს. წამოდი ჩემთან, ჩემო სიცოცხლე, ჩემო პატარავ, უცოდველო კრავო, ღვთის კრავო!“ და ანტონია ისე გავიდა, არც კი ინება აბელის სურათისთვის დაეხედა.

XXXVI

ხოაკინი ავადმყოფური შიშით აღევნებდა თვალყურს ბავშვის ფიზიკურსა და სულიერ განვითარებას. რა კაცი დადგება? ვის დაემსგავსება? ვისი სისხლი გადასძლევს? განსაკუთრებით კი უფრო მაშინ გაამახვილა თვალი, როცა ბავშვმა ტიქტიკი დაიწყო.

პაპა ხოაკინს იმისიც ეშინოდა, რომ ბავშვის დაბადების შემდეგ, იმან, მეორე პაპამ, აბელმა მათთან სიარულს მოუხშირა და წარმოიდგინეთ, ბიჭი თავისთანაც მიჰყავდა ხოლმე. ეს უდიდესი ეგოისტი — დიახ, ასეთად მიაჩნდა იგი საკუთარ შვილსაც და ხოაკინსაც — ისეთი გულჩვილი გახდა, შვილიშვილს რომ ეთამაშებოდა, თავადაც ბავშვს ემსგავსებოდა. ხშირად უხატავდა

ხოლმე სურათებსაც და ამით აუწერელ სიხარულს ჰგვრიდა პატარას. „აბელი-
ტო, დამხატე რამე!“ — ეხვეწებოდა ბავშვი და აბელიც დაუღალავად უხა-
ტავდა ძაღლებს, კატებს, ცხენებს, ხარებს, კაცუნებს, ცხენოსნებს. რასაც კი
მოისურვებდა, ხან ვითომ ბიჭები ჩხუბობდნენ, ხან ვითომ ძაღლი მისდევდა
ბავშვს, ხან კიდევ რას და, ასე დაუსრულებლად.

— ამისთანა სიამოვნებით არაფერი მიკეთებია ჩემს ცხოვრებაში, — იტ-
ყოდა ხოლმე აბელი. — ამას ჰქვია წმინდა ხელოვნებაც, სხვა დანარჩენი კი...
სისულელეა!

— შეგიძლია საბავშვო ნახატების ალბომიც კი გამოსცე, — უთხრა ხოა-
კინმა.

— არა, რისთვის! საბავშვო... არა! ეს ხელოვნება კი აღარ იქნება, არამედ...

— პედაგოგია, — თქვა ხოაკინმა.

— რაც გინდა ეს დაარქვი, მაგრამ არა ხელოვნება. ნამდვილი ხელოვნება
თუ გინდა, აი, ეს სურათებია, ნახევარ საათში ნაფხრეწებად რომ აქცევს ჩვენი
შვილიშვილი.

— და თუ ამ ნახატებს შევიწინაბავ? — ჰკითხა ხოაკინმა.

— შეინახავ? მერედა რისთვის!

— შენთვისვე, შენივე დიდებისთვის გამოგადგება. რომელიღაც ცნობილ
მხატვარზე გამიგონია, როცა მისი სურათები გამოაქვეყნეს, რომელთაც თურ-
მე ბავშვებს გასართობად უხატავდა ხოლმე, აღმოჩნდა, რომ ამაზე უკეთესი
არაფერი დაეტოვებინა.

— ნუთუ არ გესმის, რომ ამ სურათებს გამოსაქვეყნებლად სულაც არა
ვხატავ? ხოლო რაც შეეხება იმ სახელსა და დიდებას, რომლისკენაც, შენი გა-
დაკრული სიტყვების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, მე ვისწრაფვი, კარგად დაი-
მანსოვრე, ხოაკინ, ეს სახელი და დიდება გროშადაც არ მიღირს.

— ფარისევლო, დიდების მეტი განა რა გაფიქრებს?

— რა მაფიქრებს? სისულელეა, ამ ბავშვის მეტი ახლა არაფერიც არ მა-
ფიქრებს, თუ მართალი გინდა იცოდე; დიდი მხატვარი დადგება!

— თუკი შენს გენიალურ ნიჭს მემკვიდრეობით გადასცემ, არა?

— შენ ისევ შენსას გაიძახი.

ბავშვს პაპების კინკლაობისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ იმას მაინც ხვდე-
ბოდა, რომ კარგი არაფერი სჭირდათ.

— ნეტავ რა ხდება მამაჩემის თავს? — ჰკითხა ერთხელ ხოაკინს სიძემ, —
როგორ ელოლიავება ბავშვს, საოცარია, მეც კი ვიყავი პატარა, მაგრამ არ მახ-
სოვს, ჩემს მიმართ ასეთი ყურადღება გამოეჩინოს, ერთი სურათიც კი არასო-
დეს დაუხატავს ჩემთვის...

— სიბერე მოუახლოვდა და იმის ბრალია, შვილო, — უპასუხა ხოაკინმა, —
სიბერე კი ბევრს გვასწავლის.

— აი, გუშინდელია არ იყოს, კი ვერ გავიგე, რა ჰკითხა ისეთი ხოაკინი-
ტომ, მაგრამ უეცრად მამაჩემი ატირდა, ცრემლი დაბალუპით ჩამოსცვივდა.
მის თვალზე კი ცრემლი ჩემს დღეში არ მინახავს.

— ააჰ, ეს კი ნამდვილად გულის ბრალია!

— რაო?

— ასეა, წლებმა, შრომამ, შემოქმედებითმა წვამ, განცდებმა და კიდევ

რა ვიცი რამ, მისი ორგანიზმი ერთიანად დაქანცა. ყველაფერმა ამან გულის კუნთი მოუღუნა და შეიძლება ერთ მშვენიერ დღესაც...

— რა?

— რა და, ყველას დიდი მწუხარება მოგვაყენოს. კარგია, რომ შემთხვევა მომეცა შენთვისაც მეტქვა ეს ამბავი; მეც ბევრი ვიფიქრებდი და შენც გააფრთხილე.

— მართალია, ხშირად უჩივის დაღლილობას, სულის ხუთვას, მამასადამე, ეს...

— ჰო, სწორედ ეს... ამას წინათ მთხოვა გამსინჯეო. ოღონდ აბელინა არ უთხრაო. მისთვის სრული სიმშვიდეა საჭირო.

და ახლა, როცა კი ამინდო შეიცვლებოდა, აბელი შინიდან არ გადიოდა. ითხოვდა ბავშვი აქ მომიყვანეთო; ეს კი მთელ დღეს უწამლავდა მეორე პაპას. „მას უნდა ბავშვი გადამაჩვიოს, — ამბობდა ხოაკინი, — მისი სიყვარული წამართვას, პირველობა მოიპოვოს, შეიღოს გამო შური იძიოს. ჰო, ჰო, ეს ყველაფერი შურისძიებითაა ნაკარნახევი. უკანასკნელი ნუგეში უნდა წამართვას. როგორიც ბავშვობაში იყო, ისეთივე დარჩა: მაშინაც სულ იმის ცდაში იყო, ამხანაგები ჩამოეშორებინა ჩემთვის“.

და ამ დროს აბელი თავის შვილიშვილს, ვინ იცის, მერამდენეჭერ უმეორებდა, გიყვარდეს შენი პაპა ხოაკინიო.

— მე კი შენ უფრო მეტად მიყვარხარ. — უთხრა ერთხელ შვილიშვილმა.

— არა, არა, მე რატომ უნდა გიყვარდე მეტად, ყველა ერთნაირად უნდა გიყვარდეს. ჯერ, რასაკვირველია დედა და მამა, მერე პაპები და ბებიები და ყველა ერთნაირად. შენი პაპა ხოაკინი ძალიან კარგი კაცია, ძალიან უყვარხარ, მერე რამდენ სათამაშოს ყიდულობს შენთვის.

— შენც ხომ ყიდულობ.

— ზღაპრებსაც გიყვება.

— მე კი იმის ზღაპრებზე უფრო შენი სურათები მომწონს. კარგი, ახლა კი დამიხატე ხარი და ცხენი, ოღონდ ზედ პიკადორი შესვი.

XXXVII

— აბელ, კარგად მომისმინე, — საზეიმო ხმით წამოიწყო ერთხელ ხოაკინ-მამა, როცა ისინი განცალკევდნენ, — ერთ მნიშვნელოვან, მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მინდა მოგელაპარაკო, ლამის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე.

— ჩემს ავადმყოფობაზე ხომ არა?

— არა, ჩემსაზე, თუ გინდა, ჩემს სატკივარზე...

— შენსაზე?

— ჰო, ჩემს სატკივარზე, ჩვენს შვილიშვილზე მინდა მოგელაპარაკო. ღობე-ყორეს რომ არ მივედ-მოვედო, პირდაპირ გეტყვი, გაგვეცალგე, წადი, ნუღარ მოხვალ, დაგვივიწყე... გთხოვ, გემუდარები...

— მე? ხომ არ გაგიყებულხარ, ხოაკინ! კი, მაგრამ, რისთვის?

— იმისთვის, რომ ბავშვს ჩემზე მეტად შენ უყვარხარ. ეს აშკარაა. არ ვიცი როგორ მიაღწიე ამას... და არც მინდა ვიცოდე...

— თუ გინდა იფიქრე, რომ მოვაჯადოვე, წამალი დავალევი...

— არ ვიცი, სულ რომ სურათებს უხატავ, იქნებ სწორედ ამ წყვეული სურათებით, ამ შენი ეშმაკეული ხელოვნებით მოაჯადოვე...

— მერედა, რას ხედავ აქ ცუდს? არა, შენ კარგად არა ხარ, ხოაკინ!

— შეიძლება კარგად მართლაც არ ვიყო, მაგრამ ახლამაშს ნაშენელობა არა აქვს, ჩემი განკურნება უკვე გვიანაა. მაგრამ თუ შენთვის სავალდებულოდ მთელი, მაშინ კიდევ უნდა გეცოდებოდე. აკი მთელი ჩემი ბავშვობაც შენ მომიწამლე, მთელი ცხოვრება ხომ სულ მღვენიადი...

— მე?

— ჰო, შენ, შენ!

— მე კი არც ვიცოდი!

— ნუ თვალთმაქცობ, ყოველთვის გძულდი!

— მომისმინე, ხოაკინ, თუ ასე განაგრძობ, მართლა წავალ, ნუთუ ვერა გრძნობ რა ტკივილს მაყენებ... კარგად იცი მე ის კაცი არა ვარ, ვისაც ასეთი სიგიჟის მოსმენა შეუძლია. სჯობია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წახვიდე და დროზე მიხედო თავს, მანამდე კი შეგვეშვი.

— მაშ გაიხსენე, აბელ, განა ელენა იმიტომ არ წამართვი, რომ დაგემცირებინე, შეურაცხყოფა მოგეყენებინა?

— მერე, შენც ხომ ანტონია შეირთე!

— ეს სულ სხვაა... შენ კი მხოლოდ ჩემი დამცირების, შეურაცხყოფისა და მასხრად აგდების მიზნით შეირთე.

— ნუთუ ვერ ხვდები, კარგად ვერა ხარ, ხოაკინ, გეუბნები, კარგად ვერა ხარ-მეთქი.

— არც შენა ხარ უკეთესად.

— ჰო, ფიზიკურად შეიძლება უარესადაც ვიყო, გაცოდებით უარესად... ისიც ვიცი, დიდი დღე არ მიწერია...

— საკმარისი...

— აჰ, შენ გინდა სიცოცხლე მომისწრაფო?

— არა, აბელ, არა, ეს კი არ მინდოდა მეთქვა — და მერე ლამის ჩივილისა და მუდარის კილოზე განაგრძო, — წადი, წადი, აქედან სადმე სხვაგან დასახლდი, დამტოვე მასთან... ნუ წამართმევ... შენ ხომ კიდევ გრჩება...

— მრჩება სულ პატარა ვადა და ამ ვადით მაინც დამტოვე მასთან..

— არა, შენ მას ეშმაკურად სწამლავ, ცდილობ გადამაჩვიო, ჩემი სიძულვილი ასწავლო...

— ტყუილია, ტყუილი, ტყუილი! მასთან შენი აუგი არასოდეს დამცდენია და არც არასდროს დამცდება.

— ისიც გეყოფა, რომ პირფერობით თავბრუ დაახვიე.

— კარგი, წავალ, აღარ დავენახვები, მაგრამ დარწმუნებული ხარ, მერე უფრო შეუყვარდები? არა, ხოაკინ, როგორც არ უნდა მოინდომოს კაცმა, შენი შეყვარება ძალიან გაუჭირდება... თვითონვე იწორებ ყველას...

— აი, ხომ ხედავ, ხომ ხედავ...

— და თუ ბავშვს ისე არ უყვარხარ, როგორც შენ გინდა, — გინდა კი, შენს მეტი არავინ უყვარდეს — მაშასადამე, ის მართლაც გრძნობს რაღაცას, რაღაცის ეშინია...

— რისი უნდა ეშინოდეს? — ჰკითხა ფერწასულმა ხოაკინმა.

— შენი მოწამლული სისხლით რომ არ დაავადდეს.

ამის გაგონებაზე ხოაკინი წამოხტა, ერთიანად აკანკალებული ორივე ხელით, ორი კლანჭიანი თათით ყელში სწვდა აბელს და კბილებში გამოსცრა:

— არამზადავ!

მაგრამ იმავე წამს შეუშვა ხელი, რადგან აბელმა ერთი შეპყვირა, გულზე ბელი იტაცა და ამის თქმაღა მოასწრო ჩურჩულით: „გვკვდებმქონდა მშინვე სული განუტევა. ხოაკინმა ანგარიშმიუცემლად, სწრაფად დასწვდა დიგნოზი: „გულის ანგინა, გადარჩენა შეუძლებელი იყო, უკვე გათავდა!“

და იმავე წუთს შვილიშვილის ხმა შემოესმა: „პაპა! პაპა!“ — ხოაკინი მიტრიალდა: „ვის ეძახი? რომელ პაპას ეძახი? მე?“ და რაკი ნანახის იდუმალებით გაოგნებული ბავშვი ხმას არ იღებდა, ხოაკინმა კვლავ სცადა მისთვის პასუხი გამოეძალა: აბა, მითხარი, რომელ პაპას ეძახდი? მე?

— არა, პაპა აბელს!

— აბელს? შენი პაპა აბელი მოკვდა. იცი, რას ნიშნავს სიკვდილი?

ხოაკინმა აბელის გახევებული გვამი სავარძელში ჩაასვენა, კვლავ შვილიშვილს მიუბრუნდა და არაამქვეყნიურ ხმაზე უთხრა:

— ჰო, მოკვდა! მე მოვკალი, მე, შენმა პაპამ ხოაკინმა მოკლა აბელი! ახლა, თუ გინდა, შენ მე მომკალი. მაგას უნდოდა შენი თავი წაერთმია ჩემთვის, შენი სიყვარული... აკი წამართვა კიდევც... დამნაშავე ის არის.

და ხოაკინს ტირილი წასკდა.

— შენი მოტაცება უნდოდა, შენი, ჩემი ერთადერთი ნუგეშის წართმევა უნდოდა, ერთადერთისა, რაც უბედურ კაინს დარჩა! ნუთუ მეტი აღარაფერი დარჩება კაინს? მოდი, მომეხვიე...

ბავშვი გაიქცა, ვერაფერი გაიგო, მაგრამ ისე გაიქცა, თითქოს გიჟს გაექცაო. მირბოდა და თან ელენას ეძახდა:

— ბებია, ბებია!

— ჰო, მე მოვკალი, ჰო, — თავისთვის იმეორებდა ხოაკინი, — მაგრამ მე რომ არ მომეკლა, ის მომკლავდა... აკი ორმოც წელზე მეტია ნელ-ნელა მკლავდა კიდევც... მან მომიწამლა ცხოვრება თავისი ბედნიერებითა და თავისი წარმატებებით, მერე კი შვილიშვილიც უნდოდა წაერთმია...

აჩქარებული ნაბიჯების ხმა რომ შემოესმა, ხოაკინი გამოერკვა, ელენა იყო.

— რა მოხდა? რა მოხდა?... რას ამბობს ბავშვი?

— იმას, რომ თავისმა ავადმყოფობამ შენი ქმარი საბედისწერო დასასრულამდე მიიყვანა, — ცივად წარმოსთქვა ხოაკინმა.

— მერე შენ!..

— ველარაფერი ვუშველე... ასეთ შემთხვევაში ყოველთვის გვიანაა...

ელენამ პირდაპირ თვალებში შეხედა და უთხრა:

— შენი ბრალია... შენი!..

და მერე გაფითრებული, დათრგუნვილი, თუმცა კი ამაყი იერი არ დაუკარგავს, ქმრის გვამს დაემხო.

XXVIII

ერთი წელი გავიდა, რაც ხოაკინი მძიმე მელანქოლიას შეეპყრო; თავისი „მოგონებებიც“ მიატოვა და აღარც არავის ნახვა უნდოდა ქვეყანაზე, საკუ-

თარი შვილებისაც კი აბელის სიკვდილი თითქოს ბუნებრივი დასასრული უნდა ყოფილიყო მისი სულიერი ავადმყოფობისა, რაც მისი ქალიშვილისთვისაც კარგად იყო ცნობილი, მაგრამ მაინც საიდუმლოების მძიმე ტარდა ჩამოეფარა სახლს. ელენა მალე მიხვდა, რომ ძაძები ძალიან შეენოდა და საქმიანად შეუდგა ქმრის ნახატების გაყიდვას. თითქოს შვილი შეეფარა და დაეცა, გაცივდა კი არა, ლამის შეზიზღდა. ამასობაში ბიქს კიდევ დაც გაუჩინეს.

ბოლოს ამ გამოუცნობმა იდუმალმა სენმა ხოაკინი ლოგინადაც ჩააგდო. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, შვილებს მოუხშო, ცოლსაც და ელენესაც დაუძახა.

— ბავშვმა მართალი ვითრათ, — წამოიწყო მან, — მე მოვკალი აბელი.

— ამას რატომ ამბობ მამა, — მუდარით შეაწყვეტინა აბელმა — სიძემ.

— ახლა დავის დრო არ არის, დადგა უამი, სიმართლე გაიგოთ. მე მოვკალი აბელი, ჩემს ხელში მოკვდა და ისე მოკვდა, ვითომც მე მომეკლას.

— ეს სულ სხვაა...

— მაგრამ მოკვდა იმ წუთში, როცა მე ყელში ვწვდი. თითქოს სიზმარში მოხდა ყველაფერი, აკი მთელი ცხოვრებაც ერთი გაბმული სიზმარი იყო; რაღაც საშინელი ზმანება, განთიადისას რომ გვეწვევა ხოლმე ძილ-ღვიძილს შორის, სანამ სულ გამოვფხიზლდებოდეთ... ჩემი მშობლები არ მახსოვს, არც მინდა მათი გახსენება, მჯერა, სიკვდილის უამს მათაც არ გავხსენებდვარ. ნეტავ თუ უფალი მაინც გამიხსენებს! იქნება უკეთესიც იყოს, სამუდამო დაივიწყება, თქვენც დამივიწყეთ, შვილებო!

— არასოდეს! — შესძახა აბელმა და ხელზე ემთხვია.

— ნუ ეხები ჩემს ხელს, გაუშვი, სიკვდილის წუთებში ამ ხელით ვწვდი მამაშენს ყელში... გაუშვი! ოღონდ კი ნუ მიმატოვებთ... ილოცეთ ჩემთვის.

— მამა! მამა! — ევედრებოდა შვილი.

— რატომ ვიყავი ასე შურიანი, ასე ბოროტი! რა დავაშავე! რა რძე მაწოვეს! იქნება სიძულვილის სამსალა მასვეს!.. სიხლიანი საწამლავი! რატომ დავიბადე ამ სიძულვილის მიწაზე? მიწაზე, რომლის დევიზია: „გძულდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.“ რატომ მძულდა მუდამ ჩემივე თავი. როგორ ვცხოვრობდი ამ სიძულვილით! ანდა აქ, ჩვენ, ყველას, რატომ გვძულს ერთმანეთი?... თუმცა... დაუძახეთ ბავშვს!

— მამა!

— დაუძახეთ ბავშვს!

როცა ბავშვმა მოიბრინა, მომაკვდავმა ანიშნა, ახლოს მოდიო.

— მაპატიებ? — ჰკითხა მან.

— რა გაქვს მაპატიებელი? — უთხრა აბელმა.

— მიდი პაპასთან და უთხარი დიან-თქო, — უკარნახა დედამ.

— დიან! — წაიჩურჩულა ბავშვმა.

— გარკვევით თქვი, შვილო, მკაფიოდ, რომ მაპატიებ.

— კო!

— მხოლოდ შენი, მართო შენი პატიება მჭირდება, უცოდველი არსებისა, ვერ რომ განსჯისაც არაფერი გაეგება. და არასოდეს დაივიწყო შენი პაპა აბელი, ამდენ სურათებს რომ გიხატავდა ხოლმე, არ დაივიწყებ?

— არა!

— არასოდეს არ დაივიწყო, შვილო, არასოდეს. და შენც, ელენა...

ელენა თავდახრილი იდგა და დუმდა.

— შენც, ელენა...

— მე უკვე დიდი ხანია გაპატიე, ხოაკინ.

— ამას არ გეუბნები, ძალიან მინდოდა ანტონიას გვერდით მდინარე, ანტონია..



ბიზლიჩისეკა

უბედური ქალი ისე მოეხვია ქმარს, თითქოს მისი დაცვა უნდაო, თან გულამომჭდარი ტიროდა.

— მთელს ამ ამბავში მთავარი მსხვერპლი შენ იყავი, ვერც ჩემი ვანკურნება შესძელი და ვერც სიკეთისკენ მომამბრუნე...

— განა კეთილი არ იყავი, ხოაკინ... ამდენი ტანჯვის გადამტანი...

— ჰო, აკი სულის ჭლეტი გადავიტანე. მაგრამ შენ მაინც ვერ შესძელი სიკეთისკენ მოგებრუნებინე, იმიტომ, რომ არ მიყვარდი.

— ამას ნუ ამბობ!

— არა, უნდა ვთქვა, ყველას წინაშე უნდა ვაღიარო, მე შენ არ მიყვარდი. რომ მყვარებოდი, კიდევ განვიკურნებოდი, მაგრამ არ მიყვარდი და ახლა ძალიან ვწუხვარ, რომ არ მიყვარდი. ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდა...

— ხოაკინ, ხოაკინ! — მოსთქვამდა მწუხარებისგან განადგურებული ცოლი, — ასე ნუ ლაპარაკობ, შვილები მაინც შეიბრალებ, შვილიშვილი, მასაც ხომ ესმის. დღეს კი შეიძლება ვერ მიხვდეს, მაგრამ ხვალ...

— სწორედ სიბრაღული მალაპარაკებს, იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ყველანი მებრალებით. არა, მე შენ არ მიყვარდი და არც მოვინდომე შემყვარებოდი. მაგრამ ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდა... თუმცა ახლა, ახლა, როცა...

ცოლმა სიტყვის დამთავრება არ აცალა, მომაკვდავის ბაგეს ისე დაეწაფა. თითქოს უნდოდა სული შთაებერა მისთვის.

— სწორედ ეს გიშველის, ხოაკინ!

— მიშველას? რაღას მიშველის!

— თუ მოინდომებ, კიდევ მრავალი წელი იცოცხლებ...

— რისთვის! რომ დაგჩაჩანაკდე? მიხრწნილებაში რომ გადავვარდე? არა, სიბერე არ მინდა! ეგოისტურა სიბერე ბავშვობას ჰგავს, თან რომ განწირულების შეგრძნება ახლავს. მოხუცი მხოლოდ ბავშვია, ოღონდ ის კი იცის, რომ სიკვდილი ახლოსაა. არა, სიბერეს ვერ დაველოდები, ესლა მაკლია, შვილიშვილებს დავერიო, წვრილმანებზე დავუწყო ჩხუბი და ისინიც შევიძულო... არა, არა, სიძულვილი მეყოფა! შემძლო კი შემეყვარებინე, კიდევ უნდა შემეყვარებინე, ჩემი ხსნაც მხოლოდ ეს იქნებოდა, მაგრამ არ მოვინდომე.

ხოაკინი დადუმდა, ან სიტყვის გაგრძელება არ მოისურვა, ან აღარ შეეძლო. სათითაოდ ეამბორა ყველას. რამდენიმე საათის შემდეგ კი მისი დაქანცული სული უკანასკნელ, დაქანცულ ამოოხვრასთან ერთად გაფრინდა.

თავად განსაჯეთ!



თარგმნა ბათუ დანელიამ

I

პატარ-პატარა ყურეებისგან
დაკბილულიყო ზღვის სანაპირო,
და იალქნები შორს ჩანდნენ უკვე.
მე მარილიან ნაწნავს ვიშრობდი
მალლა, ფრიალა, განიერ ქვებზე,
მომაკითხავდა მწვანე თევზი და
მომაკითხავდა თეთრი თოლია,
მე ვიყავ ავი, შეუპოვარი,
პირმომცინარე და არ ვიცოდი, —
სწორედ ეს იყო ბედნიერება.
ჩავფლავდი ყვითელ კაბას ქვიშაში,
რომ არ წაეღო ქარს მოყიალეს...
და ზღვაში შორად შევცურდებოდი
და ბნელ ტალღებზე ვინეჯი თბილად.
როს ვბრუნდებოდი, აღმოსავლეთით
ზღვის პირას უკვე კრთოდა შუქურა,
და ხერსონესის კართან მტუქსავდა
ბერი: „ღამეში რას დაწანწალებ?“

წყალს ყნოსვით ვგრძნობდი, და მეზობლები
ჭას როცა თხრიდნენ, მე მეძახოდნენ,
რათა მეპოვა ალაგი ჭისტვის
და არ ეღვარათ ოფლი ამაოდ...
მე ტყვიებს ვკრეფდი, ო, ფრანგულ ტყვიებს,
ისე, ვით კრეფენ მოცვსა და სოკოს,
ვივსებდი კალთას ნაღმის ჟანგიან
ნამსხვრევეებით და მომქონდა სახლში,
და მივუგებდი დაიკოს მწყრალად:
„როცა გავხდები მე დედოფალი,
ჯავშნოსან ექვს გემს ავაგებინებ
და ექვსიოდე ნავს საქვემეხეს,
რომ ყურეები დაიცვან ჩემი



თვითონ შორეულ ფიოლენტამდე“.
 ხოლო საღამოს საწოლთან მდგარი
 მე ვლოცულობდი ხატის წინაშე
 მასზე, რომ ბლები არ დაესეტყვა,
 რომ ქარს ცბიერს და მოხეტიალეს
 არ შეემჩნია ყვითელი ვაბა.

მე ვმეგობრობდი მეთევზეებთან.
 დაპირქვავებულ ნავის ქვეშ ხშირად
 ვიჯექი მათთან, როდესაც წვიმდა,
 ისინი ზღვაზე ჰყვებოდნენ ამბებს,
 მე ვუსმენდი და ვიმახსოვრებდი.
 ისე ვუყვარდი მე მეთევზეებს,
 რომ ნავსადგომში თუ არ ვიყავი,
 გამოგზავნიდნენ ჩემთან გოგონას, —
 ის მეძახოდა: „მოდე, დაბრუნდნენ,
 წამო, დღეიდან ქამბალებს შევწვავთ“.

ლეგათვალება, მაღალი ბიჭი
 ჩემზე ექვსი თვით უმცროსი იყო.
 მან მომიტანა თეთრი ვარდები,
 დამათრობელი თეთრი ვარდები
 და მერე მითხრა მორიდებულად:
 „თუ შეიძლება, ჩამოვჯდე შენთან?“
 მე ვიცინოდი: „ო, ეს ვარდები! —
 ისინი მხოლოდ იჩხვლიტებიან“.
 მან კი მომიგო: „რა უნდა მექნა,
 ასე ძალიან რომ შემეყვარდი!“
 მე კი დავტუქსე: „რა თქვი, სულელო,
 შენც უფლისწული ხომ არ გამიხდი?!“
 ის იყო ბიჭი ლეგათვალება,
 ნახევარი წლით ჩემზე უმცროსი.
 მან მიპასუხა: „მინდა შეგირთო,
 მე სრულწლოვანი გავხდები მალე,
 და ჩრდილოეთში წავიდეთ ერთად...“
 და აზლუქუნდა მაღალი ბიჭი,
 მე არ ვინდომე ვარდები რადგან
 და ჩრდილოეთშიც არ მსურდა წასვლა.
 და ვანუგეშე თითქოსდა ამით:
 „მე დედოფალი გავხდები, გესმის,
 და შენისთანა რად მინდა ქმარი?!“
 მან შემომჩივლა: „მაშინ მე ბერად
 აღვიკვეცები თქვენს ხერსონესში“.

მე კი ვურჩიე: „ამას ნუ იზამ,
სულს ლევენ, სხვას მეტს რა აკეთებენ
ბერები, მიხვალ — ერთერთს მარხავენ,
სხვები კი, იცი? არც კი ტირიან!“
„მშვიდობით“ არ თქვა, ისე წავიდა
მაღალი ბიჭი და თან წაიღო
ვარდები თვისი. მე ის გავუშვი,
მე არ ვუთხარი: „იყავი ჩემთან“.
ხოლო ტკივილი განშორებისა
გადარუხებულ ტრამალის თავზე,
მკვდარი კორსუნის უდაბნოს თავზე
აკვნესდა, როგორც თეთრი თოლია.



II

პატარ-პატარა ყურეებისგან
დაკბილულია ზღვის სანაპირო.
მივდივარ, მკვდრის მზე ზღვაში ეშვება,
მღვიმიდან ბოშა ქალი გამოდის
და თითით მიხმობს: „რაო, ლამაზო,
ფეხშველა რატომ დაიარები?
შენ უმდიდრესი გახდები მალე,
შენ აღდგომაზე ელოდე სტუმრებს,
შენ თავს დაუკრავ ჩინებულ სტუმრებს,
შენ მათ სიმღერით მოაჯადოვებ
და არა შენი სიმშვენით“.
და მე ბოშა ქალს ვაჩუქე ძენკვი,
და კიდევ ოქროს ნაკურთხი ჯვარი.
და გავიფიქრე: „მე დღეს პირველად
მივიღე ცნობა უფლისწულისგან“.

მაგრამ ლოდინმა გადამაყვარა
ჩემი ყურენი და მღვიმეები.
არ ვაშინებდი გველს ლაქაშებში
და არ მომქონდა კიბორჩხალები
ვახშმად. — სამხრეთით ვეშურებოდი,
ვენახის იქით, ქვის სამტეხლოში,
იქით გრძელი გზა უნდა გამევილო,
იქ მეპატრონე ახალ ხუტორის —
ქალი მიხმობდა ხელის დაქნევით:
„შენზე ამბობენ, ბედნიერება
მოაქვსო, რატომ არ შემოგვივლი?“
მე ვპასუხობდი: „ბედნიერება? —
ის ნალებს მოაქვთ და ახალ თვესაც,
თუკი მარჯვნიდან ჩაგხედა თვალში“.
მე არ მიყვარდა ოთახში შესვლა.



ქროდნენ მაშრიყის ცხელი ქარები
 და ვარსკვლავები წყდებოდნენ დიდი,
 და ზღვაში გამსვლელ მეზღვაურთათვის
 ილოცებოდნენ ქვემო საყდარში.
 და მედუზები დატივტივებდნენ
 ციდან დაცვენულ ვარსკვლავებით
 და ლურჯდებოდნენ მერე სიღრმეში.
 და წეროების ზეცაში ყივილს,
 და კრუალების კრუალს ღამეში,
 და ჯარისკაცის სევდიან მღერას
 ვიმახსოვრებდი მახვილი სმენით,
 თუმც ისე მაინც ვერ ვიმღერებდი,
 უფლისწული რომ მომეჯადოვა.
 მესიზმრებოდა გოგონა ხშირად,
 მოკლე კაბაში, თეთრ სალამურით
 და უვინროეს სამაჯურებით:
 ჩამოჯდება და მიყურებს დიდხანს,
 არ მკითხავს, რად ვარ დამწუხრებული
 და არც გამიმხელს სევდას თავისას,
 ხელს გადამისვამს მხარზე მარტოდენ.
 როგორღა მიცნობს მე უფლისწული,
 მას ხომ არასდროს დავუნახივარ?
 ანდა ჩემს ძველ სახლს ვინ მოასწავლის?
 ჩემი სახლი ხომ შორსაა გზიდან.

ზამთრის წვიმებმა შეცვალეს სთველი,
 ჩემს თეთრ ოთახში სარკმლით დაჰქროლა,
 ბალის კიდეზე აშფოთდა სურო.
 ჩემს ეზოს რყვნიდნენ სხვისი ძაღლები
 და განაგრძობდნენ დილამდე ყმუილს.
 გულს მწუხარების დაუდგა ჟამი,
 კარს შევეყურებდი და ვჩურჩულებდი:
 „ჩვენ გონივრულად ვიმეფებთ, ღმერთო,
 მაღლა, ზღვის თავზე ავაგებთ საყდარს,
 დაბლა აღვმართავთ მაღალ შუქურას,
 დავიცავთ მიწას, წყალსაც დავიცავთ
 და აღარავის დავემდურებით“.

III

ერთხელ, ზღვა უცებ გახდა კეთილი,
 და დაუბრუნდნენ მერცხლები ბუდეს,
 აყრიამულდა ზღვისპირი, მიწა
 დასისხლიანდა ყაყაჩოებით...
 სულ ერთ ღამეში დადგა ზაფხული,
 ჩვენ გაზაფხული სულ არ გვიგრძნია.



და უკვე შიში არ მქონდა სულაც,
რომ ამცდებოდა მე ჩემი ბედი.
შაბათ საღამოს — ბზობის წინა დღეს,
როცა დავბრუნდი სამლოცველოდან —
დას ვუთხარ: „გჩუქნი ჩემს კრიალოსანს,
სანთლებსაც, შენი იყოს ბიბლიაც.
ხვალის სწორს, კვირას, დგება აღდგომა,
აქამდე უნდა მოვრთულიყავი, —
მწამს, უფლისწული გზაზეა ახლა,
იგი ზღვით მოდის ჩემს წასაყვანად“.
გაოცებული დარჩა ჩემი და,
ამოიოხრა და გაახსენდა,
ბოშა ქალმა რომ მიმარჩიელა,
და მკითხა: „ის შენ ლამაზ ყელსაბამს
და ცისფერთვლიან ბეჭედს მოგიტანს?“
მე ვუპასუხე: „ჩვენ ჯერ არ ვიცით,
როგორ საჩუქრებს მომიტანს იგი“.

ჩემი და, ჩემი ტყუპისცალია,
ჩვენ ისე ვგავართ ერთიმეორეს,
რომ ბავშვობაში ველარც გვარჩევდნენ,
დედა გვარჩევდა მხოლოდ ხალებით.
ვერ დადიოდა ის ბავშვობიდან
და იწვა, როგორც ცვილის თოჯინა;
იწვა და არვის არ ემდუროდა, —
მოსასხამებზე ქარგავდა მთელ დღეს
და ხელსაქმისგან ძილშიც ბოდავდა,
და მე მესმოდა მისი ჩურჩული:
„ღვთიშობელს ლურჯი აქვს მოსასხამი...
ვერსად ვშოულობ მარგალიტს, ღმერთო,
მე იოანეს ცრემლებისათვის...“

პატარა ეზო გაივსო პიტნით,
ჭიშკართან ბალახს კორტნის ჩოჩორი,
ლენა კი ჩალის გრძელ სავარძელში
ხელებგაშლილი იწვა და სწუხდა,
ის უსაქმობით სწუხდა — აღდგომას
ხელსაქმობა ხომ ცოდვად ითვლება.
ქარს, მარილიანს, ხერსონესიდან
მოჰქონდა ზარის ხმა სააღდგომო.
ყოველი რეკვა გულში მრჩებოდა
და მელვრებოდა ძარღვებში სისხლად.
მე დას ვუთხარი: „ლენიკო, ახლა
უნდა გავიდე სანაპიროზე,
თუ უფლისწული ჩემს წასაყვანად

მოვიდეს, ჩემსკენ გზა მოასწავლე,
რომ გამაქროლოს ლურჯ უდაბნოში, —
დღეს ძლიერ მინდა მე ზღვაში შესვლა“.
ლენამ კი მკითხა თვალგაშტერებით:
„ისეთ სიმღერას სად მოუსმინე,
უფლისწული რომ მოაჯადოვო? —
შენ ხომ ქალაქში სულ არ დადიხარ,
აქ კიდევ ისეთს არა მღერიან“.
მე დავიხარე და ლენას ყურში
ჩავუჩურჩულე: „იცი, ლენიკო,
მე მოვიგონე სიმღერა თვითონ,
ასეთს არავინ არ მღერის ქვეყნად“.
მას არ სჯეროდა ჩემი და დიდხანს,
ძალიან დიდხანს დუმდა ნაწყენი.



IV

მზე უკვე იწვა ჭების ფსკერებზე
და მლოლავები ქვებზე თბებოდნენ,
და ბალახები გარბოდნენ თითქოს,
ვით კუზიანი ჯამბაზი პრანჭვით...
და ლურჯდებოდა ცა, აწეული
მალლა, ღვთიშობლის მოსასხამივით —
ცა არ ყოფილა ასეთი ადრე.
ორჩხომელები ჰქროდნენ შუადლით —
შეგროვდნენ თეთრი ქარაფშუტები
კონსტანტინოვსკის ბატარეასთან.
ჩანდა, რომ ქარი მათ ხელს აძლევდა...
და გავიარე მე ყურეები
კონცხამდე, სადაც შავი ქვებია
და ზღვის მოქცევის ქაფია კიდევ.
და ვლილინებდი ახალ სიმღერას.
მწამდა, უფლისწულს ესმოდა იგი,
სადაც იყო და ვისთანაც იყო,
და ჩემთვის, როგორც ძღვენი უფლისა,
ძვირფასი იყო ყოველი ბგერა.
მე ორჩხომელას ვხედავდი პირველს —
მოფრენდა, ერთიც მოსდევდა უკან.
დანარჩენები ძლივას მოჩანდნენ.

არ მახსოვს, როდის მივწევი ზღვისპირს,
როდის ჩავთვლიმე. ისიც არ ვიცი,
გამომეღვიძა და ვხედავ: აფრა
ტალღებზე გდია მახლობლად. ჩემს წინ
მჭვირვალე წყალში წელამდე მდგარი

მოხუცი კაცი ხელს აფათურებს
 ღრმად, სანაპიროს კლდის ნაპრალებზე
 და ჩახლეჩილ ხმით მოითხოვს შველას.
 და მე ხმამალლა დავიწყე ლოცვა,
 ვით მასწავლიდნენ პატარობისას,
 რომ შავი ბედი არ დაგვტყდომოდა,
 რომ ცუდი რამე არ მსიზმრებოდა.
 ის იყო წარვთქვი: „შენ ხარ მფარველი!“ —
 და ვხედავ: მოხუცს რაღაცა თეთრი
 ამოაქვს წყლიდან... და გავიყინე:
 ამოიყვანა მოხუცმა იგი,
 ვინც ორჩხომელას მართავდა პირველს...
 და დააწვინა მრუმე ლოდებზე.
 მე თვალებს დიდხანს არ დავუჯერე.



გონს მოსასვლელად თითებს ვიჭამდი:
 შავგვრემანი და ალერსიანი
 აშტერებოდა ცას უფლისწული,
 მისი თვალები, ზღვასავით მწვანე,
 ჩამქრალი, როგორც ჩვენი ალვები —
 ვხედავდი, როგორ იყინებოდნენ,
 ჯობდა, ბრმობილი ვაფჩენილიყავ!
 და სანამ მოკვდა, ბოდავდა იგი:
 „მერცხალო, მტკივა, როგორა მტკივა!“
 მე ალბათ მერცხლად ვეჩვენებოდი.

მზის ჩასვლის შემდეგ დავბრუნდი სახლში.
 ოთახში იყო ბნელი სიჩუმე,
 კანდელის თავზე იდგა და კრთოდა
 სინათლე წვრილი და ჟოლოსფერი.
 „არ მოუკითხავს უფლისწულს შენთვის, —
 ჩემს ნაბიჯებზე წარმოთქვა ლენამ, —
 მე მას მთელი დღე ველოდებოდი
 და ნავსადგომში ვგზავნიდი ბავშვებს“.
 მე ვუთხარ: „არა, არ დაბრუნდება, —
 დღეს მოკვდა, ლენა, ის უფლისწული“,
 და ლენა პირჯვარს იწერდა დიდხანს;
 ხმას არ ვიღებდი კედელთან მდგარი,
 და რომ ტიროდა ლენა — ვხვდებოდი,
 და ჩამესმოდა, იმ ჩემს უფლისწულს
 როგორ დამღერდნენ: „ქრისტე აღსდგაო!“
 და გამოუთქმელ ნათელში კრთოდა
 მრგვალი საყდარი.



თარგმნა ასლან კორქაიამ

მზვანიერი უზლისწული

I

სუდხას არც ლამაზი ეთქმოდა და არც ულამაზო, შავგვრემანი იყო, გამხდარი ხელები და გრძელი ფეხები ჰქონდა. მეტიხმეტად გულდახურულიც ჩანდა. მეოჯახეობა კი კარგი ეხერხებოდა: გემრიელ საჭმელს ამზადებდა, მარჯვედ ჭრიდა და კერავდა. უყვარდა კითხვა და კარგადაც წერდა. მიმზიდველობითა და სიხალისით ვერ დაიკვებნიდა. არც მზითვენი ჰქონდა მდიდარი. ერთი სიტყვით, არაფერი გააჩნდა ისეთი, რასაც გონება დახარბდებოდა ან გულს მოიხიბლებოდა. ბავშვობაში გოგონა ჩუმად იყო და მიუკარებელი, ძერწავდა თიხისაგან თოჯინებს, დააწყობდა ფოთლებზე და სხვათა უჩუმრად ებაასებოდა, მაგრამ საკმარისი იყო თანატოლთაგან ვინმე მიახლოებოდა, რომ უეცრად გაჩუმდებოდა. ხანდახან რომელიმე ონავარი ბიჭუნა დაუნგრევდა ხოლმე თოჯინების სახლს, მაშინ სუდხა ჯერ უხმოდ ატირდებოდა, შემდეგ დამშვიდდებოდა და კვლავ იწყებდა ახლის ამუშავებას.

კოლეჯშიც არ შეუძენია მეგობრები სუდხას. ბავშვობიდან თანდაყოლილი მორცხვობა ვერაფრით მოიცილა. — მშობლიური სახლის ღარიბულმა გარემომ თითქოს ჩაჩრდილა მისი ბედი. სუდხას მამა ჭივანრაში ავერ უკვე ოთხი ათეული წელიწადი იყო, რაც ჩანდი-ჩაუკზე საათების მაღაზიაში ვაჭრობდა. ქალიშვილი რომ კოლეჯში გაუშვა სასწავლებლად, ეს ამბავი მძიმე ტვირთად დააწვა მის ისედაც გაჭირვებულ ოჯახს. მაგრამ ჭივანრაში ხარჯა არ დაერიდა იმ იმედით, იქნებ სტუდენტებში ვინმე გამოჩნდეს ჩემი ქალიშვილის საბედო, იქნებ რომელიმე შეძლებულ ახალგაზრდა ვაჟს თავდავიწყებით შეუყვარდეს ჩემი სუდხაო, მაგრამ როგორც კი თავის გამხდარ, მკერდჩავარდნილსა და უხალისო ქალიშვილს შეხედავდა, მაშინვე მის ოცნებას ფრთა შეეკვეცებოდა ხოლმე. გამწარებული კაცი ისეთი გულმოდგინებით ეწეოდა თავის ხუკას¹, რომ წყალს აბუყბუყებდა. „ჩანს, თვითონ უნდა გამოვუძებნო საქმრო“. — ნაღვლიანად ფიქრობდა იგი.

ოხვრა-ნაღველის მიზეზი ჰქონდა ჭივანრამს. გარიგებით დაქორწინებული

¹ ერთგვარი ჩიბუხი, რომლის ტარიც წყალშია ჩაშვებული

ყმაწვილკაცები ჩვეულებრივ დიდ ფულს გამოედევნებიან ხოლმე. მას კი არა თუ გვარიანი, მცირე მზითვის დაგროვება არ შეეძლო უფროსი ასაკისთვის...

ხშირად უფიქრია: ბარემ კარგია, როცა სიყვარულით შეუღლდებიან ახალგაზრდები, მაგრამ... აი თუნდაც მალიკრამის ქალიშვილმა მამაშვილისი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მესამეხარისხოვანი ჩინოვნიკია, გოგონამ კი კოლეჯში მილიონერის ვაჟს გამოჰკრა ხელი და ახლა მამისეულ ოჯახს საკუთარი ახალთახალი მანქანით მიადგება ხოლმე. რაც მართალი მართალია, გოპი ლამაზიც არის, სუდნა კი, ვაგლახ, პირწავარდნილი დედამისია. ისევ და ისევ ერთი გზაა რჩება — მშობლებმა უნდა გამონახონ სასიძო, სწორედ ისე, როგორც ოდესღაც თვითონ ჯივანრამი გამონახეს სუდნას დიდდამ და ახლობლებმა.

ცოლმა ორ-სამ ადგილას სცადა ბედი, მაგრამ საქმეს მაინც ვერ მოება თავი. მერე, რამდენიმე ხნის შემდეგ, თითქოს კვანძიც შეიკრა: ყმაწვილი კაცი ესტუმრათ საპატარძლოს სანახავად, მაგრამ სუდნა თვალში არ მოუვიდა. არ გეგონოთ, რითიმე სჯობდა ქალიშვილს! არა! დაგვაჯულს და ენაბლუს კომშისფერ საბეზე იმდენი ფერისმჭამელი ეყარა, ვაშლის სახებს მოგაგონებდათ. ნუ იკითხავთ და ქალიშვილი თეთრ-მწყაზარა ნებავდა, თანაც მანქანიანი. სუდნას მამას მანქანის კი არა, ველოსიპედის ფულიც არ ებადა.

მშობლებმა არც იცოდნენ, რარიგ აღაფრთოვანა სუდნა იმ მახინჯის უარმა. შემდეგ კიდევ ორი ყმაწვილი მოვიდა მის სანახავად. ნახეს და წავიდნენ. რა მადლობელი იყო მათი სუდნა! ფიქრად არავის მოსდიოდა, რა მგზნებარე სული იმალვოდა ქალიშვილის ერთი შეხედვით უსაცოცხლო სხეულში, რა მსუბუქი ფრთები ჰქონდა მის ფანტაზიას, რა უცხო იყო მისი მშვენიერი შინაგანი სამყაროსათვის ირგვლივ გამეფებული სილატაკე. ეს გოგონა, გარეგნულად ასე ჩვეულებრივი და უჩინარი, ზღაპრულ ქვეყანაში ცხოვრობდა. ჯივანრამმა და მისმა მეუღლემ — მაგზიმ არც არაფერი იცოდნენ ამის თაობაზე, ან ვის მოუვა აზრად, ძონძებში აღმასები ეძებოს? ჩვენ ხომ ყველანი ერთ თარგზე ვართ გამოჰრილნი — შეგვხვდება ჩამოძონძილი ვაჭარი და გვგონია, უპოვარიანო. ის კი არ ვიცით, ოქროებით რომ აქვა ამოტენილი სახლი. სუდნა ჩუმი გოგონა იყო. 'განა შეეძლო ვინმესთვის გაემხილა თავისი საიდუმლო, სასაცილოდ ასაგდებად და რეგვენთა ხელსაყოფად გაეხადა თავისი ოცნებები და საოცარი ზმანებები? მოდასაყოლილი კოლეჯელი კეკლუცები თვალს დააქვეტდნენ, სუდნას სასწაულებრივი სამყაროს გაგება რომ შესძლებოდათ. კრიალა ლიმუზინებში გამოჭიმულ ყმაწვილკაცებს ალბათ გააოგნებდა ის ზღაპრული ხომალდი, რომლის მფლობელიც ეს უჩინარი გოგონა იყო. არა, ისინი მას ვერ ამჩნევდნენ და ძალიანაც კარგი, რომ ვერ ამჩნევდნენ! რომც შეემჩნიათ, რით უნდა დაეტკბოთ თვალი? რეცხვისგან გაცრეცილ-გამოხუნებული შარვალი და შავი კოფთა კობტაპრუწა ვაჟების ყურადღებას ვერ მიიქცევს. თავის სულში კი სუდნა არავის ჩაახედებს.

— ეს რა ასული გამიჩინე? — აბუზლუნდა ერთ საღამოს ჯივანრამი. — ერთთავად დუმს, რეგვენივით დადის, ღიმილი არ იცის და სიცილი... ერთი კაპურ-სახიბის ქალიშვილები ნახე, ყვაილებს ჰგვანან. ბაღნარად აქციეს მამისეული სახლ-კარი. ეს სუდნა კი... — სასოწარკვეთილმა მამამ გვერდზე მოისროლა გაზეთი.

მაგხიმ ქმარს იაფი, მოხარული ბრინჯი და ცერცვის წყალწყალა შექამანდი დაუდგა წინ.

— იმ გოგონებს ნუ ახსენებ, — თქვა ქალმა. — მათ მამას ყოველთვე ოთხასი რუბია შეაქვს სახლში. ჩვენს სუდხას ორად-ორი პერანგი აბადია, კაპურსახიბის ასულები დღეში ორ-ორჯერ იცვლიან სარის. ამაზე უფრო ფიფქია ბიზლიქთუქა

ქმარმა პასუხად მხოლოდ კბილები გააბრჭიალა. რატომ არის ეს ბრინჯი ასე მაგარი? რატომ არის შექამანდი ასე წყალ-წყალა? რატომ ჰგავს მისი ცოლი გაბუტულ ქათამს? რატომ დუმს ერთთავად მისი ასული? რატომ ითხოვენ სასიძოები მზითვად მანქანას? კითხვები ისე ირეოდნენ მის თავში, როგორც ღარიბულ შექამანდში ცერცვის მარცვლები. პასუხი კი არსად იყო.

ჯივანრამმა ასული კოლეჯიდან გამოიყვანა.

— ბიუჯეტი არ მაძლევს საშუალებას, — აუხსნა მან თავის მოკეთეს ტოტარამს, ქსოვილების მაღაზიის გამყიდველს. ცხადია, ჯივანრამის სათქმელს უკეთ გამოხატავდა წინადადება — „ჯიბე არ მაძლევს საშუალებას“, მაგრამ სიტყვა „ჯიბე“ ამ შემთხვევაში სილის ლაწანივით ეღერს, სიტყვა „ბიუჯეტი“ მაინც თავისი მიმზიდველობა აქვს. ო, ძალავ სხვათა სიტყვებისა! რა ხშირად გვიწევენ ისინი თეჯირის მაგივრობას, როგორ მარჯვედ ვმალავთ მათ მიღმა სამწუხარო სინამდვილეს!

— შენი ბელა ვგონებ კოლეჯში მოეწყო? — ჰკითხა ჯივანრამმა.

— დიახ, — დაუფარავი სიხარულით დაუდასტურა ტოტარამმა. — გაისად ზამთარში ქორწილს გადავუხდი.

— იპოვეთ სასიძო? — ყრუდ იკითხა ჯივანრამმა.

— ვიპოვეთ, — ნეტარებით ჩაიდუღუნა ტოტარამმა. — გოგომ თვითონ შეითანხმა. მდიდარი ყმაწვილია.

მალე ტოტარამი წავიდა. ჯივანრამმა მწყრალი მზერა დაადევნა, მისებრ წვრილი ხმით დაიწრიბინა:

— „გოგომ თვითონ შეითანხმა“, — შემდეგ ბრაზით გადააფურთხა და ჩაიბურტყუნა: — თავხედი!

II

გავიდა ორი წელი. სუდხა მემანქანედ მუშაობდა სოლიდურ ფირმაში ასაფალი-როდზე. იგი კიდევ უფრო ჩუმი გახდა, მაგრამ სიბეჭითითა და საქმის ჩინებული ცოდნით გამოირჩეოდა. ახლა მშობლები დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ ასულს: მას ხომ თვეში ასი რუბია შემოჰქონდა! საღამოობით ხელოვნების ბაკალავარის ხარისხის მოსაპოვებლად გამოცდებისთვის ემზადებოდა, იღებდა შეკვეთებს, ბეჭდავდა მანქანაზე.

ოჯახი მომაგრდა. ჯივანრამმა და მაგხიმ კიდევ მეტი მონდომებით განაგრძეს სასიძოს ძებნა. ოჯახისათვის საჭირო ხარჯები უფრო შეკვეცეს — მანქანისათვის აგროვებდნენ ფულს.

გავიდა კიდევ ხანი. მანქანის მსურველიც გამოჩნდა. როცა ქორწილის ხარჯების, სამზითვოს, ნაღდი ფულისა თუ ოქროს ნივთების შესახებ შეთანხმდნენ, მოტიმ, ასე ეძახდნენ სასიძოს, დებთან ერთად, როგორც იქნა. ინება

საცოლის ნახვა. ალბათ ქვეყანაზე არავის არ მოხდომია თავისი სახელი ისე, როგორც ამ ყმაწვილს უხდებოდა, თეთრი, ლამაზი, მხიარული მარტო მარგალიტით ბრწყინავდა. ყავისფერი კოსტუმი მოხდენილად ედგა ტანზე, და მეტიხმეტად უხდებოდა ოდნავ სახემუჭსა და შავთმის¹ მანქანებიდან მოვლილი, ღონიერი ხელები უჩანდა. მან თვალს შეავლო სუდხას, გაიღიმა და უბრალო მოკრძალებული ქალიშვილის გული თითქოს დადნა. ფილა აწკრიალდა მის ხელში. როგორ გაუჭირდა სტუმრისთვის ჩაი ისე მიერთმია, არ გადმოღვრილიყო...

მოტიმ და მისმა დებმა დალიეს ჩაი, მადლობა გადაუხადეს მასპინძლებსა და ზრდილობიანად დაემშვიდობნენ. მეორე დღეს დებმა შემოთვალეს: ქალიშვილი არ მოგვეწონაო.

სუდხას კი მთელი ღამე ძილი არ გაკარებია. თვალწინ სულ მოტი ედგა. ხედავდა მის საყვარელ სახეს, მოხდენილ ტანს, გრძნობდა მისი ხელების შეხებას და ნეტარებისაგან სული ეგუბებოდა.

— თურმე ნუ იტყვი, გოგო არ მოსწონს! — აღშფოთებული მაგხი გამაგებით ურევდა კოვზს ტაფაში მოშიშხინე ბოსტნეულს. — თვითონ მშვენიერი იოსები გამომიჩნდა რაღა. ჰგონია, კანის სითეთრეა მთელი სილამაზე, თვითონ ცხვირი ლავაშივით გაბრტყელებია. თმა დაგრებილ მავთულს მიუგავს, ზედგამოჭრილი ეთიოპელია. მისი დები? ერთს თვალები აცაბაცა გაურბის, მეორე, სახეშედიდნილი, ნამდვილი ვირთხაა. ახლა უცმროსს არ იკითხავთ? თავზე თმა კი არა, დაძენძილი კანაფის ზვინი ადევს. იფ, გოგო არ მოსწონთ! — და ქალმა ისეთი სიბრაზით ამოურია კოვზი ტაფაში, თითქოს შიგ ბოსტნეულს კი არა, მოტის ხრაკავდა.

ყველანი — მშობლები, მეზობლები და თანამშრომლები დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ შემთხვევას სუდხაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. იგი უწინდებურად გულმოდგინედ მუშაობდა, არასოდეს მოითხოვდა ყურადღებას მამაკაცების მხრიდან. საყინულესავით ცივი იყო. ხშირად კლერკები ერთმანეთში ქირქილებდნენ: ვინც სუდხას შეერთავს, ზაფხულობით სიგრილის საძებრად მთებში სირბილი არ დასჭირდებაო.

ქვეყნად არავინ უწყობდა, როგორ ამობოქრდა ქალიშვილის სული, როცა მოტიმ იგი უარყო. ეს ვაჟი ხომ მისი პირველი საყვარელი იყო, მაგრამ ვის შეიძლება სცოდნოდეს ეს? აბა, ვით გაიმხილება, მოვიდა, დამხედა და უარყო? ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში ზღვა ცრემლი იღვრება ხოლმე. ამ გოგოს კი კრინტიც არ დაუძრავს.

ერთხელ სუდხა გვიანობამდე შერჩა სამუშაოს. კანტორიდან რომ გამოვიდა, უკვე ბნელოდა, გადაკვეთა ქუჩა და ასაფ-ალის პარკში აღმოჩნდა. ეს მშვიდი პატარა კუთხე ზედ დელის კარიბჭესთან მდებარეობს. ხეები, მწვანე გაზონები, რამდენიმე სკამი — აი, ამ პარკის მთელი ავლადიდება. დღისით აქ ჩვეულებრივ ახლომდებარე ქუჩაში მჭროლავი მანქანების გუგუნის დგას. ახლა კი სიმყუდროვე გამეფებულიყო. სუდხას უყვარდა ამ პარკში გამოვლა. დაჯდებოდა, ოცნების ყოვლისშემძლე ფრთებით ქვეყნიერებას მოივლიდა და მერე შინ მიდიოდა. მარტობისა არ ეშინოდა ქალიშვილს, არც ღამეს უფრთხოდა, მეტიც, ეს დრო მისი მეგობარი იყო. არც ქუჩის ნაძირალებისა ეშინოდა. ამ

1 მოტი მარგალიტს ნიშნავს.

გოგოს ჰქონდა რალაც ისეთი, რომელიც ქალაქელ ავარებს აიძულებდა, გვერდი აეგლოთ ქალიშვილისათვის.

ქვის სკამი, რომელზეც სუდხა იჯდა, ცივი იყო. ქალიშვილი წამოდგა. დიდ ხესთან მივიდა, მის ძირში ჩაჯდა და თვალდახუჭული მიეკრძა.

— აქ რა გინდა? თანაც მარტოს?

სუდხამ თვალეები გაახილა. მის წინ მოტი იდგა. ისევ ის ყავისფერი კოსტუმი ეცვა, თავბრუდამხვევი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე და ისევ ის ღონიერი და ლამაზი ხელები ჰქონდა.

სუდხა მღუპარედ მისჩერებოდა. კრინტის დაძვრაც არ შეეძლო. მოტი მიწაზე დაეშვა, სახე ქალიშვილის მუხლებთან მიიტანა და ჩუმად ჰკითხა:

— გაჯავრებული ხარ ჩემზე?

სუდხამ თავი დაუქნია. თვალეები ცრემლით აევსო.

— ცუდად მოვიქეცი?

ქალიშვილმა მღუპარედ დაუქნია თავი და თვალეებიდან ცრემლის ნაკადი წასკდა. მოტიმ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი მოსწმინდა.

— აბა, ამისთვის ტირილი როგორ შეიძლება? — უსაყვედურა ვაჟმა. — აღამიანს ხომ აქვს უფლება, უყვარდეს ან არ უყვარდეს?

— განა შენ მიცნობ მე? არ მოგეწონე... გიგემია კი ჩემი გამომცხვარი ლავაში ან ამ ხელებით მომზადებული ცერცვი და ფლავი? იგრძენი განა ჩემი გულისტკივილი? შენი დანახვისთანავე სწორედ ამ გულის ქვეშ რომ ჩვილი ამოდრავდა? შენ მხოლოდ ის შეამჩნიე და დაინახე, გამხდარი რომ ვარ. ჩემი პირმშოს მშვენიერება კი არ დაგინახავას. რატომ არ შემომხედე ხელებზე, რომელთაც არასოდეს მობეზრდებოდათ შენი ფეხების ბანვა. შენს პერანგებზე ღილების მიკერება? შენ მეტისმეტად შავგვრემანი მოგეჩვენე, მაგრამ მე ხომ შენთვის თეთრი, ქათქათა სვიტრი უნდა მომექსოვა? შენ არასოდეს გასმენია ჩემი სიცილი, მოტი. არ იცი ჩემი ცრემლების გემო, არ გიგრძენია თმაზე ჩემი თითების შეხება, არ იცი, როგორ აცახცახდებოდა ჩემი ქალწულებრივი სხეული შენს ღონიერ ხელებში. შენ კი ადექი და უცბად გადაწყვიტე, არ მომწონსო!

ღმერთო, რამდენი ილაპარაკა! ან რამ ათქმევინა ეს ყოველივე? ლაპარაკობდა და ტიროდა. შემდეგ მოტის მხარზე ჩამოდო თავი. დარცხვენილი და დაბნეული ვაჟი ნელა უსვამდა მხრებზე ხელს...

შინ გვიან დაბრუნდა. დედის კითხვაზე უზრუნველად უპასუხა: კანტორაში ვიჯექი. ბევრი სამუშაო მქონდაო.

ვახშამზე როგორღაც გაქირვეულდა. ერთ საკმელს გემო დაუწუნა. მეორეზე უარი განაცხადა. დედ-მამა გაოცებული შეჰყურებდა შვილს. სუდხას ტირილისაგან ოდნავ შეშუპებულ თვალეებიდან უჩვეულო ბედნიერების სხივი გამოკრთოდა.

მაგხიმ ტუჩზე იკბინა და კმრისკენ გააპარა მზერა. თითქოს მიხვდა ქალიშვილის საიდუმლოს, ჯივანრამმაც გაიგო. გახარებული მზერა მიაპყრო ასულს და შემდეგ კვლავ თეფშს დააშტერდა. „უეჭველად რალაც მოხდა“. ფიქრობდნენ ისინი და, რადგან სუდხა ბოლოს და ბოლოს ქალთა სქესის წარმომადგენელი იყო, მიხვდა, შვილის ამგვარი განწყობილების მიზეზი მამაკაცი უნდა ყოფილიყო.

ერთი კვირის შემდეგ მშობლების ვარაუდი გამართლდა. სახლში სტუმრე-

ბი ჰყავდათ. მაგზის ბავშვობის მეგობარმა ქალმა ვაჟი მოიყვანა ქალიშვილის სანახავად. რამდენს არ ეცადა დედა, ოღონდ როგორმე ეს ხალხი შემოეტყუებინა სახლში და ახლა, როცა უკვე აქ იყვნენ, ქორწინებაზე უარი ვაჟმა კი არა, ქალიშვილმა განაცხადა. მაგზი ჯერ გაგულისდა, შემდეგ კი უნდა შემდეგ თავისი ეჭვები გაახსენდა. ცხადია, რაღაც მოხდა!

ბიზლიჩიშვილი

მაგზი კვლავ მზითვის შეგროვებას შეუდგა. ჯივანრამი ელოდა, როდის გაუმხელდა ასული დედას თავის საიდუმლოს. მაშინ მოხუცი ჯივანრამი გამოხუნებულ თვალებს დააბრიალებს და ყასიდად დაიქუხებს: „როგორ გაბედე მშობლების დაუკითხავად!.. წადი ჩემი სახლიდან, ოჯახის შემარცხვენელო!“ შემდეგ ცოლის შეგონებით მოღბება, კვლავ ხუკის ბოლში გაეხვევა და იკითხავს: „მაინც ვინ არის ის ვაჟბატონი?“

და ვინც არ უნდა იყოს „ის ვაჟბატონი“, როგორც კი გაიგებს მის სახელს, მამა მაშინვე შეუდგება ქორწილის სამზადისს, რადგან ოცდახუთი წლის ქალიშვილის გაჩერება მშობლების სახლში უხერხულია.

დღეები კი მიდიოდა. თვე თვეს ცვლიდა, წელი წელს მისდევდა და სუღხას რჩეულის ვინაობა საიდუმლოდ რჩებოდა. დაქანცული და სასოწარკვეთილი მშობლები კვლავ შეუდგნენ სასიძოების იებნას. მოიყვანეს ერთი, მეორე, მესამე, მაგრამ სუღხა ყველას უარით ისტუმრებდა. ბოლოს მოყვანილი ჯვრივი კონდიტერი თრმოსც გადაცილებული კაცი იყო.

დღის ბოლოს, როცა ჩრდილები ბინდად იქცევიან და შეღებილი ხელისგულების სურნელებაც უფრო საცნაური ხდება, სუღხა ეუბნებოდა მოტის:

— ახლა მოხუცი კონდიტერი მომიყვანეს.

— მერე? — გაელიმა მოტის.

— უარი ვუთხარი.

— რატომ, სულელო? დაფიქრდი, რა ბედი გელოდა. არ იმუშავებდი, მთელი დღე ტკბილეულის ჭამაში იქნებოდი...

— შენ მიმეტოვებინე, ხომ? — მგზნებარედ წამოიძახა აღმფოთებულმა სუღხამ.

— კი მაგრამ, მე ხომ ცოლად არ მითხოვიხარ, — შენიშნა ვაჟმა, წელზე ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა.

— მერე რა? — სუღხამ ლოყა ლოყაზე მიაღო სატრფოს. — განა ამაზე მეტი სიახლოვე არსებობს, ვიდრე ჩვენა ვართ ერთმანეთთან? რა შუაშია ქორწინება? შენ ხომ აი, აქა მყავხარ, — სუღხამ ხელისგული აჩვენა და შემდეგ თითები მუჭად შეკრა.

მოტის გაეცინა:

— შენ მართალი ხარ. ნამდვილად შენს ხელთ ვარ. მოისურვებ და შენ გვერდით ვჩნდები.

— უწინ ასეთი არ იყავ, — კეკლუცი ღიმილით თქვა სუღხამ. — ო, როგორ მიჭირდა შენი დატყვევება!

— უწინ... სიყვარული რომ გაიგო და შეიგრძნო, დიდი დროა საჭირო. ხვალ სად შევხვდეთ ერთმანეთს?

— სადაც გინდა.

— კოტლში ცხენების გამოფენაა.

— შენ რა, გგონია, სადოღე ცხენის ყიდვას ვაპირებ? — გაეცინა სუღხას.

- ოლდპოლში წიგნების გამოფენაა.
- ო, არა, — თითებით ყურები დაიყო ქალმა.



მოტი გაჩუმდა.

— სჯობია, კინოში წავიდეთ, — შესთავაზა სუდხამ, — მანქანებში კარგი ფილმი ვადის, ბილეთებს ვიყიდი. შვიდის თხუთმეტისათვის ბოლოდღისაა პირ იქ.

— ბილეთებს მე ვიყიდი.

— არა, ამ ფილმს მე გიჩვენებ. შენ კი თუ გინდა, სხვა დროს მაჩვენე. განა მე უარს გეტყვი? არ დაგავიწყდეს, ხვალ საღამოს „ბასანტში“ გელი.

...კინოთეატრ „ბასანტთან“ ბევრი ხალხი ირეოდა. სუდხამ იყიდა ორი ბილეთი და მოტის დაუწყო ლოდინი. კედრის კაკალი და ქიშმიში მოიმარაგა, უყვარდა ფილმის ყურებისას რამე ეკნატუნებინა.

ექვსი სრულდებოდა, კინოთეატრის კარს ახლახან დამთავრებული სეანსის მაცურებელი მოაწყდა. მერე ბრბომ შეთხელება იწყო. მოტი არ მოდიოდა. ქუჩაში ჯერ კიდევ სინათლე იყო. ხალხი ირეოდა. მეწვრილმანეები ხმამაღლა აქებდნენ თავიანთ საქონელს, დასრიალებდნენ მანქანები, ფუსფუსებდნენ რიქშები. მოტის არ უყვარდა ბრბო, ხმაური. ო, ახლა სუდხა კარგად იცნობდა მას! ვაჟს სიმყუდროვე, წყვდიადი და მარტოობა იზიდავდა. მას რთული და ფაქიზი სული ჰქონდა.

შვიდის თხუთმეტ წუთზე სუდხა დარბაზში შევიდა. მონახა თავისი ადგილი და მეზობელ ცარიელ სკამზე ცხვირსახოცი და ქიშმიშიანი პარკი დააწყო. დარბაზი თითქმის სავსე იყო. მოტი მაინც არსად ჩანდა. როცა სინათლე ჩაქრა და ეკრანზე კადრები ამოძრავდა, სუდხამ თავის ხელზე მოტის ხელის შეხება იგრძნო.

- არც კი გრცხვენია, რამდენს მალოდინებ.
- მაპატიე, ძვირფასო, — ნაზად წასჩურჩულა ვაჟმა.
- კაკალი და ქიშმიში მოვიტანე, ჭამე.

მოტიმ რამდენიმე ცალი ქიშმიში შეჭამა. სუდხამ შვებით ამოიოხრა და კინოს ჩაუღრმავდა. ლაპარაკს მერეც მოასწრებენ. ახლა სუდხასთვის ისიც საკმარისია, რომ ხელზე მის ხელს გრძნობს. ისიც იცის, პატარა ხნის შემდეგ მეგობრის მხარზე დადებს თავს.

— მხარზე რომ თავი დამადე, განა ასე რამეს ხედავ? — წყნარად ჰკითხა მოტიმ.

— მე იმას ვხედავ, რის ნახვაც არ შეუძლია არც ერთს ამ დარბაზში მყოფს, — მხიარულად უპასუხა სუდხამ.

...ადამიანები, რომელთაც სუდხა ყოველდღე ხვდებოდა, უკვე ამჩნევდნენ მასში მომხდარ ცვლილებებს. ოდნავ შეღებილი გრძელწამწამებიანი თვალები. რომლებიც უწინ ცივად გამოიმზირებოდნენ მოწკურული ქუთუთოებიდან. ახლა ბედნიერების შუქს აფრქვევდნენ. მკერდი ლამაზად ამოებურცა. სხეულმა გასაოცარი მოქნილობა შეიძინა, სიარული მსუბუქი და ნარნარი გაუხდა. ქალიშვილი დღითიდღე მშვენივრობდა. მერე როგორ იცვამდა! ქსოვილი, ჩვეულებრივ, იაფფაიანი იყო, მაგრამ რა გამოჭრილი! არ იფიქროთ, კარგ მკერავებთან იკერავდა კაბებს — არა, სუდხას არასოდეს ჰქონია იმდენი ფული, მათთვის შეეკვეთა ტანსაცმელი. უბრალოდ, ქალიშვილს სურდა ლამაზად სცმოდა. გემოვნება და უნარი კი ნამდვილად არ აკლდა. მაგრამ ამის შესახებ

არავინ არაფერი იცოდა. როცა თანამშრომელი ქალიშვილები უჩებდნენ ჩაცმულობას, იგი ვიღაც ცნობილ მკერავს ასახელებდა, რომელთანაც ყველაზე მდიდარი, მოდასაყოლილი ქალები დადიოდნენ ხოლმე. ქალიშვილები შურით იწვოდნენ.

— მოყევი, როგორია „შენი ის“, — ეჭვიანი ცნობისმოყვარეობით ეუბნებოდნენ სუდხას ამხანაგები.

— როგორ ვითხრათ... თეთრი სახე და მბზინავი თმა აქვს. როცა იცინის, თითქოს მარგალიტებს აფრქვევს... — უბასუხებდა სუდხა.

— რამდენს იღებს?

— ათას ორასს.

— ათას ორასს?! — თვალეზი დააჭყიტეს ქალიშვილებმა. — ეს ხომ ჩვენი მმართველის ხელფასია!

— ისიც მმართველია, ოღონდ სხვა ფირმისა.

— ერთხელ მაინც დაგვანახე, საინტერესოა, რაც უნდა იყოს.

— კი, ბატონო. როდისმე ვთხოვ, ჩვენს კანტორაში შემოიაროს.

სუდხა აბეზარ ქალიშვილებს აღუთქვამდა, ჩემს საქმროს გაგაცნობთო, მაგრამ უწინ მოკვდებოდა, ვიდრე მოტის აჩვენებდა ამ ენაჭარტალებს. ვინ იცის, რა სისულელეს არ გაივლებენ გულში საბედნიეროდ თითქოს პირი შეკრესო, შურით აღვსილებს მეტად აღარ უხანებიათ ბედნიერი სუდხას ამბავი.

III

მოხუცმა ჯივანრამმა იკვნესა, იკრუსუნა და ერთხელაც სული განუტევა. მოკვდა, როგორც ენაგრძელნი ამტკიცებდნენ, ასულის გამო — ვერ გადაიტანა მწუხარება: სუდხა ხომ გაუთხოვარი დარჩა! მოხუცი ვერ შეეგუა თავნება და მეტისმეტად დამოუკიდებელ ქალიშვილს. შემდეგ დაოჯახდნენ და ცალ-ცალკე წავიდნენ ქმები. უმცროსი დაც გათხოვდა. ბოლოს დედაც გარდაიცვალა და სუდხა მარტოდმარტო დარჩა. მაშინ ქალიშვილმა მიატოვა ძველი უბადრუკი სახლი და სივილ-ლაინზზე კარგ, კეთილმოწყობილ სახლში გადაინაცვლა. ახალი ბინა დიდი არ იყო — სულ ორი ოთახისაგან შედგებოდა, მაგრამ ქუჩიდან ცალკე შესასვლელი ჰქონდა და აქ სუდხა სრულიად თავისუფლად გრძნობდა თავს. ამ დროისათვის იგი უკვე ოცდაცამეტი წლისა იყო, მაგრამ შეხედულება: გაცილებით ახალგაზრდული ჰქონდა. ბაგეებზე ყოველთვის ღიმილი დასთამაშებდა, თვალეზში ბედნიერების ნაპერწკლები უკრთოდა. მუშაობდა კიდევ უფრო სერიოზულად, ვიდრე უწინ. საუკეთესო სტენოგრაფისტიც გახდა, დაცვა დიპლომი ხელოვნების ბაკალავრის ხარისხზე, ბევრს კითხულობდა. ხელფასი გაეზარდა, კარგად ცხოვრობდა.

სუდხას ჩვეულებად ექცა გაყოფილ თმაში წითელი ხაზის გავლება, როგორც ამას ქმრიანი ქალები აკეთებდნენ. შუბლზეც წითელ თილაქს იხატავდა, რაც დაქორწინებულს ნიშნავს. მაგრამ არავის არასოდეს სმენია მისი ქორწილის შესახებ, არც მისი ქმარი უნახავს ვისმე. იცოდნენ მხოლოდ ერთი: სუდხას ვიღაც ჰყავს, ვისთანაც ღამეებს ატარებს და ამ ვიღაცას, როგორც ჩანს, სერიოზული მიზეზი აქვს, არ იქორწინოს. ამიტომაც არის, რომ ისინი მაშინ ხვდებიან ერთმანეთს, როცა ქვეყნად ყველას სძინავს, როცა ვინმეს მოურიდებ-

სხივებით მიელამუნა სუდხას თმას, მიეალერსა ბაგეებზე, შეიჭრა მის აბორგებულ გულში და ძარღვებში თბილ ნაკადად აუჩუბჩუხდა... „მოტი, ჩემო სიცოცხლე!.. ჩემო სიტკბოება!.. ვკვდები შენი სიყვარულით.“

...სუდხამ თვალები გაახილა. სიყვარულით გასხივოსნებული სახე ბედნიერებისაგან უბრწყინავდა. ეს იყო დაუვიწყარი ღამე, რომელმაც მას მისი მათი არსება, თითქოს მთელმა განვლილმა დრომ, წლებმა, მთვარეებმა და სურვილმა ერთ ორბიტაზე მოიყარეს თავი. განა ვინმეს კიდევ განუცდია ასეთი წუთები? მხოლოდ იგი, ვისაც მსგავსი ბედნიერება რგებია წილად, შეიგრძნობს, რომ... რომ სწორედ ამგვარი წუთისათვის სურდა ეცხოვრა ამჟვეყნად.

და სუდხასათვისაც ეს იყო უბედნიერესი წუთები. შემდეგ იგი აღარ განმეორებულა.

მალე მათი კანტორის მმართველი შეიცვალა. ახალი უფროსი სუდხას პირველსავე დღეებიდანვე არ მოეწონა. ეტყობოდა, ამ კაცს უწინ თეთრი პირისკანი უნდა ჰქონოდა. ახლა მომწვანო-სპილენძისფერი გახდომოდა. მსხვილი ცხვირი, ლოთებს რომ აქვთ ხოლმე, უამრავი წითელი ძარღვით დაქსელოდა. რამდენჯერაც უფროსთან შეხვედრა მოუწევდა, სუდხა უნებურად სწორედ ამ ცხვირს აკვირდებოდა. მმართველის ყნოსვის ორგანო გადამწიფებულ ლელვს აგონებდა, რომელიც ეს-ესაა უნდა გამსკდარიყო. ლოყებდაბერილი, უპეებჩაშავებული მელოტი კაცი ლაპარაკისას მოყიყინე გომბეშოს ჰგავდა. სამწუხაროდ, სუდხას, როგორც უფროს სტენოგრაფისტს, მთელი დღეები მასთან ჯდომა უწევდა. ეს გარემოება კი სიცოცხლეს უწამლავდა ქალს. ზედ ისიც დაერთო, რომ სუდხას ვერ მოეშორებინა იმის შეგრძნება, თითქოს ეს კაცი ადრე სადღაც ენახა, მაგრამ სად? ქალი დაბავდა მეხსიერებას, მაგრამ ამაოდ.

— ო, რასაკვირველია! მე მას კანატ-პლეისზე შევხვდი, — მოაგონდა სუდხას.

ქალს იმედი ჰქონდა, — რაეილა მოვიგონე, ვინც არის, ახლა ამინც დავმშვიდდებიო, მაგრამ უცებ მმართველმა მაგიდაზე რომელიღაც საქალაღდე ისეთნაირად დადო, ხელები ისე აამოძრავა, რომ სუდხა კვლავ მოუსვენრობამ შეიპყრო. ვინ ამოძრავებდა ასე ხელებს? განსვენებული მამამისი? ძმები? ვერა და ვერ მოიგონა ქალმა. სუდხა სამუშაოს ჩაულრმავდა, მაგრამ მთელი დღე ვერ მოიშორა რაღაც ავისმომასწავლებელი წინათგრძნობა.

პირველ რიცხვში, როგორც ყოველთვის, ხელფასის გაცემის დრო იყო. როცა მოსამსახურეებმა სამუშაო მოიმათავეს და შინ წასასვლელად შეემზადნენ, მმართველმა სთხოვა სუდხას, მცირე ხანს მოიცადეთო. მან ქალი დასვა თავისი მაგიდის პირდაპირ, შემდეგ კარადიდან ვისკი, სოდიანი წყალი და ჭიქა გამოიღო. სუდხა გაოცებული აკვირდებოდა, რა ხარბად, სულმოუთქმელად ვადაკრა სასმელი კაცმა. ქალმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გასცლოდა იქაურობას, მაგრამ კაცმა რბილად მოკიდა ხელი ხელზე და ისევ ადგილზე დასვა.

— დღეს თანამშრომელთა პირად საქმეებს ვათვალიერებდი და აღმოვაჩინე, რომ თქვენ ყველაზე დიდხანს გიმუშავიათ აქ, — თქვა მან. — ძალზე მსიამოვნებს თქვენებრ გამოცდილ სტენოგრაფისტთან მუშაობა.

სუდხა დუმდა.

— თქვენ სუდხა გქვიათ, ხომ ააქა? — ლელვებით შეეკითხა მმართველი.

ქალმა გაოცებულმა შეხედა. ამდენი ხანია, ერთად მუშაობენ და ნუთუ მხოლოდ დღეს გაიგო მისი სახელი? და ბოლოს და ბოლოს რის თქმა სურს?

— მე მინდა გითხრა... — მმართველმა კვლავ დაისხა ვისკი. — თქვენ ხომ ჯივანრამის ასული სუდხა ხართ?

— დიახ „საქმეში“ მამაჩემის სახელიც წერია, — უხეშად უპასუხა სუდხამ, — არ მესმის, რატომ მეკითხებით ყოველივე ამას?

ქალმა კვლავ წამოიწია ასადგომად.

— არა, არა, იჯექით! გთხოვთ... — მოულოდნელი გაუბედობით სთხოვა მმართველმა, — მითხარით, თქვენ... თქვენ ვერ მიცანით?

— ვერა, — გაბრაზებით მოუჭრა ქალმა.

— თქვენი ოჯახი ხომ ჯანდანის სახლში ცხოვრობდა?

— დიახ.

— მე ერთხელ ვიყავი თქვენს სახლში. მინახიხართ... მისაუბრია თქვენთან... ო, ახლა თქვენ ალზე ლამაზი ხართ... მაშინ კი...

— როდის, როდის იყო ეს?! — მღელვარედ წამოიძახა სუდხამ.

მმართველი დიდხანს შესცქეროდა ქალს, შემდეგ გაჭირვებით წარმოთქვა:

— მე მოტი ვარ.

სუდხა გაშეშდა.

— ეს დიდი... დიდი უბედურებაა, მაშინ რომ არ შეგიერთეთ ცოლად, — განაგრძობდა მმართველი. — ვერ გავერკვიე, ვერ გაგიგეთ ბოლომდე. ან როგორ გავერკვიეოდი იმ რამდენიმე წუთში, რაც თქვენთან დავიყავი? ახალგაზრდა ვიყავი, მწყუროდა სიმდიდრე, ვოცნებობდი ქალის ნაზ, თეთრ კანზე... მას, ვისაც ცხოვრება დავუკავშირე, თეთრი პირისკანი ჰქონდა. მან მე სახლში შემომიტანა ფული და მასთან ერთად — სიანჩხლე, ფუქსავატობა, უზნეობა. მე ხუთი შვილი მყავს, მაგრამ არ ვიცი, რამდენი და რომელია ჩემი. არ ვიცი, არ ვიცი... ხალხი რალას არ ამბობდა, მეც მესმოდა ეს ჭორები, მესმოდა და ვსვამდი, დავდიოდი სხვა ქალებთან და ვიწამლებოდი ავადმყოფობის, ღვინის, მუდმივი უთანხმოების, საკუთარი არარაობის საწამლავით... მთლიანად გავიქვინეთ, დავიწვი ამ შხამით. ის ქალი... იგი უკვე აღარ არის ქვეყანაზე. ასე რომ, საყვედურიც არ ღირს. ან რა უნდა მეთქვა, როცა ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. დამნაშავენი არიან ჩემი თვალები, რომელთაც ვერ შეგნიშნეს. ვიბოვე ძვირფასი ქვა და უბრალო მინის ნატეხად მივიჩნიე, გადავაგდე. მაბატეთო!.. იქნებ დამეთანხმოთ და ცოლად გამომყვეთ?.. მე ხომ ჯერ კიდევ არ დავბერებულვარ და... არასოდეს მიგრძენია ნამდვილი სიყვარული, მხოლოდ ვოცნებობდი მასზე.

კაცი ლაპარაკობდა, სუდხა კი შეჰყურებდა ჩამქრალი, მკვდარი თვალებით. „და შენ ახლა მოხვედი ჩემთან! — ფიქრობდა ქალი. — მოხუცი, დამახინჯებული, სენისგან შექმული... ახლა ქორწინებას მთავაზობ მე, ვინც მთელი არსება შენ მოგიძღვნა. შენ არც კი იცი, როგორ ჩავკალი საკუთარი ახალგაზრდობა იმით, რომ შენ გამოგიგონე. რამდენი სიყვარულის გაზაფხული დავსამარე შენზე ოცნებაში, რამდენი ახალგაზრდული სურვილი გავაცამტვერე შენი ერთადერთი შემოხედვისთვის! მთელი სიცოცხლე შენი აჩრდილი მდევდა თან, კი არ მდევდა, გვერდით მედგა. ჰოდა, მე და შენი აჩრდილი დავდიოდით ბნელ ბალებში, კინოში... ჩემ გვერდით მუდამ თავისუფალი იყო ადგილი... შენი სახელით ვყიდულობდი საკუთარი თავისთვის საჩუქრებს, რაშიც ქანცგამწყვეტი შრომით მოპოვებულ გროშებს ვხარჯავდი. მომიკვდა მამა, დედა, მე კი მეძახდნენ ჩემი შვილები, შორეული შვილები, რომელთაც არასოდეს

დეს ეწერათ გაჩენა. მე შენგან შევქმენი თილისმა საკუთარი სულისათვის და ორმოცი წელი ვიცხოვრე თვალდახუჭულმა, პირმოკუმულმა და ყურებზე ხელაფარებულმა მარტო იმ სურვილით, რომ შენ გვერდიდ ვყოფილიყავი. მე არასოდეს არაფერი მითხოვია შენთვის: არც საქორწინო სამოსი და არც პირველი ღამის ვნება. არასოდეს! ერთადერთი შენი მოგონებამ მსტუმრებდა, შენი აჩრდილი, მირაჟი, დღეს კი, შენ შემოიჭერი ჩემს სამსტუმროსში და გინდა ეს მირაჟი ჯოჯობეთის ალზე დაბუგო...“

ეს აზრები უხვრეტდნენ ტვინს სუდხას, მაგრამ ხმის ამოღების ილაჯიც კი აღარ ჰქონდა. მაგიდაზე თავდამხობილი მწარედ აქვითინდა. მმართველმა ხელზე მოჰკიდა ხელი. სუდხამ ხელი გამოსტაცა, სირბილით გამოიჭრა კაბინეტიდან და კიბეზე დაეშვა.

ღამის წყვილადს ელექტრონათურების შუქი ფანტავდა. გამვლელნი ხედავდნენ სუდხას ცრემლიან სახეს, მაგრამ თვითონ იგი ვერ ამჩნევდა მათ ცნობისმოყვარე მზერას და ხმამაღლა აქვითინებული გარბოდა. აი, ასაფალის პარკიც. წამით გაუელვა ფიქრმა, შევალ და ჩვეულებისამებრ ხის ძირში ჩამოვჯდებიო, მაგრამ არა, ყველაფერი გათავებულა, ყველაფერი! მისი ოცნების მშვენიერი უფლისწული მეტად აღარ მოვა, აღარასოდეს აღარ მოვა!

მაშინ სუდხამ მოიცილა თმიდან წითელი ხაზი, შუბლიდან წაიშალა გათხოვილი ქალის ნიშანი და პარკის გაღვანს მიამსხვრია სამაჯური. ამიერიდან და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი ქვრივად უნდა დარჩენილიყო.

სატანის გადადგომა

ერთხელ სატანა ღვთის წინაშე წარსდგა, თავი ჩაჰკიდა და გამოუცხადა:

— მიიღეთ თხოვნა ჩემი გადადგომისა.

— რა მოხდა? — შეცბა მამაზეციერი.

— დამქანცა ამგვარმა სამუშაომ, აღარ შემიძლია ყოველ ცისმარე დღეს ჯოჯობეთის სახმილზე ადამიანების ხრაკვა, სისხლითა და შარავით აპიპინებულ ქვაბებში ცოდვილთა გობა, მკლავები დამაწყვიტა შოლტით ტყავის გაცლამ, მერე კიდევ ყოველ წუთში ადამიანებს უბიძგე ცოდვისაკენ!!! რომ იცოდეთ, რა ძნელი საქმე მავალია! როგორც მოგეხსენებათ, ამ მოვალეობას სამყაროს შექმნის დღიდან ვასრულებ, ჰოდა, ახლა მეტი აღარ შემიძლია, გამიწყდა ქანცი. მერწმუნე, დიდო ღმერთო, ყველაზე ძნელი სამუშაო მე მხვდა წილად. სხვა შენი ანგელოზები მთელი დღეები არხვინად ნებივრობენ სამოთხის ჩეროში, სიხარულით გადიდებენ და მიწყევ შთააგონებენ ადამიანებს სიკეთისა და სიმართლეს. რა მშვენიერი, მიმზიდველი და სასარგებლოა მათი საქმიანობა! ო, ღმერთო, ჩემო მბრძანებელო, ჩემო დამრიგებელო, დიადთა შორის უდიდესო, მეუფეო სამყაროისა, საბოლოოდ მომტება გამუდმებით ადამიანების ცდუნებამ, მოიღე მოწყალება და გამათავისუფლე ყოველდღიური ჯოჯობეთისაგან.

თავისი სიტყვა რომ დაამთავრა, სატანა მუხლებზე დაეცა, დაეკონა ღვთის ფეხებს და აქვითინდა. მოლბა ყოვლადმოწყალე მამაზეციერი. თავის ანგელოზებსა და წმინდანებს მიუბრუნდა:

— თქვენ რას იტყვით?

სატანის სიტყვამ სიბრალოლთ განმსკვალა ყველა ანგელოზი, მაგრამ ვერც ერთმა გაბედა, წინ წარმდგარიყო და აშკარად განეცხადებინა გულის ნადები. ბოლოს შიშით ენადამბულმა გაბრიელმა ამოღერლა:

— შენ მოწყალე და სამართლიანი ხარ, სატანამ საკმარისი იწვინა თავისი შავბნელი საქმეებისათვის და ჭეშმარიტად მეცოდება იგი.

— მის საქმეს შენ იკისრებ? — მაშინვე პკითხა ღმერთმა.

— კი მაგრამ, მე ხომ შენი მაცნე ვარ, ღმერთო, — მორჩილად გულს ხელი დაიკრიფა გაბრიელმა.

— მე სამყაროს არსთა მკვებავი ვარ, — განაცხადა მიქაელმა.

— მე კი განკითხვის დღეს ბუკზე დაკვრა მევალება, — სწრაფად თქვა ისრაფილმა.

— ჩემს მეტი ვინ გაყრის ზორცს სულისაგან? — დასძინა აზრაილმა.

— დღეიდან ჯოჯობეთის საქმეები სულთამხუთავმა უნდა განაგრძოს, — გაცა განკარგულება მამაზეციერმა. — ვათავისუფლებთ სატანას, დაუბრუნეთ ფრთები!

როცა სატანას კვლავ უბოძეს ფრთები, ღმერთმა უთხრა:

— დღეიდან კვლავ ანგელოსი ხარ. ასწავლი ადამიანებს სიკეთის ქმნას. დაუყოვნებლივ გაემგზავრე დედამიწაზე. იქ, ლაქშმან პატანის ოლქში გლეხი კარამდინის ასულს, ზოხრას, ყიდიან, მიდი და ჩაშალე ეს გარიგება.

სატანამ თეთრწვერა, დარბაისელი მოხუცის სახე მიიღო, გლეხ კარამდინთან მივიდა და დაუწყაო რწმუნება:

— თუ ასულს გაყიდი, ღვთის რისხვა დაგატყდება თავს.

— მე უკვე დამატყდა თავს ჩვენი მევახშის რისხვა, — უპასუხა სასოწარკვეთილმა გლეხმა, — თუ ასული არ გავყიდე, მაშინ მიწა უნდა გავყიდო და თუ მიწა გავყიდე, მერე რითღა ვარჩინო ცოლი, ხუთი ასული და ორი ვაჟი? გინახავს ჩვენი ხრიოკი მიწა? სიმინდისა და ფეტვის გარდა არაფერს გვაძლევს. დღე და ღამე წელეებზე ფეხს ვიდგამთ და რის ვაინაჩრობით გაგვაქვს თავი. გინდ მიწა გავიყიდი, გინდ მომკვდარხარ! შეგიძლია პასუხი აგო ცხრა ადამიანის სიკვდილისათვის? მე რომ მარწმუნებ, სჯობს, ჩვენი სოფლის მევახშეს ლალა მისრი შაჰს მოელაპარაკო, — რომლის შვიდას ორმოცდაათი რუბიაც მმართვეს, — ზოხრასაც ასცდება გაყიდვა.

სატანამ შუბლზე თილაქი¹ გაიკეთა, თეთრი ღბოტი ჩაიცვა, მხარზე გადაიდო ნაჭერი, რომელზეც რამის სახელი ეწერა, ხელთ იპყრა არგანი და ლალა მისრი შაჰის სახლისაკენ გაემართა. მევახშეს ღვთისმსახურება მოემთავრებინა, ეზოში იჯდა და ისვენებდა, როცა სატანა მორწმუნე ბრაჰმანის სახით გამოეცხადა.

ლალა მისრი შაჰმა მოუსმინა და ჩვეული ზრდილობით უპასუხა:

— პანდიტ-ჯი, რატომ მაშინებთ წამდაუწუმ ღვთის სახელით? ქალიშვილს მე ხომ არ ვყიდი, კარამდინი ყიდის, ფულსაც ის აიღებს და ცოდვაც მან ზღოს, მე რა შუაში ვარ? მე მხოლოდ შვიდას ორმოცდაათი რუბია უნდა მომცეს. დამიბრუნებს ვალს და მერე როგორც სურს, იაღ მოიქცეს.

¹ ასე მიმართავენ მეღუქმეს, ვაჭარს, მევახშეს.

² კასტის განმასხვავებელი ხელოვნური ხალი.

— შენ რომ მისთვის ის შეიდას ორმოცდაათი რუპია გეპატიებინა, შეილს არ გაპყიდდა, — აუხსნა სატანამ.

— რომელ ერთს ვაპატიო? — მევახშემ თავისი წითელი დვეთარი გაშალა. — შეხედეთ ამ ჩანაწერებს: სუნდარასს ორი ათასი მარტებს, გამეს — ხუთას სამოცი, გურდაილს — რვაასი, მახტაბრიას — სამასი. ამ სოფლის გლეხებს სულ ოცდაერთი ათასი რუპია მარტებთ ჩემი, თუ პროცენტებს არ მივათვლით. ყველას რომ ვაპატიო, თითონ რა ვკამო ან ოჯახი რით ვარჩინო.

— შენც ადექი და მხოლოდ იმათ აპატიე, ვინც ვალის დასაფარავად იძულებულია ქალიშვილი გაყიდოს.

— კი მაგრამ, მე რაღა ვქნა? თხოვნა მაქვს შეტანილი ორი წისქვილის ლიცენზიის შესაძენად. ამ ლიცენზიის მისაღებად სახელმწიფო ხაზინაში ორი კვირის ვადაში შეიდას ორმოცდაათი რუპია უნდა შევიტანო. კარამდინის მიწას ყადაღა ადევს. თუ ოთხ დღეში არ დამიბრუნებს ვალს, მიწას გავუყიდი.

სატანამ სცადა, ნამუსზე შეეგდო გამოუსწორებელი ძუნწი მევახშე:

— როგორ არა გრცხვენია, მისრი შაჰ, იმ შეიდას ორმოცდაათ რუპიად მაჰმადიანი ქალიშვილი გინდა ოჯახში შემოიყვანო, წაბილწო შენი სარწმუნოება...

— რამ-რამ! რას ბრძანებთ, პანდიტ-ჯი, — შეშინებულმა ლალა მისრი შაჰმა თითები ყურებზე მიიღო, რაც რელიგიისადმი სრულ მორჩილებას ნიშნავს. — მე ხომ ამგვარი სიმდაბლე ფიქრადაც არ გამივლია. იმ გოგოს ოჯახში როგორ შემოვიყვან. იგი ხოჯა ბადრუდინს უნდა მიჰყიდონ, ხიდთან რომ მაღაზიაა, იმის მეპატრონეს. მას უკვე ჰყავს ოთხი ცოლი, მაგრამ თანახმაა ზოხრას შეიდას ორმოცდაათი რუპია გადაიხადოს. კარამდინი ბადრუდინს მისცემს თავის ქალიშვილს, ბადრუდინი კარამდინს მისცემს შეიდას ორმოცდაათ რუპიას, კარამდინი ვალის დასაფარავად ამ ფულს მომცემს. მე, მე კიდევ ჩემი ლიცენზიისათვის...

— კმარა, კმარა, — მოუთმენლად შეაწყვეტინა სატანამ, — სჯობს მითხრა, ნუთუ არაფრით არ შეიძლება ეს ბილწი გარიგება მოიხპოს?

— მისი მოსპობა მხოლოდ ხოჯა ბადრუდინს შეუძლია. რად უნდა მეხუთე ცოლი? ხომ ჰყავს შინ ოთხი. მან რომ ცოლის შერთვა გადაიფიქროს, გარიგებაც ჩაიშლება.

— ვინა თქვა, მეხუთე ცოლს ირთავსო? — გაოცდა ვაჭარი ხოჯა ბადრუდინი, — მართალია, ოთხი ცოლი მყავს, მაგრამ უფროსი ძალზე დაბერდა, საშინაო საქმეებსაც კი ვერ აბამს თავს. მე მას წილს გადავუხდი, ფულს მივცემ, განვქორწინდები და მერეღა შევირთავ ზოხრას.

— კი მაგრამ, შენ ხომ უკვე სამოცდახუთი წლისა გახდი. რად გინდა სიბერის ეამს ცოლის შერთვა? — ჰკითხა სატანამ.

— აქამდე არც ერთმა ცოლმა არ მაჩუქა ვაჟიშვილი. ყველას ქალიშვილი ეყოლა. მე კი ვაჟი მჭირდება, მემკვიდრე და გვარის გამგრძელებელი.

— იქნებ ზოხრამაც არ შეას ვაჟი, — შენიშნა სატანამ.

— ყველაფერი შემოქმედის ნებაა, — მორჩილად განაცხადა ბადრუდინმა და ხელები ცისკენ აღაპყრო, — მწამს იგი შემისრულებს საწადელს.

— ნუთუ არ შეიძლება ამ საზიზღარი გარიგების ჩაშლა? — კვლავ სასოწარეკვეთა სატანას.

— არავინ არავის არ ატანს ძალას, — უკმაყოფილოდ უპასუხა ბადრუდინმა, — ზოხრა პატარა აღარაა, სრულწლოვანია, თვითონაც ერკვევა, რა არის მისთვის კარგი და რა ცუდი. ის რომ თანახმა არ ყოფილიყო ქორწინებაზე, ვერც მე და ვერც მამამისი ვერ დავაძალებდით.

სატანა მიმზიდველ, ტანად ჭაბუკად გადაიქცა და წავიდნა ზოხრასთან შესახვედრად, რომელიც ამ დროს წყაროს პირას დაბალი ბუჩქნარის ჩრდილში იჯდა და კოკას ავსებდა. პირველ შეხვედრაზევე შეუყვარდა ქალიშვილს წარმოსადეგი ახალგაზრდა. ფერმკრთალი ღაწვები კდემის აღმურით აეტკიცა, თითები უნებურად ააფათურა კოკის ყელზე.

სატანამ სთხოვა, ცოლად გამომყევიო.

ზოხრამ ხელები ჩამოუშვა, დაკვირვებით მიაჩერდა ჭაბუკს და ძლივს გასაგონად ჰკითხა:

— შენ რა საქმიანობას ეწევი?

— არავითარს, — მიუგო სატანამ. — მე, უბრალოდ, ღვთის სახელს ვადიდებ.

— ღვთის სახელს ყველა ადიდებს, — მწუხარედ შენიშნა ზოხრამ. — მაგით გინდა მარჩინო?

— ერთად ვიშრომებთ.

— მთელი ჩემი დღე და მოსწრება ვშრომობ შინაც და გარეთაც, მაგრამ რა გამოვიდა, მხოლოდ იმას ვახერხებ, რაღაც უხეში ჩვრებით დავიფარო შიშველი სხეული და დღეში ერთხელ მაინც ვჭამო. მომბეზრდა ამგვარი შრომა.

დიდხანს დუმდა სატანა, შემდეგ ჩაფიქრებულმა წყნარად ჩაილაპარაკა:

— ზოხრა, შენ ახალგაზრდა და ლამაზი გოგო ხარ. დაფიქრდი, იქნები თუ არა ბედნიერი, სამოცდახუთი წლის მოხუცს რომ გაჰყვე ცოლად? ნუთუ შეგიძლია, რამდენიმე ვერცხლად გაიყიდო თავი?

— ის კაცი მომცემს ბინას, ტანსაცმელს და სხვა თუ არაფერი, დღეში ორჯერ მაინც მაჭმევს, — ზოხრას იმედით გაუბრწყინდა სახე.

— კი მაგრამ, ის ხომ მოხუცია, საზიზღარი, — სატანამ ხელი ხელზე წაავლო ზოხრას, — დაფიქრდი, განა ბედნიერი იქნები?

ზოხრამ მძიმედ ასწია გრძელი წამწამები, კეკლუცად ახედა ვაჟს და თქვა:

— საკუთარი ბედნიერებისათვის კი ზოგჯერ შენ შეგხვდები ხოლმე, ხომ მოხვალ მალულად?

ზოხრამ ამოიოხრა და სცადა მკერდში ჩაკვროდა ჭაბუკს, მაგრამ სატანამ უხეშად გამოგლიჯა ხელი და გაიქცა.

იგი საპოლიციო უბნის უფროსთან გურუდაილ სინგხთან მივიდა და სხაპასუბით მოჰყვა:

— როგორც წესიერი მოქალაქე, გთხოვთ, ხელი შეუშალოთ ამ საზიზღარი გარიგების აღსრულებას. ნუ დაანებებთ ქალიშვილის გაუბედურებას. ბატონო უფროსო, გაცნობებთ, რომ ლაქშან პატანის ოლქში გლევ კარამდინს სურს შეიდას ორმოცდაათ რუპიად მიჰყიდოს თავისი ქალიშვილი ვაჭარ ხოჯა ბადრუდინს. კარამდინი ამ თანხას მისცემს მევახშე მისრი შაჰს, რათა ამ უკანასკნელმა არ გაუყიდოს მიწის პატარა ნაკვეთი. ნუთუ ბიგხებზე და აკრებზე უნდა იყიდებოდეს ადამიანების სული? მორალურად ეს გარიგება დიდი შეც-

დომია, რელიგიურად — მიუტოვებელი ცოდვია, იურიდიულად — დანაშაუ-
ლი. თქვენ ამ რაიონის პოლიციის უფროსი ხართ, წინ აღუდგებით ამ კანონსა-
წინააღმდეგო საქმის შესრულებას.

— გუნებაშიც არ გავივლებ ხელის შეშლას, — ცივად გააწყვეტინა პო-
ლიციის უფროსმა, — ჩემთვის უკვე ცნობილია ეს ამბავი და ზომებიც მი-
ღებული მაქვს. გავიგე, რომ დაქორწინებამდე რამდენიმე წუთით ადრე ხოჯა
ბადრუდინი მომავალ ცოლს გადასცემს შვიდას ორმოცდაათ რუპიას. ზოხრა
ამ თანხას მისცემს მამამისს. ჯვრისწერის დამთავრებისთანავე კარამდინი წავა
მევახშე მისრი შაჰთან და ვალს გადაუხდის. მაგრამ ქორწინებას ჩემი ხალხიც
დაესწრება. ფულს, რომელიც ხოჯა ბადრუდინმა უნდა მისცეს კარამდინს,
წინასწარ მალულად დანიშნავენ. როგორც კი ჯვრისწერა დამთავრდება და
გარიგება აღსრულდება, მაშინვე დავაპატიმრებ ყველას და სამართალში მიე-
ცემ ქალიშვილის გაყიდვისათვის.

— კი მაგრამ, სასამართლომდე რატომ უნდა მივიყვანოთ საქმე, როცა
ამ უკანონო გარიგების ჩაშლა ამთავითვე შეიძლება?

— ღმერთო ჩემო, რა ყეყეჩია! — იყვირა გურდიალ სინგხმა. — ნამდ-
ვილი ბრიყვი უნდა ვიყო, რომ ასეთი საქმე ხელიდან გავუშვა. ყველას ერთ-
იანად უნდა ვწვდე ყელში: ხოჯა ბადრუდინს, მევახშე მისრი შაჰს, კარამდი-
ნსა და ზოხრას, შენ კი გარიგების ჩაშლაზე მეჩიჩინები. ხოჯა ბადრუდინისაგან
ჭრთამად სულ ცოტა ორი ათას რუპიას მაინც მივიღებ, ამდენივეს მომართ-
მევს მისრი შაჰი. ზოხრაზე კი ამბობენ, სულაც არ არის ურიგო გოგო.

— კი მაგრამ, ეს ხომ ცოდვია! — შეჰყვირა სატანამ.

— იმ ოთხი ათასი რუპიით ქალიშვილს გავათხოვებ.

— ერთი ქალიშვილის დაქორწინებისათვის მეორის გაუბედურება გინდათ?
ეს ხომ საშინელი მკრეხელობაა!..

— ამის გარდა სახელიც გამივარდება, ძვირფასო ბატონო, — განაგრძო
პოლიციის უფროსმა სატანის შეგონება. — ასეთი ხმაურიანი პროცესი ჩვენ-
თან ჯერ კიდევ არ ყოფილა. ადვილი მოსალოდნელია, წარმატებით ჩატარე-
ბული პროცესის შემდეგ პოლიციის ინსპექტორის მოადგილეობიდან ინსპექ-
ტორად გადამიყვანონ.

— კი მაგრამ, ეს ხომ დანაშაულია! — აღშფოთდა სატანა.

— შენ ვინდა ხარ, რომ ამ საქმეში ერევი? — მრისხანედ ჩაეკითხა პო-
ლიციის უფროსი.

— მონა ღვთისა, — მორჩილად ჩაჰკიდა თავი სატანამ. — ვასწავლი ადა-
მიანებს სიკეთესა და კეთილგონიერებას.

პოლიციის უფროსმა ბრძანა, საკანში გამოამწყვდიეთ ეს კაცი.

სამი დღის შემდეგ, როგორც კი ციხიდან გამოვიდა, სატანა პირდაპირ მა-
მაზეციერს ეახლა და ფრთები დაუბრუნა:

— რა მოხდა? — ჰკითხა ღმერთმა.

— მეგონა, ჩემი საქმიანობა ყველაზე ძნელი იყო, — უპასუხა სატანამ,
— ხოლო ანგელოზებისა — ადვილი, ახლა დავრწმუნდი, ჩემი უწინდელი მუ-
შაობა ამასთან შედარებით თამაში ყოფილა. გთხოვთ, დამიბრუნოთ ჩემი თხო-
ვნა გადადგომის შესახებ და დაუყოვნებლივ გამაგზავნოთ ჯოჯოხეთში.



თარგმნა ელდარ კერძაძემ

* * *

დღემ ჩაიარა
 დღიურ ზრუნვებით,
ქალაქი ძილში
 ნელა მშვიდდება,
დადგა ქუჩებში
 მძაფრი სურნელი, —
ზეიმების და პანაშვიდების.
მოსჩანს ქალაქის
 რუხი ხედები
და მარტის ღამე
 ილევა ნელა,
ისევ უბრალო დღე გათენდება,
თუ დაიწყება
 ხვალ მთელი ერა?

* * *

დრო აღარ მრჩება, —
 საკუთარი თავი რომ ვქირდო,
რის ზარ-ზეიმი,
 ანდა ყალბი ვის უნდა ტანჯვა,
საქმეს მივხედოთ თავო ჩემო,
 სათქმელი ითხოვს —
ქალაღდს და კალამს,
 და ვაჟკაცურ გულსა და მაჯას.

დრო აღარ არის,
 რაც მოგაგეს
 იმ დროის გარდა,
 არავითარი ბუზლუნი და განამანია,
 კარგია ჩემო მეგობრებო,
 ეს მკაცრი ვადა, —
 როდესაც ქვეყნად სხვა ვადები
 არ გაგვაჩნია.



* * *

ასეთი დამყვა ამქვეყნად ბედი:
 დედა მინდორში ბალახს თიბავდა,
 უცბად მუცელი ასტკივდა დედას
 წამოწვა იქვე

და... დავიბადე.

ვერ იკავებენ ქალები სიცილს
 როცა მაშინდელ ამბავს იწყებენ, —
 თურმე ჩვრებში რომ მახვევდნენ ციმციმ
 ტანთ ამკრობოდა ნაძვის წინვები.

— ასე ინება, შვილო, განგებამ
 და ჩვენი სიბრძნე არის თავდები:
 ვინც ნაძვის ძირას დაიბადება, —
 მგლები ვერაფერს ვერ დააკლებენ.

ვაი, რომ ჩემი გაჩენის ამბის
 ამქვეყნად მცოდნე არ არის ბევრი, —
 მიღრენენ...

მხრავენ...

მშიერი,

ხარბი, —

გარს მახვევია ათასი მგელი,

მაგრამ ამაოდ,

დიახ, ამაოდ, —

ვერ ვიტყვი შეჭმა რომ შესძლეს ჩემი.

* * *

არის ამქვეყნად თარიღები და სახელები, —
 თითქოს ცხოვრობენ ისტორიის მყუდრო ბინაში, —
 მოკრძალებულნი, თავს არასდროს არ გვახსენებენ,
 დამნაშავე ვართ მათი წმინდა ხსოვნის წინაშე.
 ახლა, როდესაც ზეიმების არის მრავლობა,

პრეზიდენტში ზოგჯერ ტკბილად გამოვიძინებთ...
 დრო მოვა და მათ გაიხსენებს შთამომავლობა,
 ჩვენ კი...

იქნება დაგვივიწყონ საშვილიშვილოდული
 ბიზლირთხევა

* * *

— ცოცხლებში თითქოს აღარ ვარ უკვე,
 მიწიერ ზრუნვით გულს არ ვიოსებ,
 ენით უთქმელი სიმშვიდე სუფევს, —
 მივლინებით ვარ საიქიოში.
 საით ვიჩქარო?

ცუდია განა

უზრუნველობა,
 სიმშვიდე,
 ძილი;
 ვიცი:
 ოცნებობს მთელი ქვეყანა
 უხილავ ქვეყნის იხილოს ხილი.
 აღარც ვტირი და
 აღარც ვიციანი,
 დუმილით ვკურნავ
 გულის იარებს,
 აღარც სიცოცხლე,
 აღარც სიკვდილი, —
 უკვე ორივე გამოვიარე.
 აგარაკზე ვარ და უნდა ითქვას
 ისე ვისვენებ

როგორც წესია,
 ფულს არაფერზე არ ვხარჯავ თითქმის,
 ყოველთვიურად მომდის პენსიაც.

* * *

გაგონდება ახლა ხშირად
 ის წარსული შორეული,
 შენი კბილა ცაცხვის ძირას
 დგახარ სევდამორეული.
 უქმად გაგიფრინდნენ წლები,
 დარდმა დაგიღარა სახე,
 გარდა შენი სოფლის გზების
 არაფერი არ გინახავს.
 შენ იცოდი, ყოველ მხარეს

ცხოვრება რომ ტანჯვა არის,
 ამიტომ არ მოიარე
 მშობლიური მინა-წყალი.
 ხვალის შემყურე იყავი
 არ გალენე შენი კალო,
 ჭკვიანი გეგონა თავი,
 შეცდი შენდა სამწუხაროდ.



* * *

ხუთი წელი გავიდა
 რაც სახლში არ ყოფილა,
 მოიარა ქვეყანა,
 ქვეყნის სიგრძე-სიგანე,
 ახლა სახლში ბრუნდება
 დინჯი და კმაყოფილი,
 გზას დაადგა სოფლისას,
 სახლისაკენ იჩქარის.
 ჰა, გამოჩნდა სოფელიც...
 სახლიც, აგე ის არი...
 მოენატრა სოფელი,
 ცოლი უფრო ძალიან,
 ცოლისთვის საჩუქარი, —
 ერთგულების ნიშანი —
 ცხვირსახოცი ლამაზი
 მიაქვს, მიუხარია.
 სად იყიდა არ ახსოვს,
 არც ის, —
 მისცა რამდენი,
 შავ ბაზარზე იყიდა
 თუ სადგურზე რკინიგზის,
 მაგნიტკას აშენებდა,
 მშენებელი დამკვერელი, —
 იქნებ მაშინ ბარათით მისცეს
 აბა, ვინ იცის...
 ასეა თუ ისეა
 მიდის კაცი, ოცნებობს...
 სწორედ ამასობაში მაღაზიას მიადგა,
 ხედავს თარო სავსეა... იმგვარ ცხვირსახოცებით...
 დაუმძიმდა სხეული...
 უცებ დანადვლიანდა...

* * *

ქვეყნად ისედაც ცოტა ვიცხოვრეთ
და მოგვეჩვენა ძალიან მალე, —
ერთმანეთისთვის გავხდით უცხონი
და ეს ერთმანეთს ვერ დავუმაღეთ.
ერთხელ კი,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა დაბრუნდი ისევ,
რათა წაგეღო ნივთები ძველი,
უკანასკნელად ააგიზგიზე
ჩანავლებული ღუმელი ჩვენი.
სიცივემ სითბოს გაუხსნა მადა
და გათბა ისევ დამზრალი ფესვი,
შენ მაშინ მითხარ ნაზი და სადა
სიტყვები,

ჩემთვის უძვირფასესი.
დიან, ცხოვრება ყოფილა ბრძენი,
ვიცით სიყვარულს რაც უნდა თურმე, —
ოდნავ სიცივე თუ შევიგრძენით
ავაგიზგიზებთ იმნუთას ღუმელს.

* * *

თავად ვიპოვი,
თავად მოვძებნი
რაც შემეშალა

და ვერ გავიგე,
მზამზარეული თქვენი ნოტები
მე არ მჭირდება
უკან წაიღეთ.

თავად მოვუვლი ყოფას ბითურულს,
ვიცი, —

სიმაღლით რაც მაქვს მისჯილი,
ოღონდ
სულში ხელს ნუ მიფათურებთ,
ოღონდ
ნუ მესმის თქვენი სისინი...

□



თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ

მეუღრო სოფელში

ს აღმოთი ვასილისა მიხაილოვნას სამასლაათოდ შეუარა ნიკოდიმ პავლოვიჩმა. ტანდაბალი კაცი იყო, გაბარდინის გიმნასტურა ეცვა, უსწორმასწოროდ შეკრეჭილი უღვაშები ჰქონდა და ფუნჩულა, თეთრი პირისახე. ვასილისა მიხაილოვნამ იცოდა, ეს კაცი რომ მისი შვილი-შვილის, ლიუდას ხათრით დადიოდა მათსა: ცოლად შერთვას უპირებდა. ხალხის დასანახად ქალიშვილთან სეირნობა ამ ხნის კაცს აღარ შეჰფეროდა, პოდს, ამიტომაც შინ აკითხავდა ლიუდას, ნელ-ნელა აგუებდა თავის ხასიათს. თანაც იჯახსაც ეპატრონებოდა. ლიუდა რომ სუფრას დააფარებდა, მაგიდაზე, ნიკოდიმ პავლოვიჩი მკაცრად ეტყოდა: „სულაც არ არის საჭირო სუფრის გადაფარება, მურაბა დაეწვეთება და დასვრის“. ამაზე ლიუდა უპასუხებდა, თქვენებრ პატივსაცემი სტუმრისათვის სუფრა რა დასანანიო, და ხმაზე ეტყობოდა, „ამ კარად დასცინოდა.“

ნიკოდიმ პავლოვიჩი თავის თავს „მოვლინებულს“ ეძახდა. რაიკენტრის რომელიღაც დამამზადებელ ორგანიზაციაში მუშაობდა, სოფელში საქმეზე ჩამოდიოდა და ახლა აგერ თვეზე მეტი იყო, მებაღე პეტრიშჩევთან ცხოვრობდა. თავის სამუშაოს ზიზლით ეკიდებოდა და გრძნობამორევით იგონებდა, რა კარგი იყო სადღაც იაროსლავლთან ქოფაკების საწვრთნელში რომ ვმსახურობდიო. იქ მაინცდამაინც არ აწუხებდა საქმე, ეს იყო, სქელი რეზინის კომბინეზონი უნდა ჩამოეცვა, თავზე ბაღე ჩამოეფხატა და ძაღლებს გაქცეოდა. მერე ისინი დაეწეოდნენ, მიწაზე დაანარცხებდნენ და კომბინეზონს კბილებით აგლეჯდნენ. ! სტუმრად რომ ეწვეოდა ლიუდას, ზოგჯერ ძღვენსაც წამოიძღვანიებდა ხოლმე. ახლა კიბორჩხალები მოეტანა.

— მდულარეში უნდა ჩაყაროთ ეგ მატაროცები, — თქვა და მაგიდაზე აფუთფუთებული შეკრულა დადო. — ამ დროს ძალიან გემრიელი საქმელია.

— თავად დაიჭირეთ? — დაინტერესდა ვასილისა მიხაილოვნა.

— მოგეხსენებათ, მონადირე კაცი ვარ და.

— კიბორჩხალებზე ნადირობთ მხოლოდ? — შეეკითხა ლიუდა და თვალეზი მოჭუტა. მაგრამ ნიკოდიმ პავლოვიჩმა ყურით არ ათხოვა და ვასილისა მიხაილოვნას მიუბრუნდა:

— კიბორჩხალას გემო მაშინა აქვს, თუ იმ თვეში დაიჭერ, რომლის სახელწოდებაშიც „რაე“ ურევია, მაგალითად, მარტში, აპრილში ან კიდევ ახლა, სექტემბერში. ყოველ ცხოველს იმ თვეში უნდა შეეჭყე კაცი, როცა უფრო გემრიელია. თევზი მაგალითად — მარტში ჯობია ჭამო. მარტში თევზს აი, სეთი ზურგი აქვს, — ნიკოდიმ პავლოვიჩმა ორი თეთრი თითი შეატყუა.

ნიკოდიმ პავლოვიჩი მუდამ დამრიგებლური კილოთი ლაპარაკობდა ხოლმე და სხვისი ყურისგდება არ უყვარდა. ხოლო როცა იძულებული იყო ვინმესთვის მოესმინა, ნაღვლიანად და შემწყნარებლურად იღიმებოდა, აქაოდა, კარვად ვიცი, რასაც იტყვით და კიდევ ბევრი სხვა რამეც, რაც არავის ესმის და ვერც ვერასოდეს გაიგებსო. ვასილისა მიხაილოვნა ფიქრობდა, რა ჭკვიანი კაცი იყო ნიკოდიმ პავლოვიჩი.

ვახშმად დასხდნენ. ვასილისა მიხაილოვნამ სახვალიოდ გადანახული ბორშჩი დაუსხა.

ნიკოდიმ პავლოვიჩმა ცოტა შეხვრიპა და თქვა:

— ბორშჩს წათელი ჭარხალი არ უნდა უყვით. აი, ისეთი ჭარხალია საჭირო, — კაცმა თითები შეათამაშა. — თეთრი ზოლები რომ დაყვება... თორემ წითელი ბურაკი თუ უყავი, ჭარხლის სუნით ამყრალდება.

მერე მიდგა და ხმის ამოუღებლად ბოლომდე შეხვრიპა ბორშჩი.

— ამბობენ, გაზაფხულზე ზღვა დაგვიახლოვდებაო, მართალია? — ჭკითხა ვასილისა მიხაილოვნამ. — საცა არის მორჩებიან თურმე კუმშაცკის გორის საგუბრის ამოვსებას.

— ზღვა, რაღა თქმა უნდა, გექნებათ, — თქვა ნიკოდიმ პავლოვიჩმა და კიბორჩხალას ბაკანი ჩაახრამუნა, — მხოლოდ სადამდე მოვა, ეს კი არავინ იცის. მაგალითად, თუ თქვენს ქობამდე უნდა მოვიდეს და გაჩერდეს, ვაჩერდება კია? წყალი ხომ სტიქიაა.

— აბა რას ამბობთ, მათ ხომ ყველაფერი გამოთვლილი აქვთ... — ცოტა არ იყოს შეშინდა ვასილისა მიხაილოვნა.

— გამოთვლების იმედით ვერ იქნები კაცი. ერთი წელიც რომ გაეპაროთ, თქვენს ქობს სულ წალეკავს, საშოშიელა შერჩება მალლა. მაგალითად, ახლა თქვენ კიბორჩხალებს შეეჭყევით, მაშინ კი კიბორჩხალები თქვენვე შეგჭამენ. ხოლო წალეკავს თუ არ წალეკავს, რა ბედენაა. მეცნიერებიდან ცნობილია, დედამიწა მზეს უნდა დაეცეს და ყოველივე, რაც ზედაა, გადაიხრუკოს უნდაო. იცით თუ არა, ვასილისა მიხაილოვნა, რა არის მზე?

— არ ვიცი, — მიუგო შეშინებულმა ქალმა, — რაო, რა არის?

— მზე — ეს გამლღვარი რკინაა. აბა რაღა დარჩება თქვენგან, თუკი, მაგალითად, გამლღვარ რკინაზე მოგისროლეს?

— მერე ეს როდის მოხდება...

— როცა კი არ უნდა მოხდეს, მზე კი არა და — ატომური ყუმბარაც ისე ზუგავს ყველაფერს, თქვენგან დედამიწაზე ლაქალა დარჩება, თქვენი სხეულის ჩრდილი მხოლოდ.

ვასილისა მიხაილოვნამ შიშით შეხედა საკუთარ ჩრდილს და ჩაილაპარაკა: — ჩვენები არ ასროლინებენ ასეთ ყუმბარას.

— მერე თქვენა გგონიათ, ისინი ჩვენებს შეეკითხებიან? აი, გუშინაც გაზეთებში მემორანდუმი იყო დაბეჭდილი.

— რაო? — კიდევ უფრო დაფრთხა ვასილისა მიხაილოვნა.

— მემორანდუმი, — იღუმალად ვაიმეორა ნიკოდიმ კვეციანიძე, ხელი იმ ხელსახოცზე შეიწმინდა, რომლითაც კიბორჩხალები მტრეთან მტრედან წამოდგა. — აბა, ჩემი წასვლის დროა. მგონი, წვიმს, არა?

სამთავემ ჩაბნელებულ ფანჯარაში გაიხედა, ხმაამოუღებლივ მიაყურადეს. სახურავზე წვიმა აკაკუნებდა.

ნიკოდიმ პავლოვიჩმა ქუდი დაიხურა, მშვიდობითო, თქვა და დარწმუნებული, ამ საღამოს ლიუდა კიდევ უფრო გავაოცე ჩემი ნასწავლობითო, წინკარისაკენ გაემართა.

ვასილისა მიხაილოვნამ თივთავის შარფი მოისხა, კიბემდე მიაცილა, უთხრა, თავი დახარეთ და ისე გაიარეთ, რადგან ეზოში სარეცხის თოკია გაბმულიო, ზღურბლთან დადგა და ნიკოდიმ პავლოვიჩის ფრთხილ, თანდათან უფრო და უფრო შორეულ ნაბიჯებს მიუგდო ყური. ბნელი ღამე იყო, წვიმა ჩუმად, ნაღვლიანად ასხამდა. შორიდან მოისმა კარის ჯახუნნი, ნაბიჯების ხმა მიწყდა. „ფის-ფის-ფის“, — დაუძახა ვასილისა მიხაილოვნამ, თან შალი შემოიბუდნა, ასე ეგონა, კატას რაღაც უბედურება დაატყდა თავს და ლობის იქითაც ვიღაც უცხო დგასო. მერე გაწუმპული კატაც შემოძვრა კარში. ვასილისა მიხაილოვნამ კარი გადარაზა და დასაძინებლად წავიდა.

— ნასწავლი კაცი კია, მაგრამ ისე ლაპარაკობს, სულს აგიმღვრევს ადამიანს. — უთხრა მან შვილიშვილს გულისტკივილით, — ნეტა ჩქარა კი გადაწყვეტდეთ თქვენა საქმეს და...

— ნუთუ ისევა გგონია, რომ მაგ კაცს ცოლად გავყვები? — მიუგო ლიუდამ. — ოჰ, ბები, ბები, ჩემზე ნულა დარდობ, გეთაყვა. უკვე დიდი ქალი ვარ.

ვასილისა მიხაილოვნას შვილიშვილი, თუმცა ხალხში კი დაცივნა უყვარდა, გულთბილი გოგო იყო. დაცივნითაც, სიმორცხვისა და უხერხულობის დასაფარავად თუ დასცინებდა ვინმეს და არა იმიტომ, რომ ბოროტი იყო.

ვასილისა მიხაილოვნა გულდამძიმებული დაწვა. წინათ მათ სოფელში სიმკუდროვე და სიწყნარე სუფევდა: მეზობელი სოფელი ასი კილომეტრის სავალზე იყო, ხოლო შარშან თვით დონამდე გაიყვანეს რკინიგზა, ვინ აღარ მიდიმოდის, დაათრევენ მილებს, ზომავენ მიწას, ბევრი ახალ ადგილას გადაასახლეს. ვასილისა მიხაილოვნას კი უთხრეს, შენს ქოხს ხელს არ ვახლებთო, მაგრამ ვინ იცის. აგერ კიდევ ეს „მოვლინებული“ გამოჩნდა და რა საშინელ ამბებს აღარ ყვება... ვასილისა მიხაილოვნამ დაიძინა და ესიზმრა, თითქოს მთელი ეზო წყალს დაეტბორა. თავად უნდოდა ძროხასთან მისულიყო და ვერ გაელწია იქამდე, ხოლო საშოშიეზე ნიკოდიმ პავლოვიჩი წამოსკუპებულიყო და ეკითხებოდა, თუ იცი, მზე რა არისო.

ღამით ვიღაცამ მიუცაკუნა მათ კარს. ვასილისა მიხაილოვნა ლოგინზე წამოჯდა და პირჯვარი გადაიწერა.

აკაციის ფოთლებში მალულად შარიშურობდა წვიმა, თითქოს ფრთხილობს, ძილი არ დაეუფრთხო ვინმესო; წუხელს მერე გაბმით წვიმდა. ფოთლებში წვიმის შხაპუნნი ჩქარ-ჩქარ, შეშფოთებულ ჩურჩულს მოგაგონებდათ, იფიქრებდით, ბაღში ვიღაც დადისო ფეხისწვერებზე, ისეთი წყვდიადი იდგა, ფანჯრებსაც ვერ დაინახავდი.

კარზე ისევ დააკაკუნეს.

— ბები, აკაკუნებენ, — გაეღვიძა ლიუდას.

ქარი წვიმის ღარიდან გეჯაში ჩამომდინარე წყლის წვრილ ჭავდს არხევდა, წყლის ხმა გამუდმებით იცვლებოდა, თითქოს სხვადასხვა ჭეჭეჭე წყლებდა ვი-
დაც. სადღაც შორს, საგუბართან მოტოდრავამ მიაკივლა. ბიზლიჩიშვილი

— შარშანწინ არ იყო, მეზობლებს რომ შუალამისას ღამის გათევივნება სთხოვეს, მშენებლობიდან ვართო, დილით კი ქურქი გააყოლეს ხელს, — ჩაილაპარაკა ვასილისა მიხაილოვნამ. — თუმცა, ვინ იცის, იქნებ გომურიდან მო-
რიგემ მომაკითხა... ღმერთმანი, არც კი ვიცი, გავხედო თუ არა...

— უნდა ვკითხოთ, ვინა ხართო. — ნამძინარევი ხმით ჩაიბუტბუტა ლიუდამ და საბანში უფრო ღრმად შეძვრა. — ხომ ხედავ, წვიმს, იქ კი ნესტია.

— ფარდული ხომ დაკეტე?

ლიუდამ არაფერი უპასუხა — ეტყობა, ჩაეძინა.

ვასილისა მიხაილოვნას შუქი არ აუნთია, პალტო მოისხა, პარმალში გამა-
ვალი კარი შეაღო და შორიდან იკითხა:

— ვინ არის?

— მე ვარ, — მოისმა მამაკაცის ხმა, — რა მაგრად გძინავთ, დედილო.

შემცივებული ადამიანის ჩახრენწილი ხმა იყო და ვასილისა მიხაილოვნა
ვერ მიხვდა, ბებერი იდგა კართან თუ ახალგაზრდა.

— ვინა ხართ-მეთქი?! — კვლავ იკითხა ქალმა.

— ჰიდრომექანიზატორი.

— ვინაო?

— სტოლიაროვი ვარ. სამუშაოთა მწარმოებელი. ხომ გაგიგონიათ ჩემი
გვარი?

„ეტყობა, ესეც მშენებლობიდან არის, — გაიფიქრა ვასილისა მიხაილოვ-
ნამ. — არ გავუღებ, გინდაც იაფი წირთხლს ახალოს“.

— მერე საბუთები თანა გაქვთ? — ჰკითხა და სიბუნელეს ტუჩებაპრუწუ-
ლა გორიბი მზერით მიაჩერდა.

— პლანშეტი საბუთებითა მაქვს სავსე, დილამდე მოუნდებით მის თვალი-
ერებას.

„უყურეთ ერთი, ფეხებსაც კი იწმენდა. — შიშით მიაყურა ვასილისა მიხა-
ილოვნამ. — გეგონება, მისი სახლი იყოს“.

მართლაც, უცნობი მძიმე ჩექმებს ისეთი ძალით აბაკუნებდა პარმალზე,
წინკარშიაც კი ფიცრები ყანყალებდა.

— ნუ სწუხხართ, — თქვა კაცმა, თითქოს სუფრაზე იწვევდა ვინმე, —
ჩაის მე არ მოგთხოვთ და სხვა რაიმეს...

— ჩვენ, ჩემო შვილო, შეშაც არ გაგვაჩნია, ჩაის საიდან მოგართმევთ...
ცივა ჩვენსა.

— მერე რა უშავს... უთენია წასასვლელი ვარ...

— არა, ვერც ვიშოვი შეშას, — განაგრძობდა ვასილისა მიხაილოვნა, — ამ
ჩვენს ტრამალში ნაფოტიც რომ აიღო სადმე, იმასაც უკან დაგაბრუნებინებენ...
ერთი ნახეთ, რა მოგვიტანეს მთელი ზამთრის სამყოფად...

ვასილისა მიხაილოვნა ლაპარაკში გაერთო თუ, ამ კაცის ხმა ეჩვენა ჩვე-
ულებრივი დღის სტუმრის ხმად, ისე გამოშტერდა, რაზა გადაწია და მაშინღა

დამოერკვა, როცა ვილაც გალუმბული. გათოშილი კაცი, კედლებზე ლაბადის ფხაჭაფხუჭით, შემოვიდა წინკარში.

ქალმა ხელის ცეცებით საჩქაროდ მოძებნა ჩამრთველი და შუქი აანთო.

წინკარში ასე ოცდასამი წლის, მაღალი, მხარბეჭიანი ჭაბუკი იდგა. თავზე პატარა, გამოხუნებული, ლილმორკერებული, მუყაოს საჩინიანი კეპი ეხურა, მზემოკიდებულ, ტრამალის ქარებისგან აბზინებულ ყვრიმალეებზე ნათურის შუქი დაჰფენოდა.

— ორნი ვართ, — თქვა და უბიდან შავი ლეკვი ამოათრია. — გზაზე ვიპოვე. ეტყობა. ვილაცამ გადააგდო. — ჭაბუკმა მკვრივი ბაგიდან წვიმის წვეთები წოიწმინდა, გაიღიმა და ქათქათა კბილები გამოაჩინა.

— მე, შვილო, შენი დასაწოლი ალაგიც კი არა მაქვს, — ჩაილაპარაკა ვასილისა მიხაილოვნამ, ახლა შიში აღარაფრისა ჰქონდა.

— ჩვენ აგე, აქ მოვთავსდებით, — თქვა ჭაბუკმა, ლაბადა ჭრატარუჭით გაიხადა, მაშინვე დასაკიდი ადგილიც უბოვა და ქვემოთ ვარცლი შეუდგა, რომ იქაურობა არ მოეწყუმბლა.

„გეგონება, მთელი წელიწადი ჩვენსა ეცხოვროს“. — გაიფიქრა ვასილისა მიხაილოვნამ.

— ბინა, დედილო, სოკოლოვკაში მაქვს დაქირავებული, — აუხსნა სტუმარმა და თან მარჯვედ გააგო კუთხეში თავისი სათბურა — ახლა კი იმ აღმართზე მანქანები ველარ ადიან, ტალახია, — მცირე დაფიქრების შემდეგ პიჯაკი გაიხადა, ბალიშივით დაკეცა და კედელს მიადო. — მე და ალექსანდრე ეგოროვიჩი ფეხით წავედით სოკოლოვკაში, მაგრამ ისე ცურავდა, ნაბიჯი ვერ ვავადგით, თან იმ სიბნელეში მიწასაც ვერ ვხედავდით. ის კი არადა, ალექსანდრე ეგოროვიჩიც დამეკარგა იმ წყვდიადში. ახლა ალბათ სადღაც ვილაცას კარზე აკაკუნებს...

— დაიცა, ჯერ არ დაწვე, ახლავე მოვალ, — უთხრა ვასილისა მიხაილოვნამ, ოთახში შევიდა და ლიუდა გააღვიდა.

— ვილაც მექანიზატორი მოვიდა... ყმაწვილია, — ჩურჩულით უთხრა მან. — აგერ გავუშლი ლოგინს, დივანზე, მე და შენ კი ერთად დავწვეთ. სულ ერთია, გათენებამდე ოთხიოდე საათილა დარჩა.

ძილზე გულდაწყვეტილმა ლიუდამ კაბა გადაიცვა და საწოლ ოთახში წავიდა სუფთა ლოგინის გამოსატანად, ხოლო ვასილისა მიხაილოვნამ ლამის სტუმარი მოიხმო, თან დაატანა, ჩექმები გაიხადე და წინკარში დააწყვეო. ჭაბუკი შემოვიდა, მიმოიხედა. როგორც ჩანდა, დაღლილი იყო, ხალათზე აქა-იქ სველი ლაქები აჩნდა, წყალს საწვიმარ ლაბადაშიც გაეფონა, სათბურშიც და პიჯაკშიაც.

— მთლად ამოლუმპულხარ, შვილო, — უთხრა ვასილისა მიხაილოვნამ.

— არაფერია. ყოველდღე წყალში ვდგავართ. ჯებირს ვაკეთებთ. დონზე ელექტროსადგურს ვაგებთ.

— დონზე კი არა, ნაპირზე დგამენ. აკი ვნახე.

— ჰოდა, მერე ავდგებით და მისკენ მივაჩოჩებთ.

— ვის მიაჩოჩებთ?

— აი, დონს... — თქვა ჭაბუკმა.

„გეგონება, მერხის გადადგმას აპირებდეს“. — გაიფიქრა ვასილისა მიხაილოვნამ, დიდრონ ხელებსა და კობტად დაქნილ ფრთხილებზე რომ დახედა.

— რა გქვია? — ჰკითხა ჭაბუკს.

— ვლადიმირი.

ლიუდა საწოლი ოთახიდან გამოვიდა და ლოგინის გაშლას შეუდგა. ჰოდა, ვასილისა მიხაილოვნას არ გამოპარვია, ვლადიმირი რომ ვითომ გულგრილად, ჩუმ-ჩუმად უჭკრეტდა მის შვილიშვილს.

— მასწავლებელი რომ გავხდები, ბურთებიან საწოლს შევიძენ, — თქვა ლიუდამ.

— ძალზე შორს იყურები.

— კარგია, რომ შორს იყურება, — ჩაილაპარაკა ვლადიმირმა, — აბა ისე, დღეების ჩანჩალს რომ მიჰყვე კაცი — ძალზე მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება.

— აი მე არ ვიყურები წინ, — ცოტა არ იყოს, გული ეტკინა ვასილისა მიხაილოვნას, — ვცხოვრობ ჩემთვის და ვმუშაობ ფერმაში. არც არავის ვაწყუხებ.

— იყურები თუ არ იყურები, — დაუმატა ლიუდამ დაცინვით, — სულ ერთია, აკი თქვა ნიკოდიმ პავლოვიჩმა, დედამიწა მზეს დაეცემაო.

— არაფერია, — თქვა ვლადიმირმა, — მოვა დრო და ამ საფრთხესაც დავალწევთ თავს.

„ერთი უყურე, იხტიბარს ვერ გაატეხინებ, — ვასილისა მიხაილოვნა გაბრაზდა კიდევ, — მიწასაც თავის ნებაზე შეუბრუნებს კებს“.

დასაძინებლად დაწვნენ. ვასილისა მიხაილოვნას ესმოდა, როგორ წრიალებდა სტუმარი შეუჩვეველ დივანზე და ფიქრობდა, ერთ დროს მეც ხომ შორს ვიყურებოდი, მაგრამ აბა რა გამოვიდა აქედანო. მათ ოჯახში ექვსი ბავშვი იყო — ექვსივე გოგო. მამა რომ ცუსიმასთან დაიღუპა, დედა ადგა და ქალიშვილები განურჩევლად დაათხოვა — ვინც შეირთო, იმას გაატანა. ვასილისა მიხაილოვნას ვიღაც გამვლელი მეტყვევ ხვდა წილად. გათხოვდა ვასილისა მიხაილოვნა და ოჯახის მოწყობა ჩაითქვა გულში, მაგრამ ერთ წელსაც არ გაუვლია, რომ მისი ქმარი გალიციის ომში წაიყვანეს; იგი თექვსმეტ წელში დაბრუნდა დაავადმყოფებული — ფილტვები მომწამვლელ გაზს დაეთუთქა. რაც გააჩნდათ, ყველაფერი წამლობას შეაღიეს, მაგრამ მაინც ვერ უშველეს — ახველა, ახველა და სულიც განუტევა. ჰოდა, დარჩა ვასილისა იმ შიმშილობასა და გაჭირვებაში მარტოდმარტო, ჩვილი ბალლით ხელში. მაშინაც ჩაითქვა გულში, — ვასწავლი შვილს და კაცს გამოვიყვანო. გაწამდა, რა არ აიტანა და რას არ გაუძლო, თავისი კი მაინც გაიტანა. ვაჟიშვილმა ისწავლა და ნასწავლი ქალიც შეირთო, ლენინგრადში სამსახურში მოეწყო, ფულსაც უგზავნიდა დედას, თვეში ოც მანეთს. თითქოს აეწყო ვასილისა მიხაილოვნას ცხოვრება, რომ ისევ ატყდა ომი, ლენინგრადი ფაშისტებმა ალყაში მოაქციეს. ორთავე დაელუბა იქ: შვილიც და რძალიც. რა უნდა ექნა ვასილისა მიხაილოვნას, ადგა და შვილიშვილი ლიუდა თავისთან წამოიყვანა. ომებს ვასილისა მიხაილოვნა წლებით კა არა, ახლობლებით იგონებდა: „იპონიის ომში მამა მოუკლეს, იმპერიალისტურში — ქმარი, სამამულოში — შვილი და რძალი დაელუბა. ჰოდა, საყვარელი ვაჟი რომ გამოეცალა, ვასილისა მიხაილოვნამ სწორედ მაშინ ჩაიქნია ხელი, მომავალზე ფიქრს თავი გაანება. ოჯახს გულაყრით უძღვებოდა, ღობე თუ გამოენგრეოდა, შეკეთება არ უნდოდა, იატაკსაც ძლივძლივობით აპრიალებდა. ლიუდაც ასე თუ ისე გამოზარდა, ჰოდა, გოგოც დამცინავი გამოვიდა... „დი-

ლითვე ყოველივეს ვუამბობ ამ ყმაწვილს, ერთს კარგად დავმოდებოდა, — ფიქრობდა ქალი დაძინებისას, — დაე გაიგოს, რომ ოცნება ახალგაზრდობაშია კარგი... ხოლო ცხოვრება რომ დაგაპროწიალებს, რა ფასი აქვს წინ გახედვას, მაშინ გაიგებ...“

ვასილისა მიხაილოვნას ადრე გაეღვიძა, მაგრამ ჭაბუკი უკვე წასულიყო. მისი სველი ლაბადა და ეკიდა წინკარში კვლავინდებურად. მძიმე ლაბადა იყო, სქელი ბრეზენტისაგან შეკერილი, ასეთი ბრეზენტიდან სათლებს აკეთებენ ცხენებისათვის წყლის საზიდად. ვასილისა მიხაილოვნამ თავი გაიქნია და ლაბადა ვასაშრობად ლობეზე გადააფინა. მზე ღრუბლებიდან იჭვრიტებოდა.

ორი დღის მერე ნიკოდიმ პავლოვიჩი მოვიდა. ვასილისა მიხაილოვნამ ზეპირად იცოდა მისი ხასიათი და რაკი სტუმარმა ძღვენი არ მოიტანა, მიხვდა, უგუნებოდ არისო. ახლა მიუჭდება ჩაის და ისეთ საშინელ ამბებს შეთხზავს, ქუჩაში გასვლისას თვითონაც შიშით უკან-უკან დაიწყებს ყურებას.

ნიკოდიმ პავლოვიჩმა ქუდი კუთხეში, სარკესთან დაჰკიდა, თმა გვერდზე გადაივარცხნა, რომ მელოტი დაემალა, მიმოიხედა და ლაბადას მოჰკრა თვალი. რა უნდა ექნა, ვასილისა მიხაილოვნაც მოუყვა ლამის სტუმრის ამბავს.

ნიკოდიმ პავლოვიჩმა თავი გაუგებრად გადააქნია, ცოტა იფიქრა. ადვა და ლაბადა გაისინჯა. ლიუდამ ჩაიფხუკუნა და სამზარეულოში გავარდა.

ჩაიზე ნიკოდიმ პავლოვიჩი უჩვეულოდ დუმდა, ზოგჯერ თუ ამოიბრებდა მხოლოდ და გაუგებრად გაიქნევდა თავს. ერთი ჭიქა რომ დალია, თითი მალე ასწია, თქვა: „აი, ლაბადა კი ტყუილად არ დაუტოვებია“, და ერთი ჭიქა ჩაი კიდევ ითხოვა. ვასილისა მიხაილოვნას გულმა ცუდი უგრძნო, მისჩერებოდა, როგორ ხვრებდა ჩაის ნიკოდიმ პავლოვიჩი და ყოველი ყლუბის შემდეგ ჭიქას ათვალთვრებდა, კიდევ რამდენი დარჩაო. ბოლოს მორჩა ჩაის სმას, ულვაშები შეიწმინდა და ჩაილაპარაკა:

— ვასილისა მიხაილოვნა, ხომ არ გაკითხავთ, ლაბადა რად დასტოვა?

— არა, — საჩქაროდ მიუგო ქალმა. — რად მეკითხებით?

მაგრამ ნიკოდიმ პავლოვიჩი მაშინვე როდი პასუხობდა, არა, ჯერ შორიდან მოუვლიდა, რათა მსმენელს დრო ჰქონოდა თავი ემტვრია და დარწმუნებულიყო, რომ ჭკუით ნიკოდიმ პავლოვიჩთან ვერასოდეს ვერ მოვიდოდა. ამიტომაც ცოტა იყუჩა და მერე იკითხა:

— სად გეწვინათ ეგ მელამურა?

— დივანზე.

— არ უნდა გაგეშალათ მისთვის ლოგინი დივანზე. პირი გაუცვდება... ზამბარები მოეშვება...

— ჩასუქებული ყმაწვილი როდია, — ჩაერია ლაპარაკში ლიუდა და თვალელები მოჰუტა. — აი, თქვენ რომ დაგვეწვინეთ დივანზე, მაშინ კი უიჭველად დაუწყებოდა ზამბარები...

— ლაბადა მაგას სულაც არ დავიწყნია, განგებ დატოვა, — განაგრძობდა ნიკოდიმ პავლოვიჩი, ჩვეულებისამებრ ყურად არ უღია გოგოს სიტყვები. — კარგად დაათვალიერა, სად რა გაქვთ და წავიდა. ახლა ადგება და შუალამისას შემოგიღებთ კარს, იტყვის, ლაბადა დამრჩა თქვენსაო, და რას იზამთ, იძულებული იქნებით გაულოთ. იქნებ ორი-სამი კაციც მოჰყვეს...

— აბა რას ამბობთ, — გაბურძვლა ვასილისა მიხაილოვნას.

— მიყრუებულ ადგილას ცხოვრობთ, რომ იყვიროთ, ვერავინ გაიგონებს.

ვასილისა მიხაილოვნამ თანჯარაში გაიხედა. ნათელი ღამე იყო, მთვარით შუქმოფენილ ზეცის ფონზე უძრავად, შავად მოჩანდნენ ეული ალვის ხეების ტოტები და მათი შავი ჩრდილებიც თითქოს ეხატა გზაზე. მთვარე ისე კაშკაშებდა, გეგონებოდა, ეზოში გაზეთის წაკითხვა არ გამიჭირდებოდა. მუწის ფენის ხმა მოისმა. კარზე დააკაკუნეს.

— ხომ ხედავთ, აკი გითხარით, — თქვა ნიკოდიმ პავლოვიჩმა, ადგა და რატომღაც ქუდი დაიხურა.

— მიდი ერთი, ლიუდა, — საჩქაროდ უთხრა ვასილისა მიხაილოვნამ, — უთხარი, დღისით მოვიდეს. ახლა უნდა დავიძინოთ-თქო...

— წავალ და დავაფრთხო, — ჩაიციხა ლიუდამ და წინკარში გავიდა მალე იქიდან ლაპარაკი და სიცილი მოისმა.

— ხედავთ, შინ შემოუშვა, — დაბნევით გაშალა ხელები ვასილისა მიხაილოვნამ. — რა ჯიუტი გოგოა...

შემოვიდა ვლადიმირი. უქულოდ იყო, პიჯაკის ამირა.

— ჩაის ხომ არ ინებებთ? — ჰკითხა ლიუდამ, სიცილს ძლივს იკავებდა, ხან ნიკოდიმ პავლოვიჩს შეხედავდა, ხან — ბებიას.

— არ ვიტყვოდი უარს, — ვლადიმირი წინ დაუჯდა ნიკოდიმ პავლოვიჩს და თქვა, ლაბადა იმიტომ არ წავილე, სველი იყო და მეზარებოდა მისი თრევაი.

— მშენებლობაზე მუშაობთ? — ჰკითხა ნიკოდიმ პავლოვიჩმა.

— მშენებლობაზე ერთ წელიწადში მოვრჩებით შენებას და სხვაგან წავალთ.

— აი რა სწრაფი ყოფილხართ, — მოწყალედ ჩაიციხა ნიკოდიმ პავლოვიჩმა. — ნოვოჩერკასკში ლოცვა-ლოცვით ააგეს ტაძარი და ისიც კი ორჯერ ჩამოინგრა. ას წელიწადს კი აგებდნენ...

— ჩვენი აგებული არ ჩამოინგრევა. — შეაწყვეტინა ვლადიმირმა. — საღვეცალია სალოლიაოდ. აქ რომ მოვრჩებით, ვოლგაზე წავალთ, მერე კი იქნებობზედაც გავსწიოთ ან ენისეიზე.

— შენ, შვილო, ყველაფერი წინდაწინ დაგიწყვია. — ვერ შეიკავა თავი ვასილისა მიხაილოვნამ. — როგორც ვხედავ, მართლა შორს იყურები.

— ძალიან შორს თუ დაიწყებ ცქერას, თვალები აგტკივდება, — შენიშნა ნიკოდიმ პავლოვიჩმა.

— თვალები რომ არ აგტკივდეს, თევზის ქონი უნდა სვა, — მიუგო ვლადიმირმა. — ჩვენ ნება არა გვაქვს, შორს არ ვიყუროთ. უფალი ღმერთი, ქვეყნიერებას რომ ქმნიდა, ჩქარობდა, იქ მთებს აღმართავდა, აქეთ — ტყეს გააშენებდა, ან კიდევ — უდაბნოს ქმნიდა. უწესრიგოდ მუშაობდა. ჩვენ კი ყველაფერს თავისი ადგილი უნდა მიეუჩინოთ ხელახლა: ზღვას — თავისი, მთებს — თავისი, ყველაფერი ისევე მყუდროდ უნდა მოვაწყოთ, როგორც ბინას ვაწყობთ ავეჯით.

ნიკოდიმ პავლოვიჩი ყურს უგდებდა, თევზებზე გადაქლეჩილ ყვავილებს დასჩერებოდა, აქაოდა, რაღა სალაპარაკოა, ეს ხომ კარგა ხანია ვიციო, და სახეზე ეწერა, რომ ჩირადაც არ აგდებდა ვლადიმირის ლაპარაკს.

— თქვენ ზღვების გადაადგილებას აპირებთ, — თქვა ოხვრით, — არადა, ზღვები კი შრება ამასობაში. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, კასპიის ზღვაც კი შეიძლება დაშრესო. ყველა ზღვა და მდინარე დაშრება, და ამით მორჩება ყველაფერი. ბუნება თავისას გაიტანს. მას ვერ აჯობებთ.

— თქვენ სხვა რამეს ამბობთ, — შეეპასუხა ვლადიმირი. — დედამიწაზე ტენის რაოდენობა არ კლებულობს. კასპიის ზღვის დონემ მართლაც დაიკლო, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს.

— რა მიზეზები? — ჰკითხა ნიკოდიმ პავლოვიჩმა.

— მიზეზი სხვადასხვაა. ის კი არადა, კასპიის ზღვა ტრაქტორების მატებასთან ერთად იკლებს.

— ნეტა ტრაქტორები რაღა შუაშია, იქნებ მითხრათ? — მოღლილად გაეღიმა ნიკოდიმ პავლოვიჩს.

— ისე, უბრალოდ. რაც მეტი გვაქვს ტრაქტორები, უფრო მეტსა ვხნავთ, ხოლო რაც მეტსა ვხნავთ, უფრო მეტი წყალი დგება ნიადაგში და უფრო ნაკლები ჩაედინება ვოლგაში. ვოლგა კი, როგორც ვიცით, კასპიის ზღვას უერთდება.

— საინტერესოა, — თქვა ლიუდამ.

— რა საინტერესოა ეგ არის. კარგა ხანია ცნობილი აქსიომაა, რომ კასპიის ზღვა კლებულობს, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ნიკოდიმ პავლოვიჩმა. — მეცნიერება იმიტომ არსებობს, რომ ყოველივე ეს შეისწავლოს. აი, თქვენ, ეტყობა, სწავლობთ სადმე, არა? ტექნიკუმში ალბათ? დაე ტექნიკუმი იყოს. მერე თქვენა გგონიათ, ყველა მეცნიერება ბოლომდე შეგასწავლეს თუ? ავიღოთ, მაგალითად, ნული. ალბათ გგონიათ, ნული ნულია და მეტი არაფერიო. მაგრამ აბა ერთი ანგარიშის დროს გამოტოვებთ ნული და ნახავთ, ყველაფერი როგორ თავდაყირა დადგება. ყოველ რიცხვს თავისი მნიშვნელობა აქვს. ტყუილად კი არა სწამს ხალხს, რომ ცამეტი — თარსი რიცხვია. ხოლო, ვთქვათ, ექვსას სამოცდა ექვსი — დიდებული რაღაცა.

„ისევე გაგვიტყდება ძილი ამაღამ“. — გაიფიქრა ვასილისა მიხაილოვნამ, მაგრამ ამ დროს მოულოდნელად ვლადიმირმა გააწყვეტინა სიტყვა ნიკოდიმ პავლოვიჩს:

— ერთი მითხარით, ცხრაზე გამრავლება თუ იცით? — ჰკითხა მან.

ნიკოდიმ პავლოვიჩმა შუბლი შექმუხნა, აქაოდა, არ მიყვარს, სიტყვას რომ მაწყვეტინებენო. მაგრამ ვლადიმირი არ ცხრებოდა:

— გატყობთ, დიდი სპეციალისტი ხართ ციფრებისა. მაგალითად, რამდენი იქნება ცხრაჯერ ორი?

— თვრამეტი, — მიუგო მოწყალედ ნიკოდომ პავლოვიჩმა.

— სწორია, თვრამეტია. ჯამი ორი ციფრისგან შესდგება. ერთიანისა და რვიანისაგან. ეს ციფრები რომ მივუმატოთ, რამდენი იქნება?

— ცხრა, — მიუგო ნიკოდიმ პავლოვიჩმა და ყურები ცქციტა.

— კეთილი, — ახლა ცხრაჯერ სამი ვთქვათ. ოცდაშვიდი იქნება, არა? აბა ერთმანეთს მიუმატებთ ორიანი და შვიდიანი.

— ესეც ცხრა გამოვა, — გაოცდა ნიკოდიმ პავლოვიჩი. მერე აბურტყუნდა: — ცხრაჯერ ოთხი — ოცდათექვსმეტი. სამს მივუმატოთ ექვსი ცხრა იქნება, ცხრაჯერ ხუთი — ორმოცდახუთი, ოთხს მივუმატოთ ხუთი — ცხრა... --- ამ ანგარიშმა გააოცა.

— საინტერესოა, — თქვა ლიუდამ.

ვასილისა მიხაილოვნამ გამრავლების ტაბულა არ იცოდა, მაგრამ ეამა, რომ საშინელი საუბარი შეწყდა, თავადაც გამოცოცხლდა და ვლადიმირი ჩაიზე მიიპატიჟა.

მაგრამ ჭაბუკმა საათს დახედა და წასასვლელად მოემზადა.

— ისევ სოკოლოვკაში მიდიხართ? — ჰკითხა ლიუდამ.

— სოკოლოვკაში, ახლა კარგი სავალია იქითკენ. ნათელი ღამეა, მიწაც მოშრა.

— თუ გინდათ, ჩვენსა გაითენეთ ღამე, — შესთავაზა ლიუდამ და ბებიას შეხედა. — იმ სიშორეს რა წაგიყვანთ.

ვასილისა მიხაილოვნამ თავი დააკანტურა და ვლადიმირიც დარჩა.

ერთი დღის შემდეგ კი ვასილისა მიხაილოვნას ქოხში გადმობარგდა. ორი საკეტებმოშლილი ჩემოდანი მოიტანა, ერთი ყურბალიში, „ბულგარული ჯვრით“, ნაქარგი, და ლეკვიც მოიყვანა. ჩემოდანი სავსე ჰქონდა წიგნებით. ვლადიმირმა მაშინვე ფანჯრის რაფებზე ყვავილებს შორის დაალაგა წიგნები.

— ვინ მოგიქარგათ ბალიში? — ჰკითხა ლიუდამ.

— დედაჩემმა, — გაიღიმა ვლადიმირმა.

ვლადიმირი და ვასილისა მიხაილოვნა მორიგდნენ, რომ ვლადიმირი აქ იცხოვრებდა და ჭამითაც აქ ჭამდა, ხოლო ფულს თვეში ორჯერ, ხელფასზე გადაიხდიდა. ჩინებულად მოეწყო საქმე, ვლადიმირს სამსახური ახლოს ექნებოდა, ვასილისა მიხაილოვნა შიშს გადარჩებოდა: რაც უნდა იყოს, მამაკაცი ეყოლებოდათ შინ. მალე შეეჩვირა კიდევ ჭაბუკს და ნავახშმევს ვალოდიას ეძახდა უკვე. ლიუდამ კი ლევს კისერზე ბაფთა მოაბა და სიაშოვნებით უცქერდა. სულწასულობით კანკალატანტლი ლეკვი, რომ რძეს სვლევდა. ვალოდიამ მონიტორი დაარქვა ლევს, ასე თქვა, მშენებლობაზე ერთი მანქანა გვაქვს, ჰადრომონიტორი ჰქვია, რომელიც წყლის ჭავლით თუნდაც მთას წალეკავსო. ეტყობოდა, საინტერესო სამუშაო ჰქონდა: დონის ირგვლივ მინდვრების სალექებზე, კუმშაკის სიახლოვეს აგებდა თითქმის ორმოცი მეტრის სიმაღლისა და თორმეტ კილომეტრზე მეტი სივანის კაშხალს. მიწას ამ ჯებირისათვის განა ურიკებით, ან საზიდრებით, ან თუნდაც სატვირთო მანქანებით ეზიდებოდნენ, არა, დონის ფსკერიდან მიღებით ამოჰქონდათ წყალნარევი მიწა. წყალს ორ, ზოგჯერ სამ კილომეტრზედაც მიღებით მიჰქონდა მიწა, სადაც საჭირო იყო იქ ჰყრიდა. საბეჭნელაზე უკეთ ტყეპნიდა და ის კი არაო, ამბობდა ვალოდია, წვრილ ქვიშას ცალკე ჰყრის და მსხვილს — ცალკეო. ჯებირი სიმაღლეში მატულობს და მიღებსაც სულ მაღლა და მაღლა ვდგამთო.

— ეტყობა თქვენთან წყალი მიღებსაც გადადგამ-გადმოდგამს ხოლმე? — ჰკითხა ლიუდამ.

— არა, ჯერ ეს არ გამოუგონიათ, — დინჯად მიუგო ვალოდიამ. — მაგრამ მალე ამასაც მოიგონებენ.

ასე გავიდა ოთხი დღე. ნიკოდიმ პავლოვიჩი ერთხელაც არ მოსულა, ალბათ გაბრაზებული თუ იყო. მაგრამ ვასილისა მიხაილოვნას ნიკოდიმ პავლოვიჩის დარდი როდი ჰქონდა, ის სწყინდა, რომ ვალოდია მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა მის შვილიშვილს. მთელ სოფელს ლიუდაზე რჩებოდა თვალი. ეს ტექნიკოსი კი თითქოს ვერც ამჩნევდა, არადა, თვალადი გოგო იყო. ტანმაღალი, თაფლისფერთვალება. კაზაკთა ჯიშისა. ისე კი ვალოდია ძალზე დაღლილი მოდიოდა, ამბობდა, ჯებირის მთავარ სამუშაოებს უსათუოდ ყინვების დადგომამდე უნდა მოვრჩეთ, მაგრამ, მგონი ვერ მოვასწრებთო. ვასილისა მიხაილოვნამ ერთხელ კუმშაკში შეიარა და ჯებირიც ნახა. მთასავით აღმარ-

თული ჯებირი თვალისწამში იზრდებოდა, ამაზე სწრაფად როგორღა იმუშავებდნენ... ვალოდია გვიან მოდიოდა შინ, გაიშლიდა წინ ქაღალდებსა და წიგნებს, ანგარიშობდა, წერდა რაღაცას, ან კიდევ ჩაფიქრებული კუთხიდან კუთხეში ზოლთასა სცემდა, თითქოს ფართო ნაბიჯებით ოთახს ზომავდნენ მონიტორი კი ერთთავად კუდში დასდევდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ვასილისა მიხაილოვნას რაღაც გამოეპარა. ერთ შაბათ დღეს, სანამ ვალოდია დაბრუნდებოდა, ლიუდამ ფერმიდან მოირბინა და მოკლესახელოიანი კაბის გაუთოებას შეუდგა. ამ ჭრელ აბრეშუმის კაბას გოგო ძალიან უფრთხილდებოდა, ორჯერ თუ ექნებოდა ჩაცმული. საჩქაროდ უნდა ესაუზმა და სასწავლებელში გაქცეულიყო — ლიუდა მომრწყავთა კურსებზე სწავლობდა, — მაგრამ წვნიანის გაცხელებაც აღარ გახსენებია და მეცადინეობაც გააცდინა.

— საით გაგიწევია? — მკაცრად ჰკითხა ვასილისა მიხაილოვნამ.

— დღეს სოსნოვკაში კინოს უჩვენებენ... ერთი ლამაზი ქერა ჭაბუკი მეპატიყება იქ, ბები.

— შეგცივდება მოკლესახელოიან კაბაში.

— არაფერია, ბები. ხომ გაგიგია, სიცვიეს კაცი არ მოუკლავსო.

ლიუდა გამოეწყო, ფანჯარას მიუჯდა და იქითკენ დაიწყო ყურება, საიდანაც ვალოდია მოდიოდა ხოლმე. იჯდა ლამაზი კაბით მორთული, ხან ფანჯარაში აპარებდა თვალს, ხან წიგნს ფურცლავდა, მისთვის გაუგებარა ნახაზებითა და ნიშნებით აჭრელებულს.

„ნეტა კი ნიკოდიმ პავლოვიჩს არ მოეპრიანებოდეს ახლა აქ მოსვლა, — ამოიოხრა ვასილისა მიხაილოვნამ, — უბედურებაა პირდაპირ“. ამის გაფიქრება ვერ მოასწრო, რომ ნიკოდიმ პავლოვიჩმა შემოაღო კარა, ძღვენით ხელდამშვენებულმა. მონიტორი მიეახლა კუდის ქიციანით. ნიკოდიმ პავლოვიჩმა ფეხი ჰკრა ძაღლს, მერე ჩემოდნებსა და წიგნებს შეავლო თვალი და ნაღვლიანად თქვა:

— ნახავთ, გაიზრდება ეს ძაღლი და ჩვრებსაც აღარ გაგიჩერებთ შინ.

— ეს კაცი დიდხანს არ იცხოვრებს ჩვენსა. — ჩაეცინა ლიუდას, — მშენებლობას მორჩებიან და წავა.

— თქვენ საით გაგიწევიათ?

— კინოში მივდივარ, სოსნოვკაში.

— არ არის სანდო კაცი, — უთხრა ფიქრიანად ნიკოდიმ პავლოვიჩმა ვასილისა მიხაილოვნას, — თავისი დღე და მოსწრება ასე ჩემოდნებით ირბენს იქეთ-იქით. ოჯახს ეგ ვერ მოაწყობს... დღეს რადიოთი გადმოსცეს, ამერიკის თვითმფრინავი შემოფრენილა ჩვენთან...

— ხოლო ცხრა რომ ოცდაექვსზე გავამრავლოთ, ორას ოცდაათოთხმეტს მივიღებთ, — შეაწყვეტინა ლიუდამ, — ორი, სამი და ოთხი — ისევ ცხრა გამოდის. რად არის ასე, ნიკოდიმ პავლოვიჩ?

ნიკოდიმ პავლოვიჩი ხმას არ იღებდა, თეთრ თითებს მაგიდას უკაკუნებდა, მერე უცებ წამოდგა, მშვიდობითო, თქვა და წინკარისაკენ გაეშურა. წუთის მერე დაბრუნდა, ძღვენი მაგიდიდან აიღო და ისევ კარისკენ გაემართა, მაგრამ ზღურბლთან რომ მივიდა, შედგა და თქვა:

— ხოლო ცხრა რომ თერთმეტზე გავამრავლოთ — ოთხმოცდაცხრამეტს მივიღებთ. მთლად ბრიყვი ვინმეა ეგ კაცი.

ნიკოდიმ პავლოვიჩის წასვლის შემდეგ ლიუდას მოაგონდა ლიუდას, რომ კარგა დრო გასულიყო და სოსნოვკაშიც ალბათ უკვე დაიწყო ფილმის ჩვენება. მაგრამ ქალიშვილი ისევ ფანჯარასთან იჯდა, გასცქეროდა და ისიც შევარდისფერებულ ბებერი დონის მიდამოებს და მონიტორს ეალერსებოდა. მის მუხლებზე მოკალათებული მონიტორი წკავწკავებდა, პატრონი მონიტორებოდა. ვასილისა მიხაილოვნას შვილიშვილიც ეცოდებოდა და ლეკვიც ბოლოს, მთლად რომ დაღამდა, ლიუდამ გაიხადა კაბა, საწოლის ზურგზე მიაგდო და დასაძინებლად დაწვა.

— ძალიან კარგია, რომ არ მოვიდა, — უთხრა ბებიას, — ცუდი ამინდია, სოსნოვკამდე კი ხუთი კილომეტრი გზაა. დაე მარტო იკინკილოს მაგ მოარულმა ექსკავატორმა.

მაგრამ ვასილისა მიხაილოვნამ ხმაზე შეატყო შვილიშვილს, რომ ძალზე გულნატკენი იყო.

ვალოდია ღამით მოვიდა შინ, რაღაც ქვა მოიტანა და მაგიდაზე დადო. ვასილისა მიხაილოვნას არაფერი უკითხავს არც ქვისა და არც იმისა, თუ რად დაიგვიანა; წყენის ნიშნად მხოლოდ პირი მოპრუწა და სამზარეულოში ბორშჩის გასაცხელებლად გავიდა. კარგა ხანს ტრიალებდა ღუმელთან და ფიქრობდა: „იჯდეს თავისთვის და ინანოს, რაც ჩაიდინა“. მაგრამ თათხში რომ შებრუნდა, ნახა, რომ ვალოდის თავი ხელებზე დაეყრდნო და ჩაეთვლიმა. მის გვერდით, მერხზე მონიტორს ეძინა. ფეხის ხმაზე ვალოდია გამოფხიზლდა.

— რა ქვაა ეს? — ჰკითხა ვასილისა მიხაილოვნამ.

— ეს მამონტის ეშვია. მიწას ამოჰყვა... ლიუდას მოვუტანე საჩუქრად. ალბათ ნაწყენია ჩემზე. ახლა ისე მოუცლელი ვარ, ვერაფრით ვერ მოვახერხებ დროზე მოსვლა. სამუშაოზე უსიამოვნება შეგვხვდა... შლამიანი მიწა შეიჭრა ჭებირში, გამოუსადეგარი... ღამით გამოეპარაო. ახლა ათას კუბამდეა გამოსაცვლელი.

— მერე, რა უნდა ქნათ?

— არაფერი. როგორმე გამოვასწორობთ საქმეს.

— ნიკოდიმ პავლოვიჩი იყო აქ, — გაუბედავად ჩაილაპარაკა ვასილისა მიხაილოვნამ. — ასე თქვა, საზღვარგარეთული თვითმფრინავი შემოიჭრა ჩვენთანო.

— რა მოხდა მერე? — ჰკითხა ვალოდია, თან თეფში მოასუფთავა.

— ნეტა ომი კი არ ატყდებოდეს და...

— შიში ნურაფრისა გაქვთ, ბებო.

ვალოდია ნელა წამოდგა, რომ მონიტორი არ გაეღვიძებინა, და სათბურა ჩაიცვა.

— გიყურებ და ვერ გამივია, რადა ხარ ასე მშვიდი. ალბათ მწუხარება არ გამოგიცდია, არა?

— მწუხარება ვის არ გამოუცდია. აი, ამ ხელებით დაგვიძლევია იგი, — უთხრა ვალოდია და თვალწინ დიდრონი, მძიმე ხელები აუქნია.

მერე წავიდა და თითქმის ორი დღელამე გაატარა მშენებლობაზე. ლიუდას არც უკითხავს მისი ამბავი, მამონტის ეშვიც ეზოში მოისროლა. მაგრამ ვასილისა მიხაილოვნა კარგად ხედავდა, როგორ უალერსებდა მონიტორს და ჩაფიქრებულიც იყო.

ვასილისა მიხაილოვნა ბევრჯერ შეეცადა შვილიშვილისთვის გაეგებინე-

ბანა, რომ მიწაყრილში უვარგისი მიწა შეიჭრა და მის უკან გადმოსაყრელად დროა საჭირო, მაგრამ ლიუდა ერთთავად ამას იმეორებდა: „მეტი გეყოფა, ბებნი“, და ყურს არ უგდებდა. ვასილისა მიხაილოვნა შალს მოიხამდა, ლობესთან დადგებოდა და ტირიფებს ვასცქეროდა, საიდანაც უნდას მხარენელიყო ვალოდია. ბოლოს მოვიდა, მთლად გაწუწული, მაგრამ ლიუდას სიტყვაც არ უთქვამს მისთვის, აიღო ბარი და ბოსტანში გაეშურა, თუმცა კვლების დაბარვას ხვალაც მოასწრებდა.

— ორი მილი დადგეს ორას ორმოცდაათი მილიმეტრის კვეთისა. — უყვებოდა ვალოდია ვასილისა მიხაილოვნას, — ღია ტორზი ზარბაზნებივით მიუშვირეს შლამიან გრუნტს. მერე პულბი მიუშვეს და შლამიანი მიწა შეცვალეს. ხომ გვიმარჯვნია, ბებნი?

ვასილისა მიხაილოვნა თავს უკანტურებდა და გულში უხაროდა, თუმცა, ამ საქმისა არ გაეგებოდა რა.

ვალოდიამ სამზარეულოში ისურვა ვახშმობა. სამზარეულოს ფანჯარა ბოსტანს გადასცქეროდა. მოჩანდა მზესუმზირას ჩამხმარ ღეროებსა და პალოებს შორის მოფუსფუსე ლიუდა, გამოხუნებული წითელი კაბა რომ ეცვა.

— ხომ არ დავუძახო? — გაუბედავად შესთავაზა ვასილისა მიხაილოვნამ.

— არა, მოეშვით, იმუშაოს. — აქვა ვალოდიამ — მიყვარს, მუშაობას რომ ვუცქერი. მომუშავე ადამიანი ყველაზე ლამაზია.

ქუჩაში ქარი დათარეშობდა და ვენახის ლერწებს საითაც მოეპრიანებოდა, იქითკენ ღუნავდა. ტანაშოლტილი ლიუდა ამაყად დააბიჯებდა ქარის პირისპირ და წითელი კაბა უფრიალებდა.

— დროშას ჰგავდით, — უთხრა ვალოდიამ ბოსტნიდან დაბრუნებულ ლიუდას.

— გარდამავალ დროშას? — დაცინვით მიახალა ლიუდამ.

ვალოდიამ დაუწყო ახსნა, თუ რატომ ვერ მოახერხა მოსვლა. ვასილისა მიხაილოვნამ კარგად გაიგონა, შუა ლაპარაკში რომ შესთავაზა მის შვილიშვილს, მომავალ შაბათს მუშათა დასახლებაში წამომყევი, მშენებელთა თვითმოქმედების საღამოზე, ზუსტად დანიშნულ დროს შემოგივლიო, ლიუდა უმტკიცებდა, სულაც არა ვარ შენზე ნაწყენიო, მაგრამ მუშათა დასახლებაში წაყოლაზე გადაჭრით უარი უთხრა: ყოველ შაბათს რაღაც თვითშემოქმედების საღამოსათვის მეცადინეობას ვერ გავაცდენო. ვალოდია დიდხანს არწმუნებდა, უნდა წამომყევიო და თან ბოლთასა სცემდა კუთხიდან კუთხეში, მონიტორიც თათების პაკაბუკით უკან დასდევდა.

— დაეხსენი, — უთხრა ვასილისა მიხაილოვნამ, ლიუდა რომ ძროხისა მოსაწველად წავიდა. — ვეღარ გადაარწმუნებ.

— გადავარწმუნებ, — მიუგო ვალოდიამ და გაიღიმა.

და მართლაც გადაარწმუნა: შაბათს ლიუდამ ისევ დაიუთოვა მოკლესახელოებიანი კაბა.

მზე ტირიფებს მოეფარა და ახლა სამზარეულოს მოადგა მისი შუქი. მალე ვალოდიაც დაბრუნდება. აქაოდა, თვალში ხომ არ შევეჩხირები ახალგაზრდებსო, ვასილისა მიხაილოვნა ეზოში გავიდა და ლობის შეკეთება დაიწყო. წნელებს რომ აწნავდა ლობეში, იგრძნო, მუშაობა რომ ეხალისებოდა. ოჯახის ნოწყობის სურვილი გაეღვიძა. მას მერე, რაც ვალოდია მათთან დგას, თითქოს გულს მოეშვა, თითქოს ათი წლით გაახალგაზრდავდა. ვასილისა მიხაილოვ-

ნა ისე გაერთო საქმეში, ვერც კი შენიშნა პატარა, გამხდარი ყმაწვილი რომ აეტუნა ცხვირწინ.

— ნახევარი საათი რომ დამგვიანებოდა, თქვენს ქოხს ვეღარც მოვავნებდი, — თქვა ყმაწვილმა. — ვალოდია ამ ასე მომასწავლა: მონჯორეულ ცობეს მიადგებიო.

ეროვნული

— თქვენ ვინა ხართ? — გაოცებით ჰკითხა ვასილისა მიხაილოვნამ.

— ალექსანდრ ეგოროვიჩი ვარ. ვალოდია ამ შემოთვალა, დამაგვიანდებო. მილი გაგვისკდა, მიწაყრილიდან წყლის ჩამოსაშვები მილი. მაღლა ტბა დადგა. წყალმა ლილვაკი რომ გაგლიჯოს, ავარია არ აგვცდება, მთელი ფერდობს წალეკავს.

— ახლა რა უნდა ქნათ?

— არაფერი. როგორმე გამოვასწორებთ საქმეს, — ვალოდიასეული კილოთი თქვა ალექსანდრ ეგოროვიჩმა.

ვასილისა მიხაილოვნა თავის იოლ საქმეს მორჩა და ოთახში შევიდა. ლიუდა ფანჯარასთან იჯდა და ვალოდიას წიგნს კითხულობდა. „აბა როგორ ვუთხრა, — გაიფიქრა ვასილისა მიხაილოვნამ, — ისევ მთელი კვირა ვეღარ მოინებებს წყენას“. მაგრამ მაინც გააგებინა მილისა და ლილვაკის ამბავი. ლიუდამ ყველაფერი ყურადღებით მოისმინა, არც წყენია და არც გაბრაზებულა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ისევ წიგნს ჩაუჯდა. იქნებ ყველაფერი კარგადაც დამთავრებულიყო, რომ ნიკოდიმ პავლოვიჩს სწორედ ამ დროს არ მოპრიანებოდა მათან მოსვლა.

— სად აპირებს წასვლას? — ჰკითხა მან ვასილისა მიხაილოვნას და ლიუდაზე თავით ანიშნა.

— სოსნოვკაში მივდივარ, კინოში, — მხიარულად მიუგო ლიუდამ

— ისევ იმას მიჰყვები?

— არა, თქვენ მოგყვებით. წამოხვალთ, ხომ?

ჰოდა, ადგნენ და წავიდნენ. გაოცებული ვასილისა მიხაილოვნა კი კარვა ხანს იდგა შუა ოთახში და ღრიჭოდ დარჩენილ კარს ისე მიჩერებოდა, თითქოს კარი აუხსნიდა მომხდარ ამბავს.

მათი წასვლის შემდეგ თხუთმეტ წუთზე მეტიც არ გასულა, რომ ვალოდიაც დაბრუნდა სამუშაოდან, გალუმპული და კმაყოფილი. შემოვიდა თუ არა, ირგვლივ მოავლო თვალი, მერე სამზარეულოშიც შეიხედა.

ვასილისა მიხაილოვნას ისე აემღვრა ვუნება, სიტყვაც ვერ უთხრა ჰაბუკს, კიბეზე გავიდა და კატას ვაძახა. მზე ჩასულიყო უკვე. შორს, პროხების წინანდელ საძოვართან, რელსებზე ჰახაჭუჩი გაჰქონდა ვავონების ბორბლებს. მეორე მხარეს კი სიჩუმე გამეფებულიყო, ამ სიჩუმესა და სიბნელეში იგრძნობოდა, როგორ მილივლივებდა დონი.

— ფის-ფის-ფის, — ექახდა კატას ვასილისა მიხაილოვნა, თავშალს იფუთნავდა და აყურადებდა, თანდათან როგორ შორსა და შორს ისმოდა მატარებლის რახრახი. — ფის-ფის-ფის.

კატამ წელა გაიარა წინკარი. ვასილისა მიხაილოვნამ კარი ჩაკეტა და ჩაის დასადგმელად გაეშურა. ვალოდიამ, მონიტორს რომ მბზინავ ბეწვზე ხელს უსვამდა, ვასილისა მიხაილოვნას შეხედა. რას იტყვისო. ჰოდა, ვასილისა მიხაილოვნაც მოუყვა ლიუდას თავგადასავალს, ნიკოდიმ პავლოვიჩის ამბავს. მოყოლას რომ მორჩა, უფრო მეტად აეშალა გუნება.

— ნუ სწუხართ, ბები — უთხრა ვალოდიამ, რომელიც ჩუქრადღებით ისმენდა ნაამბობს. — ახლავე დაბრუნდება. დაველოდოთ. თქვა და ღონიერი ხელები მაგიდაზე დააწყო.



პაპა

ერთ დღეს პროკოფი ნიკიტინის ქოხში კომისია მოვიდა. რახანია კოლმეურნეები ამბობდნენ, სოფელი დატბორვის ზონაშია და გორაზე გადასახლება მოგვიწევსო, პროკოფი ნიკიტინს კი სულ ასე ეგონა, მანამდე ბევრი წყალი ჩაივლის და მეც მოვასწრებ სული იქ დავლიო, სადაც ვშობილვარო. მაგრამ აი, მის ეზოში უკვე მიდი-მოდის რამდენიმე კაცი, მათ სოფლსაბჭოს თავმჯდომარე და ტექნიკოსი მიუძღვით. დაიარეს ბაღი, დაითვალეს ვაშლის ხეები, ვაზის ბუჩქები, შარშანდელი დარგული ლერწებიც მიათვალეს, ჭაშიც ჩაიხედეს, ოთახის იატაკიც შეამოწმეს, ორმაგი ხომ არ არისო, ბელლის ძელებიც ნაჯახით დასერეს, აქაოდა, დამპალი არ იყოსო. ტექნიკოსს მწყემსი ეგორიც დასდევდა, სქელტუჩა ჭაბუკი, ორი წელიწადია, საცოლედ რომ იყო შეღერებული. გუშინ მისი სახლ-კარი შეეფასებინათ და დღეს დილიდანვე ადევნებოდა კომისიას, რათა თავისი თვალთ ენახა, სხვებისა როგორ შეაფასეს, აქაოდა, მე ხომ არ დამჩაგრესო.

— ნეტა წასულიყავი და ვენახი მაინც აგეხვია. — ბრაზობდა პროკოფი ნიკიტინი. — დაბოდიშალობს აქ...

— დასაჯდომი არსადა გაქვს და იმიტომაც დავბოდიშალობ, — უპასუხა ეგორმა. — დაბერებულხარ კაცი და სკამი არ გაგაჩნია.

— რაო, თეატრი მაქვს სახლში თუ რა? რად უნდა გამოვქედო ოთახები სკამებით. მოუსვი აქედან!

პროკოფი ნიკიტინი მარტო ცხოვრობდა. ბინა გამოცარიელებული ჰქონდა. ერთ კუთხეში უშუშო ბუფეტი იდგა, სახელურის ნაცვლად თეთრი იზოლატორი ეკეთა, მეორე კუთხეში მაგიდა, რაზედაც კოჭობები და გაურეცხავი თეფშები ელაგა, იქითა კუთხეში — ზანდუკი, აქეთ — საწოლი. მხოლოდ კედლებზე დაკიდებული ჩაშავებული ფოტოსურათები. საიდანაც ვიდაც კაზიკები, დედაბრები და წვეროსანი ბერიკაცები იცქირებოდნენ — ამშვენებდა და საცხოვრებელი ბინის მყუდრო იერს აძლევდა ოთახს.

სალამომდე კომისიამ უველაფერი გაზომა და დათვალა. პროკოფი ნიკიტინს თურმე გადასახლების დროს ფიცრებს გარდა შუშებს, აგურებსა და რკინებსაც მისცემდნენ და ფულსაც — ოცი ათასამდე მანეთს.

— კეთილი. ოცს მომცემენ და მომცენ; როგორც ენებოთ, — ეთანხმებოდა პროკოფი ნიკიტინი და თან ცდილობდა არ შეემჩნია თავისი ეჭვი, ტექნიკოსებს ალბათ შეეშალათ და თითქმის ორმაგ ფასს იმიტომ მაძლევდნო.

სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, ქალაღდებს რომ ხელი მოაწერა, ზრდილობის გულისთვის სურათების თვალყურებას შეუდგა, ხოლო მასპინძელმა, ასევე ზრდილობის გულისთვის, აუხსნა, ეს დედაბრები და ბერიკაცები საიდან ენათესავებოდნენ და მათი სახელები და გვარებიც ჩამოუთვალა. თურმე ისეთი შორეული ნათესავები ყოფილან პროკოფი ნიკიტინისა, ვერც კი გაეხსენებინა, ვინ რად ერგებოდა.

მერე კომისია მეზობლად მდგარ ნატალია იგნატოვნას ქობისკენ ვაეშურა. ქუჩაში დიდხანს ისმოდა, ეგორი რომ ტექნიკოსს უყვიროდა: „რა მოსაზრებით აძლევედით მაგას ოცი ათასს, მე კი — თექვსმეტს? მითხარით, რა მოსაზრებით?“

მთლად რომ დაღამდა, პროკოფი ნიკიტჩთან დაბნეულმა ნატალია იგნატოვნამ მოიბრინა. ამ ქალს ქმარი ფრონტზე დაედუბა და ორი ბავშვი დარჩა. მასა და პროკოფი ნიკიტჩის კარგა ხანია ტკბილი, საქმიანი მეზობლობა აკავშირებდათ. ქალი პაპას ოთახს ულაგებდა, პაპა კი, ვისაც ეგორმა „ვენახის კუდიანი“ შეარქვა, ნატალია იგნატოვნას ბაღს უვლიდა.

— აბა უყურე, როგორ აუტალახებიათ აქაურობა! — ამოიოხრა ნატალია იგნატოვნამ. — იატაკი ხომ არ მოგირეცხო?

— უნდა ავყაროთ, მოვრეცხოთ კი არა.

— პაპა, იქნებ ახალ ადგილასაც გვერდიგვერდ დაგვედგა სახლები?

— ეგ მერე ვნახოთ, — მკაცრად მიუგო პროკოფი ნიკიტჩმა, თუმცა გულში კმაყოფილი დარჩა, ნატალია იგნატოვნამ რომ პირველმა გამოთქვა ეს აზრი, — მერბი ხომ არაა, კუთხიდან კუთხეში გადადგა. სერიოზული საქმეა რამდენს გაძლევენ?

თურმე ნატალია იგნატოვნას ოცდაექვსი ათასად შეუფასეს სახლკარი.

— მე კი მარტო ჭაზე ცხრაასი მანეთი ჩამიწერეს, — დაიტრაბაბა პაპამ, —

— ხედავ, ჭაც კი არ გამოტოვეს. როგორ გგონია, ხომ არ შეცდნენ, პა?

ნატალია იგნატოვნამ უთხრა, არაფერიც არ შემცდარან, ნახევარ ფულს ახლავე მოგვცემენ, ხოლო დანარჩენ ნახევარს — გადასახლების შემდეგო.

ცოტა კიდევ იმასლაათეს. პაპამ ზანდუკიდან რუხი კაზაკური მუნდირი ამოიღო და ნატალია იგნატოვნას სთხოვა, დამიკერე და დამიუთოვეო. მერე ქალი ქუჩაში გავარდა, რათა ბავშვები დასაძინებლად შინ შემოეყარა.

მეორე დღეს კი, უთენია, პროკოფი ნიკიტჩი ბაღჩაში მიმოდოდა. თავისა ყოველდღიურად სახმარი პერანგი და ჩექმებში კაზაკურად ჩატანებული. გადმოშვებული შარვალი ეცვა.

შესცქეროდა პაპა ამ ოქროსფერ განთიადს, საკვამურებიდან მშვიდად ამოსულ კვამლს და ვერ დაეჭვებინა, რომ ეს სოფელი, თავისი ბაღჩებითა და ქობებით, ჭებითა და ჭიშკრებით, გადათოვლილი ბილიკებითა და თეთრი წინარებით, ერთი სიტყვით, მთელი ეს დიდი, დონის ნაპირას ლაღად გაშლილი სოფელი მოსწყდება ამ შეჩვეულ მიწას. ფეხს აიდგამს და სადღაც გადაიკარგება.

ზაფხულში საერთო კრებაზე გადაწვეიტეს ყველა წვრილმანი საკითხი, ოც კი გადაბარგებასთან იყო დაკავშირებული, და მანქანებით შეუდგნენ გორაზე სამშენებლო მასალის აზიდვას. როგორც ჩანდა, დიდხანს ლოდინი აღარ მოუხდებოდათ. გავიდა რამდენიმე დღე კრების შემდეგ და ტექნიკოსებიც შეუდგნენ მიწების გამოყოფას. სოფლელები, ცოლებიან-ბალებიანად დღეში რამდენჯერმე აირბენ-ჩაირბენდნენ ხოლმე გორაზე ადგილის ასარჩევად. არავის სურდა წაგებული დარჩენილიყო, მაგრამ რომელი ნაკვეთები სჯობდა რომელს, არავინ იცოდა და იყო ერთი ყაყანი და შეხლა-შემოხლა.

მხოლოდ პაპა, პროკოფი ნიკიტჩი არ ერეოდა ამ აურზაურში, თითქოს არც ეხებოდა ეს ამბავი. წინანდებურად ბაღჩაში დაბოდიხლობდა, ბუჩქებს ფოთლებს უთვალთვლებდა და ერთხელაც არ აუდგამს ფეხი ცოცხალზე.

ნატალია იგნატოვნამ რამდენჯერმე მოიბრინა მასთან, ეუბნებოდა, რაღას უცდი, იჩქარეო, მაგრამ პაპა დღითიდღე უფრო და უფრო იღუშებოდა და ბოლოს უთხრა:

— თავად წადი. მე ნუ მიყურებ, ცოტას კიდევ დავიწყებ!

ნატალია იგნატოვნამ წუწუნით გააბა, აქაოდა, შენეწილად უკვლავად, ყველა კარგი ნაკვეთი განაწილდაო უკვე, შენ რომ არა, რა ხანია ახალ ადგილას ვიქნებოდი დაბინავებულო, მაგრამ პაპამ ერთი ისეთი დაუტატანა, ქალმა თავი ანება და ბარგის შეკვრას შეუდგა.

მათი მეგობრობა ნელ-ნელა ირღვეოდა. ერთმანეთთან მისვლა-მოსვლაც მოიშალეს, ის კი არადა, ერთხელ სოფლელებმა ისიც დაინახეს, პაპამ რომ ეზოში თავად გაფინა სარეცხი. პაპას არც მაშინ მიუკითხავს ნატალია იგნატოვნასათვის, როცა თავისი ძელ-ძელად დაშლილი სახლი ქალმა მანქანას დაუდო და ერთი მოთქმა-გოდებით გამოეთხოვა მშობლიურ მიდამოს. მხოლოდ შემოდგომაზე, როცა ნატალია იგნატოვნა თავისი ვაჟებიანად ვაზის ბუჩქებს თხრიდა, პაპა ღობეს მიადგა, კარგა ხანს უყურა მათ საქმიანობას, მერე ველარ მოითმინა და გულმოსულმა უთხრა:

— განა შამპანურის ვაზი მიწიან-ფესვიანად გადააქვთ! ცარიელი თავი გაბიათ და მეტი არაფერი!

ნატალია იგნატოვნას ხმა არ გაუღია.

— მანქანა დაანჯღრევს მაგ ნარგავებს, მიწა ჩამოსცივია და ფესვებიც დაეჩეჩქება.

ქალს არც ახლა გაუღია ხმა.

— აიღე და ფრთხილად ჩამოფერთხე მიწა, ისე რომ ფესვების ფუნჯს არ შეეხო, მაშინ დაუზიანებლად გადაიტან.

— აბა როგორ გადავზიდო უმიწოდ? — როგორც იქნა, გასცა ხმა ნატალია იგნატოვნამ. — ხომ დახმა ფესვები.

— შენც ადექი და ნოტიო ჩალაში გაახვიე! — კიდევ უფრო გაბრაზდა პაპა. — რა დოვლათს ღუბავენ! — ხელი ჩაიქნია და ქობში შევიდა.

გადიოდა დრო, მაგრამ პროკოფი ნიკიტჩი არათუ გადასასვლელად ემზადებოდა, კიბე შეაკეთა და ჭიშკართან ძელსკამიც ჩაარჭო.

— არ ვიცი, რა მოეუხერხო ამ კაცს. — მხრებს იჩეჩდა სოფლსაბჭოს თავმჯდომარე.

სოფლელები იხსენებდნენ, რომ კრებაზე პაპა გადაბარგების მომხრე იყო, ეკეთებოდა იმათ, ვინც ეჭვობდა, ვაითუ საშამპანურო ვაზმა იმ თიხნარში ვერ იხაროსო, და ახლა გაოცებულები იყვნენ.

პაპას ახალი ჩვევა გამოაჩნდა. საღამოობით, როცა სოფელში მანქანები შემოდისო, თავის ძველ ხიფთანსა და ვარდისფერ ლამპასებიან შარვალს ჩაიცვამდა და ჭიშკრის წინ მერხზე დაჯდებოდა, თითქოს ელოდა ვისმე.

ცოტა ხომ არ შექანდაო, ეჭვობდა ხალხი. ეგორი კი გაჰყვიროდა, საქმე აქ უფრო სერიოზულადააო, კარგად ვიცი, რადაც აჭიანურებს გადასვლასო: სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს რომ მოუზომივენ ნაკვეთს, პაპაც ადგება და მის მეზობლად დასახლდება. რადგან კარგად იცის. თავმჯდომარეს ყველაზე კარ ადგილს არგუნებენო.

მაგრამ თავმჯდომარეც გადასახლდა, პროკოფი ნიკიტჩი კი ისევ ისე იჯდა

სადამოობით მერხზე, თუთუნს აბოლებდა ფიქრებში გართული და შორით თუ მანქანის ხმას ყურს მოჰკრავდა, ქალაჩა თავს ასწევდა ხოლმე.

— რაო, პაპავ, წყლის კაცად ჩაგწეროთ აქ, თუ რა? — ეკითხებოდა თავმჯდომარე.

პროკოფი ნიკიტინი გაურკვეველად უხსნიდა, ვადა არ გასწავლია და დაზიდვას რა უნდაო, და ცდილობდა საუბარი სხვა რამეზე გადაეტანა. მაგალითად, კითხულობდა, ახლა წერალების საქმე როგორღა იქნება, მისამართებს ხომ არ აურევ-დაურევენო, ნეტა კურსკიდან რამდენ დღეში მოდის წერილები და ლენინგრადიდან რამდენ დღეშიო?

თავმჯდომარეს ეცოდებოდა პაპა და მოთმინებით პასუხობდა უველა კოხვაზე, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძროდა.

მალე ძველ სამოსახლოზე მხოლოდ პროკოფი ნიკიტინი დარჩა.

ლამლამობით გორიდან კარგად მოჩანდა პორიზონტს ძალა აზიდული მშენებლობის სინათლეები და უძრავი დონის თართო ზოლი. მდინარეს თითქოს გაშკაშა ვარსკვლავების შუქზე ჩაეთვლიმა. ნაპირთან ახლოს კი ჩიუტი პაპის ქობიდან გამომკრთალი თბოლი შუქი ციმციმებდა.

ზოგჯერ პროკოფი ნიკიტინი ცოტა ხნით გამოჩნდებოდა ხოლმე სოფელში. მორევად შეჩვეულ ადგილებში მოხეტიალე ძროხებს, გათათხავდა კოლმეურნეებს, აქაოდა, ნარგავები არ გივარგათო, და მერე ისევ უკან გაბრუნდებოდა.

ზოლოს სოფლსაბჭოში გადაწყვიტეს ნატალია იგნატოვნასათვის დაევილებინათ საბოლოოდ მოლაპარაკებოდა ბერიკაცს.

ქალი დღისით ეწვია პაპას. უთხრა. ყველა ვადა ვადაბარგებისა უკვე მიიწურაო, და გადასვლაში ხელის შეშველებასაც დაჰპირდა.

— მთავარი ხელის შეშველება როდია, — გოროზად მიუგო პაპამ, — მთავარია, ყველაფერი ავწონ-დავწონოთ, კარგი ადგილი შევარჩიოთ. აბა ერთი თავად ნახე: აქ ჩემს შამპანურის ვაზებს ნაპირი ჩრდილავს. აქ, თავადაც იცი, ერთი ორჯერ დაჰკრავ ბარს და — წყალი ამოსჩქეტს. იქ კი რა გაქვთ? თიხნარი და გამომხმარი მიწა. თქვენი ჭებიც ვნახე. განა ჭა ეთქმია? წყალიც არ არის შიგ: მალლიდანვე ჩანს, ფსკერში როგორ წაიფერდება ხოლმე სათლო. შენა გგონია კარმიდამოს ჩემი თავისთვის ვუფრთხილდები? მე რა დამჭირდება — ორი პარასკევიდა დამრჩენია. სამაგიეროდ ორი ვაყი მყავს, იმათი იქნება ყველაფერი. ერთი მითხარი: რა უფლება მაქვს უიშათოდ გადავდგა სახლკარი? აი, ჩამოვლენ ჩემი ბიჭები, კარგად მოვიფიქრებთ, განვსჯით, როგორ რა ვქნათ, და მაშინ ავყრი ჩემს ქობს. ასე გადაეცი თავმჯდომარეს.

— დაცოლშვილებული თუ არიან შენი ვაყები? — ჰკითხა ნატალია იგნატოვნამ.

— ღმერთმა უწყის, — ქუშად მიუგო პაპამ, განზე გადგა და ფანჯარაში დაიწყო ცქერა.

ახლა, როცა მთელი სოფელი აიბარგა, ქობის ირგვლივ მეტი ხალვათი სივრცე გაჩნდა. დამსხვრეულ ღუმელებს, დანგრეულ ღობეებს ახლადდათხრილ, უკვე თათაბომოდებულ ორმოებს იქით ფანჯრიდან, როგორც ვაგონიდან, შორეულ, უკაცრიელ გარეყანებსა თუ დონის მბრწყინავ ზოლს დაინახავდი. გაღმა ნაპირას ტრაქტორებით თხრიდნენ ტელეფონების ბოძების ჩასადგმელ ორმოებს და გარეული ტრამალის შუქიც ოთახში გამთენიიდან დაღამებამდე აღვრებოდა.

— მე რომ შენ ვიყო, წერილს მივწერდი, — ურჩია ნატალია იგნატოვნამ, — ვაცნობებდი, ასე და ასე-თქო საქმე...

— მივწერე უკვე, — თქვა პაპამ ისე, რომ არ მოტრიალებულა. ნატალია იგნატოვნამ ხმაზე შეატყო, რარიგ შეწუხებული და დატყვევებული ყყო პაპა, — ორჯერ გავგზავნე წერილი.

— მერე რა გიპასუხეს?

— არაფერი... ჯერ არ მომსვლია პასუხი.

— დამიხედეთ ვაჟებს!

— შენ რა იცი, რა ბიჭები მყავს! — დაუყვირა უცებ პროკოფი ნიკიტინა. — მეტი საქმე არა აქვთ, წერილები მწერონ. ნასწავლ ხალხს, სხვა დარდა არა აქვს, იმაზე იმტვიროს თავი, ქოხს ფანჯრები რომელ მხარეს დაატანოს.

თუ გინდა ჭაობში დასახლდი — რა ენადვლებათ!

— წამოდით, პაპა, — მაინც ურჩია უკვე იმედგადაწყვეტილმა ნატალია იგნატოვნამ, — წყალი საცაა დაფარავს აქაურობას.

— დაფაროს მერე! ისემც უჭნია, გადაულეკია აქაურობა! მაინც არ უნდათ ბიჭებს სახლ-კარი და წაილეკოს რა!.. შენც წადი, წადი-მეთქი!

— აბა რას ამბობთ, პაპა!..

— წადი-მეთქი, გეუბნები!

ნატალია იგნატოვნა რომ წავიდა, პაპამ ზანდუკიდან ჭუჭყიანბაფთაშებმული ბალალაიკა ამოაძვრინა; ერთ დროს იგი უმცროს ვაჟს, კოლიას აჩუქა, ათი წლისა რომ გახდა. პაპამ ფრთხილად შეახო მოშლილ სიმებს თითები. მერე თავი აუქანქარდა და ატირდა, გაუკვირდა კიდევ, ცრემლი რომ არ გამრობოდა ჯერაც.

მეორე დღეს ეგორი ესტუმრა.

— თუ ჩემს დასაყოლიებლად გამოგზავნეს, — გააფრთხილა პროკოფი ნიკიტინა, — ტყუილად მოსულხარ.

— რაში მჭირდება შენი დაყოლიება, — ჩაეცინა ეგორს. — უნდა ავიყარო სოფლიდან. აქ აღარა ვარ სჯირო; გარეყანებს საცაა დატბორავს და სადღა ვაძოვო საქონელი? დაე, უჩემოდ იმტვირონ თავი. რკინიგზაზე წავალ სამუშაოდ, მეგობარი მყავს იქ. თუ გინდა, პაპა გამოართვი კარმიდამოს საფასური და წამომყევი. მეისრედ მოგაწყობ, ან კიდევ...

— მაგას რას ამბობ! — შეშინდა პაპა.

— აბა იფიქრე, სადღა უნდა გადასახლდე? კარგი მიწები უკვე დაინაწილეს, შენ კი სოფლსაბჭოს გადაღმა ვიპირებენ დასახლებას.

— იფ, რა ადგილი მოუნახიათ! — დაფიქრებით გასჭიმა სიტყვა პაპამ. — წინათ ასეთ ადგილებს სასაფლაოებისათვის გამოყოფდნენ ხოლმე.

— ჰოდა, ხვალამდე კარგად იფიქრე და გადაწყვიტე. ხალხი აქ ბლომადა პყავთ. წავიდეთ. დონ ივანიჩი უჩვენოდაც გაძლებს. აბა რა გესაქმება აქ? ხომ ხედავ, დაგცინის ხალხი.

— რაზე დამცინიან?

— ისე ამბობენ „შამპანურის ვაზები გამოზარდა და თავისი ბიჭებ კი ვერაო“.

— ვინ ამბობს მაგას?

— მთელი სოფელი.

— ნატალიამ მოსდო ალბათ სოფელს, — თქვა პროკოფი ნიკიტინმა და ქოხში შევიდა.

მთელი ღამე არ უძინია, გათენებისთანავე ბაღს მიაშურა. ჯერ მხურს არ ამოწვერილიყო. ირგვლივ სიცარიელე და სიმარტოვე სუფევდა. ვაზის ბუჩქებს გაცრეცილი, ცვრით დაძძიმებული ფოთლები ეკიდა; ფარდულში ნაშაღმა იყივლა, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. პროკოფი ნიკიტინს ტანში გაბურძღლა და თავს უბრძანა:

— უნდა წავიდე.

ორი დღის შემდეგ მოსავლის აღებას მორჩნენ. კოლმეურნეები შეეცადნენ დაეთანხმებინათ პაპა დარჩენაზე — ენანებოდათ ასეთი მევენახის დაკარგვა, მაგრამ მან ყური არავის ათხოვა, გაყიდა თხა და კვირას ეგორს სადგურში გაჰყვა.

რკინიგზაზე პროკოფი ნიკიტინს იოლი სამუშაო გამოუძებნეს: მატარებლებს აღმით უნდა შეგებებოდა და გადასასვლელზე ჭრელ-ჭრელი შლაგბაუმები ჩამოეშვა. პროკოფი ნიკიტინმა თავისი ჯიხურის კედლებზე ფოტოსურათები ჩამოჰკიდა, მემანქანეები სწრაფად დაიხსომა და, თუ მატარებელი დაიგვიანებდა, ბრაზობდა. მარტში პრემიაც მისცეს. თუ მორიგე არ იყო, პაპა თავის შემცვლელს, მასავით მარტოხელა მოხუცს უყვებოდა, რად სჭირდება ვაზს გასხვლა, ან უხსნიდა, კაზაკთა ჯარებში იასაული რას წარმოადგენდა და მედროშე — რას. ზოგჯერ შვილებზე ჩამოაგდებდა სიტყვას. შვილებსო, ამბობდა პაპა, ახლა მშობლები აღარ სჭირდებათო. ყველას თავისი ცხოვრება აქვსო. ახლა ჭაბუკი, თექვსმეტისა გახდება თუ არა, უკვე თავად პატრონობს თავსაო. წავა, სახელოსნოში იმუშავებს, ჩააცმევენ, დაახურავენ და აღარც დედა სჭირდება და აღარც მამაო.

— დედა-მამა მუდამ სჭირდება შვილებს, პროკოფი ნიკიტინ, — შეეპასუხებოდა ხოლმე შემცვლელი — მშობლის ფასი რა არის. განა ტყუილად ეძახიან მიწას — დედამიწას! ხომ ხედავ, პლაკატებზედაც ასე წერია — დედა-სამშობლო?

— ვხედავ.

— მაშ, მაშ, ყველა ადამიანს გულში უყვარს თავისი მშობელი, თუ გულგამოცლილი არ არის. აი, მე სამი ქალიშვილი მყავს, კოლმეურნეობაში მუშაობენ, ყველა ქმარშვილიანია, მაგრამ არც ერთი არ მივიწყებს, წერილებსაც მწერენ და ზოგჯერ მოსაკითხსაც მიგზავნიან.

— კოლმეურნეობაში კი ასეა, მაგრამ ქალაქში თუ მოეწყო შენი ვაჟი — მშობლებსაც დაივიწყებს და მშობლიურ ადგილებსაც.

— მაშ უსინდისო ყოფილა, — თავისას არ იშლიდა შემცვლელი. — მაშ აღარ ხსოვებია თავისი გამზრდელი.

გაზაფხულზე ნატალია იგნატოვნამ წერილები მოიწერა. იტყობინებოდა, ტაში წყალი ამოვიდაო, ეგორი ისევ კოლმეურნეობაში დაბრუნდაო, და პროკოფი ნიკიტინსაც უხმობდა, ჩამოდითო. ბოლო ფურცელზე კი ნატალია იგნატოვნას ათი წლის ვაჟს, ვასილტკას, ფერადი ფანქრით დაეჩატა, როგორც ყოველთვის, ზღვა, სქელსხივებიანი მზე და ზღვის მთლად კიდეში მდგარი ხობაღლი.

წერილს რომ მიიღებდა, პაპა ჯერ შემცვლელს წაუკითხავდა. მერე კოხტად გაახვევდა სხვა წერილებთან ერთად, რაც კი თავის სიკოცხლეში მიეღო, და

სადაც ღია ბარათები, საბუთები, სესხის ობლიგაციები თუ სხვა გაცვეთილი ცნობები ედო, იქ ჩადებდა.

პროკოფი ნიკიტჩის გული გაუქვავდა. რაც დრო გადოდა, უფრო და უფრო ცოტას ფიქრობდა სოფელზე, აღარც ვაჟიშვილები აგონდებოდა.

მაგრამ უმცროს ვაჟთან მაინც მოუწია შეხვედრამ.

ერთ დღეს დიდმა მსუბუქმა მანქანამ გადასასვლელი გადაიარა და იქვე ახლოს დადგა. სწორედ მაშინ რკინიგზის შტოზე განძელებს ცვლიდნენ და გოგოები, ხელში რომ ნიჩბები და თოხები ეჭირათ. აქაოდა, ერთი ვნახოთ, ვინ მოვიდაო, მანქანას მიაცვივდნენ. მიწაყრილის ფერდობზე რამდენიმე თეთრკიტელიანი რკინიგზელი ავიდა. „სამმართველოს უფროსობა მობრძანდა ალბათ“, — გაიფიქრა პროკოფი ნიკიტჩმა და დასახედად გამოვიდა, გასასვლელზე ყველაფერი წესრიგშია თუ არაო. ერთ-ერთმა მოსულთაგანმა, სქელსქელმა უღვაშა კაცმა განძელებზე გაიარ-გამოიარა, ძლივძლივობით მოიქეცა წელში, ხელით მოსინჯა ხვინჯა და თითები ცხვირსახოცით შეიწმინდა. მერე დაინახა, რომ ერთ-ერთ გოგოს ხელჯაგი გახეოდა და ოსტატი დატუქსა. ოსტატი თავს იმართლებდა, აქოდა, განძელები არ გვეოფნისო, საქმეც ძალზე სასწრაფოაო. „ჯერ ადამიანებზე უნდა იფიქრო და მერე განძელებზე“, — მკაცრად უთხრა სქელმა კაცმა და გადასასვლელისაკენ გაემართა, ის ორი თეთრკიტელიანიც უკან მიჰყვა, მოშორებით.

პაპა უსაქმოდ რომ არ მდგარიყო, ძალაყინით რელსებსა და ფიცარნაგებს შორის ჩაყრილი ნაგვის ამოქექვას შეუდგა.

— აბა ეს რა ძალაყინია? — მოესმა ზურგს უკნიდან უფროსის ხმა. — ნუთუ უფრო მსუბუქი ძალაყინი ვერ უშოვეთ ბერიკაცს?

პროკოფი ნიკიტჩი მიტრიალდა. უნდოდა აეხსნა, სწორედ რომ საჩემო ძალაყინია. უფრო მსუბუქით ზამთარში ვერაფერს გახდები კაციო, მაგრამ უფროსმა უცებ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ხელები გაშალა და ჩაილაპარაკა:

— აქ საიდან გაჩნდი, მამი?

— შენა ხარ, კოლკა? — ჰკითხა პროკოფი ნიკიტჩმა თვალების ხაშხაშით, მისალმების ნაცვლად ატირდა და დაბნევით ჩაილაპარაკა: — შენი სოფელი... სხვა ადგილას გადაიტანეს...

უფროსი მოეხვია, გადააკოცნა მამა. ხალხი გარს შემოეხვია მათ.

— მერე რა მოხდა, — უთხრა ვაჟმა ცოტა არ იყოს დარცხვენით. — მოდი, მანქანაში შემოდი...

— არა, ჯერ თავად ეწვიე მამას, — გოროზად დაპატიჟა შვილი პროკოფი ნიკიტჩმა.

შევიდნენ ჯიხურში. ნიკოლაიმ შიშით დახედა ნავთით დალაქულ ჩაშავებულ ტაბურეტს, გაზეთი დააფინა და დაჯდა. პროკოფი ნიკიტჩი შესცქეროდა ამ სქელ, სუფთად პირგაპარსულ უღვაშა კაცს და ცდილობდა წინანდელი კოლკასათვის მიემსგავსებინა, მაგრამ ამაოდ, ერთი კულუღი ეცნო მის საფეთქელთან, ბავშვობაშივე რომ ვერ იმორჩილებდა სავარცხლით.

— ხედავ, რა საოცარი ამბავია, — თქვა ნიკოლაიმ, — მამაჩემი, თურმე ჩემს რკინიგზაზე მუშაობს, მე კი არაფერი ვიცი.

პროკოფი ნიკიტჩის რატომღაც შერცხვა და, როგორც ოდესღაც იცოდა ხოლმე, ვაჟს თმაზე ხელი წაუთათუნა, მაგრამ ისე გაუბედავად და უხერხულად, რომ უფრო მეტად შერცხვა.

— უნდა გითხრა, გული მატკინე, შვილო, — ჩაილაპარაკა ბოლოს პროკოფი ნიკიტჩმა. — წერილებზე მაინც გეპასუხნა.

— როდის მომწერე?

— ნახევარი წელი. თუ უფრო მეტიც იქნება მას მერე. პირდაპირ ინსტიტუტში გწერდი.

— რა კარგი რამეა! მე ხომ ინსტიტუტი სამი წლის წინათ დავამთავრე. ტყუილად ხარ გულნატკენი, მამაჩემო, სულ ტყუილად. ლიონკა თუ გწერს?

— არა, არც ის.

— აი ის ყაჩაღი, ისა.

— არა, მე ის კი არა მწყინს, რომ წერილებს არა მწერთ...

პროკოფი ნიკიტჩი დაფიქრდა, უფრო უკეთ როგორ გავაგებინო ბიჭს, გულში რა მაქვსო, და ტუჩები ააცმაცუნა.

— იცი, რას ნიშნავს სახლ-კარის გადადგმა? როგორ უნდა წაიღო ქოხი? სად დადგა? იხარებენ კია შამპანურები იმ მაღლობზე? იქ ხომ წყალი სიღრმეშია, იქ მხოლოდ თიხნარია... სხვები, მთელი ოჯახი ერთად ფიქრობს, მე კი ობლად დავრჩი... ვზივარ და შევცქერო, როგორ გადააქვთ ქოხები...

— ტრაქტორებით გადაიტანეს? — ჰკითხა ნიკოლაიმ.

— ტრაქტორებით.

— კავეები გაუკეთეს?

— კავეები. არა, დაიცა, ადვილი ხომ არ არის — მარტოხელა კაცმა ცარიელ ადგილას კარმიდამო მოაწყოს... ხომ იცი, რა ხარჭები სჭირდება...

— ფული ხომ არ მოგცე, მამი?

— მე, შვილო, ფული შენზე მეტი მაქვს, — დაყვავებით შეაჩერა მამამ შვილი, — ანკი რად მინდა ფული, როცა ჩვენი ქოხის თავზე უკვე გემები დაცურავენ. გელოდით იქნებ ან შენ ან ლიონკას რაიმე გეცნობებინათ, — არ იყო და არა წერილი, მეც ავდექი და წამოვედი. გინდა მაგინე ამისთვის და ან რაც გინდა მიყავი. ხალხისა შემრცხვა. ჰოდა, ახლა აღარც ქოხი გვიდგას და აღარც ბალი გავვაჩნია... აგერ, სახელმწიფომ მომცა ოთახი.

— იცი რა, მამა, მოდი, ჩემთან გადმოდი საცხოვრებლად.

— შენთან რად გადმოვიდე? მე ხომ ეს გადასასვლელი მამარია. მაწყენინე, შვილო, გული მატკინე სწორედ...

— ვერაფერი გამიგია შენი, მამაჩემო, — უთხრა ცოტა არ იყოს გულმოსულმა ნიკოლაიმ. — რაც მართალია, მართალია, წერილი დიდი ხანია არ მომიწერია, მაგრამ ეს მაინცდამაინც არა გწყინს. ფული არ გინდა. ჩემთან ცხოვრებაც არა გსურს.

პაპა შესცქეროდა, ფიქრობდა, იქნებ წინანდელი კოლკა მომაგონოსო ამ კაცმა, მაგრამ ამაოდ. მერე ჰკითხა.

— მაშ არ გესმის, რადა ვარ განაწყენებული?

— არ მესმის.

— ჰოდა, კარგად მეყოლე. ჩემზე ნუ გაბრაზდები. მე ჩემი საწყენი კი არა მწყინს, მთელი სოფლის მაგივრად მტკივა გული. რაო, რა გგონია, რაკი ქალაქელი გახდი, სოფელი აღარ გინდა? ალბათ ყოველდღე თეთრ ფუნთუშებს შეეპყევი. მერე ვინ იზრუნა, რომ ფუნთუშები გქონოდა? დაივიწყე, შვილო, შენი

მარჩენალი, ეს არის და ეს. ჰოდა, თვითონ იფიქრე, კარგი საქციელია ეს თუ ცუდი?

პროკოფი ნიკიტჩმა ქამარი შემოიჭირა და გორბონი ოფრით გაუიდა გადასასვლელზე. მალე ორთქლმავალმა ჩაუქროლა, ფანჯრებში ყმაწვილების თავები ჩანდა. პაპას დახვეული ყვითელი დროშა ეჭირა და ასე ეგონა, მთელი მატარებელი სავსეა ბავშვებით, სამუდამოდ რომ მიუტოვებინათ დედ-მამა. „იქნებ ასეც იყოს საჭირო, — ფიქრობდა პაპა და ჩაქროლილი მატარებლის კუდს მისჩერებოდა. — მე კი რა უნდა დავუმტკიცო? ალბათ გულს ვატკენთ ერთმანეთს. ეს იქნება და ეს. დავბერებულვარ კაცი და ჰკუა ვერ მისწავლია. ვეჩხუბო კი არადა, უნდა შევურიგდე. იქნებ რაიმე მეჩუქნა მისთვის... „იდგა პაპა, ტუჩებს იკვნეტდა და მანამ ფიქრობდა, სანამ დაკეტილ შლაგბაუმთან გაჩერებული მანქანების საყვირმა არ გამოაფხიზლა.

„ჰო, მივხვდი, ბალალაიკას ვაჩუქებ!“ — გადაწყვიტა, მანქანა გაატარა და გულმომშვებელი გაექანა ჯიხურისაკენ.

ნიკოლაი კედელთან იდგა და ისევე, როგორც შარშან მოცლილი სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, ფოტოსურათებს ათვალთვლებდა. პროკოფი ნიკიტჩმა ბალალაიკა ამოიღო, ვაჟიშვილს წინ დაუდო და ღიმილით ჰკითხა:

— გახსოვს ეს?

— როგორ არ მახსოვს! ეს ხომ ჩემი საკრავია. — გაეღიმა ნიკოლაისაც.

— ჰოდა, წაილე, გქონდეს, — დიდი ამბით უთხრა პროკოფი ნიკიტჩმა, — შვილიშვილს აჩუქე. რად აპიპინებენ?

— მე მეძახიან. შემოიარე ერთი ჩვენთან, შვილიშვილი მაინც მოინახულე, რაკი ჩემთან ცხოვრება არა გსურს აი, ჩემი კოორდინატები, — ნიკოლაიმ დაუწერა მისამართი, მთელი ფურცელი გაავსო გაკრული ნაწერით.

— რაც შეეხება ბალალაიკას. სხვა დროს შემოვივლი და წავიღებ... უხერხულია ახლა... მანქანაში ხალხი მიზის. ეს ბაბთა კი...

— კეთილი. წადი, წადი, — შუბლი შეიკრა პროკოფი ნიკიტჩმა. — თუმცა დაიცა... ხომ არ იცი, სად ცხოვრობს ლიონკა? იქნებ იმასაც სხვაგან ვწერდი წერილებს?

— მართალი გითხრა, არ ვიცი, მამაჩემო. კონცერტების ჩასატარებლად მოგზაურობს ხოლმე. კარგა ორი წელიწადი იქნება არც ჩემთვის მოუწერია მაგ ეშმაკის ფეხს.

— ჰო, წადი, წადი...

ნიკოლაი მანქანისაკენ გაექანა. ჯიხურში პაპას შემცვლელი შემოვიდა.

— ვაჟიშვილი იყო ახლა ჩემთან, — უთხრა პროკოფი ნიკიტჩმა, თან ჩაფიქრებული უსვამდა ხელს ბალალაიკას.

უნდოდა ეამბნა, როგორ ესტუმრა ათი წლის უნახავი შვილი, მაგრამ გრძნობდა, მის გულს არაფერი უხაროდა: ასე ეგონა, ჯიხურში ვიღაც უცხო, სუფთად პირვაპარსულმა კაცმა შემოუარა შემთხვევით, მასაც გული ატკინა, ბალალაიკასაც, მის პატარა კოლიასაც და მერე ისევ მანქანას მიაშურა.

— ჰო, ვაჟიშვილი მესტუმრა, — გაიმეორა ყრუდ. — ნასწავლი კაცი.

პროკოფი ნიკიტჩმა ბალალაიკა მაგიდაზე დადო. მასმა სიმებმა ნაღვლინად დაიქლრიალა.

ფერად-ფერადი კენჭები

1



სალამოს ათი საათი იქნებოდა. გრიგორი აფანასიევიჩი კითხულობდა მიუყვებოდა ზღვის ნაპირს.

დაჭმულნილი ტილოს შარვალი ეცვა და ტილოსივე პიჯაკი, ტიტველი ფეხები სანდლებში წაეყო. თავს მსუბუქად და ხალვათად გრძნობდა. ჯიბეში მოსკოვური „ყაზბეგის“ კოლოფი და სუფთა ცხვირსახოცი ედო. მარტო იყო. მეტარაღა სჭირდებოდა სამხრეთის კურორტზე დამსვენებელ პოლკოვნიკს, რომელსაც, საცა იყო, შინ დაბრუნება მოუწევდა?

სასადილოსთან, მოაჯირს გადაღმა, ბეტონმოსხმულ მოედანზე რადიოლა უკრავდა და წყვილები ცეკვავდნენ. ასე იცეკვებდნენ ალბათ, სანამ დაძინების დრო არ მოაწევდა და ფარანს არ ჩააქრობდნენ.

წინ ჩაბნელებული ყარადაღი მოჩანდა. გრიგორი აფანასიევიჩს ასე ეგონა, ამ სიბნელეში კლდოვან ქედს და მის განტოტებებსაც ვხედავო, თუმცა მას რომ ქედი ეგონა, ეს უკვე ცა იყო. ის კი არადა, ზღვასაც ძლივს არჩევდა, კაცმა არ იცოდა, სად თავდებოდა შავი წყალი და სად იწყებოდა შავი ცა.

გრიგორი აფანასიევიჩი მეორეჯერ ისვენებდა ყირიმში, შარშან ზაფხულშიც აქ იყო, უყვარდა ზღვის მარილიანი ჰაერის სუნთქვა ტალღების ტყლაშუნისათვის ყურის გდება და მზით გავარვარებული კენჭების ცქერა. აქეთკენ მას მოგონებებიც ეწეოდა: ოცდათხუთმეტი წლის წინათ მან აქ თავისი მეუღლე, ლენოჩკა ჩამოიყვანა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა მთელი თვე მზის გულზე გაატარა. ველურებივით ცხოვრობდნენ, უფულოდ და უთავშესაფართოდ. ხან მუზობელ აგარაკზე გადაძვრებოდნენ ხოლმე ყვავილების დასაკრეფად, ხან წვინდა მთაზე აცოცდებოდნენ და თათარი ქადაგის საფლავს დამღეროდნენ: „ძირს, ძირს, ბერები ძირს, ძირს ხუცები!“ თაოსანი ამაებისა, რასაკვირველია, ლენკა იყო. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ახლა ლენა ძალზე მოტყდა. ერთ-თავად შინ ზის, მალახოვკაში, ყვავილებს რგავს და კვლებს რწყავს. ამას წინათ ბაზარში ქმრის ორდენებითა და მედლებით დახუნძლული პიჯაკით წავიდა.

გრიგორი აფანასიევიჩს გაეღიმა. დარწმუნებული იყო, რომ მისი ცოლი ახლაც, ბაზარში წასვლისას, გასაღებს მათ მიერ მიჩენილ საიდუმლო ადგილას მალავს. კარის ზემოთა საპირის ქვეშ დებს. რა მოაშლევინებს ქმარზე ფიქრა.

მეორედ გრიგორი აფანასიევიჩს აქ ჩამოსვლა ომის ცეცხლოვან წლებში მოუხდა. შემოდგომის ერთ ქარიშხლიან ღამეს იგი დესანტად გადმოსვეს ყირიმის მიწაზე და ვლტიგენტან კინალამ არ დაიღუპა. მაშინ თავხოტორა იყო.

და აი, ახლა, უკვე ხანშიშესული კაცი, მეორე წელია ზედიზედ ჩამოდის აქ, რკინიგზელთა დასასვენებელ სახლში. საგზურს გაცვლითი ფონდით მოულოდნენ მისთვის. ვისაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს გზათა სამინისტროსთან, აქ უცხოოდ თვლიან და „გაცვლით ფონდს“ ეძახიან. უცხოოდ მიაჩნიათ გრიგორი აფანასიევიჩიც და მორიდებით შესცქერიან მის ჰემზა ავით ნაცროსფერ სახესა და მეთაურად ნამსახური კაცის მკაცრად მოკუმულ ტუჩებს.

გრიგორი აფანასიევიჩი ტაატ-ტაატით კარგა შორს წასულიყო. ირგვლივ

სიჩუმე სუფევდა, არავინ ჭაჭანებდა. წინ რაღაც შუქი ციმციმებდა — გორაზე დადგმული ფარანი თუ იყო ან ვარსკვლავი ცაზე.

წყალთან ვიღაც თეთროსანი ქალი ჩანდა სიბნელეში. გრიგორი აფანასიევიჩი შეჩერდა და იკითხა:

— ნინა ხარ?

— მაშ ვინ იქნება... — მოისმა პასუხად.

თუმცა ბნელოდა, გრიგორი აფანასიევიჩს ნათლად დაუდგა თვალწინ ნინას გამხდარი ტანი, სველ სხეულზე ალაგ-ალაგ მიკრული ჩითის კაბა.

ნინა კანკალებდა. „გაცვივლება“, — გაიფიქრა გრიგორი აფანასიევიჩმა და ის იყო შენიშვნის თქმა დააპირა, რომ ნინა ნაფიქრს მიუხვდა.

— არა უშავს, — თქვა და შიშველი ფეხით ტუფლი მოძებნა. — მხურვალე ტანისა ვარ და ვერაფერს დამაკლებს!

სულაც არ უკვირდა, ნინა რომ სათქმელს მიუხვდებოდა ხოლმე. ის ერთადერთი ადამიანი იყო, ვისთანაც აქ მეგობრობდა და ვისაც ემუსაიფებოდა ხოლმე. მათ დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდათ: ჯერ კიდევ ომიდან მოყოლებული იცნობდნენ ერთმანეთს. ორმოცდასამში გრიგორი აფანასიევიჩმა პირდაპირ ცხვირწინ ააცალა ნინა გერმანელებს. თუმცა გრიგორი აფანასიევიჩს აღარც ახსოვდა ეს ამბავი, — ომში ამისთანები მომხდარა, — მაგრამ შარშან, როცა პირველად ჩამოვიდა დასასვენებელ სახლში და სასადილოში შევიდა, ნინას (იგი ოფიციალტად მუშაობდა) მოულოდნელობისაგან კინალამ თეფშები გაუცივდა. მაშინვე იცნო გრიგორი აფანასიევიჩი. არადა, ელტიგენტთან ბრძოლების დროს ნინა ხუთი წლისა ძლივს იქნებოდა. მაგრამ კიდევ უფრო გასაოცარი ის იყო, რომ ყმაწვილ ქალს ისეთი წვრილმანები დამახსოვრებოდა, გრიგორი აფანასიევიჩს წარმოდგენაც არ ჰქონდა. მაგალითად, ნინამ მოიგონა, სროლა რომ ატყდა და გრიგორი აფანასიევიჩმა თავისი ჩაჩქანი დაახურა.

— პატიოსან კომკავშირულ სიტყვას გაძღვეთ! — ეუბნებოდა ნინა. — მერე, თქვენ რომ დაეცით, ჩაჩქანი თავიდან მომძვრა და დამეკარგა.

— არა, ეგ შეუძლებელია, — უკვირდა გრიგორი აფანასიევიჩს.

თავად კი აღარ ახსოვდა ეს ამბავი. იმასღა იგონებდა, თვალეში რომ წითელი წრეები დაუტრიალდა. იქნებ სხვა რამეც აგონდებოდა, მაგრამ არ ამხედლდა, რადგან სხვისგან ამბის მოსმენა უფრო საამაყო იყო, ვიდრე საკუთარ თავზე ლაპარაკი.

საერთოდ კი ნინა მაინცდამაინც დიდი პატივისცემით არ ეკიდებოდა გრიგორი აფანასიევიჩს. თავის მეგობარ ოფიციალტ-გოგოებთან ერთად ისიც დაცინვით „გაცვლით ფონდს“ ეძახდა.

ნინამ მოძებნა ფეხსაცმელი, იქიდან საათი ამოიღო და ცალ ფეხზე ხტუნვა-ხტუნვით ჩაიცვა.

— წახვალ, ხომ? — ჰკითხა გრიგორი აფანასიევიჩმა, იმას გულისხმობდა, ნინა რომ ხარკოვში აპირებდა წასვლას დაუსწრებელ ტექნიკუმში შესასვლელად. დარწმუნებული იყო, ქალიშვილი გაუგებდა, რაზედაც ეკითხებოდა.

— წავალ, მაშ რას ვიზამ, — წამსვე მიუხვდა ნინა. — შინ მოდიხარო, ხომ?

ყოველ საღამოს ასე ხდებოდა. ცხრის ნახევარზე ნინა მაგიდებს აალაგებდა და თავისი საყვარელი ადგილისაკენ „საჭყუმბალოდ“ გასწევდა. სწორედ იმ

დროს, თმის ვარცხნას რომ შეუდგებოდა, უეჭველად გრიგორი აფანასიევიჩიც წამოადგებოდა თავზე.

გვერდიგვერდ გაუყვნენ გზას.

— ზემო ბილიკით წავიდეთ, — შესთავაზა ნინამ.

გრიგორი აფანასიევიჩი მიხვდა, ნინას ცეკვა უნდაო, და ზემოთა ბილიკით გააყვა.



ზემოთა ბილიკით
გააყვა

ნინა სიბნელეშიც კარგად ხედავდა. გრიგორი აფანასიევიჩს ხელი გამოსდო და ციცაბო გორაზე აიყვანა. მხოლოდ აკაციებსა და მოაჯირს შორის გამლილი მოედანი იყო განათებული; იქით ფარნის შუქს ველარ დაედო სიბნელე და შორიდან ისე გეგონებოდა, ხალხი ყირიმული ღამის ფსკერზე დაძირულ განათებულ ბურთზე აფუთფუთებული მუმლივით ეხლება ერთმანეთსო. რადიოც ახლა უფრო ხმამაღლა უკრავდა. ცემენტის მოედანზე უფრო ხმამაღლა და გამოკვეთილად ისმოდა ლანჩების ფრატუნიც: ჩიკ-ჩიკ, — ჩიკ-ჩიკ, — თითქოსდა ორთქლის მანქანა მუშაობსო.

ნინა სინათლის ზოლში შევიდა. მუსიკა შეწყდა. გოგოები ცეკვა-სიბლერის გამრიგესთან შექუჩდნენ და ახლა იმაზე ატეხეს დავა, რომელი ფირფიტა დაედოთ.

— „თითები“ დადეთ, — იხვეწებოდა ნინა. — „თითები“ დადეთ...

ამ საქმის გამრიგე აქაურებს უფრო უჯერებდა. რადიოლა ამღერდა.

აბა როგორ არ მიყვარდეს

ოცი პაწაწინა თითი.

მოცეკვავენი დაწყვილდნენ, ჩიკ-ჩიკ — გაისმა ბეტონზე ფეხსაცმელების ფრატუნი.

იზრდებოდნენ ყველანი

და სიცოცხლით ხარობდნენ —

მღეროდა რადიოლა.

მოედანზე იმდენი ხალხი მოგროვდა, ტევა აღარ იყო, ნინას კი არაფერს იწვევდა საცეკვაოდ.

იღგა გოგო ფარნის ქვეშ და ცდილობდა წყენა არ დატყობოდა.

სამწუხაროდ, ხშირად ხდებოდა ასე.

და თუმცა გადამდგარი პოლკოვნიკი არაფერს იმჩნევდა, გუნება მაინც ემხამებოდა და გული სტკიოდა.

„ყმაწვილები არიან, გემოვნება კი არა აქვთ, — დედაბერივით პუზლუნებდა თავისთვის. — არაფერი გაეგებათ... რალა თქმა უნდა, გვერდიდან რომ გახედო კაცმა ნინას, შეიძლება არ მოგეწონოს. მაგრამ შენც მოომინება იქონიე, დაელოდე, რომ მოტრიალდეს და ჯიქურ შემოგხედოს“.

მართლაც გვერდიდან ნინა ულამაზო მოგეჩვენებოდა, მაგრამ რომ შემოგხედავდა, რალიცნაირი აღმოსავლური, თითქოს მოუხელთებელი მიმზიდველობა გამოსჭვივოდა მისი მოგრძო შავი თვალებიდან. მამა თათარი ჰყავდა, დედა — რუსი. სახელიც ორი ერქვა. ერთი — რუსული, მეორე თათრული, ნაზად მქვდები: ნაილე.

სხვებთან ერთად ერთი მეტისმეტად მაღალი ქალი, ნადეჟდა ბორისოვნაც ცეკვავდა. ეს ქალი სწორედ იმ ტექნიკურში მუშაობდა, სადაც ნინას უნდოდა

მოწყობა. გრიგორი აფანასიევიჩმა სთხოვა კიდევ, ნინას ხარკოვში ყურადღება მიაქციეო. ნადეჟდა ბორისოვნაც დაჰპირდა. სამი დღის შემდეგ საგზური უთავდებოდა და ასე თქვა, ნინასაც თან წაეყვანო.

გრიგორი აფანასიევიჩი უმადლოდა ამას ნადეჟდა ბორისოვნას, მაგრამ დღეს კი რატომღაც გულმოსული იყო ამ ქალზე.

„საოცარია, — ფიქრობდა იგი, ნადეჟდა ბორისოვნას მეტი-მეტად წითლად შეღებულ ტუჩებს რომ უყურებდა, დროდადრო მოცეკვავეთა თავზემით გამოჩენილს. — ამ ქალს იწვევენ საცეკვაოდ და ნინას არა... არადა, სად ეგ და სად ნინა...“

— არ მსურს ცეკვა, — თქვა ნინამ, — ფეხებს დამამტვრევენ, იმდენი ბალხია...

ნინა ისევ მიუხვდა ფიქრებს, დარცხვენილი და გუნებაწამხდარი ჩანდა.

„მისივე ბრალია, — ფიქრობდა გულმოსული გრიგორი აფანასიევიჩი. — რად უნდოდა, ჯემპრი რომ ჩამოიცვა? ან ეს ლაიკის ქამარი რად შემოირტყა? მკერდი რომ გამოეჩინა, იმიტომ? ძალიან ლამაზი კია, ჩემმა მზემ!“

ნინა ამ ფიქრსაც მიუხვდა.

— მე წავალ, კარგი? — უთხრა და მოგრძო შავი თვალებით დამნაშავესავით აჰხედა ქვემოდან.

გრიგორი აფანასიევიჩს შეეცოდა და შემრიგებლურად ჩაილაპარაკა:

— ღამე მშვიდობისა, ნაილე.

2

მეორე დღეს, ვახშობამდე, გრიგორი აფანასიევიჩი ჩვეულებისამებრ ფრენბურთის მოედანზე წავიდა. იქ დასასვენებელი სახლის ჭრელი მოსახლეობა იკრიბებოდა, ბევრი მოთამაშე და კიდევ უფრო მეტი მაყურებელი მოდიოდა. მოდიოდა ნადეჟდა ბორისოვნა, მოდიოდა ერთი პროფესორიც — თბომავალთა სპეციალისტი, ზოგჯერ ნინაც შემოირბენდა ხოლმე.

უმრავლესობამ თამაში არ იცოდა. პროფესორს „ბედოვლათო“, უყვიროდნენ. იგი დამნაშავესავით იღიმებოდა და ეკლიანი ბუჩქებიდან ბურთის გამოსაღებად გარბოდა.

ნადეჟდა ბორისოვნა ვერაფრით ვერ ჩასწვდა ამ თამაშის მულამს. თუმცა ეს სულაც არ უშლიდა ხელს ეკამათნა, ელევა და ყოველი დარტყმის შემდეგ ეკითხა: „რა ანგარიშია?“

ყოველდღე, ასე საღამოს ეჭვსი საათისათვის აქაურები გამოჩნდებოდნენ ხოლმე — ორი ჭაბუკი და ერთი ქალიშვილი. სამივენი ერთი ველოსიპედით მოდიოდნენ.

ეს მარჯვე, შავად გარუჯული ახალგაზრდები მეზობელ საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდნენ. მათ „სამ მუშკეტერს“ ეძახდნენ. გულხელდაკრეფილები, სახეგაქვავებულები შესცქეროდნენ ხოლმე სხვათა უნიჭო თამაშს და თავიანთ რიგს ელოდებოდნენ, რომ მოედანზე შეჭრილიყვნენ.

პირველად იმას შეამოწმებდნენ, ბადე რა სიმაღლეზე იყო, შემდეგ კარგად თუ იდრიკებაო. მერე ბურთს გაბერავდნენ და ზონარს ხელახლა გაუყრიდნენ. მუშკეტერი ქალი მუსია ხელახლა ხაზავდა მოედანს.

ამ სამზადისა რომ მორჩებოდნენ, ყველაზე მაღალი მუშაკეტერი გენკარგულეზას გასცემდა:

— მიხაილ — შენ მესამე ნომერი იქნები, მუსია — შენ მეოთხე, ნინა — მომწოდებელი.

ეროვნული

...პროფესორს ზოლიანი პიჯამა ეცვა და საწყალობლად [შეწყვეტილი] კაპიტანს. ისიც დინჯად გამოსცრიდა ხოლმე:

— პიჯამა — კუთხეში.

და ბადის ზემოთ მიჰქროდა პირველი „დახუჭუჭებული“ ბურთი.

მაგრამ ფრენბურთის მოედანზე ყოფნა კიდევ უფრო საინტერესო მაშინ იყო, როცა პაველ ევგენიჩი მოვიდოდა — აყლაყუდა, ოდნავ თმაშემელოტებულო, გრძელკისერა და დიდხვანჩიანი კაცი. გარეგნულად ასე ოცდაათი წლისას ან ცოტა მეტისას ჰგავდა. ლენინგრადიდან საკუთარი „ვოლკით“ ჩამოვიდა და პანსიონატში გაჩერდა. მოკლესახელოიან პერანგს ატარებდა, ამ პერანგს „ბობოჩკას“ ეძახდა, გულდაგულ დაუთოვებული ძწვანე შარვალი ეცვა და ბაფთიანი ჩაღის ქუდი ეხურა. ბაფთაზე მუდამ რაღაც ჩამოკონწიალებდა სასაცილოდ; ხან აბზინდა, ხანაც ქათმის ბუმბული.

პაველ ევგენევიჩი დილიდან გვიან ღამემდე სულ რაღაცას ეთამაშებოდა ვიღაცას: სტუდენტებს — ჭადრაკს, პარიკმაჩერებს — შაშს, და კიდევ სხვას და სხვას.

როცა კი არ უნდა მოგეხმო სათამაშოდ, მაშინვე წამოხტებოდა და იტყოდა: — პიონერივით მუდამ მზად ვარ!

პაველ ევგენევიჩმა ძალიან მალე გაიცნო ყველანა პლიაჟზე. მხიარულად თამაშობდა, მშვიდ თამაშს მუდამ ხმაურიან თამაშად აქცევდა ხოლმე. დიდი თუ პატარა პაშას ეძახდა. თავი ყველასთან ერთნაირად უბრალოდ და თავაზიანად ეჭირა და მხოლოდ სხვისგან თუ გაიგებდით, რომ ეს აწოწილი კაცი — ცნობილი მეცნიერმუშაკია. ის კი არადა, ლაურეატიც კი, ნაშანდებულ ატომებზე შრომების ავტორი.

დღეს მუშაკეტერები ვიღაც ახალ, ჯერ კიდევ მზემოუკიდებელ ხალხს ეთამაშებოდნენ, პაშა კი არ ჩანდა.

თბომავლების სპეციალისტმა განაცხადა — ახლადჩამოსული ორი წყვილი კოლ-ქმარია, ოთხივენი ტაიშეტ-ლენის რკინიგზის მშენებლები არიანო, ერთ ქმარს ჭალარა გოშას ეძახიან, მეორეს — წითურა გოშას და, რაც მთავარია, მათ უკვე მუშაკეტერებსაც კი მოუგესო!

ლამაზად, უხმაუროდ თამაშობდნენ. ბურთი დიდხანს არ ჩამოდრიოდა ძირს. განაწყენებულ ნადეჟდა ბორისოვნას, ყურადღებას რომ არავინ აქცევდა, წითურა გოშა ზოგჯერ მიაწოდებდა ხოლმე ბურთს, წინასწარ შერივებული დაკარგულ ქულას.

— ნინკა! — დაიყვირა მუშაკეტერების კაპიტანმა. — ჩქარა! ჩვენებს ჩაგრავენ!

მოედანს ნინა უახლოვდებოდა. მან გაბუტვით შეხვდა გრიგორი აფანასიევიჩს.

„რაო, ასე გინდოდა, ხომ?“ — დამნაშავესავეით და თან წყენით ჰკითხეს მისმა მოგროძო, შავმა თვალებმა.

გრიგორი აფანასიევიჩმა წამსვე შეამჩნია, რომ ნინას აღარ ეკეთა ლაიკის ქამარი.

—საათი მოიხსენი, — ალერსით ჩაუბუზღუნა გრიგორი აფანასიევიჩმა.

ნინამ შეიხსნა თასმა და თავისი თბილი საათი გრიგორი აფანასიევიჩს მსუქან, ბალნიან ხელზე ჩამოუკიდა, თვითონ კი გაქანებით, როგორც ცივ წყალში, ისე შევარდა მოედანზე.

ნინა მშვენივრად თამაშობდა. თუმცა ანგარიშის კამოქმუდებრად აღარ იყო და მზევ თვალეებში აჭყეტდა, იგი თავდაუზოგავად ცდილობდა რაიმე ეშველა თავისი გუნდისათვის.

მან იპოვა სუსტი ადგილი და ბურთს ნადეჟდა ბორისოვნას აწოდებდა მუდამ. ამ ვერაგული ხერხით ექვსი ქულა დააგროვა. ანგარიშა თანდათან თანაბრდებოდა. ციმბირელები აღელდნენ, ყოვლად უდანაშაულო ცოლებს თათხავდნენ და ნადეჟდა ბორისოვნას ჩასჩიჩინებდნენ, ბურთი „თითუბით“ აიღეს.

მალე მათ ისევ მოახერხეს დაწინაურება. ერთი ვადამწვევები დარტყმაც და აქაურ ჩემპიონებს სირცხვილით ბადის ქვეშ შეაპვრენდნენ.

„დახუჭუჭებული“ ბურთი დაბლა გაფრინდა. იგი დაიჭირეს და ნინას უმიზნეს. ნინა შვილდევით მოიხარა, ჰაერში გაიფლვა მისმა გრძელმა მკლავმა და ელვისებური, თითქმის შეუმჩნეველი დარტყმით ბურთი ფეხებში მიუგდო მეტოქეს.

კმაყოფილმა ნინამ, ვითომც აქ არაფერიო, თვალი გრიგორი აფანასიევიჩისკენ გააპარა — აქაოდა, ხომ დაინახეო.

— დავინახე, დავინახე, — ალერსიანად ჩაიბუზღუნა გრიგორი აფანასიევიჩმა. ნინამ იგრძნო მისი ალტაცება და ბედნიერი იყო.

ვერა დი ვერ გაეგო, ამ დარბაისელმა მოსკოველმა ნეტა რად გასწირა სიცოცხლე მისთვის. აბა რა იყო ნინა მასთან შედარებით? შიშით ფიქრობდა, ფეხიც ალბათ ჩემი გულისთვის გაიფუჭაო მაშინ. რამდენჯერმე ეცადა კიდევ გამოეკითხა, როდის დაიჭერითო, მაგრამ ყოფილი პოლკოვნიკი მუდამ ხუმრობით ბანზე უგდებდა სიტყვას.

გრიგორი აფანასიევიჩი თუ იქ ეკულებოდა, ნინა ტყის ჩიტუნასავეით გაფაციცებული იყო ხოლმე. ზოგჯერ აუტანლად ეძაბებოდა ნერვები და ასეთ დროს შეუცდომლად გამოიცინობდა, კარგს ფიქრობდა გრიგორი აფანასიევიჩი მასზე თუ ცუდს.

თუმცა იგი მუდამ კარგს ფიქრობდა ნინაზე და გოგოსაც ამიტომ უყვარდა ეს კაცი. სულ ის უნდოდა, რაიმე ეამბნა მისთვის.

მაგრამ აბა რა შეეძლო, რა უნდა გაეკეთებინა მისთანა უვარგისს?

სასადილოში ხალხს თუ მარჯვედ მოემსახურებოდა, თუ თავაზიანად და ყურადღებით მოექცეოდა დამსვენებლებს და ფრენბურთს ყველაზე უკეთ ითამაშებდა — ეს იყო და ეს.

„ხარკოვში წავალ, ტექნიკუმში შევალ სასწავლებლად და მაშინ ვნახოთ...“

ნინა გაუყვა ფიქრებს, ტექნიკუმს რომ დავამთავრებ, მერე რაღას ვიზამო, მაგრამ დროზე გამოფხიზლდა: მისკენ ბურთი მოჭროდა.

ნინას გააყრყოლა. 'გრიგორი აფანასიევიჩის თვალწინ ქულის დაკარგვა სწორედ რომ საშინელება იყო! იგი გუნდასავით შეიკრა, მარჯვედ მისწვდა ბურთს და კმაყოფილებით გადახედა გრიგორი აფანასიევიჩს.

შეხედა და მოულოდნელობისაგან გაშეშდა: გრიგორი აფანასიევიჩი იცინოდა.

ნინას თითქმის არასოდეს ენახა იგი გაცილებული. მაგრამ ახლა ისე იცინოდა, მსუქანი ტანი უთახთახებდა.

ნინა ვერაფერს მიხვდა და მიმოიხედა — ირგვლივ ყველა ხარხარებდა პროფესორს სათვალე მოეხსნა და იცინოდა. ნადეჟდა ბორისოვნას კისკისებდა.

ბიზლიჩიშვილი

„ნუთუ ჩემზე იცინიან?“ — შეეშინდა ნინას.

— რა არის ჩვენი ცხოვრება? თამაშია მხოლოდ! — მოასმა საიდანღაც მაღლიდან.

ნინა მიტრიალდა. თუთის ხის როკზე პაშა შემომჯდარიყო და ტკბებოდა საერთო მხიარულებით.

მალე ყველაფერი გაირკვა. პაშას საკუთარი ბურთი მოეტანა, ნინასთვის ესროლა და რამდენიმე წამს გაცხარებული ფრენბურთელები ორი ბურთით თამაშობდნენ თურმე.

— ჩვენთან მოდი, პაშა! ჩვენთან, პაშა! — ეძახდა ორივე მხარე.

პაშამ მოედანზე ისკუპა, ხმამაღლა გამოაცხადა: „ანგარიში ნოლით-ნოლია“, — და ატყდა ორომტრიალი.

— მომაწოდეთ! — ღრიალებდა პაშა და აუტში გადასული ბურთისაკენ მიიწევდა. მტვრის ბუქი დააყენა. მერხი გადააყირავა, ვილაც მაყურებელს თავზე დაეცა, ბურთმა ჩალის ქუდი გადაუვლო.

პატარა ბიჭივით ანცობდა: ხან მოედანზე დაჰქროდა და მოთამაშეებს აქეთ-იქით ჰყრიდა, ხან ინდოელ მოცეკვავე ქალივით ფეხებგაჩაჩხული გაირინდებოდა, ხან კისერწაწვდილი ბადესთან მიდიოდა და ბურთის გამცურებელ პროფესორს ეკითხებოდა: „თქვენი გვარი?“ ხან კიდევ „ყუმბარის“ მისაწოდებლად მომარჯვდებოდა და ამ თავის საგანგებო მიწოდებას ნადეჟდა ბორისოვნას უძღვნიდა ხოლმე; ამ ქალს უკვე იცნობდა და ერთხელ მთებშიაც გაჰყოლოდა.

— რა ანგარიშია? — ბედნიერი ხმით ყვიროდა ნადეჟდა ბორისოვნა, მაგრამ ყველა იცინოდა და ანგარიში არავის აღარდებდა.

საერთო მხიარულება უცებ დაირღვა.

ბევრი ცდის მერე პროფესორმა მოახერხა ბურთის ბადეზე მაღლა აგდება. გამხიარულებულ მუშვეტერებს საშუალება მიეცათ თავისი ხელოვნება ეჩვენებინათ. კაპიტანმა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაარტყა ბურთს, ხოლო ნადეჟდა ბორისოვნა შეეცადა ეს საშინელი ბურთი, როგორც ასწავლეს, „თითებით“ აეღო.

გაისმა კენესა.

ნადეჟდა ბორისოვნამ ტკივილისაგან ჩაიმუხლა.

— ნადია, ცხვირის წვერი დაიზილეთ და გაგივლით, — უთხრა პაშამ.

— გეყოფათ მასხარაობა! — შეაწყვეტინა სიტყვა ნადეჟდა ბორისოვნამ. — თითი მომამტვრიეს.

თამაში შეჩერდა. ყველა დაზარალებულს შემოეხვია. გამოირკვა, რომ თითი არ მომტვრევია და საშიშიც არაფერი იყო. მაგრამ იმავ წამს ახალი უბედურება ეწიათ: დაჯდომის დროს ნადეჟდა ბორისოვნას ფეხი უხერხულად შემოკვეცა და ფეხსცამლის ქუსლი წამტვრეოდა.

— ღმერთო ჩემო! ქუსლიც მომამტვრიეს, — ჩუმად და უმწეოდ წარმოთქვა ნადეჟდა ბორისოვნამ. — აბა რას ჰგავს ეს?

— ბოდიშს გიხდით, — ამაყად წარმოთქვა მუშვეტერების კაპიტანმა.

— ამას ჰქვია დასასვენებელი სახლი? ამას ჰქვია დასვენება?

— ხომ მოგიხადეთ ბოდიში, — გულმოსულად გაიმეორა მუშკეტერმა.

— საგზურებში ფულს ვიხდით, — ცრემლებისაგან ათრობილებული ხმით განაგრძობდა ნადეჟდა ბორისოვნა. — სამასი კილომეტრის იქნენ მოვლივართ დასასვენებლად და ძარღვების გასამაგრებლად, აქაური მაწანწალები კი თავხედურად იჭრებიან ჩვენს მოედანზე და ამასაც არ სჯერდებიან, ხელებს გვამტვრევენ... მერე ვინ მისცათ ამის უფლება! უნდა გავყაროთ აქედან!... გავყაროთ-მეთქი!...

მუშკეტერები ხმის ამოუღებლივ მივიდნენ ველოსიპედთან.

— სად მიდიხართ? — აფორიაქდა პროფესორი. — ამ ქალს წამოუარა... მუსია, სად მიდიხართ?

მაგრამ მუშკეტერები გაკერბდნენ, მუსია ველოსიპედზე შემოისვეს და წავიდნენ — სამნი ერთი ველოსიპედით.

— არ არის ეს წესიერი საქციელი, — წარმოთქვა სახეაჭარხლებულმა პროფესორმა. — უკადრისი საქციელია, ნადეჟდა ბორისოვნა!

— ხელების დამტვრევა კი კარგი საქციელია? ეს ხომ ჩვენი მოედანია! ჩვენი დასასვენებელი სახლია და, მაშასადამე, მოედანიც ჩვენი! რომ იცოდეთ, ჩვენ ამ მოედნის ფულსაც ვიხდით! აქ კი ვიღაცები გაცვლითი ფონდით ჩამოდიან...

კაცმა არ იცის, რა უნდოდა ამით ეთქვა ნადეჟდა ბორისოვნას. ნინა ახლოს მივიდა მასთან და თვალები დააკვესა:

— სხვა მაგიდაზე ვადადით, იცოდეთ, მე თქვენ საქმელს არ მოგიტანთ. ნადეჟდა ბორისოვნამ გამოთაყვანებული თვალებით შეხედა, მერე ფეხსაცმელი გაიძრო და, საცოდავი და გაუბედურებული, წინდებით წალასლასდა.

— არ უნდა გეთქვა, ნინა, — უსაყვედურა გრიგორი აფანასიევიჩმა.

— სულაც არ მენალვლება. გინდაც მომხსნან — მაგას საქმელს აღარ მივუტან. ჩვენი... თქვენი... მოსმენაც კი შეგეზიზლება კაცს!

ნინამ საათის შებმა სცადა, მაგრამ თითები ისე უთრთოდა, ვერ მოახერხა.

— მაინც არ უნდა გეთქვა, — გაუმეორა გრიგორი აფანასიევიჩმა და წამოდგა, რათა თასმის შეკვრაში მიშველებოდა.

ნინამ ჭირვეულად აიქნია მხარი და გაეცალა. ეს უკვე ჩხუბი იყო.

სანამ ნინა თასმის შეკვრაზე ჯახირობდა, მასთან პაშა მივიდა. ჩხუბის დროს მას დრო არ დაუკარგავს, ოცდაერთს თამაშობდა თითებზე.

— ყოჩაღ! — უთხრა ქალიშვილს. — რა გქვიათ?

— ნინა! — გულმოსულად მიუგო ქალიშვილმა, ისე რომ მისკენ არც მიტრიალებულა.

— მერე, როგორ მოგმართოთ?

— რაო? — მიუხედა ნინამ.

— მამის სახელი-მეთქი.

— იუსუპოვნა ვარ, — ნინამ გაცვირვებით შეხედა პაშას და ჯემპრი ჩამოიქაჩა.

— მაშ ასე, ნინა პლიუს იუსუპოვნა, — გაიმეორა პაშამ. მან ნელა, გულდასმით ჩაათვალიერა ყმაწვილი ქალი და მერე ჰკითხა: — რატომ აქამდე ვერ შეგამჩნიეთ?

რალაცის თქმას კიდევ აპირებდა პაშა, მაგრამ შორიდან გონგის ხმა მოის-

მა, დამსვენებლებს სავახშმოდ უჩმობდნენ. ნინამ შეჰკივლა და სასადილოსკენ გაიქცა.

8



ქართული
ბიბლიოთეკა

ნავახშმევს გრიგორი აფანასიევიჩმა წაიკითხა გაზეთი „მედიცინსკი რაბოტნიკი“, რომელსაც ბლომად იწერდა დასასვენებელი სახლის დირექცია, მერე იდგა, ოთახი დაკეტა, გასაღები კარის ზემოთა საპირეზე ჩამოჰკიდა და სასერნოდ გასწია.

როგორც ყოველთვის, აბლაც აპირებდა ზღვის სანაპიროთი მისულიყო კონცხამდე, სადაც ნინას უყვარდა ბანაობა, ცოტა წაემასლაათა მასთან და უკანვე დაბრუნებულიყო. დაბრუნდებოდა ოთახში, დაათვალიერებდა კედლებს, აქაოდა, რაიმე ხომ არ დახობავსო, და მარტოობით გულგაწყალებული დაწვებოდა ახალ, ჭრიალა საწოლზე.

სამი საღამოლა დარჩა ასეთი. მერე ჩაჯდება მატარებელში, გასწევს შინსკენ და, ვინ იცის, ოდესმე კიდევ ჩამოვა თუ არა აქ, გული აწუხებს და კისლოვოდსკში მკურნალობა სჭირდება, ყველაფერს კი ისა სჯობს არსადაც არ წავიდეს და შინ, მალახოვკაში გალიოს დარჩენილი დღენი თვისნი.

„ნეტა ჩემი დედაბერი როგორ არის? — ფიქრობდა გრიგორი აფანასიევიჩი, ზღვის ნაპირს რომ მიუყვებოდა. — ვაშლის ხეები გაზაფხულზე აყვავდებიან. ღობე გასასწორებელია, ლურსმნებიც უნდა ვიშოვო. სელის ზეთიც“.

გუშინდელზე უფრო ნათელი ღამე იდგა. ვეება, თითქმის ნახევარ ცაზე განრთხმული ღრუბლის კიდე თანდათან მღვრიე თეთრად შეიღება, თითქოს დღის სინათლის ნათურები აჩახჩახებდნენ შიგნიდან. მისი ფანტასტიკური მოხაზულობა თანდათან უფრო ნათლად და მკვეთრად იკვეთებოდა. ბოლოს მთვარის ნათელი დისკო, ირგვლივ რომ ჭანდი მოსდებოდა, დიდმა ამბით წარმოჩინდა მოწმენდილ ცაზე. მთელ ზღვაზე, ჰორიზონტის კიდადას გრიგორი აფანასიევიჩის ფეხებამდე, თვალისმომჭრელი მთვარის ზოლი გაწვა.

გრიგორი აფანასიევიჩი ფიქრით უკვე შინ იყო და ირგვლივ ისე ავლებდა თვალს, თითქოს საკუთარი ფანჯრიდან იყურებოდა, თითქოს მთებს კი არ ხედავდა, თავისი სახლის ფანჯრიდან იგონებდა მათ, თითქოს ზღვა კი არა, მოგონებები იყო ზღვაზე. ასევე შორიდან, თითქოს მალახოვკიდან, ფიქრობდა ნინაზე. შარშანდელთან შედარებით ნინა უფრო დაქალბულიყო, უკვე თამამად გამოთქვამდა სურვილებს და იცოდა კიდევც, რა უნდოდა; ძნელი არ იყო გამოცნობა. რაზე ფიქრობდა უფრო ხშირად: „ნუ გეშინია, ჩემი გულისთვის გაწითლება არ მოგიწევს. ნახავ, შენი ღირსი თუ არ ვიქნე, თუ არ ვიქნე ამ მშვენიერი ქვეყნის ღირსი, სადაც შენ გამომიყვანე ცეცხლსა და ნანგრევებისაგან. „თუშცა ნინა ასე მაღალფარდოვნად, სასაცილოდ არ ფიქრობდა, მაგრამ არსი კი ეს იყო.

წუხანდელივით დღესაც სასადილოსთან ფარანი ეხთო. იქ რადიოლა უკრავდა და ხალხი ცეკვავდა.

გრიგორი აფანასიევიჩი გზას განაგრძობდა. სანაპიროზე არცინ ჭაჭანებდა. ზღვა მსუბუქ ტალღას მოაგორებდა, კენჭებს ლოკავდა.

გრიგორი აფანასიევიჩმა მარცხნივ გადაუხვია, კონცხთან გავიდა და ვაოცებული შედგა.

ნინა აქ არ იყო.

ამ უბრალო ამბავმა საგონებელში ჩააგდო, თითქოს ჩვეულო ადგილიდან ნინა კი არა, სულ ცოტა, ყარადაღის მთა გამქრალიყო.

„აბა ახლა რა გავაკეთოთ?“ — გაიფიქრა გრიგორი აფანასიევიჩმა და კითხვით შეხედა მთვარის ზოლს. მერე ცოტა შეიცადა, თითქოს — ~~ბნელს~~ ელოდა, და, რაკი არავინ მოვიდა, უკან გაბრუნდა.

ის იყო მოტრიალდა, რომ ნადეჟდა ბორისოვნას მოჰკრა თვალი. ქალი სწრაფად მოდიოდა, თითქოს სურდა სირბილით დაღლილიყო.

გრიგორი აფანასიევიჩს რომ გაუსწორდა, ნადეჟდა ბორისოვნა შეჩერდა, ხანთიდან სიგარეტი ამოიღო და საჩქაროდ სრესა დაუწყო, რაღაცით აღელვებული ჩანდა. მოღუშული სახე და ჩაშავებული ტუჩები მთვარის შუქზე გაწამებულს უგავდა.

— ბიბლიური სილამაზეა, ხომ მართალია? — თქვა და თვალი მოავლო თითქოს უხერხულად გაშეშებულ, მთვარის შუქით გადათეთრებულ ყარადაღის კლდეებს და წყლიდან ამოჩრილ ლოდებს.

— არ ვიცი, ბიბლია არ წამიკითხავს.

ქალი მიხვდა, რომ გრიგორი აფანასიევიჩი ლაპარაკის გუნებაზე არ იყო, და კილო არ შეუცვლია, ისე ჰკითხა:

— მითხარით, პოლკოვნიკო, რაღა ხართ ასეთი არარაობა?

— ვინა ვართ არარაობა?

— თქვენ... ახლანდელი მამაკაცები. აიღეთ ტოლსტოი, ტურგენევი... როგორი ფასი ჰქონდა მათთვის სილამაზეს! როგორ აღმერთებდნენ. ახლანდელი მამაკაცები კი... მადლიერება მაინც ვააჩნდეთ...

— ქვებს არ სჭირდებათ მადლიერება, — თქვა გრიგორი აფანასიევიჩმა.

— რომელ ქვებს? აბა ნახეთ, ქალებს რა უყავით. არც ღრმა გრძნობის უნარი გაქვთ, არც მგზნებარება გაგაჩნიათ...

— მერე თქვენ რაში გჭირდებათ?

— რა?

— მგზნებარება.

— ისე მეკითხებით, როგორც... — ნადეჟდა ბორისოვნა შეჩერდა, შედარებას ეძებდა, — როგორც ნორჩი პიონერი.

— პიონერი, პიონერი! — ჩაილაპარაკა გრიგორი აფანასიევიჩმა, იმაზე გაბრაზდა, რომ სიტყვა „პიონერი“ ქალმა თითქოს ინგლისელივით წარმოთქვა. — შინ წასვლის დრომ მოგიწიათ. ნადეჟდა ბორისოვნა...

ქალმა ნადვლიანად ჩაიციხა:

— მაშ, ასე, მე შინ დავბრუნდე, თქვენ კი ყმაწვილ თათრის ქალებთან იჭყუმპალაოთ, არა?

გრიგორი აფანასიევიჩი შეკრთა.

— რაო? — უმწეოდ იკითხა მან.

— ნუ თვალთმაქცობთ! დაბერდით, დაბერდით, პოლკოვნიკო, — მიაპაზა ნადეჟდა ბორისოვნამ და გაეცალა.

გრიგორი აფანასიევიჩი კარგა ხანს იდგა თავზარდაცემული. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ოფლმა დაასხა.

— ხმა ჩაიკმინდეთ! — დაიყვირა უცებ სიბნელეში.

ანაზღად მოუნდა საჩქაროდ გაქცეულიყო აქედან, გაქცეულიყო შინ, მალახოვკაში. იგი ფერდობს აუყვა და ზემო ბილიკს დაადგა, მაკელისა და ველური ბალბის ბარდებში გაძვრა. „ახლა რაღა დამაძინებს. — გაიფიქრა მან. — ღმერთმა იცის მაგისი თავი და ტანი!“ ჩქარმა სიარულმა დააღალა და ცუტათი დაამშვიდა კიდევ. საცეკვაო მოედანზე ისევ „ოც პაწაწინა თითის“ მოცეკვლევი ეტყობა, ეს ფირფიტა დიდ მოწონებაში იყო.

„ოცი წლის ჭაბუკი რომ ვიყო, ალბათ მეც მომეწონებოდა“, — გაიფიქრა გრიგორი აფანასიევიჩმა.

ორ წრედ ცეკვავენ, ფართო, გარე წრეში ახლად ჩამოსულები და დამწყებები ტრიალებდნენ, ციმბირელებიც აქ იყვნენ ცოლებითურთ. შიგნითა, პატარა წრეში გამოცდილი მოცეკვავეები როკავდნენ.

აბა როგორ არ მიყვარდეს
ოცი პაწაწინა თითი.

ელექტრონული ხმით მღეროდა რადიოლა.

გრიგორი აფანასიევიჩს ის-ის იყო ვვერდი უნდა აეგლო მოცეკვავეებისათვის, რომ შიდა წრეში ნინას ჯემპრს მოჰკრა თვალი. შეთხელებულ მაყურებლებს შორის, კვახის თესლს რომ ჩურჩიდნენ, გზა გაიკვლია და წინ წავიდა. პა, ნინა იყო.

აი თურმე რა ყოფილა! ახლა კი მიხვდა, რად იყო ძლევებული ნადეჟდა ბორისოვნა და თავი გაიქნია: ნინა პაშასთან ცეკვავდა.

მოცეკვავენი უშლიდნენ დანახვას, მაგრამ მაინც შეასწრო თვალი, რომ პაშა კარგად ცეკვავდა, ფრთხილად დაატარებდა ნინას ამ გაჭედულ მოტორტმანე ხალხში, თვალთ წინასწარ ირჩევდა თავისუფალ სივრცეს. „ბაბოჩკის“ თეთრი საყელო კობტად ჰქონდა გადაკეცილი ჭრელ პიჯაკზე.

გრიგორი აფანასიევიჩი შესცქეროდა ნინას და ხარობდა. როგორც იქნა, მასაც მიაქციეს ყურადღება! მერე ვინ? განა ვინმე მუშკეტერმა, ჭკვიანმა, გემოვნებიანმა ლენინგრაძელმა! ხედავთ, როგორ გაბრწყინებია სახე, — ახალ-მოჭრილ აბაზიანს უგავს სწორედ!

ფირფიტა გაჩერდა.

— ახლა საკუთარ ტაშზე ვიცეკვოთ! — შესძახა კულტმუშაკმა, — სამი, ოთხი!..

ყველამ სიცილით დასცხო ტაში. ნინა ყველაზე ხმამაღლა უკრავდა.

— ძალიან კარგია! — თქვა კულტმუშაკმა.

პაშამ ხელმკლავი გაუყარა ნინას და მერხთან მიიყვანა. ნინას თვალები უბრწყინავდა. გრიგორი აფანასიევიჩს თვალი თვალში გაუყარა, მაგრამ ვერ დაინახა. ქალიშვილმა ძალზე ახლოს ჩაუარა, ისე ახლოს, რომ გრიგორი აფანასიევიჩს ნორჩი სხეულის სითბო მოჰბერა. მერე დაჯდა და ცხვირსახოცი მოინაია.

ისევ გაისმა მუსიკა.

პაშა გამოეჭიმა ნინას და ოდნავ დაუკრა თავი.

აშოლტილი, სახეგაბრწყინებული ნინა წინ დაუდგა პაშას, თავისი ცხვირ-სახოცი მისი პიჯაკის ჯიბეში ჩადო და ვიწრო ჯემპრი ჩამოიქაჩა.

გრიგორი აფანასიევიჩს შერცხვა, თითქოს აკრძალული რამ დაენახოს, წრბოში გაძვრა და დასაძინებლად გასწია. ნადეჟდა ბორისოვნა იქვე გახსენებია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

‡

დილით გრიგორი აფანასიევიჩი შერცხლების გამაყრუებელმა ელურტულმა გამოაღვიძა. ჩაიცვა, გარუჯულ თავზე პირსახოცი შემოიხვია და გამოვიდა. პლიაჟზე ჯერ არავე იყო.

თითმიჭერილი ონკანიდან რომ წყალი ისხმევა, ისეთ წვრილ ჭავლებად ეშვებოდა მთის მწვერვალებიდან ყველა მხარეს მწველი, გამჭვირვალე მზის სხივები. ცივი, ეოლოსფერ-ლურჯი ზღვის სივრცე მოუთმენლად თრთოდა მზის მოლოდინში, ტალღებში მსუბუქად გადადიოდა ყირაზე მსუქანი დელფინი. უცებ ეს ვეება ზღვა კიდით კიდემდე თვალის მომჭრელად გაშუქდა და ისე აბრწყინდა მწვანე შუქით, დელფინს თვალს ვეღარ მიატანდი კაცი. მთების თავზე მზე ამოიწვერა.

მალე ბებერი მებაღე გამოჩნდა. მან პერანგი გაიხადა, ხოლო შარვალი თავად ჩასძვრა. ყავისფერ წელზე შემორტყმული ბაწარი არც შეუხსნია, ისე შევიდა წყალში მუხლამდე და პირჯვარი გადაიწერა. მერე თავსაბანი მიწით გაისაპნა სხეული, საქმიანად ჩამოიბანა და ისე გამოტრიალდა, სულაც არ უგრძვნია ამ გაბრწყინებული დილის სილამაზე.

— რა ამინდია! — გაისმა ვილაცის ხმა იქვე. — ულტრაიისფერია.

გუშინ ჩამოსული ციმბირელები იყვნენ.

— ხედავთ, — თქვა ჭალარა გოშამ. — ხომ ვითხარით, აქ მამაკაცების პლიაჟია-მეთქი. ცოლების აქ წამოყვანა არ შეიძლება.

გრიგორი აფანასიევიჩი მთლად შიშველი იწვა და სახეზე პირსახოცი ეფარა. სამოქალაქო ომის დროინდელი სვირინგი ჯერაც არ გადასვლოდა: გულზე — არწივით, ჯვრითა და კლდეებით შემკული ძეგლი, მარცხენა ხელზე — სირინოზი. სირინოზი უკუდო იყო. ელექტროშემდუღებლის ნახელავი ნაწიბურივით უხეშ ნაიარევს წაეცილია ბოლო მისთვის. ნაიარევის პრიალა კანს თითქმის არ მოჰკიდებოდა მზე, საველე პოსპიტალში ნაუცბათევად გაკერილი ჭრილობის ნაკვალევი გადამდგარ პოლკოვნიკს შოკოლადისფერ ფეხებზედაც უბრწყინავდა და მხარზედაც.

— ძველია? — პატივისცემით ჰკითხა წითურა გოშამ, კაცი ვერ გაიგებდა, ნაჭრილობევს გულისხმობდა თუ ნასვირინგევს.

— ძველია, — მიუგო გრიგორი აფანასიევიჩმა.

დაწვრილებით აღარ მოუყოლია და აღარც ციმბირელებს გამოუკითხავთ მისთვის. შორცხვად გაშიშვლდნენ, ჩრდილოური მზედაუკრავი სხეულები მზეს მიუფიცხეს და რომელიღაც რკინიგზის ჭრასაზე გააბეს საუბარი. ფრიალო, ერთმანეთს გადაბმულ დაღმართებს ახსენებდნენ, ბორცვების სამხრეთ ფერდობებს, გაზაფხულობით რომ „ცრემლებს აფრქვევდნენ“, გიგანტურ ლოდებს, ფერდობიდან ძირს ჩამოფრენილები ღერძებს რომ აგდებინებენ ვაგონებს, ფოლადის რელსებს, ყინვებისგან რომ მინასავით სკდებიან... ამბობდნენ, ციმბირი ძალას იკრებსო, და გრიგორი აფანასიევიჩსაც ეამა მომავლის რწმენით აღსავსე ლაპარაკის სმენა. ამ მომავალს შესწირა მან მთელი სიცოცხლე, ეს მომა-

ვალი იყო, ზოგჯერ რომ ძალზე შორეული ეჩვენებოდა და ზოგჯერ კი — მიუწვდომელი. და ახლა, როცა ავადმყოფობამ დარია ხელი და აღარაფრისთვის აღარ ვარგა, — სწორედ ახლა ეს მომავალი მოულოდნელად მის გვერდით აღმოჩნდა, ისე ახლოს, რომ მისი ხმაც ესმოდა... რაღა თქმა უნდა, მას აღარ მოუწევს ამ მომავლისთვის შრომა, მაგრამ რა მოხდა მერე! აი, ნინა ხომ ჩემი ჩემი პოდა, გრიგორი აფანასიევიჩსაც მადლობით აეცსო გული ნინასადმი.

ციმბირელებმა ახლა რკინიგზის ელექტროფიკაციისათვის ცვლადი დენის სარგებლიანობის თაობაზე გააბეს კამათი და ამ დროს პაშაც მოვიდა.

— დიახ, — თქვა მან, როცა მოისმინა მათი კამათი. — ხედავთ, ბოლოშიც გავსულვართ უკვე, სამყაროს შეცნობის უკიდურესი საზღვრისთვის მიგვიღწევია. მაღე ისიც იქნება, რომ ტელეგრაფით გადავცემთ ადამიანებს. განა სახელსა და გვარს; არა, ბატონო, პირადად თქვენ გადავცემთ. ჩხიიკ — და ვლადივოსტოკში ამოჰყოფთ თავს — თუმცა კაცმა არ იცის, ამით ბედნიერებას მოგანიჭებთ თუ არა, — პაშას უცებ თვალები აენტო. — აბა, ცარიელ კოლოფი ჩემკენ, — სხაპასხუპით თქვა მან, რა ნახა, ჭალარა გოშამ „ლუქსს“ მოუკიდა.

პაშას, ვარდა იმისა, რომ თამაში უყვარდა, ერთი გატაცებაც ჰქონდა, კაცმა რომ თქვას, სწორედ ამ გატაცებამ ჩამოიყვანა ყირიმში: ზღვის კენჭებს აგროვებდა. ამბობდა ჩემი კოლექცია უკვე ათ კილოგრამზე მეტს იწონისო. მთელი ეს დოვლათი პაპიროსის კოლოფებში ჰქონდა შენახული, კვადრატულ, ბამბაამოფენილ ბუდეებში. კოლოფების მიმწოდებლები არ აკლდა, გრიგორი აფანასიევიჩიც აძლევდა „ყაზბეგის“ კოლოფებს.

ციმბირელებმაც გამომჟღავნეს მზადყოფნა პაშას კოლოფებით მომარაგებისათვის და მანაც, მადლობის ნიშნად, უჩვენა თავისი ახალი მონაპოვარი, ხელისგულზე ფერად-ფერადი, შრეოვანი, დაჭორფლილი, მაქარყინულივით გამჟვირვალე კენჭები გადმოიყარა.

— ხედავთ, რა მშვენიერებაა! ნახე ერთი, ქალცედონია! — ამბობდა და ნეკა თითით ატრიალებდა კენჭებს — უყურეთ, სარდიონია!

იშვიათ ქვებს — გამორჩეულად საყვარელ ქვებს — პაშა განსაკუთრებულ სახელებს არქმევდა: „კარამბოლიტი“, „კარმენსიტა“...

— ამ გამოდრუტულ კენჭს რაღად ჰქვია ნეტავ „ქათმის უფალი?“ ნამი-ნარევი ხმით იკითხა გრიგორი აფანასიევიჩმა. რაკი საქმე არა ჰქონდა ხოლმე, თავშესაქცევად ზოგჯერ პაშას კენჭებისადმი სიყვარულს დასცინოდა.

— ღიპი წამოგეზარდათ, პოლკოვნიკო, — შეეხუმრა პაშაც.

— ეს ღიპი არ გახლავთ, დიაფრაგმამ აიწია.

ციმბირელებს დიდი რიდი შეჰპარვოდათ ამ სიტყვაძვირი, წარმოსადეგი პოლკოვნიკისა. ახლა კი მიხვდნენ, რა გულთბილი და კეთილი კაცი ყოფილა თურმე.

მუდამ ასე ხდებოდა: სადაც პაშა გამოჩნდებოდა, ირგვლივ ღიმილი და სითბო იღვრებოდა. პოდა, ნასაუზმევს ოთხივენი გულითადი მეგობრებივით ჩაუსხდნენ ბანქოს. პაშამ ტანთ გაიხადა, მწვანე შარვალი კობტად დაკეცილი დადო და რაღაც განსაკუთრებული, შალის პატარა ჯიბეებიანი საცურაოს ამარა დაჯდა. ისეთი გამხდარი იყო, ჭალარა გოშამ მეგობარს ჯლიქვი ჰკრა გვერდში და უთხრა:

— ერთი უყურე!

— დიახ, — თქვა წითურა გოშამ, — მთელი არმატურა მოუტანს.

— ფაშისტური ოკუპაციის მსხვერპლი გახლავარ, — იხუმრა პაშამ. ყველას გაეცინა. კარტს ჩაუსხდნენ.

პაშამ ფეხები თურქულად შემოიკეცა. უფრო მოხერხებულად მოეწყო. თუმცა ვინ მოასვენა. მოვიდა მებაღე, სწორედ ის, განაღობდა და იკითხა:

— ვინ არის თქვენ შორის პაველ ევგენიჩი?

— მე ვარ პაველ ევგენევიჩი, — უთხრა პაშამ. — თქვენ ვილა ხართ, პერცოგი ხომ არა?

— დასასვენებელი სახლიდან გახლავართ, — უთხრა ბერიკაცმა და გულგრილად გახედა ყარადაღს. — ოცდამეოთხე ოთახში გთხოვეს შევლა.

— ვინა, ნადეჟდა ბორისოვნამ? — ჰკითხა პაშამ. — შვიდი ყვავი მაქვს.

— ნადეჟდა ბორისოვნამ.

— რაო, რა მოხდაო?

— ცუდად არის. გული აქვს ცუდად.

— აი, უბედურება... მე შვიდი გული მაქვს. რამ გაუხადა გული ცუდად?

— აბა რა ვიცი? ალბათ მზეზე დაიწვა.

ბერიკაცი ფეხს არ იცვლიდა, ყარადაღს მისჩერებოდა ჭიუტად.

— რვა ყვავია, — გამოაცხადა პაშამ.

— წამოხვალთ ხომ? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— მე, პაპავ, ფიზიკოსი ვარ..

— ვინაო?

— ფიზიკოსი. მას კი ექიმი ესაჭიროება.

— მაშ, არ წამოხვალთ?

— იცით, რა გითხრათ... ხომ შეიძლება ვერ მოგენახეთ? შეიძლება. პოდა, ძალიან გთხოვთ, ასე უთხარიოთ, ვეძებე, ვეძებე და ვერსად ვერ ვნახე-თქო.

პაშამ გაოცებით ჩაადევნა თვალი, რა მარჯვედ არიგებდა კარტს პაშა, და წავიდა.

— ხომ არ შეგვეწყვიტა თამაში? — შესთავაზა ჭალარა გოშამ. — ვინ იცის, იქნებ სერიოზული რამ სჭირს?

— არა, — ხელი ჩაიქნია პაშამ. — ბუფონადაა... ერთი მეგობარი მყავს, ფიზკულტურელი, იმან მასწავლა: სუსტ სქესთან ურთიერთობისას მთავარი ჯერ მიდგომა და მერე გაცლააო. მიდგომა იდეალური ვიცი, აი, გაცლა კი, ვერ იქნა და, ვერ ვისწავლე. მუდამ რალაც გართულებები მოპყვება ხოლმე.

გრიგორი აფანასიევიჩმა წარბი შეიკრა და ხმამაღლა თქვა:

— პას.

— პასი და პასი იქნება შანსი... — მიაღუქსა პაშამ.

— ჩვენს ატომის საუკუნეში სიყვარული... ავტომატქანასავითაა. გულით გინდა გქონდეს, შეიძენ და — დავიდარაბას ველარ აუხვალ.

გრიგორი აფანასიევიჩმა უფრო მეტად შეიკრა წარბი. დღეს მართლაც რომ არ მოსდიოდა თვალში პაშა. თუმცა მამაკაცების პლიაზეზე იყვნენ, მაგრამ მერე რა.. საოცარია, როგორ ეცეკვა ამ კაცს ნინა მთელი საღამო!..

— ჭალი რომ ოცდაათს გადააბიჯებს დემოკრატია ქრება და ტირანია იწყება. — განაგრძობდა პაშა. — ისა სჯობს, რომელიმე ნორჩი ფრიადოსანი

გამოიჭირო კაცმა, თვალხუჭუნა ვინმე ბრიყვი, და კენჭების საძებნელად ატარო...

„საინტერესოა, სანამ დაუგდებენ ყურს ციმბირელები ამ უხამს ლაპარაკს?“ — გრიგორი აფანასიევიჩმა შეფარვით შეავლო მათ თვალი, ციმბირელები ისე უსმენდნენ, ვითომც აქ არაფერიო.

„იქნება ასეა საჭირო? — გრიგორი აფანასიევიჩს მთლად აებნა თავგზა. — თამაშის დროს კაცი რას არ წამოაყრანტალებს... იქნებ ბერიკაცს მერვენება უხამსობად პაშას ნათქვამი, ბებრული გულაზიზობით მომდის პა!“

მათკენ ისევ პაპა-მებაღე მოდიოდა.

— აბა რაო? — ჰკითხა პაშამ ჰირვეულად.

— მოდითო, შემოგიტვალეს, — ისე თქვა მებაღემ, ყარადაღისთვის თვალი არ მოუშორებია. — თორემ, იცოდეთ, თავად მოვალ მანდო...

— ხომ უთხარი ჩემზე, ვერ ვნახეო?

— ვუთხარი.

— მერე?

— იმან კი მითხრა, იქ არისო. — პაპა ჯიუტად მისჩერებოდა მთას, თითქოს პაშას კი არა, ყარადაღს ელაპარაკებოდა.

— კაცო, ხომ უთხარი, ვეძებე და არ არის-თქო?... უთხარი თუ არა?

— წასულიყავით თქვენც. ტირის ქალი! — უცებ საოცარი გაღიზიანებითა და ყვედრებით ჩაილაპარაკა პაპამ.

— აღარ მინდა თამაში! — გრიგორი აფანასიევიჩმა დაყარა კარტი. — გინდა ჩაიწერეთ და გინდა არა...

— რას იზამ, უნდა მოვრჩეთ თამაშს. — პაშა წამოდგა და ბალთის წკრილით ამოიცივა შარვალი — აი, ხომ ხედავთ, ამხანაგებო, — თქვა მეგობრული ჰკუთის სწავლებით. — ჩვენს ატომის საუკუნეში არ შეიძლება გადაეკიდო გადამწიფებულ „მილოსელ ფანრებს“...

პაშას მოეჩვენა, რომ გადამდგარმა პოლკოვნიკმა ცივად მიიღო მისი სიტყვები, და გამოსაცდელად ჰკითხა:

— პაპიროსის კოლოფი ხომ არ გაგიცლიათ?

— არა! — მკვახედ მიუგო გრიგორი აფანასიევიჩმა.

ამ დროს კულტმუშაკი მოვიდა, კატერით საკვირაო გასეირნებაზე მსურველებს იწერდა. ციმბირელებმა თავიანთი თავიც ჩააწერინეს და ცოლებიც. დაბნეული გრიგორი აფანასიევიჩიც ჩაეწერა, მაგრამ მალე მოაგონდა, რომ ორ დღეში შინ ბრუნდებოდა და კულტმუშაკის საძებნელად გაეშურა, რათა თავისი გვარი ამოეშლევინებინა.

5

საღამოთი გრიგორი აფანასიევიჩი სასეირნოდ აღარ წასულა, ღამით ძილი გაუტყდა. დილაადრიან რომ მივიდა სააადილოში, ხალხი თითქმის არ იყო. ნინამ ქარივით ჩაუქროლა, ხელში ლანგრით. თვალები უბრწყინავდა, ყელზე ახალთახალი, შეღებილი ნიყარების ყელსაბამი შეება. ეტყობა, წუხელ ისევ ეცეკვა პაშას. გრიგორი აფანასიევიჩს ხეირიანად არ უსაუზმია, მაგრამ ნინამ ვერც შეამჩნია ეს ამბავი.

გრიგორი აფანასიევიჩი სასადილოდან გამოვიდა და კართან თავგზააბნეუ-

ლივით გაჩერდა. ძალღმა, რომელიც ყოველდღე საიდანღაც მოიბრუნდა ხოლმე საუზმე-სადილობა-ვახშმობისას, გაკვირვებით შეხედა გრიგორი აფანასიევიჩს და მერე გაეცალა. გრიგორი აფანასიევიჩი მზით გამთბარ დაწნულ სავარძელში ჩაჯდა, თუმცა თავადაც არ იცოდა, რას ელოდებოდა. *ერჩენსული*

ზღვაზე ტალღებს გრიალი გაჰქონდა. ქარი გზაზე ახვეტილ მტვერს გრეხდა და ახვევდა. გრიგორი აფანასიევიჩს დაჭრილი ფეხი ტეხდა — გაავდრებას თუ აპირებდა.

გრიგორი აფანასიევიჩი წუხანდელი ცეკვების შემდეგ დარჩენილ მზესუმზირის ჩენჩოსა და ფეხით დასრესილ პაპიროსის ნამწვავებში იჯდა და პირქუშად გასცქეროდა კირით შეთეთრებულ მოაჯირს. ამ მთებისა და ზღვის ველური სილამაზის შემხედვარეს, ეს ულაზათო ნაგებობა აღიზიანებდა და ბაზრის მზატვრის დათხაპნილ სურათს აგონებდა, სადაც ისეთივე მოაჯირი, გუბურა და კისერწაწვდილი ორი გედი ეხატა ხოლმე. მან გახედა გაბრწყინებულ ზღვას, თვალწინ ორი ნისკარტებმიდებული გედი წარმოუდგა და ხმამაღლა თქვა:

— ეს რა უბედურებაა!

ქარი კი მძლავრდებოდა: ჰაერი მტვერმა გააყვითლა. ცასა თუ ირგვლივ ყველაფერს ისეთი ფერფლისფერი დაედო, როგორც მზის დაბნელების წინ იცის ხოლმე. ზღვა აატრელა ქაფიანმა ტალღებმა. ფრინველები მიმოიფანტნენ. სასადილოდან აღარავენ გამოდიოდა, ეტყობა, ყველამ ისაუზმა უკვე. ძალღმაც თავს უშველა.

გრიგორი აფანასიევიჩს მოაგონდა, რომ შინ დეპეშა არ გაუგზავნია, და ფოსტისაკენ გაეშურა.

ნახევარი გზა არ გაევილო, ნინას მოჰკრა თვალი. მიდიოდა და დროდადრო დაიხრებოდა, კაბა რომ მუხლებზე ჩამოეჭახა.

გრიგორი აფანასიევიჩი წამოეწია და ჰკითხა:

— საით გაგიწევია?

— კულტსაქონლის მაღაზიაში მივდივარ. პაველ ევგენევიჩმა საბავშვო ნიჩბის ყიდვა დამავალა.

— რაში დასჭირდა ვითომ?

— ხვალ მე და ის სარდიონის ყურეში მივდივართ, „კარმენსიტების“ საქებნელად.

— „კარმენსიტები“ რაღაა?

— ქვაა.

— ასეთი ქვა არ არსებობს.

— პაველ ევგენევიჩმა უკეთ იცის. — შეეპასუხა ნინა, — კენჭებს ის აგროვებს, თქვენ ხომ არა.

— დაიცა, დაიცა, ბარკოვში წასვლის საქმე როგორღაა?

— მე იმ ქალს არ წავყვები. ერთი ისიც!...

— ყური მიგდე, ნინა.

მათკენ მტვრის ღრუბელი მოჰქროდა, ამიტომ, პირი იბრუნეს, ქარს აერიდნენ. ყვითელმა ქარმა სტვენით ჩაუქროლათ და ზოლა-ზოლა წაიღო მტვერი. ნინამ და გრიგორი აფანასიევიჩმა შეიცადეს, მერე ტანსაცმელი ჩამოიბერტყეს და გზა განაგრძეს.

— ყური მიგდე, ნინა... — უთხრა ისევ გრიგორი აფანასიევიჩმა.

იოლი როდი იყო ამ საუბრის დაწყება. ნინა პატარაობიდან უცხოებში

ცხოვრობდა. უცხოები ასმევ-აჰმევდნენ, სიკეთეს არ აკლებდნენ. მშობლების მავიერობას უწევდნენ, იგი მიჩვეული იყო ნდობოდა უცხოს. ჰოდა, მისი დარწმუნება, რომ კარგ ხალხს შორის ზოგჯერ ცუდსაც შეხვდები, ვისაც არც შენი ბედი ანალვლებს და არც შენი მომავალი — ძალზე ძნელი ეყოფოდა. ნინასთანა ყმაწვილი ქალი გონიერულად ვერ განსჯიდა საქმეს: ესე ანაზღად აწაეკიდა ცეცხლი, თითქოს ნავთზე ბენზინი დაესხათ — ორი დღეა მოჯადოებულვით დადიოდა, მიუხედავად ამისა, გრიგორი აფანასიევიჩმა მაინც გაბედა და შეაპარა:

- როგორ გგონია, ბედნიერად ცხოვრობს ნადეჟდა ბორისოვნა?
- რა ბედნიერი ცხოვრება მაგასა აქვს? — მიუგო ნინამ. — შარშანწინ მთელ სანატორიუმს გული გადაუტრიალა, კაუსტიკით მოიწამლა.
- რა კაუსტიკით?
- არის ასეთი ნაერთი, ჭურჭლეულს ვხეხავთ ხოლმე, ალუმინის გახეხვა მაგით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. გაშავდება ჭურჭელი. უბრალო რკინისთვის კი მისწრებაა. ჟანგსაც კი აშორებს.
- ეს ალბათ კაუსტიკური სოდაა.
- არ ვიცი. ჩვენ კაუსტიკს ვეძახით.
- შემოკლებით იქნება, თორემ ქიმიასი კაუსტიკური სოდა ჰქვია.
- ალბათ მაგრეა. მინადულს კი კარგად აცლის და.
- „რა შუაშია კაუსტიკი? — გაბრაზდა გრიგორი აფანასიევიჩი. — რა დროს კაუსტიკზეა ლაპარაკი?“

ყარადაღს გადაღმა ცა ორჯერ აინთო წითლად.

- ფეხს მოვუჩქაროთ, — თქვა ნინამ. — საცაა გაავდრდება.
- მე ხვალ მივემგზავრები, ნინა, — დაიწყო გრიგორი აფანასიევიჩმა და ნაბიჯს აუჩქარა. — გულახდილად უნდა გითხრა, მეშინია იმიტომ, რომ უკვე დაგეწყო ეს ამბები. — ასე მონათლა გრიგორი აფანასიევიჩმა სიყვარული. დარწმუნებული იყო, ნინა გაუგებდა. — თუ კაცური კაცი შეგხვდა, ხომ კარგი. მაგრამ შენი გულუბრყვილობით რომ ვინმე თაღლითმა კობტაპრუწამ ისარგებლოს, ვისაც არც ღმერთისა სწამს, არც ეშმაკისა, და მარტო ნიშანდებული ატონებისა სჯერა?... ვინც თავის გასართობად მთებში წაიყვანს თმაშეღებულ ჩერჩეტ ქალებს რაღაც კენჭის საძებნელად? იცოდე, გულს მოგიკლავს ეგ კაცი, მერე დაჯდება თავის „ვოლგაზე“ და, ვინ იცის, საით გასწევს. შენ კი დარჩები ასე წელში გატეხილი, ამ მიწიერი სილამაზის უცხო თვალით მაცქერალი და ისეთი დამწუხრებული. კაცმა ველარ გადაგაშლევინოს გული. უშენოდაც ბევრი შემხვედრია ასეთი.

— როგორ არა, — უთხრა ნინამ. — აი, ჩვენი ნიურკა ავილოთ. ვილაც დამსვენებელთან დრო ატარა, მერე იმ კაცმა ხუთასი მანეთი აჩუქა აბორტის გასაკეთებლად, ნიურამ კი იმ ფულით ლაბადა იყიდა. ხულეული არ არის?

— შენ არავითარი უფლება არა გაქვს უბედური იყო! — ბრაზით შეაწყვეტინა გრიგორი აფანასიევიჩმა. — შენ საინტერესო, მშვენიერი ცხოვრება გელის. ჩვენ მოგიტანეთ ეს ცხოვრება... ჰოდა, ბებრებსაც უნდა გავვიმართლო და საკუთარ თავსაც... რასაკვირველია, თუ გრძნობა გეწვია, რას იზამ — ბუნების კანონს ვერ გაექცევი... მაგრამ კარგად დაუკვირდი, რომ არ გადაგიჟოლოს ამ გრძნობამ და თავი არ მოგჭრას ქვეყანაზე, რომ მწუხარებად კი არ გექცეს. ზარზეიმით შეგაცილოს ნამდვილ ცხოვრებაში.

ყარადღას იქით ისევ იელვა და განათდა ცა. სადღაც აქვე, ღობის შიშველ
გაბშით და მჭექარედ იქუხა. თითქოს ნიშანი იყო, წამსვე დედაჩინას ღვარძი-
ქაფი დაატყდა თავს. თეთრი ნაკადები სტვენით მოქროდნენ ციდან, აკაციებს
გამხმარ ფოთლებსა და ყვავილის ფურცლებს აჭრევინებდნენ.

ახლომახლო საიმედო თავშესაფარი არსად იყო და ბუნებრივი გრიგორი
აფანასიევიჩი გუბეებში ტყაპატყუპით გაუყვნენ ღობეს. გრძელი, ოღროხოლ-
რო ფილების ყორე იყო, შიგადაშიგ ბალახს ამოეჭო თავი. უორე რომ ჩათავ-
და, რკინის ჩარდახიანი სახლი გამოჩნდა, ხის კიბით. კიბესთან ძველი ემალის
ტაშტი ეგდო.

ნინამ კიბე აირბინა და კარს აეკრა. შეეცადა მიწებებულ სველი კაბა
მკერდიდან როგორმე აეძრო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მალე გრიგორი აფა-
ნასიევიჩმაც მოაღწია აქამდე. სახურავიდან წვიმა ასხამდა. ჰაერში წამდაუწუმ
მწვანედ ელავდა. გრგვინვა ხან მარჯვნიდან ისმოდა, ხან მარცხნიდან. ზღვის-
კენ პატარა მდინარე მიჩქრილებდა და ქუჩასთან მიახლოებული რამდენიმე ნა-
კადად იყოფოდა. ტაშტი კვნეაოდა წვიმის ნაკადებისაგან, მაგრამ ცარიელი კი
იყო, წყალი არ რჩებოდა შიგ.

ათი წუთის შემდეგ თავსხმა შეწყდა. ჩამომდგარ სიჩუმეში მკაფიოდ ისმო-
და წვეთების წკაპწკუბი. უოველი მხრიდან მოწყაპუნებდა წვეთები. სახურა-
ვიდან, ხეებიდან, ბუჩქებიდან, ნინას კაბიდან; მიწაზე, კიბის საფეხურებზე, ტაშ-
ტში ცვიოდა. ცაზე მზე გამოჩნდა — დილანდელი მზე კი არა, სულ სხვა — ახ-
ლადშობილი, პირმრგვალი, რომელმაც თავისი მწველი შუქით ყველაფერს
ოსშივარი აადინა: მიწასაც და ქვასაც. განბანილი მიწის მსუყე, ფენა-ფენა ნა-
ობში ჰაერში მზის სითბოს ორანჟერეისებრი სურნელი შეერია.

— მე წავალ, — თქვა ნინამ.

— ხომ ყველაფერს მიხვდი, რაც ვითხარი? — ჰკითხა გრიგორი აფანასი-
ევიჩმა.

ნინამ თავისი მოგრძო შავი თვალები შეანათა და ნელა დაუქნია თავი.
გრიგორი აფანასიევიჩს მოეჩვენა, რომ მასა და ნინას შორის კვლავ გაიბა ის
უტყვი ურთიერთგაგების ძაფი, უკვე გაწვეტილი რომ ეგონა.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, ჩემო ცისანავ, — უთხრა გულჩვილებულმა
და პაპიროსი მოიძია.

კოლოფი სველი იყო, მაგრამ პაპიროსები მშრალად გადარჩენილიყო. გრი-
გორი აფანასიევიჩმა ყველაზე მშრალი ამოარჩია და ფიქრებში გართულმა
მისი სრესა დაიწყო.

ნინა უცებ გამოერკვა, საჩქაროდ ჰკითხა:

— კოლოფი ხომ არ გაგიცლიათ?

გიორგი აფანასიევიჩმა შიშით შეხედა, რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ
ტუჩები აუთრთოლდა, ხელი ჩაიქნია, ნინას გაეცალა და გუბეებში ტყაპატყუ-
პით გააბიჭა.

8

ხანმოკლე ღვართქაფმა ამინდი ვერ შეცვალა; დეღუები ზღვას შეუერთდა,
გუბეები ამოშრა, ზღვისპირა დაბაში ისევ ავარდა მტვერი და ჩამოცხა.

დასასვენებელი სახლის სასადილოში არავის დაუკვეთავს მაკარონიანი ქა-
თამი, ყველა ცივ ჭარხლის წვნიანს თხოულობდა.

გრიგორი აფანასიევიჩი მეორე თავ კერძს ჭამდა, როცა ნადევდა ბორისონა მივიდა მასთან.

— ახალი ამბავი თუ იცით? — ჰკითხა გაოცებით ქალმა. — ნინა წამოსვლას არ აპირებს.



გრიგორი აფანასიევიჩმა ხმაურით გააცურა სკამი და დაეძინა. მოთქვა:

— მერე, კაცმა რომ თქვას, მე რა მესაქმება?

ტკბილს აღარ დაელოდა და სასადილოდან გავიდა.

განუწყვეტლივ აგონდებოდა ნინასთან უშედეგო საუბარი და ვერ ისვენებდა. თავს ღვანდობდა. ისეთი ზიზლით ფიქრობდა საკუთარ თავზე, თითქოს იცოდა, რაღაც ავი საქმე უნდა მოხდესო, და არც თვითონ შეელოდა საქმეს და არც სხვებს უმხელდა.

„ან... ან იქნებ... პაველ ევგენევიჩს მოვლაპარაკებოდით? — გაუელვა უცებ გონებაში. — ისიც ხომ ნინა არ არის, მას უბოდიშოდ შემიძლია ვუთხრა ყველაფერი. ალბათ არ გამიჭირდება დავარწმუნო, რომ ნინას თავი გაანებოს. მისთვის ხომ სულ ერთია“.

შინისაკენ მიმავალი გრიგორი აფანასიევიჩი შუაგზიდან უკან მობრუნდა და უქუდოდ და უჯობოდ, კოჭლობით გაეშურა პანსიონატისაკენ.

პაშა თავის „ვოლგასთან“ ჩაჩირობდა. საბარგულიდან თერმოსი ამოიღო და სადღაც წასვლას აპირებდა.

— მეთევზეებთან მივდივარ, — საქმიანად აუხსნა მან, — ისეთი ბარაბულა აქვთ. უკეთესი არ შეიძლება. გირჩევთ წასვლის წინ მოიმარაგოთ.

გახურებულ გზატკეცილს გაუყვნენ. პაპანაქება იდგა, ლანჩები ისფალტს ეკვროდა. ბიტუმის სუნი იდგა.

— აქ უქუდოდ სიარული მართლაც არ შეიძლება, — თქვა პაშამ. — პლიაზე ორს დაჰკრა მზემ.

გზატკეცილიდან გადაუხვიეს და ციცაბო, დაკლავნილ ბილიკს აუყვნენ. ფერდობზე საბრალოდ ხმებოდნენ ველური ბალბის ფერჩამკრთალი ბუჩქები.

— საცოდავი ყვავილები, — თქვა პაშამ. — ჩვენს ატომის საუკუნეში სისულელეა ყვავილების სიყვარული. სასაცილოა, ხომ?

— სულაც არაა სასაცილო. — მოუჭრა გრიგორი აფანასიევიჩმა.

— თუმცა იაპონიაში უმაღლესი ჩაღდო ქრიზანთემის ორდენია, — თქვა პაშამ. — კარგია, არა?

— აი, რა, პაველ ევგენევიჩ, — მოულოდნელად ბრძანების კილოთი წარმოთქვა გრიგორი აფანასიევიჩმა, — გთხოვთ, ნინას ნუ აწყენინებთ.

პაშა შეჩერდა. გრიგორი აფანასიევიჩიც შეჩერდა და დაბნევით მიაჩერდა თანამგზავრს: არ ელოდა, თუ ასე იოლად დასცდებოდა სათქმელი.

— აი თურმე რა! — ჩაილაპარაკა ბოლოს პაშამ და გაიღიმა. — მესმის.

— არაფერიც არ გესმის! საქმე ის გახლავთ, რომ ეს გოგო ჩემთვის ძვირფასია. და რომ ყველაფერი გასაგები იყოს, უნდა გიაშბოთ, როგორ გადმოგვსვენს ქერჩის ნახევარკუნძულზე ორმოცდასამ წელში.

ყოველთვის, როცა კი გრიგორი აფანასიევიჩი ამ სიტყვებს იტყოდა ხოლმე, თვალწინ დაუდგებოდა შემოდგომის ღამე, გადატვირთული მოტობოტის ქიმთან მოჩქრივად მიძიმე წყალი, ერთმანეთს ისე მჭიდროდ მიჭექვცილი მედესანტეები, რომ ხელის განძრევის საშუალებაც არ იყო. ერთურთის მიყოლე-

ბით ინთება მტრის პროექტორების მკრთალი სინათლე. უფრო ხშირად და უფრო ხმამაღლა ჰქუხან ზარბაზნები, რან მარჯენივ, ხან მარცხნივ ზვინ-ზვინად წამოიშართება წყალი... მოტობოტი კი ნელა მიარღვევს წყალს. პროექტორის სხივი შედესანტეების ლაბადა-კარვებს ებჯინება, ჯარისკაცები ამ მკვდარ, ცივ სხივებს თვალებს ვერ უსწორებენ და ხუჭავენ. ყოველი მხრიდან პრტილერიის გრიალი ისმის. გრძელ, ჭრელ ჯაჭვად მოფრინავს მსხვილკალიბრიანი ქვემეხების მგეზავი ტყვიები: ჯიქურ ისვრიან, ლამის თვალებში გიმიზნებენ. ხალხი კი დგას მხარი მხარს მიბჯენილი, ერთმანეთს მიკრული. როცა გადმოსხდომა იწყეს, მაშინლა გაირკვა, ვან იყო ცოცხალი და ვინ მკვდარი...

ყველაფერი ეს ახლა, ამდენი წლის შემდეგაც თვალწინ უდგას. მაგრამ ვანა შეიძლება ისე მოჰყვეს, რომ პაშა მიახვედროს, რა იყო და როგორი იყო. არა, ამის მოყოლა შეუძლებელია.

— გადმოვსხედით და დავსცხეთ მტერს, — თქვა გრიგორი აფანასიევიჩმა.

ჩემი ნაწილი კამიშ-ბურუნის გზით მიიწევდა, თითქმის დამბამდე მივალწიეთ. მაგრამ დილით მტერმა დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. მაშველი ჯარი კი არ ჩანდა. რა უნდა გვექნა, იძულებული ვავხდით თხრილებში ჩავმალულიყავით. გადარბენის დროს გაქანებული პირდაპირ რომელიღაც დანგრეულ სარდაფში ჩავხტი და კინალამ ცოცხალი არსება გავსრისე. სარდაფში ხუთაოდე წლის გოგონა იჯდა და ფეხსაცმლის ზონარს იკრავდა. ხომ გესმით, პაველ ევგენევიჩ, ზღვიდან ხომალდები ისვრიან, ჰერჩიდან გერმანელები, ტამანიდან ჩვენები — მთელი დედამიწა ყალყზე დგას, ეს გოგონა კი ზის თავისთვის და ფეხსაცმელების ზონრებს იკრავს... თითქოს ასეც იყო საჭირო. თითქოს ასე უნდა იყოს და იქნება მუდამ, და აქ არც საფიქრალია რამე და არც საშიში...

გრიგორი აფანასიევიჩი გაჩუმდა და ხელი ჩაიქნია. იგრძნო, რომ თავის აზრებს დალაგებულად ვერ გამოთქვამდა. საფეთქლებში თითქოს რაღაც უკაცუნებდა. ოფლი მოსწურწურებდა საყელოზე და წარბ-წამწამებზე ესხმოდა; სველი ცხვირსახოცი გამჭვირვალე გამხდარიყო... სანდლებში წვეტიანი კენჭები ჩავარდნოდა, მაგრამ ფეხი არ შეუჩერებია. ჯიუტად მიაბიჯებდა მთაზე და თვალს ადევნებდა, როგორ ნელ-ნელა ბორძიკ-ბორძიკით მიცოცავდა მიწაზე მისი სქელი ლანდი.

— გოგონას ნინა ერქვა... ნაილე... ნინა... ვკითხე: „მამაშენი სად არის-მეთქი?“ — „ომში დაიკარგა“. — „დედაშენი სადღაა-მეთქი?“ ბავშვმა მიმითითა ჩვენგან ხუთასაოდე მეტრით დაშორებულ სახლზე: პატარა, თეთრი სახლი იყო, მილიდან კვამლი ამოდიოდა. „დედაშენი რატომ არ დაიშალა?“ — „დედაჩემი კვახის ღვეზელებს აცხობს“. — გრიგორი აფანასიევიჩმა ხრინწიანი ხმით, მღელვარედ ჩაიციხა. — კვახის ღვეზელებიო. და სწორედ იმ დროს, პაველ ევგენიჩ, ხომ გესმით, სწორედ იმ დროს, ჩვენ რომ თეთრ სახლს გავსცქეროდით, ყუმბარა დაეცა და თეთრი სახლი კვამლად და მტვრად იქცა მის ადგილას. მოტიტვლებული ადგილილა დარჩა, თითქო ეს სახლი კვამლითა და მტვრით იყო ნაგები...

გრიგორი აფანასიევიჩს მშვენივრად ახსოვს, როგორ შეხედა მაშინ ნინას, გოგონას წარბები ისრებივით მოელუნა და გაკვირვებით მისჩერებოდა. მერე სახე მოელრიცა, მაგრამ კი არ აქვითინებულა, ატირდა მხოლოდ, არა, კი არ ატირებულა, აფშლუკუნდა, ფრთხილად და ჩუმად ამოუშვა ფშლუკუნი, თითქოს ეშინოდა, არავინ მიმტყუპოა ამისთვისო. გრიგორი აფანასიევიჩმა უთხრა: „არა-

ფერია, არაფერი“, — და გოგონამაც მორჩილად ჩაიკმინდა ხმა...

გრიგორი აფანასიევიჩმა წარბებიდან ოფლი ჩამოიფერთხა და პაშას ვიწრო ზურგს გახედა. სიცხე აჭერდა. თვლებში, ხან უბნელდებოდა, ხან ისევ უბრუნდებოდა ჩინი. პაშა თავჩაჭინდრული მიდიოდა, თითქოს ფერად-ფეროდ კენჭებს ეძებდა.

ერქენული

— იგი ხუთი წლისა იყო მხოლოდ! — ძლივს ამოღერღებდა აფანასიევიჩმა.

მაგრამ მისი სიტყვები ყურად არავის უღია. მტვრიანი ჩალის შლიაპა, ამრეშუმის „ბობოჩკა“, გაძვალტყავებულ უკანალზე კობტად მორგებული გატყინებული შარვალი ოღნავადაც არ შერხეულა.

— ვერც წარმოიდგენთ, იქ რა ხდებოდა, — დაყინებით განაგრძობდა გრიგორი აფანასიევიჩი. — დაუსრულებელი ბრძოლები იყო — გაბმული, შეუწყვეტელი ბრძოლები. აკაკანდნენ ავტომატები... ჩვენ გზა მოგვიჭრეს... დაჭრილები ერთმანეთს უკეთებდნენ ოპერაციებს. ჯარისკაცები მკვდრებს ვახნებს აცლიდნენ... იცით თუ არა, რას ნიშნავს ბრძოლაში, მეორე ეშელონი რომ არ გყავს? როცა მის ნაცვლად შენ უკან წყალი დგას? საღამოთი ცოტათი მიწყდა ბრძოლა. დავსხედით ჩაფიქრებულები. ჰოდა, ამ დროს ისევ არტილერია დაგვესხა თავს. ცოცხლებიც მოცელა და მიცვალებულებიც ააფორიაქა, ქურვებით გადახნა ბორცვი, მკვდრები მიწიდან ამოყარა... გადავწყვიტეთ უკან, ნაპირისაკენ. სრუტისაკენ დაგვეხია...

გრიგორი აფანასიევიჩს თვალწინ უსასრულო, შიშველი, მურა ფერის ტრამალი დაუდგა, თეთრი, პატარა სახლები, ცეცხლწაქილებული თავის ზღვიანები. და კიდევ ყირიმის სოსანისფერი კლდეები. ციფერი ცა, ზღვა.

მოაგონდა ალისფერი ბინდბუნდი, ტრამალის ცივი ქარი. ქურვით გადატეხილი ალუბლიაა და ვაშლის ხეები... ეს ყოველივე, ზღვასა და მთებთან ერთად, მიცურავდა მის თვალწინ, და ისე მოუხდა ამ ჯაღოს გაფანტვა, საჩქაროდ ჩაილაპარაკა:

— შორს არ წავსულვარ. ქურვის ნამსხვრევს წამოვედე... ღამით გავახილე თვალი... ბნელოდა... ეკლებიან შამბნარში ვიწიქი. ვხედავ: ნინაც აქვია. ზის და ფეხსაცმლის ზონრებს იკრავს... ზონრები კი არა, მავთულები ჰქონდა. წითელი მავთულები. გერმანული. სამხედრო. ნაჩვრეტებში უყრიდა მათ. მაგრამ შეეკვრით ვერ შეეკრა, თითებში ღონე არ ჰქონდა... ხომ გესმით... უღონო... თითები.

გზა მალლა მთებში აღიოდა. მზე აჭერდა. ფეხები გაუხევედა და სანდლებში კენჭებს ვერ გრძნობდა. ტუჩები კვერცხივით გასაფცქენელი გაუხდა.

გრიგორი აფანასიევიჩი ჩქარობდა. თავბრუ ესხმოდა, ყურები უწიოდა. გრძნობდა, საცა იყო, დაეცემოდა. მაგრამ არ ჰქონდა დაცემის უფლება. უნდა უამბოს ყველაფერი პაშას. უნდა დააჯეროს. ჰოდა, ისიც ლაპარაკობდა:

— მარტო რომ ვყოფილიყავ, ვერ წამოვდგებოდი. მაგრამ გოგონას დანახვაზე წამოვდექ... ამოვიღლიავე ბავშვი და გავიქეცი... ტყვია დაგვიშინეს... მე მაინც გავრბოდი. ბავშვი გულში ჩაკრული მიმყავდა. ზარბაზნის ტყვიებს ისე გვიშენდნენ, როგორც ბელურებს საფანტს... დაჭრილ ფეხში მეორედ დავიჭერი... ნინა ისე მაგრად მყავდა მკერდში ჩაკრული, ბავშვი კრუსუნებდა. ჩვენებისკენ მივიჩქაროდი...

მერე რა მოხდა, გრიგორი აფანასიევიჩს კარგად არ ახსოვს.
ჯერ პაშას ხმა მოესმა:

— რა მოგივიდათ?

მერე ჩრდილში იჯდა, ზურგით ქვაზე მიყრდნობილი, პაშა კი რაღაც სველ-
სა და ცივს ადებდა თავზე, თერმოსის წყლით ასველებდა. თურქული ტყვესაბოცს,
მაგრამ გრიგორი აფანასიევიჩს არც წყლის გადმოსხმის ხმა ესმოდა და არც
პაშას ნაბიჯებისა. პაშა ტუჩებს აცმაცუნებდა, მაგრამ არც ლაპარაკი ეყურებო-
და მისი.

თანდათანობით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიადწია ცალკეულმა სიტყვებმა.

— ღრმა გრძნობა... სიკვარული! ლიტონი სიტყვებია... ხშირი ხმარებისა-
გან გაცვეთილი... თანაც რა საჭიროა? უიმისოდაც ვიცნობთ ერთმანეთს.. ჩვენ
შეას ზუსტად უჩამსად „დროის გატარებას“ ვეძახით...

— გაემგზავრეთ აქედან, — უთხრა გრიგორი აფანასიევიჩმა. — მანქანა
ხომ გაქვთ. განა სულ ერთი არ არის, სადაც...

— „და ვისთანაცო“, გინდოდეთ გეთქვათ, ხომ? — ცალკეად ჩაიციხა
პაშამ... — რა სალაპარაკოა... შერთალს ბრძანებთ.. მე მუდამ მეგონა, რომ ჩვენს
ატომურ საუკუნეში ღრმა გრძნობები სასაცილოა და ზედმეტი ბარგი... ამი-
ტომაც მუდამ თავს კარიდებდი

მიუხედავად იმისა, რომ პაშა შესამჩნევად ლელავდა, მაინც ვერ შეიკავა
თავი, რომ ჩვეულებისამებრ არ წაემასხარავა:

— ხომ გაგიგიათ პოლკოვნიკო: ჭკვიანი მთას არ აივლის, ჭკვიანი მთას შე-
მოუვლისო.. დღეს კი, ყურს რომ გიგდებდით... მივხვდი... მოკლედ რომ გითხ-
რათ, მშურს თქვენი, პოლკოვნიკო.

პაშამ ნაღელიანად გაჰხედა ზღვის იასამნისფერ შორეთს.

— ცოტა არ იყო, მეცოდება ჩემი თავი, — განაგრძობდა იგი. — მაგრამ,
ეტყობა, თავადა ვარ დამნაშავე, რაცა მჭირს, საკუთარი თავისგან მჭირს!.. აი,
ყველაფერი გითხარით... ჰო, ნინაზე მინდოდა მეთქვა... ნინაზე იმას გეტყვით,
რომ შეგიძლიათ სავსებით მშვიდად იყოთ...

გრძნობამორეულებმა მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს.

7

გამგზავრების დღეს გრიგორი აფანასიევიჩს დილაადრიან გაეღვიძა.

ზღვიდან გრილი, მარილიანი ქარი უბერავდა, ტალღები ხან აქვე, სადღაც
მანლობლად გრიალებდნენ, ხან კიდევ იქით, კონცხს გადაღმა, სადაც უყვარდა
ბანაობა ნინას, ხან აქეთ ჩამოემხოზობდნენ კედელივით, ხან კიდევ იქით. ბრტყელ-
ცხვირა ავტობუსი უკვე ვერანდასთან იდგა და შოფერიც გარს უვლიდა, გაც-
ვეთილ თვლებს უკმაყოფილოდ დასცქეროდა.

პლიაუზე ციმბირელები მოვიდნენ. მძიმე ჩემოდნით წელში მოხრილი მო-
ადგა ავტობუსს ნაღეჟდა ბორისოვნა. გაცვეთილი, გულდახურული კაბა ეცვა.
ეა სამგზავრო მუქი კაბა და წითლად შეღებილი ტუჩები შეშფოთებულ ფერმ-
კრთალ სახეზე იმას მეტყველებდნენ, რომ ამ ქალისთვის მომავალ შვებულებამ-
დე, მომავალ სეზონამდე იქნებ სამუდამოდაც დამთავრებულიყო ყველაფერი.

ქალი ავტობუსთან შეჩერდა და სარკეში ჩაიხედა: გულში კიდევ უღვიოდა

ცოტაოდენი იმედი, რომ პაველ ევგენევიჩი მის გასაცილებლად მოვიდოდა.

გრიგორი აფანასიევიჩმა ჩააწყობა ბარგი, ბიბლიოთეკაში წიგნი ჩააბარა, თუმცა მთელი თვე, რაც აქ იყო, ბოლომდე მაინც ვერ წაიკითხა, და ნოტურ, ხრემ-მოყრილ მდელითზე გამოვიდა.

— გენანებათ, ზღვასთან განშორება, პოლკოვნიკო? — ჰკითხა ნადეჟდა ბორისოვნამ და ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო.

— ცოტათი კი შენანება... მაგრამ არა უშავს... — გრიგორი აფანასიევიჩმა კმაყოფილებით ამოიოხრა. — ყველაფერი კარგადაა. ნინასაც ვესაუბრე... კარგა მაგრად შევანურე. დამპირდა, რომ წამოვა... საბუთებია შესატანად... გთხოვთ იქ მიაქციოთ ყურადღება...

— ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი შემიძლია. — ნადეჟდა ბორისოვნა თვალებს აცეცებდა, პაშას ეძებდა, — ნინოჩკამ თუ იცის, რომ რეკომენდაციაა საჭირო?

— რა რეკომენდაცია?

— აი, დასასვენებელი სახლიდან... სამუშაო ადგილიდან.

— მერე, არ უთხარით?

— რა? — ნადეჟდა ბორისოვნა ისევ თვალებს აცეცებდა. — არ მახსოვს...

— ეჰ, — ჩაიბუზღუნა შეფიქრიანებულმა გრიგორი აფანასიევიჩმა. — უნდა გავიქცე და გავიგო, იცის თუ არა.

— არ დაიგვიანოთ, — გააფრთხილა მძლოლმა. — იცოდეთ, მალე წავალთ. სასადილომდე რამდენიმე ბილიკი მიდიოდა.

გრიგორი აფანასიევიჩი მაყვლის ბუჩქებით გაბარდნილ ვიწრო ხეივანს მიჰყვებოდა. დაბურღული, ადამიანის სიმაღლე ბუჩქები იყო.

გრიგორი აფანასიევიჩმა თითქმის ჩაათავა ხეივანი და უცებ იქვე, ახლოს, თითქოს ნინას ხმა მოესმა, შეჩერდა და ყური მიუგდო. სწორედ ნინას ხმა იყო, იგი ბუჩქებს უკან იდგა და ლაპარაკობდა:

— თქვენთან შეხვედრის ნებას არ მაძლევს... შენო, მეუბნება, ამის უფლება არა გაქვსო... შენ მომავალი გაქვსო. მატირა კიდევც... მადლობა ღმერთს, უკვე სასადილოს სიიდან ამოშალეს. იცით, რა დამარქვა? ცისანას მეძახია. ჩემი ცისანა ხარო, მეუბნება.

— ნუ დასციინი, ნაილე, — მოისმა პაშას ხმა. — ჩვენც როდისმე მასეთები გავხდებით...

გრიგორი აფანასიევიჩმა თვალები დახუჭა. ხელებიც მუშტებად შეკრა.

შორს მანქანამ დააპიპინა. გრიგორი აფანასიევიჩი მოწყდა ადგილს და უკან გაიქცა. მაგრამ ხმები თან მისდევდნენ, თითქოს რადიო გადმოსცემდა.

— არ დაეციინი. ისე კი კარგი ძაა.

— კეთილშობილი მოხუცია. გაუშვი, მშვიდად გაემგზავროს.

— რა თქმა უნდა... სადარდებელი რა აქვს ნეტა?... გაუშვი, გაემგზავროს.

ისევ მოისმა მანქანის პიპინი, ამჯერად სადღაც მარჯვნიდან. გრიგორი აფანასიევიჩი თურმე სხვა მხარეს მიდიოდა. იგი შეჩერდა და შეშლილივით მოათვალიერა იქაურობა. უცებ მოეჩვენა, თითქოს იქვე, ახლოს, საკორპუსო არტილერია გრიალებდა. სინამდვილეში კი ტალღების გუგუნნი ისმოდა, იაინი ახლოსაც გუგუნებდნენ და შორსაც. კონცხს მიღმა, სადაც ნინას უყვარდა ბანაობა.

ძველბერძნულიდან თარგმნა, შენიშვნები და
კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ

დი ა ლ ო გ ე ბ ი

თაბა

წინათქმა

თუ „ევთიფრონში“, „ლახესში“, „პირველ ალკიბიადესა“ და „მცირე პიპიაში“ პლატონი, უწინარეს ყოვლისა, სოკრატეს ერთგულ მოწაფედ და მიმდევრად გვევლინება, „თეაგეში“ ახალბედა ავტორის სამწერლო ხელოვნებაც მონაფის დონეზე დგას: კომპოზიციის სქემატიურობა, მოქმედების განვითარების სწორხაზოვნება, მსჯელობის დუნე რიტმი, რომელიც აშკარად მოკლებულია პლატონისათვის დამახასიათებელ დინამიზმსა და შინაგან დრამატიზმს, — ყველაფერი ამ აზრის სისწორეს გვიმტკიცებს და გვიდასტურებს. მართალია, ხასიათები დახატულია ლაკონურად, ძუნხად და ზუსტად, მაგრამ ნახატის ერთგვარი უგერგილობა გვიმჟღავნებს, რომ ის გამოცდილი ოსტატის კი არა, ჯერ კიდევ გაუნაფავი შეგირდის ხელითაა შესრულებული. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პლატონის თხზულებათა ზოგიერთი შემდგენელი, დიოგენე ლაერტელის მოწმობით, თურმე „თეაგეთი“ იწყებდა დიალოგების საკუთარ ნუსხას.¹

ნაწარმოებში სამად-სამი მოქმედი პირი მონაწილეობს: სოკრატე, მდიდარი ატიკელი მინათმოქმედი დემოდოკე და მისი ძე თეაგე. დემოდოკე ფაქტიურად უცნობია ჩვენთვის, თუ არ ჩავთვლით „თეაგეს“ ერთ პასაჟს (127e), სადაც სოკრატეს სიტყვით, ირკვევა, რომ მას მალალი თანამდებობები სჭერია და დიდი გაელენითაც სარგებლობდა თურმე ათენში. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი² ერთმანეთთან აიგივებს პლატონია პერსონაჟსა და ისტორიულად ცნობილ ათენელ სტრატეგს დემოდოკეს, რომელმაც 425 თუ 424 წ. ძვ. წ. ა., პელოპონესის ომის დროს, თავის კოლეგა არისტიდესთან ერთად აილო ქალაქი ანტანდროსი.³ მაგრამ ეს გაიგივება პირწმინდად პიპოთეტიურია: ჩვენ არ მოგვეძებნება არავითარი საბუთი ამ ვარაუდის გასამართლებლად... რაც შეეხება დემოდოკეს ვაჟს — თეაგეს, ამ, პატივმოყვარული ზრახვებით შეპყრობილ ქაბუკს პლატონი ორჯერ კიდევ იხსენიებს დიალოგებში — „სოკრატეს აპოლოგია“ (33d—34b)⁴ და „სახელმწიფო“ (VI, 496 bc), სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ თავისი ბუნებრივი მიდრეკილებების გამო ის უეჭველად თავს გაანებებდა ფილოსოფიას, თუ რომ ავადმყოფობა არ უშლიდეს ხელს და იძულებული არ იყოს, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნაცვლად, ფილოსოფოსობას დასჯერდესო.

პლატონის ბევრი დიალოგისაგან განსხვავებით, სადაც მოქმედების თანმიმდევრული განვითარება მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მიადგება ძირითად სათქმელს, „თეაგეს“ დასა-

¹ დიოგენე ლაერტელი, III, 62.

² იხ. მაგ. პლატონი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, ნაწ. II, ტექსტი დადგენილი და თარგმნილი ჟ. სუილეს მიერ, პარიზი, 1930, გვ. 155.

³ იხ. თუკიდიდე, IV, 75, 2.

⁴ იხ. აგრეთვე კომენტ. 23.

წყისშივე მკაფიოდ ისახება მთავარი თემა: მაგრამ ვიდრე დიალოგის დეტალურ ანალიზზე გადავიდოდეთ, გვინდა გაკვირით მაინც შევეხოთ მისი დაწერის თარიღსა და მასში ასახული მოვლენების ქრონოლოგიას, ჩვენ არ გავგანინია არავითარი საბუთი, რომელზე დაყრდნობითაც კაცს შეეძლო დაბეჯითებით ემტკიცებინა, თუ როდის დაიწერა „თეაგე“. ზოგადად ვიტყვით, რომ დიალოგი პლატონის შემოქმედების პირველ ეტაპზე დაწერილია, ანუ ი. ი. V-IV საუკ. ნიჟნაზეა შექმნილი. პირნმიდად სოკრატულ ეტიკა, მშრალი და პროზაული სტილი, მხატვრული ოსტატობა, რომელიც ჯერ კიდევ ძალზე შორსაა სრულყოფილებისგან, — ყველაფერი თვალნათლივ გვიმონმებს, რომ „თეაგე“ დიდი შემოქმედის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელ ნაწარმოებად უნდა იქნეს მიჩნეული... მეორეს მხრივ, ვერც დიალოგის მოქმედებას ვათარილებთ ჩვენთვის სასურველი სიზუსტით, რაშიაც, უწინარეს ყოვლისა, ხელს გვიშლის პლატონისათვის ნიშნული ანაქრონიზმი.

მივმართოთ ფაქტებს: ბერძნული პოლისების მბრძანებელთა ჩამოთვლისა (124c—e), სოკრატე მათ შორის იხსენიებს მაკედონიის მეფეს არქელაოს I, პერდიკეს ძეს, რომელიც მისი სიტყვით, „ამ ცოტა ხნის წინათ განაგებდა მაკედონიას“. არქელაოსი 399 წ. დაიღუპა, მაკედონელ არისტოკრატთა შეთქმულების შედეგად. აქედან შეიძლება დადგინდეს, რომ „თეაგეს“ მოქმედება დაახლ. 398 წელს მიმდინარეობს, მაგრამ ამნაირი დაკვირვის საშუალებას არ იძლევა მეორე ფაქტი: საემე ისაა, რომ დიალოგში იხსენიება მცირე აზიის სანაპიროსთან — არგინუსის კუნძულების მახლობლად გამართული საზღვაო ბრძოლა (129d), რომელშიაც ათენელთა ფლოტს სხვა სტრატეგებთან ერთად სარდლობდა თრასილე. საბერძნეთის ისტორიაში კარგადაა ცნობილი ამ ბრძოლის დრამატული პერიპეტეიებიცა და მისი ტრაგიკული ფინალიც, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საყურადღებოა მხოლოდ ის გარემოება, რომ არგინუსის ბრძოლა 406-სა თუ 405 წელს გაიმართა, რაც აშკარად არ შეესაბამება არქელაოსის სიკვდილის თარიღს.⁵ ამ ორი ფაქტობრივი მონაცემის ურთიერთშეჯერება გვიჩვენებს, რომ დიალოგში აღწერილი მოქმედების დროის ყოველგვარი დაზუსტება უნაყოფო ცდად უნდა იქნეს მიჩნეული.

რაც შეეხება საკუთრივ დიალოგის მოქმედებას, როგორც ზემოთ ვთქვი, „თეაგეს“ დასაწყისშივე მკაფიოდ იკვეთება მთავარი თემა: თავის ვაჟთან — თეაგესთან ერთად ათენში ჩამოსული დემოდოკე შემთხვევით ხვდება სოკრატეს და თავის გაააჭირს შესწივის მას: სოფისტების საუბრებით გაბრწყინებულსა და თავგამოლაყვებულ მეგობრებს მთლად გადაურევიათ თეაგე, რომელსაც დაუჭინია. კი მაგრამ, მე ვილაზე ნაკლები ვარ? რადაც უნდა დამიჯდეს, ღირსეულ მოძღვარს უნდა მივებარო შეგირდად და, ამრიგად, ბრძენი ვავხდეთ. მზრუნველი მამა წუხს: „ფული ყველაზე ნაკლებ მაძარდება. მაგრამ ის კი მფიქრებს, რომ დიდ განსაცდელში იცდებს თავს. აქამდე ასე თუ ისე კიდევ ვაკავებდი დარიგებით, ახლა კი თავს ზევით ძალა აღარა მაქვს და ვფიქრობ უმჯობესია ნებას დავყვე, რათა უჩემოდ ვილაც ოხერს არ გადაეყაროს და სულ მთლად ხელიდან არ წაშვიდეს. დღეს სწორედ იმიტომ ჩამოვედი, რომ ერთ-ერთ მათგანს მივაბარო, ვისაც სოფისტებად თვლიანო“ (121d-122a). დემოდოკე გახარებულია სოკრატესთან შეხვედრით, რადგანაც ფიქრობს, რომ ამ საჭოჭმანო საემეში ვერავინ მიაცემს ნასზე უკეთეს რჩევას.

მაგრამ სოკრატე არ ჩქარობს: სანამ რჩევას შემოგანევდე, — ეუბნება იგი დემოდოკეს, — უმჯობესი იქნებოდა თვითონ თეაგესათვის გამოგვეკითხა, მაინც რა სურს, რაწაირ სიბრძნეს მოელტვის, ანდა რას უწოდებს იმ ცოდნას, რომლის შეძენასაც აპირებს?

⁵ თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ პლატონის შემოქმედების ბევრი მკვლევარი საერთოდ უარყოფს „თეაგეს“ ავთენტიკურობას. რამდენად მართებულია მათი მტკიცება, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.
⁶ არქელაოსის შესახებ იხ. კომენტ. 11.
⁷ თავისთავად ესეც უკვე ანაქრონიზმია, ვინაიდან დიალოგის ერთ-ერთი პერსონაჟი — სოკრატე 399 წ. სიკვდილით იქნა დასჯილი.
⁸ ესენოფონტე, „საბერძნეთის ისტორია“, I, 6, 33-35; 7, 3-35; პლუტარქე, „ალკიბიადე“, 29, იხ. აგრეთვე კომენტ. 33.
⁹ სიზუსტისათვის დავსძენთ, რომ „თეაგეს“ მიხედვით, არგინუსის ბრძოლა ჯერ კიდევ არ გამართულა: ათენელთა ფლოტი, სოკრატეს სიტყვით, მხოლოდ გზას ადგას. მხოლოდ ახლა მიმართება მცირე აზიის სანაპიროსაკენ — მოშავალი ბრძოლის ადგილას.

რადგან მას, ალბათ, უსწავლია ყოველივე ის, რასაც, ჩვეულებრივ, სწავლობენ კეთილ-შობილთა შვილები: გრამატიკა, კითარაზე დაკვრა, ჭიდაობა და ორთაბრძოლის ზოგიერთი სხვა სახეობა, ხოლო თუ უსწავლია, მაგრამ არ აკმაყოფილებს ამ სწავლის შედეგად შეძენილი ცოდნა, მაშასადამე, ფიქრობს, რომ რაღაცა არ იცის, რაღაცის ცოდნა აკლია და ამიტომაც მოითხოვს, რომ მშობელმა მამამ ამ მსურველ ვაჭურჭელს მასზე იქნებ თეაგე იმ ცოდნას ნატრობს, რომლის წყალობითაც მართლაც სწავლებს, ეტლებს, მომღერალთა გუნდებს, მკურნალობენ ავადმყოფებს, წერთიან გიმნასტებს და წარმართავენ მოქალაქეთა — მინის მუშაკთა, ხელოსანთა და სხვათა და სხვათა შრომას? მაშინ ის, რაღა თქმა უნდა, მესაჭეს, მეეტლეს, ექიმს, ქოროს მოძღვარს, გიმნასტიკის მასწავლებელს ან ხელოსნობის, ხელოვნების, მეცნიერებისა თუ ადამიანური მოღვაწეობის რომელიმე სხვა დარგში ზედმინვნით განაფულ ოსტატს უნდა დაემონაფოს.

თეაგე გადაჭრით, ერთიმეორის მიყოლებით უარყოფს სოკრატეს ყველა ვარაუდს: არა, მას არაფრად ეპიტნაება ფილოსოფოსის მიერ ჩამოთვლილი სხვადასხვა ცოდნა. მისი მიზანი უფრო დიდია, უფრო მაღალი, უფრო სანუკვარი. მას სულ სხვა რამე სწავლია, სხვას მიუღტვის, სხვა რამეზე ეღვება სული. სოკრატე გუმანით ხვდება, რა უნდა იყოს ეს „სხვა“; მის მახვილ თვალს შეუმჩნეველი არ რჩება, რა იმალება ამ უნდოვანი და უმნიფარი ჭაბუკის საეჭვო ყოყმანს, მის მიკიბულ-მოკიბულ სიტყვებს, შორისდებულებივით მოკლე და მოკვეთილ პასუხებს მიღმა. ეს ნაცნობი სიმბტომია, საშიში სიმბტომი: ჭაბუკი ავად არის. ყოველად უცნაური ავადმყოფობა, რომლის ბაცილები სამხრეთ იტალიისა და მცირე აზიის ბერძნული პოლისებიდან ჩამოთრეულმა გადამთიელებმა, თავიანთი ცოდნით მოვაჭრე გაიძვერა მენვრილმანეებმა — სოფისტებმა შემოიტანეს ატიკასა და ათენში. წრეგადასული პატივმოყვარეობა, ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ შლეგური ლტოლვა, ძლიერი პიროვნების კულტი,¹⁰ ასეთია ამ უცნაური სნეულების სახელი, სნეულებისა, რომლის ეპიდემიამ არა მარტო თეაგეს, არამედ ათასობით და ათიათასობით ახალგაზრდის სული იმსხვერპლა. ცოდნა, რომლის წყალობითაც შეიძლება მიაღწიო სანუკვარ მიზანს, თავზე მოექცე სუსტი კაცუნების ბრბოს, დაუნდობლად გასრისო ფეხქვეშ ყოველგვარი წინააღმდეგობა, ხელთ იგდო შეუზღუდავი ძალაუფლება, გახდე ტირანი. — აი, თურმე რა სურს თეაგეს. სოკრატე სულის სიღრმე მდე შეურაცხყოფილი და აღშფოთებულია ყმანვილი კაცის დამთხვეულობით, გაუკულმართებული ნების უკეთური მიდრეკილებით, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ ამულაწებს გულისწყრომას და მისთვის ჩვეული შემპარავი ირონიით მიმართავს ჭაბუკს:

„ამ, შე ეშმაკო! ჩვენი ტირანობა რომ გსურს, მიტომაც რა ხანია საყვედურობ მამაშენს, რატომ არ მიმბარებ ვინმე ბრძენ მოძღვარს, ტირანიის მასწავლებელსო? შენ კი, დემოდოკე, ნუთუ არა გრცხვენია, რომ ამდენი ხანია იცი, რა სურს მას, და სად შეიძლება გაგზავნო იგი, რათა ზედმინვნით დაეუფლოს იმ ცოდნას, რასაც ესწრაფვის, მაგრამ მაინც არსად არ უპირებ გაგზავნას, რადგან გშურს მიაი. ახლა კი, ხომ ხედავ, მას შემდეგ, რაც ჩემს წინაშე გამხილა, ისღა დაგვრჩენია, რომ მე და შენ ერთად მოვიტათბიროთ, თუ ვის გავეუგზავნოთ და ვისთან ურთიერთობის წყალობით შესძლებს იმას, რომ მცოდნე ტირანი გახდეს?“ (124e-125a).

რაკი თეაგეს სურვილი ბოლოს და ბოლოს, გაირკვა, ახლა თითქოს აღარაფერი უშლის ხელს ამ სურვილის დაკმაყოფილებას. მართლაცდა, ყოველგვარი ცოდნის, ყოველგვარი ხელობისა თუ ხელოვნების დასაუფლებლად ამ ხელობასა თუ ხელოვნებაში განაფულ კაცს უნდა დაემონაფო, ვინაიდან მხოლოდ მას შეუძლია გადმოგცეს და გაგიზიაროს თავისი ოსტატობის ყველა საიდუმლო, მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება. ასე მაგალითად, მინათმოქმედებას მხოლოდ გლეხკაცი თუ გასწავლის, სამზარეულო ხელოვნებას — მზარეული, ჭიდაობას კი — ჭიდაობის მასწავლებელი. ზუსტად ასევე, ვის შეუძლია გვასწავლოს პოლიტიკური მეცნიერება, სახელმწიფოს მართვის ხელოვნება, თუ არა პოლიტიკოსებს, სახელმწიფო მოღვაწეებს? მაგრამ თეაგეს, ცოტა არ იყოს, ეჭვი ეპარება სოკრატეს ამ სიტყვების სისწორეში: სახელმწიფო მოღვაწეებს თავიანთი შვილებისთვისაც ვერ უსწავლებიათ საქვეყნო საემის გაძლოლა; მაშ, როგორღა აღზრდიან სხვებს? „სხვებისგან გამიგონია, სოკრატე, — მიმართავს იგი თანამოსაუბრეს. — რომ, შენი მტკიცებით, სახელმწიფო მოღვაწეთა შვილები თურმე არაფრით არ სჯობიან ხარაზთა შვილებს: და, ჩემი აზრით, ცამდე მართალიც ხარ. რამდენადაც მე შემიძლია ვიმსჯელო ამაზე. მაშა-

¹⁰ ამ კულტის შესახებ იხ. „პირველი ალკიბიადეს“ წინათქმა.

სადაჲ, ნამდვილი ბრიყვი ვიქნებოდა, იმის იმედი რომ მქონოდა, თითქოს ერთ-ერთი მათგანი მე გადმომცემდა თავის ცოდნას, რომლითაც ვერას შეენია საკუთარ შვილს, თუკი ვინმეს საერთოდ შეუძლია ამ მხრივ რაიმე არგოს რომელიმე მოკვდავს¹¹ (126d).

— არა, ჩემო ძვირფასო, ბრიყვი არა და ვირი კი ხარ, ნამდვილი ვირი, — ჩვენ თითქოს გვესმის სოკრატეს საბასუხო რეპლიკა, რომლითაც ის ამკობს პატარა მწიფე ხაჭაპურს ყინით ატროკებულ ჭაბუკს; მხოლოდ ჩუმად, თავისთვის იმეორებს ამ რეპლიკას¹² ტულში, თქმით კი სულ სხვას ეუბნება თეაგეს: ცდილობს დაანახოს, რა ცეცხლში აგდება საცოდავ მამას თავისი ახირებული სურვილითა და არანაკლებ ახირებული პოზიციით: „კი მაგრამ, კაცთა შორის ყველაზე უკეთესო, შენ თვითონ რაღას იზამდი, ვაჟიშვილი რომ გყავდეს და მოსვენებას არ გაძლეედე, მინდა კარგი მხატვარი გამოვიდო და, თანაც ყვედრებით გავსებდე შენ, როგორც მამას, რატომ ფულს არ იმეტებ ჩემი გულისთვისო, თვითონ კი ლანძღვით იკლებდე ამ საქმის მასწავლებლებს, ესე იგი, მხატვრებს, და არასდიდებით არ უნდოდე მხატვრობის სწავლა მათგან? ანდა სალამურზე დაკვირის სწავლა რომ სურდეს და ასევე იქცეოდეს სალამურზე თუ კითარაზე დაკვირის მასწავლებელთა მიმართ? მერედა ახლა, როცა ჩუსტად ასე ექცევი მამაშენს, რაღად გიკვირს და ყვედრებით ავსებ იმის გამო, რომ საგონებელში ჩავარდნილმა აღარ იცის, რა გიყოს ან ვისთან გაგგზავნოს?“ (126d-127a).

გასაჭირში ჩავარდნილ თეაგეს ისევ სოკრატე სთავაზობს გამოსავალს. „თუკი ინებებ, ჩვენ მზადა ვართ მიგაბაროთ პოლიტიკაში ერთ-ერთ ყველაზე რჩეულ ათენელს, რომელიც უფასოდ გამეცადინებს; ფულსაც დაზოგავ და უფრო დიდ სახელსაც მოიხვეჭხალხში, ვიდრე სხვა ვინმესთან ურთიერთობის წყალობით“ (127a), — მაგრამ მისთვის უმჯობესი იქნებოდა, რომ არ შეეთავაზებინა, ყოველ შემთხვევაში, ამ სახით მაინც ვინაიდან ახლა თვითონვე ვარდება შავ დღეში: „რჩეული ათენელისა“ და „უფასოდ მეცადინეობის“ გაგონებაზე ვირეშმაკა ჭაბუკს დაუყოვნებლივ ახსენდება, რომ სწორედ სოკრატეა ის რჩეული ათენელი, რომელიც სოფისტებისაგან განსხვავებით, უფასოდ ამეცადინებს თავის შეგირდებს; ახსენდება და სახელდახელოდ იღებს მზაკვრულ გადაწყვეტილებას: რაღა სხვაგან ეძიოს მასწავლებელი? სად იპოვის სოკრატეზე უკეთეს მოძღვარს? „თუ ინებებ გამეცადინო, ჩემთვის ეს საფსებით საკმარისია და სხვა ვინმეს აღარ დავეძებო“ — ეუბნება იგი თავის თანამოსაუბრეს (127a).

შვილის გამჭრიახობით აღფრთოვანებულ დემოდოკეს იმედი ეძლევა: „რა კარგად ლაპარაკობ“, — შეჰხარის იგი თავის ფხიან მემკვიდრეს, ხოლო შემდეგ, აი რას ეუბნება სოკრატეს, — „ახლა კი მხოლოდ შენ მოგმართავ, სოკრატე, მე მზადა ვარ ჩემი თავიცა და მთელი ჩემი ავლადიდებაც, მოკლედ რომ მოვჭრა, ყველაფერი, რაც საჭიროა, უყოყმანოდ შემოგთავაზო, რათა ისე მოიხმარო, როგორც მოგეპრიანება, თუკი შეივრდომებ ამ ჩემს თეაგეს და, რამდენადაც შეგიძლია, შენს წყალობას არ მოაკლებ“ (127cd).

ეს უკვე მეთისმეტია: შვილის შეცდომას მამამ საკუთარი შეცდომაც ზედ მოუსართა: ფული შეაძლია სოკრატეს, — კაცს, რომელსაც თავის სიცოცხლეში ერთი ლეპტონიც¹³ არ აუღია გასამრჯელოდ (არა მარტო სრული გულგრილობა, არამედ აშკარა ზიზღი ფულისა და სიმდიდრის მიმართ, — ასეთი იყო მისი ურყევი პოზიცია, მისი სასიცოცხლო პრინციპი). მამა-შვილს მისამართი შეეშალა: ისინი სოკრატეს ელაპარაკებიან და არა სოფისტებს, რომლებსაც ფულზე ელევით სულთ. ამიტომ სოკრატეც სოფისტებთან იატუმირებს მათ: „...თუ ამ ჩვენს თეაგეს არ მოსწონს სახელმწიფო მოღვაწეები და სხვებს დაეძებს, რომლებიც ყმანვილკაცების აღმზრდელებად ასაღებენ თავს, აქ არა გვევანან პროდიკე კოსელი, გორგია ლეონტინელი, პოლოს აკრაგანტელი¹³ და სხვანი და სხვანი, ქალაქიდან ქალაქში რომ დაეხეტებიან და თავიანთი სიმარჯვის წყალობით არწმუნებენ ყველაზე კეთლშობილსა და ყველაზე მდიდარ ჭაბუკებს, რომლებსაც შეუძლიათ, ვისაც მოისურვებენ, თავიანთ თანამოქალაქეთა შორის, იმას მიეხარონ უფასოდ, დიახ, არწმუნებენ, დაივიწყონ ძველი ნაცნობები და მათ დაემონაფონ. თანაც დიდძალი გასამრჯელოს ფასად და მადლობელნიც იყვნენ მათი. მე კი არა, აი, ვინ უნდა ამოგერჩიათ შენცა და შენს შვილსაც“... (127e-128a).

თეაგე ხვდება, რომ სოკრატეს სულაც არა სურს მისი შეგირდად აყვანა. განებივ-

11 იხ. კომენტ. 22.

12 ფულის ყველაზე წვრილი ერთეული ძველ საბერძნეთში.

13 იხ. კომენტ. 25.

რებულ და თავგასული ჭაბუკი, რომელიც შინაურებმა, როგორც ჩანს, მიაჩვიეს იმას, რომ სიტყვის შეუბრუნებლად შეუსრულონ ყოველგვარი სურვილი, მზადაა ახალი იერიში მიიტანოს თავის თანამოსაუბრეზე, ოღონდ კი სანადელს ეწიოს. მაგრამ თეაგე ვერა გრძნობს, რომ მისი სანადელი ნაკლებად თანხვდება სოკრატესას, რომელსაც ახლა მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვს: როგორმე დააღწიოს თავი მამამეტყულებულსა და თავხედურ თხოვნას. სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, და ისე ცდილობს სხელოვნებით ამზადებს ამ „გაცლას“ და თავის გარიდებას, სოკრატე არ თამაშობს: არაფერი ისე უცხო არ არის მისთვის, როგორც ორპირობა, თვალთმაქცობა, ორაზროვნება; ის მხოლოდ თავისი სულის მბრძანებლურ კარნახს ემორჩილება: „საქმე ისაა, რომ ღვთიური წინასწარგანწინებით, ბავშვობიდანვე თანა მდევს რაღაც დემონიური.¹⁴ ესაა ერთგვარი იდუმალი ხმა, რომელიც ანაზდეულად ჩამესმის ყოველთვის, როცა რაღაცის ქმნას ვაპირებ, და ნიშანს მაძლევს, თავი შევიკავო ამისაგან, მაგრამ არაფრის საქმნელად კი არ მაქვზებს. როდესაც რომელიმე მეგობარი ამა თუ იმ განზრახვას მიმყლავნებს და მე ანაზდეულად ჩამესმის ხმა, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი არ იწონებს განზრახულს და მისი ასრულების ნებას არ იძლევა“ (128d). აი, სწორედ ეს იდუმალი შინაგანი ხმაა სოკრატესათვის ყველაფრის განმსაზღვრელი მოტივი, რომელიც აშკარად უკრძალავს თეაგეს შეგირდად აყვანას და რომლის უგულებელყოფასაც ყოველთვის სავალალო შედეგი მოსდევს. სოკრატე მრავალრიცხოვანი მაგალითების მოშველიებით ცდილობს დაარწმუნოს მამა-შვილი, ნურც თვითონ ეურჩებიან და ნურც მას აიძულებენ ეურჩოს ამ ღვთიური ხმის მბრძანებლურ კარნახს. არა, სოკრატე ვერ მისცემს თეაგეს იმ ცოდნას, რასაც ის ასე ვნებიანად მიეღობის, რასაც ის ასე ხარბად დაედებს...

აქ შეიძლებაოდა დაგვესვა წერტილი და დაგვემთავრებინა ჩვენი განხილვა, მაგრამ უფლება არა გვაქვს დუმილით ავუაროთ გვერდი ჩვენს დიალოგთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საკითხს: საქმე ისაა, რომ პლატონის შემოქმედების არა ერთი და ორი მკვლევარი (შლაიერმახერი, ასტი, შერმანი, ცელერი, იბერვეგი, გომპერცი, რედერი, ბრუნსი, ადამი, ვილამოვიც-მელენდორფი და სხვ.) საერთოდ უარყოფს „თეაგეს“ ავთენტიკურობას.¹⁵ მაგრამ იმნაირი არგუმენტაციით, რასაც ისინი მიმართავენ თავიანთი მოსაზრებია დასამტკიცებლად, თამამად შეიძლება არა მარტო „თეაგეს“, არამედ ნებისმიერი სხვა დიალოგის ავტორობაც „ჩამოგვერთმია“ პლატონისათვის. ასეთია, აუცილებლობის ძალით, ყველა იმ მეცნიერული კვლევა-ძიების კურიოზული შედეგი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ცდილობს თავის საკუთარ, წინასწარ აკვიატებულ იდეასა თუ პირწმინდად სუბიექტურ კონცეფციას მიუსადაგოს კვლევის საგანი, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ მიესადაგოს მას და მიუყვარძობლად, ობიექტური სიზუსტით გააანალიზოს მისი ფორმალური ორგანიზაციისა თუ შინაარსობრივი სტრუქტურის ყველა ასპექტი.

ამ კრიტიკის, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, „პიპერკრიტიკის“ ზოგიერთი მოსაზრების სრული უსაფუძვლობა, ზოხერის კვალდაკვალ, დამაჯერებლად დაამტკიცა ვლ. სოლოვიოვმა. ყველაზე უმაღლეს ეხება სოკრატეს დემონის აშკარად მცდარ ინტერპრეტაციებს, რომელთა ავტორების მიხედვითაც დემონის „თეაგესული“ კონცეფცია შეიცავს ბევრ ისეთ მომენტს, რაც თითქოს სრულიად უცხოა პლატონის სხვა დიალოგებისათვის, სადაც იგივე დემონიური ძალა ფიგურირებს. მათი მტკიცებით, ეს გახლავთ დემონის ზებუნებრივი, მისტორი ბუნება, რომელიც ნაკლებად შეესაბამება „სოკრატეს აპოლოგიის“ (31d), „დიდი პიპიას“ (304a), „ევთიდემეს“ (272c), „ფედროსის“ (242b), „პირველი ალკიბიადეს“ (103ab), „თეეტეტის“ (151a) და სხვ. მონაცემებს, საიდანაც ისინი ასკვნიათ, რომ „თეაგე“ გაცილებით უფრო გვიან უნდა იყოს შეთხზული ვიდრე ანონიმი ავტორის მიერ.

მაგრამ, ჯერ ერთი, ეს „შეუსაბამობა“ განზრახ, ხელოვნურადაა გაზვიადებული და გაღრმავებული, და, ეგვიც არ იყოს, როგორც მახვილგონივრულად ცხადყო ვლ. სოლოვიოვმა, „თეაგეს“ ტექსტი იხსენიებს ორ ისეთ ეპიზოდს (ქარმიდესა და ტიმარქეს მაგალითები, 128d-129c), რომლებიც დეტალურად აღწერილი და დაზუსტებული კი არ არის, არამედ მხოლოდ გავკრით, ნართაულად მიხიშნებული (ეს ეპიზოდები „თეაგეს“ გარდა არც ერთ ლიტერატურულსა თუ ისტორიულ წყაროში არ იხსენიება, და რა გასაკვირია, რომ ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რა იგულისხმება მათში), რაც, სოლოვიოვის სავე-

¹⁴ სოკრატეს „დემონთან“ დაკავშირებით იხ. კომენტ. „ევთიდრონი“, 7.
¹⁵ იხ. პლატონი, თხზულებათა სრული კრებული. ტ. XIII, ნაწ. II, ტექსტი დადგენილი და თარგმნილი ჟ. სუილეს მიერ, პარიზი, 1930, გვ. 137-138.

ბით მართებული დასკვნით, მხოლოდ სოკრატეს თანამედროვეთათვის შეიძლება და ყოფილიყო თავისთავად ცხადი და გასაგები, უფრო გვიანდელი ავტორები კი აღულებული იქნებოდა გაცილებით უფრო ვრცლად აღენერა და დაეზუსტებინა მათში ნაჭულისხმები ამბები თუ მოვლენები.¹⁶ ამრიგად, ნამდვილი შეუსაბამობა „თეაგესა“ და პლატონის სხვა დიალოგების შონაცემებს შორის კი არ იქნის თავს, არამედ მხოლოდ მკვლევართა ნააზრევში, ანტიკური ტრადიციის საპირისპიროდ, ხელაღებულ „ნაწილს“ შექმნილ „თეაგეს“ ავთენტიკურობას.

ამ მხრივ, პირნიშინდად ფილოლოგიური კრიტიკაც არანაკლებ სცოდავს და მოიკოჭლებს. ჩვენ აქ არც დრო გვაქვს და არც ადგილი, რათა დანერჩილებით გავაანალიზოთ ამ კრიტიკის ყველა მანიკერი მხარე. ვფიქრობთ, ერთი მაგალითიც საკმარისია. პლატონის ზოგიერთ მკვლევარს ერჩვენება, რომ „თეაგეს“ ერთ პასაჟში (125e) ზმნა *eychesthai* ძალზე უცნაური და მოულოდნელი მნიშვნელობით არის ნახმარი: *eyxaimén. tyrannos genesthai*, მაშინ როდესაც ზოგიერთი დიალოგის ანალოგიურ კონტექსტში (იხ. მაგ. „პირველი ალკიბიადე“, 105e) მის ნაცვლად გვხვდება თურმე სავსებით ბუნებრივი ფორმა *epithymein*.¹⁷ მაგრამ, ჩემის აზრით, პლატონს თამამად შეეძლო დაენერა როგორც *epithymeo tyrannos genesthai*, ისე *eychomai tyrannos genesthai*; ორივე წინადადება შეიძლება ერთი და იგივე სიტყვებით ითარგმნოს: „ტირანობა მსურს“, ან „ტირანობას ენატრობ“.

მიუტევებელი შეცდომაა ესოდენ სწორხაზოვანი, პირნიშინდად „გრამატიკული“ მიდგომა მხატვრული სიტყვის ისეთი ჯადოქრის მიმართ, როგორც გახლდათ პლატონი. მით უმეტეს, რომ „თეაგეს“ იმავე პასაჟში, ზუსტად ორი სტროქონის ქვემოთ (126a) ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება *epithymein*. იქნებ პლატონს მხოლოდ ის სურდა, რომ თავიდან აეცილებინა სტილისტურად, ცოტა არ იყოს, უხერხული გამეორება? იქნებ... ვინ იცის, რამდენი რამის თქმა შეიძლება ამ „იქნებ“-ის შემდეგ? ძალაუნებურად გახსენდება პოლ ვალერის ერთი შენიშვნა, რომლის სარკაზმიც სწორედ სიტყვის ამ ასოკირკიტა მჩხრეკელთა წინააღმდეგაა მიმართული:

„აქ“, — რადაცნაირი კონსონანსისა თუ ალიტერაციის წყალობით, — მე ამ სიტყვას ვამჯობინებ მეორე სიტყვას, და მხოლოდ ამიტომ მისკენ ვიხრები.

მკითხველი აქ ძებნას დაუნწყებს აზრს. ეს მისი საქმეა. ჩემი ფრაზის წინაშე მას ისეთივე განცდა ეუფლება, როგორც ყვაფილისა თუ მინერალის წინაშე. დაე, მან თავისით მიაკვლიოს სიტყვას, რომელიც უნდა თქმულიყო, მაგრამ არ ითქვა.

მონაფე აქ „ესთეტიკის“ ძებნას მოჰყვება. მას სასოს ნარუკვეთს სულის ეს ნარმოუდგენელი მიდრეკილება ამ სიტყვის მიმართ...¹⁸

დაბოლოს, ზემოხსენებულ კრიტიკოსთა კვალდაკვალ ვიტყვით, რომ „თეაგეს“ არა ერთი და ორი პასაჟი პლატონის სხვა დიალოგებთან მიმართებით განსაცვიფრებელ მსგავსებას ავლენს. სახეების, მეტაფორების, საილუსტრაციოდ მოხმობილი მაგალითებისა თუ სიტყვიერი ფორმულების თანადამთხვევა მართლაც აშკარაა და თვალშისაცემი. საკმარისია „თეაგეს“ ჩვენული კომენტარების მიხედვით, თვალი გავადევნოთ ურთიერთშესაბამისობათა ცალკეულ ნიმუშებს: კომენტ. 2: „თეაგე“, 121b — „ევთიფრონი“, 2d; „თეეტეტი“, 167bc, „სახელმწიფო“, VI, 491d; „კანონები“, VI, 765e. კომენტ. 7: „თეაგე“, 123d — 124c — „პირველი ალკიბიადე“, 125b-d. კომენტ. 16: „თეაგე“, 125b — „სახელმწიფო“, VII, 568a. კომენტ. 22: „თეაგე“, 126d — „პროტაგორა“ 319e და შმდ; „პირველი ალკიბიადე“, 118be; „მენონი“, 93c და შმდ. კომენტ. 23: „თეაგე“, 127bc — „სოკრატეს აპოლოგია“, 24f, 33d-34b. კომენტ. 25: „თეაგე“, 127e-128a — „თეეტეტი“, 151b. კომენტ. 26: „თეაგე“, 128b — „ნადიმი“, 177b. კომენტ. 27: „თეაგე“, 128d — „ევთიფრონი“, 3b; „სოკრატეს აპოლოგია“, 31d; „დიდი პიპია“, 304a; „ევთიდემე“, 272c; „ფედროსი“, 242b; „პირველი ალკიბიადე“, 103ab; „თეეტეტი“, 151a. კომენტ. 35: „თეაგე“, 130c — „ნადიმი“, 175d.

მხოლოდ ეგ კია, რომ მთელს ამ მსგავსებასა თუ თანადამთხვევას ზემოხსენებული

¹⁶ იხ. პლატონის ქმნილებები, თარგმანი ბერძნულიდან ვლ. სოლოვიოვისა, ტ. I, მოსკოვი, 1899, გვ. 52-59.

¹⁷ იხ. უ. სულიე, დასახ. ნაშრ. გვ. 152-153.

¹⁸ პოლ ვალერი, „რვეულებიდან“, ფრანგულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, „საუნჯე“, 1982, № 1, გვ. 285.

კრიტიკოსები მცდარად განმარტავენ და აშკარად ყალბ დასკვნამდე მიდიან. მათი აზრით, „თეაგეს“ ანონიმ ავტორს ასე ნაკუნ-ნაკუნ, პლატონის სხვადასხვა დიალოგებიდან საგულდაგულოდ ამოკრებილი ფრაზებით უნდა შეეკონინებინა თავიანი თხზულება, იმ მიზნით, რომ უფრო მეტი „ბუნებრიობა და დამაჯერებლობა“ მიენიჭებინა თავისი მიბადვისათვის. მაგრამ არაბუნებრივი და დაუჯერებელი სწორედ ამნაირი, შემოქმედებითი აქტისა და შემოქმედებითი პროცესის სრულ გაუგებრობაზე დაფუძნებული დასკვნა გახლავთ. სინამდვილეში ყველაფერი პირუკუ ხდება: ასოციაციის ინტიმური კანონის ძალით, პლატონი მხოლოდ იგონებს მის მიერ ოდესღაც ხმარებულ მხატვრულ სახეებს, მეტაფორებს, სიტყვათნაერთებს და თავის შემდგომდროინდელ ქმნილებებში შემოქმედებითად იყენებს მათ.

თ ა ა ბ ა

დემოდოკე, სოკრატე, თეაგე

დემოდოკე. მე მინდოდა, სოკრატე, თუ გცალია, ცალკე მოგლაპარაკებოდი, ხოლო თუ არა გცალია, გთხოვ, როგორმე მოიცალო ჩემი გულისთვის, თუკი რაღაც გადაუდებელი საქმე არა გაქვს.

სოკრატე. მაგრამ მე ისედაც მოცლილი ვარ, შენთვის კი — მით უმეტეს: მაშ, მითხარი, მაინც რა გაქვს ჩემთვის სათქმელი?

დემოდოკე. ცოტა იქით ხომ არ მივდგეთ, ზევს ელევთერიოსის ბჭესთან?

სოკრატე. როგორც გენებოს.

დემოდოკე. მაშ, წავიდეთ. მე მგონია, სოკრატე, ყველა ქმნილება, მინის ნაყოფი იქნება ეს, ცხოველი თუ სხვა რამ, ან კიდევ თვით ადამიანი, ერთმანეთსა შგავს, კერძოდ, რაც შეეხება მცენარეს, ჩვენთვის — მინის მუშაკთათვის ადვილია წინასწარ მოვამზადოთ ყველაფერი მის დასარგავად, და არც თვით დარგვაა ძნელი, მაგრამ როცა ნერგი ძალას მოიცემს და ზრდას იწყებს, სწორედ მაშინ იწყება ჩვენი წვალეობაც, იმდენი ზრუნვა და მოვლა-პატრონობა სჭირდება მას. როგორც ჩანს, იგივე ითქმის ადამიანთა მიმართ. ² ჩემი საკუთარი გამოცდილების მიხედვით ვმსჯელობ სხვებზედაც. აი, ეს ჩემი შვილი: მისი ჩარგვა თუ ჩასახვა, რა სახელიც უნდა ვუწოდოთ ამას, ყველაზე ადვილი გახლდათ, მაგრამ მისი აღზრდა კი მართლაც თავსამტკრევი შემექმნა: ერთთავად შიშსა და კანკალში ვარ. სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვა, მისი ახლანდელი ახირება თავზარსა მცემს: არა იმიტომ, თითქოს საძრანისი რამ იყოს. მაგრამ საზიფათო კია. ამ ვაჟბატონს დაუჩემებია, სოკრატე, გინდა თუ არა, ბრძენი უნდა გავხდეთ. როგორც ჩანს, მისი თანატოლები და მეზობლები, ქალაქში რომ ჩამოდიან, იქ მოსმენილი სიტყვებით ულაყებენ თავს. სწორედ მათდამი შურის გამო რახანია თავს მამბურებს, დროა ჩემზე იზრუნო და ფული მისცე ერთ სოფისტთაგანს, რომელიც ბრძნად მაქცევსო. ფული ყველაზე ნაკლებ მადარდება, მაგრამ ის კი მაფიქრებს, რომ დიდ განსაცდელში იგდებს თავს. აქამდე ასე თუ ისე კიდევ ვაკავებდი დარიგებით, ახლა კი თავს ზევით ძალა აღარა მაქვს და ვფიქრობ, უმჯობესია, ნებას დავყვე, რათა უჩემოდ ვილაც ოხერს არ გადაეყაროს და სულ მთლად ხელიდან არ წამივრდეს. დღეს სწორედ იმიტომ ჩამოვედი, რომ ერთ-ერთ მათგანს მივაბარო, ვისაც სოფისტებად თვლიან. რა კარგ ვეხზე შეგხვდი: ამ საქმეში ვის ვნახავ შენზე უკეთეს მრჩეველს? მე ჩემი გითხარი და, თუ შეგიძლია, მიჩიუ რამე: თუმცა, რა თქმა უნდა, შეგიძლია და ვერც მეტყვი უარს.

სოკრატე. ხომ გაგიგონია, დემოდოკე, რჩევა მშინდა საქმეაო;³ და თუ ყველა სხვა შემთხვევაში წმინდაა, მით უმეტეს — იმ საქმეში, რაშიაც ახლა მთხოვ რჩევას. რადგან ყველაზე ღვთაებრივი, რაზედაც კაცმა შეიძლება იფიქროს, თავისი თავისა და თავისი ოჯახის წევრების აღზრდაა. მაგრამ თავდაპირველად შევთანხმდეთ, მაინც რა არის ის, რაზედაც ვმსჯელობთ, რათა ისე არ გამოვიდეს, რომ მე ერთს ვგულისხმობ, შენ კი — მეორეს, და, ამრიგად, საუბრის დამლევსლა იქნათ. რაოდენ სასაცილონი ვართ, მეც — მრჩეველი და შენც — რჩევის მთხოვნელი, რაკილა თურმე სულ სხვადასხვა რამეს ვგულისხმობთ.

დედოძოკე. ჩემის აზრით, მართალა ამბობ, სოკრატე; სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ.

სოკრატე. მართალა კი ვამბობ, მაგრამ არცთუ მთლად მართალს; ამიტომ ცოტა სხვაგვარად ვიტყვი. ასეთი აზრი მომივიდა თავში: იქნებ, აი, ამ ყმაწვილს ის კი არა სურს, რაც ჩვენ გვგონია, არამედ სულ სხვა რამ; ჰოდა, მით უფრო სხვა ციფრებით, თუკი რაღაც სხვაზე ვიმსჯელებთ. ამიტომ, ჩემის აზრით, უფრო მართებული იქნება სწორედ მისგან დავიწყოთ და გამოვივიხოთ, მაინც რა სურს.

დედოძოკე. იქნებ მართლა ისე სჯობდეს, როგორც შენ ამბობ.

სოკრატე. მაშ, მითხარი, რა ჰქვია ამ ყმაწვილს? როგორ მივმართო?

დედოძოკე. თეაგე ჰქვია, სოკრატე.

სოკრატე. მართლაც რომ მშვენიერი და საღმრთო სახელი დაგიჩემევია შენი ვაჟისთვის, დედოძოკე. მითხარი, თეაგე, მაშ, შენ ამბობ, რომ ბრძენი გინდა გახდე და მამაშენს სთხოვ, იმნაირ კაცს მიგაბაროს, რომელიც ბრძენად გაქცევს?

თეაგე. დიახ.

სოკრატე. კი მაგრამ, ვის უნოდებ ბრძენს, ვისაც რამე გაეგება, თუ ვისაც არა გაეგება რა?

თეაგე. ვისაც რამე გაეგება.

სოკრატე. მერედა, განა მამაშენმა არ გასწავლა ყოველივე ის, რასაც სწავლობენ კეთილშობილთა შვილები: გრამატიკა, კითხარაზე დაკერა, ჭიდაობა და ორთაბრძოლის ზოგიერთი სხვა სახეობა?

თეაგე. მასწავლა.

სოკრატე. მაშასადამე, შენ ფიქრობ, რომ რაღაცის ცოდნა გაკლია და მამაშენი მოვალეა ამ მხრივაც იზრუნოს შენზე?

თეაგე. დიახ.

სოკრატე. მაინც რა ცოდნაა ასეთი? ჩვენც გვითხარი, რათა სურვილი შეგისრულდეს.

თეაგე. მამაჩემმა მშვენივრად იცის სოკრატე, რადგანაც არაერთხელ მითქვამს მისთვის; მაგრამ განზრახ გეუბნება, თითქოს არ იცის, რაც მინდა. ამიტომაც ასე თავგამოდებით მედავება და არასდიდებით არ სურს ვინმეს მიმაბაროს.

სოკრატე. მაგრამ რაც მას ადრე უთხარი, ასე ვთქვათ, მოწმეების გარეშე იყო ნათქვამი, ახლა კი მე დამიყენე მოწმედ და ჩემი თანდასწრებით თქვი, მაინც რა არის ეგ შენი სასურველი ცოდნა? იცი რა? თუ ისა გსურს, რისი წყალობითაც ადამიანები მართავენ ხომალდებს, და მე სასხვათაშორისოდ გკითხო: რისი ცოდნა გსურს, თეაგე, ან რის გამო ემდური მამაშენს, რომ არ თანხმდება მიგაბაროს იმას, ვისი წყალობითაც ბრძენი გახდები-მეთქი, რას მეტყოდი ამის პასუხად, მესაჭეების ცოდნა მსურსო, არა?

თეაგე. დიახ.

სოკრატე. ხოლო თუ შენ გსურს შეიძინო ის ცოდნა, რომლის წყალობითაც ეტლებს მართავენ და ამის გამო ემდური მამაშენს, მე კი, ჩემის მხრივ, კვლავ გკითხო, მაინც რა არის-მეთქი ეგ ცოდნა, რას მეტყოდი პასუხად? მეეტლებების ცოდნაო, არა?

თეაგე. დიახ.

სოკრატე. კი მაგრამ, ის რაღა არის, რაც ახლა გსურს: უსახელოა თუ სახელი აქვს?

თეაგე. მე მგონია, სახელი აქვს.

სოკრატე. მერედა, ის იცი და მისი სახელი კი არ იცი, თუ სახელიც იცი?

თეაგე. რა თქმა უნდა, სახელიც ვიცი.

სოკრატე. მაინც რა ჰქვია სახელად? თქვი.

თეაგე. სხვა რა უნდა ერქვას, სოკრატე, თუ არა ცოდნა?

სოკრატე. კი მაგრამ, განა ეტლის მართვა ცოდნა არ არის? ან იქნებ, შენის აზრით, არცოდნაა?

თეაგე. არა.

სოკრატე. ესე იგი, ცოდნაა?

თეაგე. დიახ.

სოკრატე. მერედა, რაში გვარგია ეგ ცოდნა? იმაში, რომ ცხენებზემული ეტლი ვმართოთ?

თეაგე. დიახ.

სოკრატე. განა ხომალდის მართვაც ცოდნა არ არის?

თეაგე. მე მგონია.

სოკრატე. მერედა, რაში გვარგია ის? იმაში, რომ ხომალდი ვმართოთ?

თეაგე. რა თქმა უნდა.

სოკრატე. ეგ მენი სასურველი ცოდნა რაღაა? რას ვმართებთ მტყულობით?

თეაგე. ჩემის აზრით, ადამიანებს.

სოკრატე. ავადმყოფებს?

თეაგე. არა.

სოკრატე. რადგან მაშინ ეს სამკურნალო ხელოვნება იქნებოდა, არა?

თეაგე. დიახ.

სოკრატე. ან იენებ, მისი წყალობით მომღერალთა გუნდებსა ვმართავთ?

თეაგე. არა.

სოკრატე. რადგან მაშინ ეს მუსიკალური ხელოვნება იქნებოდა, ხომ?

თეაგე. რა თქმა უნდა.

სოკრატე. იენება მისი წყალობით გიმნასტიკებს ვმართავთ?

თეაგე. არა.

სოკრატე. რადგან მაშინ ეს გიმნასტიკის ხელოვნება იქნებოდა?

თეაგე. დიახ.

სოკრატე. კი მაგრამ, ვის ან რის მაქნის ხალხსა ვმართავთ მაგ შენი ცოდნის წყალობით? ცხადე ისევე ზუსტად მიპასუხო, როგორც მე გვეითხებოდი წელან.

თეაგე. მე მგონია, მოქალაქეებს.

სოკრატე. რა თქმა უნდა, მაგრამ მე მათ კი არ ვგულისხმობ, არამედ ქალაქის სხვა მცხოვრებთ.

სოკრატე. ახლა კი მესმის, რანაირ ცოდნაზედაც ლაპარაკობ; შენ, ალბათ იმ ცოდნასა თუ ხელოვნებას როდი გულისხმობ, რომლის მეშვეობითაც წარვმართავთ მომკვლთა, ყურძნის მკრეფელთა, მრგველთა, მხვინელ-მთესველთა თუ მცეხველთა შრომას; ვინაიდან ეს სამომართმოქმედო ხელოვნების საქმეა, არა?

თეაგე. დიახ.

სოკრატე. ჩემის აზრით, არც იმას, რომლის წყალობითაც წარვმართავთ მხეხავთა, მბურღავთა, მრანდავთა თუ მტვიფრავთა შრომას, ვინაიდან ეს სადურგლო ხელოვნების საქმეა, არა?

თეაგე. დიახ.

სოკრატე. მაგრამ იქნებ შენ გულისხმობ იმ ცოდნას, რომლის წყალობითაც ვმართავთ ყოველივე ამას, აგრეთვე მიწათმოქმედთა, დურგალთა თუ სხვა ხელოსანთა, ისევე როგორც კერძო პირთა, კაცთა თუ ქალთა შრომას; სწორედ ამნაირ ცოდნას გულისხმობ?

თეაგე. რა ხანია მინდოდა პეტქვა, სწორედ მაგას-მეთქი, სოკრატე.

სოკრატე. ხომ ვერ მეტყვი, ეგისთე, რომელმაც აგამემწონი მოჰკლა არგოსში, სწორედ იმათ მართავდა, ვისაც შენ გულისხმობ, ხელოსანებს, კერძო პირებს, კაცებს თუ ქალებს, სუყველას ერთად, — თუ სხვებს?

თეაგე. არა, სწორედ მათ.

სოკრატე. ხოლო პელეუსი, ვაკეს ძე, განა მათვე არ მართავდა მთიანში?

თეაგე. დიახ.

სოკრატე. ანდა პერიანდრე, კიფსელეს ძე, კორინთოს მმართველი. ხომ გაგიგონია?

თეაგე. რა თქმა უნდა.

სოკრატე. განა სწორედ მათ არ მართავდა თავის ქალაქში?

თეაგე. დიახ.

სოკრატე. ან კიდევ არქელაოსი, პერდიკეს ძე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ განაგებდა მაკედონიას¹¹, განა მათივე მბრძანებელი არ იყო?

თეაგე. რა თქმა უნდა.

სოკრატე. ისევე როგორც პიპია, პისისტრატეს ძე, რომელიც ამ ჩვენს ქალაქს მართავდა.¹² მათივე მბრძანებელი იყო, არა?

თეაგე. რასაკვირველია.

სოკრატე. თუ შეგიძლია მითხრა, რა სახელს უწოდებენ ბაკისს, სიბილას და ჩვენს ამფილიტეს?¹³

თეაგე. სხვა რას უწოდებენ, სოკრატე, თუ არა მისწებს?

სოკრატე. წართალი ხარ: მაგრამ ეცადე იმათზედაც ასევე მიპასუხო: რა სახელს უწოდებენ პიპიასა თუ პერიანდრეს მმართველობას?

თეაგე. ჩემის აზრით, ტირანიას:¹⁴ მაშ, რას?

სოკრატე. მაგრამ ვისაც სურს ყველა კაცზე მბრძანებლობდეს მთელს ეალაქში, განა სწორედ ამნაირ მმართველობას, ესე იგი, ტირანიასა და ტირანობას არ მივუძღვის?

თეაგე. როგორც ჩანს.

სოკრატე. მაშასადამე, შენ ამბობ, რომ სწორედ ესა გსურს?

თეაგე. ჩემი სიტყვებიდან აგრე გამოდის.

სოკრატე. აჰ, შე ეშმაკო! ჩვენი ტირანობა რომ გსურს, მიტომაც რახანია საყვედურობ მამაშენს, რატომ არ მიმაბარებ ვინმე ბრძენ მოძღვარს, ტირანიის მასწავლებელსო? შენ კი, დემოდოკე, ნუთუ არა გრცხვენია, რომ ამდენი ხანია იცი, რა სურს მას და სად შეიძლება გაგზავნო, რათა ზედმინეებით დაეუფლოს იმ ცოდნას, რასაც ესწრაფვის, მაგრამ, მაინც არსად არ უპირებ გაგზავნას, რადგან გზურს მიაი. ახლა კი, ზომ ზედავ, მას შემდეგ, რაც ჩემს წინაშე გამხილა, ისლა დაგვრჩენია, რომ მე და შენ ერთად მოვიტათბიროთ, თუ ვის გავეუგზავნოთ და ვისთან ურთიერთობის წყალობით შესძლებს იმას, რომ მცოდნე ტირანი გახდეს?

დემოდოკე. დიახ, ფფიცავ ზეგას, სოკრატე, უთუოდ მოვიტათბიროთ, ვინაიდან ამ საქმეში საფუძელიანი რჩევაა საჭირო.

სოკრატე. მოითმინე, ჩემო კეთილო: ჯერ თვითონ მას გამოვკითხოთ დაწერილებით.

დემოდოკე. ჰკითხე.

სოკრატე. რა ვქნათ, თეაგე, ევრიპიდე¹⁵ ხომ არ დავიმონძოთ, რომელიც ამბობს: „მცოდნე ტირანებს მცოდნენი ზრდიან“.¹⁶

ჰოდა ევრიპიდეისთვის რომ ევითხა ვინმეს: ო, ევრიპიდე, მაინც რა იციან იმათ, ვისი წყალობითაც მცოდნენი ხდებიან ტირანებიო? თითქოს მას ეთქვას:

„მცოდნე გლეხკაცებს მცოდნენი ზრდიან“,

და ჩვენ გვეკითხა, მაინც რისი მცოდნენიო, რას გვიპასუხებდა ჩვენს შეკითხვაზე? სამინათმოემედო ხელოვნებისაო, არა?

თეაგე. რა თქმა უნდა.

სოკრატე. ანდა ასე რომ ეთქვა:

„მცოდნე მზარეულთ მცოდნენი ზრდიან“,

და ჩვენ გვეკითხა, მაინც რისი მცოდნენიო, რას გვიპასუხებდა იგი? სამზარეულო ხელოვნებისაო, არა?

თეაგე. დიახ:

სოკრატე. ან კიდევ — ასე:

„მცოდნე მორკინლებს მცოდნენი ზრდიან“,

და ჩვენ გვეკითხა, რისი მცოდნენიო, სხვას რას გვიპასუხებდა, გარდა ამისა: ქიდაობის ხელოვნებისაო?

თეაგე. დიახ

სოკრატე. მაგრამ რაკი ის ამბობს:

„მცოდნე ტირანებს მცოდნენი ზრდიან“,

ამიტომ ჩვენ რომ გვეკითხა, მაინც რისი მცოდნენიო, ევრიპიდე რას გვეტყოდა პასუხად? რომელი ხელოვნებისაო?

თეაგე. არ ვიცი, ფფიცავ ზეგას.

სოკრატე. თუ გინდა, მე გეტყვი.

თეაგე. თუკი ინებებ...

სოკრატე. იმისა, რის ცოდნასაც ანაკრუონი¹⁷ მიაწერს კალიკრიტეს; ან, იქნებ, შენთვის უცნობია ეს სიმღერა?

თეაგე. არა, ნაცნობი.

სოკრატე. მერედა, სწორედ იმ კაცთან ურთიერთობა გსურს, ვინც იმავე ხელოვნების მიმდევარი იქნებოდა, რომელსაც ფლობდა კალიკრიტე,¹⁸ კიანეს ასული, ესე



იგი, „ტირანიის მცოდნე“, როგორც ამბობს მასზე პოეტი,¹⁹ — რათა, ამრიგად, შენც ჩვენი და ამ ჩვენი ქალაქის ტირანი გახდე?

თ ე ა გ ე. რა ხანია, სოკრატე, დაშვინი და მასხრად მიგდებ.

სოკრატე. როგორ, განა შენ არ ამბობდი, რომ სწორედ ის ცოდნა გსურს, რომლის წყალობითაც შეიძლება მბრძანებლობაზე ყველა მოქალაქეზე? ხოლო ამის მოქმედი სხვა რა იქნები, ტირანის გარდა?

თ ე ა გ ე. მართლაცდა, მე მგონია, შეიძლება მესურვა კიდევ, რომ ყველა კაცის თუ არა, უმრავლესობის მბრძანებელი მაინც ვყოფილიყავი. ისევე როგორც შენცა და ყველა სხვა კაცსაც, ჩემის აზრით, უფრო მეტიც გსურთ: ღმერთად ქცევა, მაგრამ მე ამნაირ სურვილს როდი ვგულისხმობდი.²⁰

სოკრატე. კი მაგრამ, მამ რა ცინდა? განა შენ არ ამბობდი, მოქალაქეთა მბრძანებლობა გსურსო?

თ ე ა გ ე. მაგრამ არა ძალადობით და არა ტირანებით, არამედ კეთილი ნებით, მთელ ქალაქში სახელგანთქმულ სხვა კაცთა მსგავსად.

სოკრატე. თემისტოკლეს, პერიკლეს, კიმონსა²¹ და სხვა მოღვაწეებს ხომ არ გულისხმობ, რომლებმაც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიჩინეს თავი?

თ ე ა გ ე. ვფიცავ ზევსს, სწორედ მაგათ.

სოკრატე. კეთილი, მაგრამ შენ რომ მოგესურვებინა დაუფლებოდი იმ ცოდნას, რომლის წყალობითაც მარჯვედ მართავენ ცხენებს, როგორ ფგონია, ვის მიმართაფდი იმის სასწავლად, რომ მარჯვე ცხენოსანი გამხდარიყავი? ვის, თუ არა მხედრებს?

თ ე ა გ ე. ვფიცავ ზევსს, სხვას არავის.

სოკრატე. მაგრამ სწორედ მათ, ვინც ამ საქმის მცოდნენი არიან, ბევრი ცხენები ჰყავთ და ხშირად თავის ნებაზე დააჭენებენ როგორც თავისას, ისე სხვისასაც?

თ ე ა გ ე. რასაკვირველია.

სოკრატე. ხოლო შენ რომ მოგესურვებინა მარჯვე შუბოსანი გამოსულიყავი, როგორ ფგონია, განა სწორედ იმის წყალობით არ მიაღწევდი მიზანს, რომ სასწავლებლად მიადგებოდი შუბოსნებს, რომლებსაც ბევრი იარაღი აქვთ და ხშირად ხმარობენ როგორც საკუთარ, ისე სხვის შუბებსაც?

თ ე ა გ ე. აგრე მგონია.

სოკრატე. მამინ მითხარი: რაკილა გსურს პოლიტიკოსი გახდე, როგორ ფგონია, იმის წყალობით მიაღწევ მიზანს, რომ ვიღაც სხვებს მიადგები სასწავლად და არა პოლიტიკოსება, რომლებიც თვითონაც მარჯვენი არიან პოლიტიკაში და შეუძლიათ არა მარტო თავიანთი, არამედ ბევრი სხვა ქალაქის მართვაც ელინურსა თუ ბარბაროსულ პოლისებთან კავშირის წყალობით? ან, იქნებ, ფიქრობ, რომ მათთან კი არა, სხვებთან ურთიერთობის შედეგად თუ მიაღწევ იმ სიმარჯვეს, რაც ნიშნეულია ამ სახელმწიფო მოღვაწეთათვის?

თ ე ა გ ე. სხვებისგან გამიგონია, სოკრატე, რომ, შენი მტკიცებით, ამ სახელმწიფო მოღვაწეთა შვილები თურმე არაფრით არა სჯობიან ხარაზთა შვილებს; და, ჩემის აზრით, ცამდე მართალიც ხარ, რამდენადაც მე შემიძლია ვიმსჯელო ამაზე. მაშასადამე, ნამდვილი ბრიყვი ვიქნებოდი, იმის იმედი რომ მქონოდა, თითქოს ერთ-ერთი მათგანი მე გადმომცემდა თავის ცოდნას, რომლითაც ვერას შეენია საკუთარ შვილს, თუკი ვინმეს საერთოდ შეუძლია ამ მხრივ რაიმე არგოს რომელიმე მოკვდავს.²²

სოკრატე. კი მაგრამ, კაცთა შორის ყველაზე უკეთესო, შენ თვითონ რაღას იზამდი. ვაფიქვინდი რომ გყავდეს და მოსვენებას არ გაძლევდეს, მინდა კარგი მხატვარი გამოვიყო და, თანაც, ყვედრებით სვავსებდეს შენ, როგორც მამას, რატომ ფულს არ იმეტებ ჩემი გულისთვისო, თვითონ კი ლანძღვით იკლებდეს ამ საქმის მასწავლებლებს, ესე იგი, მხატვრება, და არასდროებით არ უნდოდეს მხატვრობის სწავლა მათგან? ანდა სალამურზე დაკვირის სწავლა რომ სურდეს და ასევე იქცეოდეს სალამურზე თუ კითარაზე დაკვირის მასწავლებელთა მიმართ? რას მოუხერხებდი, ან სხვას ვის მიაბარებდი მას, რაკილა არ ინებებდა ამ ხალხისგან უსწავლა რამე?

თ ე ა გ ე. არ ვიცი, ვფიცავ ზევსს.

სოკრატე. მერედა ახლა, როცა ზუსტად ასე ექცევი მამაშენს, რაღად გიკვირს და ყვედრებით ავსებ იმის გამო, რომ საგონებელში ჩავარდნილმა აღარ იცის, რა გიყოს ან ვისთან გაგგზავნოს? თუკი ინებებ, ჩვენ მზადა ვართ მიგაბაროთ პოლიტიკაში ერთ-ერთ ყველაზე რჩეულ ათენელს, რომელიც უფასოდ გამეცადინებს; ფულსაც დაზოგავ

და უფრო დიდ სახელსაც მოიხვეჭ ხალხში, ვიდრე სხვა ვინმესთან ურთიერთობის წყალობით.

თეაგე. კი მაგრამ, სოკრატე, განა შენ არ ეკუთვნი რჩეულ ათენელთ? თუ ინებებ მამეცადინო, ჩემთვის ეს სავსებით საკმარისია, და სხვა ვინმეს აღარ მოვძებნი.

სოკრატე. რას ამბობ, თეაგე?

დემოდაკე. ცუდს არაფერს ამბობს, სოკრატე; ამით მეც ძლიერ მამეცადინეობაზე დიდი ბედნიერება რა იქნება ჩემთვის, რომ ჩემს შვილს ტყუამში დაუფუძვს შენთან მეცადინეობა, ხოლო შენ დათანხმდე და ამეცადინო იგი. მრცხვენია კიდევ იმის გამხელა, თუ რარიგ მნადია ეს, ორთავეს ცეხვენებით: შენ — იმას, რომ შეივრდომო იგი, შენ კიდევ — იმას, რომ სხვა მასწავლებელი არ ინდომო, სოკრატეს გარდა. რომ იცოდეთ, რამდენი დავიდარაბისა და ვაი-ვაგლახისგან დამიხსენით; რადგან ჯერხობით სულ იმის შიშში ვარ, ვაითუ ვინმე ოხერს გადაეკიდოს და თავი წააგოს.²³

თეაგე. ამას იქით ნურაფრის შიში ნუ გექნება, მამაჩემო, თუკი დაითანხმებ, რომ მამეცადინოს.

დემოდაკე. რა კარგად ლაპარაკობ. ახლა კი მხოლოდ შენ მოგმართავ სოკრატე; მე მზადა ვარ, ჩემი თავიცა და მთელი ჩემი ავლადიდებაც, მოკლედ რომ მოგჭრა, ყველაფერი, რაც საჭიროა, უყოყმანოდ შემოგთავაზო, რათა ისე მოიხმარო, როგორც მოგეპრიანება, თუკი შეივრდომებ ამ ჩემს თეაგეს და, რამდენადაც შეგიძლია შენს წყალობას არ მოაკლებ.

სოკრატე. არ მიკვირს, დემოდაკე, შენი გულმოდგინება, თუკი ფიქრობ, რომ შენი შვილი სწორედ ჩემი წყალობით ეზიარება ყველაზე მეტ სიკეთეს; რადგან მე არ ვიცი, იმაზე დიდი საზრუნავი რა უნდა შექონდეს გონიერ კაცს, რომ შვილი რაც შეიძლება უკეთესი გამოუვიდეს? მაგრამ ძალიან მაკვირვება, რამ გაფიქრებინა, თითქოს მე შენზე მეტად შემძლია შევენიო შენს შვილს იმაში, რომ ღირსეული მოქალაქე გახდეს, ან თვითონ მას საიდან მოუვიდა თავში აზრად, რომ მე შეიძლება შენზე მეტად გამოვადგე? ჯერ სრთი, ჩემზე უფროსი ხარ და, ეგეც არ იყოს, რამდენი დიდმნიშვნელოვანი თანამდებობა გჭერია ათენში; თანაც, როგორ პატივს გცემენ შენი ანაგირუნტელი²⁴ მეზობლები და არც ქალაქში გაქვს ვინმეზე ნაკლები სახელი, მაშინ როდესაც ვერცერთი თქვენგანი რომელიმე ამ ღირსების ნატამალსაც ვერ ჰპოვებს ჩემში. ხოლო თუ ამ ჩვენს თეაგეს არ მოსწონს სახელმწიფო მოღვაწეობა და სხვებს დაეძებს, რომლებიც ყმანვილკაცების აღმზრდელებად ასაღებენ თავს, აქ არა გვეყვანან პროდიკე კოსელი, გორგია ლეონტინელი, პოლოს აკრაგანტელი²⁵ და სხვანი და სხვანი, ქალაქიდან ქალაქში რომ დაეხეტებიან და თავიანთი სიმარჯვის წყალობით არნმუნებენ ყველაზე კეთილშობილსა და ყველაზე მდიდარ ქაბუკებს, რომლებსაც შეუძლიათ, ვისაც მოისურვებენ, თავიანთ თანამოქალაქეთა შორის, იმას მიეზარონ უფასოდ, დიახ, არნმუნებენ, დაივიწყონ ძველი ნაცნობები და მათ დაემონაფონ, თანაც დიდძალი გასამრჯელოს ფასად და მადლობელიც იყვნენ მათი. მე კი არა, აი, ვინ უნდა ამოგერჩიათ შენცა და შენს შვილსაც, ვინაიდან, ძალიანაც რომ მიხდოდეს, არცერთი ამ კურთხეული და მშვენიერი მეცნიერების არა გამეგება რა. განა ერთთავად არ ვამტკიცებ, რომ არაფერი არ ვიცი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთი პატარა მეცნიერების — სიყვარულის მეცნიერების გარდა?²⁶ აი, აქ კი, ვფიქრობ. უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე რომელიმე ჩვენი წინამორბედი თუ თანამედროვე.

თეაგე. ხედავ, მამაჩემო, სოკრატეს, როგორც ჩანს, სულაც არა სურს შეგირდად ამიყვანოს, მოუხედავად იმისა, რომ მე მზადა ვარ, თუკი ინებებს, მხოლოდ ხუმრობით გვეუბნება ყოველივე ამას, ვინაიდან ჩემს თანატოლებსა და ცოტა უფროსებს შორისაც ბევრს ვიცნობ ისეთს, რომლებიც ვიდრე მასთან დაიწყებდნენ სიარულს, არაფრად არ ვარგოდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც მის ცაუბრებს ისმენენ, სულ მოკლედ ხანში იმათზე უკეთესნი გახდნენ, ვისაც მანამდე ვერც კი შეედრებოდნენ.

სოკრატე. თუ იცი, რას ნიშნავს ეს, დემოდაკეს ძევ?

თეაგე. დიახ, ვფიცავ ზევსს, ვიცი, რომ, თუკი ინებებ, მეც შემძლია მათზე არანაკლები გავხდე.

სოკრატე. არა, ჩემო ძვირფასო, შენ არ იცი, რას ნიშნავს ეს, მაგრამ მე გეტყვი. საქმე ისაა, რომ ღვთიური წინასწარგანჩინებით, ბავშვობიდანვე თანა მდევს რაღაც დემონიური.²⁷ ესაა ერთგვარი იდუმალი ხმა, რომელიც ანაზდუულად ჩამესმის ყოველთვის, როცა რაღაცის ქმნას ვაპირებ, და ნიშანს მაძლევს, თავი შევიკავო ამი-

საგან, მაგრამ არაფრის საქმნელად კი არ მაქვს. როდესაც რომელიმე მეგობარი ამა თუ იმ განზრახვას მიმუღავენებს და მე ანაზღუღლად ჩამესმის ხმა, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი არ იწონებს განზრახულს და მისი ასრულების ნებას არ იძლევა. შემძლია მოწმეებიც დაგისახელოთ. ხომ იცნობ ჩვენს ქარმიდეს.²⁸ მომხიბლავ ჭაბუკს, გლაკონის ძეს? პოდა, ერთხელ მან მითხრა, განზრახული, მაქვს მორბენალთა ასპარეზობაზე გამოვიდე ნემფაშიო.²⁹ ამის თქმა იყო, და ხმავე ქარმიდესმა შევეცადა ამ განზრახვაზე ხელს ამეღებინებინა მისთვის და ვუთხარი: შენ რომ გელაპარაკებოდი, ჩემი დემონის ხმა ჩამესმა და ამიტომ ასპარეზობაზე წუ გამოხვალ-მეთქი. — კი მაგრამ, — მითხრა ქარმიდემ, — იქნებ მან მხოლოდ ის განიშნა, რომ ვერ გავიძარჯვებ? მაგრამ რომც ვერ გავიძარჯვო, ამ ხნის მანძილზე წერთა მაინც სასარგებლო იქნება ჩემთვის, ასე თქვა და თავისი არ დაიშალა. ღმერთმანი, ღირს, თვითონ მას ჰკითხოთ რა შედეგი გამოიღო ამან. თუ გნებავთ, ტიმარქეს ძმას, კლიტომაქეს ჰკითხეთ, რა უთხრა მას ტიმარქემ, სასიკვდილოდ რომ გადასდო თავი, რაკი დემონს არ დაუჯერა; დიახ, მან და ვფათღემ, სახელგანთქმულმა მორბენალმა, რომელმაც შეიფარა დევნილი ტიმარქე. კლიტომაქე გეტყვით, რა უთხრა ძმამ...³⁰

თქვა გე, რა?

სოკრატე, ი, კლიტომაქე, — უთქვამს მას, — მე ახლა უნდა მოგვკვდე იმიტომ, რომ სოკრატეს არ დავუჯერე. ხოლო რატომ თქვა ასე ტიმარქემ, მე მოგახსენებთ. როდესაც სუფრიდან ადგა ტიმარქე, ფილემონთან, ფილემონიდის ძესთან ერთად, რათა ნიკიას, პეროსკამანდრეს ძის მოსაკლავად წასულიყვნენ, მხოლოდ ამ ორმა იცოდა. შეთქმულების ამბავი, მაგრამ ტიმარქემ წამოდგომისას მითხრა: თქვენ სმა განაგრძეთ, სოკრატე, მე კი ერთ ადგილას ვარ მისასვლელი და, თუ მოვახერხებ, ცოტა მოგვიანებით დავბრუნდებიო. ხოლო მე ხმა ჩამესმა და ვუთხარი მას: არამცაა არამც არ ადგე, დემონის ხმამ თავისი ჩვეული ნიშანი მომცა-მეთქი. ის შეჩერდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ დააპირა წასვლა და მითხრა: მე მივდივარ, სოკრატე, კვლავ ჩამესმა ხმა და ხელახლა ვაიძულე დარჩენილიყო. მესამედ კი გადანყვიტა დამშალვოდა, სიტყვის უთქმელად წამოდგა, ცოტა შეიცადა და როცა მე სხვა რაღაცით ვიყავ გართული, ჩემდა შეუშინველად გაიპარა, რათა ჩაედინა ის, რაც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. აი, რატომ უთხრა თავის ძმას, რასაც ახლა თქვენ გეუბნებით: იმიტომ ვკვდები, რომ სოკრატეს არ დავუჯერო. სიცილიის ლაშქრობაზედაც³¹ მრავალი გეტყვით. რას ვამბობდი მაშინ ჯარის დაღუპვაზე. წარსულთან დაკავშირებით ყველაფერს ადვილად გაიგებთ მცოდნე ხალხისგან. მაგრამ შეგვიძლია ახლაც გამოვცადოთ ჩემი ნიშანი, ვნახოთ მართალს ამბობს თუ არა: საქმე ისაა, რომ პირმშვენიერი სანიონის³² ლაშქრად წასვლისას ჩამესმა ხმა, ხოლო ის ახლა თრასილესთან³³ ერთად მიდის საომრად ეფესოსა და იონიაში. მე მგონია, დაიღუპება, ან რაღაცა უბედურება შეემთხვევა და დანარჩენი ლაშქრის ბედიც ძალზე მაფიქრებს.

ყოველივე ეს იმიტომ მოგახსენე, რომ სწორედ ამ ჩემი დემონის ნებაზეა დამოკიდებული ჩემი ურთიერთობა მონაფეებთან. ვინაიდან ბევრს ეწინააღმდეგება და მაშინ ისინი ვერავითარ სარგებლობას ვერ იღებენ ჩემთან ურთიერთობის შედეგად, ხოლო, ჩემის მხრივ, არც მე შემძლია ვამეცადინო ისინი. ბევრს კი თუმცა არ უკრძალავს ჩემს გვერდით ყოფნას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათთვის მაინც სრულიად ფუჭია ჩემთან მეცადინეობა. ხოლო ვისაც ჩემთან ურთიერთობაში ხელს უწყობს დემონიური ძალა — შენ იცნობ მათ, — ისინი მართლაც მოკლე ხანში აღწევენ დიდ წარმატებას. თუმცა ამ უკანასკნელთა შორისაც მხოლოდ ზოგიერთი იღებს მყარსა და წარუვალ სარგებლობას, ზოგიერთი კი, სანამ ჩემთანაა, განსაცვიფრებელ წარმატებას აღწევს, მაგრამ დამშორდება თუ არა, არაფრით აღარ გამოირჩევა სხვებისაგან. სწორედ ასე დაემართა არისტიდეს ძის, ლისიმაქეს ვაჟს — არისტიდეს. სანამ ჩემთან იყო, მოკლე ხანში ბევრ რამეს მიაღწია, მაგრამ შემდეგ ზღვით გაემგზავრა რომელიღაც ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად. დაბრუნებულმა ნანა, რომ, სხვებთან ერთად თუკიდიდეს ძის მეღესიას ვაჟი — თუკიდიდეს მეცადინეობდა ჩემთან.³⁴ ხოლო ეს თუკიდიდე, წინა დღის საუბრის შედეგად, რაღაცით გაბრაზებული იყო ჩემზე. როდესაც მინახულა, მომიკითხა და ახალი ამბებიც გამომკითხა, არისტიდემ თქვა: გავიგე, რომ თუკიდიდე ცხვირს იბზუებს შენა წინაშე და ისე იბღინძება, თითქოს დიდი ვინმე მყავდეს. — ეგრეთ-მეთქი. — მივუგე მე. — კი მაგრამ, — თქვა მან, — ნუთუ არ იცის, რა შეილიცა ბრძანდებოდა, სანამდის შენთან დაიწყებდა სიარულს? — ღმერთმანი, როგორც ჩანს, არ იცის-მეთქი. — მივუგე მე. — თუმცა მე თვითონაც რა სასაცილო საქმე დამემართა,

სოკრატე, თქვა მან. — მაინც რა? — ვუთხარი მე. — რა და, ის, რომ — თქვა მან. — გამგზავრებამდე შემქმნლო ყველა კაცთან მემსჯელა და არავის არ ჩამოვუყვარდებოდი სიტყვა-პასუხით, ასე რომ, თვითონვე ვესწრაფოდი ყველაზე გამორჩენილ ხალხთან ურთიერთობას; ახლა კი, პირიქით, თავს ვარიდებ ყველას, ვისაც კი განსწავლულობას შევატყობ, ისეთნაირად მრცხვენია ჩემი უმეცრების. — კი მაგრამ, — ვუთხარი მე. — უცაბედად დაკარგე ეს შენი უნარი თუ თანდათანობით? — უცაბედად, — მან. — მერყდა, — ვუთხარი მე, — როცა ეს უნარი გქონდა, ჩემთან სწავტესტე — წესდისა კეონდა, თუ სხვა რაღაცის წყალობით? — გეტყვი, სოკრატე, — მოთხრა მან. — თუმცაღა დაუფერებელია მაგრამ, ღმერთმანი, მართალი გახლავს, საჭმე ისაა, რომ შენგან არც არასდროს მისწავლია რამე, როგორც თავადვე მოგეხსენება. თუმცა შენი საუბრებით რაღაცაა მაინც ვიძენდი, უფრო მეტად მაშინ, როცა შენს გვერდით ერთ ჭურჭელს მყოფი თვალეზგაფართოებული მოგჩერებოდი და ვისმუნდი, ვიდრე მაშინ, როცა ახვადგან გამობოდა მზერა. ახლა კი ამ ჩემი უნარიდან აღარაფერიც აღარ დარჩა.

აი, როგორია, თეაგე, ჩემთან ურთიერთობა. თუ ღმერთი იმეტება, მოკლე ხანში ბევრ რასმე მიაღწევ, თუ არა და ნურაფრის იმედი ნუ გაქვს, მაშ დაფიქრდი, ხომ არ გირჩევნია იმათ მიუბარო, ვისაც, თავიანთი ნება-სურვილით, უეჭველი სარგებლობა მოაქვს ხალხისთვის, ვიდრე შემთხვევითობას მიენდო და ჩემს ხელში აცადო ბედი?

თეაგე, ჩემის აზრით, აი, როგორ უნდა მოვიქცე, სოკრატე: ერთმანეთთან ურთიერთობის წყალობით გამოცვალოთ შენი ღმერთი; თუ ნებას დაგვრთავს, ხომ კარგი, თუ არა და, მაშინ ვნახავთ, როგორ მოვიქცეთ: სხვაა მიემართო, თუ შეიძლება, ვცადოთ და ლოცვა-ვედრებითა თუ მსხვერპლშენიშნით მოვულობოთ გული მაგ შენს ღვთაებას.

ღმერთო, ვუარს ნუ ეტყვი ყმანვილს, სოკრატე: თეაგე ხომ კარგად ლაპარაკობს.

სოკრატე, კეთილია: თუ გგონიათ, რომ ასე უნდა მოვიქცეთ, ასეც მოვიცევთ.

ქ რ მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

1 იხ. კომენტ. „ევთიფრონი“, 2
 2 შდრ. „ევთიფრონი“, 2d: „მართლაცდა, უნინარეს ყოვლისა, საჭიროა იმაზე ზრუნვა, რომ ახალგაზრდობა რაც შეიძლება უკეთესი იყოს; ამ მხრივ, გონიერ მებაღეს უნდა ვბაძვდეთ. უპირველეს ყოვლისა, ნორჩ ნერგებს რომ დასტრიალებს თავს და მხოლოდ შემდეგ — ყველა დანარჩენს“... შდრ. აგრეთვე — „თეეტეტი“, 167bc; „სახელმწიფო“, VI, 491d; „კანონები“, VI, 765e
 3 ეს ანდაზა, ძველი სქოლასტიკის მიხედვით, სხვადასხვანაირად განიმარტება: რჩევა წმინდაა და დასახული იმიტომ, რომ ბევრი არ იმეტება მას, რადგანაც პასუხისმგებლობისა უმინია. ან კიდევ იმათ უფროსის, ვაითუ სათაყვანებელი რაღაც შევბღალოო, მეორეს მხრივ რჩევა ისევე წმინდაა მიჩნეული. როგორც საღმრთო რამ საგანი, სქოლასტიკის მოწმობით, ზემოხსენებული ანდაზა სწორედ ამ უკანააქნელი აზრით ყოფილა ნახმარის არისტოფანეს კომედიაში „ამფიარაე“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.
 4 ძველ საბერძნეთში შვილს ყოველთვის მამა არქმევდა სახელს, დაბადებიდან მემვიდევ თუ შეათე ღღეს. ბევრ სახელში კომპონენტის სახით შედიოდა სიტყვა „თოს“ — ღმერთი (თეოგენე, თეოგნიდე, თეოდეკატი, თეოდორე, თეოდოტი, თეოკლიმენე, თეოკრიტი, თეოპომპე, თეოფრასტი და ა. შ. და ა. შ. „თეაგე“ — „ღვთისადაში მიძღვნილს“, ან „ღვთისმოყვარეს“ ნიშნავს.
 5 ღვთაებაში: „ჰოი ტონ კალონ კაგათონ პატერონ ჰივის“... „კალოკაგათიია“ შესახებ იხ. კომენტ. „ლახესი“, 15.
 6 პირველდაწყებითი სწავლა-განათლება ათენში აამი სხვადასხვა ხანისაგან შედგებოდა: გრამატიკის, მუსიკისა (კითარიატიკა, აელეტიკა), და გიმნასტიკისაგან. ასეთი იყო ბერძნული სულიერი და ფიზიკური იდეალის — „კალოკაგათიისაკენ“ მიმავალი გზის საწყისი ეტაპი. ყოველგვარი „სასწავლებელი“ აღინიშნებოდა ერთი ზოგადი სიტყვით „დიდასკალეონ“, თუმცა ავევ უნდა ითქვას, რომ „სკოლაც“ ბერძნული პარმომავლო-

ბისაა. „სხოლე“ ბერძნულად ნიშნავდა უქმად ყოფნას, მოცლილობას, დროსტარებას; მაგრამ ამ უშუალო აზრს გარდა მან თანდათანობით შეიძინა მოწაფეებთან ფილოსოფოსების საუბრების, უფრო გვიან კი, საერთოდ, სასკოლო მეცადინეობის მნიშვნელობა, და სწორედ ამ მნიშვნელობით შევიდა ლათინურსა თუ ახალ ევროპულ ენებში... შვიდი წლის ასაკიდან ბავშვებს აღსაზრდელად აბარებდნენ ე. წ. „მუსიკურ“ სკოლაში. ეს იყო ზოგადსაგანმანათლებლო ტიპის სასწავლებელი, რომელიც მიზნად ისახავდა „ლიტერატურული და მუსიკალური განათლება მიეცა მოსწავლეთათვის. წერტილები ეუფლებოდნენ გრამატიკის ხელმძღვანელობით. პარალელურად მათ უკითხავდნენ და აზეპირებინებდნენ დიდი ბერძენი პოეტების (ეპიკოსების, ტრაგიკოსების, კომიკოსებისა და ლირიკოსების) — ყველაზე სრულყოფილსა და მნიშვნელოვან ფრაგმენტებს, რომლებიც ადიდებდნენ უკვდავ ღმერთებს და მამულისათვის თავდადებული გმირების ღვანლს, მათ დიდშულოვნებას. კეთილშობილებას და სიყველეს. ასე რომ, ბერძნული მწერლობა იყო არა მარტო ლიტერატურული განათლების, არამედ ზნეობრივი აღზრდის ერთი ყველაზე ქმედითი საშუალებაც. სასკოლო განათლების სისტემაში დიდი ადგილი ეჭირა მუსიკასაც: „მუსიკა და გრამატიკა — წერს ფრანგი სწავლული პ. ჟირარი, — იაე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან, რომ ხშირად ერთსა და იმავე მასწავლებელს ანდობდნენ ორივე საგნის სწავლებას და, ამასთან, მათ განიხილავდნენ როგორც სწავლა-განათლების საერთო დარგს, რომელსაც ზოგადი სახელი „მუსიკური“ ერქვა და მოიცავდა ყველაფერს. რაც მუზეუმის კულტს უკავშირდება, ესე იგი, მთელს სულიერ კულტურას, განსხვავებით გიმნასტიკისაგან, რომლის მიზანიც სხეულის განვითარება გახლდათ“. ასე გრძელდებოდა თოთხმეტი წლის ასაკამდე, რის შემდეგაც ყმანვილები, მართალია, კვლავინდებურად განაგრძობდნენ მუსიკურ სკოლებში მეცადინეობას. მაგრამ უპირატესობა უკვე გიმნასტიკას ენიჭებოდა, რომელსაც მოწაფეები გიმნასტიკურ სკოლებში ეუფლებოდნენ პაიდოტრიბის ხელმძღვანელობით. გიმნასტიკა მოიცავდა სპორტისა იმ სახეობებს, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობდნენ ხელს მოზარდთა ფიზიკურ განვითარებას: ჭიდაობა, სირბილი, კრივი, ხტომა, ბადროსა თუ შუბის ტყორცნა და ა. შ... შდრ. „პირველი ალკიბიადე, 106c.

7 მთელი ეს პასაჟი (124c-მდე) ჩვენ უშუალოდ გვაგონებს „პირველი ალკიბიადეს“ ერთ ადგილს (125b-d); თითქმის ერთი და იგივე მაგალითები, ერთი და იგივე „ფაქტურა“, საერთო მიზანი, ერთნაირი ატილი.

6 ე გ ის თ ე — მიკენის მბრძანებლის ატრევის ძმის — თიესტეს ვაჟი, რომელმაც მამის წაქეზებით მოჰკლა ბიძა, რის შედეგადაც მიკენის მეფე გახდა თიესტე. როდესაც ატრევის განდევნილი ვაჟები, აგამემნონი და მენელაოსი დავაყვაცდნენ, მამისეული საბრძანებლიდან გააძევეს თიესტე და ეგისტე, აგამემნონი მიკენის სამეფო ტახტზე ავიდა, ხოლო მენელაოსი — სპარტისა. ტროას ომის დროს ეგისტემ შეაცდინა აგამემნონის მეუღლე კლიტემნესტრა და მასთან ერთად მოკლა ლაშქრობიდან შინ დაბრუნებული აგამემნონი. მოგვიანებით აგამემნონის ვაჟმა ორესტემ შური იძია და ერთად მოაკვდინა კლიტემნესტრაცა და ეგისტეც.

5 პ ე ლ ე ვ ს ი — თესალიელი გმირი, ეაკუს (იხ. კომენტ. „პირველი ალკიბიადე“, 40) ვაჟი, თეტიდას (იხ. კომენტ. „მცირე ჰიპია“, 22) მეუღლე, აქილევსის მამა. ფთია, თესალიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, პელევსისა და აქილევსის სამფლობელო იყო.

10 პ ე რ ი ა ნ დ რ ე (668-584 წ. ძვ. წ. ა) — კიპსელუს ძე, კორინთოს ტირანი, სახელგანთქმული თავისი სიბრძნითა და სიმდიდრით, ისევე როგორც თავისი გულმხეცობით, სისასტიკითა და დაუნდობლობით. ზოგიერთი ავტორი ძველი საბერძნეთის ე. წ. „შვიდ ბრძენს“ შორის იხაენიებს მას.

11 ა რ ქ ე ლ ა ო ს ი — მაკედონიის მეფის პერდიკას 11-ის (436-413 წ. ძვ. წ. ა.) ძე. მაკედონიის მეფე (413-399 წ. ძვ. წ. ა.), ცბიერი და გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწე. მწერლობის, ფილოსოფიის, ხელოვნების მფარველი... აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოკრატე 399 წ. დასაჯეს სიკვდილით: მაშასადამე, აქ ჩვენ ვხედავთ პლატონისეული ანაქრონიზმის კიდევ ერთ ნიმუშს.

12 პ ის ის ტ რ ა ტ ე (541-528 წ. ძვ. წ. ა.) — ათენის ტირანი, ნიჭიერი მხედართმთავარი, ცბიერი და შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწე... ჰიპია — პრინსტრატუს ძე, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ ჯერ თავის ძმასთან — ჰიპარქესთან ერთად, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ (513 წ. ძვ. წ. ა.) მარტო მართავდა ათენს.

13 ბ ა კ ო ს ი — მითიური ბეოტიელი მისანი, რომელსაც მიეწერება პროფეტულ

გამონათქვამთა კრებულის („ხრესმოი“) ავტორობა. ბაკისა ნინასწარმეტყველურ ლექსებს არაერთხელ იმონებებს პეროდოტე თავის „ისტორიაში“ (VIII, 20, 77, 96, 121/43). უფრო გვიან შედგენილ იქნა სხვა ამნაირი კრებულებიც. ასე რომ, ბეოტისელი ბაკისა გარდა ცნობილია აგრეთვე ატიკელი და არკადიელი ბაკისიც. ამრიგად, ბაკისი ნინასწარმეტყველია აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი უფროა, ვიდრე რომელიმე კონკრეტული პეროვნების საკუთარი სახელი... სიბილა — მითიური გრძელეულ ქალის — ზოგადი სახელი, ამ ღმრთივემთავონებულსა და მისნობის ნიჭით ცხებულ ნინასწარმეტყველება ტრადიცია სხვადასხვა ეპოქას და ხალხს აკუთვნებს. პერაკლიტე ეფუაელი და პლატონი იცნობენ მხოლოდ ერთ სიბილას, არისტოფანე და არისტოტელე — რამდენიმეა, ხოლო ვარონის დროინდელ რომში უკვე ათამდე სიბილას ითვლიდნენ. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყვნენ დელფოსელი და ფრიტრიელი სიბილები. როგორც ჩანს, სამისნოების აღმოცენების შემდეგ სიბილებმა თანდათანობით დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა (სიბილების შესახებ იხ. თ. ზელინსკის საინტერესო წერილი მის წიგნში — Из жизни ядее, СПб. 1916, გვ. 185-236). სიბილას, როგორც ნინასწარმეტყველის, დიდ ავტორიტეტს გვიმონებებს პერაკლიტეს სიტყვები: „სიბილა შმაგი ბაგეებით ღაღადებს პირქუშ, შეუფარავსა და შეუფერავს სიმართლეს, და მისი ხმა საუკუნეებს სწვდება, რადგან თვით ღმერთი მეტყველებს მისი პირით (მ. დილსი, ფრაგმ. 92)... ამ ფილიტე — აკრავანტელი მისანი. მის ერთ-ერთ ნინასწარმეტყველებას ათენის ტირანის პისისტრატეს მიმართ გადმოგვცემს პეროდოტე თავის „ისტორიაში“ (1, 62). სოკრატე მას იმიტომ უწოდებს „ჩვენს ამფილიტეს“, რომ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მისანს ათენის მოქალაქეობა უნდა ჰქონოდა მინიჭებული.

14 ტირანის შესახებ იხ. „პირველი ალკიბიადე“ ნინათქმა.

15 იხ. კომენტ. „პირველი ალკიბიადე“, 21.

16 „სახელმწიფოში“ (VIII, 555a) პლატონი კვლავ იმონებებს ამ ლექსს და მის ავტორად, იავევ როგორც „თეაგემი“, ევრიპიდეს თვლის. მაგრამ ძველი სქოლიასტის მიხედვით, ეს სტრიქონი ევრიპიდეს კი არა, თურმე სოფოკლეს ეკუთვნის და აღებულია მისი დრამიდან „აიას ლოკრისელი“, რომელსაც ჩვენს დრომდე არ მოუღწევია (იხ. ფრაგმ. 13, ნაუკ-სანელი).

17 ანაკრეონი (559-478 წ. ძვ. წ. ა.) — სახელგანთქმული ბერძენი ლირიკოსი.

18 ზოგიერთი მეცნიერის აზრით, აქ იგულისხმება ავსონთა მეფის ლიპაროსის ასულის კიანესა და ეოლოსის (ეოლიელთა მითიური ეპონიმის) ასული, რომელიც დედამისთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სახელმწიფოს მართვაში.

19 რაკი კალიკრიტეს წარმომავლობა, ანაკრეონის ლექსის მიხედვით, დედის (კიანეს) მხრივაც განსაზღვრული, ამიტომ ზოგიერთი კონტრატორი ვარაუდობს, რომ აქ ეოლოსის ასული კი არ იგულისხმება, არამედ რომელიღაც მემკვიდრეობითი პეტერა, რომელსაც პოეტმა, თავიანთი მემკვიდრეობისადმი მისი სისასტიკის გამო, ტირანს ადარებს. ეს უკანასკნელი ვარაუდი უფრო მართებული ჩანს.

20 შდრ. „პირველი ალკიბიადე“, 105a-დ; „მეორე ალკიბიადე“, 141c.

21 თესისტოკლე (526-461 წ. ძვ. წ. ა.) — სახელგანთქმული ათენელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი. ერთ-ერთი ყველაზე თვალაჩინო ფიგურა სპარსელთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში... პერიკლე — იხ. კომენტ. — „პირველი ალკიბიადე“, 2... კიმონი (504-449 წ. ძვ. წ. ა.) — ათენელი მხედართმთავარი, ელინთა ერთი ყველაზე სახელოვანი სარდალი „ბერძენ-სპარსელთა ომში“.

22 ეს გახლავთ პლატონისათვის ძალზე ნიშნული თემა, რომელიც არაერთხელ მეორდება მის დიალოგებში: პოლიტიკური მოღვაწეები არაფერა იშურებენ, რათა სათანადო განათლება მისცენ თავიანთ შვილებს, დიდძალი გასაძრველოს ფასად ქირაობენ მათთვის საუკეთესო მასწავლებლებს და ა. შ. მაგრამ ის კი არ შეუძლიათ, რომ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გადასცენ მათ. საიდანაც პლატონი დაასკვნის, რომ ამ ცოდნის გადაცემა საერთოდ შეუძლებელია. შდრ. „პროტაგორა“, 319c და შემდგ. „პირველი ალკიბიადე“, 118de; „მენონი“, 93c და შემდგ.

23 სწორედ ასეთი იყო სოკრატესადმი წაყენებული ბრალდების ერთ-ერთი მთავარი მუხლი, რომლის თანახმადაც ფილოსოფოსის მოძღვრება თითქოს სულაღრად ხრწნიდა მის მონაფეებს: შდრ. პლატონი „სოკრატეს აპოლოგია“, 24b; ქსენოფონტე „მოგონებები სოკრატეზე“, I, 1). როგორც ვხედავთ, „თეაგეს“ მიზანი აშკარად აპოლოგეტურია და ხაზგასმით ამტკიცებს სოკრატესეული სწავლების ეთიკურ ხასიათს, რითაც ფილოსოფო-

სი დიაქეტრულად უპირისპირდება სოფისტებს, ახალგაზრდობის ამ ნამდვილ გამხრნველთ. ადვილი შესაძლებელია, რომ დემოდოკეს რეპლიკა სოკრატეს მონინააღმდეგეების მიერ ათენში ფართოდ გავრცელებული ცილისნამების თავისებურ პროტესტს წარმოადგენდეს. პლატონის „სოკრატეს აპოლოგიაში“ (33d-34b) სოკრატე თავის მრავალრიცხოვან მონაფეებს შორის აახელებს დემოდოკეს მეორე ძეს, თვაგეს მმას პარალელ და სხვებთან ერთად თავისი მოღვაწეების მკვეთრად გამოხატული ეთიკური ბუნების უშუალო მონაფედ მოპყავს იგი.

24 ანაგორუნტი — ატიკური ფილეს ერეხთიკიდის ერთ-ერთი დემოსი (ფილუები-სა და დემოსების შესახებ იხ. კომენტ., „ვეთიფრონი“, 5).

25 პროდიკე კერსელ — იხ. კომენტ. „ლახესი“, 29... გორგია ლეონტინიელი (დაახლ. 500-391 წ. ძვ. წ. ა.) — სახელგანთქმული ბერძენი რიტორი, ანტიკური სოფისტიკის ერთ-ერთი მამამთავარი. ქ. ლეონტინის (საცილია) მკვიდრი. მისი სახელწოდება პლატონის ერთ-ერთ დიალოგს... პოლოს აკრაგანტიელი (V-IV ს. ძვ. წ. ა.) — ბერძენი სოფისტი, გორგიას მონაფე... აღსანიშნავია, რომ პლატონის „თეეტეტში“ (151b), ისევე როგორც „თვაგეში“ სოკრატე პროდიკესა და სხვა სოფისტებს უგზავნის მისი „შინაგანი ხმის“ მიერ უარყოფილსა და დანუხნებულ შევირდება.

26 შდრ. „ნადიმი“, 177d.

27 სოკრატეს „დემონის“ შესახებ იხ. კომენტ. „ვეთიფრონი“, 7.

28 ქარმიდე (დაახლ. 450-404 წ. ძვ. წ. ა.) — პლატონის ბიძა (დედის მხრივ), „ოცდაათთა ტირანიის“ ერთ-ერთი თანამონაწილე.

29 ნემეა — ტყიანი ხეობა და ქალაქი ჩრდილო არგოლიდაში; აქ შედებარეობდა ნმინდა ჭალაკი ზევს ნემეელის ტარიტურთ; აქვე, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართებოდა პანელინური (ზოგადბერძნული) სპორტული ასპარეზობანი — ე. წ. „ნემეური თამაშობანი“ („ტა ნემეა“).

30 ჩვენ არც აქ და არც ქვემოთ ჩამოთვლილი პირების იდენტიფიკაცია შეგვიძლია და არც აქვე მინიშნებული დრამატული მოვლენების შესახებ ვიცით რამე. ბერძენი ისტორიკოსები არაფერს გვეუბნებიან ამის თაობაზე.

31 ამ ლაშქრობის შესახებ იხ. კომენტ., „ლახესი“, 26.

32 უცნობი პირი.

33 თრასილე — ათენელი მხედართმთავარი პელოპონესის ომის დამლევს, დემოკრატიის დამცველი; მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვა სპარტელებსა და მათ მოკავშირეებზე. 40b წ. ძვ. წ. ა. 9 სხვა სტრატეგთან ერთად სარდლობდა ათენელთა საზღვაო ძალებს, რომლებმაც იონიის სანაპიროსთან, არგინუსის კუნძულების მახლობლად დამარცხეს სპარტელთა ფრონტი. მაგრამ ბრძოლის შემდეგ ამოვარდნილმა ქარიშხალმა ათენელებს ხელი შეუშალა, ხომალდებზე ამოეტანათ ზღვის ტალღებზე მოტივტივე დაღუპულ თანამებრძოლთა გვამები (ასეთი იყო უშკაცრესი სამხედრო წესი). რისთვისაც ათენში გამარჯვებით დაბრუნებული თრასილეცა და დანარჩენი სტრატეგებიც, მათი პოლიტიკური მტრების მაქინაციების შედეგად, სიკვდილით იქნენ დასჯილნი.

34 აქ ჩამოთვლილ პირთა შესახებ იხ. „ლახესის“ წინათქმა, აგრეთვე ამ დიალოგისთვის დართული კომენტ. 3.

35 შდრ. „ნადიმი“, 175d, სადაც აგათონი თავის გვერდით ჩამოსაჯდომად იწვევს სოკრატეს, რათა ამრიგად, ეზიაროს მის სიბრძნეს.





გეორგ თრაქლი

„...და მე ვიხილე შავი ჯოჯობეთი ჩემი გულისა“

„...და მან იხილა სიწმინდის ვარსკვლავ-იერი“...

თრაქლის ლექსებიდან

6 თვალისის, პოლდერლი-ნისა თუ გ. ჰაიმის მსგავსად გ. თრაქლი ადრევე აღწევს შემოქმედებით სიმწიფეს და მათ რიგებში დგას, რომელთა ხანმოკლე სიცოცხლის აჩქარებული რიტმიდან აღმომხდარი სათქმელი წარუშლელ კვალს ტოვებს ხელოვნებაში: 1914 წელს 27 წლის ასაკში გარდაცვლილის ლექსებმა უფრო მეტად შეძრა მთელი თაობები, ვიდრე რილკესა და გ. ბენის პოეზიამ.

მისი ხანმოკლე ცხოვრებითა და მცირე მოცულობის შემოქმედებით იმთავითვე დაინტერესდნენ არა მარტო ლიტერატურის კრიტიკოსები, არამედ ფილოსოფოსები, თეოლოგები, ფსიქიატრები თუ ფსიქოლოგები. მიზეზი გასაგებია: თრაქლის სამყარო არა მხოლოდ საკვირველი და ამოუხსნელი პოეზიაა, არამედ ისეთი ცხოვრებაც, ადამიანის მეტაფიზიკური თუ ეპოქალური ტრაგედიის უმკვეთრეს გამოხატულებად რომ წარმოგვიდგება. გეორგ თრაქლს „დაწყვეტილ პოეტებს“ განაკუთვნიებენ, პოეტებს რომელთა ცხოვრებაც დამლუპველი გამიჯნულობით, ფიქრისა და განცდის საბედისწერო გამძაფრებითაა აღბეჭდილი და ბოლოს გარდაუვალი კატასტროფით გვირგვინდება. გერმანულ პოეზიაში ეს არის ხაზი კლავისტის, პოლდერლინისა და ნიცშესი. თრაქლის ხანმოკლე სიცოცხლე ტანჯვის ნამდვილი ინკარნაციაა: შემთხვევი-

თა არ არის, რომ პოეტმა თავის მითოლოგიურ პროტოტიპად ისრებით განგმირული სებასტიანე აირჩია.¹

* * *

დაიბადა 1887 წელს ზალცბურგში — გოთიკური ტაძრებითა და დახვსებული სასაფლაოებით ავსებულ, ძველ, რომანტიული მშენებრების ქალაქში, რომლის მელანქოლიური გარემო ხშირად იგრძნობა თრაქლის ლექსებში. ბავშვობაშივე გულჩათბობილი და მარტოსული ყოფილა. ძველი ფოტოებიდან ნაღვლიანად მოგვჩერებია არაბავშვურად დაძაბული პატარა ბავშვი. მისი ტრაგიკული ფსიქიკის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ ოჯახურ გარემოცვასაც უნდა შეეწყოს ხელი: თრაქლის ოჯახი რელიგიური გაორების ნამუშს წარმოადგენდა. მამა პროტესტანტი გახლდათ, დედა, წარმოშობით ჩეხი მარია პალიცი — მტკიცე კათოლიკე. დედის პიროვნება დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ხუთივე ბავშვზე. ის ფრიად უცნაური ადამიანი ყოფილა, რომელსაც თითქმის არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია თავის შეილებთან. მის უსაყვარლეს საქმიანობას ანტავარული ნივთების შეგროვება წარმოადგენდა. ოთახები სავსე ჰქონია ბაროკოს ავეჯით, მძიმე ჯარდებით, სარკეებითა და ბროლით. თავისი საიდუმლო სამყაროდან დედა იშვიათად გამოდიოდა და მეტწილად დუმდა. ბავშვები შიშნარევე მოწიწებას განიცდიდნენ ამ გამოუცნობი არსების მიმართ და უფრო მამასთან, თბილსა და გულლია კაცთან მეგობრობდნენ. დედა თრაქლის პოეზიის მნიშვნელოვან სახედ იქცა.

1. თავისი ლექსების ციკლს, მასში შემავალი ერთი ლექსის მიხედვით, და საკუთარი ხელით შესრულებულ ავტობიოგრაფიულ მან „სებასტიანე სიზმარში“ უწოდა.

თრაქლი თავიდანვე ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით პოეზიას შემდეგ ვატყობთ იყო გერმანული მისტიკით, კირკვეგორით, უყუარდა დოსტოევსკი, ნოვალისი, ტოლსტოი და გოეოე. ცუდად სწავლობდა ჰუმანიტარული გიმნაზია არ დაუმთავრებია. მიატოვა, ლექსების წერა აღრე დაიწყო. აღრევე გაუჩნდა დამლუპველი დიონისური ენება. მეორე ადამიანი, რომელიც მასზე უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენდა და მისი პოეზიის მოუშორებელ ხატად იქცა, მისივე და გახლდათ — ძმის მწუხარებისა და სიხარულის ერთადერთი თანაზიარი, სულიერად და ფიზიკურად საოცრად მსგავსი, ხუთი წლით უმცროსი — მარგარეტ თრაქლი. ნაცნობები და მახლობლები იგონებენ, რომ თრაქლი რაღაც გამოუთქმელი ტკივილით დაღდასმული ადამიანი ყოფილა. გარეგნულად პირქუში და მიუკარებელი. თითქმის არ ღამპარაკობდა და გარშემო მყოფებზე რაღაც შემამფრთხებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. სახე ასეთი მკაცრი და დამბული ჰქონდა თურმე, რომ ბოროტმოქმედი გეგონებოდათ. მაგრამ ამ სახის უკან ტანჯვის უსასრულო უნარით დაჯილდოებული, დიდი და სათუთი გული იმალებოდა. ათასში ერთხელ, როცა მთვრალი ლაპატაკს იწყებდა, ლაპარაკობდა ღრმა და გაბზარული ხმით, სწრაფად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ამბობდა მუდამ რაღაც არსებითს, ადამიანურად მძაფრსა და მნიშვნელოვანს, ჩვეულებრივ კეშტი და მოქუფრული, ბავშვებისა და უბრალო, დახაგრულ ადამიანთა მიმართ თბილი და ალერსიანი იყო.

ვენაში ფარმაკოლოგია შეისწავლა და ოცდახუთი წლისამ სამხედრო აფთიაქში დაიწყო სამსახური, მაგრამ მუდმივი სამუშაო არ ჰქონდა. მამის სიკვდილის შემდეგ მისი მატერიალური და სულიერი მდგომარეობა ბევრად გაუარესდა და იგი ომის დაწყებისას ერთ-ერთ სანიტარულ ჯგუფს გაჰყვა გალიციაში. იქ ოთხმოცდაათი მძიმედ დაჭრილი ჩააბარეს, რომელთათვისაც მარტოს უნდა მოეგლო. დაჭრილები გმინავდნენ, სისხლისაგან იცლებოდნენ, და ითხოვდნენ შველას, დაჭრილებს ლექსები არ სჭირდებოდათ. მათ სჭირდებოდათ წამალი, ტკივილის გაუუჩება. იმ წამებში პოეტის ისედაც გაწამებულ სულში პოეზიის მთელ ტრიაგედიას უნდა გაეფლო: ის იდგა მომაცვდავი ადამიანების წინაშე — არა პოეტი — ქურუმი, მკურნალი და წინასწარმეტყველი, არა „ტრანსცენდენტალური ექიმი“ როგორც სიამაყით უწოდებდა ნოვალისი პოეტს, არამედ უმწეო, ტკივილებით სასიკვდილოდ დაისრული, რომელსაც შეეძლო ეთქვა ცნობილი რუსი პოეტის სიტყვები: „ჩვენ ექიმები არა ვართ, ჩვენა ვართ ტკივილი“ და ამ ტკივილმა ზღვარს მიაღწია, თრაქლი გაიჭრა

შენობიდან და თავის მოკვლა სცადა. შეაჩერეს და კრავოვის ლაზარეთის ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოათავსეს, სადაც რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. ფიქრობენ, რომ მისი სიკვდილი, რომელიც „ტრანსცენდენტალური“ ფიზიკით მიღებულმა კოყინმა გამოიწვია, იყო. ძმის სიკვდილიდან სამი წლის შემდეგ მარგარეტ თრაქლი, რომელსაც ოდესღაც ბავშვობაში ეთხოვა ძმისთვის, ერთად მოვიკლათ თავიო, ერთ-ერთ საზოგადოებაში დროსტარებისას, სადაც ის გარეგნულად ძალზე მხიარულად გამოიყურებოდა, მეორე ოთახში გავიდა და თავი მოიკლა.

მთელი თავისი ასოციალური ბუნებით გ. თრაქლი იყო განსხეულება ბუნებრივი პროტესტისა ყალბი სოციალური წესრიგის წინააღმდეგ. იმ მოჩვენებითი წესრიგის წინააღმდეგ, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს შინაგანი უწესრიგობის, საზოგადოების შინაგანი დაავადების დაფარვა. თუმც შეეცადა, მას არ შეეძლო ჩართულიყო ამ ხელოვნურად მოწესრიგებული საზოგადოების არცერთ სტრუქტურაში, ოჯახში, გიმნაზიაში, სამსახურში ის იქცეოდა ამ სტრუქტურათა ამფეთქებელ შინაგან ძალად. დიონისური საწამლავი — გახანგრძლივებული პეითმკვლელობა თრაქლის მხრიდან ნიშნავდა გარედან პალირებული, ბიურგერული ცხოვრების მიუღებლობას, ცხოვრებისა, რომლის შინაგან მენტასტაზებს შაქრის მტვერი ეყარა, რომელიც ნელ-ნელა იტბორებოდა ტექნიკური პროგრესის მიერ აღთქმული მყიდვე ოპტიმიზმით, ცივილიზაციის მიერ მოტანილი ფუჭი გულდაჭერებით.

ზოგიერთი ხელოვანი, რომელსაც ეპოქა თავისი ავადმყოფობის გამომხატველად იჩიევს, თითქოს განგება მოვლინებული, რათა ბოლომდე ჩახედოს თვალეებში ცხოვრებისა და სამყაროს ფარულ თუ აშკარა საშინელებას, გ. თრაქლი, ისევე როგორც ბოდლერი, თავისი ტრაგიკული მუზის ფრენას ამ ჯოჯოხეთის გულისგულში მიჰყავდა. იგი თვალეებში უმზერდა „ბორტების კუბრისფერ ლანდს“ და რაც იქ ამოიკითხა და სასოწარკვეთილი ოხვრით ამოთქვა, მერე და მერე გახდა საცნაური, როცა ევროპა ჯერ პირველი, მერე მეორე ომის ნანგრევებთან შედგა. ასეთი პოეტებისათვის წყვედიადი ის ნაპირია, სადაც თავად დგანან, ხოლო სინათლე მდინარის მეორე ნაპირივით შორს მოსჩანს. სხვანი კი ამ მეორე ნაპირიდან გასცქერიან შეუჩერებელ დინებას, ნაპირიდან, რომელსაც მზე ხვდება. ეპოქის ფარული შინაგანი ქაოსი, ფარული სწელება — რომელიც მხოლოდ 1914 წელს უნდა გამოამჟღავნებელიყო ტოტალური სახით — ბავშვობიდანვე აღუღდა და გადმო-

დიოდა პოეტის სულში, მას სურდა გაქცეოდა ამ ტრაგიკულ შინაგან მისტერიას, ჯოჯობეთის განუწყვეტელ ხილვას და თავისი სატანჯველი დიდ ქაოსში — ომში ჩაეკარგა, იქ გაეყუჩებინა, წაეშალა ან ეგებ ომში მოხალისედ წასვლაც აუტანელი ცხოვრებისაგან საცდელი საკენ გაუცხოებიერებელი გაქცევა იყო, ისევე როგორც კოკაინი? და გეორგ თრაქლს სწორედ იქ უცდიდა თავისი ბედისწერა, ბედისწერის კულმინაციური ეპიზოდი, ფრიად და ფრიად მრავლისმეტყველი, სიმბოლური სცენა: გიგანტურ ძალთა მოქმედების მსხვერპლი, მათ სათამაშოდ ქცეული, სახელმწიფოებრივი უსამართლობისა და დანაშაულის შედეგად ჯვარცმული, დაპყრილი ადამიანი შევლას სთხოვდა პოეტს. თრაქლის სასოწარკვეთა პოეზიის სასოწარკვეთა და უმწიფობის აღიარება იყო.



თრაქლის სახელი მალე გახდა ცნობილი. უკვე 1915 წელს პირველი კრებულის გამოქვეყნებისთანავე ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ დაინახა, რომ ავტორი დიდი პოეტი იყო. მკითხველთა წრეები გულის სიღრმეებში შეძრა თრაქლის პოეზიის გოდებამ — უდიდესი ძალით დასმულმა კითხვამ ცოდვისა და სიწმინდის, ღმერთისა და უღმერთობის, დაღუპვისა და ხსნის შესახებ, ეთიკურ პრობლემათა ემოციური სიმძაფრით თრაქლი დოსტოვესკის ნამდვილი შთაბოძავალია, რომელსაც მან „ქრისტეს შემდეგ უდიდესი მოვლენა“ უწოდა. მისი პოეზიის არსებითი სათქმელი — დანაშაულის უსაზღვრო შეგრძნება, მოთქმა დაკარგული საიდუმლოების, რწმენასა და სიმართლის გამო, აპოკალიპსური წინათგრძნობა, ეხშიანებოდა დასავლეთის საერთო სულიერ განწყობილებას და აპირობებდა ამ ლირიკის უდიდეს გავლენას ორი მსოფლიო ომით გაფატრულ საუკუნეში. მაგრამ განსხვავებით ნიჰილიზმისა და დეკადანსის სხვა კონსტანტატორთაგან, თრაქლის პოეზია საერთო დაღმავლის არც ცინიკურ-დეკლარაციული, გაბოროტებული თუ გამოიმწვავი აღიარება იყო, არც ზოგად-მეტაფიზიკური და მშვიდი ანალიზი, არც ესთეტიკურ-მელოდიური სულათანა — პოეტურ აქსესუარებში მსუბუქად განზავებული ნალველი საკაცობრიო ტრაგედიის გამო. ეს გაზღავთ გულის უშირო სისხლძარღვებში გამოტარებული, გამოტანჯული, მთელი არსების სიღრმიდან აღმომხდარი ოხვრა. ყველა ცოდვა, კაცობრიობის ყველა შეცდომა და უკეთურობა საკუთარ დანაშაულად და უიღბლობად არის განცდილი. პოეტს თავისი, უზომოდ მართალი ინტონაციით მონუსხულივით შეჰყავს ადამიანი

უკიდევანო ტკივილისა და სილამაზის ჩუმ საუფლოში.



თრაქლის პოეზიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს და განსაკუთრებული მნიშვნელობა იმსახურებს სახეთა სისტემაში — მქტანტანტანტი ანბანი, თრაქლის ენობრივი ქსოვილი მუდამ ხატოვანი, ლანდშაფტური და სახეობრივია. განსხვავებით, მაგალითად, პოლდერლინასა თუ რილკეს პოეზიისაგან, რომელთა ფილოსოფიური განზომილება, უაღრესად ზუსტი აზროვნება, ხშირად სახეებისაგან, მეტაფორისაგან განთავისუფლების აუცილებლობას იწვევს. თრაქლის პოეტური ენა არასოდეს იცლება წმინდად პოეტური ხატებისაგან. ამ ენის ერთადერთი და მუდმივი იარაღი არის მეტაფორა. და აქ თითქმის არასოდეს გვხვდება პოლდერლინისა თუ რილკესათვის დამახასიათებელი ლოგიკური კონსტატაციები („ახლო არის და მისაწვდომად ძნელი უფალი“, „სადაც საფრთხეა, საშველიც იქ ხარობს“. — პოლდერლინი, „მშვენიერება არის საწყისი საზარელისა“, „სიკვდილი არის შეუცნობლის წინაშე ძრწოლა“ — რილკე და ა. შ.). გერმანისტი იოზეფ ლაიტგები გოეთეს, რილკესა და თრაქლის პოეზიის ლექსიკურ-გრამატიკული ანალიზის შედეგად ასკენის: რილკეს სტრიქონა ყველაზე ახლოსაა პროზაულ ფრაზასთან, თრაქლისა — ყველაზე შორს. გოეთეს შუა ადგილი უჭირავს. რილკესთან ძირითადად ვხვდებით ლექსიკურ-გრამატიკულ კონსტრუქციებს, რომლებიც აუცილებელია ლოგიკური მომენტის, აზროვნების პროცესის, ნააზრევის გამოსახატავად, თრაქლის ლექსი კი პრელოგიკურად, პრეგრამატიკულად მოქმედებს. მართლაც, თრაქლი მხოლოდ სახეობრივ კონსტატაციებს გვაწვდის, სადაც ერთი მეტაფორა მეორეთა ახსნილი და განსაზღვრული და ეს ახსნაც მოჩვენებითია, რადგან, ფაქტიურად, ერთ მეტაფორას მეორე ნთქავს და ფარავს.

თუ პოეტები ჩვეულებრივ თავს არიდებენ მეტაფორული მიგნებებისა თუ სახეების განმეორებას, გეორგ თრაქლის ლირიკას ერთგვარად მონოტონური ხასიათი აქვს: აქ განუწყვეტლივ მეორდება და ტრიალებს ერთი და იგივე სიტუაციები, განწყობილებანი, სახეები. ამ განმეორების გამო ჩვენ ვხვდებით, რომ რაღაც სასიცოცხლო მნიშვნელობის ვადაუჭრელ და დიუბლეველ განცდებთან გვაქვს საქმე, რომლებიც არ შეიძლება ერთ რომელიმე ლექსში (ან თუნდაც ციკლში) დამთავრდეს, რადგანაც თრაქლის მთელი ცხოვრებისა და ლირიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. ასე მეორდება: „შავი სასთუმალი“, „ქვის სახე“, „თეთრი ხმა“, „ღმერთის ქარი“ „ღმერთის დუმილი“, „ბრო-

ლის თვალში". „უპროსტური ტყე“. მეორედება სიტუაციები: სარკეში და წყალში ექვრა, თევზის ამოყვანა წყლიდან, ზღურბლის გადაბიჯება, მიცვალებულთან საუბარი, ელაცის შემზარავი შემოსევა, შაშვის ავბუდითი ვალობა, მღინარის პირას ნელი სიარული, დედისა და დის გამოცხადება... ამ გაშეორებით ჩვენ ვხვდებით, რომ ეს ხატები პოეტისათვის წარმოადგენენ რაღაც სულიერი მოჭრაობის სიმბოლურ ნიშნებს და როცა მეორდება ეს შინაგანი მოძრაობა, ვანკდა, ამბავი მისი აღწერა და გაზიარება კი აღარ ხდება, არამედ ის პირდაპირ აღინიშნება ამ სიმბოლური ნიშნით. ასე ვადადის ერთი სახე მეორეში, მეორე მესამეში რაიმე განმმარტებელი გადასვლის გარეშე და იქმნება მეტაფორათა უწყვეტი ჯაჭვი: თრაქლის ვიზიონურ-სომნამბულური მეტყველება, რომელსაც ასე ახასიათებს შვეიცარიელი მწერალი პანს ლიმბახი: „თრაქლი ისე წერდა, როგორც ლაპარაკობდა“ და ლაპარაკობდა ის ანთებული ხმით და ნიაღვარვით მოდიოდა „მიბილურ-თრაქელური სიტყვები და ფორმულები“. სახეებისა და ელვარე, „არამიწიერად მბზინავი“ ფერების ნაკადში. მეტაფორათა ამ ტოტალობაში ჩაკარგულია მთელი საგნობრივი სინამდვილე. მოვლენებსა და საგნებს აქ თავისთავადი ღირებულება არ გააჩნიათ და გაიგივებულნი არიან სულიერ პროცესებთან. მათი კონტურები და მოხაზულობა დარღვეულია, აქ ყველაფერზე ბატონობს ხატი, მეტაფორა-დამოუკიდებელი და თავისთავადი მნიშვნელობის მქონე, რადიკალურად განსხვავდება თრაქლის ლექსი, მაგალითად რილკეს Dinggedicht-ისაგან, სადაც საგანი თავისთავად რეალობასა და ღირებულებას წარმოადგენს, ისე რომ მეტაფორას საგნის პოეტური წვდომისა და ანალიზის ფუნქცია ენიჭება და მისი ბუნების ჩვენებას ემსახურება. თრაქლის ლირიკაში, პირიქით, თითქოს საგანი ემსახურება მეტაფორას; რომელიც ადამიანის სულის ჯარულ პროცესს აღნიშნავს, ასე იქმნება სახეთა ჰერმეტიული ანბანი, ესთეტიური ხატების იეროგლიფური სისტემა, რომლის გახსნაც ბოლომდე შეუძლებელია.

ამის გამო თრაქლის შემოქმედებას ე. წ. „ჰერმეტიულ-ეზოთერული“ პოეზიის კლასიკურ ნიმუშად მიიჩნევენ. ეს არის თავისთავადი ჩაკეტილი ლირიკა, რომელიც თითქმის აღარავისკენ აღარ არის მიმართული და ამდენად (ლოგიკური ინფორმაციის თვალსაზრისით) აღარ არის გაზიარება. ამგვარი პოეზიის წარმოშობის მრავალი ფაქტორი აპირობებს. მათ შორის მთავარ მიზეზებად უნდა მივიჩნიოთ: შინაგანი გამიჯნულობა ის უკიდურესი მარტობა, და გაუცხოება. რომელიც კარგავს გამოთქმის,

გაზიარების, აღსარების, ერთი სიტყვით, გულის გადახსნის სურვილსა და უნარს და ეს მარტობა, გადასული შემოქმედების რაბეტში, ასეთ-სავე უთქმელსა და ჩაკეტილ სელოებებს წარმოშობს, რის გამოც ეს საკლებად წარმოადგენს კათარზისისა და განთავისუფლების სფეროს. ჩვენი პოეტის წ. ნაქადაშვილის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, აქ მოქმედებს „გულში გამოშფუფდული“ კაცის კანონი, რომლისთვისაც იგივე სამადაშვილის პოეტური იმპერატივი „უნდა მსოფლიოს კიდევ ვაენდო“ შეუძლებელი გამხდარა. მეორე მთავარ მიზეზად უნდა დავასახელოთ პოეტის სწრაფვა საიდუმლოსა და შეუცნობლისაკენ, მისი სურვილი, სიტყვად აქციოს ის, რაც თავისი არსით „გამოუთქმელია“, რასაც პოეტი თავისი ნათელხილვით კი გრძნობს, მაგრამ რაც სიტყვებში არ გადმოიცემა: „უსიტყვოა“ („...ისეთი გამოუთქმელია, ღმერთო, ჯველაფერი, რომ თავზარდაცემულს მუხლი მეკეცება...“). აქვე უნდა აღვნიშნოთ პოეტური ჰერმეტიზმის წმინდად ესთეტიკული ფუნქცია: მინიშნებელი ნათქვამი ხშირად გაცილებით უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე დაკონკრეტებული და ბოლოს, ერთი, ძალზედ მნიშვნელოვანი მომენტი: პოეტის შინაგანი, მორალური ტაბუ ამა თუ იმ სათქმელზე; მთლიანად, თრაქლის პოეზიის ჰერმეტიულობა-შეუღწევადობა დაპროგრამებულ ხასიათს კი არ ატარებს, განსხვავებით ზოგ პოეტთაგან, არამედ ბუნებრივად აღმოცნდება პოეტის სულის წილიდან და უპირისპირდება დესაკლარიზებულ ბიურგერულ გარემოცვას, სადაც ყველა სიტყვა გაუფასურებულია, როგორც საიდუმლოზე მიმანიშნებელი და საიდუმლოს დამფარავ-დამცველი მეტყველება. ყოველივე ამის გამო, მკვლევარნი ასე ახასიათებენ თრაქლის პოეზიას: მაგალითად, გოუნთერ ბლაიში: „გეორგ თრაქლის არსი უღრმესი ჩაკეტილობაა“. მ. ჰაიდეგერი მიუთითებს: „ეს არის გამიჯნული კაცის ვალობა“. სადაც მოქმედებს „გამიჯნულობის ზომა და კანონი“ (პერიფრაზია თრაქლის ლექსიდან). ბოლო რილკემ ასე გამოხატა ის პირველი და უდიდესი შთაბეჭდილება, რაც მასზე თრაქლის ლექსებმა მოახდინეს: „ვინ შეიძლება იყოს ეს კაცი?“... „მისი პოეზია არის გალავანი უსახუროდ უსიტყვოს გარშემო“... და

1. ამგვარი სახის პოეტურ მეტყველებას კარგად დამოხატავს ერთი ქართული სიტყვა — მარაგით ზრახვა, რომელიც საბას ლექსიკონში ასეა განმარტებული: „სიტყვა ესრე გვიარად სიტყვა, ადვილ საცნაურ არ იყოს, არამედ ვითარცა ღრუბელი ჰამ ემოსოს, ანუ ორ-სამ რიგად გაისინჯოს“.

„მასში ისევ ვერ შეხვალ, როგორც სარკეში არეკლილ სივრცეში“.

რილკეს ამ სიტყვებში უკვე ჩანს გ. თრაქლის პოეზიის სპეციფიკა: სარკეში არეკლილ სივრცეში ვერ შეხვალ. მაგრამ მას დაინახავ: თრაქლის პოეზიის გაგება ძირითადად ხდება ინტუიტიურად და ემოციურად. აქ შეგვიძლია მოვიშველიოთ ჰაიდეგერის ერთი ფილოსოფიური ტერმინი: მისი ონტოლოგიის ფუნდამენტური ცნება „ლია-დაფარულობა“ გამოხატავს კეჰმარტიუბის ანუ ყოფიერების საიდუმლოების არსებით, პირველად მოდუსს. ყოფიერების საიდუმლოება ღიაა, რამდენადაც ადამიანმა იცის, რომ მის ცხოვრებას ფესვი ამ საიდუმლოებაში აქვს გადგმული. იცის მისი არსებობა, აქვს გარკვეული წარმოდგენა მასზე. უკვე ეს ცოდნა, საიდუმლოების აღსებობისა, გვევლინება შეშეცნების პირველად ფორმად; ყოფიერების საიდუმლოება როგორც „ლია-დაფარულობა“ განსაზღვრავს ადამიანის შინაგან კონსტიტუციას და წარმოადგენს მის ონტოლოგიურ იმპულსს (გ. მარგველაშვილი „ყოფიერების ღიაობის ექსისტენციალურ ონტოლოგიური პრინციპი... და კმნადობის ცნება ჰეგელთან“). პერმეტული პოეზია, ამ შემთხვევაში თრაქლის ლირიკა (ისე, პერპეტუუმის მომენტი ალბათ ყველა დროის ლიტერატურაში აღმოჩნდება, მაგრამ განსხვავებული მოცულობით: ღია და დახურული ანუ პერმეტული პლასტების მოცულობითი შეფარდება განსაზღვრავს ამა თუ იმ ნაწარმოების ხასიათს) ამგვარ ღია-დაფარულობად წარმოგვიდგება: თუ ის აზრობრივ-ლოგიკური ავალსაზრისით პერმეტულია, ემოციურის თვალსაზრისით ღიაა და უფრო მეტიც: საყოველთაო (ასე რომ არ იყოს, თრაქლის პოეზიის მომნუსხველი გავლენა მთელ თაობებზე აუხსნელი იქნებოდა). მაგრამ ემოციურად იმიტომ გვიპყრობს, რომ იქ სწორედ კეჰმარტიუბა იფარება, სიანამდვილესთან გვაქვს საქმე და არა ზერელე აზრის ბუნდოვანებასთან.

მიუხედავდ თრაქლის ლექსების აზრობრივი მიუწვდომლობისა, ჩვენ მაშინვე ვგრძნობთ, რომ მათ ახასიათებთ დიდი შინაგანი მთლიანობა და ერთიანობა, ისევე როგორც მთელ მის ლირიკას, რაც საშუალებას გვაძლევს ამ პოეზიას შინაგანად ერთიანი სულიერი კოსმოსი ვუწოდოთ. ეს არის განწყობილების, მსოფლგანცდის, მსოფლმხედველობის ერთიანობა. ის ერთგვარადი და ინდივიდუალური პოეტური დგომა სამყაროს პირისპირ, რაც ამ პოეზიის უღრმესსა და უცვლელ საყრდენს წარმოადგენს. ამ ერთიანობას გულისხმობს ჰაიდეგერი, როცა თრაქლთან დაკავშირებით წერს, ყველა დიდი პოეტი მხოლოდ ერთი ლექსის წიაღიდან კმნის, და ის ერთი ლექ-

სი გამოუთქმელი რჩებაო. შემდეგ მიუთითებს რა იმ ფაქტზე, რომ თრაქლის ლექსი ან ფრაზა ყოველთვის იმაზე ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ნათქვამია, რომ უკვე ჩვენთვის ჩუდამ თავისთავზე მეტია, განსხვავებულია მეტს სხვა პოეტთან ბუნდოვანი „მრავალმნიშვნელოვნებისაგან“ (Vielseitigkeit) რასაც აზრობრივად ჩამოუყალიბებელ შემოქმედთა „დაურწმუნებელი და გაურკვეველი ხელისცეცების“ სიმპტომად მიიჩნევს: თრაქლის „უფრომეტმნიშვნელოვნება (Mehrdeutigkeit) დაუდევარი შემოქმედის უზუსტობა კი არ არის, არამედ — სიმკაცრე მინდობილი პოეტისა, რომელიც მინდობია და დაყრდნობია თავის მართალი ხილვის სიზუსტეს“... „მაღალი აზრით, ის იმდენად ერთმნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ მეცნიერულად ერთმნიშვნელოვანი ცნების ყოველგვარ ტექნიკურ სიზუსტეს უსაარულოდ შორს დაურჩება“. რაც შეეხება თრაქლის ლექსის ესთეტიურ-ემოციური კსოვილის ერთიანობას, მას ასე ახასიათებს გერმანისტი ვ. ზოკელი: „თვითთველ ლექსს შინაგანი ერთიანობა აქვს, არა ცნებითი აზროვნების არამედ მუსიკალური კომპოზიციის ერთიანობა... მაგალითად, თრაქლის ბევრ ლექსში ჩნდება მეტაფორული ხატი „ქვის სახე“. თუ თრაქლის ოპუსს ყურადღებით წავიკითხავთ, დავადგენთ, რომ ამ მეტაფორას აქვს რაღაც ერთი განწყობილების შესაბამისი ტონალობა, ჩვეულებრივ ის გამოხატავს გადასვლას სიხარულის, სპონტანურობისა და უცოდველობის განცდიდან შინაგანი გაბეების, უიმედობისა და ცოდვის განცდისაკენ. ეს სახე ისევე მოქმედებს, როგორც ნოტი პარტიტურაში, რომელიც გვიჩვენებს, რომ გარკვეული ბგერა ან აკორდი უნდა შესრულდეს“.

* * *

თავის თანამედროვე ექსპრესიონისტ პოეტთაგან განსხვავებით, რომელთა ლირიკაც დიდი ქალაქის სიმკვებითა და სიმკვეთრითაა აღბეჭდილი, გ. თრაქლის ზღაპრულად ლანდშაფტური და ჩუმი პოეზია ლეგენდისა და მითის სიღრმისაკენ მიიმართება. მთელი სამყარო — ქვიდამ ვარსკვლავებამდე — უზარმაზარ და შემზარავ საიდუმლოდაა განცდილი და მიმდინარეობს ფარული ძიება ამ საიდუმლოებაზე მიმანიშნებელ ლეგენდებში ჩამარხული აზრისა („...თითქოს მოვდივარ ჩემი სამშობლოს მწვანე ნაძვნარიდან და ლეგენდებიდან, რომლებიც დაგვაფიწყდა დიდი ხანია, — ვინა ვართ ჩვენ?“ გამოუცნობი ყრმა — ელისი — გ. თრაქლის ლირიკის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სახეა, ვის შუბლსაც სისხლად სდის „ფიქრი გამგადასულ ლეგენდებსა და ფრთოსანთა ფრენის ბნელ აზრზე“, შე-

დის საიდუმლოების „მოწინავერი მტევნებით სავსე ღამეში“). გ. თრაქლის პიროვნება „ლინოსურ-მითიურია“ — წერს რილკე.

ამგვარი ე. წ. „პერმეტულ-ეზოთერიული“ პოეზიის დაბასიანებისას გეორგეს შლოკერი იხსენებს ფიქტურ სიტყვებს: „მთელი რეალობა გადაიქცევა უცნაურ სიზმრად, სადაც არ არის ის სიცოცხლე, რომელიც ესიზმრებათ, არც ის ინდივიდი, ვისაც ესიზმრება, სიზმრად, რომელიც გახვეულია მასზე სიზმარში“. სამყაროს თრაქლისეული აღქმა და განცდა სიზმარულ-სომნამბულურია. (რაც ნაწილობრივ სასმელითა და ნარკოტიკებითაც იყო გამძაფრებული. იგი წერს ერთგან: „მე ჯერ ნახევრად ვარ დაბადებული და ოც წლამდე ჩემს ირგვლივ წყლის გარდა ვერაფერს ვამჩნევდი“-ო). თავად ხილვა და სიზმარი მისი პოეზიის მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს. („გამოცხადება და ჯღსასრული“, „ზმანება და გრნდაბინდვა“, „ბოროტის სიზმარი“, „სებასტიანე სიზმარში“ და ა. შ.) და მისი ლექსები სიზმრის ლოგიკითა და კანონზომიერებითაა აგებული. აქ მოცემული სამყარო ისევე განსხვავდება რეალურიისაგან, როგორც სიზმარში ნანახი საგანი ნამდვილისაგან. საგნების უცნაური განლაგება, მათი უჩვეულო მოძრაობა, გადასვლების ალოგიური ხასიათი, ჩვენზე ახდენს შემამფოთებელ შთაბეჭდილებას. ამ ლექსების სიზმრისეული ხასიათი ელინდება აგრეთვე მათ სიზუმშიც; რომ შეიძლება მათი გახმოვანება, ჩვენ გაეიგონებდით ლერწმის შრიალს. ფრინველთა ფრენას. ფლუიტების ოდნავ გასაგონ ხმას. ყოველ ნაბიჯზე გვხვდება მინიშნება: ჩუმად, უჩუმრად, წყნარად, უხმოდ (ზშირად ერთ ლექსში „სიხუმის“ აღმნიშვნელი თითქმის ყველა ნიუანსია გამოყენებული, რაც კი გააჩნია გერმანულ ენას). საგნების ხმოვანება აქ ისევე ღმნიშვნელოა, როგორც სიზმარში და, თუ გაეიხსენებთ ამ ლექსების სტატიურ ხასიათს (პროზაული ეტიუდები დინამიურ-ეგზალტირებულია), მაშინ ისინი შენელებულ, უხმო კინოკადრებს შეიძლება შევადაროთ. მაგრამ, თუ ერთის მხრივ, თრაქლის პოეზიის ზემოქმედება გამოწვეულია მისი საიდუმლო გამოუცნობლობით, მეორეს მხრივ, როგორც კ. ზოეკელი ამბობს: „ეს გამოუცნობლობა ისევე გეტანჯავს, როგორც სიზმრები გვაწვალებენ თავიანთი გაუშიფრელი ნიშნებით“. დიახ, ეს პოეზია ისევე მოქმედებს, როგორც

თავად სილამაზე, თავის უმცვეთრეს გამოვლინებაში ერთდროულად რომ გვანიჭებს ტანჯვასა და ნეტარებას.

ეროვნული

პოეტი ბუნების მტკიცე და მკაცრად ენაზე გამოთქვამს ადამიანის სულის ფარულ მოძრაობებს, უხილავ ცხოვრებას: ამ პოეზიის ხეები, ტბორები, ცა, შამბნარი, თოვლი თუ ხეობები, შემოდგომა და გაზაფხული მუდამ სულის კონტექსტშია წარმოდგენილი. ისინი შეესაბამებიან სულის უფსკრულებს. სითეთრეს, წყვილიდს, მიძინებასა და განახლებას. ეს არის სულის სახეობრივი ენა, მისი სანახები: „სულის შემოდგომა“, „სულის საღამო“ და ა. შ.

პოეზიის მაგიური ძალა ალბათ ესეც არის — მოძებნოს ის საკვირველი კონტექსტი, ის შინაგანი განათება, რომლის წყალობითაც საგანსა და მოვლენას გადაეყრება მათი განუზომელი მრავალჯერადობით. ჩვენთან თანამეზობლობის წყალობით წაყრილი მტვერი, უცბად გაიფანტება ჩვენი მათთან შეგუება, ჩვენი ატროფირებული მზერა, რომელიც ვეღარ გრძნობს შეჩვეულ საგანში საიდუმლოს და ეს საგნები და მოვლენები თავიანთი პირველყოფილი ელვარებით, დამამუნჯებელი ღრმააზროვნებით წარმოგვიდგებიან. სწორედ ეს ძალა აქვს გ. თრაქლის პოეზიას, თუმცა ამ პოეზიის სპეციფიკა არც ბუნების მოვლენათა წარმოდგენა-წარმოსახვაა, არც სამყაროსა თუ ბუნების გარეგანი სახისადმი ერთგულება და არც საგნების პოეტური ანალიზი: ხე, ჩიტა, წყალი, ქვა, ხავსი, ვარსკვლავი, თვალები, ხელები, წარბები (თრაქლის ეს საგნები ისე განსხვავდებიან, მაგ. რილკეს „საგნებისაგან“, თითქოს პირველის ქვეყანა მთვარის შუქში იყოს გახვეული და მთვარისა და წყლისაგან ნაძერწი, მეორისა კი — მზით განათებული და ნიუთფერად გამოქანდაკებული). თითქოს ეს საგანი ეს-ეს არის გაჩნდა და პოეტი იმ ადამიანის თვალთ შესცქერის მას, რომელმაც პირველად და პირველმა დაინახა ჩიტის აფრენა, ფოთლები, წყალი, ქვა. ჩვენს წინ პოეტური შესაქმე ხორციელდება: საგნების ხელახლა გაჩენა და სახელდება. ხორციელდება იმ გზით, რომ რეალური სამყარო თითქოსდა სიზმარში გადანერგეს, სიზმრის ნათელით გაანათეს. პწკარედულ თარგმანში (და ალბათ ყოველგვარ თარგმანში) ეს ნიუანსი დაიკარგება. მაგრამ მაინც მოვიტანთ ერთ მაგალითს ლექსიდან „მოხეტიალე“: „ისევ ეყრდნობა სერს თეთრი ღამე, სად ვერცხლისხმება ალვა რიალებს, ვარსკვლავნი და ქვანი არიან“. — ეს უკიდურესად უბრალოდ ნათქვამი „ვარსკვლავნი და ქვანი არიან“. ქვებისა და ვარსკვლავების ეს კონტექსტი, რომელიც შეკრულია ერთადერთი ზმნით — ყოფნა, არსებობა — ისინი „არიან“

1 ლინოსი — აპოლონისა და ერთ-ერთი მუზის ვაჟი, რომელიც, ერთი ვერსიის მიხედვით, თავად აპოლონსაც სჯობდა მუსიკალურ ხელოვნებაში, რის გამოც აპოლონმა ჩანგის დარტყმით მოკლა.

— საოცარი ძალით გვახსენებს ქვებისა და ვარსკვლავების ძველთაძველ, მარადიულ და ალბათ ერთმანეთთან რაღაც საიდუმლოდ დაკავშირებულ ყოფიერებას (ან კიდევ: „შენ ქვემოთ ჩაშლილი საფეხურები: „ზე, ვარსკვლავი, ქვა!...“ „გაახსენდება ხე და ცხოველი“).

თუ დავეთანხმებით ნოვალისს — რომ პოეზიის ფუნქციაა გაგრძობინოს საიდუმლო, და პოლ ვალერის — რომ ყველაზე უკეთესი ნაწარმოები ისაა, რომელიც ყველაზე დიდხანს ინარჩუნებს საიდუმლოებას, მაშინ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ გ. თრაქლის პოეზია სრულყოფილად ასრულებს თავის მისიას.

* * *

დაბურული ტყე, მინდორი, ტბორები, შამბნარი, კლდე, ეკალბარდები, ლურჯი სუმბული. ან ჩუნნი ოთახი, ან მიყრუებული ტრაქტორი — ეს გახლავთ პოეტის მუდმივი გარემო, მისი პოეტური მისტიკის ადგილი. თუ ბუნებაში ვართ — იქ აუცილებლად იქნება წყალი — ტბა, გუბურა, წყარო; თუ ოთახში — იქ წყალს შეცვლის სარკე (უძრავი წყალი); ხოლო ტრაქტორში — ღვინით სავსე თასი. მაგრამ ყოველთვის იქნება წყალი ან მისი შემცველი, ან მსგავსი, ის, რაშიც შეიძლება ჩახედვა. თუ ამ ლირიკის „მოქმედების ადგილი“ გავარკვევთ, აქვე დავძენთ, რომ „მოქმედების დრო“ შემოდგომაა, კერძოდ, შემოდგომის საღამო¹. როგორც დიდი დასასრულის გამომხატველში, ამ ლექსებში განუწყვეტელი ფოთოლცვენაა, დგას მარადიული შემოდგომის საღამო; შემოდგომა, როგორც მსოფლიო წელიწადის ბოლო და საღამო, როგორც „მსოფლიო დღის“ დასასრული. ამ ტყესა და სარკეებში დაიარებიან მისი პოეზიის სიზმრისეული გმირები: ნათელმოსილი და გამოუცნობი ყრმა-ელისი, წმინდა სებასტიანე, კასპარ ჰაუზერი, ბროლის ანგელოზები, გარდაცვლილები, თეთრი ბავშვები, დასაბადებულნი, დედა და და, კეთროვნები, წმინდანები, მორჩილები და მკვდრეთით აღმდგარნი. აქ დრო-დადრო გაიელვებს ქრისტე; და გაისმის შაშვის ავბედითი, აღსასრულის მაუწყებელი გალობა.

გ. თრაქლის მთელ პოეზიას თუ ერთ ლექსად წარმოვიდგენთ, მაშინ მის გულში შევამჩნევთ ერთგვარ მითოურ-პოეტურ სიუჟეტს — იმ გზას, რომელსაც გადის ე. წ. ლირიკული მე. მე-ს სახით იგი იშვიათად ჩნდება და უამრავ სხვა-

დასხვა სახელს ატარებს, რომლებიც მისი არსების სხვადასხვა ასპექტებს შეესაბამება: „ძმა“, „ვაჟი“, „ყარღბი“, „მარტოსული“, „მეშლილი“, „მდუმარე“ და სხვ. ეს გახლავთ გზა პოეტისა, ამივე დროს, საერთოდ, ანსტონ კრისტის ადამიანისა, რომელიც წყვეტდა მისივე სახელის ცეცებით და ეძებს ნათელს, ეძებს დაკარგულ ქვემარტივებას, ცოდნას („რამ გაიძულა დაქცეულ, წაშლილ ბჭლიკზე დგომა შენთა მამათა ფუძის პირისპირ? — ქვემოთ ქიშკარზე აკაკუნებს ანგელოზი ბროლის თითებით“). მაიდეგერი მიუთითებს, რომ თრაქლის პოეზია „გარდამავალი საფეხურის“ პოეზიაა, სადაც წინასწარნაგრძობია მომავალი ყოფიერების, შორეული მომავლის, ახალი ადამიანის კონტურები. ეს გზა გადის „ქვიანი უდაბურობის“ წილ — იმ მტანჯველ სიჩუმეში, რომელიც ტყვიასავით ჩამოწოლილი დასმულ შეკითხვასა და სიცოცხლესავით აუცილებელ პასუხს შორის, და პასუხამდე „შემოდგომის მღვრიე კედლის“ საუფლოა, „ეკლისთადებ-ქვეშ მიმავალი ბილიკი“ ჯვარცმული პოეტისა, „ნათიბი, სადაც შავი წვიმა წვიმს“, და ალტობს „პატარა თბოლს, ძუნწად შემორჩენილ თაველს რომ აგროვებს“. ამ ღამეში, ამ შავ წვიმაში პოეტმა — „უსინათლო გზის გამკვალავმა“, ძუნწად შემორჩენილი სხივების შემგროვებელმა რაღაცნაირად უნდა აიღოს გეზი და შორიდანვე იგრძნოს ის ადგილი — სადაც დგას ნათლით სავსე სახლი, „რომლის კარიც ღიაა ყველასთვის“.

თრაქლის პოეზიის ზემოთ ჩამოთვლილ „პერსონაჟთაგან“ უმთავრესია „და“. დას უკავშირდება ლირიკული გმირის უდიდესი შინაგანი დრამა, იგი წარმოადგენს თრაქლის პოეზიის ცენტრალურ ესთეტიკურ ხატს, მთავარსა და მრავალპლანოვან სახე-სიმბოლოს.

დისადმი მიძღვნილ ღრმავროვან ლექსში დის საუფლოდ შემოდგომა, მწუხრი და მწუხრის გუბურაა დასახელებული. დის ნიშანია მწუხარება. მისი სახეობრივი სინონიმებია: „ლურჯი ნადირი“ და „წითელი პარასკევის ბავშვი“, რომლის „შებლის თალსაც ვარსკვლავნი ეძებენ ღამით“. ამით „დის“ სახის ძირითადი ასპექტებია მინიშნებული, რომლებიც შემდეგ მთელ პოეზიაში იშლება.

„და“ ძირითადად შემოდგომისას, ღამისა და ბინდის გარემოცვაში ჩნდება. ან „სულის შემოდგომას“ გვაუწყებს ან „სულის მწუხრი“ უნდა გაახვიოსნოს („სხივმფინარე ყრმად გამოჩნდება და შემოდგომის მღვრიე კედლამაში“). ღამეში მორიალე „დის“ სახე იწვევს სოფიას — „ღამის ასულის“ ასოციაციას ნოვალისის ღამის პიძნებიდან. მაგრამ თუ სოფია ყოველთვის მფარველი ანგელოზის ნიშნითაა აღბეჭდილი.

1. ეს ხშირად დაზუსტებულია და ლაპარაკია ნოემბრის საღამოზე, ნოემბრულ აღსასრულზე, (Novemberzerstörung). პართლაც, თრაქლი 3 ნოემბრის ღამეს გარდაიცვალა.

ისე რომ, ღამის ბნელი საშოდან ამოზრდილი ფაქტიურად ამ „ღამის მზედ“ გვევლინება, ანუ გზის მანათობლად იმ სიბნელეში, რითაც გარემოცულია ღმერთთა არსებობა, „ღის“ სახე თრაქლთან გაცილებით რთული შინაგანი სტრუქტურით ხასიათდება და საპირისპირო პლასტებს აერთიანებს.

„ბავშვი წითელი პარასკევისა“ — ამ მრავლისმეტყველი განსაზღვრებით „ღის“ სახის ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისებაა გადმოცემული: ეს არის ჭვარტმული, განწირული არსება, რომელსაც უკავშირდება „ძმის“ დანაშაულისა და ცოდვის კომპლექსი. შეიძლება ითქვას, რომ „ძმის“ თითქმის მთელი დანაშაულის განცდა კონცენტრირებულია „დასთან“ მიმართებაში. ამიტომ არის, რომ „ძმის“ სიზმრებსა და ხილვებში იგი შემოდის დაქრილი ან მომაკვდავი, ფერმკრთალი, მწუხარე და ნაწყენი („ჩემად მოსჩქედდა ღის ვერცხლოვანი ჭრილობიდან სისხლი წითელი“). მწუხრის ტბორებისა და სარკეთა ბინდიანი ფსკერის ბინადარი, და უცბად ჩნდება სანთლით განათებულ ოთახში, კედლისა თუ სარკის სიღრმიდან გადმოსული და უძირო, გამოუთქმელ მზერას მიაპყრობს ძმას. ის კი, შეძრული ამ მამხილებელი შემოხედვით ქვეთინებს და სახეს შალავს, როგორც დამნაშავე და მოლაღატე, რომელმაც ბოლომდე იცის თავისი ცოდვის საშინელება („სარკის სიღრმიდან გადმოვიდა ღის აჩრდილი თხელი, ფერმკრთალი და ყრმა მკვდარივით ჩაეცა ბნელში“, „და გამჭვირვალე თვალებიდან მან სხივმფხარე შემავლო მზერა, ისე რომ ხეთა ძირას ჩაეცვი მწარე ქვეთინით...“) მთელ პოეზიას გასდევს „ძმის“ დანაშაული „ღის“ წინაშე, რომელიც „ძმაში“ თვითდასჯის ვნებას აღძრავს და ამავე დროს უკიდვგანო შიშით აღავსებს.

„ლურჯი ნადირი“ — ლექსებში ხშირად გვხვდება ეს ლურჯი ან თეთრი ნადირი, რომელიც სისხლისაგან იცლება ბუჩქებში, სულს ღაფავს ან უკვე მკვდარია. ერთგან ნახსენებია მონადირე, რომელიც მისდევს ნადირს, მეორეგან ის შიგნავს ნანადირევს. „მონადირე“ ეს თვითონაა, „ძმა“ — სისხლით ხელებშეღებილი, ცოდვიანი, რომელმაც მოკლა სიწმინდე, პირველყოფილი უცოდველობა და წარწყმდა. ბუნება, რომლის წმალშიც ეს დანაშაული ხდება, თავზარს სცემს „მონადირეს“: („რცხილათა ჩრდილნი ზედ მეცემოდნენ, ნაკადულის ლურჯი სიცილი და შუალამის შავი სიგრილე, როცა მე, შმაგი მონადირე, თოვლისფერ ნადირს დავედევხე“).

„ბავშვი“ — განსაკუთრებით მძაფრად ჩნდება ერთ-ერთ პროზაულ პასაჟში: „სიძულვილმა

დაუწვა გული და ნეტარებამ, როს ამწვანებულ ზაფხულის ბალში მდუმარე ბავშვზე ძალა იხმარა“.

ცხადია, ღის მიმართ უნებუნებლო ცხოვრებისეული განცდა, რომლის განცდას ადვილი და რისი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა შეცდომა იქნებოდა, უდევს საფუძვლად ამ მრავალპლანიან პოეტურ სახეს. იგი არ დაიყვანება ბიოგრაფიული ფაქტის დონეზე, არამედ წარმოადგენს კონკრეტული იმპულსის გადაზრდას, გარდაქმნას, ურთულეს, მრავალმნიშვნელოვან სიმბოლოდ. ასევე, „ღის“ სახეს ტერენტი გრანელის პოეზიაში აქვს როგორც კონკრეტულ-ცხოვრებისეული, ასევე ზოგად-მეტაფიზიკური პლასტიც: „ნათელივით თავზე დამადგება ჩემი განუყრელი და — სიჩუმე“. „ცოდვილ დასავით მიგაჩნდა ალბათ სიჩუმე თეთრი და უწმინდესი“. „დაო, ძლიერო და უწმინდესო“. (მაგრამ თუ გრანელის განცდაში „დასთან“ დაკავშირებულია „სიჩუმე“, „ციხფერი ნათელი“, მაშასადამე: შვება, სილბო, გ. თრაქლის ლირიკული გმირის ფსიქიკაში „ღის“ ყოველი გამოცხადება უმძაფრეს, დრამატულ ემოციებს აღძრავს), თრაქლის პოეზიაში „ღის“ გამოცხადების ფორმებია: ბავშვი, ყრმა, ჭაბუკი, ცეცხლოვანი დემონი, თეთრი ზმა, თოვლისფერი იერი, სხივოსანი ყრმა. მომაკვდავი ჭაბუკი, აჩრდილი, საგალობელი — ეს გახლავთ „ღის“ გამოცხადების სიმბოლური მრავალსახეობა.

ყურადღებას იპყრობს მამრობითი სქესის არსებითი სახელები და ნეოლოგიზმები: მამრობითის ფუძეზე მდებარეობითი სუფიქსის დართვით ხელოვნურად მიღებული: „Fremdlingin, Juglingin' Mönchin“ — „ყარიბი ქალი“, „ჭაბუკ ასული“ „ბერ-ქალი“. საქმე ის გახლავთ, რომ „ღი“ თავის ერთ-ერთ განზომილებაში წარმოადგენს პოეტის სულის ნაწილს, მისი სულის „ბროლოვანი“, „სხივოსანი“ საწყისის გამოხატულებას. ამიტომ ჩნდება იგი ყრმის, ჭაბუკის სახით, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი განსაზღვრებაა: „კჭროსფერი“, „თეთრი“, „სხივოსანი“. „ღი“ არის სიმბოლო პოეტის სულის ნათელი, ანგელოზური საწყისისა, რომლის ჩაკვლისა და შებღალვაშიც „ძმა“ თავისთავს დანაშაულებს (ანალოგიურ გაორებას, საკუთარი ორსაწყისოვნების განცდას გამოხატავს ნ. სამადაშვილის ლექსი, სადაც პოეტი საკუთარ თავს მიმართავს: „შენ ჩემში უსტვენ, ვით საყდრის ჩიტი, შენა ხარ ჩემი ნუგეშის დარი... ვერ მოგიარე მე ლაზღანდარამ, შენ სხვა მხევალი უნდა გყოლოდა... შენ ძუძუს წოვდი გაშლილ ალუჩებს და ღვთისმშობელი აკვანს გირწევდა“ მაგრამ აქ ეს „შენ“, ანუ პოეტის მეორე „მე“ — ბუნების რძეს ზიარებული და ღვთისმშობ-

ლის კალთაში გაზრდილი, რომლის დაღუპვა-შიც პოეტი თავის თავს ადანაშაულებს, დამოუკიდებელ, განსხვავებულ სახედ არ იქცევა. პოეტის გაორება პოეტური რეფლექსის დონეზეა გადმოცემული). ამიტომ ეს „ყრმა“ მისივე არსებიდან გადმოდის ხოლმე, მისი სულის წიაღიდან წარმოგვიდგება: „ოხვრით წამოდგა ყრმის ლანდი ჩემში“. და როდესაც მან „მღუმარე ბავშვზე ძალა იხმარა“ — „სხივმფინარეში მან საკუთარი იხილა სახე გონგადასული“. „დის“ ლანდი გადმოდის სარკეებიდან და მისი ხმა ისმის გუბურებიდან. სარკესა და წყალში კვრეტა კი თრაქლის პოეზიაში საკუთარ სულში კვრეტას უდრის. (ამიტომაც ერთგან გატეხილი სარკე სიკვდილის კონტექსტშია წარმოდგენილი, როგორც საკუთარ სულში შეწყვეტილი მზერა).

რაც შეეხება ნეოლოგიზმს: **Fremdlingin, Junglingin** — ეს ხელოვნურად შექმნილი არსებობები, რომლებიც ორი საწყისის — მამრობითისა და მდედრობითის გაერთიანებას გამოხატავენ, იწვევენ ბიბლიური **Männin**-ის ასოციაციას. ამ სიტყვას (რომელსაც შეესაბამება ქართული დედა-კაცი) ხელოვნურად აწარმოებს მარტინ ლუთერის ბიბლიის თარგმნისას ებრაული სიტყვათკავშირის, სიტყვათამაშის ზუსტი გადმოცემის მიზნით: ასე უწოდებს ლუთერის თარგმანში ადამი ევას შეცოდებამდე. (თრაქლის პოეტურ ენაში ლუთერის ენობრივი კონსტრუქციები ხშირად იჩენს თავს. შესაძლოა, აღნიშნული ნეოლოგიზმები **Männin**-ის ანალოგიით წარმოიქმნა). შეცოდების შემდეგ ევა მოიხსენება „ევად“. როდესაც გამოლვიძებულმა ადამმა იხილა ევა, უწოდა მას **Mannin** (კაცი-ქალი), რადგან დაინახა, რომ ის იყო მისივე სხეულისაგან შექმნილი: „ძვალი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი“. ამ სიტყვით მან გამოხატა კაცისა და ქალის არსებითი იგივეობა. მაშასადამე, შეცოდებამდე ადამი აღიქვამს მსგავსებას, იგივეობას საკუთარ თავსა და ევას შორის, ხოლო მას შემდეგ, — რაც იგეგმებს აქრძალულ ნაყოფს ცნობადის ხისას — განსხვავებას (რასაც მოჰყვა სირცხვილის განცდა), რაც გერმანულ თარგმანში ებრაულის შესაბამისად ლექსიკურადაც არის გამოხატული. როდესაც გ. თრაქლი ქმნის სიტყვებს: **Fremdlingin, Junglingin** — ქალისა და კაცის ამ არსებით იგივეობაზე მახვილდება ყურადღება. ეს არის პირველად საფეხურზე ადამის თვალთ დანახული ევა — „ძვალი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი“ ანუ ერთი ჯილაგი — „და“. ამ აზრით არის აქცენტირებული თრაქლის ლექსში „(დასაგლური სიმღერა)“ — „ერთი მოდგმა“: „მაგრამ ვერცხლის სხივოსან ქუთუთოებს აღაპყრობენ

შეყვარებულნი — ერთი მოდგმა“ (ერთი მოდგმისანი, ერთი ჯილაგისანი). მთლიანად ლექსი წარმოდგენს ბიბლიურ-ქრისტიანულ ასპექტში დანახულ ადამიანის ისტორიას: ადამიანთა ცხოვრება ღმერთის სიახლოვეში ღმერთის სიმართლით, შემდეგ დაღმასწავლა, დაქცევა (**Untergang**) და ბოლოს, მკვდრეთით აღდგომა. შეყვარებულთა მიერ ქუთუთოების აწევა, თვალის ახელადგას აღსასრულისა და მკვდრეთით აღდგომას შორის: იგი წინ უსწრებს და აპირობებს განახლებას. პოეტი გვახსენებს შეყვარებულთა ანუ ქალისა და კაცის არსებით იგივეობას, ბიბლიური კოსმოგონიის თანახმად მათ ერთჯილაგოვნებას, რამაც უნდა შეაძლებინოს მათ ნამდვილი ერთიანობა — „სხივოსნობა“. „ერთი მოდგმა“ მათი სრისიეული განსაზღვრებაა. (ამიტომ შეცდომად მიგვაჩნია ზოგი მკვლევარის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ფრაზა „შეყვარებულნი — ერთი მოდგმა“ — გულისხმობს ერთი სქესის შეყვარებულებს (**Geschlecht**) — ნიშნავს სქესსაც, მოდგმასაც), ან გვაროვნული სისხლის აღრევას; სხვა თუ არაფერო, ასეთი ზოგადი ხასიხთის ლექსში მსგავსი ჩანართი სრულიად არალოგიკური იქნებოდა). ამგვარად, მეტაფიზიკური თვალსაზრისით, გ. თრაქლის პოეზიაში წაშლილია ზღვარი დასა და საერთოდ ქალს შორის. „და“ აქ საერთოდ ქალის მნიშვნელობასაც იძენს. და შესაბამისად, „ძმის“ დანაშაული „დის“ წინაშე არის საერთოდ კაცის დანაშაული ქალის წინაშე. საყურადღებოა, რომ თრაქლის პოეზიაში ქალი ჩნდება თითქმის მხოლოდ დისა და დედის სახით. რამდენიმეჯერ ნახსენებია ევა და, რაც ძალზე საინტერესოა, მთელი ლექსი ეძღვნება „სონიას“. იგულისხმება სონია მარმელადოვა დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელიდან“. ეს ლექსი თავისი განწყობილებით, ტონალობითა და მეტაფორულად ქსოვილით ახლოს დგას ლექსთან „დისადმი“. მთავარია, რომ ქალთან ყოველთვის დაკავშირებულია დანაშაულის განცდა. ქალი ძირითადად მსხვერპლის სახით ჩნდება ტკივილის, ცრემლის, ტანჯვის გარემოცვაში. სონიაც ხომ გახწირული, ფეხით გათელილი სიწმინდეა. „დის“ კონტექსტში შემოდის აგრეთვე „ყელ-გამოჭრილი მტრედი“ და „მკვდარი კრავი“ („მღუმარედ ვიქვე მიტოვებულ ტრაქტირში მარტოდ ღვინოსთან ...და ჩემ წინ მკვდარი კრავი ესვენა... ხრწნად სილურჯიდან გადმოვიდა დის ფერმიხდილი აჩრდილი და ასე მითბრა სისხლმდინარე იმისმა ბაგემ: მეკვეთეო, ბნელო ეკალო. ო, ჯერაც ისევ მიცახცახებს ვერცხლის ხელები იმ ველური ქუხილისაგან“). თუ გავიხსენებთ, რომ მტრედი სახარებაში სულიწმი-

დის სიმბოლოა. ხოლო კრავი-ქრისტესი, მაშინ შეიძლება კიდევ ერთხელ დაეასკვნათ: ქრისტიანული სიმბოლოების ეს ვარიაცია მისი სულის ჩაკლულ ღვთაებრიობაზე მიუთითებს (სახარებაში ხომ მიუტყვებელ ცოდვად სულიწმიდის შებღალვაა მიჩნეული). ყველა ეს დაღუპული არსება: შებღალულ ბავშვი, სისხლმდინარე ლურჯი ნადირი, ყელგამოჭრილი მტრედი, მკვდარი კრავი სულის „ჩამქრალი ნათლის“ სიმბოლოებია. ისინი ერთიანდებიან „დის“ სახეში, მის ირგვლივ და იგი „წალღმერთ ნემეზიდასავეით“ (ო. ბაზილი) შურისმაძიებლად ევლჩება „ძმის“: („ვაგლახ, ცოდვაჲ, გამოუთქმელო!... მას ბეწვის მიძიმე მოსასხამში გამოეცხადა ცეცხლოვანი დემონი — და“).

ამგვარად „დის“ — სახეში გამოიკვეთა: კონკრეტული პლასტი, შემდეგ „და“, როგორც პოეტის გაუცხოებული, „მეორე მე“, (სხივოსანი ჭაბუკი), „და“ — როგორც საერთოდ წალღ, (მსხვერპლი, განწირული) და „და“ როგორც თავზარდამცემი, მამხილებელი ძალა: მისი ყოველი გამოცხადება ელვარებს სამართლიანობის მკაცრი შუქით. ის მართალია „დას“ არასოდეს მიეწერება ცოდვა, ბიწი, მფს მიმართ არასოდეს ისმის საყვედური. მაგრამ „დის“ სახეს სხვა ასპექტიცა აქვს: რამდენადაც თრაქლის პოეზია ძირითადად „დის“ ანუ სიწმინდის წინაშე ამ დანაშაულის განცდიდან აღმოცენდება და წარმოადგენს ლტოლვას ისევე სიწმინდისაკენ, ამდენად „და“ და „გალობა“ (საგალობელი) გაიგებებულია. და ბოლოს, თუ „და“ ერთი მხრივ შიშისმგვრელი ძალაა, მეორეს მხრივ მის უახლოეს არსებადაც გვევლინება, რომლისადმიც იგრძნობა „ძმის“ შიშნარევი, მწუხარე და სასოწარკვეთილი ლტოლვა. ეს განცდა განსაკუთრებით მძაფრადაა გამოხატული მის ბოლო ლექსებში („მოთქმა“, „გროდეკი“), რომლებიც თრაქლმა სიკვდილის წინ დაწერა ომის სანახაობით თავზარდამცემლმა. „გოდებაში“ თითქოსდა სიკვდილის ნავი იძირება ღამის ზღვაში, ვარსკვლავებქვეშ და ამ ყინულოვან, სიკვდილისწინა სიშარტოვეში გაისმის ძმის შეძახილი: „დაო მდუღარე დარდიანობის. შეხე, შიშნეული ნავი იძირება!“ (გავიხსენოთ გრანელის „მიმართვა დისადმი“: „მაღე მოდი და მიშველე რამე, მაღე მოდი, ვიღუბებო, დაო!“) ეს არის განწირული მოხმობა „დისა“. სიკვდილისა და სიბნელის წინ დარჩენილი ძმის სასოწარკვეთილი ძახილი და ამ ლექსში მოხმობილი „და“ მეორე და უკანასკნელი ლექსის სივრცეში ჩნდება. მაგრამ ვიდრე ამ ლექსზე გადავიდოდეთ, რომლითაც მთავრდება ჯ. თრაქლის პოეზია, ორიოდ სიტყვით შევეხოთ ჯ. თრაქლის რელიგიურ მსოფლგანცდას.

თრაქლის პოეზია ღმერთსა და ადამიანებს მოწყვეტილი პიროვნების სამართლიდან აღმოშდარი გოდებაა. ღმერთი ამ პოეზიაში ორ არსებით მოდუსში გვევლინება: ის ან მრისხანებს ან ღუმს: („და უფლის რისხვა მწუხარე ცეცხლა ლოთონის მბრებზე“, „და უფლის რისხვა ლოთონის გულს უფლის ძერანი“, „მდუღარე ღმერთი ნელა დახრის ლურჯ კუთუთოებს“, „ღმერთის ღუმილი შემისვია კალის წყაროდან“) ორივე შემთხვევაში ეს არის შორეული, შიშისმგვრელი და უცხო ძალა, რომლისგანაც არ მოდის შენდობა და პატიება, რომელიც აღარ განიცდება „მამად“ და უფრო ძველი აღთქმის მრისხანე ღმერთს მოგვეგონება. და როგორ შემზარავადაც გაისმის კაინის მითში ღმერთის შეკითხვა: „რაჲ ესე ჰყავ?“ ასევე შემზარავია თრაქლის სამყაროში ღმერთის ეს ღუმილი და მუხჯი მრისხანება ამგვარად „დის“ გაწირვის გამო.

ღმერთისა და კაცის სიშორე (როგორც შედეგი საკაცობრიო ცოდვისა) პოლდერლინის ლირიკის ერთ-ერთ მაგისტრალურ თემას წარმოადგენს და ასეთ კლასიკურ ფორმულირებას იღებს მის „პურსა და ღვინოში“: „ჩვენ მეტისმეტად გვიან მოვდივართ, თუმცა ცოცხლობენ ისევ ღმერთები, მაგრამ ჩვენს ზემოთ, სხვა სამყაროში, და თითქოს ნაკლებ აწუხებთ ფიქრი ჩვენს სიკვდილებზე“. აქ მნიშვნელოვანია სწორედ ეს „თითქოს“: ასე „ჩანს“ მოკვდავთა თვალთ, მაგრამ სინამდვილეში ღმერთების სიშორე რაღაც ამოუხსნელი, ღრმა აზრის მატარებელია. ამ აზრის ერთი ასპექტი ისიცაა, რომ ეს სიშორე ღმერთების მზრუნველობის გამოხატულებას წარმოადგენს, რადგან: „ყოველთვის როდი უძლებს ღვთიურ სავსებას მყოფე კურჭელი“, მხოლოდ ეამიდან ქამზე, გამორჩეულ ღროს ძალუძს აცს ღმერთის სიბნელოვის ატანა. ღმერთთა სიშორე ვარდამავალი მოვლენაა: ღმერთის მოტყევისა და უკუმიტყევის მტანჯველი, მაგრამ აუცილებელი დიალექტიკა ამოძრავებს პოლდერლინის აზრით სამყაროს. ამ რწმენის გამო მას აქვს უნარი მსოფლიო ღამის ანუ ღმერთთა სიშორის მიღმა არა მარტო განწყობილ მსოფლიო დღე — დღე ღმერთების დაბრუნებისა, არამედ იზეიმოს კიდევ თავის „მწირ ღროში“. მისთვის პოეტები სამყაროს „ღამესა“ და „ავდარში“ თავშიშველად მდგომი გმირები არიან. რომლებმაც უნდა შოამზადონ ღმერთის მოსასვლელი გზა. ამასთან დაკავშირებით, თვით მსოფლიო ღამის პერიოდშიც, საყოველთაო მიძინების ქამსაც გოძელდება პურისა და ღვინის საკრალური ხემოქმედება, მარადიული გვქარისტია. რომელიც ჩვენი მენსიერებას

წილში გვინარჩუნებს „გაფრენილი ღმერთების“ ხსოვნას. რაც შეეხება თრაქლს, მასთან, მართალია, გვაქვს უძლიერესი გასხივოსნების წუთები, განწმენდილი და მკვდრეთით აღმდგარი მომავლის გაელვებული ხილვები, მაგრამ მისი პოეზიის ძირითად თემას უფრო ადამიანის მართობის, ბნელში ჩაძირვისა და ღმერთის მრისხანების კონსტატაცია წარმოადგენს.

თრაქლისთვის ღმერთისაგან მოწყვეტა მხოლოდ ამქვეყნიურ არსებობაში როდი გრძელდება. ღმერთი შემზარავია, როგორც საბოლოო მისასვლელი და სამსჯავრო, რადგან უსაზღვროდ გამძაფრებული ცოდვის შეგნება მას იმქვეყნად მხოლოდ ყინვასა და სიბნელეს აგულვებინებდა („მარადისობის ყინულოვანი ტალღა“).

ასევე მტანჯველი და შემაშინებელია პოეტისთვის „დედის“ გამოცხადება. „დედას“ აქვს „თეთრი და გაქვავებული სახე“, „მტკივანი, ნატრილობები ხელემათ უჭირავს ქვადქცეული პურა“. დედას წიალს ვაყი ისევეა მოწყვეტილი როგორც ღმერთისას, მაგრამ დედა უბედურია ვაჟის ცოდვიანობის გამო: ლექსებში ხშირად გაისმის მისი მოთქმა-გოდება, ძახილი ვაჟისადმი, როგორც მოხმობა მშობლიური წილისაკენ: „მაგრამ ის უკუნ გამოქვაბულში ატარებდა ცხოვრებას თვისას; ცრუობდა და იპარავდა... ემალებოდა იგი, მგელი, აღმოდებული, დედას თეთრ იერს“ („სერიდან ღამის ქარი დაეშვა, დედას მრუმე მოთქმა-გოდება... და მე ვიხილე შავი ჯოჯობეთი ჩემი გულისა...“).

ამ საყოველთაო მხილების, საყვედურის, წყრომის რეალში მოქცეული „ვაჟი“ ანუ „ძმა“ ან „ყარბი“ აღიარებს, რომ „სამყარო შეუაზება გადამსხვრეული“. და თუ ზემოთ ჩვენ ესაუბრობდით „პურისა და ღვინის“ როგორც ღვთაებრივი ევქარისტის მარადიული ძალმოსილების პოლდერლინისეულ რწმენაზე, თრაქლის პოეზიაში ეს ქრისტიანული სიმბოლოები ასეთი სახით წარმოგვიდგება: (არა ყოველთვის: როდესაც პოეტი თავის დროს გულისხმობს) პური ქვადქცეულა, ღვინო მწარეა, ყანა — ქვალორღით სავსე, ვენახი ობობებს შეუქამიათ, შავად დასვრეტილა, ნათელი ამომშრალა, ანგელოზები გაფანტულან. ზეცა ცარიელია, სიცოცხლე კეთრითაა შექმული, სიკვდილის შემდეგ კი სიბნელეა. ამის გამო თრაქლს ისეთივე შიში ჰქონდა სიცოცხლის წინაშე, როგორც სიკვდილის წინაშე (ამიტომ ირჩევდა მესამე გზას — გაბრუებასა და გონდაბინდვას, სიკვდილ-სიცოცხლეს შუა ყოფნას, რაც მისსავე განცდაში კიდევ ერთი დანაშაული იყო) განსხვავებით ნოვალისისაგან, თრაქლისთვის ახლობელი და საყვარელი „ლურჯი ყვავილის პოეტისაგან“, რომლის ბავშვურად გულწრფელი ნათქვამი „მამასთან გვინდა სახლ-

ში“ — იმით იყო გამოწვეული, რომ „მამის სამყოფელი“, — ეს „საერთო სამშობლო“, გაცისკროვნებულ სახლად ქონდა წარმოდგენილი — „მამამზედ მწესნასტამაქ“ („Und unser aller Sonne ist Gottes — Angesicht“). გეორგ თრაქლის პროზაულ პასაჟში მიცვალბულის გზა წარმოდგენილია, როგორც „უდაბური ქვიანეთი“, რომელიც მიაცილებს მკვდარს „მამის ბნელი სახლისაკენ“ (აქ „მამა“ ღმერთს არ ნიშნავს. თრაქლის გარდაცვლილი მამა უნდა ვიგულისხმოთ).

გ. თრაქლის ამ რელიგიურ პესიმიზმის ფსიქოლოგიურ-მსოფლმხედველობრივ ძირებს კარგად გვიჩვენებს ერთი საუბარი, რომელიც შევიცარიელ მწერალს ჰანს ლიმბახს ჩაუწერია ერთერთ კაფეში 1914 წლის იანვარში. მიგიდასთან შესდარან გ. თრაქლი (ჩვეულებრივ პირქუში და აგზნებული), ექსპრესიონისტული ეჟონალის „ბრენერის“ რედაქტორი ლუდვიგ ფიკერი (რომელიც ბექდავდა თრაქლის ლექსებს და სიკვდილამდე არ მოუკლია მისთვის მზრუნველობა და თანადგომა), ამ ეჟურნალის თანამშრომელი დალაგო და ჰანს ლიმბახი.

უცბად თრაქლს წამოუძახია:
— მე უფლება არა მაქვს, ჩემი თავი ჯოჯობეთს წავართვა!

დალაგოს უკითხავს:
— თქვენ ისიც გჯერათ, რომ ყოველგვარი ხსნა მისგან (ქრისტესგან) მოდის? სიტყვა „ღვთის ძე“ პირდაპირი აზრით გესმით?

— მე ქრისტიანი ვარ! — დაუყვირია თრაქლს ანთებული თვალებით.

დალაგო: როგორ გესმით ისეთი არაქრისტიანული მოვლენები, როგორიცაა ბუდა ანდა ჩინელი ბრძენები?

თრაქლი: მათაც ქრისტესგან მოეფინათ შექი! პასუხის სიმძაფრეს და პარადოქსულობას წამით ყველანი დაუშუნჯებია.

დალაგო: და ბერძნები? ნუთუ არ ფიქრობთ, რომ კაცობრიობა მათ შემდეგ გაცილებით შეტად დაეცა?

თრაქლი: კაცობრიობა არასოდეს დაცემულა ისე ძირს, როგორც ახლა — ქრისტეს შემდეგ დაეცა. მას საერთოდ არც შეეძლო მანამდე ასე ძლიერ დაცემულიყო!

შემდეგ საუბარა დოსტოევსკიზე გადასულა. სონია მარმელადოვა უხსენებიათ და თრაქლს წამოუძახია: „უნდა გაწყვიტო ის ძაღლები, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს ქალი ხორციელ სიამოვნებას ეძებდეს. ქალი თავის სამართალს ეძებს, ისევე როგორც ყველა ჩვენთაგანი“ (ისევე მსგავსების, ერთიანობის განცდა ქალსა და კაცს შორის: „როგორც ყველა ჩვენთაგანი“). ხოლო

ტოლსტოიზე უთქვამს: „ის იყო პანი, ჭვრის ქვეშ გატეხილი“.

ეს საუბარიც გვიჩვენებს, რომ თრაქლისათვის შინაგანად არ არსებობდა კათარზისი და შენდობა, რის გამოც ჯოჯოხეთი მის საკუთარ მოთხოვნილებას წარმოადგენდა. მაგრამ თრაქლს ეჭვი არ ეპარებოდა ქრისტესა და საერთოდ მთელი სულიერი სამყაროს არსებობაში. მას სწამდა, რომ: „არის ნათელი, ჩემს ბავესთან რომელიც ჭრება“. ამასთან დაკავშირებით ო. ბაზილი იხსენებს კაფკას ერთ ჩანაწერს, სადაც ნათქვამია, რომ არსებობს წყალობა (Gnade), მაგრამ არა ჩვენთვისო. თრაქლის არსება დაფუძნებული იყო ერთი მხრივ ამ სინათლესთან, ღმერთთან სიახლოვის მტანჯველი წყურვილით („რამ გაიძულა დაქცეულ, წაშლილ ბილიკზე დგომა შენთა ფუძის პირისპირ? — ქვემოთ ქიშკარზე აკაკუნებს ანგელოზი ბროლის თითები“) და მეორეს მხრივ, საკუთარი უუნარობით, უუნერგობით მოექმენა და დამდგარიყო „სიმართლის გზაზე“, და იმასაც აღიარებდა, რომ მისი ეს ცოდვიანი სულის წყობა იყო „მეტისმეტად ზუსტი ანარეკლი უღმერთო, დაწყევლილი საუკუნისა“ („მეტისმეტად მცირე სიყვარული, სამართლიანობა და შეწყალება... მეტისმეტად ჭარბი კედმაღლობა, სიტლანქე და ყოველგვარი დანაშაულებრივი — აი, ესა ვარ მე“.

„მელანქოლიასა და სიმთვრალეში ჩაკარგულს, მაკლია ძალი და ხალისი ჩემი მდგომარეობის შესაცვლელად, რომელიც დღითი დღე უწმინდურ საბეს იღებს. მრჩება მხოლოდ სურვილი, რომ ისეთი ავდარი ჩამომექცეს თავზე, რომელიც ან განმწმენდს ან გამანადგურებს. ო, ღმერთო, რა ცოდვისა და წყვიადის გზაზე გვიწერია სიარული“ — წერილებიდან). ამიტომ ღმერთის ობიექტურად არსებობის რწმენას მისთვის არ მოქტონდა ხსნა, საკუთარი მიუტევებელი ცოდვის განცდა, საკუთარი ზნეობით მტანჯველი დაუკმაყოფილებლობა მას სწყვეტდა ქრისტესაგან.

ხოლო თრაქლის ნათქვამიდან, რომ კაცობრიობას არ შეეძლო ქრისტემდე ისე ძლიერ დაცემულიყო, როგორც ქრისტეს შემდეგ დაეცა, ცხადია, ერთი აზრი გამოჰდინარეობს: კაცობრიობა არასოდეს ყოფილა ისეთ ეთიკურ სიმაღლეზე, როგორზედაც ის ქრისტიანობამ აიყვანა. ამ უმაღლესი ზნეობიდან ჩამოვარდნილის ეცემა ყველაზე უფრო ღრმად, ფრახა ტოლსტოის შესახებ კი ქრისტიანული ეთიკის სიძნელესა და სიმკაცრეს უსვამს ხაზს, იმის, რომ ქრისტიანული ჭვარი მძამეა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „ქრისტე“ თრაქლის პოეზიაში თითქმის არ გვხვდება. ის დაუსახელებლად იგულისხმება. ისევე როგორც პოლდერლინთან, აქ მოქმედებს საკრალუ-

რობის კანონი, შინაგანი ეთიკური ტაბუ, ზოგჯერ კი ალბათ ის მიზეზი, რა მიზეზითაც არ მოიხსენიება ქრისტეს საბედა დანტეს „ჯოჯოხეთში“. ერთ-ერთ ლექსში (ქვეყნისწიგნო) თრაქლი თვითნებურ ორთოგრაფიას ქრისტეს და Christus-ის ნაცვლად წერს Kristus. აქედან ერთი ნაბიჯია სიტყვამდე Kristall — ბროლი. ფუძე საერთოა და ასოციაციაც მაშინვე ჩნდება. Kristallen — კი გ. თრაქლის ერთ-ერთი უმთავრესი ადიექტივია, რომლის ფუნქციაა აღინიშნოს სიწმინდე, სიკრიალე, სხივიანი სიმსუბუქე. ეს სიტყვა ერთადერთხელ გვხვდება სახარებაში, იოანეს გამოცხადებაში, სადაც აღწერილია „ახალი იერუსალემი“: „და მიჩუენა მდინარე ერთი წყლისა ცხოველისა ბრწყინვალე, ვითარცა ბროლი; გამოშავალი საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა“. ამ ცხოველი მდინარის წიაღში ხარობს სამყაროს ზე. თრაქლის სასამყაროშიც ბროლის თვისება მიეწერება უპირველეს ყოვლისა წყალსა და თვალებს: „და ბროლის თვალებიდან მან სხივისანი მზერა შემავლო, ისე რომ ხეთა ძირას ჩაფეცი მწარე ქვითინით, ძლევამოსილ ვარსკვლავთა თალის სიღრმეში“. „ბროლოვანი მინდორიც“ — ალბათ ვარსკვლავებიდან ჩამოპკურებულ ნამს გულისხმობს. ნოვალისისა და გერმანულ მისტიკას ზიარებული თრაქლისათვის ქრისტე უსაზღვრო კოსმიურ ძალასაც უნდა ნიშნავდეს და არ დადიოდეს თეოლოგიურად დაეწროებულ ცნებამდე. (გაეხსენოთ მისი სიტყვები, რომ ბუდასაც და ჩინელ ბრძენებსაც ნათელი ქრისტესგან მოეფინათო). Kristallen ამ კოსმიურ სიკამკამის ემანაციაა, იგი მანიშნებს ამოუწურავ, პირველყოფილ სიანკარზე, რაც გაღვრილია ყველა არსებულში, უპირველესად კი თვალებსა და წყალში. იმ უკიდევანო ტკივილსა და მწუხარებაშიც იგულისხმება ქრისტე, რითაც აღბეჭდილია თრაქლის მთელი სამყარო. აქ ტკივილი მიეწერება ყოველ საგანსა და არსებას, ეს აღმოჩენა ტკივილისა სამყაროს ყველა მოვლენაში ფარულად მანიშნებს ქრისტეზე, როგორც იმ სულიერ არსებაზე, რომელიც იტანჯება ყოველ არსებულში. ერთხელ მეგობართან ერთად, სოფლის გზაზე მიშავალ თრაქლს ყელგამოკრილი ხმო დაუნახავს და აცხიციებულს წამოუძახია: „აი, ეს არის უფალი ჩვენი — იესო ქრისტე!“

ნუთუ თრაქლისთვის პირადი ხსნის მცირე იმედიც არ გაეღვებულა? დაუბრუნდეთ მის უკანასკნელ ლექსს „გოდეკი“. როგორც უკვე ვთქვით, წინა ლექსში („გოდება“) ის უხმობს „დას“ საშველად, რადგან სიცოცხლის ნავი წყვიადის ზღვაში იძირება და მას ელოდება „მარადისობის ყინულოვანი ტალღა“ (გაეხსენე-

ნათ ტერენტო გრანელის ნათქვამი სიკვდილის სიახლოვის განცდისას: „ყველაფერი ცივია, რაც კი მარადისია“). „გროდევში“ ჩვენ წინ იშლება მისი პოეზიის უკანასკნელი სანახი: სისხლიანი ბრძოლის ველი, მგოდებელი დაჭრილებით საგსე. ეს არის დაღუპული, ამოწყვეტილი მოდგმა, რომელმაც ერთმანეთი, თავისი თავი თვითონ ამოწყვიტა. ველს ზემოთ სისხლიანი ღრუბელია, სადაც „ცხოვრობს მრისხანე ღმერთი“. მაგრამ ამ საერთო განწირულობის ქაშს, დაღუპულთა გოდებაზე ვარსკვლავებიდან ქალღმერთ ვალკირიასავით ეშვება დის ლანდი, რათა „მიესალმოს მებრძოლთა სულებს“. ის მოიწვევა ღამისა და ვარსკვლავების ოქროს ტოტებქვეშ, სამყაროს ხის ასოციაციას რომ იწვევენ, რომლის ძირშიც ეცემიან დაღუპულები. დის ლანდი ისწრაფვის, როგორც ერთადერთი ნუგეში და მფარველი გენია. ის უკვე მთელი დაღუპული თაობის, მთელი ამომწყდარი მოდგმის დაა. ის მოეშურება, რათა ნავი, დამძიმებული მებრძოლთა შეძრწუნებული სულებით, იხსნას „ყინულოვან ზღვაში“ ჩაძირვისაგან. დის ეს მხსნელი სვლა ძმისავენ ზომ არ ნიშნავს „და-ძმის“ შინაგან შერიგებას და, ამდენად, შერიგებას „მრისხანე ღმერთთან“. ზომ არ არის „სხივოსან ჭაბუკად“, „წითელი პარასკევის ბავშვად“ და „ბროლისთვალეზა ყრმად“ წოდებული, შელახულ და დაგმობილ სიწმინდედ. ამავე დროს, ერთადერთ ნუგეშად და, მფარველად წარმოდგენილი გამოუცნობი არსება თავად ქრისტე, როგორც მედიუმში შორეულ ღმერთთან? თრაქლის გამოუთქმელ პოეზიაში ალბათ ყველაზე უფრო გამართლებულია პასუხის დაბადება შეკითხვის სახით. მისი უკანასკნელი ლექსის უკანასკნელი სიტყვებია: „დაუბადებელი შეილიშვილები“ („სულის მხურვალე კოცონს აპურებს დღეს ტკივილი ძლევეამოსილი—დაუბადებელი შეილიშვილები“). მართლაც ძლევეამოსილი და უკიდევანო იყო პოეტის ტკივილი, ტანჯვა და პასუხისმგებლობის განცდა არა მხოლოდ დაბადებულთა, ცოცხალთა, „დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა“ გამო, არამედ გარდაცვლილებისა და დასაბადებელთა წინაშეც, ყველასა და ყველაფრის წინაშეც, რასაც დაბადებისა და სიკვდილის მტანჯველ ზღურბლზე უნდა გადაევიდო, შესდგომოდა ყვავილობის, სიმწიფისა და ჭკნობის მწარე გზას. რა უნდა ეთქვა „დასაბადებელი ბავშვებისათვის“ პოეტს, რომელიც თავის თავს „უსინათლო გზის გამკვალავად“ აცნობიერებდა? ვინღა უნდა შეგებებოდა დაბადებულთ? რა სამყარო ელოდებოდა მათ, ვინც დაბადებას აპირებდნენ? — პოეტის თვალეში ჩარჩენილი უკანასკნელი სანახი სისხლიანი ბრძოლის ველი? ან ეგებ დაცემული, დამნაშავე ადამიანის სხეულს უფრო უფრო აქვს ვინმეს დაბადებისა? ან უფრო უფრო უფრო ათასობით ადამიანის დაჩქარებული, ნაძალადევი სიკვდილით უამრავი სულების დაბადება აღარ შედგა, შეფერხდა ან გადაიდო? უმძაფრესი შეკითხვები „მწირი დროისა“ ისე ესეოდენ პოეტს, როგორც ისრები წმინდა სებასტიანეს, და ის არის კიდევ ახალი სებასტიანე, ახალი სებასტიანე — მსხვერპლი რწმენის დაკარგვისა და საყოველთაო ნიპილიზმისა, ამ ნიპილიზმის მატარებელი თავის თავში და მასთან განწირულად მებრძოლი, ღმერთისაგან განმდგარი და ღმერთის მაძიებელი: „შეშლილი ნათელმზილველი“. მაგრამ მან შორეული თაობა იხილა დაბრუნებული სიწმინდეში ანუ სახლში („და გაახარებს ბავშვების ღუმელს ანგელოზების სიახლოვე ბროლის მინდვრებზე“). დასასრულს ჩვენც დაბრუნდეთ გ. თრაქლის ერთერთი ისეთი ლექსის სივრცეში, როგორც პოეტის შინაგანი გასხივოსნების იშვიათ წუთებში აღმოცენდებოდა ხოლმე. ამ ლექსში მშვიდი თეთრი ზამთარია, განმასპეტაკებული თოვლი და „წმინდა ნათლით“ გაცისკროვნებული სახლი, უფლის სახლი, რომელსაც პოულობს შემოდგომის მღვრიე აედარში, შავი წვიმისა და ეკლის თაღებქვეშ, უდაბურ ქვიანეთში ნახეტიალები „ყარბი“, იმ მღვრიე შემოდგომაში, რომლის წიაღშიც დარჩა პოეტი გ. თრაქლი. მოვეუსმინოთ ამ ლექსს, სადაც გატანჯული და მარტოსული ადამიანი გადამწყვეტი „ზღურბლის“ გადაბიჯებით ბოლოს და ბოლოს უბრუნდება სიმართლის ნათელს, საკუთარ თავს:

როს ეფინება თოვლი ფანჯარას
და გაბმით რეკავს მიმწუხრის ზარი,
გაშლილი ტაბლა მიელის მრავალს
და განხმულია იქ სახლის კარი.

ვიღაც შორეულ გზებზე დაღლილი
ტიშკრისკენ შევეფერ ბილიკს მიჰყვება
ზე წყალობისა მზისფრად გაშლილა
მიწის წვენი და თბილი სხივებით.

მგზავრი ეხება გადახსნილ რაზას,
ზღურბლს გააქვავებს ტკივილი მრუმე
და გაბრწყინდება სპეტაკ ტაბლაზე
წმინდა ნათელში ღვინო და პური.

□

„ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკა ჯეიმზ ჯოისისა და უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში

ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურის კლასიკოსი ჯეიმზ ჯოისი მეოცე საუკუნის უაღრესად მნიშვნელოვანი საეტაპო მწერალია. მისი გავლენა დღესაც არ ხელდება, ოღონდ ეს გავლენა თავისებურად წარმატებულია. ჯოისს არ ჰყავს უშუალო მიმდევრები, არც სპეციალური ლიტერატურული სკოლა თუ მიმდინარეობა შექმნილა. არ არსებობს წმინდა ჯოისისებური მწერლობა, არადა მეოცე საუკუნის მხატვრულ აზროვნებასა და სტილში მან მთელი „გადატრიალება მოახდინა“. ჯოისის მერე ძნელად მოიძებნება ისეთი მწერალი, რომელიც ნეტ-ნაკლებად არ იყოს ნაზიარები მის მხატვრულ ფორმას, პოეტიკურ ექსპერიმენტატორობას. ყოველი მწერალი მისგან რაღაც ელემენტს ან ელემენტებს იღებს, თავის მხატვრულ სამყაროში ახალ სიცოცხლეს, ახალ განზომილებას აძლევს, შემოქმედებითად ითვისებს. ერთი სიტყვით, ჯოისი მთლიანობაში არ გვხვდება მეოცე საუკუნის მწერლებთან, მაგრამ იგი დაქუცმაცებული, გაფანტული და განფენილია მეოცე საუკუნის მთელს დასავლურ ლიტერატურაში.

უილიამ ფოლკნერმა წერა დაიწყო ოციან წლებში, როცა „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკა ჯოისის გავლენით უკვე ძლიერ გავრცელდა ცნობილ ამერიკელ მწერალთა ე. ჰემინგუეის, ჯ. დოს-პასოსის, სკ. ფიცჯერალდის, ტ. ვულფისა და სხვათა ნაწერებში. ამ მწერლებმა სხვადასხვა დონით, სხვადასხვა ზომით, სხვადასხვა დონეზე და თავისებურად — ინდივიდუალურად აითვისეს ჯოისის მეთოდი და დაუქვემდებარეს თავიანთ მხატვრულ მიზნებს. მით უფრო ითქმის ეს ფოლკნერზე, დიდ ექსპერიმენტატორსა და თვითმყოფად ამერიკელ მწერალზე. მისი შემოქმედების ძირები ბიბლიისა და ძველ ბერძნულ ტრაგედიას წვდება და გაივლის რა წარსული საუკუნეების ლიტერატურის, რაინდულ რომანის, შექსპირის, სერვანტესის, ფაუსტის, ლეგენდის, ამერიკული ფოლკლორის, ინგლისელი და ამერიკელი რომანტიკოსების, დიკენსისა და ა. შ. გზას. ავერ მეოცე საუკუნის ოციანი წლების მწერლობამდე აღწევს, მათ შორის, პირველ ყოვლისა, ჯოისის „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკამდე.

ფოლკნერი არაა ჯოისის განმეორება, ბრმა მიბადვა, მაგრამ ამავე დროს წარმოუდგენელია მისი რთული მხატვრული სტიქია ჯოისის მეთოდის გამოძახილის გარეშე, რამდენადაც ფოლკნერის პოეტიკის არსენალში ერთ-ერთი მთავარი ადგილა უკავია ფორმით ცნობიერების ნაკადისებულ შინაგან მონოლოგს. ხოლო მეოცე საუკუნეში ამ ფორმის დიდოსტატი და ნოვატორიკი ჯეიმზ ჯოისია. „ულისე“ (1922 წ.), როცა ფოლკნერი იწყებდა მწერლობას. უკვე აღიარებული მხატვრული მოვლენა იყო. პირველი, ყველაზე გაბედული მხატვრული ექსპერიმენტები მან სწორედ ცნობიერების ნაკადისებულ შინაგან მონოლოგის ფორმით დაიწყო და ექვემდებარებოდა. ბიძგი ამ მემარობით სწორედ „ულისემ“ მასცა. ეს ექსპერიმენტული ნაწარმოებები ვახლდათ თითქმის ერთდროულად გამოქვეყნებული რომანები „ხმაური და მძვინვარება“ (1929 წ.) და „მომავლადვი რომ ვესვენე“ (1930 წ.). ფოლკნერის პირველ პროზაულ ცდებში „ახალორღევანული სკეტჩები“ (1925 წ.), პირველ რომანებში „ჯარისკაცის საზღაურში“ (1926 წ.), „ქინკლებში“ (1927 წ.), „სარტორისში“ იგივე „დამზობილი ბაირალეები“ (1929 წ.) გვხვდება შინაგანი მონოლოგები. ესენი ჯერ კიდევ ტრადიციული სახის შინაგანი მონოლოგია, ხოლო „ხმაურსა“ და „მომავლადვიში“ ისინი იმდენად ჰგვანან, უახლოვდებიან ფორმით ჯოისისებურ შინაგან მონოლოგებს, რომ მათ გამტ უილიამ ფოლკნერს ხშირად უშუალოდ „ცნობიერების ნაკადის“ მწერლობის წარმომადგენლადაც თვლიან.

საგულისხმოა ცნობიერების ნაკადისებულ შინაგანი მონოლოგის ფორმის, „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკის ამ მთავარი იარაღის, დანიშნულებისა და ხვედრით წონათა სხვაობა ჯოისისა

და ფოლკნერის შემოქმედებაში. ეს ჩანს მათ შემოქმედებით ევოლუციითა შედარებისას. ჯოისთან „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკა ყოველსომომცველია, ფოლკნერთან — ეპიზოდური. შემოქმედების ადრეულ პერიოდში ჯოისთან „ცნობიერების ნაკადი“ თუ არ გვხვდება, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამომუშავებული „ცნობიერების ნაკადის“ შეთადრი, მაგრამ მას შემდეგ, რაკი ერთხელ მიაგნო და გამოიმუშავა იგი „ულისესა“ ამსოლუტად მიიჩნია და შემოქმედების ბოლო ეტაპზე „ფინეგანის ქელესში“ უკიდურესად განავითარა. „ცნობიერების ნაკადი“, ამგვარად, ჯოისის შემოქმედების მთავარ იდეურ-მხატვრულ საყრდენად და წამყვან უნარად იქცა.

უილიამ ფოლკნერმა ჯოისის მიერ შემუშავებული შინაგანი მონოლოგის მხოლოდ ფორმას მიმართა, მხოლოდ ფორმა გამოიყენა „ხმაურსა“ და „მომაკვდავში“, გამოიყენა და მერე მიაგან უკან დაიხია, მინიმუმამდე დაიყვანა. ფაქტიურად ფოლკნერი-რომანისტის ოსტატობა „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკით, კერძოდ, შინაგანი მონოლოგით იწყება, მაგრამ, რაც უფრო შორდება მისი შემოქმედება „ხმაურისა“ და „მომაკვდავის“ პერიოდს, ე. ი. ოციანი წლების მიწურულს, მით უფრო კლებულობს ეს ტექნიკა და თავისებურ ტრანსფორმაციას განიცდის. შემოქმედების შემდგომი ეტაპების რომანებსა და მოთხრობებშიაც ამერიკელი მწერალი დროდადრო კვლავ მიმართავს შინაგანი მონოლოგის ფორმას, მაგრამ ის აღარაა ამ ნაწარმოებთა პოეტის წამყვანი მამოძრავებელი ძალა. ამას ისიც უნდა დაერთოს, რომ თვით ე. წ. „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკის რომანებშიაც ცნობიერების ნაკადისეული შინაგანი მონოლოგი არცთუ იმგვარად ყოველსომომცველი და თვითმიზნური, როგორც „ულისესა“ და „ფინეგანის ქელესში“. „ხმაურსა“ და „მომაკვდავში“ განუწყვეტლივ იგრძნობა და ჩანს, რომ მათი ავტორის მხატვრული სტიქია „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკისკენ კი არ ისწრაფვის, არამედ თითქოს იმთავითვე ვერ ეტევა ან ტექნიკის ჩარჩოებში და სხვა, ახალ გამომსახველობით საშუალებებს ეძებს.

სავარაუდოა, რომ ჯოისის „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკა, განსაკუთრებით შინაგანი მონოლოგების სისტემა, მათი ენობრივი დეფარმაცია, რთული ასოციაციები, დიფუზიურობა ფოლკნერმა მიიჩნია გადაჭარბებულად რთულ ფორმად, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებს მკითხველის დაკარგვას უქადდა. მართალია, თავად ფოლკნერი იმ ტიპის მწერალი როდია, რომელიც დაბალ, თუნდაც საშუალო რანგის მკითხველს უთანაბრებს თავის მხატვრულ ძიებებს, პირიქით, ესეც, შეიძლება ითქვას, ჯოისივით დაუზოგავია მკითხველის მიმართ, რადგანაც მისი მიზანია მკითხველი ამოზიდოს თავისი მხატვრული ჩანაფიქრის დონემდე, ეს დონე მასთან ყოველთვის მრავალნიშნაა, რთული, წინააღმდეგობრივი, მრავალგანზომილებიანი. მაგრამ, ჩანს, ფოლკნერი აქაც ხედავს ზღვარს, რაგინდ რთული და მრავალნიშნა იყოს მწერლის ჩანაფიქრი, მაინც საჭიროა იმგვარად გამოიხატოს სათქმელი, რომ მკითხველი რამდენჯერმე წაკითხვის ნერვ მაინც მიხვდეს, ჩაწვდეს ნაწარმოებში ჩამარხულ აზრსა და მნიშვნელობას. „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკით, შინაგანი მონოლოგით ექსპერიმენტატობა ფოლკნერს უკვე ორისამი ათეული წლის წინათ ჰქონდა მოთავებული და საკმაოდ რთული მხატვრული ძიებების ვზაც განვლილი, როცა პირველად გამოთქვა თავისი შეხედულება ჯოისზე 1956-1957 წლების ინტერვიუებში: „მანი და ჯოისი ჩემი დროის ორა დიდი ადამიანი იყო. ჯოისის „ულისესა“ ისე უნდა მიეუდგეთ, როგორც გაუნათლებელი ბაპტიستي მქადაგებელი ძველ ადრატმას უდგება: რწმენით“. ამერიკელი სტუდენტები ფოლკნერს ეკითხებიან, აქვს თუ არა მწერალს ხალხის მიერ შექმნილი ენისაგან განსხვავებული საკუთარი ენის შექმნის უფლება თავისი სათქმელის გადმოსაცემად, ისე როგორც ეს გააკეთეს ჯოისმა და ტ. ელიოტმა? ამ კითხვაზე ფოლკნერი გარკვევით პასუხობს, თუ მწერალი არ მოითხოვს, ყველასათვის გასაგები იყოს, ცხადია, ამის უფლება აქვს, მაგრამ მერე იქვე დასძენს: „მწერალი ვალდებულია ისე წეროს, რომ მისი ნაწერი ხალხმა გაიგოს. იმგვარად კი არ უნდა წეროს, რომ ყოველმა იდიოტმა გაიგოს, — მესამე კლასელმაც რომ გაიგოს, არამედ ისეთი ენა უნდა გამოიყენოს, რომელიც მიღებულია და სიტყვების სპეციფიკურ მნიშვნელობას ყველა ეთანხმება. ჩემი აზრით, „ფინეგანის ქელესმა“ და „ულისესა“ გამართლება მორბოვეს, მაგრამ ძნელი სათქველია, რა საფუძველზე მოიპოვეს გამართლება. აქ საქმე გვაქვს გენიოსთან, რომელიც ღვთაებრივმა ცეცხლმა ელექტროდენის დარტყმით მოჰკლა“. ამ ბოლო ფრაზას ფოლკნერი სხვაგანაც იმეორებს და ურთავს: „ის (ჯოისი, — ც. თ.) ალბათ უფრო დიდიც შეიძლებოდა ყოფილიყო, ელექტროდენს რომ არ მოეკლა. გაცილებით მეტი ტალანტი ჰქონდა, ვიდრე კონტროლს უწევდა“. ეს გამონათქვამები მოწმობს, რომ ერთის მხრივ, ფოლკნერი აღტაცებულია ჯოისის განუმეორებელი ტალანტითა და პოეტური ძიებებით, მეორეს მხრივ, ეჭვის თვლით უყურებს მოდერნისტი მწერ-

ლის მეტისმეტად გაბედულ და გართულებულ მხატვრულ ფორმასა და ენობრივ ექსპერიმენტებს. აშკარაა, ფოლკნერი ჯოისს არ იღებდა საკუთარ ესთეტიკურ პოზიციას, გარეშე.

მთელი ის მექანიზმი, რომელიც ამოძრავებს და განაგებს ჯოისის „ულისეში“ „ცნობიერების ნაკადისა“ და განსაკუთრებით შინაგანი მონოლოგის ტექნიკას, ფოლკნერის მხატვრულ პროზაშია მოქმედებს, ოღონდ მისი ყოველი ნაწილი, ყოველი დეტალი — ყოველი მხატვრული ხერხი, პოეტიკური საშუალება ზუსტადაა მარგებული ფოლკნერის ნაწარმოებთა მხატვრულ სისტემას, იმდენად ფოლკნერულია და აღარაფერი აქვს შერჩენილი ჯოისისებური, რომ მხოლოდ შორეულად, ტიპოლოგიურად შეიძლება დადგინდეს მათი ნათესაობა ჯოისის პოეტიკურ სამყაროსთან.

საზოგადოდ შინაგანი მონოლოგი გადმოგვცემს ემოციურ მდგომარეობას, სულიერ დრამას, ფსიქიკას, შინაგან განწყობილებას, სულიერი ცხოვრების ხვეულებს და სულაც არაა სავალდებულო, რომ არაცნობიერს გამოხატავდეს. „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურაში შინაგანი მონოლოგი უმეტესად არაცნობიერისა და ქვეცნობიერის გამოხატვას ემსახურება. ამავე დროს, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურაში შინაგანი მონოლოგის პოეტიკა, თუმცა უკითხურესად გართულდა, მაგრამ ღრმა გამომხატველობითი უნარიც შეიძინა. ბევრი ახალი მხატვრული ხერხი შეიმუშავა სულის მოძრაობის გადმოსაცემად. ამიტომაცაა, რომ მეოცე საუკუნის მწერლობაში, განუჩევლად იმისა, ის „ცნობიერების ნაკადის“ მწერლობაა თუ არა, „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკით აღჭურვილი შინაგანი მონოლოგი ანუ შინაგანი მონოლოგის ახალი ფორმა დიდად გავრცელდა. მაგრამ ისიც ნათელი შეიქნა, რომ ყოველი მწერი, რომელიც შინაგანი მონოლოგს იყენებს, ყოველთვის როდი იყენებს მას არაცნობიერის გადმოსაცემად. შინაგანი მონოლოგის ფორმა, მით უფრო „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურის წილში, გადამუშავებული, წარმოადგენს დახვეწილს, საკმაოდ ელასტიურ ფორმას, რომელიც იტევს მრავალფეროვან შინაარსს. ცხადია, ყოველი მწერალი მას უქვემდებარებს თავის მხატვრულ მიზანსა და ჩანაფიქრს.

ჯეიმზ ჯოისის მიზანია ერთდროულად საზოგადოდ ადამიანის — Evryman-ის და კონკრეტულად მეოცე საუკუნის ადამიანის ცნობიერების გადმოცემა მთლიანობაში, რაც პირველ ყოვლისა გულისხმობს არაცნობიერის გადმოცემას. „ულისეში“ თანადროული ხასიათები წარმოადგენენ ამავე დროს ოდისევსის მითის პერსონაჟთა პარალელებს: ბლუმი იგივე ოდისევსია, ცოლი მისი, მარიონ ბლუმი — პენელოპე, სტივენ დედალოსი იგივე ტელემაქეა და ა. შ. ეს პარალელიზმი ავტორს ესაჭიროება თანამედროვე ადამიანის ტრივიალურობის, დეპროიზაციის, გამოფიტვისა და დაქნისების საჩვენებლად. ამას კი ჯოისი აღწევს „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკით, უმეტესად შინაგანი მონოლოგით. შინაგანი მონოლოგს უმეტესად არაცნობიერის გადმოსაცემად იყენებს და არა სულიერი დრამისა და შინაგანი ემოციური დაძაბულობის გამოსახატავად. „ულისეს“ გმირები არ გამოირჩევიან ხასიათთა სიმძაფრით, ვნებათა დელჯით, ისინი არ არიან გარეგნულად მოქცეულნი დაძაბულ ემოციურ სიტუაციებში, ტრაგიკულ კონფლიქტებში, პირუკუ, შეიძლება ითქვას, რომ ჯოისი მათ განზრახ წარმოგვიდგენს გარეგნულად ტრივიალურ სიტუაციებში; რომანის მოქმედება, — ფაქტიურად უმოქმედობა და ამდენად უსიუფეტობა, — სწორედ ტრივიალურ სიტუაციათა გამაზვილებას ემსახურება.

ფოლკნერი შინაგანი მონოლოგს მხატვრული ეფექტის მიზნით იყენებს და არა არაცნობიერისა თუ ქვეცნობიერის თავისთავად გადმოსაცემად. მის რომანებში ეს ტექნიკა, ეს მექანიზმი მაშინ იწყებს მოქმედებას, და სავსებით კანონზომიერადაც, როდესაც გმირის სულიერი დრამა უკიდურესად გამწვავებულია, ტრაგიკულ კონფლიქტამდეა მისული, როცა გმირი წონასწორობიდან გამოდის, მის ემოციებზე, ფიქრებზე, განწყობილებაზე რაღაც ფაქტი, მოვლენა გამაღიზიანებლად, ამაღელვებლად მოქმედებს და იწვევს საერთოდ ცნობიერების აღრევას, დაბნეულობას და, ტრადიციული გამოთქმა რომ ვიხმართ, „გრძნობათა აშლას“. ამიტომ, შეიძლება ითქვას, ფოლკნერის შინაგანი მონოლოგი საკუთრივ შინაგანი მონოლოგია და არა „ცნობიერების ნაკადი“.

თუ გავიხსენებთ ფოლკნერის სიტყვას ნობელის პრემიის მიღების დროს, რომ მწერლის უმთავრესი მიზანია გვიჩვენოს ადამიანის გულის კიდელი საკუთარ თავთან, თუ მხედველობაში მივიღებთ ფოლკნერის რომანების ტრაგიკულ კონფლიქტებს, ფოლკნერულ სასიათებს, რომლებიც ვერ თმობენ თავიანთ ადამიანურ ღირსებას, ამდენად ვერ ერევიან საკუთარ მძიმე განცდებს, თუ გავიხსენებთ თავად ფოლკნერის მახვილ შენიშვნას, რომ ყველაზე მეტად საბრალთა ის ადამიანი, რომელიც ვერ უპყლავდება საკუთარ სულიერ მღელვა-

რებას, საკუთარ განცდებს, ფიქრებს, საკუთარ ცნობიერებას, საბრალო ეს პირველი, რომელიც კონფლიქტშია საკუთარ გულთან, ან აზრობლებთან, ან გარემოსთან, მაგრამ ათეულია, რომ ამ ჭიდილის, დაძაბულობის, კონფლიქტების, გმირთა სულიერი დრამის გადმოსაცემად ჰყვარალი კანონზომიერად ირჩევს ჯონისისებურ შინაგანი მონოლოგის ფორმას.

ამგვარი შინაგანი ჭიდილი, სულიერი დრამა ფოლკნერის იმ გმირებისათვის, ვთქვათ, დამახასიათებელი, რომელნიც მაღალ იდეალებს ეთაყვანებიან, მაღალადამიანური შორალის შემაღლებას გამოხედავს, ბუნებით რომანტიკოსები არიან ან კიდევ არიან ქარბად ემოციურნი, მხოლოდ შთაბეჭდილებებით ცხოვრობენ, ზოგჯერ გონებასუბნიც კი არიან და ა. შ. ყველა ეს გმირი მეტნაკლებად განცდის ხასიათებია. ისინი ცივ, პრაქტიკულ, არაემოციურ ადამიანებს ვერ ეგუებიან და კიდევ უპირისპირდებიან. ცნობილია, რომ ფოლკნერის „იოკნაპატოფას ოლქის“ მკვიდრნი ძირითადად იყოფიან ტრადიციონალისტებად და არატრადიციონალისტებად. ტრადიციონალისტებს მიეკუთვნებიან სარტორისები, კომპსონები, ბენზოუები, ჰაიტაუერი, დე-სპეინები, მაკასლინები. მათ უპირისპირდებიან უტრადიციო სნოუპსები. ფოლკნერის ხასიათთა ეს კლასიფიკაცია პირველად მოგვცა ჯორჯ ო'დონელმა. სხვათა შორის, მისი შეცვლა ფოლკნეროლოგიაში დღემდე ვერც ერთმა მკვლევარმა ვერ შეაჩერა და ალბათ ვერც მოხერხდება, რადგანაც ამ კლასიფიკაციის ამოსავალი წერტილია სოციალურ-მორალური საფუძველი. ამჯერად სოციალურ-მორალური საფუძველი არაა მთავარი საკითხი. არამედ მთავარია ამ ხასიათთა ფსიქოლოგიური პორტრეტები, მათი სულიერი მიდრეკილებანი. სარტორის-კომპსონები, ძმადნი და გულზვიადნი, ეკუთვნიან სწორედ ემოციურ, მაღალი იდეალების დამცველთა სამყაროს. სნოუპსები, პირიქით, ძალაუფლებისათვის მებრძოლ ცივ, პრაქტიკულ, შორალის უფულებელმკვლავად სამყაროს. მათ შორისაც ხდება გადახრები, — კომპსონების გადახრა სნოუპსისკენ და სნოუპსების მიდრეკილება ანტისნოუპსისკენ. ემოციურად დაძაბული გმირებიც ახლ სარტორის-კომპსონების სულიერი სამყაროს გადმოსაცემად ფოლკნერი იყენებს „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკიდან შინაგანი მონოლოგის ფორმას, ხოლო სნოუპსებისა და სნოუპსური ხასიათების გამოსახატავად — ავტორისეული ყოვლისმცოდნე, ტრადიციულ ყოვლისმომცველ თხრობის მეთოდს. სნოუპსებთან მხოლოდ მაშინ გაივლდება შინაგანი მონოლოგი, როცა ისინი სნოუპსისთვის პოზიციებს თავისდაუნებურად თმობენ. ამ დაკვირვებიდან დგინდება, რომ „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურულ წიაღში შექმნილ შინაგანი მონოლოგისათვის დამახასიათებელ ასოციაციურობას, დიფუზიურობას, ენობრივ დარღვევებს, იმპერსონალიზაციას და სხვა ექსპერიმენტებს ფოლკნერი კანონზომიერად იყენებს სულიერი დრამის გადმოსაცემად, როცა გმირი შინაგან და გარეგან კონფლიქტებს მიჰყავს უსასოობამდე, დაბნეულობამდე, შინაგან აღრეულობამდე, გმირი თავის ფიქრებს, ემოციებს, თავის ცნობიერებას კონტროლს კვლავ უწყევს, გონება მისი დახშულია, მოდუნებული, წარსული და მოგონებები ყოვლისმომცველი. შინაგან მონოლოგს ფოლკნერი მიმართავს არა მარტო სარტორის-კომპსონური სულიერი ტრაგედიის გადმოსაცემად, არამედ საზოგადოდ ემოციურად დაძაბული გმირის შინაგანი სამყაროს გასახსნელადაც. მაგალითად, „ავვისტოს ნათელში“ ჯო ქრისტმასის სულიერი მღელვარება, შინაგანი დაძაბულობა ხშირად წარმოდგენილია შინაგანი მონოლოგების ფორმით. ცივ, უემოციო, შინაგანად ეკონფლიქტო პერსონაჟებს ფოლკნერი ავტორისეული ყოვლისმცოდნე მთხრობელის პოზიციიდან გარედან აღწერს. ეს გასაკებიცაა: ფსიქიური წყობით ეს იმგვარი ხასიათებია, რომლებიც ბოლომდე კონტროლს უწყევენ თავიანთ მოქმედებას, საქციელს, ფიქრებსაც, მათი სულიერი მოთხოვნილებები გარე სამყაროს არ უპირისპირდებიან, პირიქით, ისინი კიდევ განაგებენ და ქმნიან გარე სამყაროს ატმოსფეროს, ამერიკის სინამდვილის სოციალურ-მორალურ გარემოს (სწორედ ეს გარემოა ემოციურად დაძაბულ გმირთა სულიერი დრამის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მიზეზი). ჯეისონ კომპსონი, პოპაი ანუ თვალმგადმოკარკლული, ფლემ სნოუპსი, საერთოდ სნოუპსები, ტომას სატპენიც, მათი მონათესავე ხასიათი, — ყველა ესენი ტრაგიკული, რთული და არაერთნიშნა ხასიათებია, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ისინი არიან არაემოციურნი, სასტიკნი, შეუბრალებელნი, ძალაუფლებისათვის დაუცბრომლად მებრძოლნი, მათთვის უცხოა ჭიდილი საკუთარ თავთან, აღრეული ცნობიერება, ეკონტროლო ფიქრები. მათ წარმოსახვის ავტორი აღწერს სხვა მხატვრული ხერხებით და არა პირდაპირი შინაგანი მონოლოგით. აქვე უნდა ითქვას, რომ არართულ, ერთნიშნა ეკონფლიქტო ხასიათებს ფოლკნერი უმეტესად ავტორისეული აღწერებით ვაღმოგვეცემს, როგორც, ვთქვათ, ლინა გროუვის სახეს „ავვისტოს ნათელში“ ან ეულას სახეს „სოფელში“. შინაგანი მონოლოგის გამოყენების ფოლკნერული სტრატეგია და მეთოდი უკვე ნათლად ვლინდება „ცნობიერების ნაკადის“ მიჩნეულ რომანებში „ხმაურსა“ და „მომაკვდავში“.

„ხმაური და მძვინვარების“ პირველი სექცია ანუ ბენჯის სექცია შინაგან მონოლოგია, რომელშიაც გადმოცემულია იდიოტის ცნობაერება. ბენჯი უკვე ოცდაცამეტი წლისაა, მაგრამ მისი აზროვნება სამი წლის ბავშვისას არ გასცილებია. მისი სულიერი სამყარო შემოთარგლულია სამი წლის ბავშვის შთაბეჭდილებებით. შეგრძნებებით, მაშასადამე, მხოლოდ ფიზიკური შეგრძნებებით, ბავშვური მოგონებებით, რომლებშიაც ეოცხლად შექონებული მხოლოდ საყვარელი, მზრუნველი, ალერსიანი დის კედის სახე და მასთან ერთად — ბუნდოვნად, აღრეულად და გაუაზრებლად კომპსონების ოჯახის მთელი ბედუკუდმართობა. ბენჯის არა აქვს დროის დინების შეგრძნება, მისთვის არ არსებობს ზღვარი წარსულსა და აწმყოს შორის, მის ცნობიერებაში დრო გაყინულია წარსულში, მის ბავშვობაში. ამ ფაქტის ინტენსიფიკაციისათვის ბენჯის სექცია დასათაურებულია მხოლოდ აწმყოს თარიღით — „7 აპრილი, 1928 წელი“, ხოლო ბენჯი თავისა გონებასუსტი წარმოდგენით ცბოვრობს მხოლოდ დაახლოებით 1910 წლამდე. გარემოს მიმართ ამგვარად დაბნეული, გონებააღრეული, ემოციური დამოკიდებულების გადმოსაცემად სავსებით მიზანშეწონილია „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკის გამოყენება. იგივე უნდა ითქვას რომანის მეორე სექციაზეც. ეს არის კომპსონების მეორე ძმის ქვენტინის შინაგანი მონოლოგი უშუალოდ თვითმკვლელობის წინ 1910 წლის 2 ივნისს. რომანის მეორე ნაწილის ანუ სექციის სათაურიც ეს თარიღია. ბენჯისაგან განსხვავებით ქვენტინი მოაზროვნე პიროვნებაა, მაგრამ მისი შინაგანი მონოლოგი ფორმით არ განსხვავდება ბენჯის მონოლოგისაგან. ეს გასაგებიცაა: მაღალზნეობრივი, რომანტიკოსი, ტრადიციონალისტი ქვენტინი, ოჯახისა და თავის კუთხის, სამხრეთის პარტიის დამცველი, ვერ ეგუება კედის დაცემას და წარსულში დიდებული კომპსონების ოჯახის ფიზიკურ და მორალურ გადაგვარებას. მის სულიერ დრამას ამწვავებს კონფლიქტები გარემოსთან, ახლობლებთან, სხვებთან და საკუთარ თავთანაც. მწვავე კონფლიქტები თავმოყრილა მის სულიერ სამყაროში. ამიტომ ერთადერთი ხსნა თვითმკვლელობაა, მისი „და უკვე სიკვდილია“, ის „მხოლოდ სიკვდილზეა შეყვარებული“. ყველაფერი ეს ქვენტინს გააზრებულებ აქვს, ფალოსოფიურადაც სწყვეტს თავის ბედ-იღბალს დროის კატეგორიანზე, დროის აბსურდულობაზე, ოჯახის, სამხრეთის დაცემაზე, ცხოვრების ამათეზაზე მსჯელობისას. მაგრამ ის ხომ უზომოდ დაძაბული, აგზნებული და შეპყრობილია მწარე ემოციური მოგონებებით, განცდებით, შეურაცხყოფისა და უსასობის განწყობილებებით. თვითმკვლელობის დღეს მას უკვე ძალაც არ შესწევს და აღარც ლამობს კონტროლი გაუწიოს თავის ფიქრებს, უმოციებს. მის ცნობიერებაში აკვატებულად ტრიალებს კომპსონების ოჯახის ტრადიცია, მოკლენები აგონდება არც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არამედ განცდის თანმიმდევრობით. აქ თავისუფალ ასოციაციათა ჯაჭვი, ცხადია, დაკავშირებულია კედისა და კომპსონების ოჯახის წარსულთან, მხოლოდ წარსულთან, ამ სექციაშიც ფორმა შინაარსის გამოხატველია, ქვენტინის აფორიკებელი ცნობიერების მოქრობას. თვითმკვლელობის წინ მღელვარე მდგომარეობას სავსებით შეესიტყვება ცნობიერების ნაკადისეული შინაგანი მონოლოგის ფორმა.

მესამე სექცია, მესამე ძმის ჯეისონ კომპსონის სექცია მხატვრულად წარმოდგენს პირველი და მეორე ანუ ბენჯისა და ქვენტინის სექციების კონტრასტს, ისე როგორც ჯეისონის ხასიათი მისი ორი უფროსი ძმის ანტიპოდი. ჯეისონის სექციაც დაწერილია ავტორის იმპროსონალიზაციით, ავტორის ჩაურევლობის პოზიციიდან. ესეც შინაგანი მონოლოგია, მაგრამ თავისი წყობითა და პოეტით მკვეთრად განსხვავდება ბენჯისა და ქვენტინის შინაგანი მონოლოგებისაგან. ის გარეგნულად ჰგავს შინაგან მონოლოგს. მას უმჯობესია ეწოდოს უბრალოდ მონოლოგი, რომელშიაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებულია მოწმდარი ფაქტები, ეპიზოდები, რაც გმირს გადახდა, აქ აღარაა ასოციაციურა. დაფანტული მოგონებები, აწმყოდან წარსულში და პირუკუ ნახტომები, რომელთა გამოსახატავად ავტორი ბენჯისა და ქვენტინის სექციებში შრიფტის ცვალებადობასაც კი მიმართავს. ამგვარ გრაფიკულ ხერხს ერთგანზომილებიანი ხასიათის, უსულგულო ჯეისონის მონოლოგი აღარ საქროებს. ჯეისონი ანტიკომპსონური ანუ უემოციო, არარომანტიკული კაცია. მას არც სამხრეთის ბედ-იღბალი, არც ოჯახის პარტიე და ამდენად არც მისი წარსული აღელვებს. მისთვის მთავარია, პირადი ცხოვრება როგორმე მოიწყოს, რომანში კომპსონების სამი ძმის ერთადერთი და კედი ამერიკის სამხრეთული რომანტიკისა და მისი დაცემის სიმბოლოა. რამდენადაც ბენჯისა და ქვენტინის თავდავიწყებით უყვართ კედი, თუმცა ორივეს თავისებურად, იმდენად ჯეისონს ეკავრება ერთადერთი და, კიდევ ჰკიცხავს მას, ჯეისონი ანგარებითა და ეგოიზმით მრავალმხრივ სნოუბსური ანტიკომპსონური ხასიათია. ფოლკენერის მხატვრული პრინციპი მის სექციაში მტკიცედაა გატარებული: შინაგანი მონოლოგი გარდაქმნილია უბრალო მონოლოგად, პირველ პირში

მოვლუხების თანმიმდევრულ თხრობად, ფაქტების კონსტატაციად, საიდანაც არკვევს, რომ ჭეი-
სონის ერთადერთი საზრუნავი და საფიქრალი ყოფილა მის მიერვე უსამართლოდ მიტოვებუ-
ლი ფულის, რომელიც კედის უკანონო ქალიშვილს გაუტაცნია, როგორც ისევ ხელმოგდე-
ბა. ეს ამბავი, რომელიც ყველაზე მეტად აძრწუნებს და აღელვებს ჭეისონს, წყნარად წლის
ნ აპრილს, სექციის სათაურიც ეს თარიღია. ცნობიერების ნაკადისეულ ტექნიკის დახმარებით
გის „დაცემა“, „დაქვეითება“ ჭეისონის სექციაში აიხსნება თვით მისი პროტაგონისტის არაემო-
ციური, სნოუპსური ხასიათით.

მეოთხე სექციაში, დილზის სექციაში მოქმედება სრულდება 1928 წლის 5 აპრილს. დილ-
ზის დღე ბენჯის დღეს მოსდევს. ყველა უბედურებათა შემდეგ, რაც კომპსონების სახლში
დატრიალდა, ოჯახის ერთადერთ მფარველად, განსაკუთრებით კი ბენჯის ნუგეშისმცემლად
ბოხუცი ზანგი მსახური ქალი დილზი რჩება. ზანგი დილზი არაა კომპსონი, ე. ი. სულიერად
ტრავმირებული და განწირული. ის სიმშვიდის, სიკეთის, სულიერი წონასწორობის განსახიერე-
ბაა, თავისი არსებით, ზანგური წარმოშობითაც და ხასიათითაც—მოთმინების, ამტანობის განსა-
ხიერება; რაკი ამტანია, უკონფლიქტოა. მას კაცთმოყვარეობისა და პასუხისმგებლობის გრძნო-
ბა ამოძრავებს, ფაქრი და სიკმე მისთვის განუყოფელია, ამდენად მათი სული უშფოთველი
და უდრტვინველია. ვიშვორებთ, მისი ერთადერთი საზრუნავია კომპსონების ბოლო თაობის
მოვლა და მფარველობა. მეოთხე სექციაში მონოლოგი ქრება, კომპსონების ბედ-იღბალს აკ-
ტორი ბოხუცი ერთგული მსახურის პოზიციიდან თავად აღწერს და ამასთანავე გვიხატავს დილ-
ზის. მესამე პირში თხრობა სავსებით შესატყვისება დილზის სახეს. „ცნობიერების ნაკადის“
ტექნიკის ფოლკნერიანებური მხატვრული ფუნქცია რომანის ამ სექციაშიც სწორედ მონოლოგზე
უარის თქმითაა ბოლომდე დაცული.

ამგვარად, „ხმაური და მძვინვარება“ არაა ცნობიერის ამსახველ რომანს როდი წარმოად-
გენს, გმირთა დრამატული სულიერი ცხოვრების გადმოსაცემად. მასში „ცნობიერების ნაკა-
დის“ ტექნიკის არსენალიდანაა გამოყენებული შინაგანი მონოლოგის ფორმა. როგორც კი
სულიერი ძაბვა მცირდება, ემოციურობა ნელდება (ჭეისონის ხასიათი), შინაგანი მონოლოგის
ფორმა დაყვანილია მინიმუმამდე ან სულაც ქრება (დილზის სექცია) და მას ენაცვლება სხვა
მხატვრული გამომსახველობა. ამგვარი კანონზომიერება, ამგვარი კავშირი ფორმასა და შინა-
არსს შორის დგინდება მეორე ე. წ. „ცნობიერების ნაკადის“ რომანში „მომაკვდავი რომ ვეს-
ვენე“.

„მომაკვდავი რომ ვესვენე“ მთლიანად აგებულია მხოლოდ მონოლოგებზე, რომელთა შე-
სახებ ძნელი სათქმელია, რომ ისინი შინაგანი მონოლოგებია. უმეტესობა უფრო ნააბზობს
მოგვაგონებს, მაგრამ მინც შინაგანი მონოლოგს ვუწოდებთ მხოლოდ იმის გამო, რომ მათი
მსშენელი არ ჩანს რომანში, ეს მონოლოგები ფიქრების ნაკადს წარმოადგენენ. ეს რთული
ქანრის ნაწარმოებია, რომელშიც ჰეროიკული ეპოსისა და კომედიის მთელი სირთულე, ფსიქო-
ლოგიური წიაღსელები და კოლიზიები და საერთოდ მთელი ამბავი მონოლოგებშია გარდა-
ტეხილი. ყოველი მათგანის დონე სხვადასხვაა, რასაც განსაზღვრავს გმირთა ხასიათების თავი-
სებურებანი. რომანის მთავარი გმირები არიან ბანდრენები, მეორეხარისხოვანი გმირები —
არაბანდრენები. ყველანი მივარდნილი სოფლის ლატაკი ფერმერები. უბეში, გონებაჩლუნგი
და ნაკლებად მგრძნობიარე ადამიანები არიან, ეს ნათლად ჩანს მათ მარტივ, ჩვეულებრივ —
ასოციაციებით ნაკლებად დახლართულ მონოლოგებში. თუმც აქაც ვაწყდებით ფოლკნერი-
სეულ მკვეთრ სხვაობას. ბანდრენები ბევრს უიქრობენ დედის სიკვდილზე და მისი ანდერ-
ძის პირნათლად შესრულებაზე; მათი ფსიქიკა კიდევ უფრო იძაბება, როცა განსაცდელში აღ-
მოჩნდებიან, — ჭერ წყალდიდობა დაატყდებათ თავს, მერე ხანძარი იფეთქებს, მაგრამ დიდი
გაჭირვებით იხსნიან დედის ცხედარს. მონოლოგები კონცენტრირებულია რამდენიმე კონკრე-
ტული ფოკუსის ირგვლივ, ესენი გახლავთ: ედი ბანდრენის სიკვდილი და მისი ქალაქ ჩეფერ-
სონში გადასვენება, ერთმანეთს შორის შინაგანი, ფსიქოლოგიური ურთიერთობანი და ყოველი
მათგანის პირადი ინტერესები და მიდრეკილებანი. ამ მოტივთა ერთობა ქმნის გარკვეულ და-
ძაბულობას და, მაშასადამე აღრეულობასაც მათ მონოლოგებში. ბანდრენების მონოლოგებზე
უფრო დრამატიზებულია, ვიდრე არაბანდრენებისა. ედისა და მისი ოჯახის სიკვდილის განც-
დასა და შინაგან ურთიერთობებში არაბანდრენები არ არიან ემოციურად ჩართულნი, ისინი
მხოლოდ გარედან დამკვირვებლედ რჩებიან.

ედი ბანდრენისა და ერთ-ერთი ვაჟიშვილის დარლის მონოლოგები ცნობიერების ნაკადის-
სეულ შინაგან მონოლოგებს უთანაბრდებიან, რაც სავსებით შესატყვისება მათი ცხოვრების
კვანსა და აღრეულ ცნობიერებას. ედიმ რთული სულიერი ცხოვრების გზა განვლო. სიკვდილია

ჟამს მის ცნობიერებაში ამოტივტავდება მთელი მისი წარსული, მომეტებული მდღეობა ეპი-
 სოდები, დაუოკებელი ვნებები, მისწრაფებები და სასოწარკვეთა. მომავლად ედის მოგონე-
 ლათა. შიდახედვის გადმოსაცემად შინაგანი მონოლოგი ზედგამოჭრილი ფოთმა აღმოჩნდა.
 რომანის ყველაზე ტრაგიკული ხასიათია გულთამხილავი და გადაჭარბებული გრძნობიარე
 დარღვი. ის მშობლებისა და დამათი სულია მოძრობის ყოველგვარ ტყუილ გრძნობს
 დედის დამოკიდებულებას, განიცდის უარყოფილი შვილის მწარე ხედვას. მას დიდად აწუხებს
 დედის გადასვენების საზარელი პროცესი, ცხედრის კრემაციის მიზნით ბოსელს ცეცხლს
 წაუქიდებს, და ბოლოს ედის დამარხვის შემდეგ ქვეაზე შეცდენილს ჯედერსონის ფსიქი-
 ატრიულ საავადმყოფოში მოათავსებენ. დარღვის შინაგანი მონოლოგებში ასოციაციებისა და
 სიმბოლური სახეების მეშვეობით გადმოცემულია შესულილი კაცის დეფორმირებული, აღრეუ-
 ლი ცნობიერების მეტად საინტერესო ანარეკლი.

ასეთია ფილენერის ე. წ. „ცნობიერების ნაკადი“ რომანებში შინაგანი მონოლოგის გამო-
 ყვებების მრუდი, ამპლიტუდა. რომლის ცვალებადობა დამოკიდებულია ხასიათთა თავისებურე-
 ბაზე, სიტუაციებზე, სულიერ დაძაბულობაზე და არა არაცნობიერის ძიება-გამოვლენაზე, რითაც
 ფოლენერი აშკარად ემიჯნება ჯონსს. ეს პროცესი მის შემდგომ რომანებში კიდევ უფრო ნათ-
 ლად იკვეთება.

„ხმაურსა“ და „მომავლადში“ ფოლენერი ამთავიადვე ცდილობს შინაგანი მონოლოგი დატ-
 ვირთოს ამბით, მთელი ნაწარმოების სიუჟეტით. ამას მოწმობს ჯეისონის სექცია, მონოლოგთა
 უმრავლესობა „მომავლადიდან“, ბენჯინსა და ქვენტინის სექციებშიც კი უკვე გადმო-
 ცემული იყო „ხმაურისა და მძვინვარების“ მთელი შინაარსი. ამითაც არაჯონსისებურია ამ რომ-
 მანის ავტორი. აქვე ისახება ფოლენერის პირველი ცდები, შინაგანი მონოლოგის პროტაგონის-
 ტი გადართოს მთხრობელის პოზიციაზე. შინაგანი მონოლოგის მთავარი სუბიექტი, „მე“,
 აქციოს მთხრობელად, ხოლო შინაგანი მონოლოგი — ნაამბობად. შემდგომ რომანებში ეს ტენ-
 დენცია უკვე აშკარად ისახამს ხორცს და შინაგანი მონოლოგის ადგალს იკავებს მთხრობელის
 ნაამბობი, მოწმე-მთხრობელის ამბავი, რაც არსებითად ცვლის ფოლენერის რომანის პოეტი-
 კას, იგი იქცევა წამყვან მხატვრულ ძალად, რომანის მათრგანიზებელ მექანიზმად. აქ უკვე
 ჯონსური თითქმის არაფერი რჩება, იგი წმინდად ფოლენერულია, რომელიც, სავარაუდოა, რომ
 სათავეს იდებს პერმან მელვილისა და ჯოზეფ კონრადის პოეტიკიდან.

„ხმაურისა“ და „მომავლადის“ შემდეგ ფოლენერმა შინაგანი მონოლოგი მინუმაოდ დაიყ-
 ვანა სხვა მხატვრულ ექსპერიმენტთა ხარჯზე, მათ შორის მთხრობელის ფუნქციის გაძლიერე-
 ბის ხარჯზე, რაც შეიძლება შინაგანი მონოლოგის ტექნიკის ერთგვარ მოდიფიკაციად ჩაით-
 ვალოს. შინაგანი მონოლოგს ენაცვლება კონკრეტულ მსმენელზე გაანგარიშებული ნაამბობი,
 რომელიც მონოლოგს მოგვავსონებს. „აბესალომ, აბესალომში“ როზას თხრობა მონოლოგი-
 სებურია, თავისუფალი ასოციაციების ზღვარზე დგას, მაგრამ რაკი იგი გულისხმობს მსმენელს,
 ნაამბობში ემოციურად ჩართულ მსმენელს, — როზას ასეთი მსმენელია ქვენტინი, — ეს ასო-
 ციაციები განსხვავებით შინაგანი მონოლოგის ასოციაციებისაგან უფრო ნათელია და ლოგი-
 კურად დალაგებული. მაგრამ მათში მაინც არაა დაცული მოქმედების კაზუალობა და ქრონოლო-
 გიური თანმიმდევრობა, არამედ ქარბობს ასოციაციური კაზუალობა. ისინი ისეა შეფერილი და
 დატვირთული მოვლენებისადმი სუბიექტური მიმართებით, პირადული განცდებითა და შეხედუ-
 ლებებით, რომ დიდად არ განსხვავდება შინაგანი მონოლოგის თავისუფალი ასოციაციების მე-
 თოდისაგან.

შინაგანი მონოლოგის იმპერსონალიზაცია მთხრობელის ნაამბობსაც გადმოჰყვია. მასში და-
 ცულია თხრობის ობიექტურობა, ავტორის ჩაურეულობა და მისი ვანზე დგომა; მოვლენები და
 სიტუაციები წარმოდგენილია მხოლოდ მთხრობელის პოზიციიდან. ფოლენერის რომანების სირ-
 თულეს პირველ ყოვლისა ქმნის სწორედ მთხრობელის ფუნქცია და მთხრობელთა მონაცვლე-
 თბა, თხრობის ასოციაციურობა და ავტორის „ვაქრობა“, იმპერსონალიზაცია. მთხრობელთა მო-
 ნაცვლეობაზე, კომპოზიციურ აღრეულობაზე აგებული კონტრაპუნქტული რომანები „აგვის-
 ტოს ნათელი“ (1932 წ.), „აბესალომ, აბესალომში“ (1936 წ.), „ჩამოვედ, მოსე!“ (1942 წ.), „სო-
 ფელი“ (1940 წ.), „ქალაქი“ (1957 წ.), „სახლი“ (1959 წ.) და სხვა.

ამ ნაწარმოებებში ფოლენერის ჰენდლებური ოსტატობით იყენებს შინაგანი მონოლოგს.
 მთხრობელთა ნაამბობსა თუ ავტორისეულ აღწერებს ხშირად ენაცვლება შინაგანი მონოლო-
 გები და პირუკუ. ჯონსზე მეტად ეს პროცესი მოგვავსონებს მონოლოგებისა თუ შინაგანი მო-
 ნოლოგების ჩართვის პრინციპს წარსული საუკუნეების კლასიკურ დრამასა თუ პროზაში. ცნო-
 ბილია, რომ ფოლენერი შექსპირის დიდი თავჯანსიციემული იყო და თავის რომანებში თითქოს

დაცული აქვს მონოლოგებზე გადართვის შექსპირული კანონზომიერება, ამასთან ტოლსტოისე-
ბური, დოსტოევსკისებური კანონზომიერება. შინაგანი მონოლოგის ფორმა ნაწარმოებში შემო-
იკრება მომეტებულად მღელვარე სიტუაციებში, გმირის სულიერი წონასწორობის დღევანდისა
და კატასტროფის მოახლოების მომენტებში. შინაგანი მონოლოგი ფოლკნერის „აბა-კაბა“
აბსოლუტურ მხატვრულ ძალად; ისე როგორც წარსული საუკუნეების ლიტერატურაში, აბა-
ზომიერად ერწყმის ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილს, ორგანულად ჩაერთვება ქარ-
გაში. უნებურად გვაგონდება პოლ ვალერის ზიტყვები: „კაცმა რომ თქვას ლიტერატურა-
ტურული სიახლეა ტრადიციული“.

რა მიმართებაშია ფოლკნერის შინაგანი მონოლოგი მიუღ ნაწარმოებთან? ჯოისის „ულისეს-
თვის“ აუცილებელი ფორმალური სტრუქტურები შინაგან მონოლოგთან მათში მოკვების მიზ-
ნით ფოლკნერის რომანისათვის შეუთავსებელია. „ულისესში“ შემაკავშირებელ ფუნქციას აფ-
ტორი აკისრებს ოდისეას მითის მოდელს, ცალკეულ ეპიზოდებსა და პერსონაჟებს, ამაკე-
დროს — სხვა სტრუქტურებსაც. „ულისეს“ აგებულია გარკვეული სქემის მიხედვით, სქემა და-
ცულია ყოველ ეპიზოდში: სათაური (ოდისეას ეპიზოდთა და პერსონაჟთა მიხედვით), სცენა
ანუ მოქმედების ადგილი, დრო, ორგანო, ხელოვნება, უერი, სიმბოლო, ტექნიკა, ამ სტრუქ-
ტურათა ტაბულასაც კი იძლევა სტიუარტ გილბერტი „ულისეს“ ეპიზოდთა თანმიმდევრობით.
ეს სქემები წარმოადგენს ნაწარმოების გაგების მთავარ გასაღებს. „ულისეს“ ქართულად მთარ-
გმნელი ნიკო ყიასაშვილი, სავსებით მართებულად, საჭიროდ მიიჩნევს ყოველი ეპიზოდის თაი-
გმანს დაურთოს შესატყვისი სქემის განმარტება. ფოლკნერს არ სჭირდება რომანისათვის აუცი-
ლებელი გარეგნული სტრუქტურის, ფორმალური სქემის შექმნა, ლოგიკურად აგებული ყალიბი
მასში შინაგანი მონოლოგის ქაოსის მოსათავსებლად. ფოლკნერის რომანები საუფეტური რო-
მანებია, რომლებშიაც ამბავიცა და გმირთა საქციელიც მოტივირებულია კონკრეტული სოცია-
ლურ-ისტორიული ვითარებით, გმირთა სულიერი სამყარო უშუალოდ მოქმედების მსვლელობას
უკავშირდება. სიუჟეტი შინაგან მონოლოგთან გასაშიფრად კი არაა გამოყენებული, არამედ
პირუტყუ, — მოვლენათა, მოქმედებათა, გმირთა ხასიათების უფრო ღრმად გასაგებად და გა-
მოსააშკარაებლად. შინაგანი მონოლოგი ამბავშია ჩართული ან ამბავი მასშია მოცემული.
ორივე შემთხვევაში ის მთელის ნაწილია, ამბის ორგანული ნაწილია.

ჯოისისგან განსხვავებით ფოლკნერი „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკის გამოყენების ახალ-
ლიტერატურულ საფუძვლს იძლევა, ახალი მხატვრული ექსპერიმენტია განხორციელებული —
ჯოისისებური მოდერნისტული შინაგანი მონოლოგის ფორმა ტრადიციული რომანის ფორმას-
თანაა შერწყმული.

რ. პამფრინ ფოლკნერის „ცნობიერების ნაკადის“ მწერლობას მიაკუთვნა, „ხმაური და
მძვინვარება“ და „მომავლადი რომ ვესვენე“ „ცნობიერების ნაკადის“ ნაწარმოებებს გაუთანაბრა.
მაგრამ ამაყე რომანების სიუჟეტურმა დინამიკამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სწორედ მოქმე-
დების ერთიანობით, სიუჟეტურობით, ამბის ტრადიციული წყობით ფოლკნერის „ხმაური“ და
„მომავლადი“ ემიჯნება „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურის ნორმებსა და ახლოს დგას
ტრადიციულ მწერლობასთან. „პროზის უუნდამენტურ საფუძვლებს უბრუნდება, მათში აშკა-
რად წამყვანია გარეგნული მოქმედების მნიშვნელობა, რომელსაც ავტორი უკავშირებს ცნობი-
ერების ნაკადს“.

ფოლკნერის რომანების სიუჟეტურობამ თავისებურად შეისისხლხორცა ცნობიერების ნა-
კადისეული შინაგანი მონოლოგის ზოგი პოეტური ელემენტი. ფოლკნერის შინაგანი მონო-
ლოგი, ისე როგორც „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკა მოითხოვს, მრავალბლანოანია, ყველა
დეტალი მნიშვნელოვანია, ფოკუსური, მთავარი ფოკუსი თითქმის გამჭრალაია. მაგრამ „ცნობი-
ერების ნაკადის“ ლიტერატურისაგან, ყრძოდ ჯოისისაგან, განსხვავებით ფოლკნერის რომანებში
მთავარი, ცენტრალური ფოკუსი სიუჟეტშია გამოყვეთილი და, როგორც მაგნიტური ველი, ყვე-
ლა ფოკუსს თავისკენ იზიდავს, ყოველი მათგანი მის ირგვლივ ლაგდება, მისგან მიმდინარეობს.
ამგვარად, შინაგან მონოლოგში გაფანტულ ფოკუსთა ქაოსი მას ლოგიკურად უკავშირდება
და თავის კუთვნილ ადგილს აკავებს.

მითოსურ, ბიბლიურ, ლიტერატურულ, ფოლკლორულ სახეთა პარალელიზმი და სათაუ-
რებში მათი გატანა, საექვთა, ფოლკნერს ოშეილოდ ჯოისისაგან გადმოეღოს. ეს მხატვრულ-
განმაზოგადებელი ხერხი ლიტერატურაში ყ ლთვის არსებობდა და კიდევ უფრო გავრცელ-
და მეოცე საუკუნის მწერლობაში. „ულისესში“ მითოსური წარმომშობის სათაურის გამოყენება
ჯოისს არ გამოუგონებია, მაგრამ მან ეს სათაური ახალი დამატებითი და მნიშვნელოვანი ფუნ-
ქციით დატვირთა: სათაურშივე ჩაატსოვა მთელი ნაწარმოების სტრუქტურა, ოდისეას მითის მო-

დელი, რომელსაც ემორჩილება და რომლის მიხედვით ორგანიზებულია მთელი მხატვრული წესი. როცა ჯოისი თავის წიგნის „ულისეს“ არქმევს, ამით მკითხველს ანიშნებს, ოდისეას მითი გაიხსენე და მთელი რომანი მისი პერსონაჟების, ეპიზოდების, მათი მოდელისა და სტრუქტურის მიხედვით გაიხსენე, მათ შორის შინაგან მონოლოგთა მთელი ქაოსიც. ფოლკნერის რომანებში, რაკი ტრადიციული სიუჟეტურობაა წამყვანი და არა მითოსურ-ლიტერატურულ სახეთა და მოტივთა მიხედვით ნაწარმოების აგება, ცხადია, ჯოისისებური სათაურის ამგვარი ზემოხსენებული ფუნქცია გამორიცხებულია. მითოსური, ბიბლიური, ლიტერატურული თუ ფოლკლორული სახე, ისე როგორც ჯოისთან, ფოლკნერთანაც ნახსენებია მხოლოდ სათაურში, ნაწარმოებში კი არსად აღარ ჩანს, მინიშნებულიც არაა არც ეს სახე და არც მასთან დაკავშირებული სახეები თუ ეპიზოდები. ამგვარ სათაურს, როგორც მაგალითად, „აბესალომ, აბესალომ“, ფოლკნერი იყენებს მხოლოდ ნაწარმოების კონკრეტული თემისა და აზრის გაშიფვრას, გადრმავეებისა და განზოგადების მიზნით. დასათაურების ეს მეთოდი ყველა დროის ლიტერატურაში გვხვდება, და მათ შორის XIX საუკუნის დიდ რეალისტებთანაც. საკმარისია გაიხსენოთ უ. თეკერის „ანაოების ბაზარი“, ამ სათაურის ლიტერატურული წყარო და ამ წყაროს განმაზოგადოებელი მნიშვნელობა მთელი რომანისათვის.

მითოსურ, ბიბლიურ, ფოლკლორულ თუ ლიტერატურულ სახეთა და მოტივთა მხატვრული ფუნქცია ფოლკნერის შემოქმედებაში თავისებურია და საგანგებო კვლევას საჭიროებს. ოღონდ მათი აღუზიები და რეპინისციენციები, ჯოისისაგან განსხვავებით, ფოლკნერთან თითქმის არ გვხვდება, და რუ გვხვდება, ისინიც უმეტესად საყოველთაოდ ცნობილი, უაღრესად გავრცელებული სახეებია, როგორც მაგალითად, ქრისტეს ლეგენდა, ჯვარცმა და სხვა. ამგვარი აღუზიები და პარალელები ფოლკნერთან უმეტესად შინაგანი მონოლოგის გარეთაა გატანილი, მაგრამ ჯოისისაგან განსხვავებით, ისევე და ისევე იშვიათად გვხვდება. იგივე უნდა ითქვას სიმბოლოებსა და მეტაფორულ სახეებზე. ფოლკნერულ შინაგან მონოლოგებში ისინი რთული და სპეციფიკურია, მაგრამ ჯოისის სიმბოლოებსა და მეტაფორებთან შედარებით ნაკლებად რთულია. საზოგადოდ ჯოისის შინაგანი მონოლოგები უფრო მწიგნობრულია და უფრო ფილოსოფიური, რომლის გაგებაც განათლებულ მკითხველსაც სპეციალური კომენტარების გარეშე გაუჭირდება; ფოლკნერის შინაგანი მონოლოგი, თუმცა დიდუზიურია, რთული, ასოციაციური, ენობრივად დარღვეული და ა. შ., მაგრამ უფრო კონკრეტულია, ცხოვრებისეული, არამწიგნობრული. ნაწარმოების მთლიან კონტექსტში მთელი მისი სირთულე საბოლოოდ ყოველგვარი კომენტარების გარეშე ადვილად იშიფრება.

უილიამ ფოლკნერი, როგორც მეოცე საუკუნის დროის პრობლემის ერთ-ერთი თავისებური და რთული მწერალი, სწორედ დროის ფსიქოლოგიური ასპექტისადმი გამახვილებულმა ინტერესმა, დროის სუბიექტივიზაციამ მიიყვანა „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკამდე. შინაგან მონოლოგებში ჯოისისებურ მხატვრულ დრომდე. მასთან დროის სუბიექტურ კონცეფციას ექვემდებარება მხატვრული დროის სპეციფიკა — ქრონოლოგიური აღრეულობა. მაგრამ ჯოისისაგან განსხვავებით მის რომანებში ქრონოლოგიის ოღვეა არაა დამახასიათებელი მხოლოდ შინაგანი მონოლოგისათვის, იგი სცილდება შინაგანი მონოლოგის ფარგლებს და ვრცელდება მთელი ნაწარმოების ფორმაზე, მის კომპოზიციაზე, მის ჩარჩოზე, რაც ჯოისის ტექნიკისათვის პრინციპულად მიუღებელია. „ულისესში“ ავტორი გარეგნულად მკაცრად იცავს დროისა და ადგილის ერთობას, მოქმედება თითქმის ერთ დღე-ღამეს გრძელდება, იწყება დილაადრიან და სრულდება ხაშულამეფს მარიონ ბლუმის ანუ პენელოპეს ძილისპირული შინაგანი მონოლოგით: მოქმედება ხდება მხოლოდ ქალაქ დუბლინში. დროის პრობლემით გამორჩეულ რომანში „ხმაურსა და მძვინვარებაში“ უჩვეულოდაა დარღვეული გარეგნული მოქმედების თანმიმდევრობა და ქრონოლოგია, აღარაფერს ვამბობთ ადგილის ერთობის რღვევაზე. „ხმაური“ დაყოფილია სექციებად, რომლებშიაც დრო „ხტის“ წინ და უკან, მოქმედება იწყება აწმყოში, იწყებს წარსულში და პირუკუ. ეს სექციების თარიღისმიერ სათაურებშიაც ჩანს. დროისადმი ამ ორი მწერლის დამოკიდებულების, მათ მხატვრულ დროთა დაპირისპირების შედეგად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჯოისი რომანის არქიტექტონიკაში ობიექტური დროის ფინების კანონზომიერებას მკაცრად იცავდეს, ხოლო ფოლკნერი ფორმალისტად, ლამის მისტიკოსად და უკიდურეს სუბიექტივისტად წარმოგვიდგება. სინამდვილეში დროისა და ადგილის გარეგნული ერთიანობა ჯოისს ესაჭიროება ფორმალური სტრუქტურისათვის. შიგ „ცნობიერების ნაკადის“ ქაოსის თავმოსაყრელად და უკუგან მოვლენებსა და ცნობიერებას შორის განხეთქილების საჩვენებლად, ჯოისთან გარეგნული ობიექტურობა ექვემდებარება მართლაც უკიდურეს სუბიექტივიზმს როცა ფოლკნერი განზრახ არღვევს მოქმედების ქრონოლოგიას.

მე მთა ვარ, და ეს ჩემი პორტრეტია,
არჩიმბოლდოს ხელოვნებით გამოხატული ბუნება.

ფურცლის მთელ სიბრტყეზე გამოსახულია ხშირი ტყით დაფარული უზარმაზარი კლდე, აქა-იქ პატარა სახლები მოჩანს; კლდის გარდიგარდმო ხიდია გადებული, ზემოდან მოხეტ-ქილ მდინარეს რომ აძლევს გზას. სურათს კარგად თუ დააკვირდები, დაინახავ, რომ კლდე თანდათანობით იქცევა ადამიანის სახედ, რომელზეც ხეები თმბა, ბრტყელ სახლები —



თვალეში, მველი კოშკი — ცხვირი, ხიდი — უღვაშები, გისოსი — ბაგე. ცნობისმოყვარე მაყურებელს, ყოველივე ამაში სამხიარულო ამბავს რომ ხედავს, სურს გაიცნოს სურათის ავტორიც.

თუკი კალმით ნახატს არ ჩავთვლით, რომელიც პრალაში ინახება (სახალხო გალერეა), შემორჩენილია 1570 წელს დახატული (ადგილი უცნობია) არჩიმბოლდოს ერთადერთი ავტოპორტრეტი.

„ავტოპორტრეტი“ ფილოსოფოსს, მოაზროვნეს, უდიდესი ინტელექტის კაცს გამოხატავს. გამჭრიახი, გამსჭვალავი მზერა, ქალაქაშერთული ხშირი წვერი, სწავლული კაცის მაღალი ქუდი გამორჩეულ ნათელ პიროვნებაზე მიგვანიშნებს.

გადავზალოთ სულ რამდენიმე, დროით შეღახული ფურცელი, რომლებიც ამ უაღრესად ორიგინალური კაცისა და მხატვრის ცხოვრებას გვიამბობენ.

1592 წელს რუდოლფ მეორემ, წმინდა რომის იმპერატორმა და არჩიმბოლდოს მფარველმა, მას პფალცგრაფის ტიტული უბოძა: პწორედ ეს ტიტული მიანიჭა კარლოს მეოთხემ პეტრარკას პრალაში ორი საუკუნით ადრე. ეს ნოდება სულ რამდენიმე მხატვარს თუ ღირსებია.

ჯუზეპე არჩიმბოლდო დაიბადა 1527 წელს მილანში. ოცდაორი წლისამ მამასთან, ბიჯოსთან ერთად მოხატა მილანის ტაძარი.

1550 წელს არჩიმბოლდომ დახატა ხუთი გერბი, რომლებიც მილანმა 1556 წელს გაიმპერატორებულ ბოჰემიის მეფეს, ფერდინანდ პირველს მიუძღვნა. ეს ფაქტი საკმაოდ საგულლისხმოა, რადგან სწორედ იმ დროს დაინტერესდა მონარქი ახალგაზრდა მხატვრით, რამაც გავლენა იქონია ახალგაზრდა მხატვრის შემდგომ ცხოვრებაზე. არჩიმბოლდოს მამა მეგობრობდა მხატვარ ლუიჩების ოჯახთან. ამ ოჯახში ინახებოდა ლეონარდო და ვინჩის ხელნაწერები და ნახატები. ჯუზეპეს საშუალება ჰქონდა ენახა დიდი ფლორენციელის ნამუშევრები. აურელიო ლუინი რელიქვიასავით ინახავდა ლეონარდოს უბის წიგნაკების ნაწილებს, რომლებიც აურელიოს მამას, ბერნარდინო ლუინის ხვდა მემკვიდრეობით, და, რა თქმა უნდა, აჩვენა არჩიმბოლდოს ეს საოცრებები, კარიკატურები, ყველანაირი მცენარისა და ცხოველის პიბრიდები ადამიანის სახეს რომ გამოხატავენ. ამ ნახატებმა განაცვიფრეს არჩიმბოლდო და საშუალოდ ჩაიბუქდნენ მის მეხსიერებაში.

1562 წელს იმპერატორმა ფერდინანდ პირველმა მხატვარი ვენაში მიიწვია სამეფო კარის პორტრეტისტისა და მესლის თანამდებობაზე. ამ წლიდან მოკიდებული 1587 წლამდე — ესაა დრო ფერდინანდ პირველის, მაქსიმილიან მეორისა და რუდოლფ მეორის მეფობისა — არჩიმბოლდო სამეფო კარზე ცხოვრობს ვენასა და პრალაში. ამ ხნის განმავლობაში მან მხოლოდ რამდენიმეჯერ იმოგზაურა ბავარიისა და იტალიაში.

მეფის ოჯახის წევრების ხატვის გარდა არჩიმბოლდოს მთავარი მოვალეობა იყო სახელგანთქმული „კაბინეტის“ მოწესრიგება და მორთვა, სადაც თავმოყრილი იყო ხელოვნების ქმნილებები და იშვიათობანა, ან „კურიოზები“, როგორც მაშინ უწოდებდნენ. რუდოლფ მეორის კოლექცია საუკეთესო იყო ევროპაში. „ცხოველებისა და ურჩხულების გამოსახულებიანი სურები, მუსიკალური ავტომატები, კოლიბრის ფრთების მოზაიკა, ასტ-

როლაბიები, კვადრახტები, მანდრაგორის ფესვები", აი, ასე აღწერს ამ კოლექციას მისი თანამედროვე.

ვინ იცის, იქნებ სწორედ „კაბინეტმა“ უბიძგა არჩიშბოლდოს შექმნა ^{თარგმანი} „კომპინირებული“ თავები?

არჩიშბოლდოს შემოქმედებაზე შეეძლო ვაფლენა მოეხდინა „კაბინეტის“ უამრავ ინდურ მინიატურასაც, რომლებიც გამოხატავენ სხვა ცხოველების ^{და მათი მანებების} სხეულებისაგან აგებულ სპილოებს, ცხენებსა და ანტილოპებს აქვე ^{ინახებოდა} სქლნანურები და ინკუნაბულები, რომელთა ფურცლები წარმოადგენდა ასოების ფორმის ადამიანის სხეულების, ცხოველებისა და მცენარეების კომპოზიციებს.

რულოდფ მეორის სამეფო კარზე მუშაობდნენ გამოჩენილი მეცნიერები: ტიხო ბრაგე, კეპლერი, მ. სენდივოგი, რუდოლფ მეორემ შექმნა ბრწყინვალე ბიბლიოთეკა; თვითონაც ნათელი და არაჩვეულებრივი პიროვნება ჩანს, მოვიყვანოთ მხოლოდ ერთ ფაქტს. „მე-16 საუკუნის მინურულს. — გადმოგვცემენ ალქიმიის მემატიაწებები, — რუდოლფ მეორემ საკუთარი ხელით გამოადნო ალქიმიური ოქრო“.

არჩიშბოლდოს მინიჭებული ჰქონდა „დღესასწაულის ოსტატის“ ტიტული. ლეონარდოსი არ იყო, ისიც იკონებს და აგებს სხვადასხვა ჰიდრაგლიკურ მექანიზმებს, მუსიკალურ ავტომატებს. თანამედროვეთა მემუარებში შემონახულია ორი ნახატი: „პერსპექტიული ხარბითი“ და „ფერის კლავიკორდი“. პირველს ვხვდებით 1621 წელს შესრულებულ გრადჩანის საინვენტარო აღწერაში, მეორეს — მხატვრის იტალიაში დაბრუნების პერიოდის ერთ-ერთი უახლოესი მეგობრის გ. კომანინის „მანტუის დიალოგში“. კომანინი წერს, რომ „ფერის კლავიკორდის“ ბგერები შეესატყვისებოდა ფერთა შკალაზე მხატვრის მიერ შედგენილ ამა თუ იმ ფერს. მუსიკისმცოდნე ლიონელო ლევი ამტკიცებს, რომ არჩიშბოლდო ცდილობდა შეეერთებინა პითაგორას თეორიების მიხედვით ოპტიკური და აკუსტიკური რიგები, რომლებიც იმხანად წარმატებით სარგებლობდნენ ჰუმანისტებს შორის.

თუ ლეონარდოსთან შედარებას განვაგრძობთ, „დღესასწაულის ოსტატის“ საქმიანობა ხელს უშლიდა არჩიშბოლდოს მეტი დრო დაეთმო დაზგური ფერწერისათვის.

არჩიშბოლდო ავტორია ჩვიდმეტი დაზგური სურათისა, უფრო ცნობილია ორი დიდი ციკლი: „წელიწადის დრონი“ („გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“ და „ზამთარი“) და „სტიქიები“ („ჰაერი“, „მიწა“, „წყალი“ და „ცეცხლი“). პირველი ვარიანტი სერიაა „წელიწადის დრონი“ 1563 წელს ეკუთვნის. ამ ოთხი სურათიდან ვენის ხელოვნების ისტორიის მუზეუმში დაცულია ორი („ზაფხული“ და „ზამთარი“). „გაზაფხული“ ამას წინათ აღმოჩნდა სან-ფრანცისკოს „მადრიდის აკადემიაში“, „შემოდგომა“ კი დაკარგულია. მეორე ვარიანტი თარიღდება 1573 წლით, იგი ლუვრმა შეიძინა 1964 წელს.

„სტიქიების“ სერია 1566-1571 წლებს ეკუთვნის. ამ სერიის სურათები 1648 წელს გაიტანეს პრაღიდან, როდესაც ბოჰემიის დედაქალაქი ნანილობრივ დაიწვა, ხოლო გრადჩანის ციხე-დარბაზი გაძარცვეს მარშალ კარლ გუსტავ ერანგელის წინამძღოლობით პრაღაში შემოჭრილმა შვეციის ჯარებმა. ამ სურათებიდან რამდენიმე ახლაც ინახება შვეციაში, მარშლის ყოფილ რეზიდენციაში, შოკლოსტერის ციხე-დარბაზში.

იმის გამო, რომ არჩიშბოლდოს სურათები რამდენიმე საუკუნის მანძილზე „გაბნეული“ იყო კერძო კოლექციებში (ასე მაგალითად, ამას წინათ გამოსული მხატვრის მონოგრაფიის ავტორმა პეირე დე მანდიარგმა 1931 წელს პირველად მიაკვლია მის სურათებს ვენაში, სადაც მრავალი წლია მანძილზე ინახებოდა.) მისი ხელოვნება ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებამდე პრაქტიკულად უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეეძმა კოლექციონერმა ოლაფ გრანბერგმა 1911 წელს სტოკჰოლმში განოაქვეყნა „შვეციის ხელოვნების საუნჯეთა გენერალური აღწერა“, გახდა ცნობილი ოსტატის სურათები.

ახლა შევეხოთ უშუალოდ არჩიშბოლდოს „წელიწადის დროებს“. ჯერ კიდევ შუა საუკუნეების არაბულ ფილოსოფიაში სტიქიებსა და წელიწადის დროებს ამგვანებდნენ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს. ქარს სუნთქვას ადარებდნენ, მებს — მეტყველებას, მზის ამოსვლას — ღიმილს, შემოდგომას შუახანს ამსგავსებდნენ, ზამთარს — მოხუცებულობას, გაზაფხულს — ბავშვობას, ზაფხულს — ახალგაზრდობას.

დავაკვირდეთ „წელიწადის დროის“ სურათებს და თვალი გავადევნოთ, როგორ ხსნის არჩიშბოლდო მხატვრული საშუალებებით ამ იდეებს.

სურათი „გაზაფხული“ (1573, ლუვრი). ამ სურათში რიყრაყის, განთიადის თემა გან-

სახლურავს მთელ მხატვრულ ნაშრომს. შავ ფონზე, ღამეს რომ ესიმბოლოება, მკვეთრად ისახება მცენარეები. მზის პირველი სხივებით განათებული ყვავილები ეგებებიან მზეს. ალიონი ბრიალებს „გაზაფხულის“ ლოყებზე, ისადგურებს ვარდებსა და ტიტებში, თბილ ნაკადად იღვრება შროშანისა და დუმფარის ფურცლებში. აქ ისეთი ფერია, ისეთი ფერი, აი, ბალახსა და ყვავილებს რომ აქვს დაფიონის ამოსვლისას. სწორედ ეს განსაზღვრავს საღებავებისა: ნაზი-მწვანე ფოთლები, მენამული და თბილი ყვითელი ყვავილები, მწვანე-წითელი დროინდელი ფერადოვნება, ასე რომ ეხამება გაზაფხულის თემას.

სურათი „ზაფხული“ (1573, ლუვრი). ესაა გაგანია შუადღის თემა, რაც ახალგაზრდობის სიმბოლოა. თუკი „გაზაფხულის“ ფერები ახალამონვერილი ბალახის ფერებია „ზაფხულისა“ ხორბლის ოქროსფერი თავთავებია. ეს ფერი „მცხუნვარეა“, „მამლარი“, „ზაფხულისეული“. მნიფე ყოლოსფერი ალუბალი, ზურმუხტისფერი კიტრი, წვნიანი, ვარდისფერი ვაშლი და მსხალი -- ასეთია „ზაფხულის“ კოლორიტი.

„ზაფხულში“ არის ერთი დეტალი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დანვრილებით შევჩერდეთ მხატვრის ხელოვნების ზოგიერთ ასპექტზე. ესაა ლათინური წარწერა „ზაფხულის“ ყელზე: Givseppe Arcimboldo. F. და ქვემოთ. „1573“.

არჩიმბოლდო აქ ერთგულია მხატვრული გენიის ნეოპლატონიკური გაგებისა: პოეტურ ქმნის, შემოქმედებითად მუშაობს, ჯადოქარივით აცოცხლებს უსულო ბუნებას, მთელი პოეტური ქმნილება ცოცხალი ინდივიდი უნდა იყოს: ადამიანი თავის თავს ბუნების იდენტურად თვლის, სულს უდგამს და აცოცხლებს მას. გასაგებია არჩიმბოლდოს მთავარი აზრი: მიუხედავად რაოდენობრივი მრავალფეროვნებისა და ხარისხობრივი განსხვავებისა, ბუნება ერთიანი რჩება.

„შემოდგომა“ (1573, ლუვრი). აქ „შუახნის“ — თემა ვითარდება შემოდგომის ნაყოფის გამოსახულებაში, რომელიც ჩამავალი მზის სხივებითაა განათებული. ეს ქმნის სურათის მონითალო-ყვითელ კოლორიტს. შემოდგომის ჭიაფერა ფოთლები, მძიმე-მძიმე ოქროსფერი ყურძნის მტევნები, მწიფე, წვნიანი მსხალი და ვაშლი, სოკო და ხილი — ყველაფერი ეს ქმნის ბუნების სიუხვისა და სიმდიდრის საოცარ სურათს.

არჩიმბოლდოს ამ სურათში გვაოცებს ვასაოცარი ბუნებრიობა, ყოველგვარი „წინასწარმოცემულობის“ უქონლობა, ოსტატობა, რომლითაც მხატვარი უხამებს ერთმანეთს ათასგვარ ხილსა და ბოსტნეულს, „თავისთავად“ რომ ქმნიან „შემოდგომის“ სახეს. ყოველივე ეს მონშობს ოსტატის იშვიათ კომპოზიციურ ნიჭს, ნატიფ გემოვნებას, ნახატისა და ფერის არაჩვეულებრივ შეგრძნებას. ეს ყველაფერი ძალდაუტანებლად და ბუნებრივად უწყობს ხელს ერთიანი, მთლიანი ხატის შექმნას.

ეს ნიშნულია აგრეთვე „ზამთრისთვისაც“ (1573, ლუვრი), რომლითაც მთავრდება „წელიწადის დროთა“ ციკლი. სიბერის თემას ასურათხატებს გამხმარი ხის ტოტი, რომელიც მოხუცის სახედაა წარმოსახული, შემცივნული, ჩალისგან დანშულ მოსასხამში რომ გახვეულა. რტოზე ჰკიდია ლიმონისა და მანდარინის ნაყოფი. ჭკნობის თემის გახსნას ხელს უწყობს ფერიც — იისფერ ლაქებთან შერწყმული მურა-ყვითელი. გამხმარი, დაღარული ხე, „თავზე“ დადგმული ერმანეთში ლამაზად ჩანული გამხმარი ტოტები, სხვადასხვა ფორმის ჩინჩხვარი, ფოთლები, ძირკვები სურათს ორიგინალობასა და მხატვრულობას ანიჭებს.

„ზამთარი“ შეიძლება მივიჩნიოთ სახელგანთქმული ბუნებისმეტყველის პარაცელსის (1493-1541) გამონათქვამთა თავისებურ ილუსტრაციად: „ხეც სხულია. მისი ქერქი კანს წააგავს, რტოები — თმას. აფრქვევს ყვავილებისა და ნაყოფის სურნელებას, და ადამიანივით გრძნობს, ისმენს, ხედავს“.

ეს ნატურფილოსოფიური იდეა ვითარდება „სტიქიების“ ცნობილ ციკლში, რომელშიც მელანდებდა არჩიმბოლდოს გენიის ყველა თავისებურება.

უპოქა, როცა მოღვაწეობდა არჩიმბოლდო, იმით გამოირჩევა, რომ ამ დროს რენესანსული აზრის შემდგომი გამდიდრება ხდებოდა უპირატესად ნატურფილოსოფიაში. ამ ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი იდეაა მოძღვრება ცოცხალ კოსმოსზე, რომელიც საფსვა შინაგანი ძალებით და თავისთავში შეიცავს ყოფიერების, მოძრაობისა და განვითარების საკმაო საფუძველს. „პანთეისტურად გაგებული და აღწერილი იდუმალი ძალებით აღსავსე სანყარო მაგიურ მოვლენათა შესაფერის ობიექტად შეიძლება წარმოედგინათ ნატურფილოსოფიური სისტემების შემქმნელთ“.

რუდოლფ მეორის სამეფო კარზე, ისე როგორც მთელ ევროპაში, განსაკუთრებით პოპუ-

ღარულია აგრძელება ნეტესპაიმელის (1456-1535) მაგიური თეორია, რომელიც იმ აზრს ეფუძნება, რომ როგორც უზენაესი მოქმედებს უმდაბლესზე, ისევე პირიქით — ყოველივე უმაბალესი მოქმედებს უზენაესზე მხოლოდ სუსტად. შემდეგ, ყველა ერთ საფეხურზე მდგომი თანაზიარად მოქმედებს ერთმანეთზე იმ კანონის საფუძველზე, რომელიც ამბობს, რომ ყველა საგანს იზიდავს თავისივე მსგავსი საგანი და პირიქით — მთელი არსებით მიიზიდავს მის ძალებს. თავის მთავარ თხზულებაში „იდუმალებათა ფილოსოფია“ (1510) აგრძელებს ნერს: „სულ ოთხი სტიქიაა ანუ ელემენტი, ესე იგი, ყველა სხეულისათვის ოთხი საფუძველი. ესაა ცეცხლი, მინა, წყალი და ჰაერი. ამ ოთხი ელემენტისაგან იქმნება ყველაფერი, მაგრამ იქმნება არა უბრალო შერთებით, არამედ შერწყმითა და გარდაქმნით, და პირიქით, ყოველივე ის, რაც კვდება, ოთხ ელემენტად იშლება. თითოეულ ელემენტს ორი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელთაგან ერთი საკუთრივ ამ ელემენტისაა, ხოლო, მეორე შემდეგ ელემენტზე გადასასვლელია. ცეცხლი მხურვალეა და მშრალი, მინა მშრალია და ცივი, წყალი ცივია და ტენიანი, ჰაერი ტენიანია და მხურვალე. აი, ასე უპირისპირდებიან ერთმანეთს ელემენტები თავიანთი საპირისპირო თვისებებით: ცეცხლი — წყალს, მინა — ჰაერს“.

ეს იდეები ყველაზე უფრო გამოკვეთილად გამოჩნდნენ არჩიმბოლდოს ხურააში „ცეცხლი“ (1566, ვენა), რომელიც „სტიქიების“ ციკლში შედის. ასე, მაგალითად, აქ ვხვდებით ოთხ სხვადასხვა ცეცხლის აღს, რომლებზეც ლაპარაკობს აგრძელება. პირველი სახის აღის პროდუქტები არაორგანულ ბუნებას ეკუთვნის, მეორე სახის პროდუქტები — მცენარეულ სამყაროს, მესამე სახისა — ცხოველურ სამყაროს და მეოთხესი — ადამიანურ სამყაროს.

საინტერესოდ წყვეტს არჩიმბოლდო მესამე და მეოთხე სახეობებს. მესამე სახეობისათვის იგი ირჩევს ოქროს საწმისის ორდენის ცხერის გამოსახულებას, ხოლო მეოთხე სახეობისათვის — ზარბაზნებსა და არკებუზს.

გარდა ამისა, აქ მოცემულია ამა თუ იმ სტიქიისათვის ნაშანდობლივი „სიმკაათის“ ყველა ნიმუში. ასე, მაგალითად, პარაცელსის მიხედვით, მანადობელი ცეცხლის აღი მზეს ემორჩილება. ლითონებიდან მას „ესიმკაათურება“ ოქრო და იასპი, რომლებიც ოქროს საწმისის ორდენზეა გამოსახული. ცხოველებიდან „მზიურია“ ცხვარი, რომელსაც იმავე ორდენზე ვხვდებით.

არჩიმბოლდოს „ცეცხლი“ თუ „მხურვალე და მშრალია“, აგრძელებს ტერმინოლოგიით, „წყალი“ (1566, ვენა) „ტენიანი და ცივია“. „წყალი“ გადანყვეტილია თაღ-მარგალიტისფერ, ცივ-ვარდისფერ გამაში, ასე შესანიშნავად რომ ეხამება აქ გამოსახულ წყლის სტიქიის სველსა და სრიალა ბინადრებს, რომლებიც „ზეხელშესახებად“ და „ზეზუსტადაა“ გადმოცემული. მხატვრის ხელოვნებით აღტაცებული დიდხანს უცქერ ამ სურათს. მაგრამ ეს ნატურმორტი როდია: ამ ზღვის ცხოველებისა და თევზების თვალები, ღიაა, ისინი ბრწყინავენ და სიცოცხლით არიან სავსე.

არჩიმბოლდოს ერთ-ერთი უკანასკნელი სურათი „ფლორა“ მილანში, დაიწერა 1588 წელს. მხატვარმა იგი პრალაში გაგზავნა, საიდანაც მოგვიანებით შეეცვიაში გაიტანეს. ამჟამად ლონდონში, კერძო კოლექციაში ინახება.

სურათის უკანა მხარეზე ვიღაცის ძველი წარწერაა: «La Flora dell'Arcimboldo».

კომანიჩიმ „ფლორას“ შემდეგი მადრიგალი მიუძღვნა:

ფლორა ვარ შე, თუ ვარ ყვავილები?

თუ ყვავილი ვარ, მაშინ იმ ფლორამ

ვით გაიღიბოს? და თუ ფლორა ვარ,

როგორ იქნება ფლორა ყვავილი?

ოჰ, არც ფლორა ვარ, არც ყვავილები,

მაინც ფლორა ვარ, და ყვავილები,

ყველა ყვავილი და ერთი ფლორა.

ნორჩი ყვავილი, და ნორჩი ფლორა.

და ყვავილები თუ არის, ფლორა, ფლორა — ყვავილი,

მიხედვით, ალბათ, ვინც აქცია ყვავილი ფლორად,

ბრძენი მხატვრის ხელმა აქცია ფლორა ყვავილად.

კომანიჩი კარგად ჩასწვდა „ფლორის“ პოეზიას, ცალკეული ადგილის მთლიანობასთან მიმართებას, მთლიანის გამოვლინებას ცალკეულში და ცალკეულისა მთლიანში. არჩიმბოლ-

დომ თითქოს წინასწარ გამოიცნო ნოვალისის (1772-1801) აზრი: „ყველა პოეტური ქმნილება ცოცხალი ინდივიდი უნდა იყოს. სულ ერთია, უნივერსუმს ჩემს არსებაში ვგულისხმობ თუ ჩემს თავს უნივერსუმში. ბუნება ერთდროულად უსასრულო ცხოველიცაა, უსასრულო მცენარეცა და უსასრულო ქვაც“. პოეტი, ნოვალისის მიხედვით, იმორჩილებს ქაოსურ პირველყოფილ სტიქიურ ძალებს. მხოლოდ და მხოლოდ მხატვარი, პოეტი გამოხატავს „ბუნების სულს“, მის „შინაგან გონებას“. ბუნება და ადამიანი ერთმანეთს უკავშირებს.

ასე, მაგალითად, არჩიმბოლდოს სურათზე „ფლორა“ იდეაში და გამოუცნობი ქალის სახეში ერთმანეთს ერწყმის ათასნაირი ფერი, განსხვავებული უფაქიზესი ფერის ნიუანსებით გამოხატული ფურცლები. ეს სახე არსებობს დროში, იმიტომ, რომ ყვავილებიდან. რომლითაც „დაფარულია“ ტილო, მხილველს წამდაუნუნებ გადაატყვს მზერა სახეზე, რომელსაც ეს ყვავილები ქმნიან და პირიქით. ეს მეტამორფოზები განუწყვეტლივ ხდება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ არჩიმბოლდოს სურათები არ არის „იშვიათობათა კაბინეტისათვის გამიზნული ხუმრობა, გამონაგონი“, როგორც მიაჩნია სტერლინგს, მე-17 საუკუნის ესპანური და ფლამანდიური ნატურმორტის უდიდეს სპეციალისტს. როცა ლაპარაკია არჩიმბოლდოს „ნატურმორტებზე“, უნდა ითქვას, რომ უდიდეს დამატყვევებელ ოსტატობასა და ბრწყინვალე ვირტუოზობასთან ერთად იგრძნობა მათი „გასულიერება“, რაც მხატვრის ნატურფილოსოფიური იდეებით აიხსნება.

ეს იდეები ნიშანდობლივია არჩიმბოლდოს უკანასკნელი სურათის „ვერტუმნისათვისაც“, რომელსაც მხატვრის მეგობრები, ლომპიო და კომანინი, „რუდოლფ მეორის პორტრეტს“ უწოდებენ. ისინი ასახელებენ „ვერტუმნის“ შექმნის თარიღსაც, ესაა 1590 წელი.

კომანინის მოზრდილი პოემა, რომელიც ამ სურათს მიეძღვნა (გამოქვეყნდა 1591 წელს), სურათთან ერთად გაიგზავნა პრალაში. ამ შედევრით რუდოლფ მეორის აღტაცებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სწორედ მაშინ უბოძეს სამოცდაოთხი წლის არჩიმბოლდოს პფალცგრაფის ტიტული. ამჟამად სურათი დაცულია შვეციაში, შოკლოსტერის ციხე-დარბაზში, ბარონ ფონ ესენის კოლექციაში.

ვერტუმნი ბაღებისა და მინის დამუშავების ეტრუსკული ღვთაებაა. ძველ რომში ვერტუმნი ითვლებოდა აგრეთვე ვაჭრობის მფარველად. მისი ქანდაკება რომის ეტრუსკულ კვარტალში იდგა, ტაძარი ავენტინზე იყო აღმართული. ვერტუმნი ყმანვილ კაცს გამოხატავდა, ერთ იელში სასხლავი დანა ეჭირა, მეორეში — ხილით სავსე კალათი. როგორც მითი გვეუბნება, ვერტუმნს შეეძლო ნებისმიერი სახე მიეღო.

არჩიმბოლდომ დაარღვია ტრადიციული იკონოგრაფია, ვერტუმნი დახატულია ისეთ არსებად, რომლის სახეც აგებული იყო შემოსული ხილის, ბოსტნეულის, მარცვლოვანთა და ყვავილებისაგან და მოული-დნელად შეიცნობოდა რუდოლფ მეორეს. იმპერატორის პორტრეტებზე ჩვენ ვხედავთ ბურჩხასავით (ეკლიანი მცენარეა) ნვერმოდეულ პაბს-ბურგების მძიმე ნიკაპს, შავ, მრგვალსა და მბრწყინავ თვალებს (ესაა ალუბალი და მადუკალი), შეშუპებულ, მრგვალ ლოყებს (მნიფე, წითელ ვაშლებს), წინწამონეულ შუბლს (ეს გოგრაა), ჩამოფლართულ ყურებს (სიმინდის ტაროებს).

მაგრამ „ვერტუმნი“ კარიკატურა ან შარჟი კი არ არის (რუდოლფ მეორეს როგორც ცნობილია, ხუმრობა არ უყვარდა), არამედ იმპერატორის „ატრალური ორეულია“, ნაყოფიერების მეუფეა“. ეჭვი არ არის, რომ ეს სახე დაშიფრულია, ყველა ატრიბუტი დაკავშირებულია ამ არაჩვეულებრივი კაცის პიროვნებასთან, მაგრამ ამ შიფრის გასაღები დაკარგულია.

„ვერტუმნი“ არჩიმბოლდოს ოსტატობის მწვერვალია. ესაა ბუნების ნაყოფიერების ხატი, ოპტიმიზმით, სიცოცხლით აღსავსე ხატი. აქედან მოდის მადლარი, მძაფრი და მკვეთრი ფერები, სიუხვე ყველა იმ ნაყოფის, ბოსტნეულის და ყვავილებისა, რომელთა ჩამოთვლა ვაგიჭირდება. გაოცებს ოსტატობა, რომლითაც გადმოცემულია ეს მოძრავი, მბრუნავი, დაკიდებული, მზარდი, მბზინავი და სურნელების მფრქვეველი ფორმები.

ასეთია ჩვენს დრომდე მოღწეული არჩიმბოლდოს უკანასკნელი სურათი.

მხატვრის კომპოზიციებს ისეთი დიდი წარმატება ხვდა წილად, რომ უთვალავი მიმბაძველი გამოუჩნდათ, რომელთაც „არჩიმბოლდოელები“ უწოდეს. უნარიანმა და უგერგილო სტილიზატორებმა, რომლებიც ვერ ჩაწვდნენ არჩიმბოლდოს სურათებში ჩადებულ იდეებს, მხოლოდ მხატვრის გარეგნული ხერხები გადმოიღეს. უკვე მე-17 საუკუნეში „არჩიმბოლდოელებმა“ წაღვეს იტალია, საფრანგეთი, პოლანდია და ევროპის სხვა ქვეყნები. მაგრამ ისინი მაინც ჯამბაზებად დარჩნენ და ჯუზეპე არჩიმბოლდოსაგან განსხვავებით, ხალხმა დიდი ხანია დაივიწყა.





ჯუზეპე სარინობოლო

წაფილი



ჯუზეპე არჩივოლდო

შინამდგომა